

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

აწსუ ამერიკის შესწავლის ცენტრი, ჯონ დოს პასოსის
საქართველოს ასოციაცია

ATSU AMERICAN STUDIES CENTER, JOHN DOS PASSOS
ASSOCIATION OF GEORGIA

ISNN 1512-09-53

IV საერთაშორისო კონფერენცია ამერიკისმცოდნეობაში

ენა, ლიტერატურა, კულტურა, ხელოვნება, თარგმანი, ქართულ-ამერიკული ურთიერთობები, პოლიტიკა, ისტორია, ეკონომიკა, განათლება და საზოგადოება

IV International Conference on American Studies

Language, Literature, Culture, Art, Translation, Georgian-American Relations, Politics, History, Economics, Education & Society

ოქტომბერი 2008 OCTOBER

ქუთაისი
KUTAISI

კრებულში შესულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2008 წლის 24-26 ოქტომბერს ჩატარებული ამერიკისმცოდნეობის IV საერთაშორისო კონფერენციის მასალები. კრებული გათვალისწინებულია ამერიკული ლიტერატურის, კულტურის, ხელოვნების, ქართულ-ამერიკული ურთიერთობების, პოლიტიკის, ისტორიის, ეკონომიკის შესწავლით დაინტერესებულ პირთათვის.

ღრმ მადლობას ვუხდით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატს კრებულის გამოქვეყნებისათვის გაწეული ფინანსური დახმარებისათვის.

The anthology includes the proceedings of the IV International Scientific Conference on American Studies held at ATSU in October 24-26, 2008.

The collection is intended for the persons interested in American literature, culture, art, Georgian-American relations, politics, history, economics.

We express our gratitude towards Akaki Tsereteli State University Rector's Office for the financial support in publishing conference proceedings.

სარედაქციო კოლეგია: ასოც. პროფ. **ვახტანგ ამაღლობელი** /მთავარი რედაქტორი/, პროფ. ირაკლი ცხვედიანი /რედაქტორი/, ნათია ოდილავაძე /პასუხისმგებელი მდივანი, ასოც. პროფ. დავით გეგეჭკორი, ასოც. პროფ. ვასილ კაჭარავა, პროფ. ტაირუს მილერი (აშშ), პროფ. ნატალია ორლოვსკაია

რეცენზენტები: პროფ. **ზაზა გაჩეჩილაძე** – გაზეთის „მესინჯერი" მთავარი რედაქტორი, ასოც. პროფ. **კოტე გოგოლაშვილი** – ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Editorial Board: Assoc. Prof. **Vakhtang Amaglobeleli** /Editor-in-chief/, Prof. Irakli Tskhvediani /Editor/, Natia Odilavadze /Executive secretary/, Assoc. Prof. David Gegechkori, Assoc. Prof. Vasil Kacharava, Prof. Tyrus Miller (USA), Prof. Natalia Orlovskaya

Reviewers: Prof. Zaza Gachechiladze, Editor-in-chief of Newspaper "Messenger", Assoc. Prof. Kote Gogolashvili, Ilia Chavchavadze State University

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008
Akaki Tsereteli State University Press, 2008

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი. 11
მისალმებები. .19

ენა, ლიტერატურა, კულტურა, ხელოვნება, თარგმანი

აბესაძე ირინე
ისტორია, როგორც კულტურის მამოძრავებელი ფაქტორი
XXს. ამერიკელ ნეო-ევოლუციონისტთა ნააზრევში. 29

ბაბრატიონი ირმა
უილიამ დე კუნინგი – ამერიკელი აბსტრაქტული
ექსპრესიონისტი პოლანდიიდან. . . .38

გელაშვილი მანანა
ქრისტიანული მითის როლი ფოლკნერის რომანში
„სმაური და მძვინვარება“. 45

ებანოიძე მირიანი
ევრა პაუნდის „ჩინური პოემია“. . . .52

თურმანიძე თამთა
იდეოლოგია და ამერიკული კინო. 57

კვირიკაძე ნინო
ენობრივი პიროვნება ლინგვოკულტურათა გადაკეთებაზე
(ვ. ნაბოკოვის რომან „პნინის“ მიხედვით). 63

კიკვირია დოდონა
ქართული ენის სწავლება ამერიკის შეერთებულ შტატებში. 69

კობახიძე თემური
საკრალური დრო და გზის მითოლოგემა ტომას ელიოტის
„მოგვთა მგზავრობაში“. 80

კობეშავიძე თამარა
თომას პინჩონის რომანების ქანრობრივი სპეციფიკისათვის .95

კოღუაშვილი ბაია
რეგიონალური ლიტერატურული სისტემები: „ახალი რეგიონალიზმი“
თანამედროვე ამერიკულ ლიტერატურაში. 102

პროტენკო ირაიდა, პროტენკო ელენე
მეტამოთხრობა ფრანგულ და ამერიკულ პოსტმოდერნისტულ თეორიებში. . 109

მესხია ერმილე
მკვიდრი მოსახლეობის (აშშ, საქართველო) კულტურისა და
ეროვნული ცნობიერების პრობლემები. 117

მეძმარიაშვილი ელენე
ამერიკული და ქართული სიმბოლოები: შედარებითი ანალიზი 127

მიქაძე მანანა, კუხალაშვილი მარინე
ე. პემინგუეის „აღმოხდების მზე (ფიესტა)“: ქართული თარგმანის
ენობრივ-სტილისტური ანალიზი. 134

ნიკოლეიშვილი სოფიო
ჯეინ ოსტინი ჰოლივუდში: “SENSE AND SENSIBILITY” – რომანიდან
დიდ ეკრანზე. 143

სარუხანოვა ირინა
ამერიკელი ბალეტმაისტერის ჯორჯ ბალანჩინის ქართული ფესვები. 151

სირაძე თამარი
ეპიფანია ტ. ს. ელიოტის პოეზიაში. 156

ურუშაძე თეა
ამერიკული რეალისტური ფერწერის განვითარების თავისებურება XX
საუკუნის დასაწყისში. 165

ქურდაძე მარია
ტრადიციის გაგება ტ. ს. ელიოტის ესეში. 171

ღვინჯილია გვანცა
თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო
დასის გასტროლი ამერიკაში (2008 წ.). 175

ცხვედიანი ირაკლი, ქაცარავა მარინა
გვიად გამსახურდია – ამერიკული პოეზიის მკვლევარი. 183

ჭეიშვილი თამარი
ამერიკული ნოველის გენეზისი და ნოველის ჟანრის ედგარ პოსეული
დეფინიცია. 191

აბდუშელიშვილი ლელა
ბრდასრულთა განათლება: რამდენად პოულობს ასახვას საქართველოში აშშ-ში მიმდინარე ცვლილებები. 200

ამაღლობელი გივი
იდენტობის საკითხები ამერიკულ და ქართულ საზოგადოებებში: შედარებითი ანალიზი. 205

ამაღლობელი ვასტანგი
ქართული თემა ჯონ დოს პასოსის ტრილოგიაში „აშშ“. 215

ბორგულაძე ირაკლი
„ამერიკული იდეა“ და ტოტალური კონტროლის დოქტრინა. 227

დაუშვილი რუსუდანი
ქართველი მილიონერები ამერიკაში. 235

იაშვილი ია
სწავლებისა და კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში. 244

კაკაურიძე ნანული
თომას მანი ფრანკლინ რუზველტის შესახებ. 251

კალატოზი ნინო
კოლექტიური გარიგებები აშშ უმაღლესი განათლების სისტემაში. 256

კაჭარავა ვასილი
განათლებისა და მეცნიერების საკითხები დუაიეტ ეიზენჰაუერის ადმინისტრაციაში. 262

კახიძე ემზარი
ამერიკა-რუსეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში: ისტორიული პარალელები და პერსპექტივები. 274

კვიტაშვილი გიორგი
აშშ-ს „კეთილი მეზობლის“ პოლიტიკა XX საუკუნის 30-იან წლებში. 281

კუტივაძე ნესტანი
„ოდისევსის დაბრუნება“ – ნოდარ დუმბაძის ამერიკული დღიურები. 286

ᲓᲐᲛᲘᲡᲔᲘᲛᲕᲘᲚᲘ ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘ
ᲓᲔᲙᲐᲜᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ. 293

ᲛᲘᲥᲐᲣᲢᲐᲫᲔ ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜᲘ
Ლ. Მ. ᲡᲘᲚᲙᲝᲡ "Ceremony" ᲐᲨᲨ ᲘᲜᲓᲘᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲗᲐ
ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ 302

ᲜᲘᲙᲝᲚᲔᲘᲛᲕᲘᲚᲘ ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚᲘ
ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ. 310

ᲜᲘᲙᲝᲚᲔᲘᲛᲕᲘᲚᲘ ᲝᲗᲐᲠᲘ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲝᲡᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙ ᲢᲐᲘᲛᲡᲘᲡ“ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ
(ᲝᲛᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲔᲓᲔᲘᲗ). 323

ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜᲘ
ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲑᲔᲡᲢᲡᲔᲚᲔᲠᲘ. 329

ᲝᲠᲚᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐ ᲜᲐᲢᲐᲚᲘᲐ
ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. 336

ᲠᲩᲔᲣᲚᲘᲛᲕᲘᲚᲘ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘ
2008 Წ. ᲠᲣᲡᲣᲚ-ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲛᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲨᲨ-Ს ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲣᲠᲘ
ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲣᲥᲕᲔ. 341

ᲢᲣᲜᲐᲫᲔ ᲗᲔᲛᲣᲠᲘ, ᲛᲭᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔ ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ
ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ-ᲔᲕᲠᲐᲖᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ. . . . 353

ᲤᲔᲠᲐᲫᲔ ᲕᲐᲡᲘᲚᲘ
ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ. 361

ᲦᲐᲒᲗᲐᲫᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ
ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ
ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲒᲖᲔᲑᲘ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ
(ᲐᲨᲨ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ). 371

ᲩᲮᲔᲘᲫᲔ ᲞᲐᲐᲢᲐ
ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ, ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ ᲓᲐ ... ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ. 377

ᲩᲮᲔᲘᲫᲔ ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲘ
ᲯᲝᲜ ᲡᲢᲐᲘᲜᲑᲔᲙᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ. 389

CONTENT

PREFACE . 11
GREETINGS. . . . 19

LANGUAGE, LITERATURE, CULTURE, ART & TRANSLATION

ABESADZE IRINE
THE HISTORY AS ADVANCED FACTOR OF CULTURE IN THE VIEWPOINT OF AMERICAN NEO-EVOLUTIONISTS OF XX CENTURY. 29

BAGRATIONI IRMA
WILLEM DE KOONING – AN AMERICAN ABSTRACT EXPRESSIONIST FROM HOLLAND. 38

CHEISHVILI TAMARI
AMERICAN SHORT STORY: THE GENESIS AND DEFINITION BY E. A. POE . . .191

GELASHVILI MANANA
CHRISTIAN MYTH IN FAULKNER'S *THE SOUN AND THE FURY* 45

EBANOIDZE MIRIANI
EZRA POUND'S "CHINESE POETRY" 52

GVINJILIA GVANTSA
CONCERT TOUR - 2008 OF BALLET COMPANY OF TBILISI OPERA AND BALLET STATE THEATRE 175

KIZIRIA DODONA
TEACHING OF GEORGIAN LANGUAGE IN USA 69

KOBAKHIDZE TEMURI
SACRED TIME AND THE MYTHEME OF THE ROAD OR WAY IN T. S. ELIOT'S "JOURNEY OF THE MAGI" 80

KOBESHAVIDZE TAMARA
GENRE PECULIARITIES OF THOMAS PYNCHON'S NOVELS 95

KOGUASHVILI BAIA
REGIONAL LITERARY SYSTEMS: "NEW REGIONALISM" IN CONTEMPORARY AMERICAN LITERATURE 102

KROTENKO IRAIDA, KROTENKO ELENE
META-NARATIVE IN FRENCH AND AMERICAN POSTMODERNIST THEORIES 109

KVIRIKADZE NINO
LINGUAL PERSON AT THE CROSSROADS OF LINGUO-CULTURES:
VLADIMIR NABOKOV 63

MEDZMARIASHVILI ELENE
AMERICAN AND GEORGIAN SYMBOLS: COMPERATIVE ANALYSIS 127

MESKHIA ERMILE
PROBLEMS OF NATIONAL CULTURE AND THINKING OF ABORIGINAL
POPULATION (USA, GEORGIA)..... 117

MIKADZE MANANA, KUKHALASHVILI MARINE
ABOUT GEORGIAN TRANSLATION OF E. HEMINGWAY'S "THE SUN
ALSO RISES (FIESTA)"..... 134

NIKOLEISHVILI SOPHIA
JANE AUSTEN GOES TO HOLLYWOOD: SENSE AND SENSIBILITY –
FROM THE NOVEL TO THE FILM..... 143

QURDADZE MARIA
THE ASPECT OF TRADICION IN T.S. ELIOT'S ESSAY.....171

SARUKHANOVA IRINA
AMERICAN MASTER OF BALLET GEORGE BALAMCHINE:
GEORGIAN ROOTS..... 151

SIRADZE TAMARI
EPIPHANY IN T.S. ELIOT'S POETRY 156

TSKHVEDIANI IRAKLI, KATSARAVA MARINA
ZVIAD GAMSAKHURDIA AS A RESEARCHER 183

TURMANIDZE TAMTA
IDEOLOGY AND AMERICAN CINEMA 57

URUSHADZE TEA
AMRICAN REALISTIC FINE ARTS AT THE BEGINNING
OF THE XX CENTURY 165

GEORGIAN-AMERICAN RELATIONS, POLITICS, HISTORY, ECONOMICS, EDUCATION & SOCIETY

ABDUSHELISHVILI LELA
ADULT EDUCATION: DO TRENDS IN AMERICA FORESHEDOW TRENDS IN GEORGIA? 200

AMAGLOBELI GIVI
IDENTITY ISSUES IN AMERICAN AND GEORGIAN SOCIETIES ..... .205

AMAGLOBELI VAKHTANGI
GEORGIAN THEME IN JOHN DOS PASSOS TRILOGY "USA" . 215

CHKHEIDZE PAATA
OPPOSITION, DEMOCRACY AND... FREEDOM 377

CHKHEIDZE ROSTOMI
THE MYSTERY OF JOHN STEINBECK..... .389

DAUSHVILI RUSUDANI
GEORGIAN MILLIONAIRES IN AMERICA. 235

GAVTADZE GEORGE
MODERN WAYS OF DEVELOPING OF ECONOMICAL EDUCATION AND PROFESSIONAL IMPROVEMENT OF SOCIETY IN IMERETI REGION, CONSIDERING OF US EXPERIENCE. . . 371

GORGILADZE IRAKLI
"AMERICAN IDEA" AND DOCTRINE OF TOTAL CONTROL. 227

IASHVILI IA
ADVANCED RESEARCH METHODS IN SOCIAL SCIENCES.....244

KACHARAVA VASILI
SCIENCE AND EDUCATION ISSUES IN POLICY OF D.EISENHOWER ADMINISTRATION. .262

KAKAURIDZE NANULI
TH. MANN ON FRANKLIN ROOSEVELT. 251

KAKHIDZE EMZARI
THE STRUGGLE BETWEEN USA AND RUSSIA FOR SOUTHERN CAUCASUS: HISTORICAL PARALLELS AND PERSPECTIVES 274

KALATOZI NINO
COLLECTIVE BARGAINING IN U.S. HIGHER EDUCATION.....256

KUTIVADZE NESTANI
"THE RETURN OF ODYSSEYS" – AMERICAN DIARIES BY NODAR DUMBADZE..... 286

KVITASHVILI GIORGI
THE U.S. "GOOD NEIGHBOUR" POLICY DURING THE 30-IES OF THE XX CENTURY .281

MAMISEISHVILI KATE
THE NATURE OF ACADEMIC DEANSHIP IN THE UNITED STATES . 293

MIKAUTADZE RUSUDANI
L.M. SILKO'S "CEREMONY" ABOUT THE RELATIONS OF EUROAMERICANS AND USA INDIANS 302

NIKOLEISHVILI AVTANDILI
ILIA CHAVCHAVADZE AND AMERICA..... ..310

NIKOLEISHVILI OTARI
GEORGIAN-OSSETIAN CONFLICT ACCORDING TO THE ARTICLES PUBLISHED IN NEW YORK TIMES.....323

NISHNIANIDZE RUSUDANI
THE AMERICAN BESTSELLER OF THE GEORGIAN WRIETER.....323

ORLOVSKAYA NATALIA
AN AMERICAN JOURNALIST ABOUT KAKHETI.....336

PERADZE VASILI
CONTEMPORARY AMERICAN SCHOOL OF INTERNATIONAL RELATIONS. .361

RCHEULISHVILI VAKHTANGI
ON THE ISSUE OF GEORGIAN-RUSSIAN WAR OF 2008 IN THE LIGHT OF THE CIVILIZATION STRUGGLE BETWEEN RUSSIA AND USA.... ...341

TUNADZE TEMURI, MZHAVANADZE EKATERINE
FROM HISTORY OF AMERICAN-EURASIAN OIL MARKET COMPETITION.353

შესავალი

დიდად სასიხარულოა ის ფაქტი, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ცენტრისა და ჯონ დოს პასოსის საქართველოს ასოციაციის თაოსნობით ჩატარებული ამერიკის შესწავლის საკითხებისადმი მიძღვნილი რიგით მეოთხე საერთაშორისო კონფერენციის მასალების კიდევ ერთი კრებული გამოიცა. აღსანიშნავია, რომ ინტერესი ამ კონფერენციისადმი წლიდან წლამდე მატულობს და, რაც მთავარია, მოხსენებათა თემატიკის მრავალფეროვნება და აქტუალობა ყოველწლიურად იზრდება.

მსგავსი კონფერენციების ჩატარებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არსებული ურთიერთობების უფრო მეტად განვითარებისა და გაღრმავებისათვის.

ეს წლევანდელი ატვიასტოს ტრაგიკულმა მოვლენებმაც დაადასტურა. 25 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ბ-მა ლავროვმა ნიუ იორკში განაცხადა, რომ აშშ-ს ყოფილ სახელმწიფო მინისტრს ბ-ნ კისინჯერს შეხვედრია, რომელსაც თურმე არ სცოდნია ისტორია და აუხსნია, რომ აფხაზეთი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შექმნამდე ყალიბდებოდა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, სოლო უკვე არსებული ერთიანი ოსეთის სახელმწიფო სტალინმა გაყო ორ ნაწილალო.

სრულებით არ მიკვირს, რომ კისინჯერმა შეიძლება მართლაც არ იცოდეს საქართველოს ისტორია, რადგან როგორც ჩანს, გასული საუკუნის ბოლომდე ამერიკული პოლიტიკური ელიტა თქვიდა, რომ საბჭოთა კავშირში უკვე შექმნილი იყო ერთიანი „საბჭოთა ხალხი“. ამას ბეჭდინსკის მოსაზრებაც ადასტურებს, რომელიც მან თავის ბესტსელერად ქცეულ წიგნში „მეორე ცდა“ გამოთქვა: „ჯერ კიდევ 1970-იანი წლების ბოლოს პრეზიდენტის თანაშემწეს ყოფნის დროს დავრწმუნდი, რომ რუსეთის იმპერიის აქილესის ქუსლი მრავალეთნიკურობა იყო. ამდენად დაეყრდნე წინადადება შემუშავებულიყო ზომიერი, ფარული პროგრამა საბჭოთა კავშირის იმ არარუსული ერების მხარდასაჭერად, რომლებიც დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფოდნენ. საპასუხოდ, სახელმწიფო დეპარტამენტის საბჭოთა საქმეების წამყვანმა ექსპერტმა სახელმწიფო

დეპარტამენტის მდივანი დაარწმუნა იმაში, რომ საბჭოთა ერის მრავალეთნიკური ნაბავი ამერიკის მსგავსად უკვე ფაქტობრივად არსებობდა და ასეთი მცდელობა უკუქმედებას გამოიწვევდა. ამ პროგრამამ მომავალში გაღაინაცვლა".

ბჟეზინსკის აზრით, ამერიკის აღმინისტრაციის ამ მცდარი კონცეფციის ნათელი გამოსახულება იყო პრეზიდენტ ბუშის მიერ 1991 წლის აგვისტოში კიევში წარმოთქმული სიტყვა, რომელმაც დამოუკიდებლობის მოსურნე საბჭოთა რესპუბლიკებისათვის საბედისწერო როლი ითამაშა. კონკრეტულად სიტყვაში ნათქვამი იყო: „თავისუფლება დამოუკიდებლობას არ ნიშნავს. ამერიკელები მსარს არ დაუჭერენ მათ, რომელთაც დამოუკიდებლობის მოპოვება სურთ იმიტომ, რომ ტირანია ჩაანაცვლონ აღგილობრივი ღესპოტიზმით. ისინი არ დაეხმარებიან იმათ, ვინც ხელს უწყობს მომაკედინებელ ნაციონალიზმს, დაფუძნებულს ეთნიკურ სიძულვილზე". ალბათ, გეცნოთ იმ ანტიქართული იდეოლოგიის დამახასიათებელი ფრაზეოლოგია, რომლითაც რუსული პროპაგანდისტული მანქანა მრავალი ათეული წლებია იბრძვის საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ და დღესაც, იგივე იდეოლოგიით ცდილობს გაამართლოს აგვისტოს ომი და მისი შედეგები.

სამწუხაროდ, გასული საუკუნის 80-90-იანი წლების ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის და პრეზიდენტის ცალკეული მრჩევლების საქართველოს ისტორიის „არცოდნამ", რბილად რომ ვთქვათ, ცუდი სამსახური გაუწია ახლადშექმნილ ქართულ სახელმწიფოს და მის პირველ პრეზიდენტს გვიან გამსახურდიას. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ რუსეთისგან განსხვავებით ის ისტორიაში არ ჩარჩენილა და მომავლის ქვეყანაა. დღეს, საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, სახელმწიფო დეპარტამენტის ექსპერტებმა უკეთესად იციან საქართველოს ისტორია, ვიდრე საქართველოს ხელისუფლების ზოგიერთმა მაღალჩინოსანმა.

შეიძლება ბევრი არ დამეთანხმოს, მაგრამ ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილი რუსეთიეით წარსულშია ჩარჩენილი, ნაწილი კი ცდილობს წარსულის უგულვებელყოფით ააშენოს მომავალი. სულმნათი ილია ამბობდა „აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისაო". ამასთან დაკავშირებით მახსენდება ჰანტინგტონის მოსაზრება გამოთქმული წიგნში „ვინ ვართ

ჩვენ?“, საღაც ის შეისწავლის ამერიკელთა იღენტობის საკითხებს. ჰანტინგტონი განმარტავს, რომ თანამედროვე ამერიკული კულტურის განვითარებას ანგლო-პროტესტანტიზმის ნაცვლად კათოლიციზმი რომ დაღებოდა საფუძვლად, იგი დღეს ამერიკა კი არ იქნებოდა, არამედ საფრანგეთი, ბრაზილია ან კანადა.

გემოძოყვანილი მაგალითებით იმის ჩვენება მინდა, რომ ამერიკის შესწავლა, ისე როგორც სხვა დანარჩენი ქვეყნებისა, ჩვენი წარსულისა და აწმყოს უკეთესად გაგებისათვის გვჭირდება, ხოლო ამერიკელებს ჩვენი ნამდვილი ისტორიის ცოდნა საშუალებას მისცემს უკეთესად დაგვეხმარონ მომავალი სახელმწიფოს მშენებლობაში.

მართალია, წელს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ საქართველოში სახელმწიფო დეპარტამენტის მეშვეობით კონფერენციის სპონსორობა ვერ შეძლო, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რა თქმა უნდა, ევროპასთან ერთად, თბილისისაკენ მიმაეალი ტანკები, რომ არ შეეჩერებინა, დამერწმუნეთ, კონფერენციას ნამდვილად ვერ ჩავატარებდით.

ბედნიერი ვარ იმით, რომ მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია ამერიკისმცოდნეობაში შედგა და ტრადიცია არ დაირღვა.

მხარდაჭერისა და თანადგომისათვის ღრმა პატივისცემას ვუდასტურებ და დიდ მადლობას ვუხდი:

- კონფერენციის ყველა მონაწილეს, განსაკუთრებით ჩვენს სტუმრებს თბილისიდან, თელავიდან, ბათუმიდან, მით უმეტეს, ისინი წელს პირველად, საკუთარი დაფინანსებით მონაწილეობდნენ კონფერენციაში;

- პროფესორებს: თემურ კობახიძეს, ვასილ კაჭარაეას, ელენე მეძმარიაშვილსა და თამარ შიოშვილს ამერიკისმცოდნეობის, როგორც ცალკე დისციპლინის განვითარების პიონერებს და ამერიკის შესწავლის საკითხებზე პირველი კონფერენციების ორგანიზების ფუძემდებლებს, რომელთა მხარდაჭერას მუდმივად ვგრძნობთ;

- უცხოელ კოლეგებს, პროფესორებს: ტაირუს მილერს, ქრისტინა ფონ-რისტერს, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ზინა გონსალეს დე აბრუ მარიას, პორტუგალიიდან, ჰანს-პიტერ როტენბერგს, გერმანიიდან, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს კონფერენციის კრებულის სარედაქციო კოლეგიის წევრობაზე. ზოგი

მათგანი ჩამოსულასაც აპირებდა, მაგრამ აგეისტოს მოულენების გამო გაღაიფიქრეს;

- კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტს, აწსუ საგარეო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს, ამერიკის შესწავლის ცენტრს, ჯონ დოს პასოსის საქართველოს ასოციაციის დამფუძნებლებს უანგარო თანამშრომლობისათვის.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუსადო უნივერსიტეტის რექტორატს და პირადად რექტორს, პროფ. გიორგი ონიანს იმის გამო, რომ აღნიშნული კრებული უნივერსიტეტის ფინანსური დასმარებით გამოქვეყნდა.

ასოც. პროფ. **ვასტანგ ამაღლობელი**
აწსუ ამერიკის შესწავლის ცენტრის დირექტორი,
ჯონ დოს პასოსის საქართველოს ასოციაციის თავმჯდომარე

PREFACE

I'm very glad that the proceedings of the 4th International Conference in American Studies organized by the American Studies Center at ATSU and the John Dos Passos Association of Georgia were published as a collection. It is worth-while to mention that the interest for these conferences is growing and the themes of the papers are more diversified and topical each year.

Holding similar conferences is of a great importance for the purpose of developing and extending relations between Georgia and USA.

This fact was confirmed by tragic events taking place this year in August. On September 25, the Foreign Minister of the Russian Federation – Mr. Lavrov declared in New York, that he had already met the former State Minister of the United States – Mr. Kisinger who didn't know the history and so Lavrov explained him, that the Abkhazia had been forming itself as an independent country before the creation of the Soviet Union and already existed Ossetia had been divided into two parts by Stalin.

I'm not surprised at all, that perhaps Kisinger doesn't really know Georgian history, because it seems that till the end of the last century the American political elite considered, that "Soviet people" as a whole had already been created in the Soviet Union. This is proved by Bzhezinski's opinion which he had expressed in his book "Second Chance", becoming bestseller: "As a presidential assistant in the late 1970s, having long been convinced that the multinational character of the Russian empire was its Achilles' heel, I proposed a modest covert program designed to support the quest for independence by the non-Russian nations of the Soviet Union. In response, the State Department's leading expert on Soviet affairs persuaded the secretary of state that there was now in fact "a Soviet nation", a multiethnic mix much like America's, and that such an effort would be counterproductive. The program did go forward In Bzhezinski's opinion, this wrong concept of American administration was clearly expressed by President Bush who had made a speech in Kiev in August of 1991, that has become fatal for the Soviet republics who wanted independence. In his speech he said: "Freedom doesn't mean independence. Americans won't support those countries who want to gain independence only because to change tyranny with a local despotism. They won't help

those who are assisting the moral nationalism, based on ethnic hatred". Perhaps you are familiar with the Russian propagandist machine had been fighting against Georgian statehood for many years and even today, it tries to justify the August war and its outcome with the same ideology.

Unfortunately, the fact-that the State Department of the USA and president's advisers in 80-90s of the last century had "no knowledge" in Georgian history – to put it mildly-made a bad influence on the newly created Georgia and on its first president – Zviad Gamsakhurdia. But, in favour of us, the United States stated once more that unlike Russia it hadn't remained in the history and is the land of future. Fortunately whether unfortunately, today the experts of the State Department know Georgian history better than some officials of Georgian authority.

Maybe, some of you won't agree with me, but certain part of Georgian society remains in the past like Russia, the other part is trying to build the future by ignoring the past. The blessed Ilia said: "the present born from the past is the mother of future". According to this, I've remembered Hantington's opinion expressed in the book: "Who Are We?" in which he studies the issues concerning American's identity. Hantington explains, that if the Catholicism has been the basis for the development of modern American culture instead of Anglo-Protestantism-America would have been France, Brazil or Canada.

With the above-mentioned examples I wanted to show the fact, that studying America like the rest of the countries will help us to understand our past and present better and knowing our real history will enable the Americans to help us better in building our country's future.

It's true, that this year the American embassy in Georgia didn't help us in holding the conference through the State Department, but of course if the United States together with Europe didn't stop the tanks that were heading to Tbilisi, be sure we wouldn't be able to hold this conference.

I'm very happy that the 4th International Conference in American Studies was held and the tradition was continued.

I'd like to express my gratitude and deep respect for support and assistance to:

- All the participants of the conference, especially our guests from Tbilisi, Telavi, Batumi, who for the first time this year – were taking part in the conference with their own expenses.

- I want to thank the professors: Temur Kobakhidze, Vasil Kacharava, Helen Medzmariashvili and Tamar Shioshvili, who are the pioneers in the development of American Studies as an academic discipline and Vasil Kacharava and Helen Medzmariashvili as the initiators of organizing the first conferences in America Studies as well.

- Foreign colleagues, professors: Tyrus Miller, Christiane Von Reichert from the United States, Zina Gonsalez De Abru Maria from Portugal, Hans-Peter Rotenberg from Germany. Who have agreed to be the members of the editorial board of the conference's collection. Some of them had intended to come, but they have changed their minds due to the events taking place in August.

- The organization committee of the conference, the office of foreign relations and strategic development, American Studies Centre, the founders of John Dos Passos Georgian association for a faithful and perfect collaboration.

My special thanks I would like to extend to the Rector's Office and personally the Rector, Prof. Giorgi Oniani for the financial support of publishing this collection.

Assoc. Prof. **VAKHTANG AMAGLOBELI**
Director of ATSU American Studies Center,
Chair of John Dos Passos Association of Georgia

მისალმებები

GREETINGS

გულითადად მოგესალმებით, ძვირფასო კონფერენციის მონაწილეებო.

ჩვენთვის დიდი პატივია, რომ საერთაშორისო კონფერენცია ამერიკისმცოდნეობაში უკვე მეოთხედ იმართება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ეს უკვე ტრადიციაა. კარგი ტრადიცია. წელს ამ კონფერენციის ჩატარებას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. მჯერა, რომ ამ მიმართულებით პრობლემატიკის განხილვა იქნება ნაყოფიერი და შედეგი – მნიშვნელოვანი ამერიკისმცოდნეობის მომავლისათვის, სოლო საკითხების შესწავლა დაგვეხმარება დავძლიოთ პიროვნებისა და საზოგადოების პრობლემები და გაუღოთ კულტურული კონტაქტების კიდევ უფრო მჭიდრო ხიდი ქართველ და ამერიკელ ხალხს შორის.

როგორც ყველა წინა, ისე ამ კონფერენციის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი გახლავთ ბატონი ვახტანგ ამაღლობელი, რომლის შემართება, სულის სიმხნევე არის ჩვენთვის აღფრთოვანების საგანი და მისაბაძი მაგალითი. ბატონი ვახტანგის თანამოაზრეთა გუნდმა, კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტმა (ი. ცხვედიანი, ლ. გეგეჭკორი, ბ. არსენიძე, მ. დავითულიანი, ა. ხურციძე, ნ. ოღილავაძე ნ. ჯიქია და სხვა) ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მისი ფიზიკურად არყოფნა კონფერენციას ნაკლებად დატყობოდა.

ვუსურვებ ბატონ ვახტანგს მალე გამოჯანმრთელებას და ჩვეული შემართებით ჩვენთან დაბრუნებას, სოლო კონფერენციის მონაწილეებს – წარმატებებს კონფერენციის მუშაობაში.

პროფ. ნინო ჩიხლაძე
აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანი

It's an honor and a pleasure for me to greet the participants and attendee of the 4th International Conference on American Studies. It is already tradition, a good tradition. Holding the conference acquires special significance this year. I strongly believe that the conference will be fruitful and will contribute to further development of American Studies in future. I believe, it will also help us to establish even closer cultural links between Georgian and American nations.

The initiator and organizer of this conference, as well as of all the previous ones, is Mr. Vakhtang Amaglobeli whose unfailing efforts to facilitate the

development of the field rightly deserve admiration. A team of American studies scholars and the conference organizational committee (I. Tskhvediani, D. Gegechkori, B. Arsenidze, M. Davituliani, A. Khurtsidze, N. Odilavadze, N. Jikia) did their best to make Mr. Amaglobeli's absence less noticeable.

I wish Mr. Amaglobeli full recovery and the conference participants' success in their work during the conference.

Prof. **Nino Chikhladze,**
Dean of ATSU Faculty of Arts

ჩემთვის დიდი პატივი და სიხარულია მივესალმო აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე ამერიკისმცოდნეობის IV საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს. იმედია, ეს კონფერენცია კვალავაც გააგრძელებს ქუთაისელ ამერიკისმცოდნეთა სახელოვან ტრადიციას და კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფურცელს ჩაწერს ქართული მეცნიერების განვითარებაში.

ტრადიციულად ფართოდება აღნიშნული კონფერენციის დიაპაზონი, მასში მონაწილე მეცნიერთა რაოდენობა და ხარისხი. დარწმუნებული ვარ, მომავალშიც ასე გაგრძელდება.

დიდი მადლობა მინდა გადაეცეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას გულისხმიერი მასპინძლობისა და მხარდაჭერისათვის. ტრადიციულად ჩვენს გვერდით არის ამერიკის საელჩო და მისი მხარდაჭერა. ასე რომ უღრმესი მადლობა ამერიკელ დიპლომატებს.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ქუთაისიელ ამერიკანისტთა პატრიარქის ბატონ ვახტანგ ამაღლობელის ღვაწლი როგორ წინა, ასევე ამ კონფერენციის ორგანიზებაში. მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფობის გამო ბატონი ვახტანგი ვერ ესწრება კონფერენციის გახსნას, მისი ხელი და მადლი უხვად ატყვია დღევანდელ ზეიმს.

ქართველ მეცნიერთა მსგავსი ფორუმების წყალობით სულ უფრო იზრდება ქართული ამერიკისმცოდნეობის ხარისხი. იმედია, რომ ქართველი პროფესურა, რომლის ნაყოფიერი მუშაობის გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი ქვეყნის წინსვლა, კარგ სამსახურს გაუწევს არა მარტო წმინდა აკადემიური ცოდნის განვითარებას, არამედ სერიოზულად დაეხმარება ქართველ პოლიტიკოსებსა და ბიზნესმენებს, რომელთაც ესოდენ ესაჭიროებათ საფუძვლიანი და პროფესიული ცოდნა ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ.

ამავე დროს, თბილისსა და ქუთაისში ჩატარებული კონფერენციების შედეგად გამოქვეყნებული მრავალი საინტერესო სტატიით აღსავსე კრებულების შექმნის ფონზე, ალბათ, დადგა ჟამი, რომ გაცილებით მეტი ყურადღება დაეუთმოთ ფუნდამენტური მონოგრაფიების შექმნას. განვლილი წლების შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზე ჩვენს პროფესურას შესწევს ძალა ამ ხარისხობრივად ახალ ეტაპზე გადავიდეს, მით უმეტეს, რომ სულ უფრო ცხადი ხდება ჩვენი საზოგადოების დაკვეთა ამ მიმართებით.

ასოც. პროფ. ვასილ კაჭარავა
ამერიკის შესწავლის
საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტი

I'm very glad to greet with honor and respect the participants of IV International Conference in American Studies at Akaki Tsereteli State University. I hope, this conference will continue the renowned tradition of Kutaisi Americanists and will make a considerable contribution in the development of Georgian science.

The scope of the above-mentioned conference, and the quality and quantity of scientists taking part in it is traditionally expanding. I'm sure, this will be preserved in the future.

I want to express my gratitude to the managing staff of the university for the delicate hospitality and support. Traditionally, the American Embassy helps and supports us. So we are very grateful to American diplomats.

I'd like to mention the particular merit of Mr. Vakhtang Amaglobeli, who is the patriarch of Americanists living in Kutaisi in organizing previous as well as this conference. In spite of the fact, that Mr. Vakhtang isn't attending the opening of the conference due to his health problems-his mercy enormously effects today's conference.

Thanks to the similar forums of Georgian scientists, the degree of Georgian experts of American Studies is growing gradually. Without the productive work of Georgian professorship, we can't imagine the advance of our country and we hope, they will not only make a contribution in the development of a pure academic field, but they will seriously help Georgian politicians and businessmen, who need so much to have the thorough, sound and professional knowledge about the United States.

At the same time, as a result of the conferences held in Tbilisi and Kutaisi, many interesting articles were published in the collection and on their background; perhaps, the time has come for us to pay more attention to the creation of fundamental monographs. On the basis of experiences received as a result of the previous years, our professorship is capable to move to this completely new stage and it becomes more obvious that our society is heading towards this direction.

Assoc. Prof. **Vasil Kacharava**
President of Georgian Association for American Studies

ბილიკი საკაცობრიო ცხოვრების შუაგულისაკენ

ძვირფასო მეგობრებო,

მოგეხსენებათ, ყოველ წამოწყებას, ყოველ დაგვირგვინებულ საქმეს მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუკი ის ეროვნული კულტურის ნაწილია, სახელმწიფოებრივი თვითდაღგენა-განმტკიცების რწმენით შთაგონებული.

სხვაგვარად ვერასოდეს გაეცდებით ჩხირკედელაობას, რისი დროც სრულიად არ გაგვაჩნია ისეთ ქაოტურ სინამდვილეში, როგორშიც აღმოეჩენილვართ, და ბედისწერის ზარის რეკვაც მძაფრად ჩაგვესმის, ვაითუ ხელიდან გამოგეცალოს ამდენი სიმწრით ამოგებული სახელმწიფო.

ამ გზაზე ესეც ერთი აუცილებლობაა:

შორიდან კი არ აღვენო თვალი, არამედ უშუალო მონაწილე შეიქნე დასავლური საზოგადოებრივ-კულტურული პროცესების, რათა საბოლოოდ გავარღვიოთ რუსული გარემოცვა და შევიგრძნოთ თავი საკაცობრიო ცხოვრების შუაგულში მდგომად.

და გახარებს იმის შეგნება, რომ ამ გადასახედიდანაა გააზრებული ვახტანგ ამაღლობელის ჩანაფიქრი – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციათა ციკლი, სახელწოდებით „ამერიკული ლიტერატურა და ქართულ-ამერიკული ურთიერთობები“, თვალდათვალ რომ შეიქნა საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული სინამდვილის განუყოფელი ნაწილი.

ამერიკის შესწავლის ცენტრისა და ჯონ დოს პასოსის საქართველოს ასოციაციის თაეგამოდებით.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონდომებით.

ამ ქალაქს – თუნდაც ამ ერთსაუკუნოვან მონაკვეთში – ბევრი სასიკეთო რამ განუსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და ანგარიშგასაწევიც ხშირად ამიტომ ყოფილა.

ეს თავყრილობაც – ბუნებრივი გაგრძელებაა თაედაპირველი განზრახვისაც და ქუთათურთა ზოგადეროვნული სწრაფვისაც – მხოლოდ ასე შეიძლება შეფასდეს იმ მონაპოვარის მიხედვით, კრებულებად გამოცემულ სამეცნიერო ნარკვევებად რომ გამთლიანებულა და მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას წარუდგენ, როგორც ხელშესახებ ანარეკლს შენი სამშობლოს სულიერი მზაობისა.

ღღევანდელი ღღით, უკვე მეოთხე კონფერენციის გახსნით, ამ წამოწყებას კიდევ ერთი, უსათუოდ წარმატებული, კრებულიც შეემატება, საერთოდ კი ეს თავყრილობა კვლავაც შეახსენებს მტერსაც და მოკეთესაც, რომ როგორც 1924 წლის აგვისტომ ვერ გაგვტესა მორალურად, ისე ვერ გაგვტესს 2008 წლის აგვისტო.

გაუტეხელობა სხვა რა არის, თუ არა კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნება და გულის გადახსნა სიახლეთათვის, კულტურის თვითმყოფადობას კი ის სულიერება შეგვანარჩუნებინებს, აქ, ამ ღარბაზშიც რომ ტრიალებს.

პროფ. **როსტომ ჩხეიძე**
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქტორი

The Path towards the Midst of Mankind's Life

Dear Friends,

As you know, every beginning, every fulfilled thing is very important only in case, when it's the part of a national culture, inspired by the belief of self-establishing and consolidating the statehood.

If we think and behave differently, it will be the waste of time the result of which is the chaotic reality, in which we have already been. We hear the bell of fate ringing strongly in our ears that warns us about loosing our statehood which we have been building for so many years.

To do this, it's necessary:

Not to watch from a distance, but to take an active part in the social and cultural processes of the western countries in order to break through the Russian influence and feel ourselves to be in the midst of mankind's life.

And you are glad to be aware of how the intention of Vakhtang Amaglobeli is comprehended and interpreted through these views it's the cycle of the international scientific conferences "American Literature and Georgian-American Relationships", that has become the inseparable part of Georgian social and cultural reality.

By the initiative of American Studies Centre and John Dos Passos Association of Georgia.

By the will of Kutaisi Akaki Tsereteli State University.

This town-even in this one century period of time-has made a considerable contribution in the life of our country and that's why it was always considered

to be very important.

Gathering here means, that it's natural to continue the initial purpose and the national aspiration of Kutaisi population-this fact can be evaluated according to the achievement that was resulted in scientific works published as the collection and which can be presented to any country of the world as a sensible reflection of our motherland's spirit and soul.

Today, opening the fourth conference will promote to the creation of the new and certainly successful collection. In general, this meeting again reminds our enemies as well as our friends that we haven't been destroyed morally by the events taking place in August of 1924 and our souls won't be broken by the August of 2008.

We are proved to preserve our cultural independence and opened our hearts to the innovations. Cultural independence will be preserved only by the feeling that is running through this hall.

Prof. **Rostom Chkheidze**
The Editor-in-chief of the Journal
"Chveni Mtserloba"

Ladies and Gents, Dear Guests!

Let me greet you on behalf of the conference organizational committee. It is the fact to be welcome that Kutaisi State University is hosting the 4th International Conference on American Studies. There is one important thing that the 2nd, the 3rd and the 4th conferences have in common: they all include sections dedicated to the study of the key aspects in Georgian-US relations. I would not dwell here on the political significance of this kind of research especially in the context of current international political developments. Leave alone the political significance, the papers presented at these conferences and later published in the collections of conference essays made significant contribution to exploring Georgian-American relations. I believe it will hold true for this conference as well.

It should be noted that the papers to be presented at the conference cover a wide variety of topics and issues. Two sections exploring American variety of English, American literature, culture, arts, politics, economics, history, Georgian translations of American literary texts and, last but not least, Georgian-American relations will be working at the conference.

I would like to conclude by extending special thanks to the initiator and organizer of this conference, Mr. Vakhtang Amaglobeli and to the conference organizational committee; I would also like to say thank you to the university administration and personally to the rector, Prof. G. Oniani for financial and moral support. And finally, I'd like to express my gratitude to our guests and wish them interesting and pleasant work.

Prof. Irakli Tskhvediani,
Chair of ATSU Department of West European and
American Literature
Vice-president of Conference Organizational Committee

ბატონებო და ქალბატონებო, ძვირფასო სტუმრებო!

მოგესალმებით კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის სახელით. სასიამოვნო ფაქტია, რომ ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე მეოთხედ ტარდება ამერიკის შესწავლის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. II და III კონფერენციებს, ასევე წლევანდელ, IV კონფერენციასაც, ერთი მნიშვნელოვანი მომენტი აერთიანებს: ყველა მათგანის შემადგენელი ნაწილი იყო ქართულ-ამერიკული ურთიერთობების სხვადასხვა ას-

პექტის შესწაელა და წარმოჩენა. აქ დამსწრე საზოგადოებას ჩემზე უკეთ მოესსენება, თუ რაოდენ აქტუალური და მნიშვნელოვანია ეს დღევანდელი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით და ამ თემაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მსოლოდ აღვნიშნავ, რომ ზემოსსენებულ კონფერენციებზე წაკითხულმა და შემდგომ კონფერენციათა მასალების ამსახველ კრებულებში გამოქვეყნებულმა მოხსენებებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართულ-ამერიკულ ურთიერთობათა კვლევის საქმეში.

გამოიკვეთა ერთი ზოგადი ტენდენციაც: სულ უფრო და უფრო ფართოვდება კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებათა თემატიკის არეალი, ფართოვდება კვლევის დიაპაზონი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით წლეულისა, რიგით IV კონფერენცია გამოირჩევა: მართალია, კონფერენციის ფარგლებში მხოლოდ ორი სექცია იმუშავებს, მაგრამ ეს სექციები მოიცავს ენის, ლიტერატურის, კულტურის, ხელოვნების, თარგმანის, პოლიტიკის, ეკონომიკის, ისტორიისა და ქართულ-ამერიკულ ურთიერთობათა სფეროებს.

დაბოლოს, მინდა მადლობა ვუთხრა ამ კონფერენციების თაოსანსა და ორგანიზატორს, ბ-ნ ვასტანგ ამაღლობელს; კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტს, გუნდს, რომელიც წლების მანძილზე უანგაროდ ემსახურება ამ მეტად საჭირო საქმეს; უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და პირადად რექტორს, პროფ. გ. ონიანს ხელშეწყობისა და გაწეული ფინანსური მხარდაჭერისათვის. მადლობას მოვახსენებ ჩვენს სტუმრებსაც მობრძანებისათვის და ვუსურვებ მათ საინტერესო და ნაყოფიერ მუშაობას ამ სამი დღის მანძილზე.

პროფ. ირაკლი ცხვედიანი,
აწსუ დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურის
დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის
თავმჯდომარის მოადგილე

ამერიკული ლიტერატურა

AMERICAN LITERATURE

ირინე აბესაძე
შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს უნივერსიტეტის პროფესორი

ისტორია, როგორც კულტურის მამოძრავებელი ფაქტორი XX ს. ამერიკელ ნეო-ევოლუციონისტთა ნააზრევში

XIX-XXსს. მიჯნაზე მსოფლიო ეთნოლოგიასა და კულტუროლოგიაში ფეხი მოიკიდა თეორიამ, რომლის მისეღებითაც სხვადასხვა ცივილიზაციათა სულიერი განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად კულტურული ღირებულებანი იქნა აღიარებული. აღნიშნული, როგორც ცნობილია გულისხმობს, ერთის მხრივ, თავობიდან – თაობაზე მემკვიდრეობით გადასულ კულტურულ ღირებულებათა სიმტკიცეს ტრადიციის სახით, მეორეს მხრივ კი, კულტურის ელემენტების გეოგრაფიულ გადანაცვლებას, რომლის დროსაც მიმდინარეობს ერთი ქვეყნის კულტურულ ღირებულებათა შეღწევა სხვათა კულტურულ პლასტებში დიფუზიის სახით. აქედან, ვიღებთ ლოგიკურ დასკვნას, რომ ყოველი სალხის კულტურა არის არა მხოლოდ შინაგანი დამოუკიდებელი ისტორიული განვითარების შედეგი, არამედ, აგრეთვე, სხვათა კულტურული მონაპოვრების დიფუზიური გზით შეთვისების საყოფი. ორივე შემთხვევაში კი, განმსაზღვრელ ფაქტორად ისტორიზმის პრინციპი გვევლინება.

ამერიკული, კერძოდ კი, კოლუმბიის უნივერსიტეტის ნეო-ევოლუციონისტური სკოლის საუკეთესო წარმომადგენელი ლესლი უაიტი, თავის მიმდევრებთან ერთად, განუსრელად გაიზიარებს მსოფლიო ცივილიზაციური პროცესის აღმავალი გზის არსებობას, ევოლუციის გზით კულტურული ფორმების თანდათანობითი განვითარებისას, მარტივიდან – რთული ფორმებისაკენ, განვითარების დაბალი საფეხურიდან – მაღლისაკენ გადასვლის შეუქცევადობას. საკაცობრიო კულტურის განვითარების გზაზე ისტორიზმის გამჭოლი იდეის აღიარებით აღნიშნული ანთროპოლოგიური სკოლა, ოპტიმისტურ პერსპექტივას სახავდა, რითიც უპირისპირდებოდა XXს. დასაწყისში მიჩიგანის უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულ ნეო-ევოლუციონისტთა რადიკალურ ფრთას დევიდ ბრენტონის წინამძღოლობით. ამერიკელ ნეო-ევოლუციონისტ კულტუროლოგთა ამ ორ ფრთას შორის პოლემიკის საგანი ფსიქოლოგიური დეტერმინიზმის ფაქტორი გახდა, ბრენტონი, რომელიც აღიარებდა კაცობრიობის ფსიქიკური ერთობის არსებობას, მას მიაწერდა „ყველგან და ყოველ დროს“ არსებულ ცივილიზაციათა განვითარების პარალელიზმს, სხვადასხვა გეოგრაფიულ

განვლილზე მაცხოვრებელ ადამიანთა აზრების, მოქმედების მიზნების სრულ იდენტობას. მეცნიერის აზრით, მხოლოდ განსხვავებული გეოგრაფიული გარემო უცვლის სახეს ადამიანთა სელთქმნილ კულტურული ღირებულებების მონოტონურ იგივეობას. ამით კი მიჩიგანის უნივერსიტეტის ნეო-ევოლუციონისტთა ეს რადიკალური ჯგუფი უარყოფდა კულტურათა დიფუზიის შესაძლებლობას. აღნიშნულ პოლემიკას სიმძაფრე შესძინა XX ს. 50-იან წლებში ეთნოლოგმა მარშალ სალინსმა, რომელიც მოგვიანებით ჩიკაგოს უნივერსიტეტში ნეო-ევოლუციონისტთა კიდევ ერთ სკოლას ჩაუყრის საფუძველს. მდიდარ ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით, წყნარი ოკეანიის კუნძულების ფიჯისა და ალაპაგოს მოსახლეობაზე ჩატარებული დაკვირვებით მარშალ სალინსმა დაადგინა, რომ წყნარი ოკეანიის კუნძულების ეთნოკულტურულ განვითარებაში შეიმჩნეოდა ცალკეულ ეთნიკურ ერთობათა ე.წ. „სასიცოცხლო ერთიან საბთან" კულტურული აღაპტაციის ორგანიზებული პროცესი (Sahlins 2001).

როდესაც ცნობილი ქართველი მეცნიერის მისაკო წერეთლის ემიგრაციაში შექმნილ კულტუროლოგიურ ნაშრომს ეცნობით ე.წ. „ჯამცემი" და „მიმღები" კულტურების შესახებ, აშკარაა ევროპელ და ამერიკელ ნეო-ევოლუციონისტთა ნააზრევის გათავისებისა და მათი საინტერესო ინტერპრეტირების მცდელობა. ქართველი მეცნიერისათვისაც ცივილიზაციათა განვითარების ევოლუციურ გზაზე, მამოძრავებელ ფაქტორს სწორედ ისტორია წარმოადგენს.

მისაკო წერეთელს სწამდა, რომ არ არსებობდა მსოფლიოში არც ერთი რეგიონი, რომლის მაცხოვრებელთა ყოფიერების წესი გარკვეულ გაელენას არ ახდენდეს დანარჩენ მსოფლიოზე. მას მიაჩნდა, რომ სულიერი იზოლატები არ არსებობენ და ყველა ხალხი ჩაბმულია მსოფლიო ურთიერთობებში. მეტიც, ქართველი მეცნიერი პროგნოზსაც კი გვთავაზობს იმის შესახებ, რომ მომავალში პლანეტარულ ურთიერთობათა ისტორიიდან კოსმიურზე გადასვლის ხანა დადგებოდა. მეცნიერი იმაზეც წერდა, რომ სხვადასხვა ხალხთა კულტურები, მართალია ფორმით განსხვავებული არიან, მაგრამ მათ აქვთ საერთო ნიშნები. თუნდაც ის, რომ კულტურულ ფენომენებს წარმოადგენენ, რაც მათ საკაცობრიო ღირებულებებზეც მიუთითებსო. მეცნიერი იმასაც ადასტურებდა, რომ ნებისმიერი კულტურის შემქმნელი ბირთვი, რომელიც არსებობს ერში, როგორც რთულ სოციალური აგებულების ორგანიზმში, აუცილებლად ნაბავია, რადგან ნარევია თვით ერი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში შექმნილა და ერად ჩამოსხმულა ადამიანთა სხვადასხვა მოდგმათა შერევით და შეჯვარედინებით. მისაკო წერეთელს წამს აგრეთვე, რომ დროთა მსვლელობაში იქმნება ეროვნული ტიპი, ესეც ერთგვარი ჯიში, თავისი განსაკუთრებული

ფიზიკური და სულიერი თვისებებით, თავისი განსაკუთრებული ნიჭით კულტურის შემოქმედისა – იტყვის მიხაკო წერეთელი და ეს სიტყვები განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ღღეს, ოცდამეერთე საუკუნის პირველ ათწლეულში, როდესაც ამღენს საუბრობენ გლობალიზაციის დაღებით და უარყოფით მხარეებზე. თავის ვრცელ სტატიას, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში დაიწერა, თუმცა მოგვიანებით გამოქვეყნდა ემიგრანტულ ჟურნალ „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე 1952-1956 წლების ჩათვლით. აქტორი მეტად საგულისხმო სიტყვებით აშთაერებს:

„...ერში არსებული ჯიშია აგრეთვე, სხვა ერთა კულტურას რომ ითავისებს და გარდაქმნის ეროვნულად და შემდეგ სხვა ერთაც, თვით მათაც, ვისგანაც მას რაიმე შეუთვისებია, აძლევს მეტსაც, ვიდრე მათგან მიულია. სოლო ისეთნი ერნიც არიან, რომელნიც ვერც თვით ქმნიან თავისებურ კულტურას და სხვათ ვერაფერს მისცემენ ღირებულების მქონეს და ვერც სხვათაგან შეთვისებულს გარდაქმნიან ეროვნულად, ვერაკითარ პირობებში და ვერაკითარ გარემოცულობაში, რადგან მათ წიაღში არ მოიპოვება შემოქმედებითი ნიჭის მქონე ერი. საბედნიეროდ, რიცხვი ასეთ ერთა ძალიან მცირეა“ – ასკვნის მიხაკო წერეთელი და დასძენს: „ხოლო საუბედუროდ ენება მათგან მიყენებული ადამიანთა კულტურისათვის, სხვა, შემოქმედებითი ნიჭის მქონე ერთა განადგურებით, ხშირად დიდი ყოფილა, არის დღესაც და იქნება მუდამ“ (წერეთელი 1955). ასეთი დასკვნის საფუძველს მისაკო წერეთელს აძლევდა საკაცობრიო ისტორიის გაანალიზება, უძველესი ცივილიზაციებიდან – ვიდრე მის თანადროულ პერიოდამდე რეტროსპექციაში განხილვის შედეგად.

ქართველი მეცნიერის ეს მოსაზრებები გარკვეულწილად ესმიანება ამერიკელი ევოლუციონისტური სკოლის იმ მეთოდურ საფუძველს, რომელიც ითვალისწინებდა ძირითად ისტორიულ კატეგორიად „კულტურული წრეების“ არსებობას, რომლის მისედვითაც კაცობრიობის კულტურის ისტორია დაყვანილია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბებული რამდენიმე კულტურული კომპლექსისგან (კულტურული წრისგან), რომელთა ურთიერთმიმართებით სხვადასხვა გეოგრაფიულ მერიდიანებსა და განედებზე, გადაადგილების, ერთმანეთში მექანიკური შერევის და ერთმანეთზე „კულტურულ შრეებად“ დაფენის რთული პროცესები წარმოებს.

აღსანიშნავია, რომ XX ს. 30-იან წლებში, როგორც უკვე ითქვა, მიჩიგანის უნივერსიტეტში ძლიერი ანთროპოლოგიური სკოლა ჩამოყალიბდა. ამ სკოლის პროფესორთა მოსაზრებებს, მიუხედავად რადიკალიზმისა, ბევრი რამ აქვთ საერთო ე.წ. ევნის კულტუროლოგიურ-ეთნოლოგიური სკოლის საუკეთესო წარმომადგენელთა გრებნერის და შმიტის თეორიებთან

ე.წ. „კულტურული შრეების“ შესახებ, რომელთაც კარგად იცნობდა მიხაკო წერეთელიც, რაც გამოჩნდა კიდეც მის წერილებში. ამ მხრივ საინტერესოა, 1951 წელს მის მიერ ამერიკულ ზონაში, გერმანულ ენაზე გამოცემული სტატია „მცირე შენიშვნა ქართველთა წინაპართა საკითხისათვის“ (წერეთელი 1950). ეს იყო პასუხი ამავე წელს ამერიკულ ჟურნალში “OOST-PROBLEMES” გამოქვეყნებულ ქართველი მეცნიერების ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის სტატიაზე (სტატია, რომელიც ქართველთა გენეზისის საკითხებს ეხებოდა, დაიბეჭდა ჯერ ქართულად 1945 წელს, შემდეგ, იმავე წელს გადაიბეჭდა რუსულად გაზეთში «Правда»).

მიხაკო წერეთლის ამერიკულ გამოცემაში გერმანულ ენაზე დასტამბულ წერილში, აეტორი პოლემიკაში შედის ქართველ ისტორიკოსებთან. პოლემიკის საგანი კი, ამ ავტორთა მიერ, ხეთების და შუმერელების ქართველთა წინაპრებად დასახელება გახდა.

ცნობილი ასირიოლოგი, შუმერულ და ხეთურ კულტურათა სპეციალისტი მიხაკო წერეთელი, მისთვის ჩვეული კოლეგიალური ეთიკის დაცვით აცხადებს, რომ „უცსო და ქართველ მეცნიერთაგან ხშირად არის განმეორებული ეს აზრი, ხოლო ჩვენ ვგონებთ, რომ საფუძველი მისი მტკიცე არ არისო“. იგი კულტურული წრეების კონტექსტში, ზემოაღნიშნულ ისტორიულ ჭრილში განიხილავს ქართველთა წინაპრების საკამათო საკითხს და მკითხველს შემდეგ განზოგადებას სთავაზობს „...ერთი ხალხის ტომთა სახელების მსგავსება, თვით იგივეობაც კი, თუ ხშირად ფრიად მნიშვნელოვანია ამ ხალხების ნათესაობის დასამტკიცებლად, ხშირადვე უღიდეს შეცდომას ჩააღენინებს არაფრთხილ მკვლევარს, რომელიც მარტო სახელთა მსგავსებას და იგივეობასაც მეტ მნიშვნელობას მისცემს, ვიდრე მას ეკუთვნის“ (წერეთელი 1990).

მიხაკო წერეთელი კულტურის დიფუზიის გრებნერ-შმიტის კონცეფციის ანალოგიით, მხარს უბამდა მიჩიგანის უნივერსიტეტის კულტუროლოგთა და ეთნოლოგთა სკოლის მოსაზრებებს, თუმცა საკუთარი ინტერპრეტაციით. აღსანიშნავია, რომ პოლემიკაში ჩართულ ქართველ მეცნიერებს (ერთის მხრივ ს.ჯანაშიას და ნ.ბერძენიშვილს, მეორეს მხრივ უცხოეთში ემიგრირებულ მიხაკო წერეთელს) ერთმანეთთან იდეოლოგიური პლატფორმაც აშორებდა (თუმცა ერთმანეთისადმი კეთილგანწყობას ისინი ბოლომდე შეინარჩუნებენ), რადგან როგორც ცნობილია, ე.წ. „ვენის სკოლის“ ეთნოლუციონისტების და ამერიკელი ნეო-ევოლუციონისტების თეორიები საბჭოთა ანთროპოლოგების მიერ უკუგდებულ იქნა.

იმისათვის, რომ კარგად გაეერკვეთ ამ დაპირისპირების მიზეზებში, მოკლედ განვიხილოთ კულტურული კავშირების შესწავლის ის კრიტერიუმები, რომლებიც ევროპულმა კულტურულ-ისტორიული სკოლის ანთრო-

პოლოგებმა ჩამოაყალიბეს. ავსტრიელმა მეცნიერმა გრებნერმა მეოცე საუკუნის დასაწყისში ეთნოლოგებს უპირველეს ამოცანად დაუსახა, შეესწავლათ და ეკვლიათ დამწერლობის არმქონე სალხთა კულტურული კავშირები. მისი მტკიცებით, სადღაც სამხრეთ აზიაში მცხოვრები, მცირე ჯგუფებად დასახლებულნი, ერთმანეთისგან იზოლირებულნი ქმნიდნენ განსხვავებული კულტურული წრის შრეებს, ხოლო, როდესაც ევოლუციური განვითარების შედეგად მოგზაურობის საშუალებები (ტრანსპორტი) გაუმჯობესდა, კულტურული ცენტრების გაელენამ რადიაცია დაიწყო კომპლექსების გავრცელების სახით, როცა ორივე მათგანი ერთმანეთს შეხვდებოდა, ან ერთმანეთს შეერეოდა – დიფუზიას ქონდა ადგილი, ან შესაძლებელია, ერთ კომპლექსს გაენადგურებინა კიდეც მეორე.

კულტურულ ერთობლიობათა იდენტიფიკაციისათვის გრებნერი აუცილებლად მიიჩნევდა კულტურული შრეების შემსწავლელი ძირითადი და დამხმარე კრიტერიუმების გამოყოფას. ამასთან ძირითად კრიტერიუმებად მიიჩნეოდა ფორმის, თვისებისა და რაოდენობის კრიტერიუმები, ხოლო დამხმარედ კი უწყვეტობისა და ნათესაობის ხარისხის კრიტერიუმების განსაზღვრა. გრებნერ-შმიტის კონცეფციით, კულტუროლოგთა წინაშე მეორე რიგი მნიშვნელოვანი ამოცანაც იყო გადასაჭრელი. მას შემდეგ რაც დადგინდებოდა კულტურული კავშირების შემსწავლელი კრიტერიუმები, მეცნიერებს ე.წ. „კულტურულ ისტორიული მეთოდის გამოყენებით უნდა გამოეკვლიათ კულტურული წრეები, ისტორიზმის პრინციპის დაცვით, ანუ მათ შორის არსებული ქრონოლოგიური თანმიმდევრობის შესაბამისად. ქრონოლოგია კი შემდეგი წესების მიხედვით უნდა დადგენილიყო:“ ა) თუკი კულტურული კონტაქტის დროს ხანგრძლივობა მცირეა, მაშინ ორ კულტურულ რეგიონს შორის ხდება ზედაპირული, ვიწრო ზოლად დადებული სწრაფი, (მცირეხნოვანი) კავშირი; ბ) კულტურული ურთიერთობის დროს ხანგრძლივობა (სიღრმე) იწვევს ერთი კულტურის მიერ უცხო კულტურული ზონის ერცლად დაკავებას და იქ დიდი ხნით დარჩენას. ამ შემთხვევაში წარმოებს კულტურული შრეების ერთგვარი შერევა-დიფუზია, ერთი კულტურის მეორეზე ხანგრძლივად დაფენა.

ახლა განვიხილოთ, თუ როგორი ტრანსფორმაცია განიცადა ამერიკულ ნიადაგზე გრებნერ-შმიტის ამ ევროპულმა თეორიამ. ფრანც ბოასიმ, რომელიც მიჩიგანის სკოლის მნიშვნელოვანი ფიგურა იყო, დიფუზიონისტად წოდებულმა, მართალია სრულად გაიზიარა „ვენის სკოლის“ კონცეფციის დედაარსი, მაგრამ უარყოფითად შეაფასა კრიტერიუმების დამდგენი მეთოდოლოგია. „მე არ შემიძლია ვაღიარო, რომ გრებნერმა მოგვცა თუნდაც ერთი სანდო კრიტერიუმი, რომელიც ჩვენ შეგვეძლებინებდა გვეთქვა, რომ ყოველ მოცემულ შემთხვევაში კულტურული ელემენტის

გადაცემა შეიძლება დარწმუნებით დამტკიცდეს, დამოუკიდებელი წარმოშობის საპირისპიროდ“ (Cuper 2002). თუკი ფრანც ბოასი ასეთი მოგადი ხასიათის შენიშვნით დაკმაყოფილდა, მისმა მოწაფემ რიჩარდ ლოუსმა თავს იდო გრებნერის მიერ შემოთავაზებული კრიტერიუმების საფუძვლიანი კრიტიკული ანალიზი. მან კრიტერიუმების ობიექტურობისადმი ეჭვი გამოთქვა იმ მოტივით, რომ „ორ კულტურულ კომპლექსს შორის კულტურული ნათესაობის დადგენა არ გამორიცხავს სუბიექტურ ფაქტორს და რომ პირიქით, რაოდენობის კრიტერიუმი შეიძლება მოშველიებული იქნეს სწორედ სუბიექტურ მსგავსებათა დამტკიცების მიზნით“. ლოუ ყურადღებას იმ სიძნელეებზე ამახვილებს, რომლებიც დაკავშირებულია ეთნოლოგიური მოვლენების კლასიფიკაციასთან. ნარკვევში „ეთნოლოგიური თეორიის ისტორია“ იგი ყურადღებას იმ ფაქტზე ამახვილებს, რომ ფორმისა და რაოდენობის კრიტერიუმები „ვენის სკოლის“ წარმომადგენლებზე გაცილებით ადრე ჰქონდა გამოყენებული ცნობილ ინგლისელ ანთროპოლოგს ედ. ტაილორს თავის გამოკვლევებში ძველი აცტეკური თამაშის „პატოლის“ შესახებ. როგორც ვიცით, მან ეს თამაში, აზიის ტერიტორიაზე გავრცელებულ ანალოგიურ თამაშობებს შეადარა და მათ შორის მსგავსებათა მთელი წყება აღმოაჩინა, რამაც ამ პარალელებს შორის გენეტიკური კავშირი ეჭვს გარეშე დააყენა. აღნიშნულის საფუძველზე ტეილორმა იგარაუდა, რომ კოლუმბზე ადრე არსებობდა კომუნიკაცია აღმოსავლეთი აზიიდან წყნარი ოკეანის გადაღმა.

როგორც აღვნიშნეთ, მიჩიგანის უნივერსიტეტის ნეო-ევოლუციონისტთა სკოლის გარდა, კოლუმბიის უნივერსიტეტშიც ახალი ცენტრი არსებობდა, სადაც ნეო-ევოლუციონისტთა მთელი პლეადა მოღვაწეობდა ჯულიან სტიურტისა და ლესლი უაიტის ხელმძღვანელობით. კულტუროლოგების, ეთნოლოგებისა და ანთროპოლოგების დაჯგუფებას ქმნიდნენ მეცნიერები: მარვინ პარისი, სიდნეი მინცსი. როი რაპოპორტი და ერიკ ვოლფი, რომლებიც გარკვეულწილად დაუპირისპირდნენ ე.წ. მიჩიგანელ „ბოასიონისტებს“. მათ მალე შეუერთდა ახალგაზრდა, პერსპექტიული მეცნიერი ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები მარშალ სალინსი, რომელმაც კოლუმბიის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო სარისხი. ევროპელი ნეო-ევოლუციონისტებისაგან განსხვავებით, რომლებიც სამხრეთ აზიაში მცირე ჯგუფებად დასახლებულ, განვითარების პირველყოფილ სტადიაზე მყოფ კულტურებს სწავლობდნენ, ამერიკელი ნეო-ევოლუციონისტები თავიანთი იდეების ე.წ. „საცდელ პოლიგონად“ წყნარი ოკეანის კუნძულების მოსახლეობის ეთნოკულტურას განიხილავდნენ. ისინი ეთნოკულტურულ პროცესებს ისტორიულ პერსპექტივაში მიმოიხილავდნენ და საკმარისი წარმატებითაც, რადგან დღესაც სწორედ ამ რეგიონთან მიმართებით წარმოებს ამერიკელ

ანთროპოლოგ-კულტუროლოგთა ყურადღების ფოკუსირება.

1976 წელს მარშალ სალინსი კიდევ ერთ საინტერესო ნაშრომს აქვეყნებს სახელწოდებით "Culture and Practical Reason". აღნიშნულ ნაშრომში, რომელიც მან უკვე ჩიკაგოს უნივერსიტეტის კედლებში შექმნა წმინდა კულტუროლოგიური სასიათის ანთროპოლოგიური ძიებები აისახა, რაშიც დიდი წვლილი ითამაშა სალინსის მოგზაურობამ პარიზში, სადაც იგი უშუალოდ გაეცნო ფრანგული სტრუქტურული ანთროპოლოგიის სკოლას.

როგორც ცნობილია, ფრანგული სტრუქტურული ანთროპოლოგიური სკოლის მამამთავრად კლოდ ლევი-სტროსი ითვლება. ფრანგი ეთნოგრაფის, ესთეტიკოსისა და მუსიკოსის კლევი-სტროსის ინტერესები იმთავითვე დაუკავშირდა პირველყოფილ საზოგადოებრივ კულტურასა და შემეცნების საკითხებს. მითოსური აზროვნების კვლევისას ფრანგი მეცნიერი იმ ღასკვნამდე მივიდა, რომ პირველყოფილი საზოგადოების მითოლოგია, სრულიად დამოუკიდებელი, აეტონომიური ხასიათის წარმონაქმნია და მისი ამოხსნა შესაძლებელია მხოლოდ მის ხტრუქტურაში გარკვევით. ამერიკის, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის, ოკეანიის პირველყოფილ ხალხთა განვითარების მსგავსი სოციალური პირობები, მათი სახეითი ხელოვნებისა და მითოსური აზროვნების მსგავს სტრუქტურებს ქმნიან. ამ აზრის ღასადასტურებლად მეცნიერს მაგალითად, სახეითი ხელოვნებიდან ტატუირების და ნიღბების გამოსახულებათა სიმეტრიულობის პრინციპის დაცვა მოჰქონდა. ლევი-სტროსს მიაჩნდა, რომ მითოსური აზროვნების ფუნქციური დატვირთვა თანდათანობით თავის თავზე ხელოვნებამ აიღო, რომელიც მითოსს ჩაენაცვლა და ის სტრუქტურულ ბაზისს დაეყრდნო. მან ახალი შინაარსი შეიტანა მასში. მართალია, კ. ლევი-სტროსის სტრუქტურული ანთროპოლოგიის ზოგიერთი დებულება საკამათო გახდა კულტუროლოგებისათვის, მაგრამ მის მიერ დამუშავებული სტრუქტურული ანალიზის მეთოდები აქტუალური აღმოჩნდა შემდგომი პერიოდის მკვლევართათვის და მათ შორის ამერიკელი მარშალ სალინსისთვისაც, რომლის ზემოაღნიშნული თეორიული ხასიათის მანიფესტი „კულტურა და პრაქტიკული მოსაზრება" ფაქტობრივად, ფრანგული ანთროპოლოგიური სტრუქტურალიზმის ამერიკულ ნიადაგზე დამკვიდრების ცდას წარმოადგენდა. მატერიალისტი მ. სალინსი ამ ოპუსში კულტურას განიხილავდა, როგორც ბუნების რაციონალური გარდაქმნის იარაღს. მისი აზრით, საკაცობრიო ისტორიას შეეძლო განვითარების შემდეგი სტადიების თანმიმდევრულად გავლა: ა)ტექნოლოგიური დაწინაურების პერიოდი, ბ)საქონლის წარმოება-ბრუნვის ეკონომიკური ბაზისის შექმნის პერიოდი, გ)ნაყოფიერი პროდუქტულობის ეპოქა. ამით, სალინსმა საზოგადოების განვითარების ტეილორისეული კონცეფცია დაუკავშირა მისი უშუალო მასწავლებლის ლესლი უაიტის ნეო-ევო-

ლუციონისტურ მოძღვრებას. ზემოხსენებულ ნაშრომში სალინსი ცდილობს კულტურის სიმბოლისტურ გაგებას, ისე, როგორც ეს მითოსურ აზროვნებას ახასიათებდა. რითიც იგი, ლევი-სტროსის სტრუქტურალიზმს დაესესხა.

ამრიგად, როგორც ეხედავთ ამერიკული ნეო-ევოლუციონისტური სკოლა, ევროპული ევოლუციონისტური და სტრუქტურალისტური ანთროპოლოგიის საფუძველზე ჩამოყალიბდა, რომელთათვისაც საკაცობრიო ისტორია კულტურის ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორი გახლდათ. შემთხვევითი არ არის ჩვენს მიერ, აღნიშნულ კონტექსტში ქართველი მოაზროვნის და მეცნიერის მიხაკო წერეთლის ცნობილი კულტუროლოგიური ნაშრომის მოხსენიება, რადგან უდაოა, რომ ისეთი ფართო ერუდიციის მქონე პიროვნებას, როგორც მ.წერეთელი გახლდათ კარგად უნდა სცოდნოდა (განსაკუთრებით ემიგრაციაში ყოფნისას) მსოფლიო ისტორიკოს- ეთნოლოგების, ანთროპოლოგ-კულტუროლოგთა წიაღში მიმდინარე ცხარე პოლემიკა კულტურული ევოლუციის საკითხებთან დაკავშირებით. ამ ასპექტით არ შემიძლია არ აღვნიშნო, ჯერ კიდევ სამშობლოში ყოფნის წლებში მის მიერ "Batoni"-ს ფსევდონიმით 1906 წელს გამოცემული ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი, რარიტეტული პატარა წიგნაკი, სახელწოდებით „კანონი. სოციოლოგიური ეტიუდი" (წერეთელი 1906), რომელშიც მიხაკო წერეთელი უკვე იმ საკითხთა სპექტრისადმი ინტერესს ავლენს, რომელნიც მოგვიანებით ევროპული და ამერიკული სოციოლოგიური სკოლების კამათის საგანი შეიქმნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Cuper Adam,Culture, the anthropologists Account. N-Y, 2002.
2. Sahlins Marshall, History as culture. N-Y, 2001.
3. Batoni (მიხაკო წერეთელი), კანონი, სოციოლოგიური ეტიუდი, ტფილისი, 1906.
4. წერეთელი მიხაკო, „მიმცემი" და „მიმღები", „ბედი ქართლისა", 1955, № 19.
5. წერეთელი მიხაკო, მცირე შენიშვნა ქართველთა წინაპართა საკითხისათვის, „ბედი ქართლისა", 1950, № 10.
6. წერეთელი მიხაკო, ერი და კაცობრიობა, თბ., 1990.

IRINE ABESADZE
Shota Rustaveli State University of
Theatre and Films, Professor

SUMMARY

THE IIISTORY AS ADVANCED FACTOR OF CULTURE IN TIIE VIEW-POINT OF AMERICAN NEO-EVOLUTIONISTS OF XX CENTURY

From the end of XIX century up to the beginning of XX century in Ethnology and Culturelogy was rooted the theory, which declared that cultural diffusion is the main factor of the development of various civilization.

This means on one side the constant resistance of cultural values and traditions and on the other side the replacing of cultural elements from one point in another, which assistance the diffusion of cultural values into various cultural zones. This makes us to come to the conclusion, that the culture of each population is not only result of inside independently historical development, but the product of diffusion of cultural heritage. In both case the general factor is the principle of historical development.

The article is also about the theoretical issues of Georgian scientist Mikhako Tsereteli.

ირმა ბაგრატიონი
ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

უილიამ დე კუნინგი – ამერიკელი აბსტრაქტული ექსპრესიონისტი ჰოლანდიიდან

„ცნობილი ამერიკელი აბსტრაქტული ექსპრესიონისტის უილიამ დე-კუნინგის ფერწერული ტილო „ქალი ნომერი 3“ (1953) აუქციონზე გაიყიდა 137,5 მილიონ დოლარად და მეორე ადგილის ერთპიროვნული მფლობელი გახდა მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებულ ნახატთა ტრიადაში [I ადგილი – ჯექსონ პოლოკი, „ნომერი 5“ (1948), 140 მლნ. დოლარი; III ადგილი – გუსტავ კლიმტი, „ადელი ბლოხბაუერის პორტრეტი“ (1907), 135 მლნ. დოლარი, – საბვასმა ჩემია, ი. ბ.]‘, – იუწყება 2007 წლის 27 ნოემბრის გაზეთი “The New York Times” და ასახელებს აღნიშნული კომერციული გარიგების მონაწილეებს: „გამყიდველი – ცნობილი კინოპროდიუსერი და თვალსაჩინო კოლექციონერი დევიდ ჰეფენი, მყიდველი – მექსიკელი ფინანსისტი და ხელოვნების ამბიციური კოლექციონერი დევიდ მარტინესი, გაყიდვის ოფიციალური აქტის გამფორმებელი – “Christie’s” სააუქციონო სახლის მთავარი სპეციალისტი ტობიას მეიერი“.

თანამედროვე არტ-ბაზარზე “Woman Number 3”-ის ასეთი რეკორდული ფასით გამოჩენა თუმცაღა განსაცვიფრებელია, მაგრამ არა ახსნას მოკლებული. საქმე ის გახლავთ, რომ ამერიკულ სინამდვილეში აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი მეტად ძვირფასი და თვალსაჩინო ეროვნული საკუთრებაა, უილიამ დე კუნინგი – ამ მიმართულების ყველაზე საინტერესო, ორიგინალური, ნაყოფიერი და სანგრძლივად მოღვაწე მსატვარი, “Woman №3” კი – მის ხელოვნებაში უნიკალური ტექნიკით განხორციელებული ე. წ. „ჟესტის ფერწერის“ [“gesture painting”] კლასიკური ნიმუში.

ახლა კი უფრო დაწვრილებით განვიხილოთ, თუ რატომ დაიმსახურა კუნინგისეულმა შემოქმედებითმა მემკვიდრეობამ ასეთი მიმზიდველი შეფასება. შეიძლება ითქვას, რომ უილიამ დე კუნინგი (1904-1997) სიცოცხლეშივე გახდა XX საუკუნის მოდერნიზმის კლასიკური განსხორციელება. იგი დაიბადა ნიდერლანდურ როტერდამში, სადაც შესანიშნავი ტრადიციული და პროფესიული სახელოვნებო განათლება მიიღო: ჯერ კიდევ 8 წლის ასაკში მხატვარ-დეკორატორთა სკოლის წარჩინებული მოწაფე გახდა; პარალელურად პრაქტიკანტად დაუდგა მსხვილი საავჭრო არტ-ფირმის მფლობელებს იანა და იაპ ჰიდინგებს; მათი ხელშეწყობით 1916 წელს გამომსახველობით ხელოვნებათა აკადემიაში საღამოს განყოფილების მსმე-

ნელად ჩაირიცხა, საღაც გულმოდგინედ სწავლობდა რეა წლის მანძილზე. მხატვარ-ხელოსნის დიპლომის აღების შემდეგ, დე კუნინგმა აქტიურად დაიწყო ფიქრი ხელოვნების სამყაროში საკუთარი ადგილის დამკვიდრებაზე. ვფიქრობთ, სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა 1926 წელს მისი არალეგალური ვიზიტი ამერიკის კონტინენტზე; და, თუმცა, მისი მოლოდინი მხოლოდ ის იყო, რომ გამხდარიყო ერთი ჩვეულებრივი კომერციული ილუსტრატორი, ამ ნაბიჯმა იგი საბოლოოდ არაჩვეულებრივ პოლანდიელად აქცია დიდი ამერიკელის სახელით.

საგულისხმოა, რომ პობოკენში, ნიუ-ჯერსის ერთ პატარა რაიონში დასახლებულმა დე კუნინგმა, მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ არ იცოდა ინგლისური ენა, თავისი ნიჭიერების წყალობით იოლად მოასერხა შტატიანი მხატვრის სამუშაო ადგილის პოვნა სარეკლამო სააგენტოში. აქ გაიცნო მან არშილ გორკი [1904-1948], „აბსტრაქტული სიურეალიზმის“ ერთ-ერთი დამაარსებელი, რომელთანაც მეგობრობამაც იგი სამუდამოდ დააკავშირა ნიუ-იორკის შემოქმედებით სტილთან.

„ვერ გამიგია, თანამედროვე ფერწერის პრობლემები რატომაც არ შეიძლება გადაწყდეს აქ ისევე, როგორც სადმე სხვაგან“ / უილიამ დე-კუნინგი /

ამერიკის ამ რაიონს ხშირად ნიუ-იორკის მონმარტს უწოდებენ. და, მართლაც, არც არქიტექტურა, არც თავად ცხოვრება აქ არ იძლევა დიდი ქალაქისათვის ჩვეული სტილისა და რიტმის განცდას: ვიწრო, მისვეულ-მოსვეული შესახვევები საესეა ახალგაზრდებითა და ცნობისმოყვარე სტუდენტებით... მრავალრიცხოვანი კაფე-რესტორნები დაჟინებით გვპატიჟებიან თავისკენ ღია კარებით... ერთმანეთს კეთილსმოვნებაში ეჯიბრებიან ქუჩის მუსიკოსები... მცირეოდენი საფასურის სანაცვლოდ მხატვრები უსწრაფესად დასატაცებენ თქვენს პორტრეტს ან თქვენს მიერ მოწონებული ქალაქის ხედებს... მყუდრო კლუბებში შეგიძლიათ მოუსმინოთ სახელგანთქმულ ჯაზმენებს, ზოგიერთგან კი — თავადაც დაუკრათ ან იმღეროთ მათთან ერთად... და ასე მთელი დღე-ღამე შეუსვენებლივ... — ასეთი გახლავთ გარეგნულად ისტორიული გრინვიჩ-ვილიჯის ესთეტიკური სამყარო. მთელი ამ მხატვრული საოცრების დასაწყისია კლუბი „ცეგარი“ და იქვე შორიახლოს ჰანს ჰოფმანის ფერწერის სკოლა, სადაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ენთუზიაზმით იკრიბოდნენ ევროპიდან ემიგრირებული და ამერიკელი ახალგაზრდა მხატვრები, აწყობდნენ ავანგარდისტულ გამოფენებს და თავიანთ შემოქმედებით აქტიურობას აფიქსირებდნენ ფერწერაში ახალი მიმართულების შექმნით, რომელიც აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის სახელით გახდა ცნობილი.

როგორც ცნობილია, აბსტრაქტული ექსპრესიონისტები უარს ამბობენ

ფერწერაში რეალური ობიექტების ასახვაზე. მათ სურთ ყურადღების კონცენტრაცია დაფიქსირდეს სივრცისა და ფერის ინსტინქტურ ორგანიზაციაზე, ტილოს შექმნის პროცესში განსორციელებული ფიზიკური მოქმედების ეფექტის გადმოცემაზე. აბსტრაქტულ ექსპრესიონიზმში, როგორც უსაგნო ფერწერაში, მთავარი აქცენტი კეთდება ფერწერულ ველაპირზე თავისთავად, ის განიხილება როგორც საშთა და ფერად ლაქათა ურთიერთმოქმედების არენა. ამაღე დროს, შემოქმედებით აქტში წამყვანი ხდება თავად საწარმოების შექმნის პროცესი როგორც თვითმიზანი. ამიტომაც ეწოდა მას „მოქმედების ფერწერა“ (Abrams 1973: 67).

„მოქმედების ფერწერის“ ტექნიკით მუშაობდა თავის სასელოსნოში უილიამ დე კუნინგიც. იგი განზრახ გაურბოდა ტილოზე შესრულების დამთავრებულობის განცდის გამოხატვას, ფერებით წერდა წინასწარ დაკონკრეტებული ჩანაფიქრის გარეშე ისე, თითქოს სელი თავისთავად ქმნიდა სასურველ მხატვრულ სასეს, და სურათის დახატვის აქტიც თავისებურ პერფორმანსად იქცეოდა ხოლმე. მის ტილოებზე, ბნელი ლაქების ქაოსში, რომელთა შორის სანდახან გამოანათებს ხოლმე რაღაც ფიგურატიულობის მსგავსი, უაზრობაა ვეძებოთ რეალური სახეები ბრუკლინის ბრბოდან ან მანპეტენის არეულ-დარეულობიდან. მისი მონასმებით შექმნილ ხატოვან დომხალში ან აბდაუბდაში შეიძლება ამოვიცნოთ მსოლოდ ერთი – სელოვანის შინაგანი მონოტონური კენესა, რომელიც არც ერთი წამით არ წყდება.

წმინდა პეიზაჟურ ან ურბანისტულ მოტივებზე მუშაობის დროსაც დე კუნინგი მთლიანად კონცენტრირდება მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ შინაგან სამყაროზე, სუბიექტურ განცდებზე. ანუ, მხატვრულ ტილოზე ფიქსირდება არა მშვენიერი ან უგვანო ურბანისტული სტიქია მთელი თავისი აურზაურით: ვიტრინებით, მანქანებით, მანეკენებით, კაბარეებითა და რესტორნებით, არამედ ყოველივე ამის ფონზე გაჩენილი და დამკვიდრებული გრძნობები. თუ როგორ გარდაიქმნება დე-კუნინგთან პეიზაჟური შტრიხები თითქმის სრულ უსაგნობამდე, ნათლად ადასტურებს „ცისკრის ვარდისფერი თითები ლუზ-პოინტში“ (1963). სურათი აშკარად ცდილობს დეტალურად აღწეროს ფერებში ამომავალი მზის სიხასხასე და მისი სხივების სინაზით გაცისკროვნებული ვარდისფერი ლანდშაფტი (ეს სანახაობა უნებურად გვახსენებს მზის ამოსელის ჰომეროსისეულ აღწერას „ვარდისფერთითებით“:

„მზე ჩაესვენა და წყვდიადი ჩამოწვა ღამის.
ძილს მისცეს თავი მღვაოსნებმა გემის სადგომთან...“
შემდეგ კი:
„ღამე ვარდისფერთითებიან ეოსს გაეპო,
ზურგქარი ვერცხლისმშვილდოსანმა თან მიაღევნა...“ (ჰომეროსი 1979:

ქება I, სტროფი 475), პომეროსთან ეოსი – ცისკრის ქალღმერთი გრძელი ოქროსფერ-ტალღოვანი თმებით მოსილი, ვარდისფერტანიანი, „ვარდისფერთითება“ ეპითეტით არის შემკული); მარცხენა ზედა კუთხეში სურეილისამებრ შეგვიძლია დავინახოთ დიდ სანაპიროზე მოლიელიე ბღვის ტალღები, ხაზები კი, რომელებიც ვარდისფერ ნაწილებს გამოყოფს თეთრისგან, – ეს შესაძლოა იყოს მინდორი ან მესერი, ან კიდევ პატარა საგუბარი; ერთი სიტყვით, – თითქოსდა მთელი ფიზიკური რეალობაა წარმოდგენილი ლაკონიური სახით. არადა, სტიქიურ-იმპულსური თვითგამოხატვის, წმინდა გამომხატველობის ძიების, ფორმისა და ფერის ყველა შესაძლებლობის გათვალისწინებით სამღვილად არ ღირს ასე გამოწველილვით გაეაანალიზოთ აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის ფერწერული ტილო. რამეთუ პროზაული განაზრებანი იმის შესახებ, რომ ფერად სიბრტყეთა ესა თუ ის კომბინაცია შეიძლება იყოს მინდორი ან ტყის მასივი, წარმოსახულ რეალობას ფერთა ფანტაზიის სასიამოვნო აღქმიდან ტოპოგრაფიული აღწერის წარუმატებელ მცდელობად გადააქცევს. ასე რომ, ტილოს მთელი ესთეტიკური ღირებულება იმაშია – წარმოვიდგინოთ როგორი განცდებით მოძრაობდა ფერმწერის ფუნჯი ჩვენთვის რომ სამყაროს სილამაზით ტკბობით განცხრომის შეგრძნება შეექმნა. ეს გასლავთ ხელოვანის წამიერი სულიერი მდგომარეობის სურათი, რომელიც მეამბოხე აბსტრაქციების ანალიტიკას საბოლოოდ ერთადერთი მარტივი კითხვით შემოსაზღვრავს – „გასაგებია კი ხელოვანის ემოციები მაყურებლისთვის?!“

საგულისხმოა, რომ უსაგნო ფერწერაში, ყოფიერების უნივერსალურ თვისებათა გამოელენის მიზნით, სამყაროს აბსტრაქტული წვდომის განზრახვის მიღმა ობიექტის შემთხვევითი მხარეების განყენების მოთხოვნა იმალება. აბსტრაჰირებული ცნობიერება წმინდა ფორმებისა და ფერების სტიქიაში გაქცევით ხშირად შოკში აგდებს პუბლიკას. შეუძლებელია გულგრილი დამაჯერებლობით მივიღოთ უილიამ დე კუნინგის „ვიზიტი“ (1966-67) – შედევრი, რომელიც მთელი სიცხადით ანადგურებს ჩვენს ყველა გრძნობად მოლოდინს. კომპოზიცია აკინძულია დამახინჯებული, თითქოსდა სურათის სივრცობრიეი საზღვრებიდან გამოვარღნის მისწრაფებით სავსე ვარდისფერი სხეულის ფიგურათა მრავალგვარი გამოსახულებით; თავის მხრივ, ფიგურები ამ შემთხვევისთვის ტიპიური, ძლივს შესამჩნევად მოხაზულ კუთხეთა და ზედაპირთა ფრაგმენტების ეკლექტიკური ნაერთია. მეტისმეტი პრიმიტიულობით უნდა ჩავთვალოთ, რომ ნახატი მოგვაგონებს რომელიღაც თითქმის უკვე დანაწევრებულ გატყავებულ ცოცხალ არსებას, რამდენადაც სურათზე ვარდისფერი ხორცია ბლომად. მაგრამ არ უნდა დავგვიწყდეს, რომ დე-კუნინგი ამ დროისთვის უკვე ხატავდა მსხვილ ვარდისფერ ქალებს და ეს ტილოც ამ სერიას მიეკუთვნება. ბუნებრივია, ჩნდება

კითხვა: შეიძლება, რომ ამ ენებიან და შემზარავსაც კი სურათს ეწოდოს შედევრი? — უთუოდ, რამეთუ არც თუ ხშირად გამოსდის მხატვარს ასეთი სიმძლავრით გააცამტვეროს რეციპიენტის ესთეტიკური სამყარო.

აღსანიშნავია, რომ დე კუნინგი დიდხანს ამბობდა უარს გამოეფინა თავისი ნამუშევრები. როდესაც 1948 წელს, ბოლოსდაბოლოს, შედგა მისი პირველი პერსონალური გამოფენა ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, მან აქ წარმოადგინა რთული, ნერვული შავ-თეთრი აბსტრაქტული კომპოზიციები. ამით მათი ავტორი გაიხსნა როგორც დიდებული მხატვარი-მოღერნისტი, ხოლო მისი სახელი გაუიგივდა „აბსტრაქტულ ექსპრესიონიზმს“, ამერიკული ფერწერის ცენტრალურ მოვლენას. სულ ცოტა ხანში, 1950 წელს, სპეციალურად ვენეციის ბიენალესთვის დაწერილი აბსტრაქტული კომპოზიციის — „თხრილი“ (ან „ორმო“) — წყალობით, რომლითაც შემოიტანა ფერთა იმპულსური ჩქაფები, დე-კუნინგმა მოისვეჭა მსოფლიო აღიარება და ერთ-ერთი „დიდი ამერიკელი გახდა“ (Waldman 1988: 103).

ამ პერიოდში დე კუნინგის ინდივიდუალურ სტილისტურ მიმართულებაში ჩამოყალიბდა განცალკევებული ფიგურის მოტივი, რომელიც თავისებურ ფერწერულ ტრტემად გადაიქცა. ეს იყო ნახევარაფიგურატიული და ნახევარაღრეალისტური აბსტრაქციები, რომლებიც შეადგენდნენ „ქალების“ დიდ სერიას. აქ ცალკეული აბსტრაქტული ბიომორფული ფორმები, რომლებშეც მხატვარი მუშაობდა წინა ათწლეულში, სრულიად უსისტემოდ შეერივდა ქალის ფიგურებში. გიგანტურ ტილოებზე გამოსახულია უზარმაზარი, დამახინჯებული, სურათის სიერცის საბერვებიდან გასვლის მძაფრი სურვილით შეპყრობილი ქალური ფერადოვანი ფიგურები. ყველა მათგანი სავსეა კუნინგის აბსტრაქტული კომპოზიციებისთვის ტიპიური ძლივს მოსაზღული კუთხეებისა და ზედაპირების ფრაგმენტებით. ცნობილი ფაქტია, რომ დე-კუნინგს ეშინოდა თურმე ქალების და სძულდა კიდეც ისინი. შესაბამისად, ქალის მისეულ მხატვრულ მოცემულობაში მსხვილი, ენერგიული, „დარტყმითი“ წანაცხების ქაოსისაგან ჩნდება ნეეროსთენულ მამაკაცურ კომპლექსთა მძვინვარე გადამეტება და აგრესია საპირისპირო სქესის საბაბით (Brown and Abrams 1979: 64).

1963 წლიდან დე-კუნინგი ცხოვრობდა ისტ-ჰემპტონში, ლონგ-აილენდზე. იგი განაგრძობდა „ქალების“ სერიას, თუმცა სულ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ნონფიგურატიულ ტექნიკას, ფერის სრულ თავისუფლებას. რამდენადაც აბსტრაქტულ ექსპრესიონისტულ ცნობიერებაში რეალურ საგანთა გამოხატვა ახშობს ფერის საკუთრივ ესთეტიკურ ღერადობას, ამდენად, დე-კუნინგის აზრით, აუცილებელია ფერწერა „გაიწმინდოს“ ბუნებრივი და საგნობრივი ფორმებისგან, გახდეს იგი დენადი, მოძრავი, მუსიკალუ-

რი; ფერმა უნდა გამოხატოს სულის ყველაზე ფაქიზი ნიუანსები, რაციონალისტურად მოუხელთებელი ყოფიერების საზღვრები. შესაბამისად, იქმნება, ირაციონალური სამყაროს ლირიზმით სავსე, ფერადი ლაქებისა და ნახვეულებისაგან კაშმული თავისუფალი რიტმული კომპოზიციები. შემოქმედებითი ექსპერიმენტების შედეგად აბსტრაქტული ექსპრესიონისტის შეფასება ფერს განიხილავს როგორც ემოციათა მდიდარი სპექტრის გამოხატულებას, დროისა და სივრცის გარეშე არსებულს. ასე მკვიდრდება ახალი, საგნობრიობის მბრძანებლობისგან განთავისუფლების განცდის სიმბოლურად გამომხატველი სილამაზე.

საყურადღებოა, რომ 90 წლის ასაკში დე-კუნინგს და მის მხატვრულ მემკვიდრეობას გულთბილად უმასპინძლა ვაშინგტონის ეროვნულმა გალერეამ. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 77 ფერწერული ტილო. გამოფენა ხელოვნების ისტორიაში დაფიქსირდა როგორც უკანასკნელი ცოცხლად დარჩენილი აბსტრაქტული ექსპრესიონისტის ყველაზე დიდი და წარმომადგენლობითი ექსპოზიცია.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ დე-კუნინგი საკმაოდ ახალგაზრდა ასაკში გახდა უმაღლესი ამერიკული სამოქალაქო ჯილდოს – თავისუფლების მედლის მფლობელი, რომელიც მას პირადად გაღასცა აშშ-ს 36-ე პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა 1964 წელს (Чегодаев 1975: 86).

მიუხედავად იმისა, რომ დე-კუნინგი თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ქრონიკული ალკოჰოლისტი იყო, ხანში შესული ის მტკიცედ იკავებდა თავს ალკოჰოლისგან. სამაგიეროდ, მოხუცებულობის ჟამს მას გონების ხანმოკლე დაკარგვა სტანჯავდა, რაც ალცჰეიმერის დაავადებას უკავშირდებოდა. საბედნიეროდ, ავადმყოფობა არანაირად არ აისახა მის შემოქმედებაზე და ის ბოლომდე დარჩა თავისი თაობის ყველაზე ნაყოფიერ შემოქმედად.

უილიამ დე-კუნინგი გარდაიცვალა ნიუ-იორკში 1997 წელს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. "Action Painting: The Heroic Generation" // American Art of the 20th Century, by Sam Hunter and John Jacobus, Harry N. Abrams, Inc., Publishers, New York, 1973.
2. "Abstract Expressionism: The Heroic Generation" // American Art , by Milton W. Brown, Harry N. Abrams, Inc., Publishers, New York, 1979.
3. Diane Waldman, "Willem de Kooning", Harry N. Abrams, Inc., Publishers, New York, 1988.
4. Чегодаев А. Д., Искусство Соединённых Штатов Америки. 1675 – 1975. Живопись, архитектура, скульптура, графика., М., 1975.
5. ჰომეროსი, ილიადა. თბილისი, 1979.

IRMA BAGRATIONI
Batumi Independent University Assoc. Prof.

SUMMARY

WILLEM DE KOONING – AN AMERICAN ABSTRACT EXPRESSIONIST FROM HOLLAND

The present paper deals with the most important details of the famous and destinguished representative of Abstract Expressionism of american avant-garde art – Willem De-Kooning's creative life, interesting newances Museum of Modern Art, New-York City of his unique painting technique, the facts depicting his evaluation of 21st century art auction field's painting heritage.

The paper tells that De-Kooning – a painter from the Netherlands – in 1926 emigrated to the USA. In 1948 on his first personal exhibition [the Museum of Modern Art, New-York City] in his represented paintings he absolutely denied any connections with subjective reality, he wanted to depict his state only with colours. He is best known for a provocative series of paintings of woman, whose aggressive forms are rendered with dripping paint. Of all the abstract expressionists De-Kooning worked the longest and was the most prolific.

The paper emphasises that De-Kooning painting world as an abstract expressionist phenomena doesn't depend on theoretical platform but it's mainly the realization of intuitional search for colour perfection. Colour here isn't only the means of soul self expression but also the basic means of expressing aesthetic relation towards the universe. Thus De-Kooning creative method is subjectless painting without concrete plots and figures with unlimitedly simplified forms, not suggesting colour to symbolic or allegoric idea.

The paper underlines, that interest toward De-Kooning didn't diminish even after his death [died of Alzheimer's disease], on the contrary: a few months ago in Christie's auction house De-Kooning painting canvas "Woman III" was sold for 137,5 million dollars and became one of the most expensive painting in the world.

მანანა გელაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ქრისტიანული მითის როლი ფოლკნერის რომანში „ხმაური და მძვინვარება“

ვირჯინიის უნივერსიტეტში სტუდენტების შეკითხვაზე, რომელიც „ხმაურისა და მძვინვარების“ სიმბოლიკას შეეხებოდა, ფოლკნერმა უპასუხა, რომ ბენჯის ასაკი, ისევე როგორც რომანის ნაწილების დათარიღება წინასწარ გამიზნული სიმბოლო არ ყოფილა და მხოლოდ და მხოლოდ თხრობის საშუალებას, ხერხს, იარაღს წარმოადგენს. ფოლკნერმა მაგალითიც კი მოიშველია, რომ ეს ყველაფერი ავტორისთვის ისეთივე იარაღია, როგორც, ვთქვათ, დურგლისთვის, რომელიც საქათმის აშენებას აპირებს და სელთ არსებულ ხელსაწყოებიდან იმას შეარჩევს, რომელიც ყველაზე უკეთ გამოადგება. ასე, რომ თუ ფოლკნერს დაეჯერებთ რომანის სამი ნაწილის ენების კვირით დათარიღება, ბენჯის ასაკი, თვეები, რომლის დაჭერასაც მეთვეზეები ცდილობენ და რომლის გადარჩენასაც ქვენტინი ნატრობს და კიდევ არაერთი მხატვრული სახე, სიმბოლო, ბიბლიური ალუზია მხოლოდ და მხოლოდ თხრობის საშუალებაა.

თუმც იგივე ფოლკნერი იმასაც ამბობს, რომ იმას თუ რაზე და როგორ წერს მწერალი მისი კულტურული მემკვიდრეობა განსაზღვრავსო და იმასაც დასძენს, რომ ქრისტიანული ლეგენდა ნებისმიერი ქრისტიანული კულტურის განუყოფელი ნაწილია, განსაკუთრებით კი „სამხრეთელი სოფლელი ბიჭისთვის“. სამხრეთელი სოფლელი ბიჭი, რაღა თქმა უნდა, თვითონვეა და ის მინიშნებებიც, რომელთა მიფუჩჩებასაც ასე ცდილობს ავტორი სტუდენტებთან საუბარში, „ხმაურსა და მძვინვარების“ ტექსტში ობიექტურად არსებობს და, თუნდაც არ გინდოდეს, მაინც გხვდება თვალში: მაგალითად, თუნდაც ბენჯის სასელი, ასაკი, ანდა ნაწარმოების ნაწილთა დათარიღება იკმარებდა, სადაც სამი თარიღი ენების კვირის უმთავრესი დღეებია: წითელი პარასკევი, შაბათი და აღდგომის კვირა. რაიმე განსაკუთრებული კვლევა და ძიებაც არ უნდა, გაუწაფავი მკითხველიც კი უსათუოდ შეანჩნევს ისე გამომწვევად და თვალშისაცემად ძევს ზედაპირზე... ფოლკნერი კი ჯიუტად იმეორებს, მხოლოდ და მხოლოდ ხერხია, იარაღიაო... არავითარი ენების კვირის სიმბოლიკა გამიზნულად არ ჩამიფიქრებიაო.

იქნებ არც ტყუის...

თუმც, რაოდენ გააზრებული და გამიზნული ან ინტუიტიური და გაუაზ-

რებელი შეიძლება იყოს ავტორის მიერ ნაწარმოების ასაგებად გამოყენებული ხერხები, ნაწარმოების ანალიზისათვის არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. რადგან, სწორედ ის, თუ რა ხერხებს იყენებს ავტორი სათხრობის გადმოსაცემად (მით უმეტეს, როცა საქმე გვაქვს ისეთ მწერალთან, როგორიც ფოლკნერია, რომელთანაც ფორმა ყოველთვის ნიშნადია), აქცევს ნაწარმოებს ესთეტურ მოვლენად და მხატერულ ტექსტს სხვა ტიპის ტექსტისაგან განასხვავებს.

ფოლკნერის თითქმის ყველა რომანი შეიცავს ბიბლიურ ალუზიებს, მაგრამ „ხმაური და მძვინვარება“ გამორჩეულია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ფოლკნერის რომანებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით არის გამოყენებული ამგვარი მინიშნებები (ჯესი კოფიმ, რომელმაც საგულდაგულოდ აღნუსხა ყველა ბიბლიური ალუზია ფოლკნერის რამდენიმე რომანში, „ხმაურსა და მძვინვარებაში“ 50-ზე მეტს მიაკელია (Coffee 1971), არამედ იმიტომაც, რომ ქრისტიანული მითი რომანში წაროგვიდგება, როგორც ის უზოგადესი პარადიგმა, რომელიც რომანის აზრობრივ და ფორმალურ გამთლიანებას ემსახურება, ანუ ნაწარმოების მითოსურ ფორმას განსაზღვრავს.

მითოსური მეთოდის როლი მოდერნისტულ ლიტერატურაში საკმაოდ კარგად არის შესწავლილი ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. საკმარისია ვახსენოთ თ. კობახიძის ნაშრომები ელიოტზე (კობახიძე 1991) და ი. ცხვედიანის მონოგრაფია „ულისეს“ მითოპოეტიკაზე (ცხვედიანი 2006).

მითის, როგორც იარაღის, როგორც ფორმის მიმცემი უზოგადესი სქემის გამოყენებით ფოლკნერი იგივე ტენდენციას ამეღავნებს, რომელიც სხვა მოდერნისტებისათვის, კერძოდ ჯოისის, პაუნდის და ელიოტისთვისაც ორგანულია. ეს სახელები შემთხვევით არ მიხსენებია: ცნობილია, პირველმა სწორედ პაუნდმა შენიშნა ჯოისის „ულისეში“ მითოსის, როგორც „ფორმის მოწერსრიგების საშუალების“ ფუნქცია, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ თავის ცნობილ ესეში „ულისე: მითისა და წესრიგის ძიება“ მოდერნისტული ლიტერატურის ერთერთ თავისებურებად ნარატიული მეთოდის მითოსურით ჩანაცვლება მიიჩნია.

ქრისტიანული მითი გარდაცვალება-მკვდრეთით აღდგომის რიტუალურ-მითოსური სქემის, ანუ მონომითის ერთერთ ხორცშესხმას წარმოადგენს. ამასთანავე კაცობრიობის ისტორიაში იგი ყველაზე დიდი გავლენისა და ღირებულების კულტურული მემკვიდრეობაა და ამიტომ ფოლკნერისათვის, ისევე როგორც ბევრი სხვა მოდერნისტისათვის ერთერთ უმნიშვნელოვანეს პარადიგმას წარმოადგენს, რომელიც ნაწარმოების ერთერთ შიდა შრეს წარმოადგენს და ამით კონკრეტულ ისტორიას უნივერსალურობასა და ბედროულობას ანიჭებს. ცნობილი მკვლევარის ჯ. ფრენკის

სიტყვები რომ მოვიშველიოთ, მოდერნისტი მწერლების შემოქმედებაში ისტორიული დროის აღგილს, რომელსაც კაცობრიობა რენესანსის ეპოქიდან მოყოლებული ასეთ მნიშველელობას ანიჭებდა, მითოსური დრო იკავებს და ისტორიის ღიაქრონულ აღქმას სიმულტანური ცვლის. ამიტომ მოდერნისტულ ნაწარმოებში „წარსული და აწმყო ზედროულ სიერცედ წარმოგდეიდგება, რომელშიც გარკვეული ეპოქის მოქმედებები და მოვლენები მარადიული არქეტიპების ხორცშესხმას წარმოადგენენ“ (Frank 1948).

ქრისტიანული მითის შესწავლისათვის რომანში „ხმაური და მძვინვარება“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია IV ნაწილი. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ნაწილი აღდგომა დღეს მოიცავს, არამედ იმიტომაც, რომ ამ მონაკვეთში თავს იყრის ყველა ის თემა, ბიბლიური ალუზია, მინიშნება, რომელმაც დანარჩენ სამ ნაწილში გაიკვლერა.

აღდგომის დღის აღწერა ნაცრისფერი გარიკრაკით იწყება. წვიმას ახლახანს გადაუღია, მაგრამ მზე ძლივს ჩანს. ფოლკნერის მიერ დასატული სამყარო პირქუში და ცივია, თითქოს გაზაფხულმა მას გვერდი აუარა და დაავიწყდა (არა და კალენდარზე რვა აპრილია). განთიადი და გაზაფხული, რაც ჩვეულებრივ განახლება/აღდგომას უნდა უკავშირდებოდეს, ამგვარ განწყობას სრულიადაც არ უქმნის მკითხველს. პირიქით, იგი თავისი უიმედობითა და სიმკაცრით ელიოტის „უნაყოფო მიწის“ ასოციაციას უფრო იწვევს.

ლეგენდარული სამხრეთი, რომლის დაკარგვასაც ასე ტრაგიკულად განიცდის ფოლკნერის თითქმის ყველა მაძიებელი გმირი (ამ ნაწარმოებში ასეთი გმირი კვენტინ კომპსონია), დაკარგულ სამოთხეს შეიძლება დაეკავშიროთ, რომლის კონტრასტსაც ის დაცემული და ღმერთდაკარგული „უნაყოფო მიწა“ წარმოადგენს, სადაც ნაწარმოების გმირები ცხოვრობენ და მოქმედებენ. ნიშანდობლივია, რომ გარემო, რომელსაც IV ნაწილში აღწერს ფოლკნერი, ძალიან გავს რომანის II ნაწილში კვენტინის თვალით დანახულს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ფოლკნერის მიზანი ის კი არა არის, რომ ბუნების რეალისტური სურათი შექმნას (ამ შემთხვევაში IV ნაწილში აღწერილი ღრმა სამხრეთის პეიზაჟი და II ნაწილში აღწერილი ჰარვარდის გარეუბანი ერთმანეთის მსგავსი ვერ იქნებოდა), არამედ გარემოს აღწერაც ცენტრალურ თემასა და მიზანს დაუმორჩილოს.

სწორედ ამგვარ პირქუშ ფონზეა წარმოდგენილი სააღდგომო წირვა, რომელიც მკვლევართა შორის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციისა და კამათის ობიექტს წარმოადგენს. ერთი ნაწილი მას ქრისტიანული რწმენის აპოთეოზად მიიჩნევს, რომელიც დამსწრეთა სულებს გარდაქმნის და აამაღლებს. ამ დროს მქადაგებლის ხმა, თითქოს ღვთის სიტყვის გაკეთრებად იქცევა, ხოლო თავად მქადაგებელი – იარაღად ღმერთის ხელში.

ფოლკნერი საგანგებოდ უსვამს ხაზს ამ ხმის იმპერსონალურობას და მის უდიდეს ზეგავლენას მრევლზე:

"And the congregation seemed to watch with its eyes while the voice consumed him, until he was nothing and they were nothing and there was not even a voice but instead their hearts were speaking to one another in chanting manners beyond need for words".

ეს ქადაგება, მართლაც ახერხებს მცირე ხნით მაინც გააერთიანოს მრევლი და რომანში პერსონაჟთა შორის არსებული გაუცხოება წამიერად მაინც ქრება და მის ადგილს ურთიერთგაგება და სიყვარული იკავებს.

საადღეგომო ქადაგება მხოლოდ ამიტომ არ არის მნიშვნელოვანი. მასში გაიყღერებს ყველა ის თემა, რომელიც ლაიტმოტივად გასდევს ნაწარმოებს. ასეთია გარდაცვალებისა და მკვდრეთით აღდგომის თემა, რომელსაც, კვერნტინ კომპსონის ცნობიერების ნაკადში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მასთან მჭიდრო კავშირშია სიკვდილის, როგორც მსხვერპლშეწირვის თემა. კვენტინის წარმოსახვით დიალოგში მამასთან კარგად ჩანს, რომ სიკვდილი მსხვერპლშეწირვად არის გაგებული და სხვების ცოდვების ტვირთებას ემსახურება, რაც სულიერი განახლების საწყისს უნდა წარმოადგენდეს. (ამიტომ თავის ცნობილ ესეში „დრო ფოლკნერის რომანში „ხმაური და მძვინვარება" კვენტინის თვითმკვლელობას სარტრი მსხვერპლშეწირვას უწოდებს).

ამავე ქადაგებაში დიდი ადგილი ეთმობა ბავშვის უმანკოებას, უცოდველობას და ამით მის სიახლოვეს ღვთაებრივთან. ეს კი ნაწარმოებში ბენჯისთან ასოცირდება, რომელსაც 33 წლის ასაკშიც კი პატარა ბავშვის გონება და, რაც მთავარია, მისი გულუბრყვილობა შერჩა. ჩარლზ პიტი ვარაუდობს, რომ ფოლკნერი, რომელიც ყოველ სიტყვას დიდი გულისხმიერებით წონიდა, შემხვეევით არ უსვამს ხაზს ბენჯის თვალების ფერს და მას ცისფერსა და ღიღილოსფერს უწოდებს. პიტის ინტერპრეტაციით, ორივე სიტყვა არა მხოლოდ ფერს გულისხმობს, არამედ ასოციაციურად სიწმინდესაც უკავშირდება, რადგან ღიღილოს ერთერთ სახელს Innocence (უცოდველობა) წარმოადგენს (Peavy).

საადღეგომო ქადაგებაში ქრისტე ჯვარცმული უმანკოების პარადიგმად წარმოგვიდგება. ხოლო მთელი რიტუალი ხაზს უსვამს ამ პარადიგმის ტრაგიზმს თანამედროვე სამყაროში ამავე წირვაზე დამსწრე ბენჯის სახით.

მეოთხე ნაწილი პირველი სამისაგან ფორმალური თვალსაზრისითაც გამოირჩევა. ცნობილია, რომ „ხმაურის და მძვინვარების" ოთხ ნაწილად დაყოფის მრავალგვარი ინტერპრეტაცია არსებობს. მას აანალიზებენ, როგორც ცნობიერების სხვადასხვა დონეების გამოვლინებას, სიმფონიის ოთხ ნაწილს და სხვ. ამგვარ ინტერპრეტაციათა სიმრავლე მხოლოდ ნაწარ-

მოების მრავალნიშნადობაზე მიუთითებს და ერთმანეთს კი არ გამორიცხავს, არამედ ავსებს. ეფიქრობთ, რომ წიგნის ოთხ ნაწილად დაყოფა სახარების ოთხ წიგნსაც შეიძლება დავუკავშიროთ: ორიენ შემთხვევაში ოთხი განსხვავებული მთხრობელი სხვადასხვა კუთხით დანახულ ერთსა და იმავე ისტორიას ყვება და ამათგან პირველი სამი მონათხრობი მეტ-ნაკლებად წააგავს და ავსებს ერთმანეთს, მეოთხე კი უფრო განზოგადებულ სურათს ხატავს, საღაც სედეის პერსპექტივა მომხდარიდან გარკვეულ დისტანციას იცავს და ამდენად უფრო სრული და ყოველისმომცველია.

მართალა „სმაურსა და მძვინვარებაში“ ნაწარმოების პირველი სამი ნაწილის სუბიექტურ თხრობას, რომელიც, ბუნებრივია, უკიდურესად ცალმხრივ, მხოლოდ ერთი მთხრობელის თვალთახედვის კუთხიდან დანახულ და დანაწევრებულ, ფრაგმენტულ სურათს იძლევა, მეოთხე ნაწილში განზე მდგომი მთხრობელის მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული ნარატივი ცელის. ფორმა კი ფოლკნერთან ყოველთვის სიშნადი და ინფორმატიულია. ამიტომ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ დანაწევრებულ, ეგოისტურ, „სმაურითა და მძვინვარებით“ სავსე სამყაროში, რომელსაც პირველ სამ ნაწილში ხატავს ფოლკნერი, ბოლოსდაბოლოს გამოჩნდა ჯარმოსია თუ არა, რაღაც იმედისა და სინათლის სხივის მაგვარი თუნდაც ღილსის დაუვიწყარი იმედიანი მხატვრული სახით.

თუმცა, მხოლოდ პოზიტიური მხარის შემჩნევა და მასზე აქცენტირება ნაწარმოების ცალმხრივად წარმოდგენა იქნებოდა. რადგან, მეორე მხრივ, შეუძლებელია ვერ შევნიშნოთ, თუ რაოდენ გროტესკულია მამა შეგოგის ფიგურა., რომელიც ფოლკნერის სიტყვებით „ბებერ მაიმუნს“, „ჯუჯას“ წააგავს. რამაც ალბათ იმაზე უნდა დაგვაფიქროს, თუ რამდენად მართებულია სააღდგომო წირვის ცალსახად პოზიტიური ინტერპრეტაცია.

იგივე შეიძლება ითქვას ღილზის სახეზეც. წირვის მომენტში, მითი და რეალობა ერთმანეთს იმდენად ღრმად ერწყმის, რომ როგორც ფოლკნერის შემოქმედების ცნობილმა მკვლევარმა ა. ბლეიკასტენმა შენიშნა: „უსხოვარ წარსულზე პროეცირებული ბენჯისა და ღილსის ფიგურები ქრისტესა და ღვთისმშობლის არქეტიპულ ფიგურებად წარმოგვიდგებიან“ (Bleikasten 1976). (მიუხედავად იმისა, რომ მოსაზრება საკმაოდ მისაღებია, შეუძლებელია ვერ შევნიშნოთ, რომ ფოლკნერის მიერ დახატული ღვთისმშობლისა და ქრისტეს სახეებიც ისეთივე ამბივალენტურია, როგორც მქადაგებლის).

აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ სააღდგომო წირვის პარალელურად, მის ერთგვარ კონტრაპუნქტს ჯეისონის მიერ საკუთარი დისწულის დენსა წარმოადგენს. ფოლკნერი ამ ორი მოქმედების ერთდროულობას საგანგებოდ უსვამს ხაზს: ზარების რეკვის ხმა, რომელიც ჯეისონის სახლიდან გამოსვლისას ისმის, მთელი მისი მოძრაობის მანძილზე გარკვეული რიტ-

მით მეორდება. ხოლო პარალელული მოქმედებების მონტაჟი, რომელიც ფოლკნერის ერთერთ საყვარელ ხერხს წარმოადგენს, არა მხოლოდ კონტრასტის შექმნას ემსახურება (ერთი მხრივ, წირვაზე მშვიდად მიმავალი ბანუები და, მეორე მხრივ, რელიგიური ღვთისმსახურების ტრაგედიური კარნავალის სახით, სადაც ჯეისონი, თავქუდმოგლეჯილი დაეძებს სასლიდან გაქცეულ ქვენტინსა და მის კაცალერს), არამედ პაროდირებასაც: ჯეისონის „ენებანი" მისი ვითომ „გარდაცვალებით" მთავრდება. ანუ თანამედროვე ღმერთდაკარგული და შემაძრწუნებლად პრაგმატული პერსონაჟის ამბავი ენების კვირისა და გარდაცვალების გროტესკულ პაროდირებას შეიცავს.

ამ შემთხვევაში, ქრისტიანული მითის ფუნქციას კონტრასტის შექმნა და პაროდირება წარმოადგენს, რითაც იგი ერთერთ წასნაგს წარმოქმნის ნაწარმოების მრავალნიშნად სისტემაში.

ამრიგად ქრისტიანული მითი ფოლკნერისათვის იმ ტრადიციას წარმოადგენს, რომლის უძირო სიღრმეებში დავანებული სიბრძნე, ხატები, სიუჟეტები, სიმბოლიკა, ფოლკნერისავე სიტყვებით, იმ იარაღს წარმოადგენს, რომლითაც მისი ნაწარმოებები აიგება. ამიტომ მითი, ერთი მხრივ, ნაწარმოების ფორმალური, სტრუქტურული ელემენტია, რომელიც ელიოტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ფორმასა და შინაარსს აძლევს ამაოებისა და ანარქიის იმ უზარმაზარ პანორამას, რომელსაც თანამედროვე ისტორია წარმოადგენს". ამასთანავე ქრისტიანული მითი, რომანის მრავალნიშნადობასაც განაპირობებს. მთლიანობაში კი ვიღებთ ნაწარმოების სუგესტურ ტექსტს, რომლის ცალსახა ინტერპრეტაცია შეუძლებელია და შესწავლის ერთადერთ გზად იმ მსატვრულ სახეთა მრავალნიშნადობისა და ამბივალენტურობის წარმოჩენა შეიძლება იყოს, რაც მთლიანობაში რომანის რთულ და მრავალწასნაგოვან ქსოვილს წარმოქმნის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კობახიძე თ., გ.ს. ელიოტი: პოეზია და მითოსი. თბილისი, 1991.
2. ცხვედიანი ი., „ულისეს" მითოპოეტიკა. ქუთაისი, 2006.
3. Coffee J. M., Faulkner's Un Christ like Christians. Biblical Allusions in the Novels. N.Y., 1971.
4. Frank J., Spatial Form in Modern Literature. Criticism. Foundations of Modern Literary Judgment. Ed by M. Schorer. New York, 1948.
5. Peavy Charles D., The Eyes of Innocence: Faulkner's "The Kingdom of God". www.usask.ca/english/faulkner/
6. Bleikasten A., The Most Splendid Failure: Faulkner's *The Sound and the Fury*. Indiana University Press, 1976.

MANANA GELASHVILI
Tbilisi Ivane Javakhishvili State University, Assoc. Prof.

SUMMARY

CHRISTIAN MYTH IN FAULKNER'S *THE SOUND AND THE FURY*

Faulkner's novels are heavily indebted to the Christian tradition. For him as for many other modernists the Christian myth was one of the most important paradigms, or in other words in his use of Christian myth Faulkner falls in with the main stream of modernists /Eliot, Joyce, Pound/.

Although Faulkner himself denied the existence of any special symbolism of the Passion Week in the novel, referring to the Christian myth as a 'tool', but his extensive use of this 'tool' proves its crucial importance. The analysis of the novel shows that the Christian myth serves as an ever-present paradigm, an ordering scheme which enables the author to present his story on the background of eternity.

Besides being the structural element of the novel Christian myth is one of the major themes of *The Sound and the Fury*. Although there is no coherent system of religious values in the novel the existence of God does not seem doubtful and in this novel (as throughout his entire career) Faulkner explores the human quest for God.

The article explores the function of various Christian allusions and symbols which greatly contribute to the complexity of the text.

მირიან ებანოიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

ეზრა პაუნდის „ჩინური პოეზია“

ეზრა პაუნდი – ამერიკელი პოეტი, მთარგმნელი, კრიტიკოსი, რედაქტორი, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა ინგლისურ და ამერიკულ ლიტერატურაში. მასზე საუბრისას ელიოტი დანტესეულ ფორმულირებას იმეორებს: “il miglior fabbro” (უფრო სრულყოფილ მსატვარს, ვიდრე მე), კარლ სენდბერგი კი ჯერ კიდევ 1916 წელს წერდა პაუნდის შესახებ: „დღესდღეობით მცსოვრებთაგან მან ყველაზე მეტი გააკეთა, რათა პოეზიისადმი ასალი სწრაფვა გაეღვივებინა“.

ახალგაზრდობაში დავალებული იყო დანტე გაბრიელ როსეტისაგან და პრერაფაელიტებისაგან, რაზეც მეტყველებს პაუნდ-კრიტიკოსის პირველი გამოცდილება – The Spirit of Romance (1910) – წიგნი, რომელიც ევროპული კულტურის საწყისი ეტაპისადმი მის ენებიან ინტერესზე გვიქმნის წარმოდგენას (რომაული ლიტერატურის სული). 1908 წელს პაუნდი დაფუძნდა ლონდონში და დაიწყო უპრეცედენტო მოღვაწეობა ლიტერატურის სამსახურში. ეგზოტიკური გრძნობის სიჭარბით თარგმნის ძველი იტალიური და პროვანსალური პოეზიიდან და მათი მიბაძვით ქმნის ლექსებს, ბეჭდავს ანგლოსაქსონური ეპიკური პოემის – „მოხეტიალე მეზღვაურის“ შესავალს, ასევე ჩინური ლექსების ბრწყინვალე ციკლს. ისინი ამერიკელი აღმოსავლეთმცოდნის – ე. ფენელოზას არქივიდან აქვს საკუთრად ბწკარედის სახით. ლონდონში წარმოადგენს ჟურნალ „პოეთრის“, (რომელიც ჩიკაგოში გამოიცემა) და „ლითლ რევიუს“ (რომელიც ნიუ-იორკში გამოდის).

პაუნდის ცხოერების შემაჯამებელი შრომა – “Cantos” – დაიწყო 1917 წელს, გამოდიოდა შესვენებით 1925-დან 1970-მდე და დაუმთავრებელი დარჩა. ეს ვრცელი „ისტორიის დოზით პოემა“ შეიცავს პერიოდებს უძველესი დროიდან საბერძნეთისა და ჩინეთის თანამედროვეობამდე და წარმოადგენს კაცობრიობის გამოცდილების და ჭეშმარიტი ფასეულობების შეჯამებას, ამ მიზნით იყენებს თარგმანს, პარაფრაზს, დაპირისპირებულ მოტივებს და ზუსტ ჩანასატებს. თემები, რომლებიც თავიდანვე ჩნდება, ეხება ძველ საბერძნეთს და რომს, პროვანსს, გაძევებულ გმირის იდეას, მითებსა და მეტამორფოზებს, შემდეგ შემოდის მოტივები, რომელთაც აღორძინების ეპოქასთან აქვთ კავშირი და ჩინეთის ისტორია, ლეოპოლდ II-ის რეფორმები ტოსკანაში (18 ს.) და ჯ. ადამსის ბიოგრაფია.

ახალი რენესანსის მოციქულს (პაუნდი ასე უწოდებდა თავის თავს)

სჯეროდა, რომ ჩვენს საუკუნეში ათენი კელაე შეხედება იერუსალიმს, თუკი ამ რეაქციაში კატალიზატორის როლს აღმოსაელეთი შეასრულებს. ამ საქმეში პოეზიას ისტორიული მაშტაბი გააჩნია. ლექსები უტოპიის ამამოძრავებელია. მათშია „მიწიერი სამოთხის“ გასაღები შიფრი, რისიც გულწრფელად წამს პაუნდს და რომელსაც კი არ აღწერს, არამედ ახორციელებს ახალი კაცობრიობის ეპოსში – „კანტოებში“. პაუნდის მისედვით, პოეტი „რასის ანტენაა“. ის პირველი იჭერს მომავალის ენერგეტიკულ იმპულსებს და გადასცემს ყველას. ბედის გზაენილი რომ მივიღოთ, პოეტებმა უნდა „გაწმინდონ ტომის დიალექტი“ (ტ.ს. ელიოტი). თეურგიული და XX საუკუნის შესაფერისი გეგმა უნდა დაიწყოს „ყოფიერების სახლის“ (ჰაიდეგერი) – ენის გარდაქმნით.

ამ საქმეში პაუნდს მისი წინამორბედის შრომა დაეხმარა. ეს იყო აღმოსაელეთმცოდნე ერნესტ ფენელოზა, რომლის არქიეიც 1913 წელს პოეტს გადასცა მეცნიერის ქერიემა. აღმოსაელური ხელოვნების მხურვალე მოყვარულმა ფენელოზამ ჩამოაყალიბა ერთიანი სამყაროს პოეტური და გეოპოლიტიკური კონცეფცია, რომელიც უნდა დაბადებულიყო „აღმოსაელეთისა და დასაელეთის შეჯვარებით“ აღმოსაელური „ესთეტიკური ინსტიქტისა და სულიერი ჭვრეტის გამოცდილების“ გაერთიანებაში. ეს კავშირი გვპირდებოდა პროგრესისა და რელიგიის, სულისა და სხეულის, სიმდიდრისა და სილამაზის, აგრესიულ-მამაკაცური და მიმღებ-ქალური საწყისის სინთეზს. ფენელოზა ოცნებობდა რენესანსზე, რომელსაც შეეძლო ეხსნა დასაელეთი კულტურის დაცემისაგან, ხოლო აღმოსაელეთი – ციეილიზაციის დაცემისაგან. იაპონია და ჩინეთი იყო მისთვის ახალი საბერძნეთი და რომი. მას სწამდა, რომ დასაელეთს შეეძლო აღორძინების ეპოქის მსგავსად მიეღო საკუთარ თავში დავიწყებული და უცნობი სიმდიდრე განსხვავებული კულტურისა, რაც მსოფლიოს მიიყვანდა ახალ რენესანსამდე.

პაუნდი სიკვდილამდე არ განშორებია ფენელოზას ქაღალდებს, მათგან ამოიღო ნოს თეატრის პიესათა კრებული, კონფუცის გამონათქვამები, ჩინური კლასიკური პოეზიის – „კატაის“, ამონარიდები, რაც მთავარია ტრაქტატი – „ჩინური იეროგლიფები, როგორც პოეტური წყარო“, რომელსაც პრინსტონის პოეზიის ენციკლოპედიამ უწოდა „მე-20 საუკუნის უმნიშვნელოვანესი ars poetica“. მასში ფენელოზა ამტკიცებს, რომ ჩინური ენა არაცნობიერად აკეთებს იმას, რისკენაც ცნობიერად მიისწრაფვის ყველა პოეტი: უბრუნებს საგნებს მათ ესთეტიკურ ბუნებას – სიცოცხლესა და სილამაზეს. იეროგლიფები ხილულ ეტიმოლოგიად აყალიბებენ ჩინურ ენას. გამჭირვალე გრაფიკულ ფორმაში სიტყვა ინარჩუნებს და ინახავს მეხსიერებას თავის წარმოშობაზე. თითოეული იეროგლიფი საუკუნეებში გაყინული მეტაფორაა.

ჩინური ლეგენდა იეროგლიფების გამოგონებას ყვითელი იმპერატორის სწაელულ მისისტრს მიაწერს. ბრძენმა ისინი ცხოველთა და ფრინველთა თათების ანაბეჭდი ნაკეალევების მისედვით შეადგინა. ეადმოცემა ხაზს უსვამს: იეროგლიფი საგნის კეალია და არა მისი ნიშანი; მისი პირობითობა შეზღუდულია – ნაკვალეეი ხომ გამოგონილი რამ არის. იეროგლიფი – ბუნების ანაბეჭდია კულტურაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ ის ორივე მათგანს ეკუთვნის, ინარჩუნებს კავშირს ორ წარმომქმნელ საგანთან და უფრო ახლოსაა ფოტოსთან, ვიდრე სურათთან.

1910-იან წლებში ინგლისში ჩამოყალიბდა ახალგაზრდა პოეტების წრე, რომლებიც თავიანთ თავს იმაჟისტებს უწოდებდნენ. მათზე გადამწყვეტი გავლენა იქონია იაპონურმა სამტაეპიანმა ლექსმა-პოკუმ. დასაელურ ყაიდაზე ინტერპრეტაციისას შემუშავებული იქნა საკუთარი პრინციპები: უკომპრომისობა, არასაეალდებულო სიტყვების გამომრიცხაეი სიმოკლე, თავისუფლება ტრადიციული სალექსო მეტრიკისაგან, სახეების კრისტალური სიზუსტე. ახალ პოეზიაში მთავარი საგნებთან დამოკიდებულეებაა. იმაჟისტებთან დაახლოებული პაუნდი მოითხოვდა, რომ თანამედროვე პოეზია საგნობრივ ანალოგიებზე გადასულიყო, ექცია მეტაფორა ნივთად, რათა პოეტს „არ შეერია აბსტრაქტული კონკრეტულისთვის, რადგან ბუნებრიეი ობიექტი ყოეელთვის ადეკვატური სიმბოლოა". იმაჟისტების ლექსები ეიზენშტაინის „ეერტიკალურ მონტაჟს" მოგვაგონებენ, რაც ასეეე აღმოსავლური გაელენით არის შექმნილი (ეიზენშტაინმა სამასამდე იეროგლიფი იცოდა, რომელთაც ხშირად იმოწმებდა თაეის თეორეტიკულ შრომებში). პაუნდი ამ მეთოდს „ზეპოზიციურს" უწოდებდა (super-pozitory): ზუსტი, წამიერად მოხელთებული და გამხსნელი აღწერა სიტუაციისა, ავტონომიური, გარეგნულად დამოუკიდებელი სახეები, რომლებიც ლექსის თემას არაპირდაპირი, ასოციაციური კავშირით ერწყმის: ქრესტომათიული ნიმუში ამ აღმოსაელურ-დასაელურ ტექნიკისა არის 1913 წელს დაწერილი ლექსი პარიზის მეტროზე. მასზე პაუნდი მრავალი თეის მანძილზე მუშაობდა, თანმიმდეერულად აგდებდა ყველაფერს, რის გარეშეც შეეძლო ლექსს არსებობა. აჩვენებდა რედაქტორს ლექსის სწორად განლაგებას ფურცელზე და განსაკუთრებით გახაზავდა გამოტოვებულ ადგილებს სიტყვათა ჯგუფებს შორის. ისინი აღქმის ხუთ ფაზას გამოხატავენ. არსებითად, ეს ლექსები ჩინური კლასიკური ლექსის-შის სტრიქონის იმიტაციას ახდენენ, რომელიც ხუთი იეროგლიფისაგან შედგება:

the apparition	გამონათება
of these faces	სახეების
in the crowd:	ბრბოში:
petals	ყვავილები

on a wet bough სველ ტოტებზე.

პირველი ფრაზა აღწერს გოგონების გამოსვლას მეტროდან – ის, რაც გვეცემა თვალში უხილავიდან (გვირაბის სიბნელიდან) ხილულში (პარიზის ქუჩაზე) გამოსვლისას. შემდეგ ჩვენ ვხედავთ ქალიშვილთა სახეებს, რომლებიც სითეთრით და სინორჩით მკვეთრად გამოირჩევიან მუქ და სველ ლაბადებში ჩაცმული ხალხის ნაკადში. როგორც ჩინურ შის შეუფერება, მესამე ელემენტი „ბრბო" – ცეზურის ფუნქციას ასრულებს და ლექსს ორსიმეტრიულ ნაწილად პყოფს. ფენელოზას არქივში ჩაღრმავებიდან ორი წლის შემდეგ პაუნდმა გამოუშვა თარგმანების წიგნი „კატაი", რომელმაც, ელიოტის თქმით, „გამოიგონა ჩვენი დროის ჩინური პოეზია".

არ ისმის აბრეშუმის შრიალი
ეზოში მტვერი ტრიალებს
ნაბიჯებიც არ ისმის და ფოთლები,
ერთად მოგროვილნი, ჩუმად აწყვია,
ის სიხარული გულისა, მათ ქვეშაა.
სველი ფოთოლი, ბღვარს მიკრობილი.

ჩინურ პოეზიაში ერთი საგანი მეორესთან არ არის შედარებული. ისინი ერთად აწყვია, ერთ რიგში – როგორც ნატურმორტს, მათ აერთიანებს არა მიზეზ-შედეგობრიეი, არამედ ასოციაციური კავშირი, სიტყვები კლავე საგნებად იქცევიან, რომელთაგანაც ლექსი ისევეა შედგენილი, როგორც დეკორაცია. აქ არაა ალეგორიული საგნები, რომლებიც სხვა რეალობაზე მიუთითებენ.

დასავლეთში პოეტი აზრს აძლევს სამყაროს და ფორმას აძლევს ქაოსს. მისი მთავარი იარაღი მეტაფორაა, რომელსაც სიტყვაში გადაპყავს საგანი და პირიქით, სიტყვას სიმბოლოდ აქცევს: ერთი ნიშნავს მეორეს. აღმოსავლურ პოეზიაში საგანი რჩება „უთარგმნელი", იგი ასრულებს იდეის, მეტაფორის და სიმბოლოს როლს, ისე, რომ არასოდეს კარგავს თავის თავს და ყოველთვის საგნად რჩება.

ასეთ ლექსებში იცვლება მკითხველისა და აეტორის ურთიერთობები. მეტაფორების პოეზია პოეტის წარმოსახვაში კრავს და ამთლიანებს სამყაროს და ერთიანობის სახეს აძლევს. საგნების პოეზია მკითხველს სთავაზობს თავად შექმნას ამ საგნებიდან მთლიანობა. მხოლოდ მკითხველს შეუძლია დაამყაროს სიტყვებით გამოუთქმელი კავშირი საგანთა და გრძნობათა შორის, რომლებსაც ისინი იწვევენ. აღმოსავლეთში პოეტი არ ლაპარაკობს გამოუთქმელზე, არამედ გვიჩვენებს მას. იგი გამოუთქმელს ტოვებს იმას, რაც ენას არ ემორჩილება. ასეთი პოეზია საშუალებას გვაძლევს, გავიგონოთ წარმოუთქმელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ackroyd P., Ezra Pound and His World. London: Thames a. Hudson, 1980.
2. Alexander M., The Poetic Achievement of Ezra Pound. Berkeley: Univ. of California Press, 1979.
3. Fenollosa E. and Ezra Pound. "Noh" or Accomplishment: A Study of the Classical Stage of Japan. London: Macmillan and Co., 1916.
4. Fenollosa E., "Translation of Chinese Classics Including Poetry", v. 1 of 2. A. MS. line-by-line translation of poems by Rihaku (Li Po) transliterated by his Japanese teachers Mori and Ariga. Tokyo, ca. 1900.
5. Goodwin R. L., The Influence of Ezra Pound. London: Oxford Uni. Press, 1966.

MIRIAN EBANOIDZE
Akaki Tsereteli State University, Professor

SUMMARY

EZRA POUND'S "CHINESE POETRY"

Pound's translation is the culmination of forty years of Chinese study. For the central sin of logic, as it relates to Fenollosa's various theses, is that it has spawned "grammar". Every written Chinese word is properly an underlying word, and yet it is not abstract. It is not exclusive of parts of speech, but comprehensive; not something which is neither a noun, verb, nor adjective, but something which is all of them at once and at all times. A transitive sentence - actor, action, receiver brings language close to things, and in its strong reliance on verbs it erects all speech into a kind of dramatic poetry.

თამთა თურმანიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

იდეოლოგია და ამერიკული კინო

კინემატოგრაფი ყოველთვის უდიდეს როლს ასრულებდა ამერიკული კულტურისა და ცხოვრების წესის პოპულარიზაციაში, სწორედ კინომ შეუწყო ხელი „ამერიკული ოცნების“ მითის დამკვიდრებას და მილიონების წარმოდგენაში შეერთებული შტატები შეუზღუდავი შესაძლებლობების ქვეყნად აქცია. ამერიკული კინემატოგრაფი კონკიას ბღაპრის მრავალრიცხოვანი ვარიაციების ტირაჟირებით ათწლეულების მანძილზე იზიდავდა და დღემდე იზიდავს უამრავ ხელმოცარულ ბედის მაძიებელს დოლარის, „კოკა-კოლისა“ და ჰოლივუდის ვარსკვლავების აღქმული ქვეყნისაკენ.

ოფიციალური იდეოლოგიისა და ამერიკული კინოს შეხვედრა და თანხვედრა ჯერ კიდევ კინემატოგრაფის გარიჟრაჟზე მოხდა, როდესაც 1903 წელს დღის სინათლე ისილა ედვინ პორტერის „მატარებლის დიღმა გაძარცვამ“, რომელმაც წმინდა ამერიკული კინოჟანრის – ვესტერნის განვითარებას ჩაუყარა საფუძველი. აქედან დაიწყო უძლეველი ამერიკელი გმირის მითის მსვლელობა მსოფლიოს კინოეკრანებზე, რომელიც მრავალი სახესხვაობის შემდეგაც დღემდე ავრძელებს არსებობას. ერთი ირონიული რუსი კინოკრიტიკოსის მოსაზრებით, თავად ქვეყნის ასაკიდან გამომდინარე, თუ მას დანარჩენი კაცობრიობის ისტორიას შევადარებთ, შეიძლება ითქვას შეერთებული შტატები ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში იმყოფება და საკუთარ მითოლოგიას ასლა ქმნის. ამიტომაც წარმოშობს ამერიკული კინემატოგრაფი ელინური პერაკლეს, თეზევსისა თუ აქილევსის მსგავს უძლეველ, კუნთმაგარ გმირს, რომელიც ტყვიების წვიმის ქვეშ, შეუპოვრად მიიკვლევს გზას და მტრების რაოდენობრივი უპირატესობის მიუხედავად, ბოლოს ერთიანერთ გამარჯვებულ და რაც მთავარია ცოცხალ პერსონაჟად რჩება.

ბუნებრივია, რომ ვესტერნში დადებითი გმირის როლი თავიდანვე თეთრკანიანებს ერგო, გაჩნდა განსაკუთრებული ამპლუაც ერთგვარი „კეთილშობილი ავაზაკისა“ – უხეში, სასტიკი, დაუნდობელი, მაგრამ შინაგანი პატიოსნებითა და სამართლიანობის გრძნობით აღსავსე, ხშირად მარგოსელა კოვბოის, რომელიც მოულოდნელ ხსნად მოევლინება ხოლმე უმწეო ქალებსა და ბავშვებს. აქედან გამომდინარე ლოგიკურია, რომ ვესტერნის

მთავარი ბოროტმოქმედის და დადებითი გმირის ანტაგონისტის როლი ამერიკის აბორიგენ მოსახლეობას – ინდიელებს ერგო. რეალობაში ინდიელები არასდროს ყოფილას დაინტერესებულნი თეთრკანიანებთან ფიზიკური კონფლიქტით და ვესტერნისთვის ტრადიციული ეპიზოდი, როდესაც ტომაგაიკებით შეიარაღებული ინდიელთა კოპორტა, საბრძოლო ყიჟინით ღ. ედევნება პატიოსანი მოქალაქეებით დატვირთულ დილიჟანსს, ფილმის ავტორთა ფანტაზიის ნაყოფი იყო მხოლოდ. ნამდვილი და არა კინემატოგრაფიული ინდიელების მთავარ საზრუნაეს კი, ელემენტარული ფიზიკური გადარჩენა, შიმშილთან ბრძოლა და საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნება წარმოადგენდა. მაგრამ ჟანრის კანონებიდან გამომდინარე, დადებითი გმირისადმი თანაგრძნობით განმსჭვალული, დევნისა და სროლის დინამიური ეპიზოდებით მოხიბლული მილიონობით მაყურებლისთვის, კადრსმიღმა რჩებოდა ის ფაქტი, რომ რეალური აგრესორი სწორედ ის დადებითი თეთრკანიანი გმირი იყო, ინდიელები კი, მხოლოდ საკუთარი მიწა-წყლის დასაცავად იბრძოდნენ. ეკრანზე ნაჩვენები წარმოსახვითი რეალობა, ყველა ისტორიაზე უფრო დამაჯერებელად გამოიყურებოდა.

ათწლეულების მანძილზე ინდიელთა როლი მგრის ხატის შექმნაში უცვლელი რჩებოდა, მოგვიანებით მათ პერიოდულად ასევე ფეთქებადსაშიში მექსიკელები ენაცვლებოდნენ, რაც სამხრეთელ მეზობლებთან ასევე ისტორიული დაპირისპირებით იყო გამოწვეული. დიდი ხნის მანძილზე ამერიკული კინოს სხვა ჟანრებშიც ბოროტმოქმედებს საეჭვოდ მუქი ფერის კანი და ტრადიციული მექსიკური ულვაშები ამშვენებდათ, მათ შორის 80-იან წლებში გამოჩენილ უარყოფითი გმირის კიდევ ერთ სახეცვლილებას – რუს მაფიოზებსაც კი, რაც ამ უკანასკნელების ეროვნებას აშკარად საეჭვოს ხდიდა.

ვესტერნის ტრადიციების პირველ დარღვევად და ამერიკული კინოს ნამდვილ გარღვევად იქცა არტურ პენის 1970 წელს გადაღებული ფილმი „პატარა დიდი ადამიანი", სადაც რეჟისორმა ერთმანეთს რეალობა და იდეალიზმი დაუპირისპირა. ინდიელები ფილმში მშვიდობისმოყვარე, უწყინარ ხალხად, ხოლო თეთრკანიანები – ბარბაროსებად იყვნენ წარმოჩენილნი, მთავარი გმირის ჯეკ კრების სახე კი, დასტინ პოუმანის შესრულებით გადმოცემულია პასიური პაციფიზმის ლიბერალური კონცეფციების სტილში. ჯეკი ხშირად იცვლის ადგილსამყოფელსა და პროფესიას, თანაბრად კარგად გრძნობს თავს ინდიელებთანაც და თეთრკანიანებთანაც, მაგრამ კვლავ და კვლავ უბრუნდება ინდიელ მამობილს სულიერი წონასწორობის აღსადგენად. აბსურდული სატირის, შოკის მომგვრელი დოკუმენტური რეალიზმის, ფარსიდან ტრაგედიამდე უცაბედი გადასვლებისა და გაბედული ფანტაზიის სინთეზით რეჟისორმა ფილმს ვესტერნზე გაცილებით უფრო ღრმა

და მნიშვნელოვანი პრობლემატიკა მიანიჭა და ვიეტნამის ომთან გააკეთა პარალელები. არტურ პენის ფილმი ნამდვილ საბრალდებო დასკვნად იქცა აშშ-ს აგრესიაზე ვიეტნამში. ამერიკელ კრიტიკოსთა შეფასებით „პატარა დიდი ადამიანი" არის „კინოსურათი გენოციდზე, ინდიელებსა და ვიეტნამზე. მისი საშუალებით არტურ პენს სურს გაიგებინებინოს. ეკრანზე გამოსახული უმწეო ინდიელების ქლეტა გვაგონებს ვიეტნამური სოფლების მცხოვრებთა განადგურებას და ფილმი ამ ორი მოვლენის პირდაპირი ემოციური კავშირის დემონსტრაციაა" [დოლიძე 2008: 135].

არტურ პენმა ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარა ვესტერნს – ააფეთქა მისი ესთეტიკა, აზრობრივ-სტილისტური ცვლილებებით დაარღვია მისი ყველა კანონი, გააშარჟა მისი კლასიკა და საბი გაღაუსვა წლების მანძილზე ნალოლიავებ სქემებს. სიმბოლურია, რომ რეჟისორმა ეს უხუცესი ამერიკული ჟანრი უბრალო სარჩულად გამოიყენა, ამერიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკისადმი საკუთარი პროტესტის გამოსახატავად. პენმა ველური დასავლეთის დაპყრობის ისტორიის რომანტიზაციის კინემატოგრაფიული მითები განძარცვა, ინდიელთა რეალური გენოციდი და თეთრკანიან გენერალთა გროტესკული პაროდია წარმოადგინა.

პირველი, ცოტა ალეგორიული მინიშნების შემდეგ ვიეტნამის ომის სამინელებამ და უაზრობამ მრავალ ფილმში ჰპოვა ასახვა, მათ შორის მილოშ ფორმანის „თმებში" (1979), ფრენსის ფორდ კოპოლას „ჩვენი დროის აპოკალიპსში" (1979), ოლივერ სტოუნის „ოცეულში" (1986) და მაიკლ ჩიმინოს „ირმებზე მონადირეში" (1978), რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ამერიკული საგმირო ეპოსის მთავარი გმირის – კეთილშობილი ამერიკელი ჯარისკაცის იმიჯს აყენებდნენ ეჭვქვეშ. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ამ დროს ამერიკულ კინოინდუსტრიაში ჩამოყალიბება დაიწყო ახალმა ჟანრმა ე.წ. „ბოევიკებმა" ან ამერიკულად, რომ ვთქვათ „ექშენმა", სადაც ტყვიების წვიმის ქვეშ გარდაუვალი გამარჯვებისაკენ მიმავალი მარგოხელა სქემატური სუპერგმირი, მოწოდებული იყო, უძლეველი ამერიკელი გმირის შერყეული რეპუტაცია აღედგინა.

დადებითი და უარყოფითი გმირები ამერიკულ კინოში ხშირად ერთმანეთის მსგავსი ხასიათის მატარებელნი არიან, რიგ შემთხვევაში კი, სწორედ უარყოფითი გმირი ხდებოდა მაყურებლის თანაგრძნობის ობიექტი. ასე იყო „დიდი დეპრესიის" წლებში, როდესაც კინოეკრანზე გადანაცელებული რეალური განგსტერები, მილიონობით უმუშევარი ამერიკელისათვის სისტემასთან მებრძოლ, ძლიერ გმირს განასახიერებდა, რომელიც თავად კარნახობს თამაშის წესებს სახელმწიფო მანქანას, სამართალდამცავი ორგანოები კი, მათ ფონზე უსახურად და უსუსურად გამოიყურებოდა. ჰამფრი ბოგარტისა თუ ჯეიმს კეგნის მიერ განსახიერებული განგსტერების

პოპულარობამ ისეთ პიკს მიაღწია, რომ ამერიკის მთავრობა იძულებული გახდა თავად ჩარეულიყო კინოწარმოებაში და პოლივუდელი პროდიუსერებისთვის მიეცა მითითება შეექმნათ ფილმები, სადაც პოლიციელი განასახიერებდა ძლიერ, გამარჯვებულ გმირს და მაყურებლის სიმპათიას დაიმსახურებდა [Теплиц 1968].

ათწლეულების მანძილზე პირველ ამერიკულ ფილმებში უარყოფითი გმირების წარმოჩენისას გამოელენილმა ერთგვარმა ქსენოფობიამ მნიშვნელოვანი ცელილებები განიცადა, თუმცა ორმაგი სტანდარტებით თამაში მაინც უცვლელი რჩებოდა. 1861-1865 წლების სამოქალაქო ომის შედეგად გაუქმებული მონობისა და ოფიციალურად დეკლარირებული თანასწორუფლებიანობის მიუხედავად, ფერადკანიანი მსახიობები თითქმის 60-იან წლებამდე ამერიკულ ფილმებში მხოლოდ ეპიზოდურ როლებში თუ გამოჩნდებოდნენ. მათ შორის იყო დოროთი დენდრიჯიც, რომელსაც „შაე მერლინ მონროს“ უწოდებდნენ და ალბათ მეტისმეტად ადრე დაიბადა, როდესაც ამერიკული სამყარო ჯერ კიდევ არ იცნობდა მარტინ ლუთერ კინგსა და პოლიტკორექტულ საზოგადოებას. დოროთი დენდრიჯი გახდა პირველი „ოსკარის“ ნომინაციაზე წარდგენილი ფერადკანიანი მსახიობი, მაგრამ დანარჩენმა სამყარომ ის მხოლოდ 1941 წელს გადაღებულ „მზიური ველის სერენადაში“ შესრულებული მხიარული სიმღერით „ჩატანუგა ჩუ ჩუ“ დაიმახსოვრა. მაგრამ ამავე დროს, ჯერ კიდევ 1915 წელს, ადამიანის უფლებების შელახვისათვის, მთელმა ამერიკულმა საზოგადოებამ გაილაშქრა კინოს მართლწერის შემქმნელი დევიდ უორკ გრიფიტის წინააღმდეგ, რომლის ფილმიც „ერის დაბადება“ კუ-კლუქს-კლანის რომანტიზაციას ახდენდა და ღამის შუასაუკუნეებრივ რაინდებად წარმოაჩენდა ამ ფაშისტური ორგანიზაციის წევრებს, ფერადკანიან ამერიკელებს კი, გენიალური ამერიკელის წმინდა კინემატოგრაფიული თავლსაზრისით აშკარა შედევრში, მოძალადე ველურების როლი ერგოთ მხოლოდ [ამირეჯიბი 1992].

ვიეტნამის ომის ტოტალური იმედგაცრუების ტალღაზე, 60-70-იანი წლების ახალგაზრდულმა ამბოხებებმა, როკ ენ როლურმა კულტურამ, ჰიპების პაციფისტურმა დემონსტრაციებმა მნიშვნელოვნად შეანჯღრია ამერიკული საზოგადოებრივი აზრი. პოლიტკორექტულობის პოპულარობისა და სხვადასხვა ეთნიკური თემების მომძლავრების გაელენით, გაჩნდა ტერმინი აფროამერიკელი, ეკრანზე კი, ჯენიფერ ლოპესი და აიშვარია რაი გამოჩნდნენ. მაგრამ მთავარი გარდატეხა 11 სექტემბრის მოელენებმა შეიტანა, რომელიც იმდენად მძიმე გადასახარში აღმოჩნდა, რომ ამერიკული კულტურისა და ცხოერების წესის მთავარი მედიუმი კინემატოგრაფიც კი, დიდი ხნის მანძილზე ვერ ბედავდა რეალური ადამინური ტკიეილი მილიო-

ნების მწარმოებელ ფეტიშად ექცია. მაგრამ როდესაც 2005 წელს რიდლი სკოტმა გადაიღო „ზეციური სამეფო“, სადაც იერუსალიმისთვის ჯვაროსანთ რაინდთა და მაჰმადიანთა დაპირისპირებაა ასახული, ლეგენდარული სულთანი სალადინი თავისი კეთილშობილებითა და სამართლიანობით ქრისტიან მმართველებზე გაცილებით უფრო სიმპათიურად და ღირსეულად წარმოჩნდა, რაშიც, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი როლი სწორედ 11 სექტემბრის მოვლენებმა შეასრულა. რიდლი სკოტის ფილმში არის ეპიზოდი, როდესაც იერუსალიმის დაცემის შემდეგ ჯვაროსან რაინდთა პარლამენტარები სალადინს ქალაქიდან ქალებისა და ბავშვების გასაყვანად სამი დღის ვადის მიცემას სთხოვენ, ძლევამოსილი სულთანი მათ დიდსულოვნად თანხმდება, რაზეც მთავარი გმირი გაოცებული მიუგებს, რომ თავის დროზე, როდესაც ქრისტიანებმა აიღეს იერუსალიმი, ანალოგიურ თხოვნაზე მაჰმადიანებს უარი უთხრეს და ქალაქში დარჩენილი მოსახლეობა ულმობლად ამოსოცეს. მაგრამ სალადინის პასუხი კვლავ უცვლელი რჩება. ფილმის ფინალში კი, როდესაც სალადინი იერუსალიმის მეფის მიტოვებულ სასახლეში შედის, ძირს დაგდებულ ჯვარს იღებს და ქრისტიანულ სიწმინდეს ღირსეულ ადგილს მიუჩენს. ამ ერთი შეხედვით, თითქოსდა ჩვეულებრივ ჰოლივუდურ სათავგადასავლო სიუჟეტში, მიუხედავად მისი სქემატურობისა, საკმაოდ სერიოზული გზავნილია ჩაღებული, თან ორმაგი შინაარსის მატარებელი. ერთის მხრივ, ის ქრისტიანული სამყაროს თვალში მაჰმადიანების ერთგვარ რეაბილიტაციას ახდენდა, უჩვენებდა რა მუსლიმი რაინდის ღირსებას და ტოლერანტობას, მეორეს მხრივ კი, ისლამურ სამყაროს ასხენებდა, რომ მიუხედავად საუკუნეების მანძილზე არსებული დაპირისპირებისა მოწინააღმდეგე მხარეები ყოველთვის ურთიერთპატივისცემით იყვნენ განსჭვალული ერთმანეთისადმი.

კინემატოგრაფის მეშვეობით ამერიკამ პრაქტიკულად, ყოველგვარი ძალადობის გარეშე, მთელი დანარჩენი სამყაროს ანექსია მოახდინა. კინო დღემდე რჩება ამერიკული კულტურისა და იდეოლოგიის უმტკივნეულოდ გავრცელებისა და შეთვისების ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ იარაღად, რომლის გაელენითაც, როგორც გერმანული ჯგუფი “Rammstein” მღერის ერთ-ერთ სიმღერაში “All of us live in America”, სადაც ტიბეტელი ლამები დონატებს ჭამენ და კოკა-კოლას აყოლებენ, ეიეტნამელი გლესები ფასტ-ფუდს მიირთმევენ, ინდოელი ბრამინი “Lucky Strike”-ს აბოლებს, ბუშმენი ბავშვები კი სანტა-კლაუსის კალთაში მოკალათებულან. „ამერიკელობის“ ამ უცვლელმა ატრიბუტებმა თავისი მნიშვნელობა სწორედ ამერიკული კინოს დამსხურებით შეიძინა.

გამოყენებული ლიტერატურა:
1. ამირეჯიბი ნ., სინემატოგრაფიდან კინოხელოვნებამდე. თბილისი: „მერანი", 1992.
2 დოლიძე ზ., ვესტერნი – ისტორია და ფილმი. თბილისი: „მწიგნობარი", 2008.
3. Теплиц Е., История Киноискусства 4 т. М.: «Прогресс», 1968.

TAMTA TURMANIDZE
Akaki Tsereteli State University, Dr. of Art

SUMMARY

IDEOLOGY AND AMERICAN CINEMA

The cinema is a symbol of American culture and lifestyle. Through American films America has become a county of "Magnificent heroes" and "American Dream". In 1903 the film "The Great Robbery of the Train" by Edwin Porter gave start to the new "American" cinematographic trend. It's a purely American genre inspired by historical reality. All major positive heroes were Americans and negative ones were Indians. Consequently, positive heroes gained the sympathy of the auditory that step by step built the myth of "Wild West".

Arthur Penn's 1970 film "Little Big Man" was the first to crush the western's traditions and make a major breakthrough in the history of American cinematography. The director just uses this genre to express his protest against domestic and foreign policies of America. He showed the real face of American conquerors and by featuring grotesque images of the American military Penn revealed the genocide of the Indian tribes.

The interest towards the films describing the war in Vietnam has increased. Films like "Hair" by Milos Forman, "Apocalypse Now" by Francis Ford Coppola, "Platoon" by Oliver Stone, "The Dear Hunter" by Michael Cimino decreased the image of American soldiers and paved the way to one more new genre called "action".

Positive and negative heroes often change places in American films. In the period of "Great Depression" popular gangster films presenting criminals as attractive and witty individuals and with famous actors such as Humphrey Bogart and James Cagney starring, caused the sympathy to the criminals; later on, government ordered the films with positive policemen.

Along with the emergence of politcorrectness a lot of African Americans got involved in American cinema.

Up to now, "Fast food", Coca-cola, Pop corn etc., i.e. main components of American lifestyle is popularized by American cinema.

ნინო კეცირიკაძე
აკაკი წერეთლის სასელმწიფო
უნივერსიტეტის მასწავლებელი

ეთნობრივი პიროვნება ლინგვოკულტურათა გადაკვეთაზე (ვ. ნაბოკოვის რომან „პნინის“ მიხედვით)

ლინგვოდიდაქტიკაში ეთნობრივი პიროვნება გაიგება როგორც სამეტყველო პიროვნებების მრავალშრიანი და მრავალკომპონენტიანი პარადიგმა (Клобукова 1995: 20,27,29). შემდგომში ამ ცნების დაზუსტება ხდება: „თუ ეთნობრივი პიროვნება სამეტყველო პიროვნებების პარადიგმაა, მაშინ სამეტყველო პიროვნება, პირიქით, არის ეთნობრივი პიროვნება სამეტყველო ურთიერთობის პარადიგმაში, მოღვაწეობაში. ამ შემთხვევაში სამეტყველო პიროვნება წარმოადგენს ეთნობრივი პიროვნების ელემენტების ნაკრებს, რომელთა რეალიზაცია დაკავშირებულია ურთიერთობის მოცემული სიტუაციის ყველა ექსტრალინგვისტურ და ლინგვისტურ მახასიათებლებთან: მის კომუნიკაციურ მიზნებთან და ამოცანებთან, მის თემასთან, ნორმასთან თუ უზუსთან, მის ექსტრალინგვისტურ, სოციალურ პარამეტრებთან“ (Прохоров 1999: 453).

პროფესორ პნინის, ვ. ნაბოკოვის რომან „პნინის“ გმირის, როგორც ეთნობრივი პიროვნების, როგორც რუსული კულტურის მატარებლის, სახის განხილვა, ხდება ნაწარმოებში დასმული პრობლემის ჭრილში: როგორ ცხოვრობს და არსებობს უცხო, არარუსულ (მოცემულ შემთხვევაში – ამერიკულ) გარემოში ადამიანი, რომელიც თავისი სულით, სასიათითა და ცხოვრების წესით არის რუსი, – რუსი, რომელიც ვერ გახდა ამერიკელი. რომანში, როგორც ემიგრანტული პროზის ნიმუშში, წინა პლანზე წამოწეულია ამგვარი ლიტერატურისათვის დამახასიათებელი თემა, – გმირის გაუცხოების თემა, უცხოეროვნული ეთნობრივი გარემოსა და კულტურის შესისხლხორცების მცდელობის ტრაგიკულობა.

ჩვენი ნაშრომის ამოცანაა აღნიშნული პრობლემის გამოკვლევა რომანის ტექსტში წარმოდგენილ ლინგვოკულტურათა თანაფარდობის პრიზმაში. რეალური ურთიერთობის პარადიგმაში, მოღვაწეობაში, პნინის (როგორც ეთნობრივი პიროვნების) ფიქსაციის შემთხვევაში შეიძლება გამოვყოთ ნაწარმოების გმირის, როგორც ერთი ლინგვოკულტურის სამეტყველო პიროვნების, „დაშორება-განცალკევება“ სხვა ლინგვოკულტურის პიროვნებებისაგან (Прохоров1999:454); ამასთან საინტერესოა განვიხილოთ მოცემული თემის მხოლოდ ზოგიერთი ასპექტი. ეს შეიძლება იყოს, მაგა-

ლითად, კომუნიკაციური სივრცე ენობრივი პიროვნებისა (როგორც სამყაროს განსაზღვრული ეროვნულ-კულტურული სურათის მატარებლისა), რომელიც აღმოჩნდა უცხოეროვნული კულტურის სფეროში; ეს შეიძლება იყოს მოცემული პიროვნების ურთიერთობა ნიშეთების სამყაროსთან, სხვადასხვა ენების ერთეულების ერთმანეთზე დაშრევება; ქცევის მანერა, ეტიკეტის მანერა და ა.შ. აქვე აღვნიშნავთ, რომ კომუნიკაციური სივრცე გვესმის, როგორც „სამეტყველო ურთიერთობის სფეროების ერთობლიობა, რომელშიც განსაზღვრულმა ენობრივმა პიროვნებამ მოცემულ სოციუმში მიღებული ენობრივი, კოგნიტური თუ პრაგმატული წესების შესაბამისად შეიძლება მოახდინოს თავისი ყოფიერების აუცილებელი მოთხოვნილებების რეალიზება“ [Прохоров 1999: 460].

რეალური ურთიერთობის პარადიგმაში პნინის მოღვაწეობის დეკოდირება სდება ენის სხვადასხვა (ფონეტიკურ, ლექსიკურ, მორფოლოგიურ და ა.შ.) დონეზე და უკავშირდება იმ ვარაუდს, რომ „ყოველ ლინგვოკულტურემას ... გააჩნია არა მარტო უახლოესი, არამედ შემდგომი მნიშვნელობა, სიღრმისეული, ხშირად სიმბოლური აზრი, რომლის გაგების გარეშე სწარმოების იდეა პაერშია ჯამოკიდებული“ [Воробьев 1999:101-102].

პროფესორი პნინი ცხოვრობს და მუშაობს ამერიკაში, მაგრამ რუსული ლინგვოკულტურის წარმომადგენლად რჩება; ამ კულტურასთან მისი მჭიდრო კავშირი იგრძნობა თუნდაც გმირის სიზმრებში – როდესაც ის თითქოსდა გათიშულია რეალურობისაგან, მაგრამ სინამდვილეში ძალიან აქტიურადაა ჩართული რეალური ურთიერთობის პარადიგმაში. ღამღამობით პნინი სრულიად რუსულ სიზმრებს ნახულობს – ეს ის სიზმრებია, „რომლებიც ჯერ კიდევ კვალდაკვალ სდევენ რუსებს, თუმცა უკვე საუკუნის მესამედი გავიდა, რაც ისინი ბოლშევიკებს გამოექცნენ...“ (Набоков 1989: 50); სიზმარში ის ურთიერთობაში მსოლოდ თავისი მშობლიური ლინგვოკულტურის პიროვნებებთან შედის.

გაღვიძებისას პნინი ამოიოსრებს სოლმე, როგორც არაამერიკელი: „პნინმა ამოიოსრა რუსულად – ოს, ოს, ოს...“ (Набоков 1989: 50). ასველებს ის ასევე არაამერიკულად: „მან ჩაასველა მუჭში მოულოდნელად მოგუგუნე სმით (ამ ბგერამ ჯონასს რაღომღაც პროფესიონალი დონელი კაზაკი მოაგონა, რომელიც მას ერთხელ გააცნეს)...“ (Набоков 1989: 15). აქ უკვე ფონეტიკური ფაქტორი ერთვება; ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რომანის გმირის მიერ უცხო (ამერიკული) ლინგვოკულტურის მიუღებლობა მას ჯერ კიდევ ფიზიოლოგიურ-აკუსტიკურ დონეზე ეწყება და დაკავშირებულია მისი ენობრივი აპარატის წმინდა რუსულ მოწყობილობასთან. პროფესორ პნინის სამეტყველო ორგანოები, რომლებიც ინგლისური ენის ბგერების წარმოქმნაში მონაწილეობენ (სორსი,სასა, ტუჩები, ენა, ქვედა ყბა), ყოველ-

ნაირად ეწინააღმდეგებიან თავისი პატრონის მცდელობებს, შექმნას ანგლო-ამერიკული წარმოთქმის რაიმე მსგავსება მაისც და ამიტომ პნინი დიდ სიძნელეებს განიცდის, როდესაც ცდილობს აღიქვას უცხოერიენული გარემო ფონეტიკურ დონეზე (მშობლიური თუ არამშობლიური ენების ბგერათა ფიზიოლოგიური და აკუსტიკური თვისებების გათვალისწინებით), რომელიც ლექსიკა-მორფოლოგიურ დონესთანაა გაღახლარი: „თუ მისი რუსული ენა იყო მუსიკა, მისი ინგლისური საშინელება იყო. ის ძლიესძლიობით ('ძიფიკულტსი', პნინისეული ინგლისურ ენაზე) ითვისებდა დეპალატალიზაციას, მან მაისც ვერ ისწავლა, თუ როგორ უნდა მოეცილებინა სმოენების წინ მდგომი რუსული 'ტ' და 'დ' ბგერების შეხმეკი სინოტიეე, რომლებსაც ის ასე საყვარლად არბილებდა" (Набоков 1989: 30). ინგლისური სიტყვების წარმოთქმისას მის მეტყველებაში ხდება აგრეთვე მესამე ენის ერთეულების დაშრეევა – გერმანული ბგერებისა და სიტყვების. მაგალითად: „'hat' (ქუდი) მასთან ყლერდა როგორც აფეთქება ... და განსხვავდებოდა ჩვეულებრივი ამერიკული წარმოთქმისაგან 'hot'(ცხელა) ... მხოლოდ თავისი სიმოკლით და ამიტომ ძალიან პგავდა გერმანულ შპსას 'hat' (აქეს)" (Набоков 1989: 30). ის ეერ ფლობდა გრძელ 'უ'-ს: „ის, რის წარმოთქმასაც იგი ასერხებდა, როდესაც უნდა ეთქვა 'noon' (შუაღღე), იყო გერმანული 'nun'-ს (ახლა) არამკაფიო სმოენი ..." (Набоков 1989: 30). მის ამერიკულ მეტყველებაზე ხდება აგრეთვე იტალიური ენის ბგერების დაშრეება: „ყველა გრძელი 'ო' მასთან მოკლედ იქცეოდა: მისი 'no' (არა) დანამდვილებით იტალიური იყო, რაც კიდევ უფრო ძლიერდებოდა მისი მანერით, გაესაშშაგებინა მარტივი უარყოფა: „თქვენ მიგიყვანოთ მანქანით, ბ-ნო პნინ? – No-no-no, მე აქედან ორ ნაბიჯში ვცხოვრობ" (Набоков 1989: 30). ფრანგული ენის ბგერები ასევე ზემოქმედებენ „პნინისეულ" ამერიკულზე, და საკმაოდ ძლიერ: „პნინი 'family'-ს ისე წარმოთქვამდა, რომ პირველი მარცვალი ჯღერდა, როგორც 'ქალი' ფრანგულად" (Набоков 1989: 48). გმირი თავად გამოგვიტყდება, რომ ფრანგულად ის ბევრად უფრო თავისუფლად ლაპარაკობს, ვიდრე ინგლისურად. წერილსაც თავისი ყოფილი ცოლის ვაჟს, ვიქტორს, ის უწერს არა ამერიკულ ინგლისურ ენაზე, არამედ „საუცხოო ფრანგულით" (Набоков 1989: 40).

როგორც ეხედავთ, რომანის გმირის სწრაფვისას ამერიკული ლინგვოკულტურისაკენ (ენის მეშვეობით ფონეტიკურ-მორფოლოგიურ დონეზე) წარმოიშვება სერიოზული, ფაქტობრივად, გადაულახავი დაბრკოლებები სხვა კულტურათა ენების სახით: რუსული ენა (ძირითადი დაბრკოლება) – გერმანული ენა – ფრანგული ენა – იტალიური ენა. ყველა ზემომოყვანილი ენობრივი დანაშრეევები ძირითად (ანგლო-ამერიკულ) ენაზე, რომელთა მეშვეობით გმირი უნებურად პროტესტს აცხადებს ამერიკული სინამდვი-

ლის ბუნებრივი „ძალმომრეობის“ წინააღმდეგ, მოწმობს იმას, რომ პნინი რჩება რუსულად მოლაპარაკე ენობრივ პიროვნებად, რომელიც განწირულია გაუცხოებისათვის.

ამასთან დაკავშირებით აუცილებლად მიგვაჩნია მოვისსენიოთ პნინის მიერ კბილების ამოღებისა და პროთეზების შეძენის ფაქტი, რაც, ჩვენი აზრით, შემდეგი მომენტის სიმბოლოა: ეს არის რომანის გმირის მცდელობა აღიქვას მასპინძელი ქვეყნის ლინგვოკულტურა თავისი საკუთარი ლინგვოკულტურის მიჩქმალვის ან კიდეც მასზე უარის თქმის გზით: „... უცებ მან სისარული იგრძნო ... ახალი სათამაშოს გამო. ეს იყო გამოცხადება, მშვის ამოსვლა, ეს იყო მაგარი პირი, რომელიც სავსე იყო საქმიანი ალებასტრული, ჰუმანური ამერიკით“ (Набоков 1989: 17). ის ურჩევს კიდეც ერთერთ თავის კოლეგას ექიმთან წავიდეს და ყველა კბილი ამოიღოს, რის შედეგადაც ის, ისევე როგორც პნინი, „სრულიად განასლებული ადამიანი“ (Набоков 1989: 18) გახდება, ე.ი. „ამერიკელი“, რომანის გმირის გაგებით. მაგრამ დეტალები ტექსტის განხილულ ფრაგმენტებში ნათლად აჩვენებენ პნინის ამ მცდელობის ამაოებას. კბილები, რომლებიც მეტყველების პასიური ორგანოა, აქ საკმაოდ აქტიური როლის თამაშს იწყებენ. ისინი, განასახიერებენ რა, ჩვენი აზრით, რუსულ ლინგვოკულტურას და ტექსტის ამ მონაკვეთში მსატვრულ დეტალად იქცევიან, უპირისპირდებიან პროთეზებს, რომლებიც, როგორც ჩვენ მივიჩნევთ, ამერიკული ლინგვოკულტურის სიმბოლოა. წარმოშობილ ანტითეზაში „კბილები – პროთეზები“ („რუსული ლინგვოკულტურა“ – „ამერიკული ლინგვოკულტურა“) ამერიკული ლინგვოკულტურა სულაც არ იმარჯვებს, როგორც ეს პნინს ეჩვენება. პირიქით, კარგად შერჩეული ტექსტის დეტალები საწინააღმდეგო მოვლენაზე მოწმობს. პნინისაგან, რომელიც ოპერაციის შემდეგ „გაკეირვებით მიხედა, რომ თურმე ძალიან უყვარდა თავისი კბილები“ (Набоков 1989: 17), (ე.ი. თავისი, მშობლიური, ლინგვოკულტურა), პროთეზების დამაგრების შემდეგ „გამოვიდა თითქოსდა საცოდავი ნამარსი თავის ქალა, რომელსაც ჩაუსვეს სრულიად უცხო დაკრეჭილი ყბები“ (Набоков 1989: 17). მაშასადამე, სხვა ეროვნული ამერიკული გარემო („სრულიად უცხო დაკრეჭილი ყბები“) უცხო დარჩა რომანის გმირისთვის.

ტექსტის შემდეგ მონაკვეთებში პნინის, როგორც ენობრივი პიროვნების, კომუნიკაციური სივრცე ფართოვდება; რეალური ურთიერთობის პარადიგმაში გმირის მოღვაწეობის დეკოდირება ძირითადად ენის ლექსიკურ დონეზე ხდება. ფრაგმენტში, სადაც პნინის თანამოსაუბრე ამერიკელი ქალია, ე.ი. სხვა ლინგვოკულტურის სამეტყველო პიროვნება, შეიშჩნევა რომანის გმირის მკვეთრი „დაშორება-განცალკევება“ კონკრეტულად მისგან და საერთოდ ყველა ამერიკელისაგან. პროფესორი პნინი, რომელიც თა-

ვისი ცხოვრების წესით რუსია და რომელსაც რუსული აზროვნება გააჩნია, ვერანაირად ვერ თავსდება ამერიკულ სინამდვილეში, ამ უცხოეროვნულ გარემოში. როდესაც ჯონა კლემენტსი ცდილობს აუხსნას პნინს სურათები ამერიკულ ჟურნალში, რომლებიც თვითონ მას ძალიან სახალისოდ და გონებამახვილურად მიაჩნია, პროფესორი მის ლოგიკას არ იღებს: „ეს შეუძლებელია ... ასეთი პატარა კუნძული, და თან პალმით, არ შეიძლება არსებობდეს ასეთ დიდ ზღვაში ... ლერმონტოვმა ... გამოსახა ყველაფერი ქალთევზებზე მხოლოდ ორ ლექსში. მე არ შემიძლია გაიგო ამერიკული იუმორი მაშინაც კი, როდესაც მე ბედნიერი ვარ...“ (Набоков 1989: 27-28). ასე აღიქვამს პნინი მის გარემომცველ უცხოეროვნულ სამყაროს რუსული აზროვნების მეშვეობით და უკუაგდებს მას. თავად ამერიკელები აღიქვამენ პროფესორ პნინს როგორც უცხოს, დასცინიან „უცნაურ“ (Набоков 1989: 33) რუსს. სრულიად რუსული ხასიათისაა მისი ქესტები და ქცევის მანერა: „ტიმოფეი რუსული მხრების აჩეჩვისა და თავის ქნევის ნამდვილი ენციკლოპედია იყო ... ის მათ კლასიფიკაციას ახდენდა ... მას შეეძლო შეეჯსო ლორენსის კატალოგი, რომელიც შეიცავდა ... ეროვნული და დიალექტური ქესტების ფილოსოფიურ ინტერპრეტაციას ლორენსმა გადაიღო კიდეც ფირზე ის, რასაც ტიმოფეი რუსული 'მაჯის ქესტების' საფუძველად თელიდა“ (Набоков 1989: 19); „მან გააკეთა სრულიად რუსული ქესტი 'მე გნებდებით' “ (Набоков 1989: 27). ჩაცმის მანერაც პნინს სრულიად რუსული დაურჩა: „გულში სითბოს ვგრძნობ, როდესაც ვიხსენებ პალტოს ჩაცმის პნინისეულ რუსულ-ინტელიგენტურ ხერხს...“ (Набоков 1989: 30).

ამრიგად, ტიმოფეი პნინი, რომელიც უკვე მრავალი წელი ცხოვრობს აშშ-ში, ცდილობს გახდეს ამ ქვეყნის ნამდვილი „მოქალაქე“ (Набоков 1989: 12) და დარწმუნებულია კიდეც, რომ „ორი-სამი წლის შემდეგ ... მას ამერიკელად აღიქვამენ...“ (Набоков 1989: 17). მაგრამ რეალური ურთიერთობის პარადიგმაში (უცხოეროვნულ გარემოში) პნინის მოღვაწეობის ზემომყვანილი თუნდაც ზოგიერთი მომენტი საწინააღმდეგოს მოწმობს: ორი ძირითადი ლინგვოკულტურის გადაკვეთაზე მყოფი რუსული მენტალიტეტისა და რუსული აზროვნების მატარებელი პროფესორი პნინი ვერ ჩაწვდა ამერიკულ სინამდვილეს, ვერ შეისისხლხორცა ის; რუსული ლინგვოკულტურა ამერიკულზე ძლიერი აღმოჩნდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Воробьев В.В., О статусе лингвокультурологии. В сборнике: Материалы IX Конгресса МАПРЯЛ, Братислава 1999. Доклады и сообщения российских ученых. Москва, 1999.
2. Клобукова Л.П., Лингвометодологические основы обучения иностранных

студентов-нефилологов гуманитарных факультетов речевому общению на профессиональные темы. Автореф. дисс. д-ра пед. наук. М.,1995.
3. Набоков В.В., Пнин. Роман. Перевод с английского Геннадия Бартарабло при участии В.Е.Набоковой // Иностранная литература, № 2,1989. С.3-87.
4. Прохоров Ю.Е., Коммуникативное пространство языковой личности в национально-культурном аспекте. В сборнике: Материалы IX Конгресса МАПРЯЛ, Братислава 1999. Доклады и сообщения российских ученых. Москва, 1999.

NINO KVIRIKADZE
Akaki Tsereteli State University Teacher

SUMMARY

LINGUAL PERSON AT THE CROSSROADS OF LINGUO-CULTURES: VLADIMIR NABOKOV

The present essay is concerned with the analysis of the poly-functionality of lingual/speech resources of Pnin, a protagonist in V. Nabokov's novel 'Pnin'. Lingual plane reveals thinking process of an ethnically Russian character living in English-speaking milieu and American cultural surroundings. The article explores the process of adaptation as well as simultaneous estrangement as reflected in the character's speech/language. The impact of lingual norms on the psychology and behavior of the protagonist is also investigated. By making use of cultural codes, it is proved that the protagonists' behavior and deeds are determined by the linguistic factors.

In terms of their functionality, the Russian-speaking protagonist and representatives of English-speaking milieu can be juxtaposed in other aspects as well. These aspects (interrelation between the linguo-cultures; lingo-cultural dialogue) might be of interest for both literary scholars and linguists.

The article also aims at decoding the protagonist's behavior at different – phonetic, lexical, morphological etc. – lingual levels.

დოდონა კიზირია
ამშ, ინდიანას უნივერსიტეტის პროფესორი

ქართული ენის სწავლება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული ენის სისტემატური სწავლება 1986 წლიდან დაიწყო. მანამდე იგი ისწაელებოდა მსოლოდ სპორადულად, ერთი ან ორი სემესტრის განმავლობაში და როგორც წესი, ამ კურსების მსმენელი იყო თითო-ოროლა, უმთავრესად ლინგვისტიკით დაინტერესებული სტუდენტი.

1971-72 სასწავლო წელს ჩამოყალიბდა ქართული ენის შემსწაელელთა პირველი ჯგუფი ინდიანის უნივერსიტეტეტის მთავარ ფილიალში, რომელიც ამ შტატის ქალაქ ბლუმინგტონში მდებარეობს. ამ ჯგუფის შექმნა განაპირობა სრულიად შემთხვევითმა ფაქტორმა. კერძოდ იმან, რომ სლაური ენებისა და ლიტერატურის განყოფილების დეკანი, პროფესორი უილიამ ეჯერტონი პირადად დაინტერესდა ესწაელა ქართული ენა. ბატონი ეჯერტონი მე-18 საუკუნის რუსული ენის სპეციალისტი იყო, მაგრამ სმენოდა ამ ენის სირთულისა და „უცნაურობის“ შესახებ და სურდა გასცნობოდა მის ზოგად სტრუქტურას. მან დააინტერესა რამდენიმე ლინგვისტი და ასპირანტი ჩაწერილიყო ქართული ენის ამ ექპერიმენტალურ კურსზე. ამგვარად, მე აღმოვჩნდი ჩემთვის სრულიად მოულოდნელი და წარმოუდგენლად ძნელი ვალდებულების წინაშე – მომემზადებინა მასალა ქართული ენის დაწყებითი კურსის სასწავლებლად. ჩემი უშუალო პროფესიული სფერო რუსული ლიტერატურა, კინოს ისტორია და თეორია იყო და ენის სწავლების არავითარი გამოცდილება არ მქონდა, განსაკუთრებით მშობლიური ენისა, რის გამოც შიშით ველოდი სემესტრის პირველ დღეს. ჯგუფში შედიოდოდნენ არა დამწყები სტუდენტები, არამედ სამი პროფესორი, ბატონი ეჯერტონის ჩათვლით, და ორი ასპირანტი, რომლებსაც, როგორც აღმოჩნდა, ძალზე ვიწროდ განსაზღერული მიზანი ჰქონდათ მხედველობაში. ერთი დაინტერესებული იყო ქართველი მენშევიკების მოღვაწეობით და სურდა მათი ნაშრომების სათაურები მაინც წაეკითხა ქართულად, მეორე კი ხალხური მუსიკის მოყვარული გახლდათ, ჩაწერილი ჰქონდა თურქეთში მცხოვრები ქართველების მიერ ნამღერი მელოდიები და აპირებდა ამ სიმღერების ინგლისურად თარგმნას.

ქართული ენის სწავლების სფეროში სრული უცოდინარობისა და გამოუცდელობის გამო, მე იმდენად არ ვასწაელიდი, რამდენადაც ვპასუხობდი

ჩემი „სტუდენტების“ უაღრესად საინტერესო კითხვებს, რომლებმაც მშობლიური ენის სირთულეზე პირველად ამიხილეს თვალი. მათმა კითხვებმა ნათელი გახადეს ის ფაქტიც, თუ რამდენად მწირი და არააღექვატური იყო არაქართველთათვის გამოსაყენებელი სასწავლო მასალა. სპეციალურად ინგლისურენოვანი მსმენელისთვის გათვლილი რაიმე სახელმძღვანელო კი ფაქტიურად არც არსებობდა. ეს არ იყო გასაკვირი, ვინაიდან დასავლეთში ქართული ენის აკადემიური ფორმით სწავლების პრეცედენტი თითქმის არ ყოფილა. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა ორმოციანი წლების ბოლოს შვეიცარიაში, ციურისის უნივერსიტეტში მოღვაწე შესანიშნავი ლინგვისტის, კიტა ჩხენკელის მიერ შექმნილი ქართველოლოგიის ცენტრი. მისი სამი ერთგული სტუდენტი ქალის მონაწილეობით მან შეადგინა და 1958 წელს გამოსცა გერმანულ ენაზე ღღეს უკვე კარგად ცნობილი ქართული ენის სახელმძღვანელო ორ ტომად[1]. ქართულის სწავლების პირველ წელს კი ჩემს ხელთ იყო მხოლოდ რუსულ ენაზე დაწერილი ორიოდე სახელმძღვანელო, რომლებიც შედგენილი უნდა ყოფილიყო საქართველოში არსებული რუსული სკოლებისათვის და ამიტომ სწავლების მეთოდიკის თვალსაზრისით სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდა. მე ვსარგებლობდი ჩემს მიერ შეთხზული და, უნდა ვაღიარო, საკმაოდ უხუსური ტექსტებითა და სავარჯიშოებით, რომლებიც ძალზე ელემენტალურ დონეზე იყო შედგენილი.

ამ პირველი ექსპერიმენტის შემდეგ, 1988 წლამდე ინდიანას უნივერსიტეტში ქართული ენის კურსი ოფიციალურად არ გამოცხადებულა, ვინაიდან შეუძლებელი აღმოჩნდა თუნდაც ორკაციანი ჯგუფის შედგენა. იმ პერიოდში არა მარტო ამერიკის პოლიტიკა, არამედ აკადემიური სასწავლო პროგრამებიც კონცენტრირებული იყო მხოლოდ და მხოლოდ რუსეთზე. სტუდენტებისათვის რუსული ენისა და ლიტერატურის შესწავლა ნიშნავდა სამუშაო ბაზარზე გასელისა და კარიერის შესაძლებლობას აკადემიურ, სამთავრობო ან ბიზნესის სფეროში. მათთვის არც პრაქტიკულ და არც პროფესიულ საჭიროებას არ წარმოადგენდა ქართულის ან რომელიმე სხვა საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხების ენის შესწავლა. მით უმეტეს, რომ სასწავლო მასალაც არ იყო ადვილი მოსაძებნი. რუსული ენა კი საბჭოეთის ლინგუა ფრანცა იყო და მის მთელ ტერიტორიაზე გამოიყენებოდა.

მიუხედავად ამისა, იმვიათად მაინც ქართული ენის სწავლების სურვილს გამოთქვამდა თითო-ოროლა სტუდენტი, რომლებსაც ყოველთვის სრულიად კონკრეტული მიზანი ჰქონდათ. მაგალითად, ერთი მათგანი საბიბლიოთეკო საქმეს შეისწავლიდა და სურდა რუსული ენის გარდა ელემენტალური ქართულიც სცოდნოდა. მას იმედი ჰქონდა, რომ კონგრესის ბიბლიოთეკაში იშოვიდა სამსახურს და ამგვარი „ეგზოტიკური“ ენის ცოდ-

ნა მის პროფესიულ შესაძლებლობებს დამატებით ქულას შესძენდა. კიდევ ორი თუ სამი სხვა სტუდენტი საერთო ლინგვისტიკაზე წერდა საღიპლომო ნაშრომს და მათ აინტერესებდათ გარკვეული გრამატიკული ფუნქციების საკითხი ქართულ ენაში. ქართული ენის შესწავლა უმეტეს წილად ღღესაც სპეციფიური მოსაზრებებით არის მოტივირებული და ეს ფაქტი თავის მხრივ გავლენას ასდენს ენის სწავლების მეთოდიკაზე, რაზეც ქვემოთ მექნება ლაპარაკი.

საბედნიეროდ, ამერიკაში ქართულ ენას პყავდა ენერგიული და ჭეშმარიტად თავდადებული პროპაგანდისტი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი, ჰაუარდ არონსონი, რომლის დამსახურება ამერიკელი სტუდენტების ქართული ენით და საქართველოთი დაინტერესებაში ფასდაუდებელია. სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი ქართული ენის სისტემატურ სწავლებას ამერიკის შეერთებულ შტატებში. პროფესორ არონსონს ინდიანას უნივერსიტეტში ჰქონდა მიღებული დიპლომი და შემდგომ, სამოციანი წლების ბოლოს მან, უკვე ასპირანტმ, ერთი სასწავლო წელი მოსკოვში გაატარა და საქართველოსაც ესტუმრა. აქედან იწყება მის მიერ ქართული გრამატიკის ფუნდამენტალური შესწავლა და შემდგომ, სამოცდაათიან წლებში მისი ლინგვისტურ-თეორიული კუთხით სწავლება ჩიკაგოს უნივერსიტეტის სლაური ენებისა და ლიტერატურის კათედრაზე. მისი სტუდენტები იყვნენ ღღეს კარგად ცნობილი ამერიკელი ქართველოლოგები: ალისა პარისი, ქეით ტუიტი და დი ჰოლისკი, რომლებსაც ღღესაც მჭიდრო კავშირი აქვთ საქართველოსთან.

1986 წელს პროფესორმა არონსონმა მიიღო ორწლიანი გრანტი, რათა საზაფხულო სემესტრის დროს ჩიკაგოს უნივერსიტეტში გახსნილიყო ექსპერიმენტალური კურსი ქართული ენის შესასწავლად. მან მიმიწვია პრაქტიკული გაკვეთილების ჩასატარებლად – კითხვა, თარგმნა, უბრალო, ყოველდღიურ თემებზე სალაპარაკო მასალის დამუშავება და სხვა ამგვარი. თვითონ პროფესორი არონსონი გრამატიკას ასწავლიდა იმ წიგნის მიხედვით, რომელიც მან 1982 წელს გამოსცა[2]. ნაწილობრივ მეც მისი სტუდენტი გავხდი, ვესწრებოდი მის ლექციებს და ვიძენდი გამოცდილებას, რომელმაც მნიშვნელოვნად გამიადვილა შემდგომ წლებში ქართული ენა დამოუკიდებლად მესწავლებინა. სწორედ იმ გაფხულს დაიწერა თავისი ლექსიკითა და ფაქტობრივი მასალით ღღეს უკვე საკმაოდ მოძველებული დიალოგები, რომლებიც მოგვიანებით პროფესორი არონსონისა და ჩემი ავტორობით შედგენილ სახელმძღვანელოში შევიდა[3].

ჩიკაგოში ქართული ენის საზაფხულო კურსი კიდევ ერთხელ ჩატარდა 1987 წლის გაფხულს, ხოლო მომდევნო წლიდან იგი ინდიანას უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლის პროგრამის ნაწილი გახდა, სადაც მისი სწავ-

ლება დღემდე გრძელდება. ჩიკაგოდან ბლუმინგტონში მისი გადმოტანა გამოწვეული იყო სასვლადასვლა მოსაპრებით, რომელთაგან ერთ-ერთი იყო ის ფაქტი, რომ ინდიანას უნივერსიტეტში უკვე არსებობდა ჯერ კიდევ 1950 წელს დაფუძნებული უცხო ენების საზაფხულო ინსტიტუტი, ან როგორც მას უწოდებენ – საზაფხულო სკოლა. მისი საყოველთაოდ ცნობილი სახელია Summer Slavic Workshop. პროგრამა ინტენსიურია და რვა კვირა გრძელდება – იენისის შუა რიცხვებიდან აგვისტოს შუა რიცხვებამდე. გაკვეთილები ტარდება ყოველ დღე ოთხი-ხუთი საათის განმავლობაში. სტუდენტები მოდიან ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან და კოლეჯებიდან, ხოლო ზოგჯერ ევროპიდანაც. ეს საზაფხულო სკოლა ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი და კარგა ხნის განმავლობაში ერთადერთი ამგვარი სასწავლო დაწესებულება იყო უცხო ენების ინტენსიური პროგრამით შესასწავლად. თავდაპირველად აქ ასწავლიდნენ მხოლოდ რუსულსა და რამდენიმე სლავურ ენას, უმთავრესად პოლონურსა და ჩეხურს. სწორედ ამიტომ შემორჩა მას მისი ძველი დასახელება, თუმცა დროთა განმავლობაში პროგრამაში სხვა ენებიც იქნა შეტანილი, როგორც სლავური, ისე არასლავური. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი ათამდე დამატებითი კურსი გაიხსნა, სადაც ისწავლება უზბეკური, ყაზახური, აზერბაიჯანული, პაშტუ და სხვა. ერთი-ორჯერ ჩეჩნური ენის კურსიც იქნა შეთავაზებული. ამ მხრივ ეს საზაფხულო სკოლა დღესაც უნიკალურია ამერიკის შეერთებულ შტატებში.

უკანასკნელი შვიდი-რვა წლის განმავლობაში ქართული ენით დაინტერესება მნიშვნელოვნად გაიზარდა. დღეს იგი ისწავლება ამერიკის რამდენიმე უნივერსიტეტსა და კოლეჯში, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო სასწავლებლებში; მაგრამ ნებისმიერ ამ დაწესებულებაში ქართული ენის კურსი არ არის სტაციონარული; კურსის გახსნა დამოკიდებულია სტუდენტების დაინტერესებაზე და ამიტომ მას უმთავრესად დროებითი ხასიათი აქვს. ზოგჯერ შეიძლება კურსზე სამი ან მეტი სტუდენტი ჩაეწეროს, ზოგჯერ არც ერთი და ამიტომ კურსიც არ შედგება. უკვე ოც წელზე მეტია, რაც იგი სისტემატურად მხოლოდ ინდიანის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლაში ისწავლება. ამასთანავე, 2004 წლიდან სტუდენტები ქართულს სწავლობენ პირველი და მეორე კურსის დონეზე, მანამადე კი მხოლოდ დაწყებითი ჯგუფი იქმნებოდა. შემსწავლელთა რიცხვი აქაც მერყეობს. სტუდენტების რაოდენობა თითო ჯგუფში საშუალოდ სამიდან ექვსამდე აღწევს, თუმცა ყოფილა წლები, როდესაც კლასში ერთი ან ორი სტუდენტი მჯდარა.

ამგვარად, ქართული ენის სისტემატურ სწავლებას ამერიკაში ძალზე მოკლე ისტორია აქვს. მისი სწავლების მეთოდიკა და სასწავლო მასა-

ლებიც დამუშავებისა და დახვეწის პროცესშია. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა, ვინც ამ საქმიანობაშია ჩაბმული, უკვე მუშაობს სწავლების სხვადასხვა პრობლემებსა და თავისებურებებზე, რომლებიც ამ დროისათვის გამოიკვეთა. ქვემოთ მე ვილაპარაკებ ჩემს პირად გამოცდილებასა და მოსაზრებებზე, რომლებსაც, შესაძლოა, ყველა არ დაეთანხმოს. სიამოვნებით გაეცნობი მათ აზრს და მივიღებ მათ კრიტიკას.

პირველ ყოვლისა, მინდა ხაზი გავუსვა განსხვავებას, ერთი მხრივ, ქართული ენის და, მეორე მხრივ, გლობალური გავრცელების ენათა შესწავლის მიზნობრივ ხასიათს შორის. ამ უკანასკნელთა რიცხვში შედის პირველ ყოვლისა, ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ესპანური და საწილობრივ რუსულიც. მათ შესწავლას ერთგვარი უნივერსალურობა ახასიათებს, მაშინ როდესაც ქართული ენა უფრო ვიწრო და პარტიკულარული მიზნით ისწავლება. მაგალითად, ფრანგულ ენას სტუდენტი სწავლობს არა მხოლოდ იმისათვის, რომ ინფორმაცია მიიღოს რაიმე სპეციალურ სფეროში — წაიკითხოს ლიტერატურა ფრანგული ხუროთმოძღვრების შესახებ, გაეცნოს ფრანგულ ისტორიოგრაფიას ან ჩაწვდეს ფრანგული კულინარიის საიდუმლოებას. არც მხოლოდ იმისათვის, რომ შეძლოს პარიზის ქუჩებში გამელელს პკითხოს ლუვრთან მისასვლელი გზა, ან გაიგოს მეტროს ბილეთის ფასი. რასაკვირველია, არიან ისეთებიც, რომლებსაც სწორედ ეს მიზანი ამოძრავებს, მაგრამ როგორც წესი, ამ ენას სწავლობენ საერთო, უნივერსალური საჭიროებისათვის. შემსწავლელს სურს, სტუდენტია იგი თუ ვინმე სხვა ენთუზიასტი, იკითხოს და ილაპარაკოს ამ ენაზე სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სიტუაციის მიხედვით. მას შეუძლია იგი გამოიყენოს როგორც უბრალო ტურისტული დანიშნულებისათვის, ასევე სამუშაოდ აკადემიურ, დიპლომატიურ, სამეცნიერო და სხვა სფეროებში, როგორც თვით საფრანგეთში, ასევე მის გარეთაც. ეს უკანასკნელი ფაქტორი განსაკუთრებით მნშვნელოვანია.

რაც შეეხება ქართული ენის სწავლებას, იგი ყოველთვის დაკავშირებულია კერძოდ საქართველოსთან და ქართულ რეალობასთან, არის ეს ტურისტულ-სამოგზაურო საჭიროება, პირადი მეგობრობით გამოწვეული ინტერესი თუ ისეთი სერიოზული სფერო, როგორიცაა პოლიტიკა, ისტორია, ხელოვნება ან თვით ქართული ენა, როგორც ლინგვისტური ფენომენი. საქართველოს გარეთ ამ ენის გამოყენების შესაძლებლობები ძალზე შეზღუდულია და სპეციფიურია. ამიტომ, სავარაუდოა, რომ შემსწავლელთა რიცხვიც ყოველთვის შედარებით მცირე იყოს.

როგორი აქსიომატურიც არ უნდა ჩანდეს ეს მოსაზრება, ზემოთ ხაზგასმულ სხვაობაზეა დამოკიდებული ქართული ენის სწავლების მეთოდიკაც და სასწავლო მასალის სასიათიც. ამ თვალსაზრისით ქართული ენის შეს-

წაელის მიზნობრივი სპეციფიკა შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: პროფესიულ-პასიური, პროფესიულ-აქტიური და ორდინალური.

პროფესიულ-პასიური მიზნით მოტივირებულ სტუდენტს სურს შეისწავლოს ენა იმდენად, რომ შეძლოს იკითხოს მის პროფესიულ სფეროსთან დაკავშირებული ლიტერატურა – ტექნიკური, მხატვრული თუ მეცნიერული, – და სწორად ნაკლებადაა დაინტერესებული განვითაროს სალაპარაკო ან სმენითი აღქმის ჩვევები. მე მყავდა სტუდენტი, ღღეს თვითონ პროფესორი-ისტორიკოსი, რომელიც საკმაოდ ადვილად კითხულობდა და თარგმნიდა ლეონტი მრავალს და შუასაუკუნეების ქართული ლიტერატურის სხვა ნიმუშებს, მაგრამ ქართულად ლაპარაკი ძალიან უჭირდა და არც თვლიდა მისთვის აუცილებელ საჭიროებად. არა ერთი ლინგვისტი ქართველოლოგი, როგორც ევროპელი, ასევე ამერიკელი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დიდი გაჭირვებით ლაპარაკობს ქართულად, თუნდაც სრულიად უბრალო თემაზე. მაგრამ ეს არავითარ ჩრდილს არ აყენებს მათ მაღალპროფესიულ კომპეტენტურობას.

პროფესიულ-აქტიური მიზანი აქვთ იმათ, ვისი მუშაობის ხასიათი თუმცა სპეციფიური ლექსიკის შესწავლას მოითხოვს, იგი უმთავრესად დაკავშირებულია ენის სმენით აღქმაზე. მათ სურთ შეძლონ რადიო და ტელეგადაცემების მოსმენა და მთავარი აზრის გაგება, სხვადასხვა სახის საველე მუშაობაში მონაწილეობის მიღება და სხვა ამგვარი (მაგალითად, სოციალური, ეთნოგრაფიული ან სხვა ტიპის გამოკვლევები, გამოკითხვები და სხვა). ამ შემთხვევაში, სალაპარაკო ენის ჩვევების ათვისება გარკვეულ ფარგლებში აუცილებელიც არის და სასარგებლოც, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სპეციფიურ ლექსიკასა და ფრაზეოლოგიას, ან თხრობის სპეციფიურ კლიშეებს. როგორც ცნობილია, ნებისმიერ ენაში დიდი განსხვავებაა ყოველდღიურ სალაპარაკო ენასა და სტანდარტიზებულ ენას შორის, იქნება ეს დაბეჭდილი თუ წაკითხული ტექსტი.[4] თუმცა სხვადასხვა ბეჭდვითი მასალის საერთო ბაზად ენის სტანდარტიზებული ფორმებია მიღებული. თავისი ლექსიკური, სინტაქსური და ნარატიული ფორმულებით საგაზეთო ჟურნალისტურ ენასა და სამეცნიერო ლიტერატურულ ენებს შორისაც მნიშვნელოვანი სხვაობაა, რასაც ტექსტების არჩევის დროს ყურადღება უნდა მიექცეს.

ორდინალური ტიპის სწავლება კონცენტრირებულია უმეტესად სალაპარაკო ჩვევების განვითარებაზე, რათა სტუდენტმა შეძლოს ყოველდღიური სალაპარაკო ენის გაგება და ათვისება, სხვადასხვა პრაქტიკული მნიშვნელობის თემებზე აზრის გამოთქმა და საუბარი. ეს ყველაზე ტრადიციული და გავრცელებული შეხედულებაა ნებისმიერი ენის სწავლების დროს, თუმცა დღესდღეობით ამ მიზნით ენის სწავლების მეთოდებიც საკმაოდ განსხვავ-

ლებიან ერთმანეთისაგან.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართული ენის სწავლება დაკავშირებულია ისეთ თავისებურებებთან, რაც გლობალური გავრცელების ენათა შესწავლის მეთოდიკას, როგორც წესი, არ ახასიათებს. ეს არის, პირველ ყოველისა, სწავლების მოკლე ვადა – რეა კვირა, ერთი სემესტრი, ან თუნდაც ერთი წელი. ისეთი ენები კი როგორიცაა ფრანგული, გერმანული, ესპანური ან რუსული 4-5 წლის პროგრამით ისწავლება. დროში ამგვარად შეზღუდვის გამო, ქართული ენის შესწავლის სპეციფიური მიზანი გაცილებით უფრო ადრე იკეთება და სწავლების მეთოდიც შესაბამად უნდა იქნეს მოდიფიცირებული. მეორე თავისებურებას წარმოადგენს ჯგუფში სტუდენტთა მცირე რაოდენობა. ერთი მხრივ, ეს დადებითი მოვლენაა, რადგან შესაძლებელს ხდის ყოველი სტუდენტისადმი ინდივიდუალური ყურადღების მიქცევას და სწავლების პროცესის ინტენსიურობას. მეორე მხრივ, ინტერესთა სხვაობაც უფრო ადრე იჩენს თავს, რაც საკმაოდ მნიშვნელოვან სიძნელეებს ქმნის ლექტორისათვის. ყოფილა შემთხვევა, როდესაც რეა კვირის ბოლოს ერთ სტუდენტს დაწუწუნებია იმის გამო, რომ სალაპარაკო ენის ჩვევები დამაკმაყოფილებლად ვერ აითვისა, სოლო მეორეს სისინული გამოუთქვამს, რომ საკმაო რაოდენობის საგაზეთო ან სამეცნიერო ტექსტების წაკითხვა ვერ მოსერხდა. ამგვარ სტუაციაში ბევრი რამ არის დამოკიდებული ლექტორის ალღოზე, რათა გამოინახოს არსებულ პირობებში სწავლების მეთოდის ოპტიმალური ვარიანტი.

თავისთავად ცხადია, რომ როგორი მიზანიც არ უნდა პქონდეს ამა თუ იმ სტუდენტს, სწავლების საერთო ამოსავალი წერტილი არის გრამატიკის საერთო საფუძვლების, ელემენტალური ლექსიკური ბაზისა და სინტაქსური სისტემის სწავლება. ასევე აუცილებელია საითამაღო აუდიო მასალის გამოყენება, რათა სტუდენტები ადრევე გაერკვნენ ქართული ბგერების ქვერადობის გრადაციებში (მაგალითად, სხვაობა თ-სა და ტ-ს შორის, ან ჩ-ს და ჭ-ს შორის) და სინტაქსური სასიათის ინტონაციებში, რაზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული წინადადების სწორი გაგება. მაგრამ ამ დონეზეც კი ზოგჯერ გათვალისწინებელი სიძნელეები იქმნება. ქართული ენის სირთულისა და მისი პროფესიულ-პრაქტიკული გამოყენების გარკვეული შეზღუდულობის გამო მას, როგორც წესი, შეისწავლიან უმთავრესად ასპირანტები ან ისეთი სტუდენტები, რომლებსაც უკვე აქვთ სხვა უცხო ენების მეტ-ნაკლებად ფუნდამენტალური შესწავლის გამოცდილება; ამიტომ გრამატიკა მათთვის უცხო სილი არ არის. თუმცა სამწუხაროდ, ჩემს პრაქტიკაში არაერთხელ მქონია შემთხვევა, როცა სტუდენტისთვის ელემენტალური გრამატიკული ტერმინები – არსებითი სახელი, საცვალსახელი, განსაზღვრება და სხვა – ინგლისურ ენაზეც კი სრულიად უცნობი იყო.

ამიტომ საჭირო გამხდარა მათი მნიშვნელობისა და ფუნქციების ახსნა-განმარტება, რათა ქართულად სულ უბრალო წინადადების ლოგიკა მაინც ყოფილიყო გასაგები.

ეს სავალალო მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ამერიკის სკოლების უმრავლესობაში ინგლისური ენის გრამატიკა საერთოდ არ ისწავლება. გრამატიკული ფუნქციებისა და მათი წესების არსებობის შესახებ სტუდენტი მხოლოდ მაშინ გებულობს, როცა იგი რომელიმე უცხო ენის შესწავლას იწყებს.[3] ბედმეტია საუბარი იმაზე, თუ როგორ ართულებს და ანელებს ეს ფაქტი უცხო ენის სწავლების პროცესს და ოპტიმალური მიდგომის გამონახვას მცირერიცხოვან ჯგუფში სხვადასხვა დონის და მოთხოვნილების სტუდენტებთან.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის სკოლებში გრამატიკის უგულებელყოფის პარალელურად ხდებოდა მისი სვედრითი წონის შემცირება და სრული გამორიცხვაც კი უცხო ენის სწავლების მეთოდებიდან. ეს მიმდინარეობა ნაწილობრივ წარმოადგენდა უკურეაქციას ენის სწავლების იმ ძველი ტრადიციის მიმართ, რომელიც უმთავრესად გრამატიკაზე ახდენდა კონცენტრირებას. მაგრამ როგორც ეს სშირად ხდება, ამ მიდგომას მოჰყვა ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდერესობაში გადაეარდნა. „რაც შეიძლება საკლები გრამატიკა“, მოუწოდებენ ახალი მიმდინარეობის პროპაგანდისტები.[4] ამ პოზიციის პოპულარობას სხვა ბევრი მიზეზიც აქვს, როგორიცაა, მაგალითად, ინფორმაციის ხედვითი ფორმების გლობალური გავრცელების ფაქტორები – ტელევიზორი, კომპიუტერი, სტაციონარული და კომპაქტური ვიდეო და სატელეფონო საშუალებები. სერიოზული და კლასიკური ლიტერატურა თითქმის არავითარ ინტერესს აღარ იწვევს მკითხველის ფართო წრეებში და ნაკლებად ისწავლება ამერიკის სკოლების უმრავლესობაში. ამიტომ უცხო ენის სწავლების დროსაც კითხვისა და თარგმნის ჩვევების განვითარება მეორე და მესამე ადგილს იკავებს, ხოლო სალაპარაკო ფორმულების ათვისებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ამიტომ აუდიო და ვიდეო მასალებს პირველი ადგილი უკავია სწავლების პრაქტიკაში.

ცხადია, რომ აუდიო და ვიდეო საშუალებების გამოყენება ენის სწავლების პროცესში ღღეს სრულ აუცილებლობას წარმოადგენს. მაგრამ გრამატიკის სრული უარყოფა იმდენად რადიკალური გადახრაა, რასაც, ჩემი აზრით, მხოლოდ ბიანის მოტანა შეუძლია. საქმე იმაშია, რომ ე.წ. უგრამატიკოდ ენის სწავლების მეთოდები ეყრდნობა პირველ ყოვლისა ინგლისური ენის, როგორც უცხო ენის, სწავლების პრაქტიკას. მათ ავტორებს შემოთავაზებული აქვთ სხვადასხვა ჭეშმარიტად საინტერესო და საყოველ-

თაოლ გამოსაყენებელი მაგალითები. მაგრამ ინგლისური ენისა და სხვა, განსაკუთრებით არაინდოევროპული ენების სტრუქტურული თავისებურებები იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ მათი სწავლების პროცესში ერთი და იგივე მეთოდის გამოყენება არავითარ შემთხვევაში არ არის გამართლებული. ის სტუდენტები, რომლებიც, ქართულს, ასე ეთქვათ, უგრამატიკოდ სწავლობდნენ, აღრე თუ გვიან იძულებული ხდებოდნენ მიემართათ სწავლის უფრო ტრადიციული მეთოდებისათვის, რათა შეძლებოდათ ენის უკეთესად და უფრო შეღეგიანად გამოყენება, რა მიზნითაც არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული მათი ამ ენით დაინტერესება.

დღესდღეობით ქართული ენის უკვე რამდენიმე სახელმძღვანელოა შექმნილი ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე სტუდენტებისათვის.[7] ყოველი მათგანი წინ გადადგმული ნაბიჯია უცხოელთათვის ქართული ენის სწავლების მეთოდების დამუშავებაში. ცხადია, ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა და სიძნელეების გადალახვა იქნება საჭირო, რათა, როგორც ტრადიციული, ისე უახლესი მეთოდების გამოყენებით შეიქმნას ამ ენის სპეციფიკაზე გათვლილი სწავლების თეორიული საფუძველი და პრაქტიკული განსორციელების ხერხები.

შენიშვნები:

[1] Kita Tschenkeli, Einfurung in die georgische Sprache; Zurich: Amirani Verlag, 1958. თუმცა ლექსიკური მასალის მხრივ ეს წიგნი დღეისათვის საკმაოდ მოძველებულია, იგი ნაწილობრივ მაინც ახლაც შეიძლება იქნეს გამოყენებული. 1974 წელს კიტა ჩხენკელის სტუდენტებმა გამოსცეს მის მიერ შეღგენილი ქართულ-გერმანული ლექსიკონი. ამ ლექსიკონში გამოყენებული ბმნების კატალოგიზაციის სისტემა ჯერჯერობით ყველაზე საფუძვლიანი და პრაქტიკულია. სამწუხაროდ, ამ სასელმძღვანელოს გამოყენება ჩემს პირველ ჯგუფში შეუძლებელი აღმოჩნდა; თუმცა ყველა იქ მოყვანილი ტექსტი და სავარჯიშო ჩაეწერეთ მაგნიტოფონზე, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ქართული ბგერების მოსმენა. ეს კასეტები არაერთხელ იქნა გამოყენებული შემდგომ წლებში ინდიანას უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულ ქართული ენის შემსწავლელ კურსებზე და ისინი ახლაც ინახება უნივერსიტეტის აუდიო ლაბორატორიაში.

[2] Howard I. Aronson, Georgian: A Reading grammar; Bloomington, Indiana: Slavica Publishers, 1982. ეს წიგნი განსაზღვრულია ლინგვისტიკით დაინტერესებული ასპირანტურის დონის სტუდენტებისათვის და მისი ჩვეულებრივ სასელმძღვანელოდ გამოყენება საკმაოდ ძნელია. სამაგიეროდ, ის წარმოადგენს ქართული გრამატიკის საუკეთესო ენციკლოპედიას, რომელიც ეყრდნობა აკაკი შანიძის შრომებს და მისადაგებულია ინგლისურენოვანი სტუდენტებისათვის.

[3] Howard I. Aronson and Dodona Kiziria, Georgian Language and Culture; Bloomington,

Indiana: Slavica Publishers, 1999. ამ წიგნში შეტანილი გრამატიკული მასალა წარმოაღგენს პროფესორი არონსონის პირველი წიგნის დამატებას. ლიტერატურული ტექსტები კი დააინტერესებთ მათ, ვისაც სურს გაეცნოს ქართული ლიტერატურის კლასიკურ ნიმუშებს. რაც შეესება დიალოგებს, მათი ლექსიკა აირეკლავს საბჭოთა პერიოდის თაეისებურებებს და დღეისათეის ძალზე მოძეელებულია.

[4] სამწუხაროდ, დღევანდელ დღეს ქართული ენის სტანდარტიზაციის პრობლემებს არ ექცევა სათანადო ყურადღება, რამაც შეიძლება დროთა განმავლობაში ენის ისეთი დეგრადირება გამოიწვიოს, რომ პრაქტიკულად მისი აღქეატურად შესწაელა შეუძლებელი გახადოს. ქართული ქურნალისტური კულტურაც უაღრესად კრიზისულ უამშამია და გაზეთებში მოთაესებული სტატიები თუ სხეა ქანრის ტექსტები სშირად ძალზე არააღქეატურ სასწაელო მასალას წარმოადგენს.

[5] ეს საეალალო სიტუაცია არაერთხელ აღუნიშნაეთ ჩემს კოლეგებს, რომლებიც რუსულ, ფრანგულ, გერმანულ ან იტალიურ ენებს ასწაელიდნენ. მე არ ეიცი, ამჟამად რა დონეზე ისწაელება გრამატიკა ქართულ სკოლებში, მაგრამ აშშ-ს უნიეერსიტეტებში ჩემი მუშაობის გამოცდილების საფუძეელზე, სრული ღარწმუნებით შემიძლია ეთქეა, რომ ამ საგნის უგულებელყოფას, ან მისი სასწაელო პროგრამიდან ამოღებას შესამჩნეეად ნეგატიური შედეგები მოჰყეა სოლო ამას თაეის მხრიე შუძლია ასეე საეალალო შედეგები იქონიოს მთლიანად კულტურის სფეროში და მნიშნელოენად დააქეეითოს ისედაც კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი საერთო განათლების დონე. ამასთან დაკაეშირებით საგულისხმოა ერთ-ერთი ამერიკელი კონგრესმენის განცხადება, რომელიც მან ჯერ კიდეე ათიოდე წლის წინ გააკეთა. „თუ წარმოეიდგენთ, რომ ჩეენს ქეეყანაში განათლების დონე მტრის შემოსეეის შედეგია, – თქეა მან, – შეძლება ჩათეალოთ, რომ ჩეენ უკეე დაპყრობილი ერი ეართ".

[6] ამ საკითხის თაობაზე საინტერესო გამოკელეეა აქეს ქალბატონ მანანა ჯინჯიხაშეილს. იგი განიხილაეს სსეადასხეა ავტორების ნაშრომებს, მაგრამ რამდენადაც ეიცი, საქართეელოში განსაკუთრებული პოპულარობა აქეს მოიპოეებული უგრამატიკოდ ენის სწაელების ერთ-ერთი დამცეელის, ალან კროუფორდის წიგნს: Crowford, Alan et al., Teaching and Learning Strategies for the Thinking Classroom; International database Education Association, New york, 2005.

[7] George Huitt, A Learner's Grammar; Routlege publishers, London and New York, 1996; M. Nikolaishvili, Georgian Language (Intensive Course, I); "Metsniereba", Tbilisi, 1999; Nana Danelia, Basic Georgian; "Universali", Tbilisi, 2006. Shorena Kurtsikidze, Essentials od Georgian Grammar, Lincom Europa, Muenchen, 2006. ამა წლის ოქტომბერში გამოეა კიდეე ერთი ჩემს მიერ შედგენილი სახელმძღეანელო: Dodona Kiziria, Beginner's Georgian; Hipocrene press, New York, 2008. რაც შეესება ჯორჯ პუიტის

წიგნს, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ცნობილი ლინგვისტია, მისი სახელმძღვანელო მიუღებლად პოლიტიზირებულია და დაწერილია ქართველების მიმართ ხაგვასმული სიძულვილით. რაც მთავარია, უამრავი შეცდომაა დაშვებული ქართულ ტექსტებსა და სავარჯიშოებში, რომელთა აზრი ბოგჯერ გაუგებარიცაა. ამის შესახებ იხილეთ ჩემი რეცენზია amazon.com-ის ვებ გვერდზე, სახელმძღვანელოთა კატალოგში, სადაც ეს წიგნია შეტანილი.

DODONA KIZIRIA
Indiana University, USA, Professor

SUMMARY

TEACHING OF GEORGIAN LANGUAGE IN USA

Until a couple of decades ago the Georgian language was taught in the United States only sporadically. Usually just one or two graduate students specializing in linguistics would take a one-semester course to get an introduction to this "exotic" language. In 1986 Professor Howard Aronson of Chicago University established regular summer courses teaching Georgian. Two years later, the Summer Slavic Workshop at Indiana University added Georgian to the list of languages taught. Since then, for over twenty years, Professor Dodona Kiziria has taught Georgian at IU on a continuing basis. For the last 6-7 years, a number of other American universities have offered Georgian language courses. Student enrollment in these courses remains low (2 to 8 students per semester) for variety of reasons, the most important of which is the relatively narrow field of job opportunities.

One of the difficulties teachers of Georgian have experienced has been the lack of teaching materials – textbooks, workbooks and related items. Then in 1982 Professor Aronson's seminal Georgian: A Reading Grammar, the first book of its kind, was published. Although it remains an indispensable source for those seriously interested in studying the language, it is primarily addressed to students of linguistics and is not easily digestible for those interested in learning the language for other, more practical reasons. During last few years a number of textbooks for teaching Georgian have been published, making the task of those teaching and learning the language much easier.

Considering Georgia's geopolitical importance for the West, it is to be hoped that Georgian language courses will remain permanently in the curricula of American universities.

თემურ კობახიძე
თბილისის საერო უნივერსიტეტის
„მეტეხი“ პროფესორი

საკრალური დრო და გზის მითოლოგემა ტომას ელიოტის „მოგვთა მგზავრობაში“

როდესაც სახარების ტრადიციულ სიუჟეტზე ახალი, ორიგინალური განცდითი შინაარსის პოეტური ტილო იქმნება, როგორც წესი, მნიშვნელობა არა აქვს სოლმე სიუჟეტურ დეტალთა დაცვას, ან სახარების ტექსტთან მათ ზუსტ თანხვედრას. ჩვეულებრივ, ასეთი დამთხვევა ჩანაფიქრშიც გამოირიცხება, რადგანაც საერო პოემია არც ლიტურგიის ტექსტი და არც საგ-წერა არ არის და, ის არც უნდა მისდევდეს სიტყვასიტყვით საღმრთო წერილს, ან საეკლესიო კანონს. მით უმეტეს, რომ სწორედ დამკვიდრებული კანონიდან გადახვევაში ჩანს სოლმე ავტორის შემოქმედებითი კრედო და მისი სათქმელის არსი.

ალბათ ამიტომაა, რომ „თავის“ მოგვთა მგზავრობის მარშრუტს ტომას ელიოტი ძალიან სპეციფიკურ გარემოცვაში და ლამის წარმოუდგენელ პირობებში წარმოსახავს: ეს რთული და წვალებით აღსავსე მოგზაურობა ზამთრის სუსხიან ღღეებში ხდება. მიუსაფარ მოგვებს თავზე ათოვთ, ისინი სიბნელეში, ჭუჭყსა და სიბინძურეში, სან შარაგზით, სან ვიწრო ბილიკებით მოგზაურობენ, „მტრულად განწყობილი“ ქალაქებისა და „ვერაგი დაბების“ გვალით. მგზავრობისაგან წელგაწყვეტილი აქლემები თოელზე ეცემიან, მექარავნეები იგინებიან და სასმელს ითხოვენ, ან გარბიან. თვით მოგვები ლამის ნანობენ, რომ ამ სიშორეს საერთოდ წამოვიღნენ. ღამ-ღამობით მათ ცეცხლი უქრებათ და სუსხიან სიბნელეში მარტო დარჩენილებს, ენატრებათ შინ დატოვებული სიმდიდრე, მთის ფერდობებზე აღმართული სასახლეები და „აბრეშუმისკანიანი“ ქალწულების ხელით მორთმეული შერბეთი:

There were times we regretted
The summer palaces on slopes, the terraces,
And the silken girls bringing sherbet.
Then the camel men cursing and grumbling
And running away, and wanting their liquor and women,
And the night-fires going out, and the lack of shelters,
And the cities hostile and the towns unfriendly
And the villages dirty and charging high prices:
A hard time we had of it.

საინტერესოა, რომ მთელი ამ შთამბეჭდავი სურათის გარეთაა დარჩენილი მოგვთა თაყვანისცემის რეალური სახარებისეული სიუჟეტი – ლექსში ნასესენები არ არის არც აღმოსავლეთის ვარსკვლავი, არც პეროდესთან მოგვთა შესვედრა, არც მათ მიერ შეწირული ძღვენი, არც ძილში მიღებული უფლის შეგონება, სხვა გზით გასცლოდნენ იერუსალიმს, რომ აღარაფერი ვთქვათ ყრმათა ქლეტაზე, როგორც ამ სიუჟეტის გაგრძელებაზე. „მოგვთა მგზავრობაში“ ყურადღება გამახვილებულია თვით გზაზე და იმ მიზანზე, რომელიც მასზე მიმავალ მოგვებს ასულდგმულებს. თუმცა თვით შობაც ლექსში თითქოს გაკერითაა ნასესენები: კი, რა თქმა უნდა, იყო იქ დაბადება, მისი მომსწრენი ვართ და ეჭვი არ გვეპარებაო, ამბობს ლექსის ლირიკული გმირი:

There was a Birth, certainly,

We had evidence and no doubt.

მაგრამ თვით სახარებაში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თუ რა უძღოდა წინ იერუსალიმში მოგვთა მოსვლას – მათე მსოლოდ მოგვთა გამოჩენის ამბავს მოგვითხრობს. („აჰა მოგუნი აღმოსავლით მოვიდეს იერუსალიმს და იტყოდეს: სადა არს, რომელი-იგი იშვა მეუფე ჰურიათაჲ? (მათე, 2: 1-2). ამიტომაც არის, რომ მოგვთა მგზავრობის საცელად, ტრადიციული ქრისტიანული მსოფლაღქმისათვის ბევრად უფრო სისხლსორცეულია „მოგვთა თაყვანისცემის“ ზოგადკულტურული სატი, თავისი დადგენილი იკონოგრაფიითა და რელიგიურ წარმოდგენაში მკაფიოდ დამკვიდრებული ადგილით.

ქრისტეს შობისა (Nativity) და მოგვთა თაყვანისცემის (Adoration of the Magi) გენეტიკურად დაკავშირებული სიუჟეტები უთუალავ მსატვრულ ტილოზეა წარმოსახული და მათი დიდი ნაწილი მსოფლიო სულიერების საგანძურს შეადგენს. მათგან განსხვავებით, ადრექრისტიანული ლიტერატურიდან წარმომდგარი „მოგვთა მგზავრობის“ ზოგადკულტურული სატი ყრმის თაყვანისცემის დრამატურგიას მოკლებულია და უბრალოდ, ბეთლემის ვარსკვლავის კვალდაკვალ მიმავალ პროცესიას წარმოსახავს. პირველადი სიუჟეტი ამ სატეან წარმოდგენაშიც დარღვეულია, რადგან სახარებაში მოგვებმა მსოლოდ ისილეს „ვარსკულავი მისი აღმოსავლით“ და მათე არ აზუსტებს, გამოუყენეს ისინი ამ ვარსკვლავს, თუ „თავისით“ მოვიდნენ იერუსალიმს მას შემდეგ, რაც ეს ვარსკვლავი ნიშნად იწამეს. ფაქტია, რომ იერუსალიმში, პეროდესთან შეხვედრის შემდეგ, მოგვები ვარსკვლავს უკვე მეორედ ხედავენ: „მათ ვითარცა ისილეს ვარსკულავი იგი, განისარეს სიხარულითა დიდითა ფრიად“. (მათე, 2: 9-10). ერთი სიტყვით ის, რომ მოგვები ვარსკვლავს გამოუყენეს, იმოგზაურეს, უშველებელი გზა გამოიარეს და სხვა ყოველივე, რაც დღეს ჩვენ ამ თემაზე ვიცით, სიუჟეტუ-

რად სახარებაში დაფიქსირებული არ არის. ეს სიუჟეტი ადრექრისტიანული მწერლობის, საეკლესიო ტრადიციისა და გადმოცემისგან წარმოსდგება, რამაც ფაქტობრივად შექმნა მოგვთა მგზავრობის პოპულარული ისტორია და ხატოვანი დეტალებით „გაამდიდრა“ სახარების ერთობ „სიტყვაძუნწი“ ტექსტი. ამას ისიც მოწმობს, რომ მათესთან მოგვთა დაუზუსტებელი რიცხვი გვიანდელ გადმოცემებში უკვე სამია, შემდეგ წარმოდგენებში ისინი „აღმოსაელეთის მეუფეებად“ იქცევიან, მათ სახელებიც ერქმევა – კასპარი, მელქიორი, ბალთაზარი და ა.შ. რენესანსული იტალიის ფერწერულ ტრადიციაში მოგვთა მგზავრობა, როგორ წესი, სალისიან ფერებში დახატულ, სასისარულო და დიადი მიზნით გასხიეოსნებულ მსვლელობად წარმოგვიდგება (Giovanni Sassetta), ან მდიდრულ და პომპეზურ პროცესიად, როგორც მაგალითად, გოცოლის (Benozzo Gozzoli) ცნობილ ფრესკაში, სადაც „მოგვებად“ ლორენცო მედიჩი და მისი დინასტიის სხვა წევრებია წარმოსახული, სოლო მხლებლებად (მეჯინიბეებად?) – სიგიზმონდო მალატესტა და მილანოს დუკა გალეაცო სფორცა წარმოგვიდგებიან. თითქოს ტრადიციად დამკვიდრებულ აქლემებსაც აქ ცხენები ცვლიან. ცხადია, ყოველივე ამის მიზეზი სახარებაში შესაბამისი ტექსტის არარსებობაა, რაც საშუალებას აძლევდა ნებისმიერი ეპოქის ავტორს თავის ნებაზე წარმოედგინა ეს სიუჟეტი, თუმცა მის საბოლოო სორცშესხმათა რიცხვი „მოგვთა თაყვანისცემების“ რიცხვთან შედარებით მაინც განუზომლად მცირეა.

მოგვნი „აღმოსაელეთიდ“, ანუ გადმოცემის თანახმად, სპარსეთიდან და შუამდინარეთიდან მოემართებოდნენ ისრაელს და მათ უნდა გამოეელოთ ის გეოგრაფიული სივრცე, სადაც კლიმატური პირობები საკმაოდ რბილია. ქრისტე?შობისას თბილი ამინდი დგას ისრაელშიც, რადგან მწყემსები, რომელთაც ანგელოზი ქრისტეს მოვლინებას ახარებს, ბეთლემის ახლომდებარე ველზე აძოვებენ ცხვარს და ღამითაც ამ ცხვართან ერთად სძინავთ (ლუკა 2: 8-20). ადრექრისტიანულ ლიტერატურაში მოგვთა სამშობლოდ არაბეთის ნახევარკუნძულიც მოიხსენიება, რის საშუალებითაც ეს სიუჟეტი ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებას უკავშირდება: „არაბეთისა და შებას მეფენი ძღვენს მოართმევენ და ყველა მეფე თაყვანსა სცემს მას, ყველა სალხი დაემორჩილება“ (ფსალმ. 71(72): 10-11). ცხადია, გამთარი არც სპარსეთ-მესოპოტამიის გეოგრაფიულ არეალში, არც არაბეთში და არც ისრაელში არასოდეს არ ყოფილა ცივი, ან თოვლიანი და ის, რომ შობა მაინცდამაინც სიცივესთან და თოვლთან არის ასოცირებული, არა საერთო-ქრისტიანული, არამედ ჩრდილოურ საშობაო ესთეტიკაში ჩამოყალიბებული ზოგადკულტურული ხატია. მის მკაფიო სახესსვაობას ვხედებით, მაგალითად, პიტერ ბროიგელის ტილოებში, სადაც მოგვთა თაყვანისცემა იმეამინდელი ნიდერლანდების გამთრის პეიზაჟის ფონშეა წარმოსახული და სადაც ქრის-

ტესმობისას, „ბიბლიურ“ ბეთლემს უხვად ათოვს. დიდთოვლობაა ბროიგელის „ყრმათა ქლეტაშიც“, რაც იმას მეტყველებს, რომ დიდ პოლანდიელს და მასთან ერთად ბევრ სხვა ჩრდილოელ ფერმწერს შობასთან დაკავშირებული სიუჟეტები თოვლისა და სიცივის გარეშე ვერ წარმოედგინათ. საზოგადოდ, ჩრდილოურ კულტურულ ტრადიციაში სულერი სიცივე და თოვლი ისევე წინ უძღვის ქრისტეს შობას, როგორც სამსრეთულში – სიცხისგან გადამწვარი, ძველი აღთქმის სულიერი უღაბნო. მოგვთა მგზავრობის „საკუთარ“ კლიმატურ ასოციაციად ელიოტი არ ირჩევს არც მათი მარშრუტის პირვანდელ, ბიბლიურ პირობებს და არც იტალიური რენესანსის მზით გამთბარ პეიზაჟ??ს. მას აშკარად უფრო იზიდავს მოგვთა მგზავრობის ჩრდილოური ინტერპრეტაცია. ნიდერლანდური ფერწერისადმი ინტერესი ელიოტს სშირად გამოუთქვამს, გამოუყენებია კიდეც ის თავისი ლექსების ასოციაციურ ფონად, მაგრამ „მოგვთა მგზავრობა“ სულ სხვა ჩრდილოელის, მე-17 სუკუნის ინგლისელი საეკლესიო მოღვაწის, ეპისკოპოს ლენსლოთ ენდრიუსის ნააზრევს ეყრდნობა. შობასთან დაკავშირებულ „სიცივის ესთეტიკას“, ცხადია, რენესანსულ ინგლისშიც იზიარებდნენ და ენდრიუსიც, ჯეიმს I-ის წინაშე 1622 წელს წარმოთქმულ საშობაო ქადაგებაში სწორედ გამთრის სუსხზე საუბრობს: "...the time of their coming, the season of the year. It was no summer progress. A cold coming they had of it at this time of the year, just the worst time of the year to take a journey, and specially a long journey. The ways deep, the weather sharp, the days short, the sun farthest off, *in solsitio brumali*, in the very dead of winter" [Andrews 2009: URL]. („ ...ის დრო, როცა მოვიდნენ, ის წელიწადის დრო, ნამდვილად არ იყო შუაგაფხული. სციოდათ, როდესაც მოდიოდნენ, წელიწადის ამ დროს, სამოგზაუროდ, განსაკუთრებით – შორს სამოგზაუროდ მართლაც ყველაზე ცუდ დროს. გზა იყო ულევი, ამინდი მკაცრი, დღეები მოკლე, მზე თითქმის არ ჩანდა, *in solsitio brumali*, ამ გამთრის სიმყინვარეში“).

წარმოსახვითი სედვის სიახლოვე უდავოდ შეადგენს ლიტერატურის „ძირითადი ნაკადის“ ერთ-ერთ ნიშანს და მწერალთა სხვადასხვა თაობებში ის, ერთი შეხედვით, მოულოდნელად ვლინდება. ტყუილად არ წერდა ნორთროპ ფრაი, რომ „ლექსები მხოლოდ სხვა ლექსებიდან იქმნება, რომანები – სხვა რომანებიდან. ლიტერატურ? „გარედან“ არ ყალიბდება, ის თვითვე აყალიბებს საკუთარ თავს“ [Frye 1966: 97]. მაგალითისათვის, საშობაო ამინდი ქრისტინა როსეტისაც ციე და თოვლიან, „პირქუშ შუაზამთრად“ წარმოედგინა::

In the bleak midwinter, frost wind made moan,
earth stood hard as iron, water like a stone;
snow had fallen, snow on snow, snow on snow,

in the bleak midwinter, long ago.

("In the Bleak Midwinter", 1872)

როსეტიზე ორნახევარი საუკუნით ადრე, „ველურ ზამთრად" (the winter wild) წარმოსახავდა შობის ამინდს ჯონ ილტონიც თავის „ოდაში" (On the Morning of Christ's Nativity, 1629). აქ ბუნება „ქალწულური, წმინდა სითეთრის ფარდას" ისსაჳს (The saintly veil of maiden white), რათა თაჳისი ბიწიერი სახე „უმანკო თოვლით დაფაროს" (To hide her guilty front with innocent snow). როსეტის „პირქუში შუაზამთარი" (bleak midwinter) და მილტონის „ველური ზამთარი" (wild winter) აშკარად ენდრიუსის „ზამთრის გამყინვარების" (dead of winter) თანაჳღერადია, მითუმეტეს, რომ სამივე სახე ერთი და იგივე თემატური კონტექსტის ნაწილს შეადგენს, ყველგან შობაზეა საუბარი. საინტერესოა, რომ ამავე სახეს იყენებს უისტან ჰიუ ოდენიც, 1936 წელს იეიტსის გარდაცვალებაზე დაწერილ ცნობილ ელეგიაში:

He disappeared in the dead of winter:
The brooks were frozen, the airports almost deserted,
The snow disfigured the public statues;
The mercury sank in the mouth of the dying day.
What instruments we have agree
The day of his death was a dark cold day.

(In Memory Of W.B. Yeats)

იგივე სასის აშკარა გამოძახილი ისმის იოსიფ ბროდსკის ელეგიაშიც, რომელიც მან 1965 წელს, უკვე თვით ტომას ელიოტის გარდაცვალებაზე შექმნა:

Он умер в январе, в начале года.
Под фонарем стоял мороз у входа.
Не успевала показать природа
Ему своих красот кордебалет.
От снега стекла становились уже.
Под фонарем стоял глашатай стужи.
На перекрестках замерзали лужи.
И дверь он запер на цепочку лет.

(На смерть Т. С. Элиота)

თუმცა ოდენისა და ბროდსკისაგან განსხვავებით, თვით ელიოტი ფარულ ასოციაციურ მინიშნებას არ მიმართავს. ოდნავ შეცვლილი სახით, მისი ლექსის პირველსავე სტროფში უშუალოდ არის ციტირებული ენდრიუსის ქადაგების სწორედ ის ნაწყვეტი, რომელიც „ზამთრის გამყინვარებაში" მოგვთა მგზავრობის სირთულეებს ასახავს:

A cold coming we had of it,

Just the worst time of the year
For the journey, and such a long journey:
The ways deep and the weather sharp,
The very dead of winter.

ლექსში თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს. ენდრიუსის „ისინი“ შეცელილია „ჩვენ“-ით და მთელი ნაწარმოები წარმოადგენს ერთ-ერთი მოგვის დრამატულ მონოლოგს იმ შინაგან გარდატეხაზე, რაც ამ მოგზაურობამ მისსა და მისი თანამგზავრების ცხოვრებაში მოახდინა. ელიოტმა „მგზავრობა“ 1927 წელს, ანგლო-კათოლიკედ მოქცევის შემდეგ შექმნა და ლექსიც უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღებისას პოეტის რთულ განცდით მდგომარეობას ასახავს. ეს განწყობილება ფსევდობიბლიურ სიუჟეტშეა პროეცირებული: მოგვთა სულიერი ძიების ფათერაკები და მათი სიმბოლური მგზავრობის ფსიქოლოგიური დაძაბულობა ლამის ფიზიკური შეჭირვების ქარაგმული ხატოვანებით არის გადმოცემული. მეორე მხრივ, ლექსი არ წარმოადგენს არც მოგვთა მგზავრობის ამბის „თავიდან მოყოლას“ და არც, მითუმეტეს, პოეტის ცხოვრების ერთ-ერთი ეპიზოდის დასურათსატებას. „ესაა ლექსი მოგზაურობისა და ჩასელის, ლექსი მოქცევის შესახებ“, წერს რონალდ ტრემპლინი. „მისი ემოციური ნაკადი მძლავრად მიედინება, მაგრამ ეს მიწისქვეშა ნაკადია, მისაგნები და აღმოსაჩენი“ [Tamplin 1988: 142]. ესეიში „იეიტსი“ (1940) ელიოტი აღნიშნავდა, რომ პოეტმა უნდა შესძლოს ინტენსიური პირადი შთაბეჭდილებისგან განზოგადებული სიმბოლური ხატის შექმნა [Eliot 1953: 201]. მიტომაა, რომ მთელი თავისი სიმბოლურ-ასოციაციური სირთულით და მითოსური განზოგადების ლამის უნიერსალური დონით, ლექსი გამოხატავს ღვთაებრივი იდეალისაკენ ინდივიდუალური სულის სწრაფვას, ამ სწრაფვის ფსიქოლოგიურ სირთულეს, სულიერ ძიებასთან დაკავშირებულ ტანჯვას და ბოლოს – გარდატესას, რითაც ეს ძიება სრულდება.

წმინდა პოეტიკური თვალსაზრისით, „მოგვთა მგზავრობა“ ყურადღებას იპყრობს, როგორც „უნაყოფო მიწისა“ და აღრეული პოეზიის ასოციაციური პოლიფონიიდან ემოციურად დამუხტულ, დრამატულ ერთხმოვანებაზე გადასელა. ესაა ერთგვარი ხიდი, რომელიც ელიოტის აღრეულ პოეზიას „ნაცრისყრის ოთხშაბათის“ საოცრად პირადსა და დახვეწილ რელიგიურ განცდასთან აკავშირებს. ლექსი დაწერილია ვერლიბრით. ელიოტს ოღესღაც ნათქვამი ჰქონდა, რომ ვერავითარი ლექსი ვერ იქნება „თავისუფალი“ პოეტისათვის, რომელიც კარგი ნაწარმოების შექმნას აპირებს და მაინც, მეტრული საზომის ნაცელად, „მოგვთა მგზავრობის“ რიტმი თავიდანვე ენდრიუსის ციტატის მოხმობით იქმნება, რაც ნაწარმოების ესთეტიკურ მთლიანობად გარდასახვის ერთ-ერთ ხერხს შეადგენს. ამ გარდა-

სახეის „ტექნიკურ საშუალებად“ ლექსში გამოყენებულია ბერითი ალიტერაცია, გამეორებადი სიტყვები (კავშირი “and” პირველ ეპიზოდში თოთხმეტჯერ მეორდება) და სტრუქტურულად დაახლოებული ფრაზები (And the cities hostile and the towns unfriendly / And the villages dirty and charging high prices). სასაუბრო ლექსიკა ხშირად გამოიყენება ვერლიბრში რიტმის შესაქმნელად და ენდრიუსის ლაკონურ წინადადებებსაც თავიდანვე საგანგებოდ მარტივი, სასაუბრო ინტონაცია? შემოაქვთ ლექსში. მთხრობელის დრამატული მონოლოგი აზრობრივად ძალზე უშუალოა. ლამის გულუბრყვილობამდე უშუალოა დასაწყისში გადმოცემული განცდაც – მოგვი ჩივის, სულ რაღაც სმები ჩაგვჩიჩინებდნენ, რომ ჩვენი მგზაერობა თავიდანვე სისულელე იყო და უგუნურობაო:

With the voices singing in our ears, saying
That this was all folly.

მეორე ეპიზოდში ლექსის განწყობილება მკვეთრად იცვლება: თოვლიდან და სიბნელიდან გამოსული მოგვნი გამთენიისას მიაღწევენ „ზომიერ მდელოს“, სადაც მიმდნარი თოვლის ქვეშ „მცენარეული სურნელი“ იგრძნობა, იქვე წყალი ჩამოდის და აბრუნებს წისქვილის ქვას, რომელიც „ამარცხებს წყვდიადს“. სამი სე დგას დაბალი ცის ქვეშ და ბებერი თეთრი ცხენი ველად არის გაჭრილი:

Then at dawn we came down to a temperate valley,
Wet, below the snow line, smelling of vegetation;
With a running stream and a water-mill beating the darkness,
And three trees on the low sky,
And an old white horse galloped away in the meadow.

ლექსის მთელი ეს ეპიზოდი დახუნძლულია სახარებისა და ბიბლიის მინიშნებებით: ცივი, გაყინული სიბნელიდან გამთენიისას ველზე გამოსელა განახლების, შობის მანიშნებელია, ამასვე მოწმობს ველის „მცენარეული სურნელი“, რომელიც ელიოტის წარმოსასვაში, ქრისტეს მცენარეული სამყაროს უძველეს გაცოცხლებად ღმერთებთან და ვეგეტაციასთან, როგორც მკვდრეთით აღდგომის სიმბოლოსთან აკაშირებს. იმ ტავერნის კარი, რომელშიც მოგვნი თაშესაფარს ეძიებენ, ვაზის ფოთლებითაა მორთული (ზამთარში!), ხოლო შიგ ტავერნაში კამათელს თამაშობენ ვერცხლზე და ღვინის ცარიელ ტიკს სიმთვრალეში ფესსა პკრავენ:

Then we came to a tavern with vine-leaves over the lintel,
Six hands at an open door dicing for pieces of silver,
And feet kicking the empty wine-skins...

ზერელე მკითხველმა ყველა ამ სახეში შესაძლოა არც აღიქვას (ან „ვერ გამოიცნოს“) რელიგიური ქვეტექსტი, მაგრამ არსებითად, ლექსში ოსტა-

ტურად არის გამოყენებული ის, რასაც მოგვიანებით მირჩე ელიადე პ იეროფანიას – ყოველდღიურ, „პროფანულ“ საგნებსა და მოელენებში „საკრალური რეალობის მანიფესტაციას“ უწოდებს [Eliade, 11]. იმ განსხვავებით, რომ ელიოტის „პიეროფანიები“ საგნის აბსტრაქტულ საკრალიზაციას კი არ გულისხმობს, არამედ ასოციაციურად (ცხადია, თუ ეს ასოციაცია გაცნობიერდა მკითხველის მიერ), კონკრეტულ ბიბლიურ და სახარებისეულ სიუჟეტურ დეტალებს უკავშირდება. მაგალითისათვის, ტაერნის კარი მკითხველმა შეიძლება ჩვეულებრივ კარად აღიქვას და არა მაცხოვრის სიმბოლოდ, თუ ის არ გაიაზრებს მას, როგორც სახარების რემინისცენციას („მე ვარ კარი. ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხონდეს“ (იოანე 10: 9). ზუსტად ასევე, გზის, ან მოგვთა მაძიებლობის მითოლოგემა შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც ჩვეულებრივი გზა, ანუ გეოგრაფიულ სივრცეში ფიზიკური გადაადგილება. დაახლოებით, ეს იგივეა, რომ „უძღები ძის დაბრუნების“ მხილველმა რემბრანდტის ტილოში მხოლოდ გზააბნეული ჭაბუკის შინ დაბრუნება დაინახოს და ვერ აღიქვას ის de profundis, ის სულის ამაღლება ღმერთთან, რაც, უნდა ვიევარაუდოთ, ამ ნაწარმოების კონცეპტუალურ საფუძველს შეადგენს.

„მოგვთა მგზავრობის“ მეორე ეპიზოდის მთელი სიმბოლიკა, ანუ გოლგოთის სამ ჯვართან ასოცირებული სამი ხე; თოელის საფარქვეშ გაჩენილი სისველე (წყალი, ანუ ხსნა); იქვე მომდინარე წყლის ნაკადი, „წყვდიადის დამთრგუნველი“ წყლის წისქვილი; თვით თოელი, რომელიც ამ ეპიზოდში უკვე ქალწულ მარიამის სისპეტაკეს განასახიერებს, „გამოცხადების“ თეთრი ცხენი, რომელმედაც იოანეს გამოცხადებაში ქრისტეა ამხედრებული („აპა ცხენი სპეტაკი, და მჯდომარესა მას ზედა ეწოდებოდა სარწმუნო?და ჭეშმარიტი“ (19: 11-12), ტაერნა, რომელშიც მოგვნი შ ე დ ი ა ნ („შევიდე მე წინაშე საკურთხეველსა ღმრთისასა“ (ფსალმ.2: 4); ვაზით მორთული ტაერნის კარი („მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი“ (იოანე, 15: 1), ისევე, როგორც იუდას გასამრჯელოს (ვერცხლის) სსენება, კამათლის თამაში (ჯვარცმული ქრისტეს ფერხთით ჯარისკაცების თამაში (მათე 27: 35, მარკოზი 15: 24, ლუკა 23: 34 იოანე 19:.24) და ღვინისგან დაცლილი ძველი ტიკი, რომელიც ახალი ღვინისთვის უვარგისია (მარკოზი 2: 22), წინ უსწრებს როგორც თვით ლექსის, ისე სახარების მთელ სიუჟეტს, რომელიც მოგვთა მგზავრობის შემდეგ უნდა განსორციელდეს. ყოველივე ეს, ქრისტეს ამქვეყნიური გზის მთელი ტრაგედია, მთელი მისი via dolorosa, ქრონოლოგიურად ჯერ კიდევ წინ არის. მოგვნი ჯერ მხოლოდ მიდიან, რომ თაყვანი სცენ ახალშობილ მაცხოვარს, მაგრამ ის, რაც მომავალში უნდა მოხდეს, მარადიულია, მარადიულს კი დასაბამი ისევე არა აქვს, როგორც ბოლო. პავლე მოციქული ცხადად და არაორაზროვნად განმრტავს, რომ ქრისტე თვით

ქრისტესშობამდეც მარადიული იყო: ღმერთმა გვისწია ჩვენ „თჳსითა ნებითა და მადლითა, რომელი მომცა ჩუენ ქრისტე იესუს მიერ უპირატეს ჟამთა მათ საუკუნეთა“ (II ტიმოთეს მიმრთ, I: 9). „პროფანულ“ სამყაროში მცხოვრები მოგვნი ვერც კი აცნობიერებენ, რომ ჯერ კიდევ გზად მიმავალნი, ისინი უკვე ქრისტეს განსხეულების მოწმენი და მარადისობის თანაზიარნი ხდებიან. ნიშნები იმისა, თუ რა მ ო ს დ ე ბ ა მომავალში, მათ აწმყოში ეძლევათ, ანუ იმ რეალობაში, რაც მათ თავალწინ ს დ ე ბ ა და რის თვითმხილველნი ისინი თვითვე არიან. დროთა ამგვარი აღრევა მათი მგზავრობის საკრალური ბუნებიდან გამომდინარეობს: მოგვთა მოგზაურობა ხდება არა რეალურ დროში, არამედ მისტიკურ, მარადიულ კონტინუუმში, სადაც ის, რაც მომავალში მოხდება, მათი თანდასწრებითაც ხდება და უკვე მომხდარიც არის „უპირატეს ჟამთა მათ საუკუნოთა“.

თაყვანისცემის, როგორც რიტუალის, საკრალური შინაარსი, მისი კავშირი დროსთან და სივრცესთან ალბათ ისეთივე მარადიულია, როგორც გზის მითოლოგემის კავშირი საკრალურთან. უშუალო, აღქმადი ფორმით და თავის კონკრეტულ გამოვლინებაში საკრალური დრო იგივე რიტუალის დროა. ელიადე აღნიშნავს, რომ „რიტუალს შესწევს ძალა, რათა პროფანული დროის დინება შესცვალოს საკრალური, არაისტორიული დროის პერიოდებით და ეს პერიოდები არ განეკუთვნებიან დღევანდელი ისტორიული დროის აწმყოს. როგორც ეკლესიის შენობაა „ამოვარდნილი“ დიდი თანამედროვე ქალაქის პროფანული სივრციდან, ისე მასში მიმდინარე წირვაც „ამოვარდნილია“ პროფანული დროის დინებიდან. ეს დრო არ არის ისტორიული დროის აწმყო, აწმყო იმ დროისა, რომელიც, ეთქვათ, ეკლესიის მიმდებარე ქუჩებში მიედინება. ეს იესო ქრისტეს ქვეყნად მოვლინების, მისი ქადაგებების, მისი ენების, ჯვარცმისა და მკვდრეთით აღდგომის დროა [Eliade, 72]. მოგვთა სულიერი ძიებაც სწორედ ამ დროში ხდება, თუმცა მათი მგზავრობა რეალურ დროშიც მიმდინარეობს – ესაა ყოველდღიურ საგანთა და მოვლენათა ქრონოლოგიური დრო, რომელშიც ისინი უბრალოდ, გზას ადგ?ნ – აღმოსავლეთიდან ბეთლემს მიეგზავრებიან და ბოლოს შინ, თავ-თავიანთ სამეფოებში ბრუნდებიან. სწორედ ესაა "ridiculous the waste sad time stretched before and after" – საკრალურის „გარეთ“ გაწელილი „სასაცილო, უაზრო და საშვუსარო დრო“ („ოთხი კვარტეტი“), ანუ „პროფანული“ დროის ის მონაკვეთი, რომელიც მოგვებს სჭირდებათ თავიანთი „ფიზიკური“ მგზაერობის განსახორციელებლად. ლექსის ყველა გამომსახველობითი საშუალება იქითკენაა მიმართული, რომ გამოჩნდეს ამ დროის და მისი რეალიების ილუზორულობა, რომლებიც მოგვებმა თავიანთი სულიერი ძიების გზაზე უკან მოიტოვეს (სიმდიდრე, სასახლეები, „შერბეთის მომრთმევი ქალწულები“ და ა.შ.). პოეტიკურად, ლექსი ისევ

დალაგებული, რომ უშუალო აღქმაში მკითხველს მხოლოდ „პროფანულ“ დროში მოგეთა მგზავრობის სიუჟეტი ეძლევა. წაკითხულის ჭეშმარიტ აზრსა და „ზედროულობის“ ეფექტის აღქმას ის მხოლოდ ნაწარმოების მრავალგზის გააზრებისა და წარმოსახვაში მის სახე-სიმბოლოთა სინთეზირების შედეგად მოახერხებს. წარმოსახვისა და აღქმის ერთიანობა, რომლის გარეშეც მსატერული ნაწარმოები უბრალოდ, ვერ შეღგება, აქ მკითხველის განცდით-ინტელექტუალურ სიმწიფესა და სახეთა ასოცირების უნარს გულისხმობს.

გზის (და შესაბამისად, „მგზავრობის“) არქეტიპი უნივერსალურია და თითქმის ყველა რელიგიურ სისტემას უდევს საფუძვლად. ფართო გაგებით, „გზის“ შესახებ მოძღვრებებს წარმოადგენს დაოსიზმიც და კონფუციანელობაც, ნირვანას წვდომის „გზაა“ ინდუიზმი, „გზებია“ ბუდიზმის ორი ძირითადი განშტოებაც – ჰინაიანა და მაჰაიანა, - შესაბამისად, „ვიწრო“ და „განიერი“ გზები. საკუთრივ ქრისტიანობაში, გზის საკრალურობა ძველი აღთქმის მონოთეიზმიდან მოდის და უფლის გზას განასახიერებს: „გზანი შენნი უფალო მაუწყენ“ (ფსალმ. 24: 4); „ყოველნი გზანი უფლისანი – წყალობაი და ჭეშმარიტებაი“ (ფსალმ. 24: 10); „მაუწყენ მე გზანი ცხოვრებისანი“ (ფსალმ. 15: 11), „შჯულიერ-მყავ მე, უფალო, გზასა შენსა“ (ფსალმ. 26: 11); „დაუთმე უფალსა და დაიცავ გზა მისი“ (ფსალმ. 36: 34); „მართალ არს უფალი ყოველთა შინა გზათა მისთა“ (ფსალმ. 144: 17) და ა.შ. მითოპოეტიკურ ტექსტებში, წერს ცნობილი რუსი მკვლევარი ტოპოროვი, „გზის მითოლოგემა წარმოგვიდგება არა მხოლოდ როგორც ხილული, რეალური გზა, არამედ მეტაფორულადაც – როგორც ზნეობრივი, სულიერი ქცევის განსაზღვრება, როგორც ერთგვარი სასულიერო მოძღვრება, რელიგია“ [Топоров 1983: 267]. ჩვენს შემთხვევაში გზა სვანთა „პროფანული“ სინამდვილის პარალელური, საკრალური რეალობაა, მისი ფარული, ჭეშმარიტი არსი. ის მოგეთა რეალური მგზავრობის, ანუ ლექსში უშუალოდ თქმულის მიღმა, ექსტრატექსტუალურად არსებობს და სწორედ იმ „მძლავრ წყალქვეშა დინებას“ შეადგენს, რომელსაც ახსენებს ტემპლინი.

ამგვარად, მოგეთა მგზავრობის ხასიათი, თვით ეს მათი „გზა“, როგორც უნივერსალური ხატი, ორგვარი კონოტაციის შემცველია. ერთი მხრივ, ესაა წმინდა „სიუჟეტური“ გზა, რომელზედაც ხდება რეალური, ყოველდღიური ამბები და რომელსაც აქვს დასაწყისი, მიზანი და ლოგიკური დასასრული, მოგეთა შინ დაბრუნება. მეორე მხრივ, ესაა საკრალური გზა, გზა ღმერთთან ერთობისა, სადაც დრო მარადიულია, რადგან ამაღლებული, მისტიკური გაგებით, თვით ქრისტეც პერსონიფიცირებული გზაა: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“, აუწყებს ის მოციქულ თომას (იოვ. 14: 5). საკრალურ, მყისიერ-მარადიულ კონტინუუმში, რომელიც

„ყოველთვის აწმყოა“, მოგვსი დასაბამიდანვე ქრისტესთან არიან. ამ დროს (და შესაბამისად, მოგვთა სულიერ გზას) არ გააჩნია ქრონოლოგია, საგნები და მოვლენები მასში თანმიმდევრობითობას მოკლებულნი არიან. „საკრალური დრო“, წერდა ელიადე, „წარმოადგენს მარადიულ მითოსურ აწმყოს, რომელიც რიტუალის მეშვეობით რეინტეგრირდება. მორწმუნე ადამიანი არ ცხოვრობს მხოლოდ იმ დროში, რომელსაც ჩვენ ისტორიულს ვუწოდებთ, ის ყოველთვის ესწრაფვის, რათა აღიდგინოს და გაითავისოს საკრალური დრო, რომელიც გარკვეულწილად, მარადისობის იდენტურია“ [Eliade, 70]. ეს დრო ერთდროულად შეიცავს აწმყოს, წარსულს და მომავალს, ის „ერთდროული“ და, მაშასადამე, სიერცობრივია, ანუ სივრცედ ქცეული დროა. ამგვარი „დროის სივრცედ ქცევა“ საუკუნეთა მიჯნის ევროპული მხატვრული ამროვნების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება იყო, რომელიც შესაბამის პოეტიკაშიც გამოვლინდა. განსაკუთებით მკაფიოდ ეს მოდერნიზმის ლიტერატურულ ესთეტიკაში წარმოჩინდა: „თანამედროვე ლიტერატურაში „ისტორიული წარმოსახვა გადაიქცა მითოსად, რომლისთვისაც ისტორიული დრო არ არსებობს“, წერდა 1946 წელს ჯოზეფ ფრანკი. „მითოსის ეს გვდროული სამყარო ქმნის თანამედროვე ლიტერატურის საერთო შინაარსს, რომელიც თავის ესთეტიკურ გამოხატვას სივრცობრივ ფორმაში პოვებს“ [Frank 1963: 60]. დასაბამს დროის სპაციალიზაცია ჯერ კიდევ ვაგნერის მუსიკალურ დრამაში იღებს, არა მხოლოდ ექსპერიმენტალური მუსიკალური ფორმის სახით, არამედ სიტყვიერი დეკლარაციის სახითაც: „გაჰყევი ამ ბილიკს, აქ დრო იქცევა სივრცედ“-ო, აუწყებს გუნემრანცი გრაალის მაძიებელ რაინდს პარციფალს ცნობილ „სამნაწილიან საგვიმო სასცენო მისტერიაში“ [Wagner 2009: URL].

ამგვარად, „მოგვთა მგზავრობაში“ მკაფიოდ არის გამოკვეთილი სამი მითოპოეტიკური ელემენტი: გზა, დრო და სივრცე, რომელთა სინთეზი ლექსის შეკრულ მხატვრულ სამყაროს, მის მითოპოეტიკურ ქრონოტოპს წარმოქმნის. ამათგან გზის მითოლოგემა პოეტიკური თვალსაზრისით განმსაზღვრელია: იმავე ტოპოროვის თქმით, „არა მხოლოდ ტოპოგრაფიული, არამედ საკრალური ობიექტებით კონსტრუირებული გზა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს დროისშიერსა და სივრცობრივ კლასიფიკატორს, ანუ... დროის „სპაციალიზაციის“ ერთ-ერთ მოდელს“ [Топоров 1983: 263]. მითოპოეტიკურ ქრონოტოპს, ამ „პერმეტულად დახშულ“ მითოსურ სივრცეს, სადაც დრო ყოველთვის აწმყოა და მარადიული პროცესები უჩვეულო ინტენსიურობით მიმდინარეობს, ელიოტი სხვა ნაწარმოებებშიც იყენებს. ამის საუკეთესო მაგალითებია მისი 20-იანი წლების ლექსები, „უნაყოფო მიწის“ მონუმენტური მითოსი და რაც მთავარია, „ოთხი კვარტეტი“, როგორც რიცხვისა და მუსიკის პოეტიკაზე დაფუძნებული ქვეყნიერების მხატ-

ერული მოღელი.

„მოგეთა მგზავრობის“ გმირის – „მთსრობელი“ მოგეის ძირითადი მასასიათებელია მისი მაძიებლობა, რომელიც სწორედ ამ სპაციალიზებულ, საკრალურ დროში სორციელდება. ძიებისა და მაძიებელი გმირის მითოლოგემა, როდესაც ის ნაწარმოების საბოვან სტრუქტურას უდევს საფუძვლად, ნათლად გამოსაგავს მოგზაურობის მაგისტრალური სიუჟეტის ფასეულობით ასპექტს: ძიება ლიტერატატურაში ყოველთვის მნეობრივ ფასეულობათა ძიებაა, ხოლო მაძიებელი გმირი ყოველთვის მნეობრივ ფასეულობათა მაძიებელი გმირია. საგულისხმოა, რომ მოგეი, როგორც „პროფანული“ სამყაროს მკვიდრი, მთელ ამ მისტერიაში თითქმის გაუცნობიერებლად არის ჩართული, ღვთაებრივი საწყისის ძიება თითქოსდა მისდაუნებურად მიმდინარეობს. პესეს მევიოლინეს მსგავსად, რომელიც აგრეთვე საკრალურ სივრცე-დროში მოგზაურობს და მხოლოდ მის „გარეთ“ აღმოჩენისას აცნობიერებს, თუ რა გადახდა თავს („მოხილეა დილის ქვეყნისა“), მოგესაც არ ესმის თავისი მისიის ჭეშმარიტი აზრი: რამ გამოგეაგარა მთელი ეს გზა, რა იყო ეს, დაბადება თუ სიკედილიო, კითხულობს ის ლექსის ბოლო ეპიზოდში:

All this was a long time ago, I remember,
And I would do it again, but set down...
This set down
This: were we led all that way for
Birth or Death?

ერთგვარი გულუბრყეილობა, რომელიც ამკარად ჩანს მოგეის მონაყოლში, ჯერ კიდეე „უნაყოფო მიწაში“ ასახული მაძიებლური ლიტერატურის ტრადიციისადმი ელიოტის ერთგულებას ასახავს. როგორც თომას მანი აღნიშნაედა „თავის“ მაძიებელ ჰანს კასტორპზე საუბრისას, ამ ტრადიციის ყველაზე ტიპიური გმირის, პარციფალის სახელიც ეტიმოლოგიურად „გულუბრყეილოს“ ნიშნავს [Манн 1960: 169]. თუ მაძიებლობის მითოსს ნარაწმოების გამომსახეელობით საშუალებათა ღერძად აღეიქვამთ და არა მხოლოდ ფსიქოანალიტიკურ სქემად, წარმატებული ძიების (Mythical Quest) დასასრულს ყოველთვის მნეობრივ ფასეულობათა აღდგენა მოსდევს, ან საკრალურთან ზიარება, ან სულიერი ამაღლება და „გასხვეოსნება“ (რომელიც „ოთხ კვარტეტში! Erhebung-ად მოისხენიება). მთელი თავისი ძიების მნიშვნელობა მოგეს მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ, უკვე პროფანულ დროში და „თავისი სამეფოს“ პროფანულ სივრცეში დაბრუნებულს გაეხსნება. თუ „უნაყოფო მიწაში“ ტირესიას (იგივე გრაალის მაძიებელი რაინდის) ძიება თავიდანვე განწირულია და უშედეგოდ მთავრდება, „მოგეთა მგზავრობის“ ფინალში გმირი აღწევს მიზანს და ეს გასხვეოსნება მის

ცნობიერებაში ისევე საკრალური სიერცე-დროის გაელვების სახით ხორციელდება.

მოგვი ეპიფანიის მოწმე შეიქნა, მაგრამ მომხდარის ჭეშმარიტობას ის მხოლოდ ემოციური განცდის დონეზე აღიქვამს, მას არ ძალუძს ღვთის გამოცხადების ინტელექტუალური გაცნობიერება, რახან „გაცნობიერება დროში არყოფნას ნიშნავს" ("To be conscious is not to be in time", „ოთხი კვარტეტი"). მოგეს ვერ გაუგია, თუ როგორ, რა გზით შეიცავს უზენაესი Causa Sui დაბადებისა და სიკვდილის იდენტურობას. ადრეც მოესწრებია-რო, ამბობს ის, დაბადებას და სიკვდილს, მაგრამ ვფიქრობდი, რომ ისინი სხვადასხვა იყო:

There was a Birth, certainly,
We had evidence and no doubt. I had seen birth and death,
But had thought they were different; this Birth was
Hard and bitter agony for us, like Death, our death.

მაგრამ საკრალურ დროში, ანუ სიტყვის ხორცად ქმნის დროში, იმ მარადიულად აწმყო მომენტში, რომელიც ელიოტისათვის „დროშიც არის და მის გარეთაც", დაბადება და სიკვდილი მისტიკური თვალსაზრისით იდენტურია. ანგლიკანურ (და არა მხოლოდ ანგლიკანურ) თეოლოგიაში ისევე, როგორც ჯონ დონის გვიანდელ, სააღმსარებლო ლირიკაში, დაბადება-სიკვდილის დიქოტომია მარადისობის ტრიუმფით დაიძლევა. სიკვდილი სხვა არაფერია, თუ არა მარადიული ცხოვრებისათვის დაბადება:

One short sleep past, we wake eternally,
And death shall be no more; death, thou shalt die
(Holy Sonnet X)

სწორედ ასეთ სიკვდილს (ანუ მარადიულ სიცოცხლეს) ნატრულობს მრავალი წლის შემდეგ თავის სამეფოში დაბრუნებული მოგვი, სადაც მისთვის უკვე უცხოდ ქცეული ხალხი „თავიანთ ღმერთებს ებღაუჭება". ის ისევ საკრალური სიერცე-დროისკენ, ისევ მარადისობისკენ მიილტვის, რახან პროფანულ დროში დაბრუნებულს, ისევ ზეარსთან ერთობა ენატრება:

All this was a long time ago, I remember,
And I would do it again...
We returned to our places, these Kingdoms,
But no longer at ease here, in the old dispensation,
With an alien people clutching their gods.
I should be glad of another death.

მაგრამ სიკვდილს მოსუცი მოგვი ისევ გაუცნობიერებელ, ემოციურ დონეზე ნატრობს. ის ვერ გარკვეულა, თუ დიდი ხნის წინ, ვისი დაბადება-სიკვდილის მოწმედ ყოფნა არგუნა ღმერთმა. შობის მოსსენიება ჩვეულებრივ

ფაქტად („ჰო, რა თქმა უნდა, იყო იქ დაბადება...“) და იმის ხაზგასმა, რომ „ჩვენ ამის მტკიცებულება გვაქვს და ეჭვი არ გვეპარება“ იქნებ არც შეიცავდეს დაეჭვებას, მაგრამ მოელენის ჭეშმარიტი მასშტაბის გააზრებისგან ის ძალიან შორს დგას... მოგვის ეს ორმხრივი განწყობილება, ანუ დაკისრებული მისიით გამოწვეული აღმაფრენა და ამავე დროს, ეპიფანიის მნიშვნელობის გულწრფელი ვერგაცნობიერება ძალზე ფაქიზი ფსიქოლოგიური მომენტია, რომელიც, სავარაუდოდ, თვით ელიოტის შინაგან მერყეობას გამოხატავს. როგორც ჩანს, თვით ელიოტმაც, როგორც ახლადმოქცეულმა ანგლოკათოლიკემ და ამავე დროს, ღრმად განსწავლულმა პუმანიტარმა, იმჟამად მთლად ვერ გაითავისა (ან ბოლომდე ვერ იწამა) სიტყვის ხორცად ქმნის მთელი დიდებულება და როგორც ყოველთვის, თავისი პირადი განცდა ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში გაანაწოგადა. ამიტომაც იხმობს ის წარმართული მითოლოგიის ასოციაციურ სახეებს და თავის ნაწარმოებს გარდაცვალება-მკვდრეთით აღდგომის უძველეს მითოლოგიასაც აფუძნებს: ლექსში ხსნის თემატიკა სწორედ თოლქვემ აღმოცენებული მცენარეულობის სიმბოლური სახით იწყება. თავისი შემოქმედების ამ რთულ, შინაგანი ეჭვებით აღსავსე, გარდამავალ პერიოდში ელიოტს თითქოს სჭირდება, რომ „მოგეთა მგზავრობის“ მსატვრული სტრუქტურა, ზამთარში ქრისტეს შობისა და გაზაფხულზე მისი მკვდრეთით აღდგომის თემა კიდევ ერთ, დამატებით „საბუთს“ – მცენარეული სამყაროს მოკვდავი და გაცოცხლებადი ღმერთების არქაულ მითოლოგიას დააფუძნოს.

დამოწმებანი:

1. Andrewes, Lancelot. Works, Sermons, Volume One. Sermons of the Nativity. Preached upon Christmas Day, 1662. URL: http://anglicanhistory.org/lact/andrewes/v1/sermon15.html [06.05.2009].
2. Frye, Northro.p Anatomy of Criticism. Four Essays. New York, Atheneum, 1966.
3. Tamplin, Ronald. A Preface to T. S. Eliot. Longman, London and New York, 1988.
4. Eliade, Mircea. The Sacred and the Profine. The Nature of Religion.Thanslated from the French by Willard R.Task. Harcourt, Brace & World, Inc. New York.
5. Frank, Joseph. The Widening Gyre. Crisis and Mastery in Modern Literature. Rutgers Univ. Press, New Brunswick, New Jersey, 1963.
6. Wagner, Richard. Libretti. Parsifal. Act One. URL: http://www.rwagner.net/e-frame.html [06.05.2009].
7. Топоров В. Н., «Пространство и текст». In: Текст: семантика и структура. M., 1983.
8. Eliot, T.S. Seleted Prose. A Colledction edited by John Hayward. H/Midx, Prnguin Books, 1953.

9. Манн, Томас. Собр. Соч. в 10 томах. Т. 9. Москва, «Худоежественная литература», 1960.

TEMUR KOBAKHIDZE
Tbilisi National University "Metekhi", Professor

SUMMARY

SACRED TIME AND THE MYTHEME OF THE ROAD OR WAY IN T. S. ELIOT'S "JOURNEY OF THE MAGI"

"Journey of the Magi" can be read and appreciated on several levels. The imagery, while easily understandable on a surface level, may be explored to find multiple themes. Since the poem was written in the year of Eliot's own conversion, the quest of the Magi for the Christ child can be seen as a parallel to Eliot's own religious quest. Two separate journeys, the historic and the spiritual one, are presented. The historic journey takes place in the profane time of everyday events, while the spiritual quest endures in the sacred space-time of a Christian ritual. Complex imagery of the poem, provoking the effect of "timelessness", suggests both Christian symbolism and archaic mythology of death and rebirth. The image-structure of the poem is based on the mytheme of the road or way, which serves as a binding principle for what can be described as the sacred time-space or the mythopoeic chronotope of the spiritual quest.

თამარ კობეშავიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

თომას პინჩონის რომანების ქანრობრივი სპეციფიკისათვის

მე-20 საუკუნის 60-70 წლების ამერიკული ლიტერატურის ბევრი კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ „აბსურდის ლიტარატურა“ ამ პერიოდის აშშ ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. ნორმან მეილერი კრიტიკული ნაშრომების კრებულში, „მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ამერიკული რომანი“, ერთ-ერთი ესეს შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „ამერიკის ნამდვილად მნიშვნელოვან ხელოვნებად აბსურდის ხელოვნება იქცა“ (Klein 1969: 77).

მიუხედავად „აბსურდისადმი“ განსხვავებული დამოკიდებულებისა და მისი აღქმის სირთულისა, ამერიკელი კრიტიკოსები ბ. ფელდმენი, ჩ. პარისი, რ. ოლდერმენი თავიანთ ნაშრომებში ხშირად იხსენიებდნენ ერთსა და იმავე სახელებს: კიზის, პელერს, ეონეგუტს, პინჩონსა და ბარტს, რომელთა შემოქმედება არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. რის ნათელსაყოფად საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ კენ კიზის რომანი „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“ და პინჩონის „49-ე ლოტის გამოძახება“.

ამერიკელი კრიტიკოსები ცდილობენ ახსნან აბსურდის ლიტერატურის შექმნისა და მისი დამკვიდრების მიზეზები და პოულობენ მათ წინააღმდეგობრივ, დაუჯერებელ და მკაცრ ამერიკულ რეალობაში. ჩარლზ პარისი ამერიკელთა ყოფის ამ პერიოდს „აბსურდის ათწლეულს“ უწოდებს. მისი აზრით, თანადროული სამყარო აღიქვამს აბსურდს როგორც ყოველდღიურ მოვლენას (Harris 1971: 17). ოლდერმენი კი, თავის სტატიაში მრავლისმთქმელი სახელწოდებით „ბერწი მიწის მიღმა“, აღნიშნავს, რომ „თვით ამერიკული რეალობა ბადებს „აბსურდულ“ ლიტერატურას (Olderman 1972: 8). შესაძლებელია მრავალი მსგავსი შესედულება გავიხსენოთ, რომლებიც თითქოსდა ცდილობენ გაამართლონ „აბსურდის“ არსებობა ამერიკულ ლიტერატურაში. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ხშირად ლიტერატურის ამ კრიტიკოსებს ყურადღების მიღმა რჩებათ ხელოვნისა და რეალობის, პროზაიკოსისა და სამყაროს ურთიერთმიმართების საკითხი, მწერლის დამოკიდებულება იმ პრობლემისადმი, რომლის შესახებაც იგი წერს.

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ამერიკელი კრიტიკოსები „აბსურ-

დული ლიტერატურის“ პრომლემებზე მუშაობისას ხშირად აღნიშნავენ, რომ მათ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აბსურდული ნაწარმოების სპეციფიკური მხატვრული ფორმა და არა მათი შემქმნელის ხედვა და ესთეტიკური პრინციპები. პარისი მიიჩნევს, რომ კრიტიკოსების ამოცანა არ არის ის, რომ განსაჯოს ესა თუ ის შემოქმედი. მათი მიზანია, უჩვენოს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების სტილური თავისებურებები, მხატვრული ფორმა (Harris 1971: 32). პარისი თავად ეყრდნობა სიუზენ ზონთაგის მოსაზრებას, რომლის აზრითაც რომანი მოკვდა, მას აღარ შეუძლია არსებობა ტრადიციული ფორმით, ამიტომ თავაზობს რომანისტებს, გადაიტანონ ყურადღება სტილსა და ფორმაზე და არა შინაარსზე (Harris 1971: 122).

კრიტიკოსები განსაკუთრებული დაჟინებით აღნიშნავენ გროტესკისა და პაროდიის მნიშვნელობის შესახებ „აბსურდის რომანში“ და მიიჩნევს მათ აბსურდის ტექნიკის საშუალებებად. თუმცა იგივე შეიძლება ითქვას ლიტერატურაში „შავი იუმორის“ შესახებ. პარისი ასაბუთებს, რომ აბსურდულობა ელინდება კომიკური მეთოდის გადაჭარბებული გამოყენების მეშვეობით (Harris 1971: 34). ამდენად, ხშირად სდება დიდი განსხვავების იგნორირება საგირასა და „აბსურდის“ ნაწარმოებთა შორის. აქედან გამომდინარე იკვეთება ტენდენცია, რომ „აბსურდული“ პროზის პირველ ნიმუშებად მიჩნეულ იქნას სვიფტისა და მარკ ტვენის პროზა, რადგან ეს ავტორები ხშირად იყენებდნენ პაროდიასა და პრიჩს, უსასრულოდ ამძაფრებდნენ და უტრირებდნენ ასახვის ობიექტს. მაგრამ საყურადღებოა ის მომენტი, რომ საერთო ჯამში, საგირა ოპტიმისტურია, სოლო „აბსურდის ლიტერატურას“ საფუძველში სასოწარკვეთილება და ცინიზმი უდევს. მისთვის უმთავრესია ასახოს ადამიანთა ყოფის აბსურდულობა, წარმოაჩინოს ადამიანი, რომელიც დასჯილია უაზრო და დაუნდობელ სამყაროში ცხოვრებით. „აბსურდისტების“ მიმდევარნი საყოველთაო აბსურდულობის, ადამიანთა უაზრო ყოფის მიზეზად მიიჩნევენ ადამიანის მანკიერ ბუნებას, იმას, რომ კაცობრიობა თავის შეცოდებათა გამო განწირულია იცხოვროს აბსურდის ატმოსფეროში, ყოფიერების წრებრუნვაში, რომელიც მოკლებულია აზრს. დ. მედდენი სტატიაში „ამერიკული ოცნებები, ამერიკული კოშმარები“ მწერალთა გადასვლას „ამერიკული ოცნებიდან“ „ამერიკულ კოშმარზე“ ხსნის იმ იმედგაცრუებით, რაც თვით ადამიანის ბუნებამ გამოიწვია (Madden 1970: XV).

წიგნში „დანაწევრებული ორფეოსი“ იხაბ ჰასანი „აბსურდის ლიტერატურის“ წარმოქმნის მიზეზების ახსნისას და მისი პერსპექტივების ჩვენებისას მიუთითებს, რომ „აბსურდული“ საწყისი თანამედროვე მწერალს აქცევს ისეთ ლირაზე დამკვრელ მუსიკოსად, რომელსაც სიმები აკლია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელოვანი უფრთხილდება მღუმარებას, წარმო-

იქმნება „ღუმილის სიმღერა“ (Hassan 1971: 6). სწორედ ჰასანის სახელს უკავშირდება „პოსტმოდერნიზმის“ ტერმინის შემოტანა ლიტერატურათმცოდნეობაში. მასთან „მოდერნიზმის“ ლიტერატურა უკავშირდება ეგზისტენციალიზმს, პოსტმოდერნიზმის გზას იგი ხედავს მოძრაობაში „ეგზისტენციალიზმიდან ალიტერატურისაკენ“, სოლო ინტერლუდია ეგზისტენციალიზმიდან ალიტერატურამდე გვიბიძგებს აბსურდისაკენ (Hassan 1971: 23). ჰ ასანისეული პოსტმოდერნიზმის კონცეფციის საფუძველს წარმოადგენს „ღუმილის“ პრინციპი. მას მსედველობაში ჰყავს ისეთი ავტორები, როგორიცაა მარკიზ დე სადი, ჰემინგუეი, კაფკა, და ბეკეტი. ყველა ამ ავტორთან იგი საზს უსვამს ღუმილის თემას ანუ „ინტერლუდიას“ აბსურდისაკენ. მეორე უმნიშვნელოვანესი თემისი იწყება სიტყვებით: „ღუმილი“ სიშორეს გაუცხოებას გონებისადმი, საზოგადოებისა და ისტორიისადმი.

ცნობილ ამერიკელ მწერალ-აბსურდისტთა შორის ყველაზე ხშირად მოისხენიება თომას პინჩონის სახელი. თვით ჰასანიც აღნიშნავს თავის წიგნში, რომ თომას პინჩონს აბსურდის რომანი სხვა ამერიკელ მწერლებზე მეტად მიჰყავს „თვითნგრევისაკენ“. კრიტიკოსთა უმეტესობა იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ მწერლის რომანებში პერსონაჟთა გაუცხოება და მათი სასოწარკვეთის მომენტი მწერალს აღწევს: „ენთროპიით როგორც კატეგორიით დააკადებული სამყარო უფსკრულისაკენ მიექანება“. ამასთანავე არ შეიძლება არ აღინიშნოს ავტორის მხატვრული მეთოდის ისეთი თავისებურებანი, როგორიცაა მის მიერ პიპერბოლის, გროტესკისა და პაროდიის გამოყენება, ნაწარმოებებში არადამაჯერებელი პერსონაჟების შემოყვანა, ლოგიკურობისადმი უარის თქმა, ყოველივე ის რაც დამახასიათებელი იყო სატირისათვის. გარდა ამისა, პინჩონი ნაწარმოებებში ცხოვრების აბსურდული სიტუაციების დასატვისას კომიკურ ფერებს იყენებს, რითაც ამსუბუქებს და ანეიტრალებს ტრაგიზმის აღქმას.

პინჩონის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რომანის „49 ლოტის გამოძახება“ ნათლად გვიჩვენებს ავტორის მხატვრული მეთოდის თავისებურებებს. ჩემი მიზანია, ვაჩვენო, თავსდება თუ არა ეს რომანი „აბსურდის“ ლიტერატურის ჩარჩოში.

პინჩონი ჩვეულებრივ თავის წიგნში წარმოგვიდგენს ერთგვარ ლაბირინთს. ნაწარმოებში არ ვითარდება ერთი სიუჟეტური ხაზი, ფაბულა არ ესება მხოლოდ ერთ გმირს. მკითხველი ცდილობს, როგორღაც თავი დააღწიოს ამ ლაბირინთს და თავად წარმოიდგინოს სიუჟეტური განვითარების საზი. რომანი „49-ე ლოტის გამოძახება“ წარმოადგენს იშვიათ გამონაკლისს მწერლის შემოქმედებაში, რადგან მას გააჩნია მარტივი, ლინეარული სტრუქტურა.

ერთ დღეს, ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი, ოედიპა მაასი, მოულოდ-

ნელად ხდება ყოფილი საყვარლის, კალიფორნიის მსხვილი მაგნატის პირს ინტერერიტის მემკვიდრე. ოედიპა გადაწყვეტს მოაწესრიგოს გარდაცვლილის მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საქმეები და ამ მიზნით მიემგზავრება სან-ნარცისოში, სადაც პირსი ცხოვრობდა. ყველაფერი, რაც ოედიპას გაიოჩენის შემდეგ ხდება ქალაქში, განსხვეულდება რომანში დეტექტიური ჟანრისათვის ნიშანსღობლიეი მსაგერული მეთოღით, რასაც ამავდროულად პაროდიული ელფერი აქვს.

მთავარი მოქმეღი პირი აგროვებს ინფორმაციას, ეძებს კავშირებს მოვლენათა შორის, რის შეღეგადაც თანდათანობით ამოიცნობს ახალ-ახალ საიდუმლოებებს. რომანში მრავალადაა სცენები, რომლებშიც იგრძნობა „აბსურდული" საწყისი, ბევრია თითქმის დაუჯერებელი ეპიზოდი, სიტუაცია თანდათანობით რთულდება და ბოლოს ოედიპა გამოააშკარავებს, რომ იგი იმ გლობალური კონსპირაციული სისტემის ნაწილია, რომლის ნაწილიც შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი, ნებისმიერი ადგილი ან ნივთი, რომელსაც იგი ეხება. რომანის ცენტრალური საკითხია არსებობს თუ არა საერთოდ კონსპირაცია, თუ იგი ოედიპას წარმოსახვის შედეგია. რომანის სხვა ღონეზე პინჩონი სვამს შეკითხვას ენტროპიის შესახებ, რომლის მეტაფორული სახეები მრავალად გვხვდება პინჩონის შემოქმედებაში.

კომუნიკაციის თეორიაში „ენტროპიის" გაგება უკავშირდება კავშირის არსში ხმაურს, როცა ზედმეტი ინფორმაცია ქმნის ეგრეთ წოდებულ სემანტიკურ ხმაურს, რომელიც არ აძლევს საშუალებას გამგზავნსა და მიმღებს რაიმე გაიგოს. ამდენად, კავშირის არსში თავს იყრის ყველაფერი აბსურდული, რაც საერთოდ არსებობს ცხოვრებაში. თერმოდინამიკის თეორიაში სპონტანურმა პროცესებმა იზოლირებულ სისტემაში შეიძლება გამოიწვიოს ენტროპიის ზრდა, ე.ი. თერმოდინამიკური მდგომარეობის გაწონასწორება, რომელშიც ტემპერატურა, წნევა და სხვა მაჩვენებლები თანაბრდება, ენერგიის გადაცემა წყდება და იწყება ამ სისტემის კვდომა. და თუ ჩვენს სამყაროს წარმოვიდგენთ როგორც ჩაკეტილ სისტემას, მაშინ მისი ენთროპია გამუდმებით გაიზრდება და მიეა მაქსიმუმადე. როგორც ვხედავთ, ენტროპიის ყოველი გამოვლინება გულისხმობს ქაოსის გაგებას. გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ფიზიკის კანონები სწორად ტრანსფორმირდებოდა სოციალურ ტერმინებად. სოციოლოგიაში ტერმინი ენტროპია გამოიყენება ქაოსის მნიშვნელობით, რომელსაც აუცილებლად უახლოვდება ჩვენი საზოგადოება. აღწევს თუ არა მაქსიმალურ მდგომარეობას ენტროპია რომანში „49-ე ლოტის გამოძახება?"

რომანი თავიდან ბოლომდე ენტროპიის სახეებითაა გაჟღენთილი. პირველ რიგში თვალში გვხვდება კომუნიკაციური სმაური: სატელეფონო კავშირის ხმაური, ბავშვის სიცილი და კივილი, შტოკპაუზენის მუსიკა, თეატ-

რალური წარმოდგენების არეული დაუკავშირებელი თხრობა, ალკოჰოლურ მდგომარეობაში მყოფის არეული საუბარი. რომანის ბოლო, მეექვსე თავში ენტროპიის ქაოტური მდგომარეობა გამოხატულებას პოულობს ახალი ფორმით, რაც შესამჩნევია ოედიპას ინტერსუბიექტური კავშირების რღვევისას: ოედიპას ფსიქოანალიტიკოსი და მისი ქმარი გაიცნეს, საყვარელმა იგი მიატოვა, დაიწვა მისი საცნობის წიგნის დასალი, თავად კი, სადღაც გაქრა, დაისრჩო თეატრალური რეჟისორი დრიბლეტი და ა.შ. ყოველივე ეს არის იმ არც თუ ბევრი ფაქტის ჩამონათვალი, რომლებიც, როგორც ჩანს, საჭიროა საბგასმულ იქნას „აბსურდული" საწყისის წარმოსაჩენად. ოედიპა თავის თავს წარმოიდგენს როგორც საკეტილს „ცისე-სიმაურეში" (Pynchon 1967: 20), ე. ი. საკეტილ სისტემაში, სადაც ენტროპია, და თვით ქაოსი შეუმჩნეველად იბრდება. რათა მოწესრიგდეს ქაოსი და „გაიშიფროს" სამყარო, ოედიპა გულმოდგინედ იკვლევს საიდუმლო სისტემას, ტრისტეროს, სისტემას, რომელსაც კავშირი აქვს აშშ ფოსტის სამსახურთან. პერსონაჟი კარგავს მთელ თავის მექანიკურ ენერგიას, დარბის კალიფორნიაში და ეძებს ინფორმაციას სისტემაზე, რომელმაც 200 წლის წინ შეწყვიტა არსებობა. იქვე მკითხველი ამჩნევს, რომ იმყოფება გაურკვეველ მდგომარეობაში, რადგანაც თვალ-ყურს ადევნებს როგორც ენტროპიის თანაბარ ზრდას, ასევე მის შემცირებას ანდა საერთოდ არყოფნას. შესაძლებელია სწორედ ამიტომ ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს, რომ ენტროპია მხოლოდ მეტაფორაა და მეტი არაფერი (Pynchon 1967: 129). არაეითარი ენტროპიის ერთმნიშვნელოვან ზრდაზე არ შეიძლება საუბარი, პინჩონი ხომ დასაწყისშივე გვითავაზობს მის ორ განსხვავებულ სახეს თერმოდინამიკასა და ინფორმაციის თეორიაში. თუნდაც რომ მოიძებნოს დონე, სადაც ენტროპია თითქოს მკაფიოდ იზრდება, ის აუცილებლად გადაკვეთს სხვა დონეს, სადაც ენტროპია შემცირდება ანდა საერთოდ მინიმალური გახდება. ასე მაგალითად, ინფორმაციის ოღენობა, რომელსაც ოედიპა აგროვებს ტრისტეროს შესახებ, უზომოდ იზრდება გეომეტრიული პროგრესიით, ე.ი. უახლოვდება ინფორმაციული ენტროპიის მაქსიმუმს თავისი მაღალი ქაოტურობით. ამაყღროულად ძველი ინფორმაცია, ახალთან შედარებით სწრაფად კარგავს მნიშვნელობასა და ღირებულებას ოედიპას მიერ დახარჯულ ენერგიასთან შეფარდებით. ამის გამო ენტროპია აქ, როგორც ინფორმაციულობის მაქსიმუმი, მცირდება და უახლოვდება ნულს. ამ მომენტს პინჩონი უწოდებს ნეგენტროპიას. ავტორი კითხვას ენტროპიის ტრიუმფზე ტრაღიციულად ტოვებს საწერმოების ჩარჩოს მიღმა. ენტროპიის შეუსაბამო სახეთა კომბინაცია რომანში გვაძლევს შესაძლებლობას დავრწმუნდეთ, რომ პინჩონი უბრალოდ თამაშობს ენტროპიით, სერიოზულად არ უყურებს მას.

რომანის ფინალი რჩება ღია, მაგრამ ნათელია, რომ სამყარო, პინჩონის აზრით ჯერ არ ჩაფლულა ქაოსში. მთელი რომანის მანძილზე ოედიპას თითქოს გამუდმებით აქვს პერსპექტივის სიახლოვის შეგრძნება, რომელშიც ყოველივე ნათელ და გამჭვირვალე ფერებში იქნება წარმოდგენილი. ის ცდილობს დაფარული საიდუმლოს გაგებას, რომელსაც რაღაც ტრანსცენდენტული მნიშვნელობა აქვს. სისტემურობა და მოწესრიგებულობა ოედიპასათვის ნიშნავს ძიებას სწორედ ამ მნიშვნელობისა, მან უნდა შეასრულოს მაორგანიზებელი ცენტრის როლი. მსავარი მოქმედი პირი ხშირად აღწერს აღფრთოვანებას ყოველგვარი სისტემურობისა და მოწერიგებულობისადმი, დაწყებული ტრანსისტორული მიმღების აგებულებიდან და სწორი ქუჩებიდან სან-ნარცისოში, დამთავრებული უმთავრეს სურვილამდე – მოაწესრიგოს საქმე, რომელიც პირსის შემდეგ დარჩა. ოედიპას პერმანენტულმა სურვილმა ყველაფერი გამოიკვლიოს და განმარტოს, უბიძგა მაკ პეილს მოეწადინა პინჩონის რომანი „49-ე ლოტის გამოძახება" მოდერნისტულ რომანად, რადგან მას საფუძველში ულევს მკაფიო ეპისტემოლოგიური დომინანტა, მაშინ როცა პოსტმოდერნისტული თხრობა ეფუძნება ონტოლოგიურ დომინანტას.

მიუხედავად ამისა, ჩემის აზრით, მნიშვნელოვანია არა ის დომინირებს თუ არა ეპისტემოლოგიური ეჭვი, არამედ ის თუ რა ფუნქციას ასრულებს იგი რომანში. პინჩონის რომანში ოედიპას კონცენტრირება შემეცნების პროცესზე და მთავარ ეპისტემოლოგიურ პრობლემებზე წარმოადგენს პოსტმოდერნისტულ pastiche-ს დეტექტივზე (ამის ბრწყინვალე მაგალითია უმბერტო ეკოს რომანი „სახელი ვარდი"). რომანი „49-ე ლოტის გამოძახება" დეტექტიური ჟანრის კონვენციების შესაბამისად ვითარდება. ნაწარმოებში აგრეთვე უხვადაა საციოლოგიური და ფილოსოფიური გამოკვლევები. მაგრამ საჭირო იყო რაღაც უნივერსალური კოლიზია, რომელიც ყველასათვის გასაგები იქნებოდა და ყველაზე ბუნებრივად პინჩონი ამას საყოველთაოდ გავრცელებული ფორმების პაროდიული გამოყენებით ქმნის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Grant K.A. Companion to "The Crying of Lot 49", Athens: Georgia Univ. Press, 1994.
2. Harris Ch., Contemporary American Novelists of the Absurd. New. Haven:. Conn. Colledge and Univ. Press, 1971.
3. Hassan I., The Dismemberment of Orpheus. N.Y.: Oxford Uviv. Press, 1971.
4. Hassan I., Contemporary American Literature, 1945-1972. N.Y.: Oxford Uviv.Press, 1982.
5. Klein M. (Ed)., The American Novel Since World War II. Greenwich Conn. Fawcett, 1969.

6. Madden D., Introduction. In: D. Madden (ed.), American Dreams, American Nightmares. Carbondale: Southern Illinois University Press, 1970.
7. Olderman, R. Beyond the Waste Land.The American Novel in the Nineteen Sixties. New Haven and L.: Yale Univ.Press, 1972.
8. Pynchon, Th.The *Crying of Lot 49*, New York, 1967.
9. Shaub, Th.Thomas Pynchon.The Voice of Ambiguity. Urbana: Illinois Univ. Press, 1981.
10.Schults, M. Black Humor Fiction of The Sixties. Athens, Ohio: Ohio Univ. Press, 1973.

TAMAR KOBESHAVIDZE
Akaki Tsereteli State University, Assoc. Prof.

SUMMARY

GENRE PECULIARITIES OF THOMAS PYNCHON'S NOVELS

In the 60-70s of the 20th century many literary critics noted that absurdity was becoming the main phenomenon of American modern literature. Despite different approaches and peiception of absurd literature B.Bergonzi, R.Olderman, Ch. Harris often mentioned the same authors in their works mainly reviewing prose of Kurt Vonnegut, Ken Kesey, Thomas Pynchon and John Barth. However the works of these writers differed a lot and literary critics would ignore a huge difference between the works of black humour and absurd novels.Whereas the black humour literature is optimistic, absurd literature eventually bases on despair and cynisim.

Most critics were unanimous in the opinion that Pynchon's novels show the full alienation of the main characters, the conception of fatality of everything alive and insignificance of human actions and thought.But we must admit such artistic devices of this author as hyperbola,grotesque, the use of parody and lack of logic in actions and statements of the main characters – the conventions which are typical of black humor literature.Apart from it the author often uses comic motive trying to ease tragic perception of absurd situations.

In Pynchon's novel "The Crying of Lot 49" the reader must follow along and watch for clues and meanings.While the task of the main character becomes to render order out of chaos and desipter the world.The masterful use of popular culture – particularly science fiction and detective fiction – is a natural phenomenon process of post modern pastiche on detective stories. In Pynchon's novel there is sociology as well as phylosophy, but the author needed some universal collision which could move all kinds of readers. Best of all it is achieved by parody usage of the most spread forms of art representing the language of majority.

ბაია კოლუაშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

რეგიონალური ლიტერატურული სისტემები: „ახალი რეგიონალიზმი“ თანამედროვე ამერიკულ ლიტერატურაში

„რეგიონალური ლიტერატურული პროცესები, როგორც ერთგვარი სისტემური ერთობლიობა ძალზედ საინტერესოა ამ რეგიონში შემავალ ლიტერატურათა გააზრების თვალსაზრისით. თუმცა, ეფიქრობთ, რომ რეგიონების პრობლემებისადმი სისტემური მიდგომა უფრო საინტერესოა არამხოლოდ ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით, არამედ, როგორც მსოფლიო ლიტერატურის განვითარების და ფუნქციონირების ერთ-ერთი საშუალება. ლიტერატურათა ურთიერთმიმართება შიგარეგიონალური თანაცხოვრების საბღვრებში უდიდეს როლს თამაშობს მსოფლიო ლიტერატურის განვითარების საქმეში.

რეგიონალური მიდგომა მოითხოვს ლიტერატურული განვითარების საკითხების დაკავშირებას ხელოვნების სხვა დარგებთან. მხატვრული კულტურის კომპლექსური განხილვა საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ სალხთა დიდი ჯგუფების სულიერი განვითარების ერთობლიობაზე.

რელიგიური ლიტერატურული პროცესების ცალკეული მხარეების შესწავლის თვალსაზრისით უკვე ბევრი რამ არის გაკეთებული (მაგ.: რომელიმე რეგიონში შემავალ ლიტერატურათა ესობრივი სიახლოვე, კულტურული და მხატვრული ტრადიციების ერთგვაროვნება, ჟანრების სპეციფიურობა და სხვა) შესაბამისად, შეიქმნა საფუძველი იმისა, რომ დაისვას საერთო საკითხი რეგიონალური ლიტერატურული სისტემების განვითარების სპეციფიურ მახასიათებლებზე, როგორც მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთ განსაკუთრებულობაზე.

თუმცა ცალკეული რეგიონების კონკრეტულ-ისტორიული შესწავლა (ისე როგორც მოცემული რეგიონალური კულტურის კომპლექსური შესწავლა) შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ერთ-ერთ საჭირბოროტო ძიებად რეგიონალური ლიტერატურის კვლევის საქმეში.

საინტერესოდ მოგვეჩვენა განვმარტოთ, თუ რას წარმოადგენს რეგიონალური ლიტერატურული სისტემის ცნება. იგი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ლიტერატურათა ერთობლიობა, რომელთა განვითარება განპირობებულია სოციალურ-პოლიტიკური, ისტორიულ-კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფაქტორებით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფაქტორების როლი რეგიონალური ლიტერატურული სისტემების კო-

ორდინაციაში და საერთოდ, განვითარების სარისხი თვით სისტემის საზღვრებში სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულია.

შეეცდებით განვსაზღვროთ რეგიონალური ლიტერატურული სისტემის ძირითადი თავისებურებანი, რომლებიც მას, ერთის მხრივ, მასში შემავალი უფრო მცირე დიაპაზონის ლიტერატურული სისტემებისგან და, მეორეს მხრივ, მსოფლიო ლიტერატურის მაკროსისტემისაგან განასხვავებს.

რეგიონალური ლიტერატურული სისტემები მოქმედებენ ფართო გეოგრაფიულ სივრცეში და მოიცავენ მრავალი ხალხის ისტორიულ ბედს. ისინი მრავალეროვანი და მრავალენოვანია, თუმცა ენათა სიახლოვე ამ დიდ ლიტერატურული ჯგუფებისა, რომლებიც ამ სისტემაში შედიან, ხშირად გვეელინება მისთვის დამახასიათებელ ნიშნად, რომელიც ბევრ რამეში განსაზღვრავს მიგარეგიონალური კავშირების სიმკვეთრეს.

რეგიონალური სისტემის შიგნით შესაძლებელია ერთი და იგივე ქრონოლოგიურ საზღვრებში შევამჩნიოთ ლიტერატურის განვითარების სხვადასხვა სტადიები.

რუსი მეცნიერი ნეუპოკოევა აღნიშნავს, რომ რეგიონალური ლიტერატურული სისტემისათვის ფრიად მნიშვნელოვან ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს კლასიკური მსატერული მემკვიდრეობის (ფოლკლორული, ლიტერატურული და სხვა ხელოვნების) და ასევე ფილოსოფიური და ესთეტიკური აზროვნების ერთიანობა (Неупокоева 1976: 197). ნებისმიერი რეგიონალური სისტემა მრავალმხრივად დაკავშირებულია მის საზღვრებს გარეთ არსებულ ლიტერატურათა განვითარებასთან. ზოგიერთი ასეთი კავშირი მუდმივ ტრადიციად ყალიბდება, ზოგიერთი კი უფრო მოკლევადიანია.

რეგიონალური ლიტერატურული სისტემის მნიშვნელოვანი ნიშნები შენარჩუნებულია სანგრძლივი დროით, რომლებიც მოქმედებენ მრავალი ისტორიული ეპოქის განმავლობაში და გადაეცემიან თაობიდან თაობას, როგორც თავისებური რეგიონალური ისტორიულ-კულტურული „კოდები".

შეიძლება ითქვას, რომ ორი ძირითადი მომენტი გვაძლევს საშუალებას გავაერთიანოთ ეროვნული და ეტაპობრივად სხვადასხვა პროცესები, რომელთაც ადგილი აქვთ რეგიონალურ ლიტერატურულ სისტემაში: პირველ რიგში ლიტერატურული ჯგუფების ისტორიულ-კულტურული მსგავსება, მეორე მხრივ, კი ლიტერატურის საზოგადოებრივი ფუნქციების თავისებურება მოცემული რეგიონის პირობებში.

ამასთან ერთად რეგიონალური ლიტერატურული სისტემები არ არიან თანაბარნი მთელი თავისი ისტორიის მანძილზე. ისინი ისტორიულად მოძრაენი არიან და განიცდიან ცვლილებებს თავიანთი განვითარების გვაზე. რეგიონალური ლიტერატურის ისტორიული მოძრაობა, რომელიც ემსახურება მნიშვნელოვან ცვლილებებს ხალხთა პოლიტიკურ და კულტუ-

რულ ცხოვრებაში, არის მსოფლიო ლიტერატურული პროცესის დამახასიათებელი თვისება. ლიტერატურულ სისტემებში მკვეთრად გამოიყოფა შიგარეგიონალური განვითარების ეტაპები. (ასეთი ეტაპები უკვე შეიმჩნევება ძველი მსოფლიოს აღმოსავლურ და ევროპულ ლიტერატურაში) (Неупокоева 1976: 199).

რეგიონალური ლიტერატურული სისტემების განვითარება ხდება დიდი ისტორიული ეპოქების ჩარჩოებში. ამ ფართო ქრონოლოგიურ საზღვრებში შეიძლება ვისაუბროთ რეგიონალური სალიტერატურო პროცესების შეღარებით სინქრონულობაზე, იმის შესახებ, რომ მასში შემავალი ლიტერატურები არ ცდებიან შოცემული რეგიონის მაგისტრალური ლიტერატურული პროცესების საზღვრებს. ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს XIX საუკუნის ცენტრალური და სამხრეთ-ევროპული ზონა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო რომანტიზმისა და რეალიზმის „სიმბიოზი". ევროპული ლიტერატურული პროცესის მაგისტრალური მიმართულების ეს ზონალური სპეციფიკა ვითარდებოდა სინქრონულად.

სხვადასხვა სალსთა ლიტერატურების მიკუთვნება განსაზღვრულ რეგიონალურ მთლიანობასთან და მისი განსაზღვრა დიდი ისტორიული ეპოქების ჩარჩოებით წარმოადგენს აუცილებელ, მაგრამ მხოლოდ დასაწყის ფაზას მსოფლიო ლიტერატურული პროცესების კანონზომიერებების გასააზრებლად. შემდგომში აუცილებელია ისტორიული ეპოქის ქრონოლოგიურ საზღვრებში მოქმედი ლიტერატურული ეპოქების შესწავლა, რაც კვლევის თვალსაზრისით ამ შემთხვევაში ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს. ამჯერად იგი იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც მსოფლიო ლიტერატურული პროცესის არათანაბარი განვითარებიდან გამომდინარე რეგიონალური ლიტერატურა მოიცავს ერთი ისტორიული ეპოქის საზღვრებში რამდენიმე ლიტერატურულ ეპოსს.

ზემოთ აღნიშნული რეგიონალური სისტემის თავისებურებანი მსოფლიოს ყველა ლიტერატურაში იკვეთება, მაგრამ ამჯერად ჩვენს ყურადღებას შეეხერებთ აშშ-ს თანამედროვე ლიტერატურაში რეგიონალური ტენდენციების აღორძინებაზე რიგ თანამედროვე ავტორთა მაგალითზე, რასაც შეიძლება პირობითად ასალი რეგიონალიზმი ვუწოდოთ.

ამერიკულ ლიტერატურაში რეგიონალური ტრადიციის არსებობა ახალი ხილი არაა. მისი ფესვები ჯერ კიდევ ადგილობრივ ამერიკულ ლეგენდებს, ჯეიმზ ფენიმორ კუპერის და ბრეტ ჰარტის ნაწარმოებებს უკავშირდება. მის გამოძახილს ეხვდებით ფოლკნერის რომანებსა და ტენესი უილიამსის პიესებში. რაღაც დროით, II მსოფლიო ომის შემდგომ სანაში ეს ტრადიცია თითქოსდა გაქრა, თუ ურბანისტულ ლიტერატურას არ მივიჩნევთ რეგიონალიზმის ერთ-ერთ გამოვლინებად, რაც საესებით სწორი იქნებოდა. და

მაინც, ბოლო ათწლეულში რეგიონალიზმი ტრიუმფით დაუბრუნდა ამერიკულ ლიტერატურას და მკითხველს სიერცის, დროის და პუმანიზმის განუმეორებელი განცდა შესძინა. იგი თავს იჩენს როგორც ლიტერატურის კლასიკურ ფორმებში – რომანებში, ნოველებსა და დრამაში, ასევე პოპულარულ ლიტერატურაში, დეტექტივებში და ა.შ.

ამ მოვლენას მრავალი საყარაულო ახსნა გააჩნია. ერთის მხრივ, გასულ წლებში ამერიკაში სელოცნების ყველა ფორმის დეცენტრალიზაცია მოხდა. თეატრი, მუსიკა, ცეკვა ისეთიერ მასშტაბით ვითარდება შტატების სამსრეთით და ჩრდილოეთით, როგორც ნიუ იორკისა და ჩიკაგოს მსგავს მეგაპოლისებში. კიდევ უფრო ფართო განვითარება პპოვა კინომ. იგივე შეიძლება ითქვას ლიტერატურაზეც. არსებობს უამრავი წერილი გამომცემლობა მთელი ქვეყნის მასშტაბით, იმართება მწერალთა კონფერენციები და სემინარები, ლიტერატურის კურსებს ქვეყნის თითქმის ყველა უნივერსიტეტში კითხულობენ და ა.შ.

ახალი რეგიონალიზმის ყველაზე საინტერესო ასპექტები მისი მასშტაბურობა და მრავალფეროვნებაა. იგი მთელ ამერიკას ფარავს, აღმოსავლეთიდან დასავლეთით. ტრანსკონტინენტალური ლიტერატურული ტურნე ჩრდილოდასავლეთით იწყება, ოლბანიდან (ნიუ იორკის შტატი) და ამ რეგიონის მკვიდრი უილიამ კენედის შემოქმედებითაა წარმოდგენილი, რომლის ნაწარმოებები "Ironweed" (1983) და "Very Old Bones" (1992) ნიუ იორკის შტატის დედაქალაქის, ოლბანის ელეგიურ სურათებს ქმნიან.

ნაყოფიერი რომანისტი, ნოველისტი და პოეტი ჯოის კეროლ უოტსიც ჩრდილოაღმოსავლეთ შტატების მკვიდრია. მის მომაჯადოებელ ნაწარმოებებში პერსონაჟები მასიაკალური სიჯიუტით ცდილობენ თვითრეალიზაციას, მაშინ როცა გროტესკულ გარემოს ისინი განადგურებამდე მიჰყავს. მის საუკეთესო ქმნილებებად უნდა ჩავთვალოთ მოთხრობათა კრებულები – "The Wheel of Love" (1970) და "Where Are You Going, Where Have You Been" (1974). სტივენ კინგი, სამინელებათა რომანის მეტრი თავისი დაძაბული თხრობის ადგილად ძირითადად მეინის შტატს ირჩევს, რომელიც იმავე რეგიონს მიეკუთვნება.

ენ ტაილერი წარმოადგენს ბალტიმორს, მერილენდს თავისი უჩვეულო, სიცოცხლით სავსე პერსონაჟებით. მისი რომანები, "Dinner at the Homesick Restaurant" (1982), "The Accidental Tourist" (1985) და "Saint Maybe" (1991) ექსტრაორდინალურ მოვლენებს მშვიდი, წყნარი თხრობით გადმოგვცემენ.

ბალტიმორიდან ასლოს მდებარეობს ვაშინგტონი, ქვეყნის დედაქალაქი, რომელსაც თავისი მდგრადი ლიტერატურული ტრადიციები გააჩნია. ქალაქში, რომელიც პოლიტიკით ცხოვრობს, თავის ნაწარმოებებს ქმნის უარდ ჯასტი, ყოფილი საერთაშორისო კორესპონდენტი, რომლის რომანებიც

მწერლისთვის შშობლიურ გარემოს ასახავენ – ჟურნალისტების, პოლიტიკოსების, დიპლომატებისა და ჯარისკაცების სამყაროს. "In the City of Fear" (1982) და "Jack Gance" (1983) მწერლის ყველაზე შთამბეჭდაო ქმნილებებია. სუზან რიჩარდს შრიფის "Chjldren of Power" ე.წ. „ოქროს ასალგაზრდობის", გაელენიან პირთა შვილების ცხოვრებას გვაცნობს..

სამსრეთით ჩვენს ყურადღებას რეინოლდ პრაისი და ჯილ მაკკორკლი იპყრობენ. პრაისის პირველი სერიოზული ნაშრომი გახლდათ რომანი "A Long and Happy Life" (1962), რომელიც ჩრდილო კაროლინას მკვიდრებზე მოგვითხრობს და მისი გმირი, ახალგაზრდა ქალი როზაკოულ მარტიანი მწერლის სხვა ნაწარმოებებშიც გვხვდება. რომანი „კეიტ ვეიდენი" (1986) მწერლის ერთადერთი ნაწარმოებია, სადაც თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს.

მაკკორკლი ახალი თაობის წარმომადგენელია. იგი 1958 წელს დაიბადა. მისი რომანების და ნოველების მოქმედება სამხრეთ კაროლინის პატარა ქალაქებში ვითარდება. იგი იკვლევს თაობათა შორის კავშირს ("Tending to Virginia", 1987), თინეიჯერთა ბობოქარ სამყაროს ("The Cheer leader", 1984) და თანამედროვე სამხრეთელი ქალების ფსიქოლოგიას ("Crash Diet", 1992).

იმავე რეგიონს წარმოადგენს პატ კონროი, რომლის ავტობიოგრაფიული რომანები, მძიმე ბავშვობასა და ტირანი მამის გავლენაზე რომ მოგვითხრობენ, საესეა სამხრეთ კაროლინის მომხიბლავი ლანდშაფტების აღწერით.

ამერიკის შუაგული ერთობ მდიდარია ლიტერატურული კუთხით. საინტერესო ავტორთა შორის უნდა გამოვყოთ ჯეინ სმაილი, რომელიც აიოვას უივერსიტეტში ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას და რომელმაც 1992 წელს პულიცერის პრემია მიიღო წიგნისათვის "A Thousand Acres" (1991), ამ ნაწარმოებში შექსპირისეული „მეფე ლირის" ენებები დასავლურ ფერმაშია გადატანილი და ასახულია მწვავე ოჯახური კონფლიქტი, რომელიც მაშინ ჩაისახა, როცა მოხუცმა ფერმერმა გადაწყვიტა, მიწა თავისი სამი ქალიშვილისათვის გაეყო.

ტეხასელი რეპორტიორი ლარი მაკარტრი თავისი შტატის ისტორიას გადმოგვცემს, მე-19 საუკუნის გამქრალი დასავლური ყოფით დაწყებული ("Lonesome Dove", 1985) და ომისშემდგომი ხანის გაქრობის პირას მისული პატარა ქალაქების ცხოვრებით დასრულებული. ("The Last Picture Show", 1966).

ლესლი მარმონ სილკოს რომანი "Ceremony" 1977 ახალი მექსიკის თვალისმომგვრელ პეიზაჟებს გვაცნობს. მსგავსად ნ. სკოტ ნომადის პოეტური ქმნილებისა "The Way to Rainy Mountain" (1969), ესეც „ხადოქრობის რომანია", რომელიც ამერიკელ ინდიელთა სამკურნალო ოსტატობას გვაცნობს, ხოლო რომანში "The Almanac of the Dead" (1991) ავტორი სამხრეთ-დასავ-

ლეთ ამერიკის პარმონიულ სურათს ქმნის, დაწყებული უძველეს ტომთა მიგრაციით, თანამედროვე ნარკოდილერთა ყოფის ასახვით დამთავრებული.

ჩრდილოეთით, მონტანაში პოეტი ჯეიმს უელჩი ღეტალურად აღწერს ამერიკელ ინდიელთა ბრძოლას პირქუში რეზერვაციის პირობებში, სადაც გმირები ბედნიერების ძიღწევას ცდილობენ სიღატაკისა და საყოველთაო ალკოჰოლიზმის ფონზე. მის ქმნილებათაგან უნდა გამოვყოთ "Winter in the Blood"(1974), "The Death of Jim Loney" (1979) და "The Indian Lawyer" (1990). მონტანას კიღევ ერთი მკვიდრია ტომას მაკგუენი, რომლის "Ninety-Two in the Shade" (1973) და "Keep the Change" (1989) ჭეშმარიტ სიმამაცეს და ვაჟკაცობას ასხამს სოტბას და დაკარგული უესეების ერთგვარ ძიებას წარმოადგენს.

შორეული დასაველეთი ორი საინტერესო ავტორითაა წარმოდგენილი. ერთ-ერთი აწ განსვენებული უოლეს სტეგნერია, რომელიც კარგად იცნობს დასაველეთს და რომლის შემოქმედებაშიც რეგიონალიზმი იმთავითვე ქღერდა. მისი პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები "The Big Rock Candy Mountain" (1943) ამერიკული ოცნებით შეპყრობილი ოჯახის ისტორია გახლავთ. 1971 წელს მან პულიცერის პრემია მიიღო რომანისათვის "Angle of Repose", სადაც ძველი დასაველეთის ქალთა საინტერესო გალერეას ვხედებით.

ჯონ დიდიონი, რომლის რომანებშიც ნათლად ჩანს ჟურნალისტის უკომპრომისო ხედვა, ასახავს თანამედროვე კალიფორნიის პანორამას რომანში "Play As It Lays" (1970).

წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასაველეთი ერთ-ერთი ყველაზე საყოფიერი შემოქმედებითი რეგიონია. მის ღირსეულ წარმომადგენლად შეიძლება მიეჩნიოთ ნოველისტი რაიმონდ კარვერი. იგი რეალისტურად ასახავს უბრალო ადამიანების ცხოვრებას კრებულებში – "What We Talk About When We Talk About Love" (1974) "Where I'm Calling From" (1986).

ლიტერატურისადმი რეგიონალურ მიდგომას, შეიძლება ითქვას, არ მიეყავართ სქემატურობამდე. პირიქით, რეგიონალური მიდგომა იძლევა საშუალებას, უფრო ღრმად გავიგოთ თითოეული ორიგინალური ნაწარმოები რეგიონალურ თუ მსოფლიო კულტურასთან მიმართებაში.

ასე რომ რეგიონალური ლიტერატურული სისტემა იძლევა ფართო კოორდინატებს, რომელიც გვეხმარება გავერკვეთ ლიტერატურული პროცესის ძირითად ტენდენციაში და განვსაზღვროთ სებისმიერი ლიტერატურის ადგილი.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აქვე ჩვენ ვაწყდებით მსოფლიო ლიტერატურის მაკროსისტემის დიალექტიკის ისეთ მომენტებს, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. რეგიონალური კოორდინატების მასშტაბურობა, რომელიც ასე აუცილებელია მსოფლიო სალიტერატურო პროცესის საერ-

თო კანონზომიერებების გასაგებად, ხშირად აღმოჩნდება ხელისშემშლელი ფაქტორი უფრო მცირე მასშტაბების ლიტერატურული პროცესების შესწავლის საქმეში.

დასასრულ, ვისარგებლებ გოეთეს სიტყვებით: „ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრა არის ახალი პრობლემა“. ლიტერატურისაღმი რეგიონალური მიდგომა მკვლევარებს ახალი კელევის ამოცანას უსახავს: რეგიონალური ლიტერატურული სისტემების კელევიდან მეცნიერები გადავიდნენ მის უფრო დიფერენცირებულ შესწავლაზე, კერძოდ, – ზონალური და ნაციონალური ლიტერატურული სისტემების კელევაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Неупокоева И. Г., Проблемы системного и сравнительного анализа. М., «Наука», 1976.
2. Рифтин Б. Л., Типология и взаимосвязы средневсковых литератур Востока и Запада. М., «Наука», 1974.
3. Типология и взаимосвязи литератур Древнего мира. М., «Наука», 1971.

BAIA KOGUASHVILI
Akaki Tsereteli State University, Assoc. Prof.

SUMMARY

REGIONAL LITERARY SYSTEMS: "NEW REGIONALISM" IN CONTEMPORARY AMERICAN LITERATURE

The present essay deals with the question of regional literary systems and 'New Regionalism' in contemporary American literature.

Regional literary processes form a kind of systematic unity and provide a systematic framework for the analysis of the literatures of belonging to the given region. Thus, systematic approach to the problems of the regional literatures is necessary. In addition to this, interconnections between and coexistence of the literatures of the same region play a great role in the development of World literature.

Regional approach also implies establishing ties with other arts. Complex analysis of artistic cultures enables us to gain deep insight into the common developments in the spiritual experience of large ethnic groups.

Regional approach to the study of literatures does not lead us to schematic models of literature development. Conversely, it enables us to gain deeper insight into any individual work of art in the context of regional and world culture.

ირაიდა კროტენკო
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი
ელენე კროხენკო
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

მეტამოთხრობა ფრანგულ და ამერიკულ პოსტმოდერნისტულ თეორიებში

თანამედროვე პოსმოდერნისტული თეორიები ქმნიან ინტერდისციპლინარული მიმართულებების კომპლექსს, რომელმაც გამოელინება პპოეა ჰუმანიტარული ცოდნის სხვადასხვა სფეროში, მათ შორის ლიტერატურათმცოდნეობაში. ამ კომპლექსის თეორიულ წანამძღვარს წარმოადგენს ფრანგული პოსტსტრუქტურალიზმისა და დეკონსტრუქტივიზმის ჭრილში დამუშავებული კონცეფცია, რომელმაც პოსტმოდერნისტული კომპლექსის სახელწოდება მიიღო (ჟ. ლაკანი, მ. ფუკო, ჟ-ფ. ლიოტარი და სხვ.). ლიტერატურის ამ ფილოსოფოსებისა და თეორეტიკოსების ნაშრომები გამოყენებული იქნა ლიტერატურული მასალის ანალიზისათვის; მათ განაპირობეს პოპულარობა ლიტერატურათმცოდნეებს შორის, წარმოშვეს დეკონსტრუქტივიზმის ფენომენი, რომელიც, ვიწრო გაგებით, არის ლიტერატურის თეორია და მსატერული ნაწარმოებების ანალიზის სპეციფიკური პრაქტიკა. დამუშავებულია მნიშვნელოვანი ტერმინოლოგიური აპარატი, რომელიც დღეს ფართოდ გამოიყენება ფილოლოგების მიერ სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას; შემოაქვთ ის აგრეთვე უმაღლესი სკოლის პრაქტიკაში. ამავე დროს აღგილი აქვს აზრთა არსებით სხვაობას ამ ტერმინთა შინაარსობრივ დახასიათებაში. „პერმენევტიულმა“ და „მემარცხენე“ ამერიკულმა პოსტმოდერნიზმმა შექმნეს დღეს ზოგადმეთოდოლოგიური ბაზა, რომელიც მუდამ სცილდება წმინდა ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზის ფარგლებს.

წინამდებარე სტატიის მიზანს შეადგენს სამამულო თეორიული პოეტიკის მიმოქცევაში მეტამოთხრობის ცნების შეყვანა, მისი წარმოშობის თეორიული წანამძღვრების, შეძლებისდაგვარად მისი ნორმატიულობის განსაზღვრა. პოსტმოდერნის ფრანგულ და ამერიკულ თეორიებში ხდება სემანტიკისა და აზრთა სხვაობის დაზუსტება ტერმინის გაგების თვალსაზრისით, მოცემულია მეტამოთხრობის ჟანრის ფორმირებისადმი სისტემური და გამოყენებითი მიდგომის მცდელობა. გათვალისწინებულია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ლიტერატურათმცოდნეობა თავისთავად გამორიცხავს ტერმინოლოგიის აბსოლუტური უნიფიკაციის შესაძლებლობას. აუცილებელია

აგრეთვე აღინიშნოს, რომ ისეთი ცნება, როგორც ჟანრის ტიპოლოგია, მოცემულ შემთხვევაში პირობითია, რადგანაც პოსტმოდერნიზმის თეორიები მიისწრაფვიან ყოველგვარი სისტემებისა და ჟანრული იერარქიებისა და კატეგორიების დესისტემატიზაციისაკენ. მეტანარატივისადმი მიძღვნილ შრომებს შიეყვარეთ მეტანარატივითან როგორც პოსტმოდერნიზმის ცენტრალურ ცნებასთან. ასეთი კომპლექსური მიდგომა პროცესის სხვადასხვა და ურთიერთგამომრიცხავი განმარტებებისადმი საშუალებას იძლევა გაეიაზროთ ლიტერატურული პროცესის გაგების პრობლემა, მეტანარატივის თეორიების გაელესვა ლიტერატურულ პრაქტიკაზე, არა მარტო ამერიკულზე, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ლიტერატურებში, რომლებშიც აგრეთვე აქვს ადგილი პოსტმოდერნისტულ პრაქტიკას. ასე, მაგალითად, ფ. სოროკინი იყენებს ტერმინს „მეტარომანი“, ის შედგება მრავალი ფრაგმენტისაგან, „რომანს“ კი პირობითად უწოდებენ, ალბათ მხოლოდ მოცულობის გამო. უეჭველია, რომ პრობლემათა დასახელებული წრე არ შეიძლება ამოწურული იქნას მოცემული სტატიის ფარგლებში. აღნიშნული მიდგომები კელევის პრობლემისადმი შეიძლება იქცეს ამ დარგში დასაწერი სამუშაერების მეთოდოლოგიად.

მეტამოთხრობის როგორც ტერმინის განსაზღვრისას ბაზისურ ცნებას, ჩვენი აზრით, წარმოადგენს თაესართ ***პოსტ***-ის სემანტიკის დაზუსტება. მასთან დაკავშირებულია XX საუკუნის ფილოსოფიურ მიმართულებათა მთელი რიგის წარმოშობა (პოსტმოდერნიზმი, პოსტსტრუქტურალიზმი, პოსტდეკონსტრუქტივიზმი). პოსტმოდერნიზმი გაიგება როგორც დისციპლინათშორისი ფართო კულტურული ცნება, რომელშიც ექცევა ფილოსოფია, ესთეტიკა, ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებანი. ამ განმარტების ზოგადი ხასიათი, არაადაპტურობა ლიტერატურაში საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ის მთლიანობაში, მაგრამ დავაზუსტოთ მისი ზოგიერთი პოზიცია და გავაანალიზოთ აღნიშნული პრობლემის მიმართ. აუცილებელია დავაზუსტოთ, რომ თავსართი, რომელიც საერთოა მრავალი მიმართულებისთვის, სულაც არ მიუთითებს მეთოდზე, ფასეულ პარადიგმაზე; საერთო არის მხოლოდ წინამორბედთა უარყოფა. ამ უარყოფის თავისებურება მდგომარეობს აგრეთვე არა ცნების ფორმის წინა წარმოდგენის დაძლევაში, არამედ მისი მნიშვნელობის შეზღუდვაში. ტერმინის პარადოქსულობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ზუსტად არ აფიქსირებს პოსტმოდერნიზმის კავშირს გარკვეულ შინაარსთან, რითაც ცნება მზადაა გარდაქმნისა და გადამუშავებისათვის, კეთდება აქცენტი საერთო სისტემის პირობითობაზე. ამით თავსართი ***პოსტ***- თავისი გამოყენებითი მნიშვნელობით გულისხმობს ცნების „***მეტა***“ ფორმირებას, სხვა ჟანრებში გადასვლას, გააჩნია დაუმაგრებლობის, მუდმივი მოძრაობისა და გარდაქმნის თვისებები. ამ წანამ-

ძველიდან გამომდინარე არამართებულია პოსტმოდერნიზმის ლოგიკური და ქრონოლოგიური ლოკალიზაცია, თუმცა ასეთი შესაძლებლობა არ არის გამორიცხული.

ფრანგმა ფილოსოფიის ისტორიკოსმა ჟან-ფრანსუა ლიოტარმა პირველმა დაიწყო ლაპარაკი პოსტმოდერნიზმზე ფილოსოფიისადმი მიმართებაში. პოსტმოდერნიზმი შემოღებულ იქნა დასაელეთ ევროპაში 30-იან წლებში, შემდეგ განვითარება პპოვა 60-იან წლებში. ნაშრომში „პოსტმოდერნისტული სეედრი“ ჟ. ლიოტარმა ასე განსაზღვრა მეტამოთხრობის ცნება-გასაღები: „თუ ყველაფერს უკიდურესად გავამარტივებთ, მაშინ პოსტმოდერნიზმი გაიგება როგორც უნდობლობა მეტამოთხრობების მიმართ“ (×ðõðàíîâ 1979: 7). მცირე პროზის ჟანრის ტიპოლოგიის პრობლემა აინტერესებდა ლიოტარს მსატერულ პრაქტიკასთან მიმართებაში, რომელიც იკელევს თანამედროვე საზოგადოების ესთეტიკურ და პოლიტიკურ ასპექტებს. ყველა ახსნით სისტემას, რომლებიც საზოგადოების თვითგამორკვევის საშუალებას წარმოადგენს, ის აღნიშნავს ტერმინით „მეტამოთხრობა“ და აგრეთვე მისგან ნაწარმოებ ცნებებად: მეტაისტორია, მეტათხრობა, მეტადისკურსი. ლიტერატურულად გაგებულ ფილოსოფიას მიზნად პქონდა დასახული მიეწიჭებინა დასრულებულობა ნებისმიერ ტექსტებს, ციტატებს, მეტაფორებს. ლიტერატურაში ყოველთვის ბატონობდა „დიადი ისტორიები“; ლიოტარი მათ მიაკუთვნებდა ისეთებს, როგორიცაა პეგელის დიალექტიკა, პიროენების ემანსიპაცია, პროგრესის იდეა, განმანათლებლური წარმოდგენა ცოდნის შესახებ როგორც საყოველთაო ბედნიერების დამყარების საშუალებაზე და ა.შ. თანამედროვე საუკუნეს ის „დიადი ისტორიების“ გახლეჩის დროს უწოდებდა. ჩნდება უამრავი „მეტადისკურსი“, მცირე ლოკალური ამბავი-მოთხრობა, რომელთა აზრი სულიერი კრიზისის დრამატიზაციაში მდგომარეობს. სერიოზულ მხატვარს, ლიოტარის აზრით, შეიძლება პქონდეს მხოლოდ ერთი პერსპექტივა: ენობრივი თამაშების დეკონსტრუქცია. ენა უჯრედია. ენობრივი მნიშვნელობა შეიძლება იყოს არამყარი, ვინაიდან მისი კონტექსტებიც მოძრავია. მეტამოთხრობებს, ლიოტარის აზრით, შეუძლიათ გადმოსცენ მხოლოდ ლოკალური ფაქტები, ფრაგმენტები. თეორეტიკოსს ლოგიკურ ზღერამდე მიპყავს „უთანხმოება უთანსმოებისათვის“. ყოველი სისტემა სხვა სისტემას ქმნის. ასე იქცევა ენობრივი ცნობიერება ფიქციად.

უნდა აღინიშნოს, რომ ჟ-ფ. ლიოტარის მიერ პოსტმოდერნის თეორიაში შემოტანილი ცნება „მეტამოთხრობა“ წინასწარ ნაგულისხმევი იყო პოსტმოდერნიზმის სხვა თეორეტიკოსების მხრიდან. თავის საფუძველში ეს ცნება მრავალ წყაროს უკავშირდება: ეს არის ჩ. პირსის სემიოტიკა, რომლის თანახმადაც ადამიანის ნებისმიერი აზრი ნიშნებითაა შემოსილი; ფ. დე სო-

სიურის ლინგვისტიკა, რომელიც სიტყვასა და საგანს შორის კაეშირის თვითნებურობას ამტკიცებს და ა.შ.

ლიოტარის კოსცეფცია ფართოდ გავრცელდა პოსტმოდერნის თეორეტიკოსთა შორის, რომელთაგანაც ყველაზე მეტად გამოირჩევა ამერიკელი ლიტერატურათმცოდნე ი. პასანი. სწორედ მისი გავლენის ქვეშ მეტამოთხრობა მხატერული ლიტერატურისა და ლიტერატურული თეორიის უდაეო დოგმატად იქცა. ი. პასანმა გამოიყენა მეტანარატივი ამერიკულ ლიტერატურაში ახალ აზრთა მიმართულებების აღწერის დროს, იმ პერიოდისა, როდესაც ლიტერატურაში მცირე პროზის გაბატონება დაიწყო. ფუძემდებლური პარადიგმის არარსებობისას სდება თამაშის, დიალოგისა და ირონიისადმი მიმართვა. პასანმა გააანალიზა უ. ბეროუზის, ტ. პინჩონის, ჯ. კეიჯის მცირე პროზა. მეტანარატივში ის ხედავდა უპირველეს ყოვლისა ამ ჟანრის გაგრძელებას მოდერნიზმში. ასეთი მოთხრობების ცენტრალურ თემად ის თელიდა მდუმარების თემას. ი. პასანის ეს კონცეფცია დავის საგნად იქცა სხვა ამერიკელ ლიტერატურათმცოდნეებთან, რომლებიც ასასიათებდნენ 60-იანი წლების ამერიკულ მცირე პროზას მოდერნიზმთან ყოველგვარი კაეშირის გაწყვეტის თვალსაზრისით. ამასთან მეტანარატივი წარმოადგენდა მხატერული მოთხრობის, ესეს, თეორიული კომენტარების ჟანრს, რითაც ამართლებდა „*მეტა*“-ს მნიშვნელობას. როგორც ი. პასანმა, ასევე მისმა მოწინააღმდეგეებმა (უ. ჯეიმსონი, ტ. აღორნო და სხვ.) ღისკუსია ცნების მნიშვნელობის შესახებ მომიჯნე პუმანიტარულ სფეროებში გადაიტანეს. იმდროინდელი სხვადასხვა სკოლებისა და მიმართულებების წარმომადგენელთა ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისის მიუხედავად, XX საუკუნის 50-60-იანი წლების თეორიულმა პოეტიკამ ამერიკაში ასლებურად გააერთიანა მეტანარატივის ვერბალური და მხატერული დონეები. მეტანარატივის მცირე პროზაული ფორმა საუკეთესოდ ეთანხმებოდა ი. პასანის მიერ შემოთავაზებულ პოსტმოდერნიზმის ზოგად კლასიფიკაციას (გაურკვეველობა, ფრაგმენტულობა, ენობრივი თამაშები და სხვ.). მეტანარატივის ჟანრის განსაზღვრაში ი. პასანი ლიოტარს უსწრებს უარყოფის გზაზე. ის აცხადებს ჟანრების მუტანტურ ცვლილებას, რომლებმაც შესაბამისი ტერმინოლოგიური განსაზღვრა მიიღეს: ***პარალიტერატურა***, მასში კი ***არამხატერული მოთხრობა***. პასანის გაგებით ჟანრთა აღრევა საშუალებას იძლევა უარყო ტრადიცია, რითაც გააფართოვო წარსულის ჩარჩოები აწმყოში. ს. პასანის აზრით, მეტანარატივის ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა იმანენტურობა, ესე იგი, იმ რეციპიენტის მეხსიერების გაზრდილი პოტენციალი, რომელიც აღიქვამს სიმბოლოებს და რომელსაც მათი დეკოდირების უნარი გააჩნია. ამით მხატერული ნაწარმოების სამყარო იმანენტური სემიოტიკური სისტემაა.

თეორეტიკოსი ტ. დანი მეტამოიხრობის ჟანრის საფუძველზე ცდილობს მოახდინოს მოღერნიზმის მსატერული მიმართულებების გამიჯვნა და მეტათხრობის პოტენციალის უნიფიცირება. ტ. დანს მოღერნისტთა ფუნქციონალიზმი ესმის როგორც მათი სწრაფვა, დაუპირისპირონ დისკრეტულ მეტანარატივს ნაწარმოების თვითკმარი, ავტონომიური სამყარო, რომლის ხელოვნური მოწესრიგებულობა წინ უნდა აღუდგეს რეალობის სამყაროს. რეალობის სამყარო, ტ. დანის მიხედვით, არის ქაოსი, ტრაღიციულ ფასეულობათა მსხვრევა: „მოღერნიზმი მნიშვნელოვნად იყო დასაბუთებული მეტათხრობის ავტორიტეტის მიერ, რათა მოეპოვებინა ნუგეში ნიპილიზმის იმ, როგორც ეს მას ეჩვენებოდა, ქაოსის წინაშე, რომელიც წარმოშობილი იყო პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური გარემოებებით“ (Феноменология 1997: 213). ასეთ მაუნიფიცირებელ მეტანარატივს დანი უწოდებს „უნაყოფო მიწას“, ასახიათებს მას როგორც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილ ქაოსს. ლინგვისტებმა (ვ. ჩუსრანოვი, რ. პოკროვსკი) გააანალიზეს ელიოტის პოემის ტექსტი ენობრივი სტრუქტურის თვალსაზრისით, განსაზღვრეს მეტანარატივში ენობრივი აზროვნების ინტეგრალური როლი. ინგლისური ენის კატეგორიები გეცნობარება დავადგინოთ ექსტრემალურობის კატეგორიალური სტატუსი, განესაზღროთ მისი მსატერული საშუალებები მეტანარატივის დონეზე. ტ. ელიოტი „უნაყოფო მიწაში“ (“The Waste Land”) წინასწარ განჭერეტს მოვლენებს ტექსტის სტრუქტურით. მეტანარატივში აღმოჩენილია ლექსიკონის ერთეულების ქაოტური შეჯიდულობები ელემენტ *st*-თან. მოთხრობაში სულ ორი ზედსართავი სახელია აღმატებით ხარისხში: ***the crudest*** და ***the wisest***. ისინი, ისევე როგორც *st*-ს შემცველი სხვა ელემენტები, ექსტრემალურ ასოციაციას იწვევენ. ნიჭიერი ავტორი იყენებს ბუნებრივ ენობრივ ფორმებს. ამაღე დროს ამ ქაოსში ჩნდება სწრაფვა, მოვიპოვოთ ამ ქაოსის ალგორითმი. მთლიანობის ძიება, ტ. დანის მიხედვით, მდგომარეობს ელიოტის მითოლოგიურ მეთოდში, რომლის მეშვეობითაც ის ცდილობს მოიპოვოს გახლეჩილი სამყაროს მთლიანობის გაგება რელიგიასა და ისტორიაში. უფრო გვიანდელ ნამუშევრებში ტ. ელიოტი იცვლის თავის დამოკიდებულებას მეტანარატივის მიმართ, ისილაშს მას როგორც შინაარსის, სტილისა და სტრუქტურის სინთეზს. ხელოვნება, როგორც დაცვა ცხოვრების ქაოსისაგან, კანონიზირებული იყო ანგლო-ამერიკულ „ახალ კრიტიკაში“. მეტათხრობის მითოლოგემას დანი პოულობს ე. პაუნდის მცდელობებში დაეყრდნოს კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებს, არა მხოლოდ დასავლურის, არამედ აღმოსავლურის. ე. პაუნდმა მოახდინა ენის რეფორმა, ის ითხოვდა მეტაფორებისა და ხატების სიზუსტეს. მან ძლიერი გავლენა მოახდინა მის თანამედროვე პროზაზე. მიუხედავად ამისა ომის დროს ის ფაშიზმის მხარეზე

გადაეიდა. ფოლკნერთან დანი აერეთვე ხედავს ამერიკული სამხრეთის ისტორიის მითოლოგიზაციის გაელენას, ე. პემინგუეისთან კი ღირსების კოდექსის საყრდენს.

მაგრამ ყველა მცდელობა ისტორიის მსელელობის ჟონიერების ასსნისა, თუნდაც მაღალმხატერულ ნაწარმოებებში, გასწირულია დამარცსებისთვის. აღვსიშნავთ, რომ ტ. დანისათვის მეტათხრობა, დიდი ეპიკური ფორმა სულაც არ უპირისპირდება მეტამოთხრობას, მცირე ფორმას. ფორმას საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია არა მოცულობა, არამედ მიდგომა სინამდვილის ასახვისადმი. მეტანარატივის ყველა სასეობაში შესაძლებელია მხოლოდ ერთი ფორმა – „გამოცდილების ფრაგმენტულობა“. ეს ერთადერთი ფორმაა, რომლის მეშვეობით შეიძლება აღვწეროთ რეალობა. ამ დროს სრულიად აშკარაა ის გარემოება, რომ აეტორისა და მისი თანამოსაუბრის, მკითხველის, ტრადიციული თანაფარდობა აერეთვე იცვლება, სრულიად ასლებურად განისილება სუბიექტთაშორისი კავშირები. ტექსტის ბუნება მრავალგანზომილებიანია, მეტამოთხრობის გაგებაც ასეთივეა, რადგანაც აეტორისა და მისი თანამოსაუბრის სასეები არ არიან გაიგივებული. კულტურა აღარ არის გარეგანი ორიენტირი, იქცევა შინაგან ფორმად, პრივილეგირებულობას კარგავს. ერთგანზომილებიანი მნიშვნელობიდან მეტანარატივის მრავალგანზომილებიან მნიშვნელობაზე გადასვლამ გამოაჟღინა მისი ევოლუციის პრობლემა, გააფართოვა მისი შექმნის ხერხების სფერო. ამიტომ ისტორიული, ფსიქოლოგიური პლანის ნებისმიერი ჟონივრული ახსნა აზრის მრავალგანზომილებისა და დისკრეტულობის თვალსაზრისით წინასწარვე მცდარია. კლასიკა აღარ არის მიბაძვის მაგალითი; თუ კი მისი ციტირება ხდება, ეს მხოლოდ იმისათვის, რათა დაამტკიცონ მისი სრული უაზრობა თანამედროვე ცვალებად და ქაოტურ სინამდვილეში. ასეთი დამოკიდებულება აქვს კლასიკური ლიტერატურისადმი ბევრ ამერიკელ მწერალ-პოსტმოდერნისტს (დ. ბერტლი, რ. ბაუტიგანი, ტ. მაკგვეინი, ტ. პინჩონი და სხვ.). დელეზი და გვატარი მეტანარატივს იხილავენ როგორც რიზომას. ეს ტერმინი ლიტერატურის თეორიაში ფილოსოფიიდან შემოვიდა. რიზომა გაიგება როგორც სიბრტყე, სადაც არ არის ცენტრი. რიზომა ფესვია, ბალახი, რომელსაც დასაწყისი და ბოლო არა აქვს. ის ყოველმხრივ მიცოცავს. ასეა მეტანარატივიც, მასში შეიძლება მხოლოდ სეირნობა, შორიდან მას ვერ უყურებ. ასე იშლება ჰეტეროგენულობის, ცვალებადობის სივრცე.

მეტანარატივის რამდენადმე განსსვავებულ განმარტებას იძლევა ფ. ჯეიმსონი. ის უსადაგებს მას ცნებებს „დიადი თხრობა“, „დომინანტური კოდი“, „დომინანტური თხრობა“. და კვლავ ამგვარი გრადაცია სულაც არ ეხება პროზის ჟანროლოგიის პრობლემას. ფ. ჯეიმსონი აეითარებს ლიოტარის

აზრს, მაგრამ თუ ლიოტარი მიდიოდა ფილოსოფიიდან ლიტერატურისაკენ, ფ. ჯეიმსონი მიდის ლიტერატურიდან ფილოსოფიისაკენ და აპაჯს მეტანარატიეი ეპისტემოლოგიურ კატეგორიამდე. მეტანარატიეი არ შეიძლება გაგებული იქნას ჩვენი ემპირიული აღქმით, ის არის აბსტრაქტული ფორმა ცარიელი კოორდინატებისა, რომელთა შიგნით აღამიანი შეიცნობს სამყაროს. რეალობის მრავალგანზომილება არ შეიძლება შეცნობილი იქნას ფორმების, სტრუქტურების, კატეგორიების მეშვეობით. მისი მოცვა შეუძლია მხოლოდ შემეცნებით ფიქციას, გამონაგონს. სამყარო მისაწვდომია ადამიანისათვის მისი რეალობის არა მთელ სისავსეში, არამედ მხოლოდ როგორც ამბები და მოთხრობები მის შესახებ, რეალური სიბრტყიდან ტექსტის, მეტატექსტის, მეტანარატიეის სიბრტყეში გადატანის შემთხვევაში. მწერალი ამით არა მხოლოდ შეიცნობს რეალობას, არამედ გარდაქმნის მას, გადმოსცემს დიად ამბებს. მწერლის ფუნქცია მცირდება, მისი რედუცირება ხდება. ამბებს ეუწოდებთ სოლმე მეტანარატიევებს, მათ შემქმნელებს კი ნარატორებს. ავტორი დამოკიდებულია სამყაროზე, რომელსაც ასახავს, თხრობა კი განაცხადებს, რომ ის დამოუკიდებელია სამყაროსაგან. შექმნილი ტექსტები, მეტანარატიევები არ ქრებიან, არამედ გაფანტული სახით ავრძელებენ თავის გაელენას ადამიანთა ცნობიერებაზე და ასევე ადამიანთა გაელენის ქვეშ იცელიან სახეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Эстетическая мысль XX века.Часть I. Феноменология.: Москва: В авторской редакции, 1997.
2. Современное зарубежное литературоведение. Концепции. Школы. Термины: Москва: Одиссей, 1996.
3. Чухранов В.Н. Интегрирующий потенциал экстремальности на уровне текста// Языкознание,1979, №1.

IRAIDA KROTENKO
Akaki Tsereteli State University, Professor
ELENE KROTENKO
Sokhumi State University Ph.D. Candidate

SUMMARY

META-NARATIVE IN FRENCH AND AMERICAN POSTMODERNIST THEORIES

The present essay is concerned with the intricate question of the concept of 'meta-narrative'. Being a term of short fiction, it found its theoretical explanation and practical usage in French and American literatures and critical theories.

Any scholar exploring this problem will inevitable find himself/herself confronted with the question of the stages in the development of the concept in question. I have also tried to explore the way in which the concept became normative. I further investigate the transformations of this term in West European and American artistic practice and critical theories. The necessity of the introduction/implementation of this concept in the contemporary academic curricula is emphasized. The attention is also paid to the genre problems; an attempt is made to account for the popularity of the genre from culturological standpoint and to explain its heterogeneity. Lyotard's, Fuco's, Hasan's and others opinions regarding these problems are discussed and systemized. The article also touches upon the transformations of the concept in West European and American postmodernist theories. Theoretical conclusions are illustrated by means of analyzing artistic texts.

ერმილე მესხია
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნიერსიტეტის პროფესორი

მკვიდრი მოსახლეობის (აშშ, საქართველო) კულტურისა და ეროვნული ცნობიერების პრობლემები

მკვიდრი (აბორიგენი) მოსახლეობის კულტურისა და ეროვნული ცნობიერების საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და, ამასთანავე, ურთულესი პრობლემაა თანამედროვე მსოფლიოში. გლობალიზაციის მასშტაბურმა დონემ კიდევ უფრო აქტუალური გახადა მცირერიცხოვანი ერების ტრადიციული კულტურის გადარჩენის აუცილებლობა. განსაკუთრებული სიმწვავით ეს პრობლემა მცირერიცხოვან ერებში და ეთნიკურ ჯგუფებში დგას, ვინაიდან ისინი უფრო მეტად განიცდიან „დიდი ერების“ კულტურის მზეგავლენას.

ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლა ოდითვან იყო დედამიწის მოსახლეობის უმთავრესი პრობლემა. ცნობილი ცივილიზაციებიც კი ვერ გადაურჩნენ „ბარბაროსთა“ შემოსევას და ისე გადაშენდნენ, ისტორიამ მათი არსებობის კვალი დღემდე შემორჩენილ სხვადასხვა წყაროებში შემოგვინახა. საოცარია, რომ თავს დამტყდარი უამრავი უბედურებისა და განსაცდელის მიუხედავად უძველესი კულტურის მატარებელ ტომებს შორის ქართველები ერთ-ერთი მკვიდრი ერია, რომელმაც თავისი ეთნიკური წარმომავლობა და სახე დღემდე შემოინახა. მაინც, სად ან რაში უნდა ვეძებოთ მკვიდრი ტომების გადარჩენის საიდუმლო? რა თქმა უნდა, ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. ზოგი კულტურის და ცივილიზაციის მაღალ დონეში ეძებს პასუხს, ზოგი კიდევ ამა თუ იმ ხალხის მებრძოლ ხასიათში და ა.შ. თუმცა ცალკე აღებული არც ერთი თვისება ან კულტურის განვითარების დონე არ გამოდგება ანალიზისა და დასკვნისათვის.

აღნიშნულ კითხვაზე პასუხს ყველა დროში ეძებდნენ, მაგრამ ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე ერთადერთი იყო, რომელმაც გარკვევით და ამომწურავად ახსნა ერის გადარჩენის ფაქტორები.

მსოფლიოს ისტორიაზე დაკვირვებით, მწერალს მუდამ აწვალებდა ფიქრი იმაზე, რა ძალამ შთაბერა ქართველ ერს უკვდავი სული და უკიდეგანო ოკეანეში იხსნა იგი გადაშენებისაგან. კითხვაზე „რამ გვიხსნა?“ თავადვე მოკლედ, ღრმააზრობრივად გასცა პასუხი. ილიასეული ტრიადა – „მამუ-

ლი, ენა, სარწმუნოება“ – ქართველთა ეროვნული თვითშეგნების მასაბრდღებელი წყარო იყო. ქართველობა, როგორც ერი, სწორედ ეროვნული ცნობიერების სიმტკიცემ იხსნა.

ქართველთა ეროვნულ ცნობიერებაში უსხოვარი დროიდან მკვეთრად გამოსატული ჩანს მამულისადმი და მშობლიური ფუძე-კერისადმი, არა უბრალო, შეიძლება ითქვას, ფანატიკური სიყვარული. ამ რწმენის გარდა სხვა მამულის ცნება ქართველი კაცის ცნობიერებაში არ არსებობდა. ეროვნული ცნობიერების სხვა (ენა, სალოცავი) სიმშნებთან ერთად, სწორედ ეს ფაქტორი იყო ჩვენი წინაპრების მარადიული პრობლემა – „დღე-და-ღამ იარაღით სელში“ დაეცვა ფუძე-კერა. ამიტომაც, ილიას აზრით, „ჩვენის გლესკაცობისათვის ძნელია ადგილიდამ დაძერა“.[1] მტრებისაგან იძულებით აყრილ-გახიზნული იავარქმნილ სოფელს უბრუნდებოდა, ფუძე-კერაზე ცეცხლს გააჩაღებდა და თავიდან იწყებდა ცხოვრებას. ფუძე-კერისადმი ამგვარი რწმენა და სიყვარული დედამიწაზე სხვა ხალხთა ისტორიამ არ (ან ნაკლებად) იცის. კერა ქართველი კაცის ნამუსიც იყო და ღირსებაც. ამიტომ იგი არავის აპატიებდა კერის წაბილწვას. ყოველ ქართველში ფუძე-კერა ამავე დროს მამულთანაც იყო გაიგივებული. ფუძე-კერიდან იწყებოდა (ასეა დღესაც) მამულის სიყვარული.

ეროვნული ცნობიერების მეორე უმთავრეს პირობად ილიას მშობლიური ენა მიაჩნდა, როგორც „არსებითი ნიშანი ეროვნობისა, მისი სული და გული“. სწორედ „ენა ადამიანისა, მისი სიტყვიერება მთელი სელთუქმნელი ისტორიაა ერისა“, რომელიც სელს უწყობს ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებას. ერი, როგორც „კრებული მკვიდრთა“, გულისსმობს ენის ერთიანობას. ენა ილიასათვის არ არის იარლიყი ან ნიშანთა სისტემა, არამედ იგი არის „სარკე ერისა“. ენა არის „გასაღები დაკეტილისა“.[2] სწორედ ქართულმა ენამ სელი შეუწყო დაქსაქსულ ქართველურ ტომებში ეროვნული ერთიანობის (საერთო წარმომავლობის) თვითშეგნების გადარჩენას. ეს არაერთხელ დადასტურებულა როგორც ფარნავაზის ეპოქაში, ასევე გვიანდელ სანაშიც.

ეროვნული ცნობიერების მესამე უმთავრესი ნიშანი, ილიას აზრით, ეროვნული სარწმუნოება იყო. ერთიანი ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე განსაკუთრებული ადგილი ეკავა ერთიანი რელიგიის შემოღებას, უპირატესად ერთღმერთიანობას, რომელმაც ადრინდელზე მეტად დიდი როლი შეასრულა ქვეყნის სხვადასხვა მხარის კულტურულსა და პოლიტიკურ შეკავშირებაში. ამ ფაქტორს კი ეთნოსოციალური კონსოლიდაციის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.[3]

ქრისტიანობამდელი ქართველი კაცის კულტურული სახე იყო: ჩამომავლობა (ქართლოსიანობა), ენა (ქართული), ტერიტორია (ქართული), რჯული

(ქართლოსის სახელავი და მნათობები) და ისტორია (მამა-პაპათა ხსოვნის პატივისცემა). მოხდა დიდი ისტორიული ტესილი: ქართული წარმართობა ქრისტიანობით შეიცვალა და კულტურული ცნების „ქართველის" შინაარსში ქრისტიანობის მომენტმა ის ადგილი დაიკავა, რაც აქამდე ქართულ წარმართობას ეჭირა. ქართველმა ხალხმა ამ რელიგიას ქართული ელფერი მისცა და „ქართველი" ახლო აღმოსაელეთში სომხურისა და ბერძნული ქრისტიანობისაგან განსხვავებული (ენით) რელიგიის აღმნიშნელ ცნებად იქცა. ეს იყო ქრისტიანობის ინდივიდუალიზაცია ქართველი ხალხის მიერ. სომხებისა და ბერძნების გვერდით ეს იყო დიდი კულტურული გამარჯვება.[4]

ქრისტიანობამ გზა გაუხსნა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართველთა ეთნიკური ერთობის შეგნება, რასაც საბოლოოდ მოსათესავე ტომების ერთ ეროვნულ ორგანიზმად შეკავშირება მოჰყვა. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან ახალი ეტაპი დაიწყო ერთიანი ქართული ეროვნული ცნობიერების განვითარებაში.

ყოველ ქართველში, ქრისტიანულ სარწმუნოებასთან ერთად, ენისა და მამულის (სადაც იშვა ქართველთა მოდგმა) სიყვარულის განსაკუთრებული განცდა ერთობლიობაში იყო ის საძირკველი, რაზედაც იდგა ქართველთა ეროვნული თვითშეგნება, რომლის გათელვა ვერც ერთ ეპოქაში ვერ შეძლეს ჩვენი ქვეყნის მტრებმა.

ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ბევრმა ტომმა და ერმა დაკარგა თავისთაეადობა, შინაგანი სახე, წარმომაელობა და კულტურა, ზოგი კიდევ გადაშენების პირასაა მისული. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ XXI საუკუნეში კაცობრიობა უფრო მეტად ზრუნავს უძველესი სახეობის ცხოველთა და მცენარეთა გადარჩენისათვის, ვიდრე გაქრობის პირას მისული ეთნიკური ჯგუფების და მათი კულტურის გადასარჩენად.

ამ მხრივ, საქართველო უნიკალური მაგალითია, სადაც ყველა ეთნიკური ჯგუფის და მათი კულტურის განვითარების სახელმწიფოებრივი გარანტიებია შექმნილი. მაგალითად, აფხაზეთისა და ინდოელთა სამართლებრივ სტატუსსა და უფლებებს შორის განსხვავება იმდენად არსებითი იყო, რომ მათ შორის უბრალო შედარებაც კი არ შეიძლება. მიუხედავად ამისა, დღეს აფხაზეთის პრობლემა საერთაშორისო პოლიტიკის რანგშია აყვანილი, ინდოელთა უფლებები და სამართლებრივი სტატუსი კი არავის ახსოვს (ასეთია, სამწუხაროდ, ერთი და იგივე საკითხზე „პატარა" და „დიდ" ქვეყნებს შორის ეროვნული პოლიტიკის განსხვავება. ის, რისი უფლებაც არა აქვს „პატარა სახელმწიფოს", მისაღებია „დიდი ქვეყნისათვის". თანამედროვე პოლიტიკაში ამგვარ მიდგომას ორმაგი სტანდარტის პოლიტიკას უწოდებენ). ყოველი ეთნიკური ჯგუფის კულტურა, რაოდენ პრიმიტიულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, მსოფლიო კულტურის ნაწილია და

როგორც ღმერთის ბოძებულ განძს ისე უნდა უფრთხილდებოდეს ცივილიზებული სამყარო.

ჩრდილოეთ ამერიკის მკვიდრმა ტომებმა – ინდიელებმა უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე ემიგრანტთა კოლონიზატორული პოლიტიკის გამო დაკარგეს მშობლიური მიწა-წყალი და ეროვნულ უმცირესობაში აღმოჩნდნენ (ამჟამად ისინი აშშ-ს მოსახლეობის 1,5 პროცენტს შეადგენენ). მართალია, ინდიელთა კულტურის ძეგლებს არავითარი საფრთხე არ ემუქრება (სანტა ფეში გასსნილია ამერიკელ ინდიელთა მუზეუმი[5]), მაგრამ ამ კულტურის შემქმნელი აბორიგენი ტომების სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა სავალალოა. მაინც რამ მიიყვანა ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი ტომები ამ მდგომარეობამდე? რატომ ვერ შეინარჩუნეს თავიანთი მიწა-წყალი? თუ მიზეზად მოვიყვანთ იმ ფაქტს, რომ სსვა კონტინენტიდან მოსული ემიგრანტები უფრო ცივილიზებულები იყვნენ და ინდიელთა „პრიმიტიულმა“ კულტურამ ვერ გაუწია მეტოქეობა, მაშინ რით უნდა ავსსნათ შუმერების, ეგვიპტელების, ხეთების, წინაბერძნული მოსახლეობის და სხვა ცნობილი კულტურების მატარებელი ტომების გადაშენების მიზეზი. განა ამ შემთსვევაში, დამსვდურთია კულტურა არ იდგა მოსულ ბარბაროსთია კულტურაზე მაღლა? მაშასადამე, ზოგადად, კულტურის დონე არ არის ერთადერთი და უპირობო მიზეზი.

მიზეზი ყოველი ხალხის (ტომის) ეროვნული ცნობიერების სიმტკიცეში უნდა ვეზებოთ, რომელიც თავისთავად განსაზღვრავს ეროვნული კულტურის სასიათს და მის მდგრადობას. ერთია, როდესც ესა თუ ის სალხი აღწევს კულტურის (ცივილიზაციის) გარკვეულ დონეს, მეორე, რამდენად აქვთ ამ ცივილიზაციის შემქმნელებს თვითგადარჩენის ნიჭი და უნარი განვითრებული, მაშასადამე, ეროვნული მისია გათავისებული. ერთი სიტყვით, იმ ტომებში (ერებში ან ეთნიკურ ჯგუფებში), რომლებშიც ეროვნული თვითშეგნება ვერ განვითარდა ან „გაიყინა“, ისინი თანდათან კარგავენ ეთნიკურობის დაცვის იმუნიტეტს და განწირულნი არიან მომხდურთა კულტურებში აღრევისათვის. ამ მხრივ ებრაელთა ისტორია ყველაზე ნათელი მაგალითია დანარჩენი მსოფლიოსათვის. სასელმწიფოებრიობადაკარგულმა და სხვადასხვა კონტინენტზე გაფანტულმა ერმა ბოლომდე შეინარჩუნა ეროვნული ცნობიერება და მრავალი საუკუნის შემდეგ აღიდგინა სასელმწიფო.

მკვიდრი ამერიკელი ტომები, როგორც მათ უწოდეს ევროპელებმა „ინდიელები“, ევროპელთა გამოჩენამდე საკმაოდ მრავალრიცხოვანი ტომები იყვნენ. აბორიგენები ათასწლეულების განმავლობაში მისდევდნენ მიწათმოქმედებას, ხელოსნობასა და ნადირობას. საუკუნეების მანძილზე მათ თვითმყოფადი კულტურა შექმნეს.[6]

ინდიელთა ჩვეულებანი და კულტურა იმ დროისათვის მრავალფეროვანი იყო უზარმაზარი ტერიტორიისა და იმ სხვადასხვა გარემო პირობების გამო, რომელშიც მათ განიცადეს აღაპტაცია.

ჩრდილოეთ ამერიკაში ევროპიდან მოსულ პირველ კოლონისტებს შეიძლება ვერც კი ერჩინათ თავი, რომ არა მეგობრულად განწყობილი ინდიელები, რომლებმაც ასწავლეს მათ აღგილობრივი კულტურების (გოგრა, ლობიო, სიმინდი) მოყვანა და გარეულ ცხოველებზე ნადირობა.[7] მოგვიანებით თავიანთი სტუმართმოყვარეობა ინდიელებს საკუთარი მიწა-წყლის დაკარგვის ფასად დაუჯდათ.

კოლონისტების და ინდიელების ურთიერთობა აღრეულ პერიოდში წარმოადგენდა თანამშრომლობისა და მგრობის მღელვარე სარეცხს. ერთის მხრივ, ურთიერთობა ინდიელებთან, ძირითადად, სანიმუშო იყო, მეორეს მხრივ, იყო შეფერხებების, შეტაკებებისა და ომების პერიოდები, რომლებიც თითქმის უცილობლად ინდიელების დამარცხებითა და მიწების დაკარგვით ან ფიზიკური განადგურებით მთავრდებოდა.

ინდიელ ტომებს ვერაფერი მოუტანა 1776 წლის 4 იელისს მიღებულმა „ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციამ". მართალია, დეკლარაცია აყალიბებდა ადამიანთა თავისუფლების ფილოსოფიას, რომელიც მაძრავებელ ძალად იქცა მთელი მსოფლიოსათვის, მაგრამ იგი მიღებისთანავე ანტიპუმანური და დისკრიმინაციული იყო აბორიგენების მიმართ, რადგან მასში არაფერი იყო ნათქვამი მკვიდრი მოსახლეობის უფლებებზე და პრაქტიკულად მხოლოდ ემიგრანტთა უფლებებს იცავდა.

ამერიკის მაშინდელი მთავრობის პოლიტიკა მდგომარეობდა იმაში, რომ რაც შეიძლება შორს ჰყოლოდათ ინდიელები თეთრკანიანთა ფრონტირის ზოლიდან, მაგრამ რეზერვაციები სულ უფრო მცირე მიწიანი და ხალხმრავალი ხდებოდა.[8]

„რეფორმატორთა" უმეტესობა მიიჩნევდა, რომ ინდიელებს უნდა განეცადათ ასიმილაცია გაბატონებულ კულტურასთან (რაც ძალიან ჰგავდა რუსულ შოვინისტურ პოლიტიკას საქართველოს მიმართ). ფედერალურმა მთავრობამ სკოლაც კი გახსნა კარლისლში (პენსილვანია) და შეეცადა თავს მოესვია ინდიელი ახალგაზრდობისათვის თეთრკანიანთა კულტურული ფასეულობანი.

ინდიელები არასოდეს შეგუებიან თავიანთ უმძიმეს ხვედრს. სამი საუკუნის განმავლობაში ისინი უთანასწორო ბრძოლას ეწეოდნენ ემიგრანტების წინააღმდეგ.[9]

1968 წელს დაარსდა „ამერიკელ ინდიელთა მოძრაობა" (AIM). აბორიგენთა აქტიურობამ გარკვეული შედეგები გამოიღო. ამერიკის სხვა მცხოვრებლები გაეცნენ ინდიელთა პრობლემებს. ყველა სახელმწიფო დაწყ-

სწებულებას დაევალა თანასწორი დამოკიდებულება ინდიელთა მიმართ (სწნატის პირველი ინდიელი წევრი ბენ ნაითპორს კემპბელი კოლორადოდან არჩეულ იქნა 1992 წელს).[10] ინდიელთა კულტურის პოპულარიზაციის მიზნით ტარდება ფესტივალები, ეწყობა ხალხურ ნაკეთობათა გამოფენა-ბაზრობები და გასტროლები უცხოეთში.[11] შეიქმნა ამერიკის ინდიელთა ინსტიტუტი, რომელიც ორიენტირებულია მკვიდრი მოსახლეობისათვის საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავებაზე და სხვ.

მაგრამ ეს ძალიან უმნიშვნელოა იმ პრობლემებთან შედარებით, რა პირობებშიც იმყოფება ამჟამად ამერიკის მკვიდრი მოსახლეობა. ჩრდილოეთ ამერიკის აბორიგენი ტომები თავისივე მიწა-წყალზე ლტოლვილებად იქცნენ. მათ არა აქვთ ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის არანაირი კონსტიტუციური უფლებები. ინდიელებში ეროვნული ცნობიერება იღვიძებს. მათ გაცნობირებული აქვთ თავიანთი წინაპრების შეცდომები, რამაც ისინი ეროვნული გადაგვარების საფრთხის წინაშე დააყენა და თავიანთი უფლებების დაცვისათვის იბრძვიან.[12]

ინდიელთა ამ საეალალო მდგომარეობის მიზეზები მათივე კულტურაში (ეროვნული თვითშეგნების დაბალი დონე) უნდა ეძებოთ. ევროპელთა გამოჩენამდე ინდიელები კულტურის განვითარების იმ საფეხურზე იმყოფებოდნენ, რომელიც ცივილიზებულმა სამყარომ რამდენიმე ათასი წლის წინათ დატოვა. მათ თავი ვერ დააღწიეს ტომთა ინდივიდუალიზაციას და ვერ გააცნობიერეს საფრთხე, რომელიც ემიგრანტთა მხრიდან ელოდათ. ინდიელ ტომთა კონსოლიდაციის პროცესი საწყის სტადიაზე იყო. მართალია, შესაძლებელი გახდა რამდენი ტომის გაერთიანება, მაგრამ ამ გაერთიანების სიმტკიცეს ხელს უშლიდა ტომთა შორის დაპირისპირება.[13] ტომობრივი დაქსაქსულობის მიზეზები კი ერთიანი ენისა და სარწმუნოების უქონლობა და ამ ტომთა საერთო ეთნიკური წარმომაელობის გაუცნობიერებლობა იყო. ინდიელებში მათი მარჩენალი მიწა-წყლისადმი პატივისცემის კულტი არ იყო ჩამოყალიბებული (ჩალის ფასად ჰყიდნენ ან ხარახურაზე ცვლიდნენ მიწებს). საფრთხე მხოლოდ მაშინ დაინახეს, როცა საკვების წყარო (სათესი მიწები, სანადირო ადგილები) შემოაკლდათ.

მიუხედავად დევნა-შევიწროებისა, ინდიელთა კულტურა მაინც სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. მართალია, ინდიელებმა დაკარგეს მშობლიური მიწა-წყლის განკარგვის უფლება და ვერ მოასწრეს საკუთარი სახელმწიფოს შექმნა, მაგრამ აბორიგენთა კულტურულმა მემკვიდრეობამ მოკრძალებული წელილი შეიტანა ემიგრანტი ამერიკელების კულტურაში. საკ რისია აღინიშნოს, რომ ამერიკული ლიტერატურა ინდიელი ტომების კულტურის წიაღში აღმოცენებული ლეგენდების, ზღაპრებისა და ლირიკის (ძირითადად სიმღერები) ზეპირი გადმოცემებიდან იღებს სათავეს. ინდ ელთა

ენიდან გადმოსულმა სიტყვებმა (კანოე, ტაბაკო, პოტეიტო, მოკასინი, ტომ-ტემი და სხვ.) გაამდიდრეს ინგლისური ენა. ამერიკული ეკლესია დღესაც განასახირებს ქრისტიანობისა და ინდიელთა ტრადიციული რწმენის ნაზავს.[14] ამიტომ, როგორც დედამიწის სხვა ეთნიკურ ჯგუფებს, ინდიელებს სრული უფლება აქვთ დაიცვან თავიანთი კულტურა, ეთნიკური სახე და ა ქონდეთ ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული.

სამყაროს მრავალსახეობის პარმონიზაცია XXI საუკუნის ამოცანაა.[15] ყველა ქვეყანა ვალდებულია შექმნას მის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების ეროვნული კულტურების დაცვის სახელმწიფოებრივი გარანტიები. განსხვავებით მესამელმწიფოებისაგან, პატარა „ქვეყანას, რომელსაც სურს შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა... ურჩევნია საკუთარ ტრადიციულ კულტურას დაეყრდნოს და ამით დაიცვას თავი"[16] გლობალიზაციის სახიფათო ერთსახოვნებისაგან.

გამოყენებული ლიტერატურა და შენიშვნები:

1. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ათ ტომად, ტ. VI, თბ., 1957, გვ. 26, 188.
2. იქვე, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 87.
3. რ. სირაძე, ქართული კულტურის საფუძვლები, თბ., 2000, გვ. 224.
4. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 383.
5. ი. ქარაია, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხები, სანტა-ფეს მაგალითზე, კრებული „ამერიკის შესწავლის საკითხები", II, თბ., 2003, გვ. 442-443.
6. მიგნე გაილერი, ინდიელები, თბ., 2004, გვ. 2.
   ინდიელთა აბორიგენობის პრობლემის გარშემო სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია შეხედულება, რომ ამერიკელი ინდიელები არიან აღმოსაველეთ აზიიდან უძველესი დროიდან – 10-15 ათასი წლის წინათ (მონღოლი პროფესორის სუმია ჯამბალდორჯის აზრით კი, 8-25 ათასი წლის წინათ) აღმოსაველეთ აზიიდან ემიგრირებული სალხის შთამომავლები. იხ. გ. ჩანტლაძე-ბაქრაძე, ქრისტეფორე კოლუმბისა და მისი ექსპედიციის მონაწილეების შესახებ პირინეისა და კავკასიის იბერიიდან. კრებული „ამერიკის შესწავლის საკითხები", III, თბ., 2004, გვ. 151; ამავე საკითხზე იხ. ლ. ხუბაშვილი, კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენის ზოგიერთი პიპოთეზა, დასახ. კრებული, IV, თბ., 2005, გვ. 302-310.
   ჩვენ ეჭვია არ შეგვაქვს ამ თვალსაზრისში, მაგრამ ევროპისა და აზიის ქვეყნების მაგალითზე ეს სრულიადაც არ აკნინებს ინდიელთა აბორიგენობის საკითხს.
7. Amerikan History, office of international information programs United States Departament of State, გვ. 10.

8. ამერიკის კოლონიზაციის დასაწყისიდანვე პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებში უკმაყოფილებას იწვევდა ემიგრანტთა პოლიტიკა მკვიდრი ამერიკელების მიმართ. ესპანეთის სალამანკას უნივერსიტეტის პროფესორები (ლას-კასასი, ვიტორია) უსამართლოდ თვლიდნენ ესპანელთა ომებს ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. „ინდიელები ყოველთვის სამართლიან ბრძოლას ეწეოდნენ ქრისტიანების წინააღმდეგ", – აცხადებდნენ ისინი. ჰელენ ჰანტ ჯექსონმა, დასავლეთში მცხოვრებმა აღმოსავლეთელმა, დაწერა წიგნი „სირცხვილის საუკუნე" (1881), რომელშიც აღწერა ინდიელთა უბედურება. ცნობილმა მსახიობმა მარლონ ბრანდომ 1973 წელს უარი თქვა ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდოს მიღებაზე და ამით პროტესტი გამოხატა ჰოლივუდის მიერ ამერიკელი ინდიელების მიმართ გატარებული პოლიტიკის გამო. იხ. ლ. ხუბაშვილი, ამერიკის კოლონიზაცია და ესპანელი პუმანისტები, დასახ. კრებული, II, თბ., 2003, გვ. 187.
9. საპროტესტო მოძრაობა გაგრძელდა XX საუკუნეშიც. ინდიელებმა საერთაშორისო დონეზეც სცადეს თავიანთი უფლებების დაცვა (1977 წლის ჟენევის კონფერენცია).
10. American History, office of international information programs United States Departament of State, გვ. 325-326.
11. საქართველომ მასპინძლობა გაუწია (2007 წ.) აპაჩის ტომის ინდიელთა ანსამბლს
12. რადიკალური მოძრაობის მიმდევრები თავს არ აღიარებენ აშშ-ის მოქალაქეებად. „ჩვენ აღარა ვართ აშშ-ის მოქალაქეები და ყველას, ვინც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, ხუთი ტომის ზონაში ცხოვრობს, შეუძლია შემოგვიერთდეს", – აცხადებს ინდიელთა უფლებებისათვის მებრძოლი ერთ-ერთი აქტივისტი რასელ მინსი.
13. ინდიელთა იროკეოისების ტომები განსაკუთრებული წარმატებით ეწინააღმდეგებოდნენ ევროპელთა შემოტევას (კოლონიზატორების წინააღმდეგ ბრძოლაში სახელი გაითქვეს ოცეოლამ, ჯერონიმომ და სხვ.). ინდიელთა ხუთი ტომის გაერთიანებით შეიქმნა იროკეოისების ლიგა. მათ ჰქონდათ საკუთარი სკოლები, ბიბლიოთეკები, საავადმყოფოები, გააჩნდათ თავიანთი სასამართლო და სხვ.

ლიგა ძლიერი რჩებოდა ამერიკის რევოლუციამდე. მხოლოდ მაშინ, პირველად, საბჭომ ვერ მიიღ ერთსულოვანი გადაწყვეტილება. ზოგი იბრძოდა ბრიტანელების მხარეზე, ზოგი კოლონისტების, ზოგი ნეიტრალური რჩებოდა. მათ განიცადეს დიდი დანაკარგი და ლიგა ვერასოდეს ვერ აღსდგა. ინდიელთათვის განსაკუთრებით მძიმე იყო პრეზიდენტ ჯექსონის მმართველობის პერიოდი. 1830 წელს კონგრესმა მიიღო „ინდიე-

ლების გასახლების აქტი". ჯექსონის პრეზიდენტობის ორი ვადის მანძილზე ინდიელთა ათობით ტომი გაასახლეს თავისი წინაპრების მიწა-წყლიდან. Amerikan History, office of international information programs United States Departament of State, გვ. 21.
14. კრებული „აღრეული ამერიკული და კოლონიური ხანა 1776 წლამდე", ამერიკული ლიტერატურის მიმოხილვა, აშშ-ის სააგენტო, გვ. 4-12.
15. გ. მჭედლიშვილი, გლობალიზაცია და ეროვნულობის იდენტიფიკაციის პრობლემა, კრებული „ამერიკის შესწავლის საკითხები", IV, თბ., 2005, გვ. 208.
16. კლაეს რინი, გიჯობთ თქვენს ტრადიციულ კულტურას დაეყრდნოთ, ეურნ. ჩვენი მწერლობა, № 23, 2007, გვ. 2-3.

ERMILE MESKHIA
Batumi Shota Rustaveli State University, Professor

SUMMARY

PROBLEMS OF NATIONAL CULTURE AND THINKING OF ABORIGINAL POPULATION (USA, GEORGIA)

The problem of national culture and thinking of aboriginal population is the most important in our days.

On the different stages of history many tribes and nations have lost freedom, past and culture, some of them are dieing out.

The famous Georgian writer Ilia Chavchavadze explained how to save the nation. His triad "Motherland, language, faith" became the factor of the national self-consciousness of Georgian people. The Georgians as nation were saved with stability of national thinking.

In spite of the other nations, the aboriginal populations of Northern America, the Indians, during two centuries, because of the emigrants' colonization politics have lost their native lands and have fallen within the nation minority.

The reasons of the Indian's difficult situation you should to find in their culture (low consciousness). Before the Europeans arrived, the Indians had been in on such a low stage of cultural development that had been forgotten by civilization thousands years late. They couldn't realize the danger coming from the emigrants. There were the first steps of Indian tribes' consolidation. The reasons of the tribes' disconnection were in the absence of common language and faith. The Indians had not the cult of land (they had sold the lands very cheap). The Indians had noticed the danger when they received less food (sowing lands, hunting woods).

In spite of the persecution, the Indian's culture turned out viable. The Indians lost the right dispose of their lands and hadn't time to build the society, but the aboriginals' cultural heritage had profound effect on the development of Americans culture. American literature is bound up with Indian legends, tales and poems (songs). Indian words (canoe, tobacco, potato, totem, moccasin and etc.) enriched English language. American church embodies unity of Christian and Indian traditional faith.

Every country has to give the state guarantees of national culture protection to the ethnical groups living on its territory. Only this way national culture will be able to save itself against globalization dangerous uniformity.

ელენე მეძმარიაშვილი
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის
ვიცე-პრეზიდენტი

ამერიკული და ქართული სიმბოლოები: შედარებითი ანალიზი

ესეის იდეა გამიჩნდა მას შემდეგ, რაც მოვისმინე რატგერსის უნივერსიტეტის პროფესორის, ჩვენი სამაგისტრო პროგრამის კონსულტანტის მაიკლ როკლენდის ლექცია „რა არის ამერიკული ამერიკულად?“, რომელიც მან ქუთაისშიც წაიკითხა. თავის ლექციაში, რომელიც ჩვენი კრებულის „ამერიკის შესწავლის საკითხები“ ბოლო ნომერში გამოქვეყნდება, მ. როკლენდი განიხილავს ჯონ კუნჰოუენის ესეიში *„რა არის ამერიკული ამერიკულად?“* ჩამოთვლილი, ავტორის აზრით, ამერიკისთვის შეღარებითი ტიპური თორმეტი ელემენტის სიას:

1. მანჰეტენის სილუეტი ცის ფონზე
2. ბადისებურად დაგეგმილი ქალაქი
3. ცათამბჯენი
4. „ფორდი T“
5. ჯაზი
6. კონსტიტუცია
7. მარკ ტვენის მწერლობა
8. უოლტ უიტმენის „ბალახის ფურცლები“
9. კომიქსები
10. საპნის ოპერები
11. კონვეიერული წარმოება
12. საღეჭი რეზინი

ამ სიის ჩამონათვალი, კუნჰოუენის დაბეჯითებითი მტკიცებით, ერთმანეთთან დაკავშირებელია იმით, რასაც იგი უფრო მეტად „პროცესს“ უწოდებს, ვიდრე „პროდუქტს“. ის სიტყვა „პროცესში“ გულისხმობდა დაუმთავრებელს, იმპროვიზაციულს და მას ხედავდა, როგორც *ახალი მსოფლიოს* მიმართებების, ღირებულებებისა და შეხედულებებისთვის დამახასიათებელ ნიშანს, ანუ იმას, რაც ძველი სამყაროს საპირისპირო იყო და რასაც იგი სიტყვა „პროდუქტთან“ აიგივებდა. აქ კუნჰოუენი გულისხმობდა არტეფაქტებს, რომლებსაც უკვე დასრულებული სახე აქვს და რომლებიც

არ იმყოფება განვითარების რომელიმე ეტაპზე.

მოგვიანებით გამოქვეყნებულ ჯონში, სახელწოდებით *„ეიფელის კომკი და ემმაკის ბორბალი“*, რომელიც შესულია წიგნში, სათაურით *„ნასეკარი სიმართლე სჯობს სულ არაფერს“* (1982), იგი მსგავს და, შესაძლოა, უფრო კონკრეტულად ჩამოყალიბებულ შოსაბრებებს გამოთქვამს. კუნსპოუენი ეიფელის კოშკს უყურებს, როგორც სწორედ იმის განსახიერებას, რასაც იგი სიტყვა „პროდუქტში“ გულისხმობს. ის სტატიკურია და არასოდეს იცვლება. ხოლო მეორე მხრივ, ემმაკის ბორბალი, რომელიც ამერიკელმა ფერისმა კოლუმბიის 1893 წლის გამოფენისთვის გამოიგონა, იყო სრულიად საწინააღმდეგო იმისა, რასაც იგი სიტყვა „პროცესში“ გულისხმობს. ჯერ ერთი, ემმაკის ბორბალი შეუჩერებლად მოძრაობდა, არასოდეს გამოიყურებოდა ზუსტად ერთნაირად და გამუდმებით იმპროვიზაციის მდგომარეობაში იყო. გარდა ამისა, ის ყოველთვის ერთ ადგილზე არ იდგა. თუ ბორბალი რომელიმე კონკრეტულ ადგილზე აღარ სჭირდებოდათ, შესაძლებელი იყო მისი დაშლა, სხვაგან გადატანა და თავიდან აწყობა. რა თქმა უნდა, ასეც მოხდა, როდესაც კოლუმბიის გამოფენა დახურა და მას შემდეგაც ასე გრძელდება. ეს შედარება კარგად გამოხატავს იმ განსხვავებას, რასაც კუნსპოუენი „პროცესსა“ და „პროდუქტში“ გულისხმობდა და რაც, მისი აზრით, ამერიკული და ევროპული სიმბოლოებისათვის და, შესაბამისად, ერებისათვის არის დამახასიათებელი.

2007 წელს მაიკლ როკლენდმა სცადა კუნსპოუენის სიის შევსება და განახლება ისე, რომ არ უღალატა მის პრინციპს. მან ყველა არტეფაქტი ცალ-ცალკე განიხილა და შათი თმპროვიზაციულობა, ცვალებადობა, ის რომ ისინი „პროცესია“, დაამტკიცა და ჯმის გამეორებას არ ვაპირებ. ჩამოვთვლი მხოლოდ მაიკლ როკლენდისეულ თორმეტ ტიპიურად ამერიკულ არტეფაქტს:

1. კონოსურათები
2. გზის ამსახველი ლიტერატურა
3. ამერიკული პეიზაჟის შხატვრობა
4. ჯექსონ პოლოკის შხატვრობა
5. ალექსანდერ კალდერის „მობილები“ (კინეტიკური ქანდაკებები)
6. როკ-ენ-როლი, როკი და რეპი
7. თანამედროვე ცეკვა
8. ზოლური არქიტექტურა
9. ჭრელი ნაჭრებისგან შეკერილი საბანი
10. ჯინსი
2004 წელს მთელი სამყარო აღნიშნავდა გამოჩენილი ქორეოგრაფის – ჯორჯ ბალანჩინის დაბადებიდან 100 წლისთავს, რომლის სახელთან ამერიკული ეროვნული ბალეტის შექმნაა დაკავშირებული. იგი, XX საუკუნის უდიდესი ქორეოგრაფი-ნეოკლასიკოსი, ცეკვის სელოუნების დამოუკიდებელ მსატვრულ ღირებულებას იცავდა. მორის ბეჟარის ზუსტი შეფასებით, „პლანეტათაშორის მოგზაურობის ეპოქაში მან გაღმოიტანა კურტუაზიული ცეკვების არომატი, რომლებიც თაეიანთი გირლანდებით ამშვენებდნენ ლუდოვიკო XIV-ისა და ნიკოლოზ II-ის კარს“. XX საუკუნის საბალეტო სკოლების მრავალფეროვნებაში ბალანჩინის სტილი განსაკუთრებული ნიშნებით გამოირჩევა. მან დაუბრუნა საბალეტო სცენას ჭეშმარიტი, სუფთა ცეკვა, ბუნებრივი პლასტიკა, რომელიც სიუჟეტურმა ბალეტმა დაჩრდილა. ბალანჩინი უარყოფდა ბალეტის ზედმეტ „ლიტერატურიზაციას“, ლიბრეტოსთან „მიბმას“, რაც საკუთრივ ცეკვის სტიქიის ნიველირების საფრთხეს წარმოშობს. საინტერესოა მოვიყვანოთ ბალანჩინის ზოგიერთი მოსაზრება: «Я думаю, что балет, - пожалуй, самое поэтическое искусство, которое настолько само выразительно, что не нуждается в определенном содержании, тексте. Ведь в звуке, в музыкальном звуке есть смысл и без литературы, и без либретто. Вспомните хотя бы «Вокализ» С. Рахманинова. Да, пожалуй, я сторонник чистого искусства, искусства самого по себе»; ანდა: «Балет - настолько богатое искусство, что он не должен быть иллюстратором даже самых интересных, даже самых содержательных литературных первоисточников. Он - сам по себе и сам за себя скажет о самом себе. Балет - это цветы, это красота, это поэзия, а обо всем этом надо говорить только с позиций эстетических» (Сабинина 1962: 17).

1920-იანი წლების დასაწყისში, პეტროგრადის ქორეოგრაფიული სასწავლებლის კურსდამთავრებული, ახალგაზრდა მოცეკვავე გიორგი მელიტონის ძე ბალანჩივაძე გახდა ერთ-ერთი დამფუძნებელი დასისა – „ახალგაზრდა ბალეტი“. დადგმები, რომლებიც ნოვატორობით გამოირჩეოდა, მთავრონებული იყო მაიაკოვსკის პოეზიის რევოლუციური პეროიკით. დასის დადგმებისათვის მუსიკას თვითონ ქორეოგრაფი წერდა. 1924 წელს

დასმა საზღვარგარეთ ტურნეს გამართვის უფლება მიიღო. დასის მოცეკვაეები სერგეი (სერე) დიაგელევმა, რომელიც „პარიზის რუსული ბალეტის“ ხელმძღვანელი იყო, თავისთან მიიწვია. გიორგი ბალანჩივაძე ამ დასის ქორეოგრაფი გახდა. დიაგელევის რჩევით მან ევროპულ ყაიდაზე გადაიკეთა გვარ-სახელი და სამყაროს ამიერიდან ჯორჯ ბალანჩინის სახელით მოევლინა. დიაგელევის გარდაცვალების შემდეგ (1929 წ.) „რუსული ბალეტი“ დაიშალა; ბედმა ამჯერად ჯ. ბალანჩინი ამერიკის შეერთებულ შტატებს დაუკავშირა.

როდესაც 1933 წელს ახალგაზრდა ბოსტონელი ბალეტომანი და მეცენატი ლინკოლნ კირსტაინი პარიზში ჩაეიდა ჯ. ბალანჩინის ამერიკაში მისაწვევად, ამერიკული ბალეტის შექმნის ჯერ კიდევ ბუნდოვანი ოცნება ამოძრავებდა. ჯ. ბალანჩინმა შეძლო მისი ოცნება სინამდვილედ ექცია. 1934 წელს იმ შენობაში, რომელშიაც ოდესღაც მეცადინეობდა ლეგენდარული აისედორა დუნკანი, გაიხსნა „ამერიკული ბალეტის სკოლა“. ბალანჩინი – პედაგოგი ძერწავდა მოცეკვაეებს, რომლებთანაც შემდგომ ბალანჩინი – ქორეოგრაფი მუშაობდა. იმ დროიდან სიტყვები „ბალანჩინის მოსწავლე“ ბრენდად იქცა.

1960-იანი წლებისთვის აშკარა გახდა, რომ ბალანჩინის შემწეობით ამერიკამ შეიძინა საკუთარი ეროვნული კლასიკური საბალეტო დასი და მთელ მსოფლიოში განთქმული რეპერტუარი, ხოლო ამერიკულ საბალეტო სკოლაში ჩამოყალიბდა შესრულების ნაციონალური სტილი.

ცხრა წლის ასაკიდან (1914-1921 წწ.) იგი პეტროგრადის ქორეოგრაფიულ (ყოფილი საიმპერატორო) სასწავლებელში იზრდებოდა. იმავდროულად ბალანჩინმა (1920-1923 წწ.) მუსიკალური განათლება პეტროგრადის კონსერვატორიაში მიიღო. ქორეოგრაფიულმა სასწავლებელმა მას კლასიკური ცეკვის ბრწყინვალე ტექნიკა გამოუმუშავა და მისი მომავალი პროფესია განაპირობა. ერთხელ, როცა მას ჰკითხეს, თუ რა განსხვავებაა კლასიკურ ბალეტსა და ექსპრესიულ ცეკვას შორის, მან უპასუხა: «Я знаю только хороший и плохой танец. Все же остальное - только вопрос стиля и техники. Вы можете выразить замысел, танцуя босыми ногами или на пуантах. Главное - чтобы у вас было что сказать» (Сорелл 1959: 11).

კონსერვატორიაში მიღებულმა განათლებამ ბალანჩინს ღრმა მუსიკალური ერუდიცია და ფორტეპიანოს თავისუფალი ფლობის უნარი შესძინა. ასეთმა სინთეზმა განაპირობა ბალანჩინის შემოქმედებითი ძიების არსი. ის უბრალოდ ბალეტმაისტერი კი არ არის, არამედ ბალეტმაისტერი-მუსიკოსი, ან უფრო სწორად, მუსიკოსი-ბალეტმაისტერი. სახელდობრ, საოცრად გამძაფრებული მუსიკალური ინტუიცია წარმართავდა მის ქორეოგრაფიულ ფანტაზიას. მუსიკალური ფორმა მისთვის პირველადი იყო; სწორედ

მისგან იბადებოდა საეკლესიო ფორმა. მისმა დაღმებმა „ქორეოსიმეოსიების“ სახელი დაიმკვიდრა. მისი ბალეტის სათუთი სიუანსები მხოლოდ პროფესიონალმა მუსიკოსმა შეიძლება აღიქვას.

პეტერბურგმა ბალანჩინის პიროვნების ჩამოყალიბებაზეც მოახდინა გავლენა; მასში „პეტერბურგული ინტელექტუალურობა“ ქართულ ტემპერამენტსა და იმერულ სილაღესთან იყო შეხმატკბილებული. აშკარაა, რომ მისი შემოქმედება და პიროვნება ბალანჩიეაძეების საგვარეულო ესთეტიკისაგან განუყოფელია. მისი ეროსული ესთეტიკა ბევრ რამეში იჩენს თავს, მათ შორის – ეროსებამახვილობასა და მოჭარბებულ სიყვარულში.

რუსი ემიგრანტების ცხოვრების ამსახველ წიგნში სერგეი დოლატოვს მოპყავს ის ამბავიც, თუ როგორ არ უნდოდა ბალანჩინს დაწერა ანდერძი, მაგრამ ბოლოს მაინც დაწერა და ძმას, ანდრია ბალანჩივაძეს უსახსოვრა ოქროს საათი, სოლო ყველა თავისი ბალეტი (425 დადგმა) 18 საყვარელ ქალს აჩუქა.

1889 წლიდან პეტერბურგის ერთ-ერთ ხმაურიან ცენტრალურ ქუჩაზე პატარა ოთახში ცხოვრობდა ორი სტუდენტი – ძმები ბალანჩივაძეები. უმცროსი – ვასო სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა რეპინისა და მაკოვსკის სელმძღვანელობით, უფროსი ძმა – მელიტონი კი პეტერბურგის კონსერვატორიის ჯერ ვოკალურ, სოლო შემდეგ – კომპოზიციის განყოფილებაზე დიდი რუსი კომპოზიტორის ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვის კლასში. სამი წლის მანძილზე ძმები დიდ გაჭირვებაში ცხოვრობდნენ. ვასომ ვერ დაამთავრა სამხატვრო აკადემია და დაბრუნდა საქართველოში, სოლო მელიტონმა კონსერვატორიას თავი მიანება სწორედ გამოსაშვები გამოცდების წინ, თუმცა მუსიკალურ წრეებთან მას კავშირი არ გაუწყვეტია: „რუსული მუსიკალური გაზეთისთვის“ წერდა კრიტიკულ სტატიებს, საქართველოში მართავდა კონცერტებს, ასრულებდა საკუთარ ნაწარმოებებს, პეტერბურგში ორგანიზაციას უწევდა „ქართული საღამოების“ კონცერტებს, რომლებიც საზოგადოებაში დიდი წარმატებით სარგებლობდა. ამ კონცერტებში მ. გლინკას, ნ. რიმსკი-კორსაკოვის, პ. ჩაიკოვსკის ნაწარმოებებთან ერთად სრულდებოდა მელიტონ ბალანჩივაძის რომანსები, არიები და ცეკვები ოპერიდან „დარეჯან ცბიერი“, მის მიერ დამუშავებული ქართული სიმღერები. 1898წ. მელიტონ ბალანჩივაძე დაქორწინდა მარია სიკოლობის ასულ ვასილიევაზე, ბანკის თანამშრომელზე. 1901 წლამდე ოჯახი მატერიალურ სელმოკლეობას განიცდიდა. ამავე წელს ბედნიერი შემთხვევა მოხდა: ოჯახმა ლატარიის ბილეთით 200000 მანეთი მოიგო, რამაც ძირეულად შეცვალა მისი მდგომარეობა. 1902 წ. მათ შეეძინათ ქალიშვილი, რომელსაც თამარი დაარქვეს; 1904 წ. დაიბადა გიორგი (ჯორჯ ბალანჩინი), ხოლო 1906 წ. – ანდრია. მათ სტუმართმოყვარე ოჯახში ხშირად იკრიბებოდა რუსული და

ქართული საზოგადოება. იმდროინდელ პეტერბურგში ქართული სათვისტომო 3 ათას წელს ითვლიდა. ქართველი სტუდენტებისაგან შედგენილი გუნდი, მელიტონ ბალანჩივაძის ლოტბარობით, პროპაგანდას უწევდა ქართულ ხალხურ შემოქმედებას რუსეთის იმპერიის ქალაქებში.

მელიტონ ანტონის ძე ბალანჩივაძე დაიბადა 1862წ., სოფელ ბანოჯაში, მღვდლის ოჯახში. ბალანჩივაძეების წინაპრები ცნობილნი არიან, როგორც „წმინდა გიორგის" გლესები. მელიტონის ბაბუა, ანდრია ბალანჩივაძე — შეძლებული გლესი იყო. მას შესანიშნავი ხმა პქონდა და ბანოჯის საეკლესიო გუნდში მღეროდა. მელიტონის ბებია, ქორიძის ქალი, სოფელ ჟოსეთის მკვიდრი, შესანიშნავად ასრულებდა სალხურ სიმღერებს ჩონგურის თანხლებით. ერთადერთ შვილს — ამირანს — სასულიერო საქმიანობისათვის ამზადებდნენ, რისთვისაც 10 წლის ასაკში ის ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა დიაკვანს სშირად უსდებოდა ეპისკოპოზ გაბრიელთან ერთად ეპარქიის სხვადასხვა კუთხეებში მოგზაურობა. ლეჩხუმში, სოფელ ნამოსვანში, მან გაიცნო ამნაურული წარმოშობის იელიტა ასათიანი — ულამაზესი გარეგნობის ქალი, მშვენიერი სმის პატრონი. 1852 წელს ამირანმა, უკვე დიაკვანმა, ქალის მშობლების პროტესტის მიუხედავად, ცოლად მოიყვანა იგი. ახალგაზრდა ცოლთან ერთად ის მშობლიურ ბანოჯაში დასახლდა. მალე ის ანტონის სახელით მღვდლად აკურთხეს. ოთხი შვილიდან (მელიტონი, ივანე, ვასო, ანა) მელიტონი უფროსი იყო. ბავშვობა მელიტონმა ბანოჯაში გაატარა, ისტვსიური „ოჯახური" მუზიცირების გარემოში.

8 წლის მელიტონი შეიყვანეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. ბუნებრივმა მუსიკალურმა სიჭმა და წკრიალა სმამ განაპირობეს ბავშვის ჩარიცხვა ეპისკოპოსის საეკლესიო გუნდში. საშუალო განათლება მან ქუთაისის სასულიერო სასწავლებელსა და კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო. 1877წ. მელიტონი შეიყვანეს თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც 2 წელი დაპყო. მალე მელიტონი ჩარიცხეს ეგზარქოსის გუნდში, რომლის სელმძღვანელისაგან — სიონის ტაძრის ლოტბარ აუშვევისაგან მომავალი კომპოზიტორი იღებს მუსიკის პირველ გაკვეთილებს, სწავლობს მუსიკის თეორიას, ეუფლება საგუნდო გალობას. 18 წლის ბალანჩივაძე თბილისის საოპერო თეატრის გუნდშიც მღეროდა, გამოდიოდა ეპიზოდურ როლებში. 1882 წლიდან იწყება მელიტონ ბალანჩივაძის მუსიკალურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა, როგორც ქართული სალსური სიმღერების პროპაგანდისტისა და შემკრებისა. იგი აყალიბებს საგუნდო კოლექტივებს და კონცერტებს მართავს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, რამაც დიდი გამოსმაურება პპოვა და მოწინავე ქართველი საზოგადოების მოწონება დაიმსახურა. რამდენიმე წლის შემდეგ მელიტონი პირველად ცდის თავის ძალებს კომპოზიციაშიც და უკვე 1889 წლიდან იწყება მისი პეტერბურგული პერიოდი.

28 წელი გაატარა ბანოჯელმა ქართველმა რუსეთის იმპერიის საგასტრო ქალაქში და სახელი გაითქვა რუსულ და ქართულ მუსიკალურ საზოგადოებაში. მ. ბალანჩივაძის შემოქმედებითმა გენმა თანაბრად იჩინა თავი მის ორ ვაჟიშვილში – მეოცე საუკუნის გამოჩენილი კომპოზიტორის, ანდრია ბალანჩივაძისა და უდიდესი ქორეოგრაფის, გიორგი ბალანჩივაძის (ჯორჯ ბალანჩინის) მუსიკალურ მემკვიდრეობაში.

დასანანია, რომ სოფელ ბანოჯაში არ შემოგვრჩა სახლი, რომელშიაც ბალანჩივაძეების სახლ-მუზეუმის მოწყობა იქნებოდა შესაძლებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქავთარაძე ნ., ანდრია ბალანჩივაძე, თბილისი, 2006.
2. სარუხანოვა ი., მ. ბალანჩივაძე და ნ. რიმსკი-კორსაკოვი, ქუთაისის საჯარო ინსტიტუტი „ცელათი", მოამბე, 2000, № 6.
3. ჩხეიძე ა., ჯორჯ ბალანჩინი, ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება", 1965, № 8.
4. Сабинина М. Искания... во имя чего? «Музыкальная жизнь», 1962, №23.
5. Сорелл Уолтер. Джордж Баланчин - современный классик, ж. «Америка», 1959, №41.
6. Хучуа П. Мелитон Баланчивадзе, Тбилиси изд-во «Литература да хеловнеба», 1964.

IRINA SARUKHANOVA
Akaki Tsereteli State University, Assoc. Prof.

SUMMARY

AMERICAN MASTER OF BALLET GEORGE BALAMCHINE: GEORGIAN ROOTS

In 2004 the 100th anniversary of a world famous choreograph George Balanchine was celebrated throughout the world.

In 1920s, following Sergei Diagilev's advice, Giorgi Balanchivadze decided to Europeanize his name, thus becoming George Balanchine. After Diagilev's death Balanchine immigrated to America. By 1960s it was clear that due to him United States gained national classical ballet group with its own style of performance and its own repertoire.

In Balanchine's person a St. Petersburg intellectual was combined with a man of Georgian temperament. Living in America and being bred up in St. Petersburg, he still remained Georgian by his origin and nature. He inherited his creative genius and gift for music from his Father – a prominent Georgian musician Meliton Balanchivadze.

თამარ სირაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი

ეპიფანია ტ. ს. ელიოტის პოეზიაში

ეპიფანია, როგორც ლიტერატურული ფენომენი, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან გამოჩნდა ლიტერატურის კრიტიკის სფეროში, როცა მოდერნიზმის მეტრმა, ჯეიმს ჯოისმა, შინაგანი გასხივოსნებისა და გაცხადების იდუმალი და წამიერი მომენტის გამომხატველ მსატერულ ხერხს რელიგიური სახელი „ეპიფანია“ უწოდა და ლიტერატურულ ტერმინად დაამკვიდრა. მე-20 საუკუნის უმეტესი პერიოდის განმავლობაში ეს ტერმინი ძირითადად მოდერნისტებთან ასოცირდებოდა, მაგრამ 1970-იანი წლებიდან ლიტერატურის კრიტიკოსები უკვე თამამად აცხადებენ, რომ ეპიფანია მხოლოდ მოდერნისტული მსოფლაღქმის ნაყოფი არ გახლავთ, და რომ მისი ფესვები გაცილებით ადრეულ პერიოდში იღებს სათავეს. ამის დასტურად ცნობილი ამერიკელი კრიტიკოსის, ეშტონ ნიკოლსის, ერცელი მონოგრაფიის მხოლოდ სათაურიც კი იკმარებდა – *“The Poetics of Epiphany, Nineteenth Century Origins of the Modern Literary Moment”* – „ეპიფანიის პოეტიკა, თანამედროვე ლიტერატურული მომენტის მე-19 საუკუნის სათავეებთან“ (1987). ნაშრომში ავტორი დეტალურად მიმოიხილავს რომანტიკოსი და ვიქტორიანელი პოეტების შემოქმედებას და დასძენს, რომ მოდერნისტების მიერ ლიტერატურულ ეპიფანიად სახელდებული ფენომენი სხვა არაფერია, თუ არა რომანტიკოსების, კერძოდ კი, უილიამ უორდსუორთის, მიერ ლამის სამოქმედო პროგრამად ქცეული *“spots of time”*.

დღესდღეობით შესამჩნევად გაიზარდა ინტერესი ამ ლიტერატურული ხერხის მიმართ, რაც იმაში გამოიხატება, რომ ეპიფანიის არსებობის შესახებ საუბრობენ ისეთი პროზაიკოსებისა თუ პოეტების შემოქმედებაში, რომლებიც არც მოდერნისტული და არც რომანტიკული საბის გამგრძელებლები არიან. ეპიფანიის გამოვლინებებს ხედავენ ედიტ უორტონის, ჯოს ფაულზის, ემი დილარდის, ელიზაბეტ ბოუენის, თომას პინჩონის და სიმუს ჰ ისის შემოქმედებაში.

ლიტერატურის კრიტიკის დღევანდელი გადასახედიდან აშკარა ტენდენცია შეიმჩნევა იმისა, რომ მწერლებიცა და კრიტიკოსებიც ეპიფანიის მოვლენას რელიგიურ საბურველს აცლიან და მის წმინდა საერო მნიშვნელობით გააზრებას ემსრობიან (ნიკოლსი, ბექა, თივისი). წინამდებარე სტატიის მიზანია, გამოიკვლიოს მოდერნისტული ეპიფანიის სათავეები არა რომანტიკული, არამედ თეოლოგიური საფუძვლებიდან, და განისილოს ეს

პროცესი წამყვანი მოდერნისტი პოეტის, თომას სტერნზ ელიოტის, პოეტური და კრიტიკული შემოქმედების მაგალითზე.

ტ. ს. ელიოტის პოეზიას იშვიათად აკავშირებენ ეპიფანიის ფენომენთან. მაგრამ, თუ განვიხილავთ ეპიფანიის ძირითად მახასიათებლებს, აღმოვაჩენთ, რომ ამ ფენომენის გააზრებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის გაგებასა და აღქმას; დროის გააზრება კი ელიოტის ცნობილი პოემის, „ოთხი კვარტეტის", მთავარ ხაზს წარმოადგენს. ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თომას ელიოტი გამორჩეული პოეტია მოდერნისტებს შორის სწორედ თავისი შემოქმედების რელიგიური სასიათით. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ თეოლოგიური ტერმინის წმინდა საერო და ლიტერატურულ გააზრებას მან რელიგიური სახე და შეფერილობა დაუბრუნა.

თავდაპირველად მიზანშეწონილად მიმაჩნია განვიხილოთ ლიტერატურული ეპიფანიის ძირითადი მახასიათებლები და ის გზა, რაც მან გაიარა რომანტიზმიდან მოდერნიზმამდე.

„ეპიფანია" (ბერძ. *epi-phainein*) ნიშნავს *'ჩვენებას', 'გამოვლინებას', 'ძმის შუქზე გამოტანას', 'გამოჩენას', 'გამოცხადებას', 'გაცხადებას'*. თავდაპირველად ეს სიტყვა მხოლოდ რელიგიური კონცეპტი იყო და *'მანიფესტაციას', 'გაცხადებას'* ნიშნავდა. ბერძნული მითოლოგია და რელიგია ეპიფანიის არაერთ მაგალითს შეიცავს. აქ იგულისხმება ღმერთების და ქალღმერთების გამოჩენა მოკვდავი ადამიანების სამყაროში. ძირითადად ტერმინი „ეპიფანია" გამოიყენებოდა სასწაულებრივი და ბებუნებრივი მოვლენების აღსანიშნავად, რომელთაც თან ახლდა ან არ ახლდა ღმერთების ხილული არსებობა. როცა ღმერთი უხილავი იყო, ამ შემთხვევაში ამ ტერმინის ქვეშ მოიაზრებოდა ღვთაებრივი ძალაუფლების მანიფესტაცია. ბეპირსიტყვიერების ტრადიციიდან ეპიფანია წერილობით ლიტერატურაში გადავიდა. საკმარისია გავიხსენოთ პომეროსის „ილიადა" და „ოდისეა" და ცნობილი ბერძნულ-რომაული ტრაგედიები. ეპიფანიის ლიტერატურულ ხერხად გამოყენების ერთ-ერთი პირველი მაგალითია ცნობილი "*Deus ex Machina*", რომლის მეშვეობითაც ღმერთის დედამიწაზე დაშვება დრამატული კონფლიქტის გადაჭრის მთავარი საშუალება იყო.

განსაკუთრებული მნიშვნელობა და ღრმა რელიგიური დატვირთვა შეიძინა ამ ტერმინმა ქრისტიანულ რელიგიაში. დასავლეთის ეკლესია 6 იანვარს ბეიმით აღნიშნავს ეპიფანიის დღესასწაულს – აღმოსავლელი მოგვების მიერ ყრმა იესოს თაყვანისცემას. ქრისტიანული სამყაროსათვის ეპიფანიის დღესასწაული აღნიშნავს იმ მომენტს კაცობრიობის ისტორიაში, როცა უფალმა ცხადად და პირდაპირ მოახდინა მანიფესტაცია განკაცების სახით. ეპიფანიის მომენტი თეოლოგიური გაგებითაც კი ინტერპრეტაციის

გარკვეულ სარისხს გულისსმობს: მოგვები სტუმრობენ, ძღვენს მიართმევენ ახალშობილ ყრმა იესოს, და ამით თაყვანს სცემენ უფალს, მაცხოვარს, უმანკო კრავს, კაცობრიობის მსხვერპლს, მარადიული სიცოცხლის მიმნიჭებელს; ანუ ისილავენ ერთის და გულისხმობენ მეორეს, სხვას. ეპიფანია გულისხმობს უფრო მეტს, ვიდრე სილვადი, ეიმუალური სურათია. ეპიფანიის მეშვეობით მოგვებმა (და შემდგომში მთელმა სამყარომ) უფლისაგან ხსნის და ცხონების პირობის და იმედის შეტყობინება მიიღო.

აღმოსაველურ ეკლესიაში არ აღინიშნება ეპიფანიის, როგორც მოგვთა თაყვანისცემის კონკრეტული დღესასწაული, მაგრამ ზეიმით აღინიშნება ეპიფანიური მომენტის შემცველი რამდენიმე სხვა დღესასწაული, ესენია ნათლისღება, ფერიცვალება, სულთმოფენობა... ეპიფანიის, როგორც გაცხადების, სახესხვაობებს ძველი აღქმის წიგნებშიც ვხვდებით. იმდენად რამდენადაც ეპიფანიის მთავარი ელემენტი საიდუმლოს ან სიახლის გაცხადებაა, ამდენად ტრადიციული სილვისეული გამოცდილების მისედვით გაცხადება/გამოცხადება განიმარტება, როგორც მომენტი, როდესაც რეციპიენტის სული აღივსება გამოუცნობი იდუმალი ძალით გარედან. ამ დროს აღგილი აქვს ზეშთაგონებას. ინდივიდი სულის მოზღვავებულ ენერგიას გარეშე ძალების ზემოქმედებას მიაწერს. მეტაფორულად გარეგანი აგენტი შესაძლოა იყოს ქარი, გაელვება, სინათლის სვეტი, ღრუბელი, ან იდუმალი სმა; ღვთიური მადლი ეშვება დედამიწაზე; უფლის ხმა ისმის ქარბორბალადან; სული შთააგონებს წინასწარმეტყველს ან პოეტს ჭეშმარიტებას, რომელიც მან შემდეგ კაცობრიობის დანარჩენ ნაწილს უნდა შეატყობინოს. მოვლენის მთლიანი შინაარსი სწორედ ამ ჭეშმარიტების გადაცემაში მდგომარეობს – ინფორმაციის მიმღები პირი უძლურია გამოცხადების მომენტს საკუთარი ინტერპრეტაცია შესძინოს, იგი ზუსტად და შეუცვლელად იმეორებს იმას, რაც ეუწყა. ამდენად, თეოლოგიური გააზრებით ეპიფანია ინტერპრეტაციას არ ექვემდებარება. სწორედ ინტერპრეტაციის ეს ასპექტი ხდება მთავარი განმასხვავებელი ნიშანი რელიგიურ და ლიტერატურულ ეპიფანიებს შორის.

რელიგიური ეპიფანიის შემთხვევაში მიმღები ანუ რეციპიენტი უშუალო გამტარს წარმოადგენს ზებუნებრივ ღვთიურ ძალასა და კაცობრიობას შორის. იგი პირდაპირ ღებულობს გამზადებულ ინფორმაციას გაცხადებული ჭეშმარიტების სახით და არანაირ მონაწილეობას არ ღებულობს მის გააზრებასა თუ ინტერპრეტაციაში – გაცხადებული სიახლე უცვლელი რჩება და მას მხოლოდ ერთგზისი მნიშვნელობა გააჩნია. რელიგიური ეპიფანიის შემთხვევასთან გვაქვს საქმე მოქცევის ბიოგრაფიებში, რომლის ცნობილი მაგალითებია პაულე მოციქულისა და ნეტარი ავგუსტინეს სარწმუნოების გზაზე შედგომის გადამწყვეტი ეპიფანიური მომენტები. საინტერესო მაგა-

ლითს წარმოადგენს ნეტარი ავგუსტინეს შემთხვევა. აქ საქმე გვაქვს არა პირდაპირ გამოთქმულ მოწოდებასთან თუ რჩევასთან, არამედ გარკვეული სახის ინტერპრეტაციასთან, ოღონდ იგი მაინც არ სცილდება რელიგიური ეპიფანიის ჩარჩოებს, რადგან ინტერპრეტაცია მხოლოდ და მხოლოდ ერთგვისია, სხვადასხვა ვერსიების არსებობა გამორიცხულია. ნეტარი ავგუსტინე დაეჭვებისა და მერყეობის გამო ვერ დგამდა გადამწყვეტ ნაბიჯს, და მხოლოდ მას შემდეგ მოექცა საბოლოოდ ქრისტეს რჯულზე, რაც გამოცხადების იდუმალ ძალას ეგიარა. ავტობიოგრაფიულ წიგნში „აღსარებანი" ნეტარი ავგუსტინე ასე აღწერს ამ მომენტს: "So I was speaking, and weeping in the most bitter contrition of my heart, when, lo! I heard from a neighboring house a voice, as of boy or girl, I know not, chanting, and oft repeating, "Take up and read; Take up and read". Instantly, my countenance altered, I began to think most instantly, whether children were wont in any kind of play to sing such words: nor could I remember ever to have heard the like. So checking the torrent of my tears, I arose; *interpreting it to be no other than a command from God* to open the book, and read the first chapter I should find" (Augustine 1907: 170-71). ბავშვების სიმღერა გარკვეული იმპულსი და ბიძგი იყო ავგუსტინესათვის, რათა ბიბლია გადაეშალა და წაეკითხა. „აიღე და წაიკითხე" – ამ სიტყვების შემცველი სიმღერა მას აქამდე არასოდეს არ გაეგო. ამის საფუძველზე, და ასევე თავისივე დიდი პიროვნული სურვილით ასეთი ინტერპრეტაცია მიეღო, იგი ასკვნის, რომ ეს შემთხვევით ყურმოკრული სიტყვები უფლის ნიშანი და შეტყობინებაა. ის აღიქვამს რეალურად ერთს, მაგრამ ხსნის მას განსხვავებულად. პავლე მოციქულის წერილის წაკითხვისთანავე ავგუსტინეს ცნობიერებაში ცელილება სდება და ყოველგვარი ეჭვი ქრება (Augustine 1907: 171).

ნეტარი ავგუსტინეს მიერ აღწერილი ეპიფანია შეიძლება გარდამავალ საფეხურად ჩაითვალოს რელიგიურ ანუ ტრადიციულ, და ლიტერატურულ ანუ ახალ ეპიფანიებს შორის. თუ პირველი პირდაპირ გამშვადებულ გამოცხადებას გეთავაზობს, მეორე პირიქით, საერთოდ არ გვაწვდის შინაგანი გასხივოსნების შედეგს და მთლიანად ავტორის ან მკითხველის ინტერპრეტაციაზეა დამყარებული. ავგუსტინეს შემთხვევაში ადგილი აქვს ინტერპრეტაციას, რაც მას ახალ ეპიფანიასთან აახლოვებს, მაგრამ აქვე გეთავაზობს ინტერპრეტაციის ერთადერთ ვერსიას, რაც ღეთაებრივი ძალის ზემოქმედებაში ელინდება.

რომანტიზმის ეპოქამდე ეპიფანია უმეტესად რელიგიური მნიშვნელობით გამოიყენებოდა. მას დიდი როლი ენიჭებოდა მოქცევის ისტორიების გადმოცემისას. მაგრამ სულ სხვა სურათს ვხედავთ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც უილიამ უორდსუორთისა და სემუელ ტეილორ კოლრიჯის

„ლირიკული ბალადები“ ქვეყნდება, და მისი უორდსუორთისეული წინასიტყვაობა რომანტიკული პოეზიის პროგრამად იქცევა.

ლიტერატურული ეპიფანიის ოფიციალურ ფუძემდებლად უილიამ უორდსუორთი ითვლება (ბეჟა, ნიკოლსი, თიგისი). თუ ტრადიციულ ეპიფანიაში პურიტანი ავტობიოგრაფი ისეთ გამოცდილებას ელოდება, რომლის შედეგსაც უფლის სმას მიაწერს და მის არსებაში სრული გარდაქმნა ხდება, პოსტგანმანათლებლური ეპოქის პოეტი პირიქით, უამრავ გამოცდილებას განიცდის და საბოლოოდ ღიად ტოვებს ინტერპრეტაციის შედეგს. ტრადიციული ეპიფანიისაგან განსხვავებით, ლიტერატურული ეპიფანია გაცხადებულ ინფორმაციას გამოუთქმელს ტოვებს, იგი „...უფრო კოსტატაციურია, ვიდრე დესტატაციური, სუგესტიურია (მიმანიშნებელი), ვიდრე დეფინიციური“ (Nichols 1987: 17). ასალი ეპიფანია გონებაში მიმდინარე პროცესების ამსახველია. იგი წარმოსახვითია და ინტერპრეტაციის საბოლოო ვარიანტს მკითხველს ანდობს. ხილული ამქვეყნებს რაღაცას უხილავს, მაგრამ უხილავი კომპონენტის სტატუსი დაუდგენელი რჩება, ის არაა მთავარი, მთავარი რეციპიენტის მეხსიერებიდან და მიწიერი წარმოსახვითი აღქმიდან მიღებული განცდაა.

ყველაზე გავლენიანი რომანტიკული გამონათქვამები შთაგონების თაობაზე „ლირიკული ბალადების“ წინასიტყვაობაშია თავმოყრილი. ეს არის ესსე, რომელიც დახუნძლულია ფრაზებით თუ რამდენად დიდი პოეტური ღირებულება და როლი ენიჭება გასხივოსნების მომენტებს: “a state of vivid sensation”, “to choose incidents and situations from common life... and ... to throw over them a certain coloring of imagination, whereby ordinary things should be presented to the mind in an unusual aspect”, “all good poetry is the spontaneous overflow of powerful feelings” (Nichols 1987: 318,319, 323). ავტორი მეტ ძალას ხელოვანს ანიჭებს და არა ზებუნებრივ ღვთიურ შთაგონების წყაროს, მოქმედებასა და სიტუაციას ხელოვანის შეგრძნება ანიჭებს მნიშვნელობას და არა პირიქით, როგორც ეს ტრადიციულ ეპიფანიაშია. უორდსუორთის ეპიფანია ლიტერატურული ეპიფანიის კლასიკური სახეა, სადაც გასხივოსნების წყარო არა ღვთაებრივი ფენომენია, არამედ ადამიანის გონება, გონებაა “lord and master”:

There are in our existence ***spots of time***
That with distinct pre-eminence retain
A renovating virtue...
A virtue, by which pleasure is enhanced,
That penetrates, enables us to mount,
When high, more high, and lifts us up when fallen.
This efficacious spirit chiefly lurks

Among those passages of life that give
Profoundest knowledge to what point, and how,
The mind is ***lord and master*** – outward sense
The obedient servant of her will. (Eliot 1962:208-23)

მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში ეპიფანიის გამოელინებას უორდსუორთისეული ფორმა ასასიათებდა მეტნაკლები სასესხეობებით, ძირითადად კი ყველა მწერალი თუ პოეტი – კოლრიჯი, შელი, ემერსონი, უიტმენი, პეიტერი, ტენისონი, ბრაუნინგი – ლიტერატურული ანუ ახალი ეპიფანიის ფარგლებს არ ცდებოდნენ. ლიტერატურული ეპიფანია მკვეთრად გაიმიჯნა ტრადიციული თეოლოგიური ეპიფანიისაგან სწორედ იმით, რომ უთქმელს ტოვებდა გამოცხადების შედეგს და შთაგონების წყაროდ არა ღვთაებრივ ძალას, არამედ ადამიანის გონებას და მეხსიერებას აღიარებდა.

პირველი პოეტი, რომელმაც ახალი ეპიფანია რელიგიურ სათავეებს დაუბრუნა, იყო ჯერარდ მენლი ჰოპკინსი. მას მოახდინა რომანტიზმის სუბიექტური და მეტაფიზიკოსთა მიწიერი ტრიალურის შერწყმა რელიგიური ეპიფანიის ფორმაში, სადაც სუბიექტურ გასხივოსნებას ობიექტური წყარო – ღმერთი – მოუძებნა და ამით ახალი მიმართულება მისცა ეპიფანიის შემდგომ განვითარებას ლიტერატურაში. სწორედ ამ ხაზის გამგრძელებელია ტ. ს. ელიოტი, და ეს არცაა გასაკვირი, რადგან ელიოტი ყველაზე რელიგიურ მოდერნისტ პოეტად ითვლება თანამედროვე სამყაროში.

უეცარი გასხივოსნების ახალი ფორმა ნაყოფია იმდროინდელი (მე-19 საუკუნის) ცვლილებებით დროის აღქმის საკითხში. ქრონოლოგიურ დროის გააზრებას, "*chronos*", დაემატა დროის წარმოსახვითი გააზრება, "*kairos*", და მარადიული აღქმა – "*aion*". ამ საკითხთან დაკავშირებით ისევ ნეტარ ავგუსტინეს მოვიშველიებთ. იგი თავისი ფსიქოლოგიური ემფაზით ბევრი მწერლის წინამორბედად იქცა. ავგუსტინე დროს, მართალია, ობიექტურ ფენომენად მიიჩნევს, მაგრამ იმავდროულად ამბობს, რომ დრო თითოეული ადამიანის გონებითა და სულით იზომება. მისი დისკუსია დროის საკითხთან დაკავშირებით ძირითადად წარმოადგენს პასუხს სკეპტიკოსების შეკითხვაზე, თუ რატომაა ღმერთი მარადიული და ადამიანი მოკვდავი, თუკი ადამიანის იდეა მარადიული ღმერთის იდეაში იყო. მისი პასუხია, რომ ადამიანიც მარადიულია, როგორც შემდეგ ტ. ს. ელიოტი ასკვნის, "all time is eternally present" (Eliot 1962: 117). ავგუსტინე ამბობს: " ...there be three times: a present of things past, a present of things present, and a present of things future. For these three do exist in some sort, in the soul, but other where do I not see them; present of things past, memory; present of things present, sight; present of things future, expectation" (Augustine 1907: 258).

ყველა დროის ფსიქოლოგიური თანაარსებობა, რაც გავრცელებული იღება იყო შუა საუკუნეებში, განახლებული მნიშვნელობით ბრუნდება მოდერნისტულ ფილოსოფიასა და ლიტერატურაში. დროის სუბიექტური აღქმა, დაწყებული ავგუსტინედან, კანტის, შოპენჰაუერის, პრუსტის, ბერგსონის ნააზრევი – ყველაფერ ამას დიდი წელილი შეაქვს ახალი ეპიფანიის ჩამოყალიბებაში – ღვთიურ მადლს მსატერული გეშთაგონება ჩაენაცვლა.

ტ. ს. ელიოტის პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დროის ფენომენის საკითხს. დროის მომენტის აღქმა სშირად უკავშირდება ეპიფანიის გააზრებას. როგორც რელიგიური და მორწმუნე პოეტისათვის, ელიოტისათვის ეპიფანიას ორმაგი დატვირთვა აქვს – როგორც წმინდა რელიგიური დღესასწაულის, და როგორც ლიტერატურული მომენტის. ამ ორი მოვლენის გაერთიანების შესანიშნავი მაგალითია ელიოტის ცნობილი ლექსი "Journey of the Magi" („მოგვების მოგზაურობა"), რომელშიც რელიგიური გაცხადების მომენტი ლიტერატურული ხერხითაა გადმოცემული. ასევე საყურადღებოა დროის მომენტი, რადგან ლექსის გმირები გარკვეული დროის გასელის შემდეგ უბრუნდებიან უკვე გასელილსა და გასცდილს, და მზად არიან იმ დროს მიღებული სულიერი ცვლილების გამოცდილების ერთგულები დარჩნენ ბოლომდე:

All this was long time ago, I remember,
And I would do it again, but set down
This set down
This: were we led all that way for
Birth or Death? There was a Birth, certainly,
We had evidence and no doubt. I had seen birth and death,
But had thought they were different; this Birth was
Hard and bitter agony for us, like Death, our death (Eliot 1962: 69).

განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა ეპიფანიის რელიგიური და ლიტერატურული გააზრება ელიოტის პოემაში „ოთხი კვარტეტი". ნაწარმოები ოთხი ნაწილისაგან შედგება: "Burnt Norton", "East Coker", "The Dry Salvages" and "Little Gidding". ჰოპკინსისაგან განსხვავებით, ელიოტი ახერხებს იპოვოს „პრივილეგირებულ მომენტში" არა მხოლოდ დროებითი თეოფანიური გამოცხადების წყარო, არამედ თვით ღვთაებრიობის სიმბოლო. იგი ამ მიზნის მისაღწევად ყველა ოპოზიციის – წყალი და ცეცხლი, დასაწყისი და დასარული, დრო წარსული და დრო მომავალი, ასევე ბაღი და ვარდი – ერთ მთლიანობაში მოქცევას ახერხებს და მათ ცხონების წყაროსთან აიგივებს. „ოთხ კვარტეტში" ელიოტი მთელ სიმძიმეს მომენტალურ გამოცდილებას აკისრებს, რადგან იგი შესაძლოა გადაიზარდოს უდროობაში – "kairos" -ში და "aion"-ში ერთდროულად:

What might have been and what has been
Point to one end, which is always present (Eliot 1962: "Burnt Norton", 1).

ელიოტი ცდილობს გადააბიჯოს, გასცდეს დროს და იპოვოს "still point" არა როგორც "fixity", არამედ როგორც აღგილი, სადაც "past and future are gathered" და სადაც "there the dance is". ხოლო ამ გადასახედიდან კი მას მხოლოდ ის შეუძლია თქვას, რომ "there we have been: but I cannot say where./And I cannot say, how long, for that is to place it in time" (Eliot 1962: "Burnt Norton", 2). უორდუორთისეული განახლების მსგავსად, რასაც აღგილი აქვს მეხსიერებაში არსებული შინაარსის წარმოსახვითი ტრანსფორმაციის შედეგად, ელიოტისათვის გამოცდილება და გასცდა სხვა ფორმით ჩნდება მაშინვე, როგორც კი ჩვენი გონება მსწრაფლობას იძენს და მთავარი წარმმართველი ძალა ხდება. ისტორია არის "pattern / Of timeless moments" სადაც გონებამ არჩევანი უნდა გააკეთოს. როგორც კი არჩევანი რწმენის სასარგებლოდ კეთდება, ელიოტიც, ჰოპკინსის მსგავსად, აბსოლუტური არსის სამსახურში დგება. ამ საფეხურზე გონება ეპიფანიიდან თეოფანიისაკენ გადადის, ანუ ამქვეყნიური მანიფესტაცია ღვთიური მანიფესტაციით იცვლება. ლიტერატურული ეპიფანიის ხასს ტრადიციული თეოლოგიური ეპიფანია ასრულებს: "The only hope, or else despair / Lies in the choice of pyre or pyre - / To be redeemed from fire by fire" (Eliot 1962: "Little Gidding", 4).

როგორც ვხედავთ, ელიოტის ეპიფანიები „ოთხ კვარტეტში" თითქმის ყოველთვის გადადიან ქრისტიანული ინკარნაციის თეოფანიურ სახეში. ლიტერატურული ეპიფანიისაგან განსხვავებით, სადაც განსიეთნების შინაარსი უთქმელი რჩება, ელიოტი, ტრადიციული ეპიფანიის მსგავსად, სათქმელს ამბობს, მაგრამ ამბობს ისევ და ისევ ლიტერატურული ინტერპრეტაციის მეშვეობით, მხოლოდ ეს ინტერპრეტაცია ერთგვარია და ღვთიური განკაცების და ხსნის, გამოსყიდვის, ერთადერთი მაუწყებელია. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ელიოტმა ტრადიციული ეპიფანიის რელიგიური საწყისებისაკენ დაბრუნებით მე-20 საუკუნის ლიტერატურულ ეპიფანიას განვითარების ახალი მიმართულება შესძინა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Augustine. Confessions. Translated by E. B. Pusey. London: Dent & Sons, 1907.
2. Beja, Morris. Epiphany in the Modern Novel. Seattle: University of Washington Press, 1971.
3. Eliot T. S. Selected Essays. New York: Harcourt, Brace &World, Inc., 1964.
4. Eliot T. S. The Complete Poems and Plays, 1909-1950. New York: Harcourt, Brace &World, Inc., 1962.

5. Moody, A. David (ed,). The Cambridge Companion to T. S. Eliot. Cambridge University Press, 1996.
6. Nichols, A. The Poetics of Epiphany, Nineteenth-Century Origins of the Modern Literary Moment. Tuscaloosa and London: The University of Alabama Press, 1987.
7. Wordsworth, W. The Poetical Works of William Wordsworth. 5 vols. Edited by E. de Selincourt and Helen Darbishire. Oxford: Clarendon Press, 1940-49.

TAMAR SIRADZE
Batumi Shota Rustaveli State University, Teacher

SUMMARY

EPIPHANY IN T. S. ELIOT'S POETRY

The article deals with the epiphany – literary moment in the modern Anglo-American literature, and its peculiarities in the poetry of one of the most famous modern authors, T. S. Eliot. As a religious poet, Eliot could not but render the epiphany its traditional, theological features and understanding. In order to trace the changes Eliot made in new i.e. modern epiphany, the article discusses the origins of this literary moment in the 19th century Romantic poetry and compares it with traditional theological understanding of the moment in conversional autobiographies.

The literary epiphany emerges in the 19th century Romantic Movement through the works of W. Wordsworth, S. T. Coleridge and P. B. Shelly and continues with the same features into the Victorian poetry. The main difference between literary and religious epiphanies lies in that the religious epiphany states the message to the receiver and the message cannot be altered or interpreted by the hearer. In the literary epiphany, on the other hand, the message is left unstated and the sensation experienced by the recipient is individual or open to manifold interpretations.

The contribution of T. S. Eliot in further developing the essence and function of literary epiphany is that he returned to the epiphany its religious and theological understanding by pointing to the message from the outside and stating the one and only interpretation of the moment, i.e. the agent and the source of Eliot's epiphanies is always a supreme power in the form of Jesus Christ.

თეა ურუშაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ამერიკული რეალისტური ფერწერის განვითარების თავისებურება XX საუკუნის დასაწყისში

XX ს-ის დასაწყისში ხელოვნებაში მხატვრული პროგრესის პროცესი ღრმა და დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა: განსხვავებული კონცეფციები, მხატვრული მიმდინარეობების ბრძოლა, სხვადასხვა წარმოდგენები ხელოვნების როლზე და მის სოციალურ ფუნქციებზე. ასეთ რთულ ვითარებაში ორი ძირითადი კონცეფცია გამოიკვეთა, შეეხო თვით ხელოვნების ბუნებას და XX ს-ში მისი განვითარების პროცესში ნოვატორული ფორმების არსს. ერთი მხარე ამომწურავად თელიდა „ფიგურატიულ" მეთოდებს, მის კავშირს ცხოვრებისეულ ფორმებთან და ამტკიცებდა, რომ სამყაროს ადამიანი რეალურ პლასტიკურ სახეებში ვეღარ აღიქვამს; მეორენი იცავდნენ „ფიგურატიულ" სახიერებას და XX ს-ში მის ახალ ფორმებში ხარისხობრივად გარდაქმნას.

თითოეულ ქვეყანაში ეს პროცესი განსხვავებული, რთული, არათანმიმდევრული სახით ელინდებოდა და არა მარტო ეროვნული სპეციფიკით, არამედ სოციალურ- ესთეტიკური პოზიციით გამოიხატებოდა. ამ თვალსაზრისით ამერიკული ხელოვნება არ წარმოადგენს გამონაკლისს და რეალისტური ფერწერის განვითარებას საინტერესო მასალით წარმოგვიდგენს, რომელთა წარმომადგენლები ერთმნიშვნელოვნად ამერიკული კულტურის ხასიათს და განვითარებას განსაზღვრავდნენ. ამ თვალსაზრისით ამერიკული ფერწერის ისტორიაში მნიშვნელოვანი აღგილი რობერტ პენრის ხელმძღვანელობით „რვიანთა ჯგუფის" შემოქმედებას ეკუთვნის.

თანამედროვე ამერიკელი მხატვრების უფროსი თაობის შემოქმედებითი გზა XX ს-ის პირველ წლებს ემთხვევა. ეს ის პერიოდია, როდესაც ამერიკის ისტორიაში განვითარების ახალი პერიოდი იწყება, იგი მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ ყალიბდება. მრეწველობის, ვაჭრობის, ტრანსპორტის სწრაფმა ზრდამ, გზების, ქალაქების განვითარებამ ამერიკის ეკონომიკა საგრძნობლად გააძლიერა, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს დიდი სიმდიდრე მოუტანა, რამაც, თავის მხრივ, კლასობრივი დაპირისპირების პროცესი გააღრმავა. ამ პროცესებს თან სდევდა სხვადასხვა სახის რეაქციული იდეების განვითარება. ყველა არსებულმა მოელენამ გარკვეული გავლენა მოახდინა ამერიკულ ხელოვნებაზე და მისი განვითარება განსხვა-

ებული გზებით მიმდინარეობდა. ამ ვითარებაში საინტერესოდ ჩნდება დემოკრატიული ტენდენციები, „პოპულისტური მოძრაობა“ რომელიც არსებულ მოვლენებს მკაცრ პროტესტს უცხადებდა.

XX ს-ის დასაწყისში ამერიკის რეალისტური ხელოვნების ისტორიაში დიდი როლი „რვიანთა“ ჯგუფის გამოჩენამ ითამაშა. ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა რობერტ პენრი. „რვიანთა“ პირველი გამოფენა 1908 წელს მოეწყო. ამ გამოფენამ როგორც პრესაში, ასევე განსილვაზე საკმაოდ მძაფრი არაერთგვაროვანი შეფასებები მიიღო და მაყურებელზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები მრავალფეროვანი თემატიკით გამოირჩეოდა, ვინაიდან ამ გაერთიანებაში შეკრებილნი იყვნენ სრულიად განსხვავებული შემოქმედებითი ხასიათის, მანერის, ხედვის მხატვრები. მორის პრენდერგასტი და ერნესტ ლაუსონი ამერიკელი იმპრესიონისტების ჯგუფს წარმოადგენდნენ და პეიზაჟური ფერწერის განსაზღვრული პრობლემებით შემოიფარგლებოდნენ. ძირითადად თავის ნამუშევრებში ისინი წინა პერიოდის ძიებების გამოყენებას ასლებურად ცდილობდნენ. არტურ დევისი თავის სურათებში თანამედროვეობის ასახვისას მითოლოგიას და სიმბოლიკას აქტიურად იყენებდა. გაერთიანების ძირითად ბირთვს რობერტ პენრი, ჯონ სლოუნი, ჯორჯ ლაკსი, უილიამ გლაკენსი და ევერიტ შინი წარმოადგენდნენ. მათი მრავალრიცხოვანი სურათები ამერიკის თანამედროვე ცხოვრების თემატიკის ნაირსახეობით გამოირჩეოდნენ. ისინი მკვეთრად, საზგასმით, საბოგადოების ყველა მხარეს ასახავდნენ, იმასაც, რაც „პარადული ფასადის“ ქვეშ იმალებოდა. ასეთი მიმართულების რეალისტური ხელოვნების გამოჩენამ, დღეს შეიძლება უკვე ითქვას, განამტკიცა და განსაზღვრა ამერიკული რეალისტური ფერწერის განვითარების შემდგომი გზები.

„რვიანთა“ მხატვრების გამოსვლებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მაშინ შეიძინა, როდესაც ამერიკაში სწრაფად ვრცელდებოდა მოდერნისტული ტენდენციები. ამას წინ უსწრებდა 1913 წელს ნიუ-იორკში გამართული საერთაშორისო გამოფენა „არმორი-შოუ“. ამ გამოფენით ამერიკელები გაეცნენ ევროპელი ფოვისტების, კუბისტების, ექსპრესიონისტების, აბსტრაქციონისტების ნამუშევრებს. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ერთერთი ღვაწლმოსილი ხელოვანი, თომას იკინსი, აღნიშნავდა: „პირველ რიგში ამერიკელი მხატვრებისათვის კარგი იქნებოდა თავისი ქვეყანა, მისი ცხოვრება და ტიპები თავის ნახატებში წარმოედგინათ. რასაკვირველია, აუცილებელია გაემგზავრო საზღვარგარეთ, მოინახულო დიდოსტატების ნამუშევრები. მაგრამ პირველ რიგში ამერიკელები თავის გზას უნდა დაადგნენ, დამოუკიდებელნი უნდა დარჩნენ, მხოლოდ ასე შეექმნით ჩვენ დიდ და სუფთა ამერიკულ ხელოვნებას“ (Geldzahler 1965: 16). „რვიანთა“ ჯგუფის

მხატვრები ზუსტად ამ ამოცანას ისახავდნენ და თავისი იღეების ბოლომდე ერთგულნი დარჩნენ.

„რეიანთა“ ჯგუფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო რობერტ პენრი. მას საკმაოდ მრავალმხრივი განათლება მიიღო, მიაღწია მაღალ პროფესიონალურ დონეს. პენრი თავის სურათებში დიდ როლს „ღირსეულ სიუჟეტს“ ანიჭებდა. ამისაკენ მოუწოდებდა თავის მოწაფეებსაც. მისი ლირიული პეიზაჟები, ქალაქის მიდამოები სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩეოდნენ. მაგრამ პენრის შემოქმედების მთავარი თემა მაინც ადამიანები იყვნენ. მხატვარი ყურადღებით აკვირდებოდა მათ, აინტერესებდა მათი სულიერი სამყარო, დამახასიათებელი თვისებები. მისი მკაცრად რეალისტური, საინტერესო კომპოზიციური აგებულების პორტრეტები უისტლერის და იკინსის პორტრეტული ფერწერის ტრადიციებს ავრძელებენ („ჰოლანდიელი გოგონა თეთრებში“, „ლილიანა“, „ახალგაზრდა ქალის პორტრეტი შავებში“ და სხვ.). პენრი ასევე ხატავდა საშუალო და დაბალი ფენის წარმომადგენლების პორტრეტებს. იგი ცდილობდა გადმოეცა მათი ტკივილი, დუხჭირი ცხოვრების მთელი დრამატიზმი. თითოეული ნამუშევრისათვის დამახასიათებელია ჩანაფიქრის სიმკვეთრე, ფორმის სრულყოფილი შეგრძნება, თავისუფალი ფერწერული მონასმი, თუმცა მათ აღქმის სიმძაფრეც ახასიათებთ. ამ მყარი რეალისტური ოსტატობის საფუძვლებს ჰენრი თავის სახელოსნოში არა ერთ დამწყებ მხატვარს გადასცემდა, განსაკუთრებით სლოუნს, ლაკს, გლაკენს და შინს. ისინი მოღვაწეობას იწყებდნენ ფილადელფიაში როგორც მხატვარი-რეპორტიორები, შემდეგ ნიუ-იორკის ჟურნალ-გაზეთებში განაგრძობდნენ მუშაობას. მართალია, უმაღლესი სამხატვრო განათლება პენსილვანიის სამხატვრო აკადემიაში მიიღეს, მაგრამ გამოცდილება და ოსტატობა მაინც პენრის სახელოსნოში შეიძინეს. აქ მიმდინარეობდა საერთო პოლემიკა ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ამერიკულ მხატვრულ ცხოვრებას, მის პრობლემებს, მიზნებს უკავშირდებოდა. ასე ჩამოყალიბდა „რეიანთა“ ჯგუფი.

უფროსი თაობის წარმომადგენელი ჯორჯ ლაკსი ძირითადად პორტრეტულ ეტიუდებს ასრულებდა. მისი ეტიუდების გმირები მხატვრის ყურადღების ცენტრში ქუჩიდან, სტადიონიდან, მოედნებიდან და სხვა ადგილებიდან ხვდებიან. ავტორი ცდილობდა დინამიკაში დაეჭირა მახასიათებელი თვისებები, თუნდაც უხეში, უშნო, სასაცილო, და ა.შ. ჩანახატების საინტერესო სერიას წარმოადგენს: „ბიჭი ბურთით“, „გოგონა“, „მოხუცი ჯოხით“, „ახალგაზრდა ქალი“, „მექორწილეები“. მისი პეიზაჟური ეტიუდები კოლორიტულობით გამოირჩევიან.

უილიამ გლაკენსი, ისევე როგორც ლაკსი, ხშირად ცდილობს მოდელი მაყურებელს დაუახლოვოს და იგი „მსხვილი პლანით“ წარმოადგინოს,

მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ყურადღებას ამახვილებს სურათის ძირითად სიუჟეტზე, მის დამუშავებაზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თუ მის ადრინდელ სამუშაოებში იმპრესიონისტების გაელენა შეიმჩნევა, შემდგომში გლაკენსის სამუშაოებში ყალიბდება მაღალი დონის ინდივიდუალური შემოქმედებითი მანერა, აღსავსე ღრმა ფსიქოლოგიზმით, შესანიშნავი ფერწერული ჰარმონიით, ნატიფი, რაფინირებული ხელწერით: „მწვანე ვაგონი“, „ცენტრალური პარკი ზამთარში“, „გაბაფხულის ფოთლები“. ბოლო წლების ნამუშევრებში მისი ნახატების თემატიკა უფრო ცინიკურია, გართულებული და კონფლიკტური. მსატვარი უფრო ღრმად წედება გარემოცვის ყოველდღიურობის პრობლემატიკას. ამ ჯგუფის სოციალურ-სიუჟეტური სელოვნების ყველაზე აქტიური წარმომადგენელი ჯოს სლოუნია, რომელიც ყოველთვის კულტურული ცხოვრების სიახლეების წიაღში იმყოფებოდა და არაერთხელ გამოსულა „სუფთა ხელოვნების“ თეორიის წინააღმდეგ.

ცოცხალი, მეტად ეროვნული, მუდმივად უკმაყოფილო იყო თავისი შემოქმედებით. საზოგადოებას შემორჩა მისი საინტერესო ჩანაწერები, სადაც აღწერილია მეგობრების ხასიათები, მათთან ურთიერთობები, გამოჩენილ ადამიანებთან შესვედრები. სლოუნის სურათებში ძირითადად მსატერის თვალით დანახული ყოველდღიურობაა ასახული: მუშების ჭუჭყიანი საცხოერებელი უბნები, დანგრეული საცხოვრებლები, ქუჩაში მოხეტიალე უსახლკარო ბავშვები, ღამის ბარები, ჩინური რესტორანი, დამლაგებლები ბიბლიოთეკაში და ა.შ. მის სურათებში გარემო დოკუმენტალური სიზუსტითაა ასახული, ყველა დეტალს მხატვარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, რითაც სიუჟეტს აძლიერებს. განსაკუთრებით გამოირჩევა ქალაქის სხვადასხვა უბნების ღამის სცენები. სლოუნის გრაფიკულ ნამუშევრებში ასევე მკაფიოდ იკვეთება სოციალური ტენდენციები. მის სურათებში შესანიშნავად იგრძნობა რეალისტური ფორმის პლასტიკურობა, ერთგვარი მონუმენტალობა, კომპოზიციის აგებულების თავისებურება ფერწყობის კოლორიტული კონტრასტი, რაც ხელს უწყობდა სხვადასხვა გრძნობები და ხასიათები გადმოეცა: „ბულვარი“, „5 ავენიუს კრიტიკოსები“, „ჩასასველი კიბე მეტროში“. „რვიანთა“ ჯგუფის საინტერესო წარმომადგენელია ევერეტ შინი, რომელიც დეგას გავლენას განიცდიდა. მისი შთაგონების წყარო თეატრალური და საცირკო სანახაობები იყო. მის სურათებში ასახულია ბაგირზე მოსიარულეები, მოცეკვავეები, ჟონგლიორები, ცხოველების მომთვინიერებლები, აკრობატები, ასევე მსახიობები. ემოციით სავსე, დაძაბული დინამიზმი, ერთგვარი დრამატიზმი, შიში, პერსონაჟების ინდივიდუალური დასასიათება, ხასიათების გადმოცემა, ჯგუფების და ფიგურების განლაგებაში რითმის გართულება, იდეალიზაციის გარეშე იყო

ასახული, რაც სურათს ცხოვრებისეულ დამაჯერებლობას ანიჭებდა. შინის სურათებში ნაკლებად იგრძნობა სულიერ სამყაროში ჩაწვდომა, ფსიქოლოიური დახასიათება. მაგრამ ეს იყო ის გარემო, რომელშიც მხატვარი არსებობდა და ეს იყო მისი ყოველდღიურობა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით.

„რვიანთა" ჯგუფის წევრები თანამედროვე გარემოს გამორჩეული მხატვრული სპეციფიკური ნიშნებით, დამახასიათებელი სედეით აეითარებდნენ და აქტუალურ თემატიკას მთელი სიმძაფრით გადმოსცემდნენ.

ამერიკული რეალისტური ფერწერის თავისებურება განპირობებული იყო მხატვრების განსხვაეებული შემოქმედებითი მანერით, სერხებით, მათი შემოქმედების საზოგადოებრივ-სოციალური სახიათით, ახალი მხატვრული საშუალებების ძიებით, რომელიც ამერიკული ხელოვნების პროგრესულ ტრადიციებს უკავშირდებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Geldzahler H., American painting in the 20 century, New York, 1965, p. 16.
2. B. Perlman., The Immortal Eight, New York, 1962.
3. Geldzahler H., American painting in the 20 century, New York, 1965.
4. Борьба за прогрессивное реалистическое искусаство в зарубежных странах. М., Искусство, 1978.

TEA URUSHADZE
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Assoc. Prof.

SUMMARY

AMRICAN REALISTIC FINE ARTS AT THE BEGINNING OF THE XX CENTURY

In the beginning of the 20-th century a process of fine arts progress was spreading in a very hard strained circumstances: different aesthetic conceptions, fine arts current contest, different perceptions on fine arts role and social functions. In such state two basic conceptions were marked out, which concerned to a nature of fine arts and an essence of innovatory forms in the process of its development in the 20-th century.

One side considered the "figurative" methods and their union to the fundamental forms as absolute, and was confirming that the world is not perceived by the human in real plastic aspects; the other side was defending "figurative" aspects, their organic connection to the real world and their converting in the qualitatively

new forms in the 20-th century.

This process was exposed with different, obscure, unsuccessive aspect in each country and not only by the national specificity, but it was expressed by social and aesthetic position. In this case the American fine arts is not exclusion, namely the development of realistic fine arts is presented by an interesting material. Synonymously, the representatives of this direction were defining the American culture's natural and development.

The creators of the group – "Eights" under the leadership of Robert Henry possess an important place in the American realistic fine arts history.

The American fine arts was completely represented to society in a new form on an exhibition, which was carried out in 1908, and received many estimations of various kinds.

Every member of the group: Moris Prendergast, Ernst Lauson, Arthur Deivin, John Sloun, George Laks, William Glavens and Evert Shin were developing modern environment with charuchterised vision and high artistic specify values, and were transferring actual themes with full intensity.

An outline of the American realistic fine arts was stimulated by different creative manner and ways of the artists, the social and public characters of their creative works, searching of new artistic ways and was connected to progressive traditions of the American fine arts.

მარია ქურდაძე
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი

ტრადიციის გაგება ტ. ს. ელიოტის ესეში

როდესაც ვსაუბრობთ ტ. ს. ელიოტზე რთულია საზგასმით განვაცხადოთ, რომ ის იყო მხოლოდ ამერიკელი მწერალი, პოეტი, კრიტიკოსი. მიუხედავად მისი წარმომაელობისა, მასზე გარკვეული გაელენა მოახდინა იმ გარემომ, საზოგადოებამ სადაც ის მოღვაწეობდა. 25 წლის ასაკიდან ელიოტი ინგლისში ცხოვრობს, თუმცა ის თავადვე აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ მის შემოქმედებას არ ექნებოდა ისეთი ემოციური მუხტი, ის რომ ინგლისში დაბადებულიყო და არც მაშინ, ამერიკაში რომ დარჩენილიყო: "It's a combination of things. But in its sources, in its emotional springs it comes from America. In my beginning is my end. In my end is my beginning".

ელიოტის შემოქმედებაში ტრადიციის გაგებას მეტად მნიშვნელოვანი აღგილი უკავია, რომლის გაანალიზების შემდეგ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის წმინდა ელიოტისეული გაგება ტრადიციისა. ალბათ, ყველა ჩვენთაგანში ეს სიტყვა ასოცირდება იმ ღირებულებებთან, რაც თაობიდან თაობას გადაეცემა და რომელსაც ჩვენ მეგნაკლებად ვიცავთ. თუმცა ელიოტი ესეში „ტრადიცია და პიროვნული ნიჭიერება", გვაძლევს ტრადიციის საკმაოდ არატრადიციულ განმარტებას, რითაც იპყრობს მკითხველის ყურადღებას. მისთვის ტრადიცია მხოლოდ იმას როდი ნიშნავს, რომ ერთი თაობა ბრმად და ერთგულად ჰბაძავდეს წინა თაობას. ის უფრო მეტსაც გვეუბნება, მაშინ ეს სიტყვა საერთოდ დაკარგავს აზრს. ვინაიდან, იდენტურ გამეორებაში კვდება დროის, სიცოცხლის შეგრძნება.

ელიოტისთვის ტრადიცია უფრო ფართო მნიშვნელობის მატარებელია, რომლის მემკვიდრეობით მიღება შეუძლებელია, მისი მოპოვებისთვის მწერალმა დიდი ჯაფა უნდა გაწიოს: "Tradition is a matter of much wider significance. It can't be inherited, and if you want it you must obtain it by great labour".

იყო ტრადიციის მატარებელი მწერალი, ელიოტისთვის უპირველეს ყოვლისა ნიშნავს გქონდეს ისტორიის შეგრძნება, თუმცა აქაც უნდა გაეცრკვეთ თუ რას ნიშნავს ისტორიის შეგრძნება. ელიოტი ამით არ გულისხმობს მხოლოდ ისტორიის, წარსულის ცოდნას, არამედ ტრადიციულმა მწერალმა უნდა შეძლოს წარსულის გაცოცხლება თანამედროვეობაში: "Historical sense, which is a sense of the timeless and of the temporal together, is what makes a writer traditional". თუ მწერალს შესწევს წარსულის, აწმყოს და მომავლის ერთ სიბტყეში მოქცევის უნარი, მაშინ ის ელიოტისეული ტრადიციის

მატარებელია.

სწორედ ასეთი ტრადიციული მწერალია ელიოტისთვის ჯეიმზ ჯოისი, რომელმაც „ულისე"-ში შეძლო წარსულის შერწყმა აწმყოსთან, თანამედროვეობასა და ანტიკურობას შორის გააელო პარალელი. მასთან აწმყო ღრო კი არ არის, არამედ დროთა აღრევის შედეგად წარმოქმნილი კონტინუმია, რომელიც მესხიერების ძალით შეიცავს წარსულს და შესაძლებლობათა წარმოდგენის ძალით მომავალს. შესაძლოა იყვნენ მწერლები, რომელთაც გააჩნდათ წარსულის, აწმყოს და მომავლის შეგრძნება, მაგრამ მათ ვერ შეძლეს მიეავარი რამ – ამ ყველაფრის გაერთიანება, დალაგება და სწორი ფორმის პოვნა. ხოლო ჯოისმა შეძლო ამ მეტად რთული ამოცანის განსორციელება. სწორედ ამიტომ მიიჩნევს ელიოტი, რომ „ულისე" მუდამ იქნება კელევის საგანი, რის შედეგადაც ყველა თაობის მკითხველს შესაძლოა დაეუფლოს იგივე ურთიერთსაპირისპირო შეგრძნებები, რაც ელიოტმა თავად განიცადა „ულისეს" პირველად წაკითხვის დროს: surprise (გაოცება), delight (აღტაცება), terror (შიში). შეუძლებელია მიბაძო ჯოისს, თუმცა მისგან ნიჭიერმა მწერალმა ბევრი კარგი რამ უნდა გაღმოიღოს, რაც შესაძლებლობას მისცემს მას განაეითაროს ინდივიდუალური წერის მანერა, ამიტომ ელიოტი თამამად მიმართავს მწერლებს მიყვნენ ჯოისის წერის მეთოდს: "Mr. Joyce is pursuing a method which others must pursue after him. And only those who have won their own discipline in secret and without aid, in a world which offers very little assistance to that end, can be of any use in furthering this advance".

როგორც უკვე აღვნიშნე, ელიოტის გაგებით, იყო ტრადიციული მწერალი, უპირველეს ყოვლისა ნიშნავს ცსოერობდე წარსულში, აწმყოსა და მომავალში, ნიშნავს გაგაჩნდეს შენი ინდივიდუალური წერის მეთოდი, რაც ვსდის აქტუალურს ყველგან და ყველა დროში, როგორც ელიოტი ამბობს "only everywhere and for all time have the meaning".

ელიოტის განსაკუთრებულ ყურადღებას ასევე იპყრობენ მეტაფიზიკოსი პოეტები, კერძოდ, ჯონ დონი. ელიოტი თვლის, რომ ჯონ დონმა თავისი პოეზიით და ინდივიდუალური წერის მანერით წინ გაუსწრო თავისივე ეპოქას, ამავე დროს მან გაღმოსცა ის ემოციები, რაც აქტუალურია ყველა დროისთვის. აქედან გამომდინარე შემიძლია ვთქვა, რომ ჯონ დონი ელიოტისეული ტრადიციის მატარებელია: "One of the characteristics of Donne which wins him, I fancy, his interest for the present age, is his fidelity to emotion as he finds it; his recognition of the complexity of feeling and its rapid alterations". თუმცა ჯოისის მსგავსად ელიოტი მას გამოარჩევს არა მხოლოდ იმით, რომ მას უფრო მეტი აქვს სათქმელი თავისი ცსოერებიდან და პიროენულობიდან გამომდინარე, არამედ იმით, რომ მან შესძლო ურთიერთსაპი-

რისპირო გრძნობების ერთად თავმოყრა, და რაც მნიშვნელოვანია, ამ ყველაფრის დალაგება, ფორმის მინიჭება, შესაბამისობა "the elements in his mind had an order and congruity. The range of his feeling was great, but no more remarkable than its unity". ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს შემდეგი მონაკვეთი დონის პოემიდან "The Indifferent":

I can love both fair and brown;
Her whom abundance melts, and her whom want betrays;
Her who loves loneness best and her who masks and plays

ელიოტი თვლის, რომ საინტერესოა არა პოეტის პირადი, ცხოვრებისეული ამბებისაგან აღძრული ემოციები, არამედ ის ემოციები, რომლებსაც აღძრავს მისი პოეზია, ვინაიდან პოეტის ემოციები შეიძლება ბანალური იყოს, სოლო პოეტური ემოცია კი – მეტად მძაფრი და საგრძნობი: " Poetry is not a turning loose of emotion, but an escape from emotion; it is not the expression of personality, but an escape from personality". სწორედ ამიტომ ელიოტი მიიჩნევს რომ, ჯონ დონის პოეზია ფასეულია ("worth keeping tradition"), განსხვავებით იმ პოეტებისაგან რომელთა პოეზიაშიც სჭარბობს ისეთი თითქმის არაფრის მთქმელი შედარებები როგორიცაა: bleeding hearts, pearl like teeth and rose like cheeks.

ელიოტი მოუწოდებს პოეტებს ისწაელონ დონისგან მთავარი, რაც გამოარჩევს მის პოეზიას – სიმსნეე: "We cannot have any order but our own, but from Donne and his contemporaries we can draw instruction and encouragement".

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Eliot. T.S., "John Donne, in The Nation and the Athenaeum", Vol. XXXIII, No. 10, June 9, 1923.
2. Eliot T.S., "Ulysses, Order, And Myth", English Review, April 1921.
3. file://E:/T.S.Eliot_The Metaphysical Poets.htm
4. file://E:/ T.S. Eliot_Tradition and Individual Talent

MARIA KURDADZE
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, MA Student

SUMMARY

THE ASPECT OF TRADICION IN T. S. ELIOT'S ESSAY

T.S. Eliot, the American, modernist writer, poet, essayist is considered as the most prominent critic of the XX century. His essays created not only theoretical base of modernism, but played a vital role in the development of critical thinking and English literature as a whole.

The aspect of tradition has a particular place in Eliot's essays. In this report, there is an analysis of Eliot's conception of tradition, and the discussion of the factors which drew his attention towards this subject. More concretely:

1. If tradition is a mere imitation of prior generation
2. If it is possible to acquire tradition
3. What qualities should a write have to be a traditional writer
4. The connection of tradition and novelty

Through analyzing these issues, Eliot's interest is clearly depicted towards the writers and poets whose literary creations are filled with Eliot's conception of tradition. Among them are: James Joyce, John Donne and the XVIII century metaphysical poets. In Eliot's essays ("Ulysses, Order and Myth", John Donne", "The Metaphysical Poets"), accent is made on the individual talents and the concept of tradition of these writers.

Attentively is analyzed how the aesthetics of modernism is connected with metaphysical poetry, and in what intensity it is traditional from Eliot's view.

გვანცა ღვინჯილია
ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო კონსერვატორიის ასისტენტ-პროფესორი

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასის გასტროლი ამერიკაში (2008 წ.)

ქართული ბალეტის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხანა უდავოდ უკავშირდება მსოფლიოში ცნობილ ბალერინას ნინო ანანიაშვილს, რომელიც 2004 წლიდან თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ბალეტის სამსახტერო ხელმძღვანელია. თავის დროზე მაია პლისეცკაიამ ბალერინაში გამოუვლენელი პოტენციალი ამოიკითხა და ნინო ანანიაშვილს ყოველისშემძლე უწოდა (ნინო ანანიაშვილი 1988: 15). დღევანდელი გადასახედიდან ეს შეფასება სრულიად მართებულია, იმდენად რამდენადაც ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელის ამპლუამ ანანიაშვილის ორგანიზატორული ნიჭი, ფართო ხედვის უნარი, მენეჯმენტის კანონების ჩინებული ცოდნა დაგვანახა. მისი წყალობით საბალეტო დასი კიდევ ერთხელ აზიარა დიდი თეატრის ტექნიკას, თუმცა ეროვნულ საბალეტო სკოლას ანანიაშვილი სრულიად სხვა ემოციური სამყაროთი და სამხრეთული ტემპერამენტით სხვებისგან გამოარჩევს. მიუხედავად კლასიკური რეპერტუარისადმი გამორჩეული სიყვარულისა, ანანიაშვილისთვის არასოდეს არსებობდა სტილურ-ჟანრული საზღვრები, რაც მისი, როგორც სამხატვრო ხელმძღვანელის სარეპერტუარო პოლიტიკაშიც აისახა. ეს უკანასკნელი მოიცავს სხვადასხვა ეპოქის მუსიკაზე შექმნილ ბალეტებს, თანამედროვე და კლასიკური ქორეოგრაფიით. დასის ხელმძღვანელობამ კლასიკური ბალეტების ახალი ინტერპრეტაციითა და თანამედროვე ბალეტის შესაძლებლობათა მაღალმხატვრული რეალიზაციით ქართული ბალეტის პროფესიული დონე კვლავ უმაღლეს მსოფლიო სტანდარტებს გაუტოლა. ყოველივე ეს საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებული გასვლის მყარ გარანტად იქცა, რისი ნათელი დადასტურებაა საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავება და საგასტროლო ტურნეები.

დასის პროფესიული ზრდისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა პქონდა 2008 წლის თებერვალსა და მარტში გამართულ გასტროლს ამერიკაში. ორი თვის მანძილზე (14 თებერვალი – 15 მარტი) დასი 22 წარმოდგენით წარსდგა აიოვას, მინეაპოლისის, ჩიკაგოში – რუტგერსის სახელობის უნივერსიტეტების, ნიუ იორკში – ბრუკლინის მუსიკის აკადემიის, ბერკლიში – ზელერბახის, სანტა ბარბარას დარბაზებში, ლოს ანჟელესსში – „როიჩე პ

ოლში". სპექტაკლებს დირიჟორობდნენ მაშა კალმასელიძე და ამერიკელი დირიჟორი რობერტ ქოული.

დასს დიდი ინტერესით და ოვაციით სვლებოდა ამერიკელი მსმენელი, მათი მოგადი ემოციური დამოკიდებულება მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა კეთილგანწყობილ ატმოსფეროს, თუმცა საბოლოო ჯამში გასტროლის შეფასებისას უპრიანია დავეყრდნოთ ობიექტურ პრესას, რომელიც მეტად მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის გასტროლის წარმატების შესახებ. თუ გავითვალისწინებთ დასაწყისის კრიტიკოსების შედმიწევნით ობიექტური შეფასების ტრადიციას, რომლის თანახმად კრიტიკოსი არასოდეს იხევს უკან რაიმე სახის კონიუნქტურის გამო, პრესამ გასტროლს საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა. გარდა საკუთრივ წარმოდგენების ქორეოგრაფიულ-სამუსიკალური ანალიზისა, კომპეტენტური კრიტიკოსების რეცენზიებში მიმოხილულია ისეთი აქტუალური საკითხები, როგორებიცაა: ქართული ბალეტის ისტორია, ასანაშვილის, როგორც სამხატვრო ხელმძღვანელის, სარეპერტუარო პოლიტიკა. ამ მოგადი საკითხებით დაინტერესება უკვე თავისთავად მიუთითებს ამერიკაში ქართული დასისადმი გამორჩეულ ინტერესზე. პრესის წყალობით ამერიკული საზოგადოება მეტად ამომწურავად იყო ინფორმირებული ქართული დასის ტრადიციების, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის მიერ ნინოს მოწვევის თაობაზე, რაც ქართულ კულტურაში ეატარებულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკად შეფასდა.

კრიტიკოსი პელი ეეისი რეცენზიაში ხაზს უსვამს მოგადად ხელოვნებისა და პოლიტიკის ურთიერთთანამშრომლობის როლს და აღნიშნავს, რომ ქართული ბალეტის უახლეს ისტორიაში ეს ტანდემი წარმატებული აღმოჩნდა. მიუთითებს იმასაც, რომ დასი ცარიელ სიადაგზე არ აღმოცენებულა და მტკიცენეული პროცესებით საფუძ ისტორია აქვს (http://www.suntimes.com/). სუსან რაიტერი აანალიზებს ქართული ბალეტის ისტორიას 1859 წლიდან, ყურადღება გამახვილებულია რეპერტუარის მკვეთრ ბრდაზე 2004 წლიდან, ხოლო გასტროლი შეფასებულია, როგორც დიდი თეატრის და ამერიკული ბალეტის სპექტაკლების გამიზნული წარმოდგენა (http://articles-.latimes.com/).

კრიტიკოსი რეიჩელ ჰოვარდი აღნიშნავს, რომ „ნინო ანანიაშვილი და მისი დასი იმ ქვეყნიდანაა, საიდანაც მეოცე საუკუნის ტიტანი ქორეოგრაფი ჯორჯ ბალანჩინი. „ეს ახრის საქართველო, საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკა და ამჟამად დამოუკიდებელი ქვეყანა. 2004 წელს მას სითხოვეს სათაეში ჩასდგომოდა ქართულ ხაბალეტო დასს, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ, ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური პრობლემების გამო, უფრულად გამოიყურებოდა" (http://www.sfgate.com/).

გასტროლის დროს კრიტიკოსების ყურადღების საგანი აღმოჩნდა ნი-

ნოს, როგორც სელმძღვანელის ახალი ამპლუა. პედი ვეისმა ნინოს ამ ამპლუაზე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა და ერთ-ერთი რეცენზიის სათაურშიც კი ასახა. სტატიაში „პრიმა-ბალერინა სელმძღვანელობს ნაციონალური ბალეტის სელახალ დაბადებას“ ვეისი აღნიშნავს, რომ ანანიაშვილმა პრეზიდენტისთვის მიცემული პირობა პირნათლად შეასრულა და მეტად მცირე ბიუჯეტით (სამი მილიონი დოლარი) მრავალი სპექტაკლი დადგა, რაც დასავლურ სცენებზე ბალეტების საწილების დადგმასაც ვერ გაწყდება (http://www.suntimes.com/). ამ თემის კრიტიკოსი სხვა რეცენზიაშიც მიუბრუნდა. „ნინო ანანიაშვილის უდიდესი მიღწევა ქართული სახელმწიფო ბალეტის სელახლა დაბადება და ოთხ წელიწადში დასის საერთაშორისო ასპარეზზე გამოყვანაა... ანანიაშვილმა, წარმატებით მოახერხა ამ ისტორიულად მდიდარი დასის გარდაქმნა, რომელიც საქართველოს თავისუფალ სახელმწიფოდ გამოცხადების შემდეგ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა“ (http://www.suntimes.com/). კრიტიკოსმა კლაივ ბარნსმა ანანიაშვილის, როგორც სელმძღვანელის უდიდეს მიღწევად ცნობილი ქორეოგრაფების, დიდი თეატრის სამხატვრო ხემძღვანელის ალექსეი რატმანსკის და სან-ფრანცისკოს თეატრის სამხატვრო სელმძღვანელის იური პოსოხოვის მოწვევა მიიჩნია, რამაც მისი აზრით დასის აღორძინებას შეუწყო ხელი (http://www.nypost.com/). რეიჩელ ჰოვარდმა ყურადღება გაამახვილა ნინოს სარეპერტუარო პოლიტიკაზე, რომელიც ითვალისწინებს მოცეკვავეთა ჯარმონიულ განვითარებას სხვადასხვა სტილისტიკის ბალეტების წყალობით (http://www.sfgate.com/).

პირველ რიგში შევეხოთ გამოხმაურებას გასტროლის კლასიკური რეპერტუარის შესახებ. გასტროლის დროს ქურნალ „რეკლამისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ნინომ დიდ თეატრთან დაკავშირებით მეტად საგულისხმო მოსაზრება გამოთქვა. „დიდი თეატრის სახე არა კონკრეტული სახეებია, არამედ მისი ისტორია“ (“Reklama”#7(665), 2008: 122). ამ სიტყვებით მან ხაზი გაუსვა საკუთარ პოზიციას წარსულის ტრადიციებთან დაკავშირებით. მისი აზრით, პროფესიული ზრდისთვის აუცილებელია კლასიკური ბალეტების შესრულება, რაც დრამატული სამსახიობო პრობლემების გადაჭრის საუკეთესო გზად ესახება. მსოფლიო აღიარება ბალერინას სწორედ კლასიკურმა რეპერტუარმა მოუტანა. ანანიაშვილის კლასიკური პარტიები მუდმივად იმსახურებდა სხვადასხვა რეცენზენტების და სელოვანების აღმატებით შეფასებას, რომელთა შორის ამჯერად ვახტანგ კოტეტიშვილის სიტყვებს გავიხსენებთ – „მის ცეკვაში ვგრძნობ მშობლიური ერის უძველეს რიტმებს, მის შორეულ წინაპართა ჩაუმცხრალ გზნებას, რომელიც საუკუნეების მანძილზე ვერაფითარმა ძალამ ვერ მოთოკა, ვერ მოათვინიერა, ვერ ჩაახშო. იგი არ ისწავლება, სისხლში ბორგავს და იღვრება

ლექსად, სიმღერად, ცეკვად, ღიმილად და სიყვარულად" (ნინო ანანიაშვილი 1988: 14).

სწორედ ძველი და ახალი ტრადიციების შერწყმით შეადგინა ანანიაშვილმა გასტროლის პროგრამაც, რომელშიც კლასიკური საბალეტო წარმოდგენების სვეღრითი წილი ჭარბობს თანამეღროვე ბალეტების რაოდენობას.

ადოლფ ადამის მუსიკაზე შექმნილი „ჟიზელი" წარმოდგენილი იყო 15, 16, 17, 19, 22, 23, 24 თებერვალს და 11 მარტს, ლუდვიგ მინკუსის მუსიკაზე შექმნილი „დონ კისოტი" კი – 5, 8, 9 მარტს.

კრიტიკოსმა ღვეის სიგალმა კლასიკურ-რომანტიკული ბალეტის „ჟიზელის" მეტად დრამატულ მონაკვეთზე გაამახვილა ყურადღება და გამოჰყო ბალეტის ყველაზე შთამბეჭდავი და მსიშვნელოვანი მომენტები. „ანანიაშვილის სიგიჟის სცენა ტრაგიკულ პიკს აღწვევს, მის შესრულებაში იმ ემოციის და ენერგიის ამოფრქვევა სდება, რომელიც მისმა პერსონაჟმა ვერ გამოამჟღავნა მთელი საკუთარი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში. ვასილ ასმეტელი ალბერის პარტიაში მას მოსერხებულად უწვედა პარტნიორობას. მან ისე ითამაშა ჟიზელის ამ სცენაში, რომ ალბერის ტანჯვაც მთავარი მოქმედი გმირის სიგიჟის სცენის კონტექსტში მოქცეულიყო". კრიტიკოსის მაღალი შეფასება დაიმსახურა პილარიოსის და მირტას შემსრულებლებმა ირაკლი ბახტაძემ და ნინო ოჩიაურმაც („არაბესკი" 2008: №2, 21). პედი ვეისმა ფადეიჩევის მიერ განახლებული „დონ კისოტი" შეუჩერებელი ცეკვის ზეიმად შეაფასა და მასში ქართველი სალხისთვის დამახასიათებელი თეატრალობაც ამოიკითხა. მოცეკვაეეთა თვისებებს შორის კი გამოჰყო შთამბეჭდავი სისწრაფე და მსუბუქი შესრულება. მაღალი შეფასება მისცა ნინო მასაშვილის, ლანა მღებრიშვილის, ვერა კიკაბიძის, ნინო ოჩიაურის, ლაშა სოშაშვილის, მარიამ ალექსიძის, ბესარიონ შათირიშვილის, გიორგი ტაკაშვილის შესრულებას (http://www.suntimes.com/).

ერთმოქმედებიანი სპექტაკლების აფიშა (14, 21 , 27, 29 თებერვალი, 1, 2, 7, 15 მარტი) ყოველთვის წარმოდგენილი იყო ოთხი სპექტაკლით - ბალანჩინის „ჩაკონა" (გლუკის მუსიკაზე), "Duo Concertant" (იგორ სტრავინსკის მუსიკაზე), ალექსეი რატმანსკის „სიზმრები იაპონიაზე", „ვარიაციები" (ბიზეს მუსიკაზე) და იური პოსოხოვის „საგალობელი".

სრულიად ბუნებრივია, რომ ბალანჩინის სპექტაკლების წარმოჩენა ამერიკელი მაყურებლის წინაშე განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა, მითუმეტეს, რომ დასიც ბალანჩინის სამშობლოდან ეწვია შტატებს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართული ბალეტის რეპერტუარში ბალანჩინის ქორეოგრაფია ანანიაშვილმა დაამკვიდრა, თავად ბალანჩინის ბალეტებს იგი ოცი წელია ცეკვავს.

პირველ რიგში შევეხოთ ბალანჩინის „ჩაკონას“, რომელიც კლასიკურ ტრადიციებზე ორიენტირებული ბალეტია. სპექტაკლში იეროგლიფური მოძრაობებით, გეომეტრიული ფიგურების სიზუსტით უნდა გადმოიცეს სხეულის პაეროვნება და სიმეტრიულობა. კრიტიკოს რობერტ ჯონსონის აზრით, ამ სპექტაკლში „ანანიაშვილის მიმზიდველი სხეული, ბალანჩინის ცეკვის მანერა და დიდი ოსტატობა განსაკუთრებულად კარგად ჩანს მსუბუქ, უბრალო, პატარა სასტუმროში. მისი ინდივიდუალობა კი ინტრიგას მატებს ცეკვას. მოცეკვავის მშვენიერი სხეული იდეალურად უხდება პარტიას, რომელშიც ბალანჩინი წარმოაჩენს სწორედ სხეულის პლასტიკის შესაძლებლობებს“ („არაბესკი“ 2008: №2, 22).

მეტად გამორჩეულად მიიღო მაყურებელმა სტრავინსკის მუსიკაზე შექმნილი Duo Concertant (მევიოლინეს, პიანისტის და ორი მოცეკვავისთვის). ბალანჩინის ამ რომანტიკულ-ლირიკული ბალეტის დრამატურგიული საფუძველი დაწყვილების პრინციპია – მუსიკალური მხარე წარმოდგენილია ორი მუსიკოსით (ფორტეპიანო, ვიოლინო), ქორეოგრაფიული კი – ორი მოცეკვავით. ყურადღება მიიპყრო ნინა ალოევერტის რეცენზიამ. „ქართული დასი ბალანჩინს უფრო რომანტიკულად ასრულებს, ვიდრე „ნიუ-იორკ სითი ბალე“, ქართველი მოცეკვავეები ამერიკელი მოცეკვავეებიეთ უსიცოცხლოდ, მექანიკურად არ ასრულებენ მოძრაობებს. “Duo Concertant”-ს წარმატების მიზეზიც ბალანჩინის ბალეტების გათვალისწინებაა“ („არაბესკი“, 2008 №2, 24). ყველა რეცენზიაში საგანგებო აღგილი ეთმობა ამ სპექტაკლის სოლისტების, ლაშა სოშაშვილის და სინო გოგუას საშემსრულებლო ოსტატობის შეფასებას. სოშაშვილის პარტიაში საგანგებულია იმპულსურობა, ღრმა ტიპი, გოგუას შესრულებაში კი ელეგარება, სიმსუბუქე და მოქნილობა („არაბესკი“, 2008 №2, 21). ბალანჩინის სპექტაკლების შესრულების სარისკის თვალსაზრისით ქართული დასის უპირატესობას ამერიკელთან კრიტიკოსმა რობერტ გრეშკოვიჩმაც გაუსვა ხაზი („არაბესკი“ 2008: №2, 23).

ნიუ იორკელმა მაყურებელმა პირველად იხილა ალექსეი რატმანსკის „სიმღერები იაპონიაზე“. ნინა ალოევერტის აზრით, ეს სპექტაკლი „მითვარის პეროს“ წააგავს, სპექტაკლის ნოველებს შორის კი გამოიყო ქალი-ყვავლის პარტია („არაბესკი“ 2008: №2, 24). კრიტიკოსი ალისტერ მაკოლი დეტალურად აანალიზებს ამერიკელთათვის ამ ახალი ბალეტის დრამატურგიას და შინაარს – „ბალეტი დინამიკით, იაპონური კოსტუმებით, მოძრაობებით გამოირჩევა. ექვსი სცენის განმავლობაში გმირები სცენაზე შემოვარდებიან და რისხვით, სევდითა და მონდომებით ასრულებენ ცეკვას. ქალთა როლები უფრო ინდივიდუალური და მიზანსწრაფულია, ვიდრე მამაკაცების. ისინი ქუსლებზე დადიან და პუანტზე ცეკვავენ, თანაც მოძრაობების სტილების ცვლა სიცოცხლის სხვადასხვა ენერგიას გამოხატავს. ყველაზე

დასამახსოვრებელ ეპიზოდში ანანიაშვილი უარყოფილი ქალწულია, რომელიც შურისმაძიებელ ცეცხლოვან გველად გადაიქცევა, პუანტზე სტება და ცეცხლოვანი მანდილით პაერში სხვადასხვა ფორმებს საშაეს". ანალიზის შედეგად კრიტიკოსი მაღალ შეფასებას აძლევს ბალეტის ქორეოგრაფის წარმოსახვის უნარს, ენერგიას და ინტელექტუალურ დიაპაზონს (Macaulay 2008).

რატმანსკის კიდევ ერთი, სამი წყვილისთვის აგებული ბალეტი „ვარიაციები" გადმოცემს სიყვარულის, მისწრაფებების, მონატრების განცდებს. იგი აგებულია რთულ და ერთობ ეროტიკულ მოძრაობებზე, მუდმივი დრამატიზაცია კი სპექტაკლის დრამატურგიული საფუძველია. კრიტიკოს ჯოელ ლობენთალის აზრით, ეს სპექტაკლი „საბჭოთა პერიოდში საცეკვაო იმპრესიონიზმის გამოსატვას ჰგავდა, ნიუ-იორკელების ნაწილმა კი იგი შეასაძლოა ჯერომ რობინსის საფორტეპიანო ბალეტებს შეადაროს. ბალეტი ანანიაშვილისთვისაა შექმნილი, რაც აშკარად ჩანს მისი შესრულებისას, ნინო საღამოს მოვლენა იყო" (Lobenthal 2008).

ამერიკელთა სრულიად განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა იური პოსოხოვის ქორეოგრაფიულმა ნამუშევარმა „საგალობელი", რომელიც ეყრდნობა კლასიკური და ქართული ფოლკლორული ცეკვის ელემენტებს. კრიტიკოს კეტრინ პოელიკის აზრით „საგალობელი", სურნელოვანი, მიწიერი, ეთნიკური ნაზავია დოლისა და ფლეიტის მუსიკაზე. ქორეოგრაფმა გამოიყენა ძლიერი მამაკაცებისა და ნაზი ქალების კონტრასტი, რათა წარმოეჩინა განუმეორებელი ქართული სული... ამ დასის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ძნელი წარმოსადგენია სხვა მოცეკვაეები, რომლებიც მიაღწევდნენ ასეთ ბალანსს სიმსუბუქესა და სიძლიერეს შორის" („არაბესკი" 2008: №2, 20). ალისტერ მაკოლიმ „საგალობელს" დრამა უწოდა, რომელშიც ცეკვა იძირება. ავტორის აზრით, ამ ბალეტში გამოჩნდა „რამდენად მრავალმხრივნი და სრულყოფილნი გახდნენ ქართველები ანანიაშვილის ხელმძღვანელობით" („არაბესკი" 2008: №2, 21). კრიტიკოს რობერტ გოტლიბისთვის საგალობელი წარმოადგენს „ეთნიკურ კულტურას პუანტზე", რომელშიც შვიდი მამაკაცი და შვიდი ქალი მეტ-ნაკლებად დაუკავშირებელ ეპიზოდებს ასრულებენ. მისი აზრით, ანსამბლის მიერ შესრულებული ტრადიციული ქართული მუსიკა ბევრად ამაღელვებელია" („არაბესკი" 2008: №2, 23). პედი ვეისის აზრით, სპექტაკლში მკაფიოდ იგრძნობა მოცეკვაეების ფესვები. „მან ქართველ მსახიობებს ისეთი ბალეტი დაუდგა, რომელშიც საგვასმენია ამ ქვეყნის გამორჩეული კულტურული მემკვიდრეობა". ავტორის აზრით, იური პოსოხოვმა შეძლო ქართული ეროვნული მუსიკის და საბალეტო სტილისტიკის შერწყმა. რეცენზენტმა მოცეკვაეთა მოხრილი ზურგები და გაჭიმული სხეულები უძველეს ბერძნულ ლარნაკებს შეა-

დარა, პოსოხოვის ქორეოგრაფია კი ესპანელი ქორეოგრაფის ნაჩო დუატოს სტილს („არაბესკი“ 2008: №2, 23). ნინა ალოვერტმა მაღალი შეფასება მისცა ვასილ ახმეტელის და ნინო გოგუას ღუეტს, ხაზი გაუსვა ქართული ხასიათისთვის დამახასიათებელ ტემპერამენტს, რომლითაც, მისი აზრით, გამსჭვალულია სპექტაკლი („არაბესკი“ 2008: №2, 24). ლაურა ბლეიბერგმა ნოვაცია უწოდა ბალეტის ქართული ფოლკლორული მუსიკით გაფორმებას, ნინო გოგუას კი უწინასწარმეტყველა დიდი არტისტის მომავალი (http://www.ocregister.com/).

სრულიად ბუნებრივია, რომ ობიექტური კრიტიკოსების რეცენზიებში ქართული დასის მიმართ გარკვეული შენიშვნებიც არის გამოთქმული. კლაიე ბარნსის კრიტიკის ობიექტი აღმოჩნდა ერთ-ერთი დღის პროგრამა, რომელიც გაიხსნა „ჩაკონათი“. ავტორი თვლის, რომ ეს შეცდომა იყო, დასი ამ სპექტაკლში უფერულად გამოიყურებოდა, ხოლო ნინოს პარტნიორი ვასილ ახმეტელი ფლეგმატურად ცეკვავდა (http://www.nypost.com/). რეიჩელ ჰოვარდს მიაჩნია, რომ ბალანჩინის ქორეოგრაფია დასის ყველა მოცეკვავეს ბოლომდე მკაფიოდ გაცნობიერებული არ ჰქონდა. კრიტიკის ობიექტი აღმოჩნდა ი. პოსოხოვის „საგალობელიც“, რომლის შესრულება ხარვეზებით ხასიათდებოდა და უდავოდ დასახვეწია (http://www.sfgate.com/). დასი კრიტიკის სამიზნე ლაურა ბლეიბერგისთვის აღმოჩნდა (http://www.ocregister.com/).

ყოველივე ეს სრულიად არ აკნინებს დასის გასტროლის პროფესიულ დონეს, სამართლიანად მოპოვებულ წარმატებებს და მიუთითებს უცხოელის თვალით დანახულ იმ მცირე ნაკლოვანებებზე, რომელთა აღმოფხვრა და გათვალისწინებაც დასს ნამდვილად არ უჭირს, მეტიც, კრიტიკა მას ყოველთვის უბიძგებს ახალი მწვერვალებისკენ. გარდა ამისა, კრიტიკული შენიშვნები მეტყველებს თავად უცხოური კრიტიკის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაზე, რაც კიდევ უფრო სარწმუნოს და ფასეულს ხდის მათ მნიშვნელობას ამ გასტროლის შედეგების შეფასებისას. დასის გასტროლმა ამერიკაში უდავოდ ცხადყო ნინო ანანიაშვილის როგორც ხელმძღვანელის ტალანტი, ქართული ბალეტის პოტენციალი და დიდი პერსპექტივა; ამასთან წარმოჩინდა ის, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე, მრავალი პრობლმის გადალახვის შედეგად, ქართული კულტურა საერთაშორისო სტანდარტებს უტოლდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანანიაშვილი ნინო, „ხელოვნება“, თბ., 1988.
2. ჟურნალი „არაბესკი“, თბ., 2008 №2.
3. ჟურნალი "Reklama" #7(665), 21-27 თებერვალი, 2008.

4. http://www.suntimes.com/search/index.html
5. http://articles.latimes.com/2008/feb/17/entertainment/ca-nina17
6. http://www.sfgate.com/cgi-bin/article.cgi?f=/c/a/2008/02/16/DD36V3G1F.DTL
7. http://www.nypost.com/seven/02292008/entertainment/theater/troupes_a_peach_99708.htm
8. http://www.ocregister.com/entertainment/ananiashvili-ballet-georgian-1985672-balanchine-ucla
9. Macaulay Alastair, "State Ballet of Georgia; More Clues to a Russian Choreographer's Style", The New York Times, March 3, 2008.
10. Lobenthal Joel, "Shining Through A Star's Wake", "The New York Sun", February 29, 2008.

GVANTSA GVINJILIA
Vano Sarajishvili Tbilisi State
Conservatoire Assistant-Professor

SUMMARY

CONCERT TOUR - 2008 OF BALLET COMPANY OF TBILISI OPERA AND BALLET STATE THEATRE

One of the most significant periods in the history of Georgian ballet is indisputably connected with Nino Ananaiashvili – a world-renowned ballet dancer, who has been the artistic director of Tbilisi Zakaria Paliashvili Opera and Ballet State theatre since 2004. A number of ballet performances staged during this period are distinguished for the combination of the elements of National, European and American ballet, for the new interpretations of traditional and classical ballet performances and highly artistic realization of modern ballet. The refined choreography equalized the professional level of Georgian ballet to high world standards, which turned into a strong guarantee for the success on the international arena, the international contacts of the ballet company has expanded, and the number of tours has increased. The tour in the USA in 2008 February – March was especially important for the company's professional growth. The Georgian school of ballet held 22 performances on the most prestigeous American stages in Berkley, Santa Barbara, Los Angeles, New York, Chicago as well as on the stages of Iowa and Minessota. The tour included two classical ballets ("Giselle" and "Don Quixote") and modern single-one act performances such as Balanchine's Ciaccona and "Duo Concertant", Alexei Ratmansky's "Variations "Dreams About Japan" and Yuri Posokhov's "Sagalobeli". The tour was a big success, to this testifies American press, which widely covered the company's performances.

ირაკლი ცხვედიანი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი
მარინა ქაცარავა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

გვიად გამსახურდია – ამერიკული პოეზიის მკვლევარი

გვიად გამსახურდიას ფილოლოგიურ-ლიტერატურათმცოდნეობითი და მთარგმნელობითი მოღვაწეობა მრავალმხრივობით გამოირჩეოდა. მის ლიტერატურულ ესეებსა და სამეცნიერო ხასიათის ნაშრომებში – სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ სტატიებსა თუ ფუნდამენტურ მონოგრაფიებში – შესწავლილია ძველი ქართული თეოსოფიური მწერლობისა და რუსთველოლოგიის პრობლემური საკითხები, ასევე – XX საუკუნის ქართული პოეზიისა და პროზის ზოგიერთი ზოგადი ტენდენცია თუ ცალკეული მწერლის მხატვრული მეთოდის სპეციფიკა; გამოკვლეულია დასავლეთევროპელი და რუსი მწერლების ესთეტიკური შეხედულებანი და მათი ნაწარმოებების მხატვრული თავისებურებანი (ლ. ტოლსტოი, შ. ბოდლერი, გოეთე, ირლანდიური საგები, შექსპირის „ჰენრი IV“, ჯ. ბ. შელი, ო. უაილდი და სხვ.); გასხილულია ზოგადესთეტიკური საკითხები, უცხოური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნასთან დაკავშირებული ზოგადთეორიული და კონკრეტულ-ენობრივი პრობლემები, მოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურენოვანი თარგმანების მეცნიერულ-კრიტიკული ანალიზი.

ამერიკული პოეზიის კვლევასა და თარგმნას მნიშვნელოვანი აღგილი უჭირავს გვიად გამსახურდიას მთელს ამ მრავალმხრივსა და საკმაოდ ნაყოფიერ შემოქმედებით მემკვიდრეობაში. 1969 წელს ლიტერატურულ ალმანახში „ხომლი“ დიბეჭდა ამერიკული პოეზიის გვიად გამსახურდიასეული თარგმანები. ამავე ნომერში გამოქვეყნდა მისი გამოკვლევა „შენიშვნები XX საუკუნის ამერიკულ პოეზიაზე“, სადაც გაანალიზებული იყო XX საუკუნის ზოგიერთი ამერიკელი პოეტის ესთეტიკური კრედო, მისი მხატვრული სამყაროს სპეციფიკა, პოეტური მეტყველების თავისებურებანი. 1971 წელს წიგნად გამოიცა ამერიკული პოეზიის გვიად გამსახურდიასეული თარგმანები (ანთოლოგია 1971), ხოლო მომდევნო, 1972 წელს გამოქვეყნდა მისი მონოგრაფია „XX საუკუნის ამერიკული პოეზია“ (გამსახურდია 1972), რომელიც, ფაქტობრივად, ზემოხსენებული ესეის – „შენიშვნები XX საუკუნის ამერიკულ პოეზიაზე“ – შევსებულსა და გადამუშავებულ ვარიანტს წარმოადგენდა. მოგვიანებით, 1991 წელს, გამსახურდიას წერილებისა და

ესეების კრებულში „წერილები, ესსეები“ შეეიდა მკელეევარის მიერ ამერიკული პოეზიის შესახებ სხვადასხვა დროს დაწერილი ესეების გადამუშავებული ვერსიები, ასევე – ცალკეული ნაწილები მონოგრაფიიდან „XX საუკუნის ამერიკული პოეზია“.

წინამდებარე წერილის მიზანია, წარმოაჩინოს ზვიად გამსახურდიას, როგორც ამერიკული პოეზიის მკელეევარის, ღვაწლი, მისი დამსახურება ამერიკული პოეზიის ქართულ სალიტერატურო სივრცეში „გაშინაურების“ საქმეში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მკელეევარის ნაშრომების გააზრება-შეფასებისას ჩვენ ძირითადად ვეყრდნობით იმ ესეებს, რომლებიც შეტანილია კრებულში „წერილები, ესსეები“, როგორც მათ საბოლოო, დასრულებულ ვარიანტს.

ზემოაღნიშნულ კრებულში შესულია ზვიად გამსახურდიას მიერ ამერიკული პოეზიის შესახებ დაწერილი რამდენიმე ესეი: „ტრადიციის გაგება ტ. ს. ელიოტის შემოქმედებაში“; „მე-უოლტ უიტმანი, კოსმოსი“; „კარლ სენდბერგი – ამერიკის სახალხო პოეტი“; „რობერტ ფროსტი“; „ედვინ არლინგტონ რობინსონი“. ცხადია, ჩვენ არ შეუდგებით თვითეული ესეის გამოწველილვით, სკრუპულოზურ ანალიზს, არამედ წარმოვაჩენთ ამ ესეებში თავჩენილ ზოგად ტენდენციებს, მსატერული ნაწარმოებისადმი ზვიად გამსხურდიასეული მიდგომის სპეციფიკას, კრიტიკის, როგორც სელოვნების დარგის, მისეულ გაგებას და ა. შ.

ერთ პოლემიკურ წერილში ზვიად გამსასურდია, უპირისპირდება რა კრიტიკასა და ლიტერატურისმცოდნეობაში „მცოცავი ემპირიზმის“ გაბატონების, ლიტერატურისმცოდნეობის ზუსტ მეცნიერებებთან დაახლოების ტენდენციას, წერს: „კრიტიკა სელოვნების დარგთაგანია, სადაც განუზომელი მნიშვნელობა აქვს ინტუიტურ წვდომას, შემოქმედებით გზნებას და სულის თავისუფლებას. ასეთია გოეტესეული, ემერსონისეული, ელიოტისეული გაგება კრიტიკისა. ესსე, როგორც კრიტიკის ჟანრი, ფრიად პერსპექტიულია ამ მხრივ. მასში ფართო გასაქანი აქვს გაბედულ, მხატერულ აზროვნებას. ესსეისტის არგუმენტებსაც არ უნდა მოვთხოვოთ ყოველთვის ანთროპოლოგიის, ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის ან სხვა რომელიმე ემპირიული მეცნიერების არგუმენტების ჩარჩოში ჩატევა, ვინაიდან მაშინ აღარ გვექნება საკუთრივ კრიტიკული აზროვნება, არამედ, კერძოდ, ანთროპოლოგიური, ფსიქოლოგიური, მათემატიკური და ა. შ.“ (გამსასურდია 1991: 452).

ზვიად გამსახურდიას ესეებში ამერიკული პოეზიის შესახებ პრაქტიკულადაა ხორცშესხმული ეს შეხედულებანი. მათში ერთმანეთს ერწყმის, ერთი მხრივ, მეცნიერული კეთილსინდისიერება, სიზუსტე და ერუდიცია, ხოლო მეორე მხრივ – ესეისტის სულის თავისუფლება, დასევწილი გემოვნება,

გაბედული ასოციაციური აზროვნება, ინტუიტური მიგნებები.

კრებულში შემავალი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ამერიკული ესეების ციკლის“ პირველი ესეი XX საუკუნის უმნიშვნელოვანესი ანგლო-ამერიკელი პოეტისა და კრიტიკოსის, ტომას სტერნზ ელიოტის შემოქმედებას შეეხება. კერძოდ, მკვლევარს ესეის თემად შეურჩევია ელიოტის დამოკიდებულება ტრადიციისადმი, ტრადიციის მისეული გაგება, რაც არ უნდა იყოს შემთხვევითი, ვინაიდან, როგორც ელიოტის მსატერულ სამყაროში მეტ-ნაკლებად ჩახედულ ნებისმიერ მკითხველსაც კი კარგად მოესმენება, ელიოტის ესთეტიკური კრედოს ქვაკუთხედს, მისი მხატერული მეთოდის cor cordium-ს სწორედ ევროპული კულტურული ტრადიციისადმი მისი მიმართება განსაზღვრავს. ეს იმდენად რთული, წინააღმდეგობრივი და მრავალისმომცველი საკითხია, რომ ყოველად შეუძლებელია მისი სრულყოფილი განხილვა არა თუ ერთი ესეის, არამედ – ერცელი მოსოკრაფიის ფარგლებშიც კი; ეს, ცხადია, ძალიან კარგად იცოდა ზეიად გამხახურდიამაც და ამიტომაც, იგი შეეცნებულად იფარგლება ელიოტის მხოლოდ ორი კრიტიკული წერილის – “Tradition and the Individual Talent” („ტრადიცია და ინდივიდუალური ტალანტი“) და “Function of Criticism” („კრიტიკის ფუნქცია“) – ანალიზით; მკვლევარის ეს არჩევანი გამართლებულია იმ ფაქტითაც, რომ ელიოტის დამოკიდებულება ტრადიციისადმი ყველაზე სრულად და ერცლად სწორედ ამ წერილებშია ფორმულირებული.

ესეიში ავტორი საინტერესოდ და კომპეტენტურად განიხილავს ელიოტის ესთეტიკისა და პოეტიკის ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ტრადიციის რაობის ელიოტისეული განსაზღერება, ტრადიციისა და ნოვატორობის ურთიერთმიმართება, ლიტერტურული კრიტიკის დანიშნულების და არსის მისეული გაგება, ლიტერატურის ისტორიის „ერთდროული/იდეალური წყობის“ კონცეფცია, პოეზიისა და ფილოსოფიის ურთიერთმიმართების, პოეზიის ფუნქციის ელიოტისეული გაგება, ელიოტის პოეტური ენის ევოლუციის ზოგიერთი მომენტი, ელიოტის კავშირი პოეტი-მეტაფიზიკოსებისა და გვიანდელი ფრანგი სიმბოლისტების ტრადიციებთან (გამსახურდია 1991: 250-264). უნდა ითქვას, რომ ამ არც თუ ისე ერცელ წერილში ზეიად გამსახურდია მოკლედ, მაგრამ საქმის ცოდნით, მაღალპროფესიულ დონეზე წარმოაჩენს ელიოტის ურთულესი პოეტური სამყაროსა თუ მისი თეორიულ-ესთეტიკური შეხედულებების ზოგიერთ ასპექტს.

„ამერიკული ციკლის“ მეორე ესეი – „მე – უოლტ უიტმანი, კოსმოსი“ (გამსახურდია 1991: 265-271) – ეძღვნება უოლტ უიტმენს. გამსახურდიას განსაკუთრებულ ინტერესს ამ დიდი ამერიკელი პოეტისადმი იწვევს ის ფაქტი, რომ, როგორც თავადვე აღნიშნავს, „იგი ფუძემდებელია ახალი პოეზიისა, ახალი პოეტიკისა; ყოველივე ის, რაც მის თანამედროვეებს არა-

კანონზომიერად ეჩვენებოდათ მასში, დღეს დაკანონდა, აუცილებლობისეულ მოთხოვნად იქცა პოეზიაში. უოლტ უიტმანი ჩვენი თანამედროვეა. მასში ისევე ძლავრად იგრძნობა მეოცე საუკუნის სულისკვეთება, როგორც სხვა დიდ თანამედროვე პოეტებში“ (გამსახურდია 1991: 271). როგორც ეხედავთ, მკვლევარს ელიოტის პოეზიაში სიბლავს, უწინარეს ყოვლისა, მისი ნოეატორულობა და „პროფეტულობა“, თანამედროვე სულისკვეთება.

უოლტ უიტმენს ზვიად გამსახურდიას ამ ესეის გამოქვეყნებამდეც კარგად იცნობდა ქართველი მკითხველი. საკმარისია თუნდაც მხოლოდ ის ფაქტი აღვნიშნოთ, რომ ქართველ მკითხველს უკვე ხელთ ჰქონდა უიტმენის პოეტური კრებულის „ბალასის ფოთლები“ კოსტანტინე გამსახურდიასეული შესანიშნავი თარგმანი, ასევე უიტმენისადმი, როგორც პიროვნებისა და შემოქმედისადმი, მიძღვნილი მისიეე წერილი, მაგრამ ზვიად გამსახურდიას ესეი სრულიად განსხვავებული, ახლებური კუთხით წარმოაჩენს პოეტის მონუმენტურ ფიგურას, მისი პოეზიის სიღრმისეულ შრეებს, უიტმენისეული ადამიანური პიროვნების კოსმიურ ყოვლისმომცველობას, „ბალასის ფოთლების“ ასოციაციურ კავშირს ბიბლიასთან, მის ბიბლიურ სიმბოლიკასა და ქვეტექსტს. ესეი მთავრდება უიტმენისადმი მიძღვნილი დითირამბით: „უოლტ უიტმანი ჯეშმარიტი კოლუმბია ახალი დროისა, იგი უფრო მეტია, ვიდრე კოლუმბი, მან აღმოაჩინა ამერიკის სული“ (გამსახურდია 1991: 271). და ეს სულაც არ არის გაზვიადება.

ესეში „კარლ სენდბერგი – ამერიკის სახალხო პოეტი“ (გამსახურდია 1991: 272-281) მკვლევარი აანალიზებს ამერიკული პოეზიის რეალისტური მიმართულების დიდი ხუთეულის (ედვინ რლინგტონ რობინსონი, ედგარ ლი მასტერსი, კარლ სენდბერგი, ვეიჩელ ლინდზი, რობერტ ფროსტი) ერთერთი წარმომადგენლის – კარლ სენდბერგის – პოეზიის თავისებურებებს; ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პოეტების ამ ფრთისათვის დამახასიათებელია რომანტიზმის პოეტიკის დოგმების რღვევა, ფართო სოციალური პრობლემატიკა, დაახლოება ხალხთან და მის ტკივილებთან, უიტმენისებური ყოვლისმომცველობა თემატიკაში, თავისუფლება ლექსთწყობაში (გამსახურდია 1991: 272); წერილში ასევე განსილულია სენდბერგის ბიოგრაფიის საკვანძო მომენტები, მისი პოეტური დიქციის თავისებურებანი თუ ტროპული მეტყველების სპეციფიკა. განსაკუთრებით საინტერესოა გამსახურდიას მიერ გალაკტიონ ტაბიძის „წიწამურში რომ მოკლეს ილია“-სა და სენდბერგის „არჩევანს“ შორის გაელებული პარალელი, რაც აშკარად მოწმობს მის დახვეწილ გემოვნებასა და ასოციაციური აზროვნების სიმდიდრეს, რადგან გემოვნება სწორედ ამგვარი პარალელების გაელებისას ელინდება ყველაზე მეტად: ამ პოეტურ ნაწარმოებებში ორივე პოეტი გრძნობს (და გა-

მოხატავს კიდეც) დიდი გარდატეხის მომენტს მსოფლიო პოეზიასა და ესთეტიკაში, ძველი ეპოქის დასასრულსა და ახლის დასაწყისს; გამსახურდია ჩამოთვლის იმ საერთო ნიშნებს, რომლებიც თავს იჩენს ამ შემოქმედთა ესთეტიკაში (დაპირისპირება რომანტიზმის კლიშეებთან, პოეტურობის ახლებური გაგება) და აღნიშნავს, რომ „ ...მათ თითქმის ერთნაირად შეიგრძნეს მეოცე საუკუნის სუნთქვა პოეზიაში“ (გამსახურდია 1991: 274). მეორე მხრივ, მკვლევარს ერთი წუთითაც არ აეკვდება, რომ ასეთი პარალელი, რამდენადაც იგი არ ეფუძნება ამ ორი შემოქმედის პოეტური სამყაროს ტიპოლოგიურ სათავისაობას, მხოლოდ პირობითი და მიახლოებითი შეიძლება იყოს და აღნიშნავს კიდეც არსებით, თვისებრივ განსხვავებებს მათ შორის: „ ...გალაკტიონ ტაბიძე და სენდბერგი უაღრესად განსხვავებული პოეტური ინდივიდებია ... გალაკტიონისთვის ახალი პოეზიის ასოციაციებია: „ფანტასტიური სიდი“, „ახალი წეიმა“, „ქარი“, „დალანდი“ – აი, ეს არის „არტისტული ყვავილების“ სანა, რომელიც, მართალია, რომანტიზმის ეპოქის მზის ჩასვენებას გვაუწყებს, მაგრამ მაინც ესათვსავება მეცხრამეტე საუკუნის სიმბოლიზმის მწუხრს. სენდბერგის ღაღადში კი ურბანიზმის ეპოქის წინასწარმეტყველის შემართებაა, სახალხო ტრიბუნის უხეში, მაყრამ დამაჯერებელი სმა“ (გამსახურდია 1991: 274). სხვაგვრად რომ ვთქვათ, გალაკტიონ ტაბიძესა და კარლ სენდბერგს აერთიანებთ კაეშირის გაწყვეტა რომანტიზმის პოეტურ ტრადიციასთან, სხვა მხრივ კი გალაკტიონის მხატერული სამყარო – ყოველ შემთხვევაში „არტისტული ყვავილების“ პოეტიკა – პრინციპულად განსხვავდება სენდბერგის პოეტური პერცეფციისაგან. ზემოგანსილული პარალელი თუ შეპირისპირება ივალსაჩისოდ წარმოაჩენს ზვიად გამსახურდიას ესეისტიკის ზოგიერთ ნიშანდობლივ თვისებას: სხვადასხვა შემოქმედის ურთიერთშეპირისპირებაში წარმოჩენა მათი ესთეტიკურ-მსოფლმხედველობრივი პოზიციების თუ პოეტიკის სპეციფიკისა, ნიუანსური თუ თვისებრივი განსხვავებებისა; აგრეთვე, ლაკონურად, სხარტად ფორმულირებულ ფრაზებსა თუ დებულებებში „ჩაწურვა“ ამა თუ იმ პოეტის მთელი მხატერული სამყაროს არსისა.

შემდეგი ესეები შეეხება ზემოხსენებული „დიდი ხუთეულის“ კიდევ ორ წრმომადგენელს – რობერტ ფროსტსა და ედვინ არლინგტონ რობინსონს.

წერილში „რობერტ ფროსტი“ (გამსახურდია 1991: 282-295) ზვიად გამსახურდია მისთვის ჩვეული ესეისტური აზროვნების სითამამისა და მეცნიერული ანალიზის სიმუსტის შერწყმით განიხილავს რობერტ ლი ფროსტის ცხოერებასა და შემოქმედებას. მკვლევარი ფროსტს სავსებით სამართლიანად მიიჩნევს „ახალი ამერიკული პოეზიის ერთ-ერთ ფუძემდებლად რობინსონთან და სენდბერგთან ერთად“ (გამსახურდია 1991: 282). იმდროინდელ ევროპასა და ამერიკაში მიმდინარე დომინანტური სალიტერატუ-

რო პროცესების წარმოჩენის ფონზე განსაზღვრავს ავტორი ფროსტის ადგილსა და როლს XX საუკუნის I ნახევრის ამერიკულ პოეზიაში; მკვლევარი აღრეული ფროსტის „მასწავლებლებად“ უორდსუორთსა და ტომას ჰარდის მიიჩნევს, ასევე დამაჯერებლად ასაბუთებს იუმისა და შოპენჰაუერის სუბიექტურ-იდეალისტური დოქტრინების გაელენას პოეტის მსოფლმხედველობაზე ამ პერიოდში; გვთავაზობს რა ფროსტის რამდენიმე ლექსის დახვეწილ ანალიზს (და მათი საკუთარი ბრწყინვალე თარგმანებიც მოჰყავს), გამსახურდია ესება მისი პოეტური ენის ევოლუციის საკითხს, ძირითად თემატიკას, ხაზს უსვამს მისი სტილის სისადავეს და სანათლეს, ყალბი რომანტიკის, მანერულობის უარყოფას, ურბანისტული თემების ინტერპრეტაციას, ვერსიფიკაციულ ექსპერიმენტებზე უარის თქმასა და ტრადიციული ბილორითმიანი ლექსისადმი „ერთგულებას“.

ესეში „ედვინ არლინგტონ რობინსონი“ (გამსახურდია 1991: 296-308) გამსახურდია აანალიზებს „ახალ“ ამერიკელ პოეტებს შორის ყველაზე „ინგლისელი“ პოეტის, ედვინ არლინგტონ რობინსონის მსოფლმხედველობასა და პოეზიას. მის „ინგლისელობას“ მკვლევარი იმით ხსნის, რომ პოეტმა „არ უარყოფილ სხვა ამერიკელი პოეტების მსგავსად მდიდარი ტრადიციები ინგლისური ბილორითმიანი ლექსისა“ (გამსახურდია 1991: 296). წერილში რობინსონის შემოქმედების სხვადასხვა ასპექტი განხილულია მისი თანამედროვე მნიშვნელოვანი ამერიკელი პოეტის ედგარ ლი მასტერსის – პოეზიასთან მიმართებაში; დასახიათებულია ის სალექსო საზომები, რომლებიც დომინირებს რობინსონის ლექსთწყობაში (ტრიმეტრი და ტეტრამეტრი); საჩვენებია მისი ფილოსოფიური შეხედულებების კავშირი გრანსცენდენტალიზმთან, ემერსონის მოძღვრებასთან; ესეი მთავრდება რობინსონის, როგორც პოეტის, ზუსტი შეფასებით: „ინგლისური ლექსის დიდოსტატი, ღრმა მოაზროვნე პოეზიაში, აზრის აბაღლებულ ემოციად მქცეველი დიდი ფსიქოლოგი და ადამიანის სულის ჭეშმრიტი მესაიდუმლე“ (გამსახურდია 1991: 308).

ჩვიად გამსახურდიას, როგორც ამერიკული პოეზიის მკვლევარის, მნიშვნელობისა და მასშტაბების წარმოსაჩენად, ეყრდნობა, ზემოთ განხილული რამდენიმე ესეიც კმარა; უფრო მეტიც, ის თავისებურებანი, რომლებიც მისი „ამერიკული“ ესეების ნაწილის ანალიზის შედეგად გამოვლინდა. შეიძლება მთელს მის ესეისტიკაზეც კი განზოგადდეს. ეს ნიშან-თვისებებია: ფართო ერუდიციის, მეცნიერული სიზუსტისა და შემოქმედებითი თავისუფლების ბრძენიერი, პარმონიული სინთეზი; ინტელექტუალური, განსჯისმიერი ანალიზისა და ინტუიტური წვდომის მონაცვლეობა; ასოციაციური აზროვნების სიმძიღრე (რაც გაბედული და იმავდროულად საგულისხმო ასოცია-

ციური პარალელების გაელებაში გამოიხატა) და სხარტ, ლაკონურ ფორმულებში მოქცევა ამა თუ იმ პოეტის მხატვრული მეთოდის არსისა.

ცალკე თემაა ზეიად გამსახურდია – ამერიკული პოეზიის მთარგმნელი. აუცილებელია მისი თარგმანების მეცნიერულ-კრიტიკული შესწავლა, მათი სკრუპულოზული შეპირისპირება ღლანთან. ეს თემა თავის მკვლევარს ელის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ამერიკელი პოეტების ანთოლოგია. ინგლისურიდან თარგმნა ზ. გამსახურდიამ. თბილისი: „განათლება“, 1971.
2. გამსახურდია ზ., XX საუკუნის ამერიკული პოეზია. თბილისი: „განათლება“, 1972.
3. გამსახურდია ზ., ტრაღიციის გაგება ტ. ს. ელიოტის შემოქმედებაში. წიგნში: წერილები, ესსეები. თბილისი: „ხელოვნება“, 1991.
4. გამსახურდია ზ., მე – უოლტ უიტმანი, კოსმოსი. წიგნში: წერილები, ესსეები. თბილისი: „ხელოვნება“, 1991.
5. გამსახურდია ზ., კარლ სენდბერგი – ამერიკის სახალხო პოეტი. წიგნში: წერილები, ესსეები. თბილისი: „ხელოვნება“, 1991.
6. გამსახურდია ზ., რობერტ ფროსტი. წიგნში: წერილები, ესსეები. თბილისი: „ხელოვნება“, 1991.
7. გამსახურდია ზ., ედვინ არლინგტონ რობინსონი. წიგნში: წერილები, ესსეები. თბილისი: „ხელოვნება“, 1991.
8. გამსახურდია ზ., ილუზიები და სინამდვილე. წიგნში: წერილები, ესსეები. თბილისი: „ხელოვნება“, 1991.

IRAKLI TSKHVEDIANI
Akaki Tsereteli StateUniversity, Professor
MARINA KATSARAVA
Akaki Tsereteli StateUniversity, Assoc. Prof.

SUMMARY

ZVIAD GAMSAKHURDIA AS A RESEARCHER OF AMERICAN POETRY

Zviad Gamsakhurdia pursued a distinguished academic career. Main fields of his scientific activity were: Rustvelology, history of Georgian literature, history of the Iberian-Caucasian Civilization, history of Georgian culture, history of American poetry, West European literature etc. He wrote a number of important literary works, monographs and translations of British, French and American literature, including translations of works by T. S. Eliot, William Shakespeare, Charles Baudelaire and Oscar Wilde.

Zviad Gamsakhurdia was an outstanding researcher and translator of the 20th century American poetry. In 1971 his translations of American poets ("Anthology of American Poets") was published as a book. In the year to follow, 1972 his comprehensive book entitled "20th Century American Poetry" was printed by the publishing house "Ganatleba". Later on, in 1991 his essays on American poetry were included in the collection of articles and essays. In his translations Gamsakhurdia reaches a high degree of equivalence with the original. His essays on American literature are distinguished with scholarly excellence.

თამარ ჯეიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

ამერიკული ნოველის გენეზისი და ნოველის ჟანრის ედგარ პოსეული დეფინიცია

პირველი ამერიკელი რომანტიკოსების – ირვინგის, პოს, ჰოთორნის, მელვილის – მოღვაწეობის პერიოდს ზოგიერთი ამერიკელი ლიტერატურათმცოდნე ამერიკული ლიტერატურის „ოქროს სანას“ უწოდებს. ეს დებულება შეიძლება საკამათოც იყოს, მაგრამ უდაო ფაქტია, რომ ამ მწერლების უმთავრესი მხატვრული მიღწევები (მელვილის გამოკლებით) ნოველის ჟანრს უკავშირდება. ნოველის ჩამოყალიბება ამერიკულ ლიტერატურაში დროში წინ უსწრებს და გარკვეული აზრით განსაზღვრავს კიდეც მხატვრული პროზის სხვა ჟანრების ფორმირების პროცესს (მაგალითად, ჩარჩო-მოთხრობის ტექნიკამ, მთხრობელის გამოყენებამ პერსონაჟად და პირიქით, პერსონაჟის მთხრობელად გადაქცევამ ე. პოს ზოგიერთ ნოველაში (“The Black Cat”; “The Fall of the House of Usher”) გარკვეულწილად განაპირობა XX საუკუნის რომანის ზოგიერთი თავისებურება, მათ შორის პირველ პირში მთხრობელის (first-person narrator) და „არასანდო მთხრობელის“ (unreliable narrator, უეინ ბუთის ტერმინია გამოყენება). შეიძლება ითქვას, რომ თითქმის მთელი XIX საუკუნის მანძილზე, განსაკუთრებით რომანტიზმის პერიოდში, ნოველა უაღრესად პოპულარულ და დომინანტურ ჟანრად რჩება. ამერიკული რომანტიკული რომანის (romance) წარმომადგენლები (ჰოთორნი, მელვილი) და უფრო გვიანდელი რომანისტებიც (ჰენრი ჯეიმზი, უილიამ ფოლკნერი, ერნესტ ჰემინგუეი) ნოველებსაც წერდნენ. XIX საუკუნის ამერიკული ნაციონალური ლიტერატურის ფორმირებაში ნოველის ცენტრალური პოზიციის, გადამწყვეტი როლის მიზეზებს მკვლევარები სხვადასხვაგვარად ხსნიან:

1) ქეთრინ ვან სფენქერენი მიიჩნევს, რომ „ამერიკელი მწერლებიდან რომანის ფორმის სრულყოფა მხოლოდ რამდენიმემ თუ შესძლო. ეს პრობლემა ამერიკულ ლიტერატურაში დღესაც გადაუწყვეტელია“ (VanSpanckeren 1994: 36). ამ თავისთავად მცდარი დებულების უარსაყოფად მარტო ჰოთორნის, მელვილის, კუპერის, ჰ. ჯეიმზის, დოს პასოსის, ფოლკნერის სახელების დასახელებაც იკმარებდა, მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ მკვლევარი ამ ზოგადი ხასიათის განცხადებით იფარგლება და ნათქვამის ქვეტექსტს ბუნდოვანს, გაუშიფრავს ტოვებს: XIX საუკუნის ამერიკულ ლიტერატურაში

ნოველის დომინანტური პოზიციის და მისი ჟანრული ფორმის ღასვეწასრულყოფის აღიარების ფონზე ასეთი განცხადება ან იმას გულისხმობს, რომ ამერიკის ნაციონალურ-კულტურული თვითიჩამოყალიბების, ეროვნული ლიტერატურობის განსაზღვრის ამ აღრეულ ეტაპზე ამერიკელთა მსატერულ-უსთეტიკურ გემოვნებას თუ ნაციონალურ სულისკვეთებასა და ინტერესებს ნოველის ჟანრი უფრო შეესაბამებოდა და აკმაყოფილებდა, ვიდრე რომანი, ანდა იმას, რომ რომანი უფრო რთული და „მაღალი" ჟანრია ნოველასთან შედარებით და შედეგად, ამერიკელმა მწერლებმა, რამდენიმე მათგანის გარდა, ამ სირთულეს თავი ვერ გაართვეს, მეტიც, ეს პრობლემა „ლეშებლე ცალაუწყვეტელი" ყოფილა;

2) ჟან სფენქერესის ინტერპრეტაციასთან ასლოს დგას სკეგსის თვალსაზრისი, რომ ბეერმა ამერიკელმა მწერალმა, რომელმაც ვერ მიაღწია ოსტატობას რომანის ფორმაში წარმატება მოიპოვა ნოველის ჟანრში. სკეგსს ამის ერთ-ერთ მაგალითად სხვა მწერლებთან ერთად ედგარ პოც მოჰყავს (Skaggs 1977: 11). ცხადია, ერთ მწერალს შეიძლება „დიდი" პროზა უფრო უმარჯვებოდეს, მეორეს კი — „მცირე", მაგრამ სკეგსის მოსაზრებიდან აშკარად ცამოსკვეთის რომანისათვის უპირატესობის მინიჭების ტენდენცია — მისი მსჯელობიდან ლოგიკურად ასეთი დასკვნა გამოდის: ზოგიერთმა ამერიკელმა მწერალმა, ვერ გაართვა რა თავი რომანის რთულ ფორმას, უფრო იოლ ჟანრს — ნოველას მიმართა და წარმატებასაც მიაღწია (ამასთან დაკავშირებით საინტერესოა უილიამ ფოლკნერის აზრი, რომელიც სკეგსისაგან განსხვავებით, ნოველას რომანზე უფრო რთულ ჟანრად თვლიდა და მიიჩნეოდა, რომ რომანისგან ხელმოცარული ნოველისტია). ასევე ტრადიციულია პოს დასახელება „ხელმოცარული რომანისტისა" და „წარმატებული ნოველისტის" მაგალითად. სადან ასკვნის სკეგსი, რომ პოს ხელი მოეცარა რომანის ჟანრში? რაც არ უნდა, რა მოეცარებოდა? პოს ერთადერთი სრულფასოვანი, რომელიც ჟანრული ფორმით მეტნაკლებად უახლოვდება რომანს, „არტურ გორდონ პიმის ნაამბობია" და ისიც მხატერული ნაკლის შედეგია;

3) როზეტა გელერთ აშერიკულ ლიტერატურაში ნოველის ასეთ პოპულარობას რამდენიმე მიზეზით ხსნის: ნოველის შეკუმშული, დაწურული ფორმით, მკითხველის ფრთხილებაზე შემოქმედების უნარით და იმ ფაქტით, რომ ამერიკელებს ყოველთვის ჰყვარებიათ კარგი ამბის, მონათხრობის მოსმენა ("That compression, that appeal to the private sense in our nature, gave the short story its popularity — and the fact that Americans have always loved a good yarn").

უნდა აღინიშნოს, რომ ნოველა შეკუმშულობითა და განსაკუთრებული ემოციური ბუმოქმედების უნარით შორგო ამერიკაში არ ხასიათდება და

არც სხვა ერებს „ეზარებათ“ საინტერესო მონათხრობის მოსმენა თუ წაკითხვა.

ამდენად, XIX საუკუნის ამერიკულ ლიტერატურაში ნოველის პოპულარობის მიზეზები, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის განვითარების იმ ეტაპზე მიმდინარე ისტორიულ-კულტურული პროცესების სპეციფიკაშია საძიებელი.

ამერიკული ნოველა ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. მას ამერიკული სალსური კულტურის, ამერიკული ფოლკლორის მძლავრი ფესვი კვებავდა. იმ პერიოდის ამერიკულ ფოლკლორში უაღრესად პოპულარული იყო ზეპირსიტყვიერი თქმულება-გადმოცემები მამაც მონადირეებზე, ფერმერებზე, ტყის მჭრელებზე, რომლებიც ხასიათდებოდა იუმორისტული პათოსით (ე. წ. „ფრონტირის იუმორი“), აღამიანის ძლიერების, მისი ამოუწურავი ენერგიისა და ბუნებაზე გამარჯვების რწმენით. ამ ზეპირსიტყვიერი ანეკდოტურ-იუმორისტული თქმულება-ამბებიდან იმემკვიდრა XIX საუკუნის ამერიკულმა ნოველამ ცალკეული ფოლკლორული მოტივები, ზოგიერთი სიუჟეტი, მსატერული სახე და გამომსახველობითი საშუალებაც, კომიკური და იუმორისტული ელემენტები (ამასთან დაკავშირებით იხ. კ. რიშარის “The Tales of the Folio Club and the Vacation of E. A. Poe as Humorist” (Richard 1989: 1). ამავე დროს ამერიკული ნოველა, ისევე როგორც ფოლკლორული “tale”, სშირად მოგვითხრობს უცნაური მოვლენის შესახებ, აქცენტი გადააქვს ეგზოტიკურზე, სასწაულებრივზე, ზებუნებრივზე. შესაძლოა სწორედ ფოლკლორულ „სარატოგებთან“ ამგვარი სიახლოვის გამო საკუთარ ნოველებს თავად ამერიკელი რომანტიკოსები “short story”-ს ანდა იტალიურ “novella”-ს კი არ უწოდებდნენ, არამედ - “tale”-ს. გამორიცხული არც ის არის, რომ მათ სურდათ საზი გაესვათ ამერიკული ნოველის ფორმის თვითმყოფადი, ორიგინალური ხასიათისა და ინგლისური თუ ზოგადად ევროპული ნოველისაგან განსხვავებისათვის. ლიტერატურათმცოდნეობაში დღემდე შემორჩა ეს ტრადიცია და სშირად XIX საუკუნის ამერიკული ნოველა ღლესაც აღინიშნება ტერმინით “tale”, თუმცა თუ იმ მნიშვნელობებს გავითვალისწინებთ, რომლებიც ამ ტერმინებმა თანამედროვე ლიტერატურულ კრიტიკაში შეიძინეს, ეს ყოველთვის გამართლებული არ უნდა იყოს: ლიტერატურის თეორეტიკოსები “tale”-სა და “short story”-ს შორის განსხვავებას იმაში ხედავენ, რომ პირველს აქცენტი გადააქვს მოქმედებასა და მის შედეგებზე, მეორის ფოკუსი კი პერსონაჟი, მისი სახიათია. ამავე დროს “tale”-ის კონსტრუქცია “short story”-საგან განსხვავებით არ არის მწყობრი, მჭიდროდ აგებული და უფრო „მოშვებული“, თავისუფალია (Murfin, Ray 2003: 475). ფოლკლორულ “tale”-სა და ლიტერატურულ “tale”-ს შორის მანამდე არსებული განსხვავება (პირველ რიგში, აქ იგულისხმება ირვინგის ნოველისტკა) კიდევ უფრო გააღრმავა ედგარ პოემ,

რითიაც განსაკუთრებული წელილი შეიტანა ამერიკული ნოველის ჩოგიერთი უმნიშვნელოვანესი ტენდენციის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში: თუ ამერიკულ ფოლკლორულ ჩეპირსიტყვიერ თქმულებებში აირეკლა ამერიკის ისტორიის „დიდი ნარატივი“, ანუ ამერიკის ისტორიის მითოლოგიზირებული ეერსია (ამერიკის როგორც საციის „ექსეპციონალიზმის“, მისი ზოგადსაკაცობრიო მისიის განსაკუთრებულობის მითი), ამერიკულ რომანტიკულ სოველაში ეს ტენდენცია, გარკვეულწილად პოს ზეგავლენით, მიჩქმალული და უკანა პლანზე გადაწეულია – ამერიკელი ნოველისტები მეტწილად გვისახავენ ცხოერებისაგან განმდგარ და ტანჯულ, მარგოსულ პერსონაჟებს. სიძნელის საშუალებით გაღმოგეცემენ მათ ქეეცნობიერ ბრძოლას ბედისწერასთან და ზებუნებრივ, უსილაე, ბნელ ძალებთან. ასე რომ, XIX საუკუნის ამერიკული რომანტიკული ნოველის ჟანრულ-პოეტოლოგიურ სპეციფიკას ფოლკლორულ "tale"- თან მისი კავშირის გარდა, კიდეე უფრო მნიშვნელოვანი, ისეთი ერთმანეთში გადახლართული ფაქტორები განსაჩღერაეს, როგორიცაა რომანტიზმის ესთეტიკა, ქეეყნის განვითარების კონკრეტული კულტურულ-ისტორიული ეტაპის შინაარსი, მისი ძირითადი ტენდენციები და ა. შ.

ნოველა ამერიკაში მაშინეე წარმოიშვა, როგორც კი განვითარება დაიწყო სეკულარულმა ლიტერატურამ, რომელიც მეტ-ნაკლებად თავისუფალი იყო ანგლო-ეეროპული ჟორმების მონური მიბაძეისა და რელიგიური ფუნქციისადმი სუბორდინაციისაგან. ეს არის პერიოდი, როცა ამერიკა ცდილობს თავი დააღწიოს ბრიტანეთის კულტურულ ჰეგემონიას, გადაღახოს ეპიგონობის, პერიფერიულობის ეტაპი და თვითმყოფადი ნაციონალური კულტურა შექმნას. მსატერული ლიტერატურის სუეროში საამისოდ ყეელაზე სელსაყრელი ჟანრი, როგორც ჩანს, ნოველა აღმოჩნდა. XIX საუკუნის I ნახეარში ინგლისურ ლიტერატურას ნოველის ჟანრში რაიმე მნიშვნელოვანი მიღწეეები არ ჰქონდა – ინგლისურ რომანტიკულ ლიტერატურაში ეს ჟანრი, ფაქტობრიეად, არც ფიგურირებს; რეალისტი მწერლების შემოქმედებაშიც მას მეორესარისხოეანი, უმნიშვნელო ადგილი უჭირაეს. შესაბამისად, ამერიკელ მწერლებს სწორედ ნოველის ჟანრში ეძლეოდათ ორიგინალური ფორმათქმნადობის, ბრიტანული ზეგავლენისაგან თავისუფალი, ორიგინალური მსატერული ნაწარმოების შექმნისა.

სწორედ ამიტომ ნოველა აღიქმებოდა როგორც ამერიკული ლიტერატურის ნაციონალური ჟანრი, ის ფორმა, რომელშიც პირეელად ჩამოყალიბდა ამერიკული ეროენული, ორიგინალური ლიტერატურა. ზოგიერთი მკელეევარი, მაგალითად სკეგსი, კიდეე უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, რომ ნოველის ჟანრი ამერიკელებმა გამოიგონეს ("Indeed, Americans are said to have invented the short story" (Skaggs 1977: 11). ამ დებულების

გასამყარებლად სკეგსს შემდეგი არგუმენტები მოჰყავს: ამერიკელი მწერლები იყვნენ პირველები, ვისაც, თავიანთი წინამორბედებისაგან განსხვავებით, გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ ისინი მუშაობდნენ ღამოუკიდებელ, თავისთავად, სპეციფიკურ ლიტერატურულ ჟანრში, რომელსაც საკუთარი ჟანრული კანონები და ღირებულებები ჰქონდა; გარდა ამისა, პირველად ამერიკელმა მწერლებმა განსაზღვრეს ნოველა, როგორც სპეციფიკური ლიტერატურული ფორმა, რომელიც რომანისა და ნარატიული პოემისაგან მარტო სიგრძით კი არ განსხვავდებოდა, არამედ – თვისებრიცალაც:

"Not that people haven't always told one another stories or that the brief tale or sketch hasn't had a long literary history. But American writers were the first to define the short story as a specific literary form, different from the novel or the long narrative poem not only in length but also in kind. American writers were the first to be conscious of working in a particular genre, with its own rules and values in a way their predecessors had not been" (Skaggs 1977: 11).

სკეგსის მიერ მოტანილი პირველი არგუმენტი საკამათოა და ჯოვანი ბოკაჩოს ნოველეს რომ თავი დაევანებოთ, მის უარსაყოფად გამოღებება თუნდაც ის ფაქტი, რომ იოჰან ვოლფგანგ გოეთემ ჯერ კიდევ 1795 წელს იტალიურიდან ისესხა და გერმანულში შეიტანა იტალიური სიტყვა "novella", რათა ამ სიტყვით აღენიშნა მის მიერ შექმნილი გერმანული ნოველების პირველი კრებული სათაურით "Unterhaltungen deutsche Aus ewanderten" („გერმანელი ემიგრანტების გართობა-დასვენება"), რომელიც შეიდ ნოველას აერთიანებს. რაღგანაც ტერმინის მოძიება და სესხება დასჭირდა, ცხადია, გოეთესაც კარგად ესმოდა, რომ იგი სპეციფიკური, დამოუკიდებელი, ავტონომიური ჟანრის ნაწარმოებებს ქმნიდა; რაც შეეხება მეორე არგუმენტს, ამა თუ იმ ჟანრის თეორიულ-კრიტიკული დეფინიციის ჩამოყალიბება სულაც არ არის ჟანრის გამოკვლების ტოლფარდი, თუმცა ის კი მართალია, რომ ამერიკელი რომანტიკოსი მწერალი ედგარ პო იყო პირველი, ვინც 1842 წელს მოგვცა ამ ლიტერატურული ფორმის კრიტიკული დეფინიცია. პომ ჩამოაყალიბა ნოველის ბუნების ძირითადი ნიშნები და მისი მოთხოვნები: პირველ რიგში, იგი აქებს ნოველას, როგორც ყველაზე ხელსაყრელ ჟანრს „ამბიციური გენიის" დასაკმაყოფილებლად მწერალში; მეორეც, იგი ნოველის უმთავრეს თვისებად მიიჩნევს იმ მსგავრულ მთლიანობას (singleness, unity), რომელიც ყველა პერსონაჟის, მოქმედებისა და თვით წინადადებების ერთი მიზნისათვის დაქვემდებარებით მიიღწევა ("totality effect").

პოს თეორიულ-ესთეტიკური შესედულებები ნოველის ჟანრზე ჩამოყალიბებულია პოთორნის წიგნის შესახებ დაწერილ სტატიაში „ორჯერ მოხათხრობი ამბები". პოს კონცეფციით, ნოველას უნდა ახასიათებდეს ეს-

თეტიკური მიზანდასახულობა, ლაკონურობა, მასალის ზუსტი შერჩევა, ჩანაფიქრის სიზუსტე. ნოველა ისე უნდა იყოს აგებული, რომ მისი პირველივე ფრაზა იწყველეს გარკვეულ ეფექტს, რომელიც ხელს შეუწყობს ნოველის მსაგებული საბრისის წარმოჩენას. ცნობილია, რომ ედგარ პოს ნოველების მსაგებული თავისებურებანი ხელმიწვდომია შეესატყვისება იმ მოთხოვნებს, რომლებსაც მწერალი ნოველის ჟანრს უყენებდა: რაციონალიზმი, მკაცრი მათემატიკური გაანგარიშებით აგებული არქიტექტონიკა, დეტალიზაცია და სხვა. სწორედ ამიტომაც აღნიშნავდა თ. დოსტოევსკი: „მის წარმოსახვის უნარში არის ისეთი თავისებურება, როგორსაც ჩვენ არავისთან შევხვედრივართ: ესაა დეტალების/წერილმანების ძალა". როგორც მართებულად აღნიშნავს ბლობინი, პოს ესთეტიკის უმნიშვნელოვანესი პრინციპია მოწესრიგებულობა, თანაბარზომიერება, სიმეტრია, პროპორციულობა ნაწარმოების ნაწილებისა, ერთი სიტყვით – პარმონია (Злобин 1980:9).

ნოველის ჟანრის პოსეული დეფინიცია იმდენად მკარი გამოდგა, რომ ნოველის განსაზღვრება თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში დიდად არ განსხვავდება პოს კონცეფციისაგან, თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ნოველის ჟანრული სპეციფიკის პოსეულ კონცეფციაზე დაყრდნობით განსაზღვრის წინააღმდეგია. მაგალითად, ნორმან ფრიდმენი მიიჩნევს, რომ „მთლიანობა" არ არის ნოველის პროზის უფრო ვრცელი ფორმისაგან განმასხვავებელი ნიშანი. მკვლევარი მიიჩნევს, რომ თუ ტერმინი „მთლიანობა/ერთიანობა" გულისხმობს იმ ფაქტს, რომ ნოველის ყველა ნაწილი გაერთიანებულია და ერთმანეთს უკავშირდება საერთო მაორგანიზებელი პრინციპის საშუალებით, მაშინ არ არსებობს არავითარი საფუძველი დავასკვნათ, რომ ნოველა უფრო მეტი მთლიანობითია და შეკრულობით ხასიათდება, ვიდრე – რომანი:

"To say, as has frequently been done, that short story is distinguished from long fiction by virtue of its greater unity is surely to beg several questions at once. A fossil survivor of Poe's aesthetic, this notion confuses wholeness with singleness, unity with intensity. If unity implies that all the parts are related by an overall governing principle, there is certainly no reason why a short story should have more unity than a novel, although it may naturally have fewer parts to unify" (Friedman 1988: 154).

ნორმან ფრიდმენს, როგორც ჩანს, მსჯელობიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ პო ტერმინში "unity", უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მკითხველის შთაბეჭდილებას, მასზე მოხდენილი ეფექტის ერთიანობას/მთლიანობას (unity/totality/singleness of effect), რაც თითქმის მიუღწეველია რომანის ჟანრში. მისი აზრით, არ შეიძლება ნოველისადმი წინასწარ აღებული,

მცა-მცარეული ფორმულების მისადაგება, ე.წ. „პრესკრიფციული“ მიდგომა. ნორმან ფრიდმენი ნოველის მთავარ ნიშნებად არჩევანის, მასშტაბისა თუ თხრობის პერსპექტივის საშუალებით შეკუმშულ მოქმედებას მიიჩნევს:

"To sum up, a story may be short because its action is intrinsically small or because its action, being large is reduced in length by means of the devices of selection, scale, and/or point of view" (Friedman 1988: 169).

მართალია, პოს შემდეგ გამდიდრდა და გაღრმავდა ნოველის, როგორც ჟანრის, თეორიულ-ესთეტიკური აღქმა-გააზრება, მაგრამ პოსეული დეფინიცია დღესაც არ კარგავს თავის აქტუალობასა და მნიშვნელობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Friedman N., What Makes a Short Story Short? In: M. Hoffman, P. Murphy (eds.), Essentials of the Theory of Fiction. Durham and London: Duke University Press, 1988.
2. Murfin R., Ray S., The Bedford Glossary of Critical and Literary Terms. Boston, 2003.
3. Richard C., The Tales of the Folio Club and the Vocation of E. A. Poe as Humorist. UMSF, n. s. 1989.
4. Skaggs C., Introduction. In: The American Short Story, vol. 1, NY, 1977.
5. VanSpanckeren K., Outline of American Literature. US State Department, 1994.
6. Ջîáèí Ã., Ýäãàð Àëëàí Ïî – ôîí àíòèê è ðàöèîíàëèñò, Ì., 1980.

TAMAR CHEISHVILI
Akaki Tsereteli State University, Ph.D. Candidate

SUMMARY

AMERICAN SHORT STORY: THE GENESIS AND DEFINITION BY E. A. POE

The paper is concerned with the intricate question of the genesis of American short story and E. A. Poe's definition of short story as a genre.

Americans are said to have invented the short story which is by no means a true statement. Many literary scholars argue that American writers were the first to define the short story as a specific literary form, different from the novel or the long narrative poem not only in length but also in kind. They insist that American writers were the first to be conscious of working in a particular genre, with its own rules and values. First, to have defined the short story and to have invented it is not one and the same. In fact, short story as a literary genre takes its origin much

earlier in European literature.

However, it is true that Edgar Poe was the first to have defined the short story as a literary genre. He distinguishes it from long fiction by virtue of its greater unity. This differentiation begs several questions in modern literary scholarship. Norman Friedman, for instance, argues that a fossil survivor of Poe's aesthetic, this notion confuses wholeness with singleness, unity with intensity. If unity implies that all the parts are related by an overall governing principle there is certainly no reason why a short story should have more unity than a novel, although it may naturally have fewer parts to unify. But actually what Poe had on mind was the unity/singleness or totality of aesthetic effect which can be achieved only through intensity. So, Poe's use of these concepts is precise.

ქართულ-ამერიკული ურთიერთობები

GEORGIAN-AMERICAN RELATIONS

LELA ABDUSHELISHVILI
Caucasus University. Caucasus
School of Business Associate Professor

ADULT EDUCATION: DO TRENDS IN AMERICA FORESHEDOW TRENDS IN GEORGIA?

In the 21st century the world is in various stages of social, economic and demographic transition. The emerging global economy is both competitive and interdependent. Changes are coming in almost every sphere. Education is no exception.

Georgia is now entering a turning point in its history of education. For 70 years, we were under the Soviet Union system, and, therefore, followed the way where education was standardized and more universal. After the collapse of the Soviet Union, the educational system was reshaped on the American or European model and the process is still going on. One important aspect in this process is focus on adult education principles.

Adult education can be defined as extension of educational opportunities to those adults beyond the age of general public education who feel a need for further training of any sort, also known as continuing education.

Contemporary adult education in the USA can take many different forms. Colleges and universities have instituted evening programs, extension work courses without credit, correspondence courses, and distance learning programs. Adult education is also sponsored by corporations and private institutes. The field now embraces such diverse areas as vocational education, high school equivalency, parent education, adult basic education, physical and emotional development, practical arts, applied science recreation as well as traditional academic, business and professional subjects. Each year millions of Americans take such a course or program.

At the local level, public schools have been active in furnishing facilities and assistance to private adult education groups in many communities. Community centers, political and economic action associations and dramatic, musical and artistic groups are regarded by many as adult education activities.

Adult education was first recognized in the 1920s. It can be defined as the type of education different from that of traditional students. In his book "The Meaning of Adult Education" Edward Lindeman (1926) considers the education of adults to be different from that of traditional students. His emphasis on self-direction, experience and life-centeredness established the basis for andragogy, the adult ed-

ucational philosophy popularized later by Malcolm Knowles, a key figure in the field of adult education. Andragogical methods rely on "facilitation" rather than "teaching", self-direction rather than other-direction and life-centered study rather than subject-centered study. Adult education became widespread in America only in the 1960's. Its relative recent development results from numerous social trends: the general spread of public education, the intensification of economic competition with a resulting premium skills, the complexities of national and international politics demanding constant study, the simulating effect of urbanization, the opportunity offered by increased leisure time, and increased interest in educational activities on the part of many older man and women.

The earliest American forms of adult education were the public lectures given in the lyceum and the Lowell Institute of Boston endowed by John Lowell (1836). In 1926 the Carnegie Corporation organized the American Association for Adult Education which later became the Adult Education Association for Public Continuing Adult Education. This group, through its research and publications, works not only to promote education as a lifelong learning process but also to systematize the methods and philosophy of the field.

Federal funding and support for adult education have been provided through the Vocational Education Act (1936), the Economic Opportunity Act (1964), the Comprehensive Employment and Training Act (1973), the Lifelong Learning Act (1976) and for a broad spectrum of learners by the Carl D. Perkins Vocational and Applied technology Act (1984). The office of Vocational and Adult Education, under the US Department of Education, administers grant, contract and technical assistance programs for adult education, literacy and occupational training. Most federal funding for these programs is administered through the states, counties and individual communities. Other major federal providers of adult education are the Department of Agriculture and Department of Defence.

The increase of adult education came about as a result of technological, cultural and demographic changes in American society. Before describing these changes in detail, let's clarify that adults and traditional post high school age students differ in that the former has benefited from years of life experience and then sought the academic education, while the traditional students first receive the education and then the life experience. Thus, the needs of the adult learner are different. Socialization, for example, plays a much greater role in the academic life of the traditional student, and, indeed accounts for much of the necessity for extended contract hours. Adults, on the other hand, are interested in cutting right to the essence of a topic and are capable of processing greater amounts of material even in much shorter periods of time. The goal in adult education is personal devel-

opment.

Technological changes: The main technological change was the postwar boom of television. The combined factors of constant education through television and people educated through secondary and tertiary education in their youth, meant that the general level of education in America increased rapidly in the post war years.

Another technological change was the shift in American industry from primary and secondary to tertiary levels. As mid and post war production techniques became more sophisticated, the need for workers with higher level of education also increased.

Cultural and demographic changes: The main cultural change in America that led to a rise in the number of adult students was the democratization of university education in the 1970s. Universities offered open admissions, multicultural education and alternative modes of attendance and evaluation. One of the first non-traditional groups to take advantage of these changes was adults, and the numbers returning to campuses rose quickly. Besides, more women in the US sought tertiary education whereas 40 years ago, many Americans believed it unnecessary for their daughters to seek education beyond high school level, and tacit restrictions excluded African Americans from campus.

Other cultural changes occurred in the 60s, when activist groups called for greater student involvement in administrative and curricular decisions, and when attendance patterns changed. The increase in part-time students was reported. Thus, US schools began providing a greater range of options in terms of residency and attendance requirements for traditional students, thereby making enrolment for non-traditional students more convenient.

Unlike United States, Georgia's cultural changes have come more slowly, although recent events suggest that Georgia might now be entering a period of more rapid change. For example, women and other minority groups are now getting greater access to the workplace. The salaries of young women and men are almost equal. There is an equal opportunity employment.

Events in the 1990s in Georgia suggest that changes similar to those in the US have begun taking place in Georgia as well. Colleges and universities have been given far greater autonomy in planning their own curricula, and financial rewards are offered to schools that set up international programs and volunteer work programs.

In the 60s and 70s in America, the number of traditional students decreased by 16 % and US schools began offering programs for adult students. As a result, adult education expanded rapidly and new teaching methods were developed.

Andragogy has become the accepted approach.

The American tradition of education philosophy is quite different from that of Georgia. I will examine those differences and make predictions as to what approach will prevail.

The philosophy of education in America involves 3 main traditions:

a) Liberal education, which was mainstream until the 1920s;

b) The progressivist/humanist philosophies that followed;

c) Behaviorism, which has been the dominant philosophy for most of this century.

Methodological changes were eventually made in America but will they be made in Georgia? In Georgia teacher-centered pedagogy was very developed, so, it will be different for Georgian educators to give it up and adopt andragogy. However, unless this happens, the promise of continued education for Georgian adults will not come to be.

One positive sign of adult education development in Georgia is the establishment of Adult Education Association of Georgia which was founded on November 20, 2004 with the support of DVV International, Branch of Georgia – German Association of People's Universities. The association is the union of organizations and persons working in the educational field. The mission of the association is to raise the level of education of adult population in Georgia with the aim of its employment, increase of income and harmonious integration into new conditions of life.

Finally, let's state that changing the learners to fit the educational structure would be possible if the learners were children but, they are not. The teachers will have to change. To make the change, teachers will have to be trained in andragogy and adult educational methodology. The promise of adult education can only be realized through further education.

REFERENCES:

1. New Ways in Teaching Adults. Marilyn Lewis. TESOL Publications, 1997.
2. Prospects and Trends in Adult Education. A Selection of Contemporary Writings in Project Work. Uwe Gartenschlaeger, Heribert Hinzen (eds). "International perspectives in adult education". N 26. Institute for International Cooperation of the German Adult Education Association, 2001.

ლელა აბდუშელიშვილი
კავკასიის უნივერსიტეტი. კავკასიის
ბიზნეს სკოლის ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ბრდასრულთა განათლება: რამდენად პოულობს ასახვას საქართველოში აშშ-ში მიმდინარე ცვლილებები

სტატიის მიზანია აშშ-ში ბრდასრულთა განათლების მიმოხილვა, მისი შედარება საქართველოსთან და მოშაკლის ტენდენციებზე მსჯელობა.

ბივი ამაღლობელი
თბილისის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
მკვლევარი-ასისტენტი, საერთაშორისო ურთიერთობების
მაგისტრი

იდენტობის საკითხები ამერიკულ და ქართულ საზოგადოებებში: შედარებითი ანალიზი

იდენტობის საკითხი აქტუალურია როგორც ამერიკული, ასევე ქართული საზოგადოებისათვის. რა თქმა უნდა, ორ ერს განსხვავებული წარსული და განვითარების გზები გააჩნიათ, თუმცა არსებობს ფაქტორები, რომლებიც შეიძლება საერთო აღმოჩნდეს ორივე ერისთვის. მოცემული ნაშრომის მიზანია ორი ერის ეროვნულ იდენტობათა თავისებურებების შედარება. ამერიკული იდენტობის განხილვისას ვეყრდნობით სამუელ პანთინგტონის ნაშრომს "Who are We?", „ვინ ვართ ჩვენ?". აგრეთვე, ამერიკელი ავტორის, პიტერ ვილპელმის სტატიას "The Great American Identity Crisis". გამოყენებულია აგრეთვე ქართველი ავტორის, ნატა არქანიას ნაშრომი „ამერიკული ნაციონალიზმის თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე". სოლო მოსაზრებები ქართული ეროვნული ცნობიერების შესახებ მოყვანილია შემდეგი ქართველი ავტორების ნაშრომებიდან: თამარ კიკნაძის „ქართული იდენტობა და პოლიტიკური კულტურა" და ზაზა ფირალიშვილის „მცირე ერი და ისტორიული პერსპექტივა".

სანამ საკითხის უშუალო განხილვაზე გადავიდოდეთ, მოვიყვანოთ იდენტობის პანთინგტონისეულ განსაზღვრებას: "Identity is individuals or groups sense of self. It is a product of self-consciousness, that I or we possess distinct qualities as an entity that differentiates me from you and us from them" (Huntington 2005: 21) („იდენტობა (ცნობიერება) არის ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფის თვით-აღქმისა და განსაზღვრების ფორმა. ის არის თვით-შემეცნების შედეგი, ის, რომ მე ან ჩვენ გაგვაჩნია განსაზღვრული თვისებები; რაც მე განმასხვავებს თქვენგან და ის, რაც ჩვენ განგვასხვავებს მათგან").

ჩვენ, ძირითადად, მოცემული განსაზღვრების საფუძველზე შეეცდებით განვიხილოთ იდენტობის საკითხი როგორც ასეთი. როგორც ქვემოთ დავინახავთ, საკითხი საკმაოდ პრობლემატურია და შეიცავს წინააღმდეგობრივ ელემენტებს. არსებობს კრიზისის ორი განზომილება: ფსიქოლოგიური და სოციალური; რომლებიც განსაზღვრავენ ერთმანეთს, რადგანაც სირთულეები ინდივიდუალური თვითაღქმის მხრივ ხდება გაურკვეველობის მიზეზი კოლექტიური თვითაღქმისა და განსაზღვრის მხრივ. ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ ამ სახის სირთულეები.

ეროვნული იდენტობის (ეროვნული ცნობიერება) მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორები:

ამ საკითხზე მომუშავე ქართველი მკვლევარები თანხმდებიან რომ ქართული ეროვნული ცნობიერება შემდეგი ფაქტორების საფუძველზე ჩამოყალიბდა: ისტორიული, ანთროპოლოგიური, რელიგიური, ლინგვისტური, კულტურული და ეკონომიკური ფაქტორები.

ჰანთინგთონის მიხედვით, ამერიკული იდენტობის განმსაზღვრელი ფაქტორები მოიცავს ოთხ მთავარ კომპონენტს: რასა, ეთნიკურობა, კულტურა (ენა და რელიგია) და იდეოლოგია..

ქართული იდენტობის განსაზღვრებაში რელიგია ცალკეა მოცემული და უჭირავს განსაკუთრებული ადგილი. მაშინ როდესაც, ამერიკულ იდენტურობაში იგი წარმოდგენილია როგორც კულტურული ფაქტორის ქვე-კომპონენტი. თუმცა აეტორი იქვე აღნიშნავს, რომ რელიგია წარმოადგენდა და კელავ წარმოადგენს უმთავრეს ელემენტს ამერიკული იდენტობისა. ყველა მაჩვენებლის მიხედვით ამერიკელები არიან გაცილებით უფრო რელიგიური ხალხი ვიდრე სხვა განვითარებული ქვეყნების მოსახლეობა.

„ვინ ვართ ჩვენ?“ “Who are we?”

ყველა ერში არსებობს კითხვები, რომლებიც გამოირჩევიან მეტნაკლები აქტუალობის დონით. მაგალითად, ქართული საზოგადოება ცდილობს პასუხი გასცეს ისეთ დილემას როგორიცაა: ვართ თუ არა ჩვენ ევროპელი თუ აზიური ერი? საკითხის ასეთი სახით ფორმულირება არის სირთულეების მიზეზი, როგორც პიროვნული, ასევე კოლექტიური თვით-აღქმისა და განსაზღვრის მსრივ. უმეტეს შემთხვევაში მკვლევარები მიდიან იმ დასკვნამდე რომ: „ქართველთა კულტურული ტიპი არც მთლიანად აზიურია და არც მთლიანად დასავლური“ (Kiknadze 2006: 242), და ეს აისახება კიდეც ქართველის მენტალობაში.

იგივე სახის დუალისტური ფრაგმენტაცია შეინიშნება ამერიკულ საზოგადოებაშიც. მაგალითად, ჰანთინგთონის ნაშრომში გამოყოფილია შემდეგი სახის დილემა: კოლონისტების თუ ემიგრანტების ნაცვას წარმოადგენს ამერიკელი ერი? ამერიკელები ასევე სვამენ ასეთი სახის კითხვებს: არიან თუ არა ისინი მრავალკულტურული, ბიკულტურული თუ მოზაიკური საზოგადოება. გააჩნიათ თუ არა მათ მნიშვნელოვანი ცნობიერება როგორც ერს, რომელიც ცდება ვიწრო ეთნიკურ, რელიგიურ თუ რასობრივ იდენტობებს? ეს საკითხები რჩება აქტუალურ თემებად ამერიკელთათვის 11 სექტემბრის შემდგომ პერიოდში.

სირთულეები ინდივიდუალური თვით-აღქმისა და განსაზღვრის მხრივ:

ბოლო ათწლეულების განმავლობაში დასავლეთის და კერძოდ ამერიკულ საზოგადოებაში აქტუალობა შეიძინა იდენტობის განსაზღვრებებმა, რომლებიც დუალისტური სახისაა: აფრო-ამერიკელი, ესპანო-ამერიკელი, მუსლიმი-ამერიკელი, მკვიდრი-ამერიკელი, რაც წარმოადგენს გაორებული თვით-იდენტიფიკაციის გამოვლინებას. იდენტობების კატეგორიზება ხდება ძირითადად ეთნიკური, რასობრივი თუ გენდერული კონცეპტების საფუძველზე. არსებობს აგრეთვე რელიგიური, სექსუალური, კლასობრივი თუ პოლიტიკური იდენტობები. იმისთვის რომ უკეთ გაიგოთ აღნიშნული იდენტობების გავლენა ინდივიდის ცნობიერებაზე, მოვიყვანთ მაგალითს, რომელიც გვაჩვენებს, თუ როგორ განსაზღვრავს საკუთარ თავს რიგითი ამერიკელი: „მე 19 წლის ასაკში გადავედი ნიუ იორკში საცხოვრებლად. მაშინ რომ გეკითხათ აღმეწერა ჩემი ვინაობა, მე გეტყოლით, რომ ვიყავი მუსიკოსი, პოეტი, მხატვარი და სადღაც პოლიტიკური გაგებით – ქალი, ლესბოსელი და ებრაელი. ამასთანავე, განსაზღვრებადა ამ ჩემს სიაში არ შედიოდა ამერიკელობა“ (Huntington 2005: 24).

გასაგებია, რომ ასეთი ცნობიერების მქონე ინდივიდებს შეიძლება გაუჩნდეთ სერიოზული პრობლემები სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას საკუთარი პიროვნების განსაზღვრის მხრივ. მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს დიალოგის სახით, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ ხდება იდენტობის მცდარად აღქმა ინდივიდუალურ დონეზე:

Reporter: “What are you?”

Respondent: “I am an American”.

Reporter: “No, no, no! What are you?”

Respondent: “Yes, yes, yes! I am an American”.

Reporter: “That is not what I mean. I was told that you are African American. Are you ashamed to be African American?”

Respondent: “No, I am just proud to be American”. (Huntington 2005: 6).

აღსანიშნავია, რომ არსებობს იდენტობის პრობლემები ქართულ საზოგადოებაშიც. აქ შეიძლება დავასახელოთ ქართველ მუსლიმთა იდენტობის პრობლემა; მაგალითად, ბევრი ქართველი განიცდის სირთულეებს აჭარლების, როგორც მუსულმან ქართველებად, და, საერთოდ, როგორც ქართველებად აღქმაში. შესაბამისად, ასეთი მენტალობის ინდივიდებში აღმსარებლობა დგება ეთნიკურ ფაქტორზე მაღლა. ამით ხდება არაქრისტიანი ქართველების იგნორირება და გაუცხოება (სტერეოტიპული აბროვნება, რომელიც ქართველებს „თათრებს“ უწოდებდა).

ამასთანავე სერიოზული პრობლემა გააჩნიათ ეთნიკურ უმცირესობებს

თვით-იდენტიფიკაციისა და ინტეგრირების მხრივ. მაგალითად, შეიძლება „თურქი მესხების“ მოყვანა; მათი ნაწილი წარმოადგენს ეთნიკურ ქართველებს; ძირძველი ქართული ტომის – მესხების შთამომავალთ, მაშინ როდესაც, მეორე ნაწილი მიიჩნევენ საკუთარ თავს თურქულ-მუსლიმურ ელემენტად. გაურკვეველია თავად ტერმინი – „თურქი მესხი“, რაღგანაც „მესხი“ თავისთავად გულისხმობს ქართველურ ტომს. შესაბამისად, „თურქისა“ და „მესხის“ ტერმინოლოგიური შეთავსება მნიშვნელოვნად ართულებს აღნიშნული ეთნიკური ერთეულის თვით-აღქმისა და განსაზღვრის საკითხს.

წარსულ/მომავალზე ორიენტირებული მენტალური ტიპები:

მნიშვნელოვანი საკითხი, რომლითაც განსხვავდებიან ქართული და ამერიკული იდენტობები, არის წარსულ/მომავალზე ორიენტირებული მენტალური ტიპები. ქართველი მკვლევარის, ნატა არქანიას მიხედვით, „ამერიკული ნაციონალიზმის მთავარი თავისებურება და უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი აპელირებას ახდენს არა წარსულზე, არამედ მომავალზე, მაშინ როდესაც, ნებისმიერი ქვეყნის პატრიოტის მთავარი არგუმენტი არის წარსული. ეს ისტორიული ოპტიმიზმის ქვეყანაა. მომავალი გამარჯვებებისადმი რწმენა არის მთავარი გამაერთიანებელი ფაქტორი.“ (არქანია 2005: 63).

აღნიშნულის საფუძველზე მართლაც შეიძლება ითქვას, რომ ამერიკელები არიან მომავალზე ორიენტირებული ერი, მაშინ როდესაც, ქართული ეროვნული ცნობიერება ძირითადად წარსულით საზრდოობს. ამ მოსაზრების ნათელსაყოფად საკმარისი იქნება ერთი მაგალითის მოყვანა, რომელიც ეხება ქართული საზოგადოების ნაწილის მოთხოვნას მოსარქიის ინსტიტუტის აღდგენის შესახებ. რთული არ არის იმის დანახვა, რომ მოთხოვნა მოსარქიის ინსტიტუტის აღდგენის შესახებ წარმოადგენს ანაქრონიზმის გამოვლინებას. წარსულზე ორიენტირებული ცნობიერება ცდილობს უკან დაბრუნებას და ეძებს პრეცედენტებს ისტორიაში, რითაც ასუსტებს საკუთარ შესაძლებლობას ადეკვატურად უპასუხოს რეალურად მოცემულ გამოწვევებს.

ქართული მენტალიტეტის ამ დამახასიათებელ თვისებას კარგად ასახავს პოლ ვალერის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ: „როცა კაცი ან სალხი აუცილებლობის თუ გაჭირვების გამო იძულებულია იმოქმედოს, ის საქმის ვითარებას განისილავს არა იმდენად როგორც მანამდე არნასულსა და არგაგონილს, რამდენადაც თავისი წარმოსახვისმიერ მოგონებებში იქექება. ამგვარი მერყეული აზრი თანდათან ავტომატიზმს უახლოვდება. ის ეძებს პრეცენდენტებს და ისტორიაში ინთქმება, რომელიც მას უწინარესად მო-

გონებებისთვის აღძრაეს მაშინაც კი როცა საქმე ეხება სრულიად ახალ შემთხვევას“ (ვალერი 1983: 270).

განსხვავებები თვითთაქმისა და განსაზღვრის თვალსაზრისით: ცნობილია, რომ მატერიალისტური ტენდენციების ქარბობა ისდიეიდებში იწვევს ეროვნული ცნობიერების დაქვეითებას. პირადი კეთილდღეობა და ეგოცენტრული შენტალიტეტი უპირისპირდება განსაზღვრული ერისადმი კუთვნილების კოლექტიურ გრძნობას. სწორედ ამას გულისხმობს პანთინგთონი, რომლის ნათელსაყოფადაც მას მოჰყავს მაგალითი ამერიკის ისტორიიდან, სადაც ნაჩვენებია, რომ ჯგუფური და ეკონომიკური იდენტობების წარმოქმნამ გამოიწვია დეზინტეგრაციის პროცესი, რომელიც სამოქალაქო ომში გადაიზარდა.

ზემომოყვანილ დებულებას ხატოვნად ასახავს ვიად გამსახურდიას გამონათქვამი: „ეროვნებას აქვს გრძნობისმიერი მხარე, ის არის ერთდროულად სულიცა და სხეულიც. საბაყოთა გაერთიანება სამშობლო არაა“ – რადგანაც არსებობენ ისდიეიდები რომელთა დამოკიდებულება ეროვნებისადმი და ეროვნული ცნობიერებისადმი ფუნქციონალურია. ფუნქციონალური დამოკიდებულება ცნობიერების მიმართ კი განიხილება როგორც პათოლოგიური მდგომარეობა.

გარეშე საფრთხის – „უცხოს“ ფაქტორი: რაც შეეხება გარეშე საფრთხისა და ეროვნული კონსოლიდაციის ურთიერთმიმართებას, პანთინგთონი თვლის, რომ ეროვნული იდენტობის სიმტკიცის ხარისხი შეიძლება მკვეთრად იცვლებოდეს გარეშე საფრთხეების ინტენსიურობის მისედვით, მაშინ როდესაც, თავად ეროვნული თვით-იდენტობის საფუძველი ყალიბდება გრძელვადიანი ფუნდამენტური გარემოებების ფონზე. როგორც ჩანს, გარეშე საფრთხეს დიდი მნიშვნელობა აქვს კონკრეტული ერის კონსოლიდაციისთვის. მაგალითად, იგივე ავტორი გვაჩვენებს, რომ ომმა ბრიტანეთის წინააღმდეგ, საფრანგეთთან და შემდეგ ისევ ბრიტანეთთან გააძლიერა ამერიკელთა ერთიანობის გრძნობა და ხელი შეუწყო ერის ჩამოყალიბებას. 1815 წლის შემდეგ, როდესაც ერის უსაფრთხოებას არაფერი ემუქრებოდა, ეროვნულმა თვითშეგრძნებამ დასუსტება დაიწყო. წარმოიშვა ჯგუფური და ეკონომიკური იდენტობები და თანდათან დეზინტეგრაციის პროცესიც დაიწყო, რომელიც სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ამ ომმა თავის მხრივ კვლავ გამოიწვია ნაციის კონსოლიდირება მე-19 საუკუნის ბოლოსათვის.

ასევე, ცივი ომის დამთავრებამ გამოაცალა ამერიკელ ერს გარეშე საფრთხე „ბოროტების იმპერიის“ სახით, რომლის წინააღმდეგაც იგი ერ-

თიანღებოღა, მაგრამ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტმა გამოიწვია ამერიკული ეროვნული თვითშეგნების ამაღლება. ამასთან დაკავშირებით ქართველი ავტორი, ნატა არქანია, აღნიშნავს, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტმა მორალური საფუძველი გაუმყარა ამერიკულ ნაციონალიზმს.

როგორც ვხედავთ, არსებობს პირდაპირი კავშირი გარეშე საფრთხეებსა და ეროვნულ ერთიანობას შორის. სასურველია, იგივე როლი ითამაშოს სამხედრო დაპირისპირებამ რუსეთთან ქართველი ერის კონსოლიდაციაში. რადგანაც რუსეთ-საქართველოს ომამდე შეიმჩნეოდა აშკარა სამოქალაქო დაპირისპირება ქართულ საზოგადოებაში, არსებობდა მწვავე კრიზისი საზოგადოების ცალკეულ ნაწილებს შორის.

11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ ამერიკელები სვამენ ასეთი სახის შეკითხვებს: დაუბრუნდებიან თუ არა მდგომარეობას 11 სექტემბრამდე, როდესაც ისინი ფლობდნენ დანაწევრებულ ეროვნულ იდენტობას, თუ სახავენ თავიანთ თავში ძალას რომ შეინარჩუნონ და ასაბრდოონ გამოცოცხლებული ეროვნული ცნობიერება, რომელიც არ იქნება დამოკიდებული გარეშე საფრთხეებზე; საფრთხეებზე, რომლებიც ხლებიან ერთიანობის მიბეში, რაც ასე აკლდა ამერიკას მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულებში.

იგივე შეიძლება ითქვას ქართული საზოგადოების მიმართ – ვნახავთ თუ არა ჩვენს თავში ძალას, რომ შევინარჩუნოთ და გავაბრდოვოთ გამოცოცხლებული ეროვნული ცნობიერება, რომელიც არ იქნება დამოკიდებული გარეშე საფრთხეებზე, საფრთხეებზე, რომლებიც ხლებიან ერთიანობის მიბეში, რაც ასე აკლდა საქართველოს ომამდე.

პანთისთვითის აზრით, ისტორიული გამოცდილება და სოციოლოგიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ გარეშე საფრთხის, ანუ „უცხოს“ არარსებობა იწვევს ერთობის დასუსტებას და დანაწევრებას საზოგადოების შიგნით. იგივე პარადოქსული მოვლენა საგოვნადაა აღწერილი პოლ ვალერის ერთ-ერთ გამონათქვამში: „მეზობლების არსებობა, – აი, ერებისათვის თავდაცვის ერთადერთი საშუალება, რაც მათ თავიდან აცილებს მუდმივი სამოქალაქო ომების საფრთხეს“ (ვალერი 1983: 144).

რაც შეეხება გარეშე საფრთხეების მნიშვნელობას ქართული ეროვნული ცნობიერებისთვის გოგადად, ლიტერატურის პროფესორი გურაბ კიკნაძე ქართული ეროვნული იდენტობის ისტორიულ ჩამოყალიბებას თავდაცვით, მოკრივებით ბრძოლებს უკავშირებს, რომლებმაც, მისი აზრით, რაღაც თვისებები შესძინა მის მენტალიტეტს. ის აღნიშნავს, რომ მთელი ისტორიის განმავლობაში განცდილმა ომებმა რაღაც ფსიქოლოგიური „ში-ში“ ჩამოუყალიბა ქართველებს, რომლის ნეგატივნაც დღემდე შემორჩენილი: „შესამჩნევია, რომ იგი (ქართველი) დღემდე იგერიებს მტერს, რო-

გორც რეალურს, ისე მოგონილს, მის საგნსა თუ ჩრდილს. იგი მუდმივ მიმშია, რომ საერთოდ, ეროვნების, და, კერძოდ, ქართული ეროვნების წინააღმდეგ შეთქმულება მზადდება საღღაც ვირტუალურ სივრცეში. საქართველო ქართველთა თვალში მგრების მუდმივი სამიზნეა, უღანაშაულო მსხვერპლია". საქართველო თითქმის მუდმივად იდგა სახელმწიფოებრიობის დაკარგვა-შენარჩუნების ზღვარზე. ამ მუდამ „წითელ ზოლზე" სიარულმა, ცხოვრებამ ქართულ ეროვნულ იდენტობას ძლიერი მაორგანიზებელი ძალა შესძინა, ანუ ეს იყო თავისებური გადარჩენის ინსტინქტი, ამასთანავე, ქართული ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. „ცნობილია, რომ საერთოდ ეროვნულ იდენტობას აქვს საკმაოდ ელასტიური ბუნება, რაც მისი მდგრადობის და სიცოცხლისუნარიანობის გარანტიაა" (Kiknadze 2006: 269).

ამერიკული ეროვნული ცნობიერების კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ „ძლიერი საციონალური სულისკვეთების მქონე მოკავშირეებთან თუ მეგობრებთან ურთიერთობისას გარკვეული მოუქნელობა ამერიკული ნაციონალიზმის თავისებურებაა. ამერიკული ცნობიერებისთვის უბრალოდ მიუღებელია ის მოტივები და აზროვნების ლოგიკა, რომლებსაც მისი მოწინააღმდეგეები იყენებენ" (არქანია 2005: 64).. შესაძლებელია სწორედ ეს იყოს ისლამური ფუნდამენტალიზმის ჯეროვნად ვერშეფასების მიზეზი.

ხელოვნურად შექმნილი სოციალური ეტიკეტები:

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება იმ ხელოვნურად შექმნილ სოციალურ ეტიკეტებზე, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული დასავლეთის განვითარებულ საზოგადოებებში. ამერიკელი აქტორი პითერ ვილკელმი ამერიკული ცნობიერების კრიზისის შესახებ წერს: „ამერიკულ კოლეჯებზე ერთი თვალის შეყრებითაც ნათლად ჩანს, რომ ჩვენ დაკავებული ვართ მომავალ ლიდერთა ისეთი თაობების აღზრდით, რომელთა ცხოვრებაც ასეთი იდენტობის გამო სავსე იქნება მწუხარებითა და განცდებით. მაგალითისთვის, მხოლოდ პარეარდის სოციოლოგიის დეპარტამენტში თხუთმეტი კლასი შეისწავლის განსხვავებებს რასობრივ, გენდერულ, კლასობრივ თუ ეთნიკურ საკითხებში. ოცი კლასი შეისწავლის „უთანასწორობის" სხვადასხვა დონეებს, რა თქმა უნდა, სპეციალურ ყურადღებას უთმობენ ამ საკითხების ამერიკულ ვარიაციებს. ზოგიერთი ამ განსხვავებათაგანი, რომელიც ემყარება იდენტობის საკითხს, ობიექტურია, მათი ნაწილის განსაზღვრა კი ჩვენს ხელთაა. თუმცა, როგორც ჩანს, ამერიკელები საკმაოდ მოხერხებულად იგონებენ პრობლემატურ პიროვნულ თუ სოციალურ ეტიკეტებს. როგორც ნორთუესტერნის უნივერსიტე-

ტის პროფესორი კრისტოფერ ლეინი აღნიშნავს, „ამერიკამ მიაღწია ისეთ უპრას, როდესაც მისი მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი განსხვავებულად, ასე თუ ისე, მენტალურად დაავადებული" (Wilhelm, http://www.realclearpolitics.com).

ქართული ცნობიერების კრიზისი ვრცლადაა განხილული ზაზა ფირალიშვილის ნაშრომში „მცირე ერი და ისტორიული პერსპექტივა", რომელშიც ავტორი აღნიშნავს რომ 90-იანი წლების ქართული საზოგადოების კრიზისი მხოლოდნელობრივი გაურკვევლობის არქონა იყო. მხოლოდნელობრივი ორიენტირების არქონის შედეგია წარსულიდან აწმყოში იდეალების გადმოტანა. მისი აზრით, ჩვენი სულის ცხოველმყოფელი ძალები უფრო სიმბოლოთა შექმნას სჭარბებდა, ვიდრე სიმართლის მოპოვებას. ჩვენი ძიების მიზანია სიმბოლო, სოლო შემდგომ კი რაღაცის შესაბამისობა მასთან, რის მიხედვითაც ეს რაღაც ან აპრიორულად კარგია, ან აპრიორულად ცუდი.

ავტორის აზრით, ჩვენს საზოგადოებაში მომავალი თაობა იბრძვება არა იმ სინამდვილისათვის, რომელშიც მას ყოფნა მოუწევს, არამედ თავიდანვე გაორებულ სამყაროში აჩენენ მათ არსებობას. „ჩვენ უკვე მოვასწარით გაორებული ცნობიერების მატარებელთა თაობების გაბრძნება. მათთვის რეალური ცხოვრება თამაშდება იქ, სადაც თეატრალური მორალით აღჭურვილი პერსონაჟები სახლობენ. წარმოსახვითი სამყაროს მოწესრიგებისა და შელამაზებისაკენ წარვმართეთ მთელი ჩვენი ენერგია. შედეგად კი მივიღეთ დილებული ისტორია და თავგზარდაცემში აწმყო. ჩვენ ისტორია მაგიურ ფენომენად ვაქციეთ და ის ძალისხმევა, რაც აწმყოსა და მომავლისათვის უნდა მიგვეძღვნა, წარსულს მივუძღვენით (ფირალიშვილი 1994: 66).

აღნიშნულ ნაშრომში საგბარია იმაზეც, რომ 90-იანი წლების ქართული საზოგადოების ცნობიერების დამახასიათებელი თავისებურება იყო პოლიტიკური კულტურის დაბალი დონე, რაც გამოიხატა პოლიტიკური პროცესებისა და პოლიტიკური პირების მითოლოგიზირებით და პრიმიტიული დუალიზმით. ავტორის აზრით, მითოლოგიზირებული პოლიტიკა რელიგიური ტერმინოლოგიითა და კატეგორიებით იწყებს მეტყველებას. „ასეთ ინდივიდებს მხოლოდ ორგანზომილებიანი სამყარო ესაჭიროება. მისი სამყარო მხოლოდ მგრებით ან მოყვასებით უნდა იყოს დასახლებული. მოელენათა სხვაგვარი სედვა მისთვის არ არსებობს. არადა ისტორიამ ნათლად დაგვანახა სამყაროს ამგვარი მოდელირების მთელი სულიერი უმწეობა და ტრაგიზმი" (ფირალიშვილი 1994: 74).

დანაწევრებული ცნობიერება – FRAGMENTATION OF IDENTITY:

ამერიკის შეერთებულ შტატებში ცნობიერების დანაწევრება გამოიხატა მულტიკულტურალიზმისა და რასობრივი, ეთნიკური და გენდერული ცნობიერებების ამაღლებით. ამერიკის ელიტური და განათლებული საზოგადოების გარკვეულ ნაწილში საგრძნობლად შემცირდა ეროვნული თვითშეგრძნების დონე. გლობალიზაცია, მულტიკულტურულობა, კოსმოპოლიტიზმი, ემიგრაცია, სუბნაციონალიზმი თუ ანტი-ნაციონალიზმი ის ცნებებია, რომელთაც შეალახეს ამერიკული ცნობიერება. სამაგიეროდ, მნიშვნელობა შეიძინა ეთნიკურმა, რასობრივმა თუ გენდერულმა იდენტობებმა. აღნიშნული ფაქტის გაანალიზებით შეგვიძლია გამოვიტანოთ გარკვეული დასკვნები ქართულ საზოგადოებასთან მიმართებაშიც. თუკი ამერიკული ნაცია დაღგა ჩემოთ ჩამოთვლილი იდეოლოგიური კონცეპტების ჩემოქმედების ქვეშ, საინტერესოა, რა ცვლილებებს მოიტანს მათი დანერგვა ქართულ რეალობაში? სწორედ ამიტომ არის აუცილებელი ქართულ საზოგადოებაში დასავლური კონცეპტებისა და იდეოლოგიური ასპექტების დანერგვისას ჩვენი საზოგადოების თავისებურებების გათვალისწინება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არქანია, ნაგა. „ამერიკული ნაციონალიზმის თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე". ამერიკის შესწავლის საკითხები, III. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2005.
2. ვალერი, პოლ. „რჩეული პროზა." „ნაკადული", თბილისი, 1983.
3. ფირალიშვილი, ზაზა. „მცირე ერი და ისტორიული პერსპექტივა", „ნეკერი", თბილისი, 1994.
4. Huntington, Samuel. "Who are we?" Simon & Schuster, 2005.
5. Kiknadze, Tamara. "Georgian Identity and Political Culture", 3rd International Silk Road Symposium. The Black Sea Region Countries and Prospective Relations with European Union. 27-29 October, 2006 Tbilisi/Georgia.
6. "The Great American Identity Crisis." By Heather Wilhelm http://www.realclearpolitics.com/articles/2008/03/the_great_american_identity_cr.html

GIVI AMAGLOBELI
International Black Sea University, Research-Assistant
MA in International Relations

SUMMARY

IDENTITY ISSUES IN AMERICAN AND GEORGIAN SOCIETIES

The following article examines issues of identity in American and Georgian Societies. We focus on a National identity as of a wider dimension of this issue. The article is of a comparative character. We give the basic factors which formed American and Georgian National Identities and their typical characteristics. We discuss number of problematic points related with the national identity: difficulties in self-reflection and identification, future/ past oriented types of mentality, differences in self-identification, the factor of external threat -"other", artificially created social labels and fragmentation of identity. The special focus is made on the factor of external threats which form the paradoxical pattern of social interaction, being one of the main reasons for national salience and consolidation. Also, attention is paid to the social/psychological dimensions of Identity Crisis with its characteristics typical for both societies. Here we stress the psychological dilemma which reveals itself in such forms: Georgian society: Asian or European? American society: Nation of Settlers or nation of Immigrants? There can be found other dualistic tendencies on individual levels as well. For example: African-American, Hispanic-American, Muslim-American... Georgian-Muslim... Another crucial point is a future/past oriented mentality types of given societies. We examine past oriented mentality type from a critical point of view with its advantages and disadvantages. We tried to analyze the impact of artificially created social labels on individuals' consciousness which gained importance in last few decades in the West and particularly in American society.

ვასტანგ ამაღლობელი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ქართული თემა ჯონ დოს პასოსის ტრილოგიაში „აშშ“

გამომცემლობა „მოდენ ლაიბრერის“ 1937 წლის გამოცემაში, რომას „42-ე პარალელის“ შესავალში, დოს პასოსი ტრილოგიას „აშშ“ შემდეგნაირად აღწერს: “a long narrative which deals with the more or less entangled lives of a number of Americans during the first three decades of the present century... In an effort to take in as much as possible of the broad field of the lives of those times, three separate sequences have been threaded in and out among the stories. Of these *The Camera Eye* aims to indicate the position of the observer and *Newsreel* to give an inkling of the common mind of the epoch. Portraits of a number of real people are interlarded in the pauses in the narrative because their lives seem to embody so well the quality of the soil in which Americans of these generations grew”(Dos Passos 1996: 1268). („ერცელი ნარატივი, რომელიც ეხება უამრავი ამერიკელის მეტნაკლებად აწეწილ ცხოვრებას ამ საუკუნის პირველი სამი დეკადის განმავლობაში... მათი იმდროინდელი ცხოვრების რაც შეიძლება უფრო ერცლად გადმოსაცემად, ამ ამბებს შორის სამი განცალკაევებული თხრობაა ერთმანეთში ჩაწნული. ამათგან: „კამერის თვალის“ დანიშნულებაა დამკვირებლის პოზიციის აღწერა, „კინოქრონიკისა“ – ეპოქის საზოგადოებრივი მესხიერების ნართაულად გადმოცემა. ნარატივებს შორის ჩართულია მთელი რიგი რეალური ადამიანების პორტრეტები, რადგან, მგონი, ყველაზე კარგად მათი ბიოგრაფიები განასახიერებენ იმ ნიადაგის ხარისხს, რომელზედაც ამ ამერიკელთა თაობები აღიზარდნენ“). (ყველა დამოწმებული ციტატის თარგმანი ეკუთვნის სტატიის ავტორს).

ფაქტობრივად, ალბათ, მომავალში დოს პასოსის ეს განმარტება გახდა საფუძველი ტრილოგიის სტრუქტურულ-კომპოზიციური ანალიზის მკვლევართათვის, რომლებმაც ამ ნაწარმოებს დოს პასოსის ექსპერიმენტული ახალი ტიპის „ისტორიული ტრილოგია“ უწოდეს. ტრილოგია მეოცე საუკუნის პირველი სამი დეკადის პანორამულ მხატვრულ ისტორიას წარმოადგენს, რომელიც დოს პასოსის მოდერნისტულ-ექსპერიმენტული რომანების მწვერვალია და მთელი მისი სამწერლო შემოქმედების შედეგრადაა მიჩნეული.

ტრილოგიაში შესულია რომანები: „42-ე პარალელი“ (1930), „1919“ (1932)

და „დიდი ფული“ (1936). „42-ე პარალელში“ აღწერილია აშშ-ს მუშათა მოძრაობის აღმაელობა, „1919“-ში – პირველი მსოფლიო ომი და „დიდ ფულში“ – 1929 წლის ეკონომიკური კრიზისი. თითოეული რომანი შედგება ოთხი კომპონენტისაგან, გარკვეული თანმიმდევრობით რომ ესაცელებიან ერთმანეთს. ესენია: პერსონაჟთა ლიტერატურული პორტრეტები, ისტორიულ პირთა ბიოგრაფიები, „კინოქრონიკა“ და „კამერის თვალი“. სიუჟეტის განვითარება, თუმცა ტრადიციული გაგებით ამ სავარჯოებს სიუჟეტი არ გააჩნია, არ მიაყენება ამა თუ იმ გმირის ამბავს, არამედ ხლება ისტორიის განვითარების დარად, რაც დოკუმენტური მასალებითაა და ისტორიული პირების ბიოგრაფიებითაა წარმოდგენილი.

ტრილოგიაზე მუშაობის დროს დოს პასოსი ჯერ კიდევ კომუნისტური იდეებისადმი ლოიალურ დამოკიდებულებას გამოსახატავდა, მაგრამ მოგვიანებით, საბჭოთა კავშირში რამდენჯერმე სტუმრობისას, საბჭოური ცხოვრების ასლოს გაცნობის შედეგად ეს დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა.

დღეისათვის ცნობილია, რომ ჯონ დოს პასოსი ორჯერ ესტუმრა ჩვენს ქვეყანას. 1921 წლის აგვისტოში საქართველოში პირველი მოგზაურობა დოს პასოსს აღწერილი აქვს სტატიაში „გასაბჭოებული კავკასია“ (გაზეთი „ლიბერეითა“, აგვისტო, 1922წ.) და ესეების წიგნში „აღმოსავლეთის ექსპრესი“ (1927წ.), ხოლო მეორე მოგზაურობა – ესეების წიგნში „ყველა ქვეყანაში“ (1934წ.). ამიტომ, ბუნებრივია, დავინტერესდი აისახა თუ არა ამ ტრილოგიაში ავტორის საქართველოში მოგზაურობა და თუ აისახა, როგორ?

თუკი ტრილოგიის ტექსტში აისახებოდა დოს პასოსის პუბლიცისტურ-დოკუმენტურ წერილებსა და ესეებში საქართველოში მოგზაურობის შესახებ გადმოცემული შთაბეჭდილებები და მოსაზრებები, ჩვენი აზრით, ისინი უნდა შესულიყო ტრილოგიის მესამე წიგნში „ბევრი ფული“, რომელიც ქრონოლოგიურად ესება გასული საუკუნის 20-იან წლებს, როდესაც დოს პასოსმა ორჯერ იმოგზაურა საქართველოში, ანდა ტრილოგიის სებისმიერი წიგნის „კამერის თვალის“ სერიებში, რადგან კარლ როლისონის აზრით: “Dos Passos paints his imaginary portraits... There is Dick Savage, a literary Harvard graduate who resembles the author in several ways... He serves in the ambulance corps, caring for the mutilated and deranged”(Rollyson 2000: 919). („დოს პასოსი ქმნის ერთგვარ ავტოპორტრეტს „კამერის თვალის“ მეშვეობით... დოს პასოსი ხატავს თავის წარმოსახვით პორტრეტებს. დიკ სევიჯი, პარვარდის კურსდამთავრებული ლიტერატორი ზოგიერთი რამით წააგავს ავტორს“) ან კიდევ „კინოქრონიკების“ სერიებში, რადგან კარლ ვიბსონის მისვლით: “In the trilogy, Dos Passos also manages to insert himself

(as author or artist) into the text. This is, ironically, most evident in the "objective" Newsreels, in which the author edits and creates a montage, while the deeply subjective Camera Eye segments imply an unedited stream-of-consciousness" (http://hdl.handle.net/1951/43059 Text and Context: Rethinking John Dos Passos, Post-Revolutionary Soviet Filmmakers, and the Modern Novel, Gibson, Karen, 12-May-2008. p.43). („ტრილოგიაში დოს პასოსი ახერხებს საკუთარი თავი (როგორც ავტორი ან სელოვანი) ჩასვას ტექსტში... ეს, რაც არ უნდა ირონიულად ჟღერდეს, ყველაზე აშკარად „ობიექტურ“ „კინოქრონიკაში“ ჩანს, სადაც ავტორი რედაქტირებას აკეთებს და ქმნის მონტაჟს, ვიდრე ღრმად სუბიექტური კამერის თვალის სეგმენტში, რომელიც არარედაქტირებულ ცნობიერების ნაკადს წარმოადგენს“).

ტრილოგიის მესამე წიგნში „ბეერი ფული“ მისიშნებაც კი არ არის ავტორის საქართველოში მოგზაურობაზე, ხოლო რაც შეეხება „კამერის თვალისა“ და „კინოქრონიკის“ სერიებს, აქაც, ამ ტექსტებში, აღნიშნულ მოგზაურობას პირდაპირ არსად ასხენებს, სხვათაშორის, ისე, როგორც დანარჩენ მის მოგზაურობებს სხვა ქვეყნებში. მაგრამ დოს პასოსის განმარტება რომ გამოვიყენოთ, ქართულ თემასთან დაკავშირებული სამი ფაქტი: ქართული ღვინო, ქართული მანგანუმი და „პრინცი მიწვრაშიალე“ „ჩაწნული“ აქვს მხატვრულ თუ არამხატვრულ / დოკუმენტურ, „სუბიექტურ“ თუ „ობიექტურ“ თხრობაში. აქედან შეეხები მხოლოდ პირველ ორს, რადგან, მართალია, მესამე საკითხთან დაკავშირებით გარკვეული ქარაუღები კი გამაჩნია, მაგრამ ვთელი, რომ ეს საკითხი ცალკე მსჯელობის საგანია.

ტრილოგიის მეორე წიგნში „1919“ მოცემულია ცნობილი ამერიკელი დიპლომატისა და ჟურნალისტის პაქსტონ ჰიბენის ბიოგრაფია, რომელმაც თავისი დიპლომატიური მოღვაწეობა 1905 წელს სანკტ-პეტერბურგში დაიწყო. 1912 წელს დაანება თავი დიპლომატიურ სამსახურს, დაბრუნდა სამშობლოში და რუზველტის საარჩევნო კამპანიაში ჩაერთო. იგი 1914-1915წწ. „კოლიერ უიკლის“ სამხედრო კორესპონდენტი და ასოშეიტედ პრესის თანამშრომელია ევროპაში; 1915-1917წწ. „ლესლი უიკლის“ სამხედრო კორესპონდენტია ახლო აღმოსავლეთში. 1921 წლის იენისიდან დეკემბრამდე „ახლო აღმოსაელეთის დასმარების მისიის“ ხელმძღვანელია. მის ბიოგრაფიაში დოს პასოსი წერს: "Kakhetian wine, vodka fresh as new mown hay, Astrakhan caviar, sturgeon, Finnish salmon, Lapland ptarmigan, and the most beautiful women in the world;"(Dos Passos 1996: 512). („კახური ღვინო, ახალი მოთიბული თივასავით გრილი არაყი, ასტრახანის სიზილალა, თართი, ფინური ორაგული, ლაპლანდიური კაკაბი, და მსოფლიოს საუკეთესო ქალები“).

ერთი თვალის გადაელებით, მართალია, კახური ღვინო საერთაშორი-

სო დელიკატესების თაეში კი დგას, მაგრამ რჩება შთაბეჭდილება, თითქოს უადგილოდ არის „ჩამოსტაეებული“, რადგან დოს პასოსი თაეის მოგონებებში, რომლებიც საქართველოში მოგზაურობას უკავშირდება, არსად პაქსტონ პიბენზე არ საუბრობს, კასურ ღვინოზე კი – საკმაოდ ხშირად. იგი სტატიაში „გასაბჭოებული საქართველო“ აღნიშნავს: "At the top of the yellow hill that overhangs Tiflis, sitting in front of a glass of wine of Kakhetia. A huge wind out of the east lashes my legs with the stained table-cloth"(Dos Passos 1988: 67). („ეზიარ ყვითელი მთის წვერზე, ტფილისს რომ გადაჰყურებს. წინ მიდგას ერთი ჭიქა კახური ღვინო, აღმოსავლეთის, ძლიერი ქარი ლაქებიან მაგიდას სუფრას ფესებში მიტლაშუნებს"). ავტორი თბილისის ფუნიკულიორზე ყოფნის ამ ეპიზოდს „აღმოსავლეთის ექსპრესში“ უფრო ვრცლად გადმოგვცემს და კახური ღვინის ნომერსაც ამუსტებს: "Back from a walk over the hills. I sit at a table outside a little shanty, drinking a bottle of wine of Kakhetian N66"(Dos Passos 1927: 54). („სეირნობის შემდეგ პატარა ქოხის წინ მაგიდას შემოეუჯექი და N66 კახურ ღვინოს შევექეცი“).

პაქსტონ პიბენის ბიოგრაფიაში ნახსენებია კახური ღვინო არის რემინისცენცია, რომელიც ასოციაციურად დოს პასოსისა და პიბენის საქართველოში ერთად ყოფნას უკავშირდება. მართალია, დოს პასოსი „აღმოსავლეთ ექსპრესში“ არსად არ საუბრობს იმის თაობაზე, რომ იგი პირველად საქართველოში პაქსტონ პიბენმა ჩამოიყვანა, მაგრამ ეს ცნობილი ფაქტია. ისინი კონსტანტინოპოლში შესულნენ ერთმანეთის და გემით ბათუმში ჩამოვიდნენ, სადაც რამდენიმე დღე დაჰყვნენ და შემდეგ მატარებლით თბილისში გამოემგზავრნენ. სწორედ პიბენი შეპირდა მას თბილისში არსებულ „ახლო აღმოსავლეთის“ მისიაში სამუშაოზე მოწყობას, რაც რატომღაც არ მოხერხდა. ამიტომ დოს პასოსმა საქართველოში, დაახლოებით, მხოლოდ ორი კვირა გაატარა და შემდეგ, მისივე გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „აღმოსავლეთში გასამგზავრებელმა ამერიკელმა“ (east-bound American), მოგზაურობა აღმოსავლეთისაკენ განაგრძო.

საინტერესოა, რომ არც პაქსტონ პიბენი ახსენებს დოს პასოსს, თუმცა თბილისში, „გრუზინსკი ბაღში“, ყოფილ სათავადაზნაურო კლუბში, იგივე "Jardin des Petit Champs"-ში (ფრ. – ბაღი პატარა ველზე), ჩემის აზრით, ერთად სადილობა ცალ-ცალკე აქვთ აღწერილი.

დოს პასოსი „აღმოსავლეთ ექსპრესში“ აღნიშნავს: "The east-bound American had dinner of caviar and tomatoes and Gruzinski shashlik and watermelon washed down with the noble wine of Kakhetia in the pleasant gone-to-seed Jarden des Petits Champs, where nobody thinks of cholera or typhus or the famine along the Volga " (Dos Passos, 1927: 56). („აღმოსავლეთში გასამგზავრებელ ამერიკელს სადილად სიზილალა, პომიდორი, გრუზინსკი შაშლიკი და სა-

გამთრო პქონდა. ყველი დიდებული კახური ღვინით ჩაიკოკლოზინა ისეთ სასიამოვნო, ღარიბულ Jardin des Petits Champs-ში, სადაც არაყის ფიქრობს ვოლგისპირეთში არსებულ ქოლერაზე, პარტახტიას ტიფსა თუ შიშველ-ზე").

პაქსტონ პიბენი გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" 1921 წლის 27 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „რუსეთის წითელი არმიის საშუალო სკოლა; რუსეთის წითელი არმია" წერს: "Tiflis or New York", said my companion, the methods of law evasion seem strangely alike". On the whole, however, there are few little oases like the Pettit Champs restaurant, where one may eat out of doors under the moonlight flittered through the trees of what was once some one's private garden and have all the wonderful dishes, from caviar to cabbage..."(Hibben, The New York Times, November 27, 1921). („ტფილისი თუ ნიუ–იორკი, – შენიშნა ჩემმა თანამგზავრმა, – კანონის თავიდან აცილების მეთოდები ყველგან საოცრად ერთგვაროვანია. თუმცა მთლიანობაში, აქაც იპოვიდით რამდენიმე ისეთ პატარა ოაზისს, როგორიც Petit Chams-ის რესტორანია, სადაც ღია ცის ქვეშ, მთვარის შუქით განათებული ხეების ქვეშ, ერთ დროს კერძო მფლობელის ბაღში, შეიძლება ისაღილო და მიირთვა ჩინებული კერძები, სიზილალიდან დაწყებული კომბოსტოთი დამთავრებული...").

ზემომოყვანილი მსჯელობიდან, ეფიქრობთ ნათელია, ერთი შესედვით თითქოს უადგილოდ „ჩამონტაჟებული" კახური ღვინო რატომ მოიხსენიება პაქსტონ პიბენის ბიოგრაფიაში.

ამავე რომანში „1919" ყურადღებას იპყრობს ერთ-ერთი თავი ნარატივების სერიიდან „რიჩარდ ელსეორტ სეივიჯი", რომელშიც აღწერილია ამერიკელთა თავყრილობები პარიზში საზავო კონფერენციის მიმდინარეობის დროს. ამ ეპიზოდში საინტერესოა დიკის, სავარაუდოდ ავტორისა და მისი ერთ-ერთი თანამემამულის რობინსონის დიალოგი. დიკის კითხვაზე: "Is the President going to recognize the soviets?..." რობინსონი პასუხობს: "I'm betting on it...I believe he's sending an unofficial mission. Depends a little on oil and manganese...it used to be King Coal, but now it's Emperor Petroleum and Miss Manganese, queen consort of steel. That's all in the pink republic of Georgia...I hope to get there soon, they say that they have the finest wine and the most beautiful women in the world. By God, I got to get there...But the oil...God damn it, that's what this damned idealist Wilson can't understand... the jolly old British army is occupying Mosul, the Karun River, Persia...now the latrine news has it that they're in Baku... the future oil metropolis of the world"(Dos Passos 1996: 664). („პრეზიდენტი საბჭოეთის აღიარებას აპირებს?..." „ნიძლავს ვაედებ... დარწმუნებული ვარ, იგი არაოფიციალურ მისიას აგზავნის. ცოტა

ნავთობსა და მანგანუმზეა დამოკიდებული... აღრე იყო მეფე ქვანახშირი, ახლა იმპერატორი ნავთობი და ახალგაზრდა ქალბატონი მანგანუმია, ფოლადის მეუღლე – ლეღოფალი. ეს ყველაფერი აყვავების სანაში მყოფ საქართველოშია... ეიმელოვსებ, იქ მალე ნავალ, ამბობენ, რომ ქართველებს მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ღვინო და ყველაზე უმშვენიერესი ქალები ჰყავთ. ღმერთის შეწევნით მე იქ აუცილებლად უნდა მოვხვდე... მაგრამ ნავთობი... ღმერთმა დასწყევლოს, ეს არის ის, რაც წყეულ იღეალისტ ეიღსონს არ ესმის... მსიარული, ძველი ბრიტანეთის არმია იკაყვებს მოსკლს, მღინარე ქარ ს, სპარსეთს... ყაზარმული ჰორებია, რომ ისინი ბაქოში არიან... მსოფლიოს ნავთობის ძიმაყალი მეტროპოლია").

ზემომოყვანილი ნაწყვეტი ქართული თემის თვალსაზრისით საინტერესოა ორი გარემოების გამო: ერთის მხრივ, კიღევ ერთხელ აღასტურებს დოს პასოსის დამოკიდებულებას ქართული ღვინისა და უმშვენიერესი ქართველი ქალების მიმართ, სხვათაშორის, ქართველი ქალების სილამაზეს პაქსტონ ჰიბენიც აღნიშნავს ნგრეს მიერ დამოწმებულ სტატიაში: "Beautiful Georgian ladies still bathe without bathing suits on Batum beach" (The New York Times, November 27, 1921). („ლამაზი ქართველი ქალბატონები ძველებურად საბანაო კოსტიუმების გარეშე ბანაობენ ბათუმის პლაჟზე"), და მეორეს მხრივ, ესება 1919 წლის, პარიზის საშვიო კონფერენციას, რომელზეღაც ხელი მოეწერა ვერსალის ხელშეკრულებას და საღაც, ფაქტობრივად, იმ დროისათვის წამყვან სახელმწიფოებს შორის გაშლილი იყო ბრძოლა ვაელესის სფეროთა მოსაპოვებლად და პოზიციების განმტკიცებისათვის მსოფლიოს ხელახლა გადასანაწილებლად. ამ თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესოა პარიზის სასტუმროებსა და კაფე-რესტორნების კულუარებში დოს პასოსის რომანის პერსონაჟების საუბრები და დიალოგები, რომლებშიც, ჩვენი აზრით, ბუსტაღაა ასახული ეს ისტორიული მოვლენა.

ძნელი საიქმელია ზემომოყვანილ ნაწყვეტში, კაპიტან სვენვჯისა და რობინსონის დიალოგში ბუსტად რომელ არაოფიციალურ მისიაზეა საუბარი, მაგრამ ისტორიული ფაქტია, რომ ჯერ კიღევ 1918 წლის 14 ღეკემბერს ბათუმს ამერიკის შეერთებული შტატების მისიის წარმომადგენელი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის რექტორი, საერთაშორისო სამართლის ღოქტორი ჯეღსონი ეწვია და საქართველოს მთავრობის წარმომადგენელ დიმიტრი თოფურიძესთან ნახევრადოფიციალური შესვედრა პქონდა. სოლო 1919 წლის მარტის შუა რიცხვებში, იმ დროს, როცა პარიზის კონფერენციაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურმა ღელეგაციამ კარლო ჩხეიძის მეთაურობით „ ...1919 წლის 14 მარტს პარიზის (ვერსალის) კონფერენციას... გადასცა მემორანდუმი, რომელშიც დასაბუთებული იყო საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტად

აღიარების შესახებ" (საქართველოს ისტორია XX საუკუნე, 2003: 74-75), საქართველოს მორიგი ამერიკული მისია ეწვია სმიტისა და მურის შემადგენლობით. ამჯერად, ქართულ მხარეს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი და შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი წარმოადგენდნენ.

ამერიკის პრეზიდენტი, ვუდრო ვილსონი არ ყოფილა იღბალისტი, როგორც ამას ნაწარმოების პერსონაჟები მიიჩნევენ. ამის თაობაზე დოს პასოსი ვუდრო ვილსონის ბიოგრაფიაში, ჩვენი აზრით, საკმაო სარკაზმითაც კი წერს:

"Will the help of Almighty God, Right, Truth, Justice, Freedom, Democracy, the Selfdetermination of Nations, No indemnities no annexations,

And Cuban sugar and Caucasian manganese and North-western wheat and Dixie cotton, the British blockade, General Pershing, the taxicabs of Paris and seventy five gun

We won the war" (Dos Passos 1996: 568).

(„ყოვლის შემძლე ღმერთის, სამართლიანობის, ჭეშმარიტების, მართლმსაჯულების, თავისუფლების, დემოკრატიის დახმარებით ერების თვითგამორკვევა, არა კონტრიბუციები არა ანექსიები,

და კუბის შაქარი და კავკასიის მანგანუმი და ჩრდილო-დასავლეთის ხორბალი და დიქსის ბამბა, ბრიტანეთის ბლოკადა, გენერალი პერშინგი, პარიზის ტაქსის მანქანები და სამოცდათხუთმეტი თოფი

ჩვენ მოვიგეთ ომი").

აღნიშნული საწყვეტიღან ნათელად ჩანს, რომ ვუდრო ვილსონს იღბალებზე საუბარი არ ეშლება, რაც, საერთოდ, ყველა პოლიტიკოსის დამახასიათებელია, მაგრამ ამერიკის გავლენის სფეროების მოსაპოვებლად, მათ შორის კავკასიური ანუ ქართული მანგანუმის საბადოების ხელში ჩასაგდებად რეალურ პოლიტიკას ატარებს. ამის დასტურია ის, რომ 1919 წლის 2 ოქტომბერს თბილისს გენერალ ჯეიმს ჰარბორდის ხელმძღვანელობით კიდევ ერთი მისია ეწვია. ეს უკვე ამერიკის მეორე ოფიციალური ექსპედიცია იყო, რომელიც ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში მოგზაურობდა. ექსპედიციის შედეგები და დასკვნები კი პრეზიდენტ ვილსონს განსახილველად და დასამტკიცებლად კონგრესისათვის უნდა წარედგინა. (Senate Document No.266, 66th Congress, 2nd Session).

სამწუხაროდ, ვერც ამ მისიებმა და ვერც ქართულმა დიპლომატიამ აშშ-სთან ჩვენი ქვეყნისათვის სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, რადგან აშშ-მ მხარი არ დაუჭირა საქართველოს სუვერენულ უფლებებს. პროფ. ნესტან კირთაძე საუბებით სამართლიანად აღნიშნავს: „ცხადია, მსოფლიო დიდი პოლიტიკური თამაშის წესებსა და მსოფლიოს გადანაწილების პრინციპებს

დიდი სახელმწიფოები აღგენენ, მაგრამ ერთი რამ ნათელია: ქართულმა დიპლომატიამ 1918-1921 წლებში სწორად ვერ გასწაღვერა ამერიკის შეერთებული შტატების როლი და ვერ შეძლო გაეცნო პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის ადმინისტრაციისათვის საქართველოს რეალობა და ისტორიული ფუნქცია, ყოველივე ეს იმღროისდელი ქართული დიპლომატიის საკლად უნდა ჩაითვალოს" (საქართველოს ისტორია XX საუკუნე, 2003: 79).

პარიზის საზაფო კონფერენციაზე, სამწუხაროდ, არც ევროპელებმა აღიარეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საერთაშორისო სამართალსუბიექტად. როგორც პროფ. ნესტან კირთაძე აღნიშნავს: „ევროპისათვის ყველაზე საინტერესო იყო ერთადერთი სტრატეგიული საკითხი, კერძოდ, საკითხი საქართველოს, როგორც ბუნებრივი გეოგრაფიული დერეფნისა, ანუ მისი სატრანზიტო ფუნქციისა... კონფერენციის დოკუმენტებში აღნიშნული იყო, რომ მიუხედავად საქართველოს არც ისე დიდი ტერიტორიისა, მისი ეკონომიკური რესურსები მეტად მნიშვნელოვანია, საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი სოფლის მეურნეობა, მდიდარი ტყეები, მაღნეულები, წყლის უსვი ენერგია, ხელსაყრელი კლიმატი. ნავსადგურები – ფოთი და ბათუმი შავ ზღვას აკავშირებენ ევროპასთან, სპარსეთსა და ცენტრალურ აზიასთან" (საქართველოს ისტორია XX საუკუნე, 2003: 75).

ამერიკელების ინტერესებიც, საქართველოს გეოგრაფიული სატრანზიტო ფუნქციისა და მისი ბუნებრივი რესურსების, კერძოდ ქართული მანგანუმის საბადოებისადმი იყო მიპყრობილი, რაც მოგვიანებით, იმითაც გამჟღავნდა, რომ 1925-1928წწ. ჭიათურის საბადო კონცესიით გადაეცა ამერიკულ კომპანიას „პარიმანი და კომპანია" (ქსე, ტ.11, თბილისი, 1987). ალბათ, ეს ფაქტი დაედო საფუძვლად ცნობილი ქართველი მწერლის, შალვა დადიანის სუთმოქმედებიან პიესას „შავი ქვა". მასში გადმოცემული ტრაგედია ეთვარდება ამერიკაში, ფოთსა და ჭიათურაში, ოციან წლებში საბჭოთა ხელისუფლების დროს.

დოს პასოსის ტრილოგიის მეორე წიგნიდან „1919" ჩვენს მიერ დამოწმებული ნაწყვეტი და შალვა დადიანის აღნიშნულ ტრაგედიაში აღწერილი ერთ-ერთი სცენა, რომელიც მილიარდერის კაბინეტში ხდება ამერიკაში, იმდენად ეხმიანება ერთმანეთს, რომ ამ სცენიდან რამდენიმე ამონარიდი ერთად მომყავს, რადგან ამერიკული და ქართული ტექსტები შინაარსითაც და ფრაზეოლოგიითაც იდენტურია:

„ქორი. შენა სარ სიამაყე ამერიკისა!

შენა სარ მეფე ფოლადისა!

მილიარდერი. ფოლადი! დიახ, ფოლადი და ოქრო! აი ორი ძალა, მამოძრავებელი მთელი ქვეყნის და ვის ხელშიაც დღეს ეს მძლავრი იარაღია..." (დადიანი 1961: 180).

„ქორი. მისია მბრძანებლობა მთელს ქვეყანაზე!
შენ დაანარცხე ევროპული ფოლადის წარმოება.
შენა სარ უდიდესი წვერი ამერიკის უდიდესი კონცერნისა:
„ბეთლემსტილ კომპანი“,
„იუნაიტედ სტეიტს სტილ კორპორეიშენ“.
ორთაე შენია, შენ სარ თავი ამ კონცერნების.
შენ სარ მეფე ფოლადისა!“ (დადიანი 1961: 181).

„იმ გვარი შაეი ქვა, როგორც საქართველოშია, მაისც არსად არ არის. თქვენ სასეთ როგორ იკლო ფოლადის ღირსებამ ამ უკანასკნელ ომის დროსა და რევოლუციის სანაში! ჩვენს ფოლადს აკლდა ქართული შაეი ქვა, მანგანეში საბჭოთა კავშირისა... აი სად უნდა დაეკრად ჩვენ... აი რა უნდა ჩაეიგდოთ ხელში...“ (დადიანი 1961: 181).

„მილიარდერი. (მდივანს) თქვენ მიიღეთ. გადაეცით რომ საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი მთავრობაში უკვე დაისვა. ჰე მსარს ჭუჭერ!“ (დადიანი 1961: 181).

„ქორი. ჩვენ მოვედით ველურ ქვეყანაში.
ველურ ქვეყანას პყავს თავისი მბეთუნახაეი, შაეი დედოფალი. ჩვენ უნდა მოუაროთ ამ შაე დედოფალს!“ (დადიანი 1961: 187).

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ამ ორ ნაწარმოებს შორის რაიმე კავშირი არსებობს და შეიძლება ლიტერატურულ ურთიერთგავლენებზე ვილაპარაკოთ. ამის თაობაზე ვარაუდის დონეზე მსჯელობაც კი შეუძლებელია, რადგან, ერთის მხრივ, ორივე ნაწარმოები ერთიდაიგივე წყალს გამოქვეყნდა, შესაბამისად საქართველოსა და ამერიკაში, და მეორეც, დოს პასოსის ნაწარმოებები საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო და გამორიცხულია შალვა დადიანს იგი წაეკითხა ანდა პირიქით, შალვა დადიანის ნაწარმოების გაცნობის საშუალება პქონოდა დოს პასოსს. თუმცა, ამ ორი ნაწყვეტის შინაარსობრიეი და ფრაზეოლოგიური თანხვედრა იმდენად იყალთაისაცემია, რომ შეიძლება კაცმა იფიქროს ზოგიერთი ფრაზის სიტყვა-სიტყვით თარგმანია შესრულებულიო, რაც უდაეოდ საბს უსვამს ჭიათურის მანგანუმის საბადოების საერთაშორისო მნიშნელობას. თუმცა, ერთ გარემოებაზე აუცილებლად მინდა გავამახეილო ყურადღება. ჩემი აზრით, ორივე მწერალი ერთნაირად კრიტიკულადაა განწყობილი ამერიკის ხელისუფლებისადმი. ამერიკელი დოს პასოსი იმის გამო, რომ მისი ქვეყნის იდეალები და რეალური პოლიტიკა არ ემთხვეეა ერთმანეთს, რაზედაც საგანგებოდ, ზოგჯერ სარკაზმითაც კი წერს, ხოლო ქართველი შალვა დადიანი ამ დამოკი-

დებულებას შეჟარული ტკივილით გამოსაგაეს, იმის გამო, რომ ამერიკის სელისუფლებამ აღიარა საბჭოთა კავშირი, უარყო საქართველოს სუვერენული უფლებები, მაგრამ ჩამოვიდა ამ „ველური ქვეყნის მშვიდობასაენის, შაეი დედოფლის მოსაელელად".

ერთი შესედვით, თითქოს მწირი მასალაა წარმოდგენილი ქართული თემატიკის თვალსაზრისით, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, იმას რომ ტრილოგიის სამივე წიგნი წარმოადგენს გასული საუკუნის პირველი სამი დეკადის ამშ-ს ისტორიის პანორამულ სურათს მსოფლიო ისტორიის განვითარების ფონზე, სადაც თვითონ ქვეყანა-ამშ ამ ეპოსის გმირია, თაეისი მოკრძალებული ადგილი საქართველოსაც უჭირავს, რასაც, ჩვენი აზრით, დღს პასოსის საქართველოში მოგზაურობამაც შეუწყო ხელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Condition In The Near East. Report of the American Military Mission to Armenia by Maj. Gen. James G Harbord U.S. army (appendix only) Presented by Mr. Lodge April. 13, 1920. Senate Document No.266, 66th Congress, 2nd Session. Washington Government Printing Office 1920.
2. Dos Passos, John. U.S.A. The 42nd Parallel, 1919, The Big Money. The Library of America, Literary Classics of the United States, Inc., New York, N.Y. 1996.
3. Dos Passos, John. The Major Nonfictional Prose, Edited by Donald Pizer, Wayne State University Press, Detroit, 1988.
4. Dos Passos, John. Orient Express, New York, Jonathan Cape and Harrison Smith, 1927.
5. Hibben, Paxton. "High School Of Russia's Red Army; Russia's Red Army". The New York Times, November 27, 1921.
6. Rollyson, Carl. "John Dos Passos" in: Critical Survey of Long Fiction, 2d Rev. Ed. Baruch College, City University of New York, 2000.
7. http://hdl.handle.net/1951/43059 Text and Context: Rethinking John Dos Passos, Post-Revolutionary Soviet Filmmakers, and the Modern Novel, Gibson, Karen, 12-May-2008.
8. დადიანი, შალვა. ტრაგედია „შაეი ქვა" რჩეული თხზულებანი, ტომი IV, სახელმწიფო გამომცემლობა, „საბჭოთა საქართველი", თბილისი, 1961.
9. საქართველოს ისტორია XX საუკუნე სასელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათეის, თსუ, თბილისის უნიეერსიტეტის გამომცემლობა, „არტანუჯი", თბილისი, 2003. 74-75 გვ.
10. ქსე მე-11 ტ. თბილისი, 1987წ. უილიამ ავერელ პარიმანი (1891-1986) – ამერიკელი პოლიტიკოსი, ბიზნესმენი, დიპლომატი.

VAKHTANG AMAGLOBELI
Akaki Tsereteli State University, Assoc. Prof.

SUMMARY

GEORGIAN THEME IN JOHN DOS PASSOS TRILOGY "USA"

John Dos Passos' Trilogy *U.S.A.* is a panoramic fictional history of America in the first three decades of the twentieth century, which is the apex of Dos Passos's modernist-expressionistic novels; generally acknowledged as his masterpiece, it is on this work that his reputation rests. The trilogy includes the following novels: *The 42nd Parallel* (1930), *1919* (1932), and *The Big Money* (1936). The *42nd Parallel* describes the rise of the working class movement in America, the *1919* - the First World War and *The Big Money* – economic crisis in 1929.

While working on the novels of his future trilogy he was loyal to the communist ideas, but later after several visits to the Soviet Union, getting acquainted closure to the soviet life his attitudes changed abruptly. At present we know that he traveled twice to Georgia. His first journey to Georgia in 1921 Dos Passos described in the article entitled "The Caucasus under the Soviets", which was published in the newspaper "Liberator" dated by August 22, 1922 and in his book of essays *Orient Express* (1927) and the second journey in 1928 in the book of essays *In All Countries* (1934). So, my interest was natural to investigate how the impressions got in Georgia was reflected in the Trilogy, if it was reflected at all.

Dos Passos doesn't mention directly anywhere in the text about his travel to Georgia, but to use his own definition, three facts regarding to the Georgian theme: the Georgian wine, the Georgian manganese and "Prince Mingraziale" have been "threaded in and out" among the fictional or non-fictional, "subjective" or "objective" stories of the text. I'm discussing the first two facts only, nevertheless I have my suppositions about the third one, I consider it should be argued separately.

It's true that in *Orient Express* Dos Passos doesn't mention anything about Paxton Hibben, but it's notorious fact that Paxton Hibben offered him to travel together to Georgia. So, the Kakhetian wine mentioned in the biography of Paxton Hibben is the reminiscence associated with their visit to Georgia in 1921.

The second book of the trilogy *1919* mostly is devoted to the Paris Peace Conference. To my mind very interesting talks and dialogues carried out by the characters of Dos Passos' novel in the backstairs of the hotels, restaurants and cafes in Paris literally describe the historical events.

Americans interest towards the Georgian manganese ores was later debunked

by taking the concession of Chiatura Manganese by Harriman and Company in 1925-1928. Presumably on the basis of this fact was written the five-act play *The Black Stone* of the famous Georgian writer Shalva Dadiani. The tragedy described in this play tooks place in America, in Poti and Chiatura in 20s during the soviet rule

At a glance the materials presented in respect of the Georgia theme seems scanty, but if we take into consideration that the trilogy itself represents the panoramic picture of the USA history of the first three decades of the last century in the context of the world development, where the Country itself the USA is the hero of this epoch, thanks to Dos Passos' travels, Georgia takes its modest place in this trilogy.

ირაკლი გორგილაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი

„ამერიკული იდეა“ და ტოტალური კონტროლის დოქტრინა

გეოეკონომიკურ სივრცეში გლობალური პოლუსი ნიშნავს სუბიექტს, რომელიც სხვა სუბიექტებს თავისი ეკონომიკური ძლიერებით აღემატება მინიმუმ 2-3-ჯერ. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური პოტენციალი არ წარმოადგენს სიძლიერის სინონიმს, თუმცა სიძლიერე ქმნის პოლუსს. პოლუსის სუბიექტი გარდაიქმნება ძალთა ცენტრად, თუკი მისი საგარეო პოლიტიკური ძლიერება კონკურენტი სუბიექტის საგარეო პოლიტიკურ პოტენციალს აღემატება მინიმუმ 4-ჯერ.[1] თუკი ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, დღეისთვის მსოფლიოში არსებობს ერთი რეალური, გლობალური „ძალთა ცენტრი“ – აშშ. ამერიკული პოზიციების გამყარებას დიდად შეუწყო ხელი „ამერიკული იდეის“ განხორციელებამ XX საუკუნეში, რომელიც ასევე წარმატებით სრულიელდება XXI საუკუნეში. ზ. ბჟეზინსკი აღნიშნავს, რომ „პირველად ისტორიაში „არაევროპული“ სახელმწიფო აღმეჭდა არამხოლოდ ევრაზიის არამედ მსოფლიო არბიტრის როლში“.[2]

II მსოფლიო ომიდან აშშ გამოვიდა ძლიერ ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ სახელმწიფოდ. აქტიურობამ საშოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში – საგარეო პოლიტიკაში, უკიდეგანო ჩრდილოამერიკული კონტინენტის წარმატებით ათვისებაში, ინდუსტრიულმა და სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებამ, მოსახლეობის უმეტესი ნაწილის კეთილდღეობის გაუმჯობესებამ და ზესახელმწიფოს სტატუსმა გააძლიერა რწმენა ამერიკის „განსაკუთრებულობაზე“. გაჩნდა განსაკუთრებული მისიის იდეა (manifest destiny), რომლის ძირითადი შინაარსი თავისუფლების, დემოკრატიისა და მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა იყო არამარტო ამერიკელთათვის, არამედ სხვა ერებისთვისაც (თუკი ისინი ამერიკულ ფასეულობებს აღიარებდნენ).

„ამერიკული იდეის“ მნიშვნელობის ანალიზისთვის აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ ამერიკულ მენტალობაზე. რჩეულობის იდეა, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ელემენტია ამერიკელთა მენ-

[1] Арин О. Движение – все, цель – ничто! Законы международных отношений и Россия // «Профи», 2001.№1-2 с.95.

[2] Бжезински Збигнев. Зыбучие пески гегемонии. О США www.geopoliticalnews.com

ტალობის ფორმირებაში. როგორც წესი, მას ეკონომიკური მიზეზებით სხვიან და იმ ტრიუმფებს უკაეშირებენ, რომლებიც აშშ-ში მიმდინარეობდა მთელი XX და ესლა უკვე XXI საუკუნეში. თუმცა მისი ფესვები, ეფიქრობთ, გაცილებით ღრმაა და ის არანაირად არ უკავშირდება ეკონომიკას, რადგან პრინციპულად განსხვავებულ სფეროში – რელიგიაში აღწევს. თუმცა შემდგომში იდეამ ტრანსფორმირება განიცადა და კონკრეტული პროგრამის ფორმა მიიღო, რაც „ამერიკული იდეის“ სახელწოდებით გახდა ცნობილი.

XVIII საუკუნეში აღნიშნულმა იდეამ დაკარგა რელიგიური ელფერი და გაცილებით პრაგმატული სახისათი შეიძინა. სწორედ ასეთია ის ბენჯამინ ფრანკლინის ცნობილ „ავტობიოგრაფიაში“. ასევე თავისებურად ქცევს ტომას ჯეფერსონისეულ თავისუფლების დეკლარაციაშიც.

ამერიკული საზოგადოება იმ სახით, რა სახითაც დღეს არსებობს, ძირითადად იქმნებოდა ადამიანებისგან რომლებიც თავიანთ ქვეყნებში იდევნებოდნენ (მაგ., ინგლისში პროტესტანტობისთვის). სწორედ დევნამ აიძულა ისინი გადასახლებულიყვნენ ახალ სამყაროში. გადასახლებულთა მნიშვნელოვან ნაწილს მორწმუნეები შეადგენდნენ. თავიანთ შვილებთან ერთად მომაეალი ამერიკის შეერთებული შტატების ლიტერატურის, რელიგიის, ფილოსოფიისა და საღეთო სჯულის საფუძვლებს ქმნიდნენ. ეკონომიკური განვითარების საზი ახალ სამყაროში მატერიალური კეთილდღეობის მისაღებად ჩასულმა „უცხოელებმა“ განავითარეს.[3] ამერიკაში ჩასახლებულთა ორ ასეთ კატეგორიაზე წერს XVII საუკუნის ცნობილი ავტორი უილიამ ბრედფორდი თხზულებაში „პლიმუტის ჩასახლებების ისტორია“.

პურიტანებად წოდებულ ამერიკელ პროტესტანტებს მკაფიოდ განსაზღვრული კონცეფცია გააჩნდათ, რომელშიც საკვანძო იდეა საკუთარი ისტორიის „ისრაელის ძეთა“ ისტორიასთან შედარება იყო, რამაც ამერიკელთა განსაკუთრებულობის იდეის ფორმირებას შეუწყო ხელი. ს. ბერკოვიჩს თავის ნაშრომში „ამერიკელთა პიროვნების პურიტანული საწყისი“ მოჰყავს მღვდლის, სამუელ უეემანის ქადაგებიდან ციტატა რომელიც ახალ ინგლისში ცხოვრობდა XVII საუკუნეში: „იერუსალიმი იყო, ახალი ინგლისი არის, ისინი იყვნენ, თქვენ ხართ უფლის შვილები... „იერუსალიმის“ ნაცვლად გამოიყენეთ სიტყვა „ახალი ინგლისი“ და თქვენ ნათლად გაიგებთ თქვენი საქმის მნიშვნელობას“.[4]

---

[3] Мишина Л.А. Американская словесность XVII века и последующая литературная традиция //XVII век в диалоге эпох и культур: Материалы научной конференции. Серия "Symposium". Выпуск 8. - СПб.: Издательство Санкт-Петербургского философского общества, 2000. с.27-28.

[4] New Haven - London, 1976. p. 31.

აღნიშნული პერიოდის ამერიკული ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი სახე მოსეა. ახალ სამყაროში გადასახლებას პურიტანელები აღიქვამდნენ როგორც თავისუფლებას. რაც მათთვის სისას ულაბირთში, ისრაელის ძეთა გადაადგილებასთან ასოცირდებოდა.

1823 წელს თავის გზავნილში აშშ-ს პრეზიდენტმა მონროემ გააქერა მონროს დოქტრინა, რომელშიც მკაფიოდ იყო წარმოჩინებული „ამერიკული იდეა", რომელიც შემდგომში უაქტობრივად მთელი XIX-XX საუკუნეების მანძილზე აშშ-ის იდეოლოგიას წარმოადგენდა. გეოპოლიტიკურ პერსპექტივაში მონროს დოქტრინა სიერცის ათვისებისა და ამერიკული კონტინენტალური იმპერიის ფორმირების საშუალებად იქცა. ამერიკელი პოლიტოლოგი ქ. ქოლემანი აღნიშნავს, რომ „მონროს დოქტრინის პოლიტიკური მითი ამერიკული იმპერიის შექმნის პარალელურად იქმნებოდა... პეგემონია, ისევე როგორც იმპერია, მალეგიტიმირებელ მითოლოგიას მოითხოვს... ათვისებულ ახალ სიერცეებს მითოლოგია აკანონებს: „ჩვენ ებატონობთ შენზე, რადგან ეს შენს ინტერესებს ემსახურება", პეგემონური წესრიგის კონტექსტში, მითოლოგიამ უნდა შექსას რწმენა, იმისა, რომ არსებული ბატონობა და ქვეშეერდომობა ბუნებრივია და ურთიერთ სასარგებლო, სოლო ისინი, ვინც ამას ეჭვის ქვეშ აყენებენ ან უბრალები, ან კიდეე დამსაშაეები და ცოდვილები არიან"[5]. „მონროს დოქტრინის შესახებ ჩემთვის ცნობილია მხოლოდ ორი რამ: პირველი, ამერიკელ პოლიტიკოსთა შორის, მე ვისაც შევხვედრივარ, არავინ მის შესახებ არაფერი იცის, და მეორე, ყველა ამერიკელი, ვისაც კი შეეხვედრივარ, თავს უფლებას არ მისცემს დოქტრინა გააკრიტიკოს... აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დაეასკვნათ, რომ მონროს დოქტრინა – არა დოქტრინა, არამედ დოგმაა, ამასთან ორი დოგმა: ამერიკელი პრეზიდენტისა და მისი საგარეო პოლიტიკის უცოდველობის დოგმა".[6]

დიდი ამერიკული სიერცის ორგანიზაციის პრინციპები ასახულია მონროს დოქტრინის სხვადასხვა დამატებებში, ოლნის დამატებით დაწყებული (პანამის შექმნა) პლათთისა და თეოდორ რუზეველტის დამატებებით დასრულებული.[7] ეს ის პერიოდია, რომელზეც უ. უათი წერს: „როცა ესპანე-

---

[5] Coleman, Keneth M. The Political Mythology of the Monroe Doctrine: Reflections of the Social Psychology of Domination in Martz, John D. and Schoultz, Lars (eds) Latin America, the United States and Inter-American System (Wetview Press, Boulder, Co. 1981) p.p. 99, 100, 110.

[6] de Madariaga , Salvador Latin America Between the Eagle and the Bear (Praeger, New York, 1962) p. 74.

[7] ოლნის დამატების მიხედვით, ამმ ნება კანონად გამოცხადდა ლათინურ ამერიკაში, პლათთის დამატებამ გაამყარა ამერიკული პროტექტორატი, ხოლო რუზეველტის 1904 წლის დამატებით აშშ-ს ნება აღიარებულ იქნა საერთაშორისო სამართლის ერთადერთ მთავარ პრინციპად ამერიკის კონტინენტზე.

ლები ჩაგებარდნენ კუბაზე და პუერტო-რიკოსა და ფილიპინების დაკავების საშუალება მოგეცეს, სწორედ მაშინ გადაუხვია ამერიკამ თავისი გზიდან, რომელსაც ის მსოფლიო ბატონობისაკენ მიპყავდა. მსოფლიოში განთქმული იქნა ამერიკული იმპერიალიზმი, ჩვენ გაგვკიცხეს ცხოვრების ახალი სტილისათვის".[8]

ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი ეოლტერ ლაფებერი აღნიშნავს, რომ 1895-1905 წლებში დასრულდა ამერიკული პეგემონობის ძირითადი დოქტრინების იურიდიული ფორმირება. „მონროს დოქტრინა რუზველტის დოქტრინად იქცა. რის შემდეგადაც ის აშშ ძალთა პოლიტიკის ფუნდამენტად გადაიქცა, თუმცა პროპაგანდისათვის და აშშ ისტორიის მისტიფიკაციისათვის ის ძველებურად მონროს დოქტრინის სახელითაა ცნობილი".[9]

პარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ნაუმ ჩომსკი მონროს დოქტრინას ამერიკის ცალსახა აღიარებად ახასიათებს და მას: „ძარცვისა და ექსპლუატაციის" თავისუფლებას უწოდებს.[10]

ცხადია, ზესახელმწიფოს ინტერესები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ დასავლეთ ნასევარსფეროთი, მონროს დოქტრინა მოიცავდა არა მხოლოდ ხმელეთს. „საზღვაო ძალის" იდეა შემუშავებულ იქნა მეხენის მიერ თავის წიგნში „საზღვაო ძალის გავლენა ისტორიაზე 1660-1783წწ"[11], რომელიც პირველად 1890 წელს, ბოსტონში გამოიცა. ბრიტანეთისა და საფრანგეთის საზღვაო ფლოტის მოქმედებების ისტორიული მასალა მეხენს მხოლოდ იმპერიალისტური თეორიების ბაზისთვის სჭირდებოდა. მეხენი ცდილობდა დაესაბუთებინა თეზა, რომლის მიხედვით „საზღვაო ძალა" ანუ სახელმწიფოს უნარი შეტევითი ომი განახორციელოს ზღვაზე განმსაზღვრელი ფაქტორია. „საზღვაო ძალა" აღნიშნავდა მეხენი, აშშ-ს სჭირდება გარე სამყაროს ცივილიზებისათვის"[12].

XIX საუკუნის 90-იან წლებში ამერიკული გეოპოლიტიკის ერთ-ერთი მამამთავარი ფედერიკ თერნერი „მოძრაეი საზღვრების" თეორიით გამოვიდა, რამაც XX ასწლეულში აშშ პოლიტიკაში „ღია კარების" პრინციპებში ჰპოვა ასახვა. თერნერის სახელს უკავშირდება მითიური „წყნარი ოკეანის საუკუნე", რომლის ბედი გეოგრაფიულ და სხვა მიზეზთა გამო

---

[8] White, William A. An Authobiography (New York, 1946) p. 319.

[9] LaFeber , Walter, The Evolution of the Monroe Doctrine from Monroe to Reagan in Redifining the Past. Essays in honor of Wiliam Appleman Williams (Oregon State University Press, Covvaless, Oregon, 1986) p. 123.

[10] Chomsky, Noam, On Power and Ideology (South and Press, Boston, 1987) p.7.

[11] Mahan, A.T., The Influence of Sea Power upon History, 1660-1783 (Boston, 1890).

[12] LaFeber, Walter, The New Empire. An Interpretation of American Expansion 1860-1898 (Cornell University Press, Itaca and London, 1963) p. 100.

მჭიდროდაა დაკავშირებული აშშ-სთან. თერნერს მიაჩნდა, რომ აშშ-ს არ გააჩნია განსაზღვრული საზღვრები – ისინი ცვალებადია. ამერიკის ისტორიული მისია, საკუთარი საზღვრების მუდმივ ბრდაშია, და ეს მანამ, ვიდრე მთელი სამყარო ამერიკულ სამყაროდ არ გადაიქცევა. „აშშ ისტორიული ცხოვრების სტილი – ექსპანსიაა... საგარეო პოლიტიკის დინამიკის იმპერატივები კი: წყნარი და ატლანტიკის ოკეანეების დამაკავშირებელი პანამის არხის გაჭრა, ამერიკის „საზღვაო ძალის“ ჩამოყალიბება და ექსპანსიონიზმის გაგრძელებაა“[13].

თერნერის იდეებს მხარი დაუჭირა ვუდრო ვილსონმა, ის წერდა: „ამერიკის კონტინენტი დაპყრობილია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ და ჩვენს ცივილიზაციებს ემსახურება. დროა ყურადღება სხვა ქვეყნებსაც მივაპყროთ“[14].

ბრუქს ადამსი, აკავშირებდა რა აშშ-ს ეკონომიკურ და სამხედრო ექსპანსიას, აღნიშნავდა რომ ეკონომიკური იმპერიალიზმი – სამხედრო შოქმედებების არსია, ხოლო „ღია კარების“ პოლიტიკა ომია სხვა ხერხებით. „ომი – ქვეყნებს შორის ეკონომიკური პაექრობის კულმინაციაა. რაც ნიშნავს, რომ საერთაშორისო ეკონომიკური პაექრობა, ახალი ბაზრების ათვისების მიზნით, აუცილებლად ომით უნდა დასრულდეს. მთელი ისტორია ამ ფაქტის დაღასტურებაა“.[15] გერმანელი გეოპოლიტიკოსის, ოტო მაულის მისედვით, „სრული ეკონომიკური შეღწევა იგივეა, რაც ტერიტორიული ოკუპაცია“[16].

მონროს დოქტრინა ერთა ლიგის წესდებაში XXI თავად შევიდა. რითაც ბოლო მოეღო მანამდე არსებულ საერთაშორისო სამართალს – Jus Publicum Europaeum. ცნობილი გერმანელი იურისტი კ. შმიდტი წერდა, ერთა ლიგის წესდებაში მონროს დოქტრინის გაერთიანებით ევროპა პირველად დამარცხდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ასევე მოიშალა ვესტფალის ზავითა (1648წ., და ვენის კონგრესის (1815. შედეგად საერთაშორისო სამართალში გაბატონებული პრინციპები.[17]

---

[13] Williams, William Appleman The Tragedy of American Diplomacy New York, 1959, 1962) p. 112.

[14] Faragher, John Mack Introduction to Turner, F.J. The Significance of the Frontier in American History (Henry Holt and Company, New York, 1995), p. 8.

[15] Williams, William Appleton The Shaping of American Diplomacy (Rand McNally Company, Chicago, 1972) p. 423.

[16] Поздняков Э.А. Геополитика. М.: Издательская группа «Прогресс»: «Культура», 1995, с. 36.

[17] Carl Schmitt Der Nomos der Erde im Völkerrecht des jus publicum Europaeum, Cologne, 1950.

ეულრო ვილსონისა და მისი მომსრეებისთვის „ღია კარების“ პრინციპი ასალი მსოფლიო იმპერიის შექმნის ამერიკული ვერსია გასდა. რაც „თავისუფალი ვაჭრობის“ და ინტერვენციის „უფლების“ პრინციპებს ეფუძნებოდა. „მე გთავაზობთ, რომ ყველმა ერმა ერთსმად მიიღოს მონროს დოქტრინა მსოფლიო დოქტრინის სახით“[18].

განსაკუთრებით გააქტიურდა აშშ საგარეო პოლიტიკა თეოდორ რუზველტის საპრეზიდენტო პერიოდში, მესენის იდეებით გაჯერებულმა რუზველტმა განაცხადა, რომ „მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი ომის ტრიუმფია“. თავის წიგნში „დასავლეთის დაპყრობა“ ის წერდა, რომ თეთრკანიანთა მიერ „ველური დასავლეთის“ დაპყრობა ეს იყო რასობრივი ომი ანგლო-საქსებსა და ინდიელებს შორის[19].

რუზველტი ევრაზიის კონტინენტის მნიშვნელობას ასევე მაქინდერის თეორიების ჭრილში განიხილავდა. დ. სლოუნი აღნიშნავს: „ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რუზველტის მიერ ევრაზიული კონტინენტისათვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება მაქინდერის თეორიების დამსახურებით განისაზღვრა“[20]. მაქინდერი თვლიდა რომ ევრაზიული სივრცე პართლენდად წოდებული (Heartland) მსოფლიო ბატონობისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონია. მაქინდერს ეკუთვნის აგრეთვე ცნობილი სამი მაქსიმი:[21]

- ✓ ვინც მართავს აღმოსავლეთ ევროპას, ის ბატონობს პართლენდზე;
- ✓ ვინც მართავს პართლენდს, ბატონობს მსოფლიო კუნძულზე;
- ✓ ვინც მართავს მსოფლიო კუნძულს, ბატონობს მსოფლიოზე.

1943 წელს მაქინდერმა განავითარა ჩრდილო ატლანტიზმის კონცეფცია, რაც სსრ კავშირის უნდობლობით იყო განპირობებული. აღნიშნული თეორიის ანალიზით სარგებლობდნენ შემდგომში ზ. ბჟეზინსკი, კ. გრეი, რ.ს. კლაინი და სხვანი. „ამერიკის იდეის“ არსის გაგება აგრეთვე შესაძლებელია „დიდი საჭადრაკო დაფის“ და სხვა დასავლელი ავტორების შრომების ანალიზით, თუმცა ამჯერად მსოლოდ მონროს დოქტრინით შემოვიფარგლებით.

ამრიგად, აღნიშნული ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება: ამერიკული იდეა, ამერიკული მენტალობის პირდა-

[18] Knock, Thomas J., Woodrow Wilson and the Quest for a New World Order (Princeton University Press, Princeton, 1992) p. 113.

[19] Preface by Hart A.B. to The Works of Theodore Roosevelt (Charles Scribner's Sons, New York, 1926).

[20] Sloan G.R. Geopolitics in United States Strategic Policy, 1890-1987 (Wheatsheaf Books, Brighton, 1988) p. 113.

[21] Колосов В.А., Мироненко Н.С. Геополитика и политическая география: Учебник для вузов.- М.: Аспект Пресс, 2002, с.60.

პირი გამოელინებაა, რომელმაც კულტურულ-ისტორიული ტრანსფორმაცია განიცადა.

მთავარი დოკუმენტი, რომელმაც ამერიკულ იდეას იდეოლოგიის შინაარსი მისცა – მონროს დოქტრინა იყო, რითაც ფაქტობრივად აშშ საკუთარი გეოპოლიტიკური სტრატეგიის რეალიზება დაიწყო. შეერთებული შტატების პოლიტიკური ისტორია, პოლიტიკის, კულტურის სამხედრო და ეკონომიკური ექსპორტია. რაც საბოლოო ჯამში მას გეოპოლიტიკურ არბიტრად აქცევს.

„ამერიკული იდეის" ფენომენი იმაში მდგომარეობს, რომ ის, ჯერ ერთი, განსაკუთრებულად სიცოცხლისუნარიანია; მეორე, თავის საფუძვლებში მას არ გააჩნია საერთოსაკაცობრიო ფასეულობები (რადგან სამხედრო ძალის გამოყენებას არ გამორიცხავს); მესამე, მას ყველა შანსი აქვს XXI საუკუნეში „ტოტალური კონტროლის" დოქტრინად იქცეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Carl Schmitt Der Nomos der Erde im Völkerrecht des jus publicum Europaeum, Cologne, 1950.
2. Coleman, Keneth M., The Political Mythology of the Monroe Doctrine: Reflections of the Social Psychology of Domination in Martz, John D. and Schoultz. Lars (eds) Latin America, the United States and Inter-American System (Wetview Press, Boulder, Co, 1981), p.p. 99, 100, 110.
3. Chomsky, Noam, On Power and Ideology (South and Press, Boston, 1987), p.7.
4. de Madariaga, Salvador, Latin America Between the Eagle and the Bear (Praeger, New York, 1962), p. 74.
5. Faragher, John Mack, Introduction to Turner, F.J. The Significance of the Frontier in American History (Henry Holt and Company, New York, 1995), p. 8.
6. Knock, Thomas J., Woodrow Wilson and the Quest for a New World Order (Princeton University Press, Princeton, 1992), p. 113.
7. LaFeber, Walter, The Evolution of the Monroe Doctrine from Monroe to Reagan in Redefining the Past. Essays in honor of William Appleman Williams (Oregon State University Press, Covvaless, Oregon, 1986), p. 123.
8. LaFeber, Walter, The New Empire. An Interpretation of American Expansion 1860-1898 (Cornell University Press, Itaca and London, 1963), p. 100.
9. Mahan, A.T. The Influence of Sea Power upon History, 1660-1783 (Boston, 1890).
10. New Haven - London, 1976, p. 31.
11. Preface by Hart A.B. to The Works of Theodore Roosevelt (Charles Scribner's Sons, New York, 1926).
12. Sloan G.R. Geopolitics in United States Strategic Policy, 1890-1987 (Wheatsheaf

Books, Brighton, 1988), p. 113.
13. White, William A., An Authobiography (New York, 1946). p. 319.
14. Williams, William Appleman, The Tragedy of American Diplomacy New York, 1959, 1962,), p. 112.
15. Williams, William Appleton, The Shaping of American Diplomacy (Rand McNally Company, Chicago, 1972), p. 423.
16. Арин О. Движение – все, цель – ничто! Законы международных отношений и Россия // «Профи», 2001.№1-2, с. 95.
17. Бжезински Збигнев. Зыбучие пески гегемонии. О США www.geopoliticalnews.com
18. Колосов В.А., Мироненко Н.С. Геополитика и политическая география: Учебник для вузов.- М.: Аспект Пресс, 2002, с. 60.
19. Мишина Л.А. Американская словесность XVII века и последующая литературная традиция //XVII век в диалоге эпох и культур: Материалы научной конференции. Серия "Symposium". Выпуск 8. - СПб.: Издательство Санкт-Петербургского философского общества, 2000, с. 27-28.
20. Поздняков Э.А. Геополитика. М.: Издательская группа «Прогресс»; «Культура», 1995, с. 36.

IRAKLI GORGILADZE
Batumi Shota Rustaveli State University, Senior Teacher

SUMMARY

"AMERICAN IDEA" AND DOCTRINE OF TOTAL CONTROL

It is well known that XX-XXI centuries are the epoch of realization of "American idea". The USSR - one of the Superpowers in contest with American values failed, the bipolar system of international relations collapsed. At the moment the world community faces many questions: what will be the principals defining a new world order and would be able the USA to be an arbiter of New World?

The USA activity almost in every sphere of community life, especially in foreign policy, getting hold of the North American continent in successful way, the growth of industry and agriculture, the prosperity of the most population and position of the Superpower have strengthened the Americans confidence in the USA exceptionality. The idea of American extraordinary mission (manifest destiny) has emerged. The fulfillment of its main basis (liberty, democracy and welfare) is crucial not only for Americans so for other nations too, that are ready to get American values.

The American idea has both the period of rise and fall as well. But it has retained its attractiveness for a long time.

რუსუდან დაუშვილი
ილია ჭავჭავაძის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ქართველი მილიონერები ამერიკაში

XX საუკუნის I ნახევრის ქართულ ემიგრაციაში იყვნენ ისეთი მღიდრებიც, რომელთა ქონებამ მილიონს გადააჭარბა; მათ შორის ამერიკაში მცხოვრები მრეწველები: გრიგოლ კობახიძე (ჯორჯ კობი), დიმიტრი მეგრეველი (მაიკ მიტო), გიორგი მაჩაბელი (პრინცი მაჩაბელი), ავთანდილ მერაბიშვილი, ბანკირები: ვასილ დუმბაძე, ალექსი მღებანი და სხვები.

პირველი ქართველი, რომელიც ამერიკელ მილიონერთა სიაში აღმოსნდა, იყო მისი მრეწველი გრიგოლ კობახიძე (ჯორჯ კობი). რაჭველი გლეხის ოჯახში დაბადებული 14 წლის ბიჭი ტექსტილოგიას ბორჯომის, თბილისის, ოდესისა და დომბასის მისის ქარხნებში დაეუფლა. შემდეგ ლერმანიაში და ინგლისში გაემგზავრა, 1909 წ. – ნიუ-იორკში. „ჯენერალ ელექტრიკის“ ფირმაში მუშაობით, ავტომატურ საწერ-კალმებზე პატენტია და შცირე ბიზნესით დაგროვა ფული. 1919 წ. დიდი ქარხანა გაიარათა ბოსტონთან, მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ეტლებორიში. 1922 წ. დარეგისტრირდა კომპანიამ “The Cobi Glass Products Company” მალე გაითქვა სახელი. საქონელბრუნვა 15 მილიონს დოლარს შეადგენდა, შემოსავალი – 4 მილიონს. მილიონერის სტატუსთან ერთად იყო 60-ზე მეტი პატენტის ავტორი.

საქართველოში დიდი მისის ქარხნის აშენებაზე საბჭოთა მთავრობის უარის შემდეგ გადაწყვიტა თავის კუთხეს დახმარებოდა. 1925-1928 წწ. სამშობლოში ორჯერ ჩამოვიდა. თავის სოფელს, თხმორს აუშენა სკოლა, აფთიაქი, მღინარეზე გადო 2 ხიდი, შეაკეთა ეკლესია, გასწია საყაჭრაფეთი და ა.შ. დაეხმარა უამრავ გაჭირვებულს. ამ დროს გაიცო, რომ დაჭერას უპირებდნენ და სასწრაფოდ გაემგზავრა ქვეყნიდან. 1929-1933 წწ. კრიზისის, „დიდი დეპრესიის“ ქამს კობის წარმოება გაკოტრდა, მაგრამ ფარსმალი არ დაუყრია: თავის სახლთან მოაწყო მისისა და საწერ-კალმების, საკანცელარიო ნივთების პატარა ფაბრიკა. 1941 წ. აშშ-ს II მსოფლიო ომში ჩაბმის შემდეგ, წარმოების აღსადგენად გრიგოლმა მთავრობას მიმართა. მიიღო ლიცენზია და 2 მილიონი დოლარი.. მოკლე ხანში როდ-აილენდის შტატის ქალაქ პატაკეტში ქარხანა აამუშავა. მისი პროდუქცია საველე პოსპიტალების, საავადმყოფოების, ლაბორატორიებისათვის კანადასა და მოკავშირეებსაც მიეწოდებოდა. ომის შემდეგ დაამზადა ფერადი მინის ელექტროსანთლები და ნაძვის ხის სათამაშოები, რომლებიც ქართული დრო-

შისფერ ყუთებში იყო ჩალაგებული და ინგლისურად და ფრანგულად ეწერა: „კობი. მინის საშობაო ხის ორნამენტები, კობი – ეს შობაა“. გ რ ი გოლ კობახიძე დიდი ქველმოქმედიც იყო. პყიდა სტიპენდიანტები, მათ შორის ცნობილი რეჟისორი ეასო ყუშიტაშვილი. ბევრს დაეხმარა დიდი კრიზისის დროს. ომის შემდეგ ფულით, ტანსაცმლით, წამლებით, პირველი მოხმარების ნივთებით ეხმარებოდა ევროპასა და დანგრეულ გერმანიაში მცხოვრებ ქართველებს, აფინანსებდა მათ ჩაყვანას ამერიკაში და ა.შ. (დაუშვილი 2002: 18-31).

1948 წ. 2 ქარხანას ცოლთან ერთად უძღვებოდა. გრიგოლს შვილი არ ჰ ყავდა. სცადა ამერიკაში ნათესავების ჩაყვანა, მაგრამ სსრ კავშირში დაწყებული რეპრესიების გამო მათთან ურთიერთობა შეწყვიტა. მისის წარმოების მცოდნე ქართველები ვერც ემიგრაციაში მოძებნა. 1967 წ. როდესაც გრიგოლ კობახიძე გარდაიცვალა, მისი მემკვიდრეები კომპანიონები, ძმები ჯიში და ჯული პაგლისები გახდნენ. მათ სახელი არ შეუცვალეს წარმოებას და 80-იანი წწ. კაბინეტში გრიგოლ კობახიძის დიდი ფოტო ეკიდათ. დღეს კი ყველას შეუძლია ისურნეტმაღაზიაში იხილოს კობის საშობაო სის მინის სათამაშოები (www.gadgetell.com).

კანადასა და ამერიკაში ოქროსა და ალმასის მრეწველი დიმიტრი მეტრეველი რაჭის სოფელ უწერაში დაიბადა. ბავშვობაში თანასოფლელთა გან სწორად ესმოდა ამერიკის ამბები. 1913 წ. 18 წლის მიტოც გაჰყვა ერთ ჯგუფს ამერიკაში, სადაც უკვე მრავლად დახვდნენ ქართველები. მეტრეველი ჯერ სიეტლში ჩავიდა, შემდეგ ვანკუვერში, ბოლოს კვებეკის მახლობლად პატარა ქალაქ ვალდორში დასახლდა. დაოჯახდა, ლიტვური წარმოშობის ქალი შეირთო, სამი შვილი – ორი ვაჟი და ქალიშვილი შეეძინა. ბევრი ხელობა მოსინჯა, სანამ „ოქროს ციებ-ცხელება“ შეეყრებოდა. ამერიკის კონტინენტზე ოქროს დამუშავება პირველად 1823 წ. სწორედ კვებეკში დაიწყეს. მიტომ მალე მიაკვლია ოქროს და მაღაროები აამუშავა. ახალ დასახლებას მისი გვარის მისედვით „მეტრეველი“ ეწოდა. მაიკ მიტომ (ასე უწოდებდნენ) ბედი ალასკაზეც სცადა. მის მაღაროებს იქ „მიტოს ანომალიები“ უწოდეს. მალე გამდიდრდა, მაგრამ სიმდიდრეს არ შეუცვლია, ყველას ესმარებოდა: კანადაშიც და საქართველოში, თუმცა სამშობლოში ჩამოსვლა ოცნებად დარჩა.

1929-1933 წწ. კრიზისის დროს დაბა მეტრეველი და „ანომალიები“ დაცარიელდა, თუმცა მიტო კვლავ შეძლებულ კაცად რჩებოდა. 1945 წ. ტორონტოში ახალი, ალმასის დამუშავებელი სალოტას საწარმო გამართა. კანადური გაზეთები აღნიშნავდნენ მიტოს ღვაწლს ოქროს მრეწველობაში (Quebek file Ranger 1945).

1970 წ. მიტო გარდაიცვალა. მისი საქმე უფროსმა ვაჟმა აგვუსტ (აგი)

მიტომ განაგრძო. გახდა კომპანია "Augimitto Explorations Limited" დამფუძნებელი და "Cache d'or Resourses Inc" პრეზიდენტი. მის ბიზნესს დიღად აფასებდა და ხელს უწყობდა კანადის ხელისუფლება... კევებეკთან ახლოს კი ისევ არსებობს მეტრეველი – დიმიტრი მეტრეველის სასელობის ქალაქი... (დაუშვილი 2003: 79-82)

შექსპირის მთარგმნელის, ივანე მაჩაბლის ძმისწულმა, გიორგი მაჩაბელმა თბილისის გიმნაზია და ბერლინის სამთო აკადემია დაამთავრა. როგორც ეროვნულ-დემოკრატი, საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი, იყო 1914 წ. შვეიცარიაში შექმნილი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" წევრი, მისი ფილიალის საქართველოში დამაარსებელი, გერმანული წყალქვეშა ნავებით იარაღის შემოტანის, სხვა უამრავი საქმის ინიციატორი და შემსრულებელი, დამოუკიდებლობის წლებში – საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი იტალიაში. ოკუპაციის შემდეგ ამერიკაში გადასახლდა, ნიუ-იორკში გახსნა ანტიკვარიატის მაღაზია. მალე გაირკვა, რომ მუშტრებს მისი ჰობი, სუნამოების შეზავება, უფრო აინტერესებდათ. ამიტომ პარიზში მიიღო გამოცდილება და 1926 წ. გახსნა საკუთარი კომპანია.

პირველი სუნამოს, გაფორმებაში მაჩაბლების გერბზე გამოსახული სამეფო გვირგვინი გამოიყენა. „საქართველოს დელფინის" ჯერიანი ოქროს გვირგვინის ფორმის ფლაკონმა ამერიკული საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია (www.auntjudysattic.com). საფირმო ნიშანი „პრინცი მაჩაბლის გვირგვინი" სხვა სუნამოებს, მეთ „აბანოს", ოდეკოლონს, პუდრსა და პომადასაც ამშვენებდა. ეს გვირგვინები გიორგიმ მალე მთელს ამერიკას მოსდო. კომპანიამ წარმატებით გადალახა 30-იანი წწ. კრიზისი და ფილიალებიც დააარსა. სარკეებით მორთული ულამაზესი მაღაზია პარიზში სახელგანთქმული „შანელის" მაღაზიის წინ გახსნა, რათა ხალხს ამ ფირმის კონკურენტი ჰგონებოდა. ამ მანევრმა იმოქმედა და დიდი მოგებაც მოუტანა. 10 წელიწადში მაჩაბელმა ჰობიდან მილიონიანი ბიზნესი შექმნა და ნოვატორიც გახდა. იმ დროს ამერიკას საკუთარი საპარფიუმერიო შრომელობა არ გააჩნდა. ძირითადად ფრანგული პროდუქციის ცუდი ასლები შეადგებოდა, არომატისათვის კი მკერდზე ყვავილებსა და თაიგულებს იძაგრებდნენ. ასე რომ, გიორგიმ თავისი ჰობით შეავსო სიცარიელე, რაც ამერიკულ საპარფიუმერიო წარმოებაში არსებობდა (დაუშვილი 2002: 32-49).

ბიზნესს იგი საზოგადო საქმეებისათვის არ ჩამოუშორებია. იყო 1931 წ. ამერიკაში ქართული სათვისტომოს დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, მისი თავმჯდომარე, ხაზინადარი. დიდ დახმარებას უწევდა სათვისტომოს და გაჭირვებულ ქართველებს.

1935 წ. მარგში შანხაისა და კალიფორნიაში ფილიალები გახსნა. დაბრუნდა

გაღაღლილი, გაცივებული. მიუხედავად იმისა, რომ პწკმოხიას უკვე კურსაღწსს, ერთ კეირაში ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. ემიგრანტთა საწილმა მისი მოულოდნელი სიკვდილი საბჭოთა სპეცსამსახურების დაბრალა. მე-5 ავენიუზე მოწყობილი ბრწყინვალე სალოცი მისმა მეუღლემ, ნორისა მაჩაბელმა გასსა, სადაც გამოუცია გიორგის პორტრეტი სამეფო რეგალიებით (New-York herald tribune 1957: 2). გიორგი მაჩაბლის მიერ დაფუძნებული ფირმა "Prince Matchabelli" კოსმეტიკურის შტატში დღესაც არსებობს, პროდუქციის უმეტესობაც მისი რეცეპტით გამოდის და, რაც მთავარია, საფირმო ნიშანიც იგივეა – გიორგი მაჩაბლის მიერ შექმნილი ემბლემა – ქართულჯვრიანი სამეფო ოქროს გვირგვინი...

პოლიტიკური ემიგრაციის წინააღმდეგობის შესახსუსტებლად საბჭოთა მთავრობამ მისი საწილი მოისყიდა, საწილი დაარწმუნა საბჭოთაში დაბრუნების აუცილებლობაში. 1925 წ. პარიზში, ეროვნულ-დემოკრატმა გრიგოლ ვეშაპელმა თავისი გაზეთის , ახალი საქართველოს" ფურცლებზე, ემიგრანტებს სამშობლოში დაბრუნებისაკენ მოუწოდა და მსურველთა შეგროვება დაიწყო. საციოსალისტური ორგანიზაციის, „თეთრი გიორგის" წევრებმა სალხს დარწმუნება დაუწყეს, რომ დაბრუნება დაღუპვას ან ციმბირში გადასახლებას მოასწავებდა. საციონალისტთა და ვეშაპელის ჯგუფის წევრებს შორის კამათი შეტაკებით დასრულდა. პოლიციამ ორივე მხარე დააპატიმრა. გრიგოლ ვეშაპელი გამტყუნდა და ჯარიმაც დაეკისრა, სასამართლოდან გამოსული კი ახალგაბრდა პატრიოტმა ავთანდილ მერაბიშვილმა მოკლა.

იტალიელმა ადვოკატმა მირო ჯიაუერიმ, ფრანგმა პოლიტიკოსებმა პიერ რენოდელმა და ედუარდ მარკემ სასამართლო პროცესი საქართველოს დასაცავ მიტინგად და ოკუპანტთა გასამართლებად აქციეს. ვეშაპელის ვექილმა, კომუნისტმა ტორეზმა მერაბიშვილის სიკვდილით დასჯა მოითხოვა. ამ დროს სიტყვა ითხოვა რუსმა პოეტმა კონსტანტინე ბალმონტმა. მან განაცხადა, რომ ათეული წლები თარგმნიდა შოთა რუსთაველის პოემას, არაერთხელ ეწვია საქართველოს და კარგად ჩაწვდა ქართველთა ბუნებას, რომლებიც 700 წელია „ვეფხისტყაოსნის" იდეალებზე იზრდებიან; რომ ყველაზე ძძიმე დანაშაული ქართველისათვის რწმენის, სამშობლოსა და მეგობრის ღალატია; ვეშაპელმა ეს ბნეობრივი პრინციპები დაარღვია და დაისაჯა კიდეც. ბალმონტის გამოსვლამ იმოქმედა და სასამართლომ მერაბიშვილს მსოლოდ საფრანგეთიდან გასახლება მიუსაჯა. განდევნილი ბერლინის ბირჟაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობით გამდიდრდა. II მსოფლიო ომის შემდეგ სამხრეთ ამერიკაში წავიდა, ჩილეში გვარჯილისა და სპილენძის საბადოები იყიდა, მოგებული მილიონებით კი ატლანტიკის ოკეანის ნაპირზე რესტორნების ქსელი და სააყარაკო ქალაქი გააშენა. ქუჩებს

ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ცენტრალურ გამგირს გადამრჩენლის, შოთა რუსთაველის სახელი უწოდა (ლიტერატურის მატიანე 1992: 327-387).

რუსთაველის პოემასთან მერაბიშვილის ურთიერთობა ამით არ ღასრულებულა. მისი ინიციატივითა და ღაფისანსებით: 1953-1958 წწ. გამოიცა ვიქტორ ნოზაძის გამოკვლევის „ვეფხისტყაოსნის“ განკითხვანის“ ექვსი წიგნიდან ოთხი; 1966 წ. რუსთაველის 800 წლის იუბილეზე დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ გუსტაფო დელა ტორეს ესპანური თარგმანი; ჩილელი მხატვარის მიერ შექმნილი რუსთაველის პორტრეტი ამშვენებდა ჩილელ მწერალთა ასოციაციის მიერ მოწყობილ საიუბილეო საღამოს მოსაწვევს. მერაბიშვილი მასპინძლობდა ყველა ქართველს, ვისც კი ჩილეში ჩაღიოდა. მათ შორის პოეტ იოსებ სონეშვილს. ჩილეში საგასტროლოდ ჩასული სუხიშვილების ანსამბლის წევრები ავთანდილმა რესტორანში დაპატიჟა, ქალებს „პრინც მაჩაბელის“ სუნამოები აჩუქა, ვაჟებს – ოქროს პორტსიგარები.

სამწუხაროდ, ჩილეში დიდად დაფასებული ავთანდილ მერაბიშვილის ბიოგრაფიის შემდგომი დეტალები უცნობია. ვიცით მხოლოდ, რომ 60-იანი წწ. ბოლოს, გაურკვეველ ვითარებაში მოიკლა თავი, რასაც ემიგრანტთა საწილი ასევე საბჭოთა სპეცსამსახურებს უკავშირებდა. არ ვიცით, რა ბედი ეწია ჩილეში მერაბიშვილის ქონებას და ქალაქს, რომლის ჩუქებაც თბილისის უნივერსიტეტისათვის უნდოდა....

ვასილ დუმბაძე დაიბადა ოზურგეთის სოფელ შემოქმედში. თბილისის გიმნაზიისა და ლაიფციგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კომერციასა და ფინანსისებს მოჰკიდა ხელი და მალე მორგანის რუსეთ-ამერიკული ბანკის ერთ-ერთი დამფუძნებელი გახდა. ვასო დიდი პატრიოტი იყო. მონაწილეობდა პეტროგრადში ქართული ეკლესიის დაფუძნებაში, იყო ქართველ დაჭრილ ჯარისკაცთა დამხმარე საზოგადოების გამგეობის წევრი, იბრძოდა რუსეთის I მსოფლიო ომში.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ამერიკაში გაემგზავრა. 1925 წ. ნიუიორკში გამოსცა წიგნი "The Caucasian Republics", რომელშაც ამერიკული საზოგადოებისა და ქართული ემიგრანტული წრეების ყურადღება მიიპყრო (Dumbadze 1925). 1926 წ. საქართველოს ლტოლვილმა მთავრობამ იგი ამერიკაში თავის წარმომადგენელად დანიშნა (ბრძოლა, 1926, 18). მალე მისი თაოსნობით და ცნობილი დიპლომატების, პესრი და ლეონ ვილსონების თავმჯდომარეობით დაარსდა „ამერიკული საზოგადოება კავკასიისათვის“ და „საქართველოს უფლებების დაცვის კომიტეტი“ (საქართველო, 1929: 2). მათი წყალობით კონგრესმა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი ორგზის განიხილა და წიგნიც გამოსცა. ვასო შემდეგაც ცდილობდა საქართველოს საკითხით ამერიკის სელისუფლების დაინტერესებას (ბრძოლა 1929:

16), მაგრამ ევროპაში დიდი ომი მწიფდებოდა და ამერიკას საქართველოსთვის აღარ ეცალა. მართალია, ვასილ დუმბაძეს ამერიკაში საკუთარი ბიზნესი არ წამოუწყია, მაგრამ როგორც მორგანების ბანკის ფინანსისტი, მდიდარი იყო. საკუთარი მდგომარეობის, უმდიდრესი ცოლის, გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნის“ მეწილისა და თვით გაზეთის წყალობით ვასო ყველა უწყებაში ადვილად აღწევდა და დიდხანს იყო საქართველოს არაოფიციალური ელჩი. ვასო იყო 1931 წ. ქართული სათვისტომოს დაარსების ერთერთი ინიციატორი. ფინანსურად ესმარებოდა და აქტიურად მონაწილეობდა მის საქმიანობაში. ორჯერ თავმჯდომარედ აირჩიეს. ესმარებოდა გაჭირვებულებს ამერიკაში, ეკონომიკური კრიზისითა და II მსოფლიო ომით მოცულ ევროპაში. მისი დახმარებითა და თანადგომით ამერიკაში ჩავიდა არაერთი ქართველი. ქართველი ახალგაზრდებისათვის კი ამერიკის უნივერსიტეტების საცხოვრებლით, კვებითა და სტიპენდიით უზრუნველყოფილი ადგილები ჩაჰქონდა (დაუმვილი 2002: 70-81).

ვასილ დუმბაძე 1943 წ. გარდაიცვალა. დასაფლავებულია ნიუ-იორკში. მას მემკვიდრე არ დარჩენია. დის შვილის, რუსუდან (ლულუ) ჩეჩელაშვილის ცნობით, შემოქმედში დედისათვის გადაგზავნილ ანდერძში დასახელებული იყო 27 მილიონი. ვასოს ანდერძი მერე მილიციის უფროსმა წაიღო და ღვემდე არავინ იცის ან ანდერძი სადაა, ან ნაანდერძევი მილიონები...

გენერალი ზაქარია მდივანი – 5 ულამაზესი შვილით (სერგო, დავითი, ნინო, რუსუდანი, ალექსი), რომლებსაც კარგი განათლება პქონდათ მიღებული, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში აღმოჩნდა. ალექსი 14 წლიდან ებრძოდა ემიგრანტულ სიღარიბეს, 17 წლისა ოჯახის მეგობარმა ამერიკელმა კემბრიჯის კოლეჯში მიაბარა, სადაც მალე გაითქვა სახელი, როგორც სპორტსმენმა და მომხიბლელმა პიროვნებამ. კოლეჯის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ნიუ-იორკის სიტი ბანკის პარიზულ განყოფილებაში. 1931 წ. პარიზში საქართველოს მთავრობის ლეგაციის მდივნად მიიწვიეს. ბუნებრივი ნიჭის წყალობით მისთვის „ღია იყო ყველა კარი სპორტის, ხელოვნებისა და ლიტერატურის სამყაროში“ (la revue diplomatique 1932: 14-15). მის პოპულარობას ზრდიდა პოლოს ცხენოსანთა გუნდის კაპიტნობა და საერთაშორისო ასპარეზობებში მონაწილეობა. ალექსი პატრიოტი და ქველმოქმედიც აღმოჩნდა: ეხმარებოდა საქართველოს საელჩოს და ქართულ ორგანიზაციებს პარიზში, ხშირად აწყობდა შეხვედრებს პოლიტიკოსებთან, თავისი ხარჯით გზავნიდა დელეგატებს იქ, სადაც საქართველოს საკითხი იდგა. თვითონაც მიდიოდა, თუ ამის საჭიროება იყო.

ამერიკაში გადასახლებული, სილამაზითა და არისტოკრატიზმით გამორჩეული სამი ძმა მდივანი პოლიეუდის ვარსკვლავთა შორის ტრიალებდა.

თავადურ წოდებას, ფრანგულად „Prince“, ისინი სამეფო სახლის ჩამოშავალთა რანგში აპყავდა, რასაც წარმატებითაც იყენებდნენ. სერგო და დავითი მუსჯი კისოს ვარსკვლავებზე პოლა ნეგრისა და მეი მერპიჩე დაქორწინდნენ. დავითმა შემდეგ კალიფორნიაში ნავთობის ჭა შეიძინა და ძალიან გამდიდრდა. ნინო ამერიკელ ადვოკატს, მწერალ კონან-დოილის შთამომავალს გაპყვა ცოლად, ნიჭიერი მოქანდაკე რუსუდანი – პარიჩში განთქმულ ესპანელ მსატვარ-მონუმენტალისტს, ხოზე მარია სერტის.

მომხიბლელი და გულისხმიერი ალექსი მუდამ საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო. ნდობის მოპოვებასაც აღვილად ახერხებდა, რადგან გულთან მიპქონდა სხვისი გასაჭირი, ყოველთვის პოულობდა სახსარს მათი დასახმარებლად, სიტყვებს – ნუგეშის საცემად. პირველი ქორწინება ცნობილ და მდიდარ ლუიზა ასტორთან მალე დაირღვა. 1933 წ. ამერიკის უმდიდრეს და ულამაზეს ბარბარა ჰატენზე დაქორწინდა. იმავე წელს პარიჩში, საქართველოს მთავრობის ლეგაციის ნაცელად შექმნილ „ლტოლვილთა ოფისის“ მდივნად დაინიშნა. უფრო გააფართოვა ქველმოქმედება. ესმარებოდა: ქართულ კოლონიას, ტუბერკულოზით დაავადებულ, უმუშევარ და ყოფილ ქართველ მსედართა დამხმარე კომიტეტებს, დააწესა 15 სტიპენდია ველმოკლე ქართველი სტუდენტებისათვის (შარაძე 1993: 214-215). იაპონელთა ოკუპირებული ხარბინიდან შანხაიში ლტოლვილი ქართველებისთვის 6-სართულიან სახლი იყიდა და სტიპენდიები მათი შვილებისათვისაც დააწესა.

ბარბარა საფრანგეთში დიდხანს ვერ გაჩერდა, ქმარი მიატოვა და ამერიკაში დაბრუნდა. პირველი ცოლის მსგავსად, ფუფუნებაში გაზრდილი ქალისთვის ემიგრანტის ამპყარი ხელგაშლილობა ფუქსავატობას ნიშნავდა. ალექსის კი უკვე გავლილი პქონდა ცხოვრების მძიმე სკოლა და კარგად იცოდა თანადგომის ფასი. 1935 წ. ბარბარასთან განქორწინების შემდეგ, ალექსიმ და-ძმებს ჩააკითხა ესპანეთში, სადაც რუსუდანს ქმარმა სასახლე აუშენა და იქ, პალამოს გზაზე აეტოკატასტროფაში დაიღუპა. ბარბარა პატენმა გულწრფელად იგლოვა ალექსი და 4 ქორწინების მიუხედავად, სულ თავის „მშვენიერ პრინცს“ მისტიროდა. ალექსის დაღუპვა მდივნების ოჯახის ტრაგედიის საწყისად იქცა: ერთი წლის შემდეგ, ყილმის გაღაღებისას, ცხენიდან ჩამოვარდა და დაიღუპა სერგო. ალექსის დაღუპვით დეპრესიაში ჩავარდნილი 32 წლის რუსუდანი 1938 წ. ტუბერკულოზით გარდაიცვალა. 1935 წ. მარტში დიდი ქველმოქმედის, გიორგი შაჩაბლის გარდაცვალების შემდეგ, აგვისტოში ალექსი მდივნის დაღუპვა დიდი დანაკლისი იყო ხელმოკლე ქართული ემიგრაციისათვის. შემთხვევითი არ არის, რომ 28 წლის ახალგაზრდა ასეთი სიტყვებით დაიტირეს: „სამშობლოსადმი მსურვალე სიყვარულის გრძნობებთან ერთად ალექსი მდიყანს

ჰქონდა მრავალი ისეთი თვისება, ნიჭი და შესაძლებლობა, რომ მას მრავალი სამსახურის გაწევა შეეძლო თავის ერისათვის რომ დასცლოდა“ (სამშობლო, 1935, 58-59). „არასოდეს უარყვია თავისი ქართველობა, არ დაუკარგავს თავისი ოჯახის და გვარის ტრადიციები და არ უღალატია თავისი ალამიანური პრინციპებისათვის. გარშემო მყოფთა ჭეშმარიტ ალტაცებას იწვევდა მისი სულიერი სიდიადე, რომელსაც პრინცი მდივანი ყოველდღიურად აცხადებდა... ჭეშმარიტად, ქართველობამ დაკარგა ერთი თვალსაჩინო მოამაგე და მოყვარული შვილი“ (დამოუკიდებელი საქართველო 1935: 12-13).

მცირერიცხოვანმა ქართველმა ემიგრანტებმა გარკვეული წვლილი მაინც შეიტანეს ამერიკის ცხოვრებაში. მათ შორისაა ის 6 მილიონერი – გრიგოლ კობახიძე, დიმიტრი მეტრეველი, გიორგი მაჩაბელი, აკოპიანდილ მერაბიშვილი, ვასილ დუმბაძე და ალექსი მდივანი, რომელთა შესახებაც საუბარია სტატიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალექს მდივანი, ჟურნ. დამოუკიდებელი საქართველო, პარიზი, 1935, № 116.
2. ალექს მდივანი, ჟურნ. სამშობლო, პარიზი, 1935, № 17-18.
3. დაუშვილი რ., ქართველი მრეწველები და გამომგონებლები ამერიკაში, თბ., 2002.
4. დაუშვილი რ., დიმიტრი მეტრეველი – ქართველი ოქროსმრეწველი ამერიკასა და კანადაში, ამერიკის შესწავლის საკითხები, II, თსუ, 2003.
5. დუმბაძე ვ., წერილი ამერიკიდან. ჟურნ. ბრძოლა, 1929, № 11.
6. კავკასია და ამერიკის შეერთებული შტატები. გაზ. საქართველო, 1929, № 1.
7. საქართველოს საკითხი ამერიკაში. ჟურნ. ბრძოლა, 1926, № 10-11.
8. ქართველი ემიგრანტების წერილები სარა მერაბიშვილისადმი. ლიტერატურის მატიანე, თბ., 1992.
9. შარაძე გ., გრიგოლ დიასამიძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. II, თბ., 1993.
10. Dumbadze V., The Caucasian Republics. New-York, 1925.
11. Coby glass products co. Attleboro. Massachusetts, U.S.A., 1928.
12. Les Amis de la France, Le Prince et la princesse Mdivani – "la revue diplomatique", 31 II, 1932.
13. Princess Matchabelli, Perfumer, Dies at 77 – New-York herald tribune, 18 VI, 1957.
14. Quebek file Ranger, IV. 1945; Morning Digest, V. 1946; Noranda Weerly, IX. 1946.
15. www.auntjudysattic.com, wikipedia.org
16. www.gadgetell.com, www.christmasvintage.com, www.capreolcollector.com

RUSUDAN DAUSHVILI
Ilia Chavchavadze State University, Professor

SUMMARY

GEORGIAN MILLIONAIRES IN AMERICA

The article is about 6 Georgian emigrants residing in the United States in the first half of the 20th century. These include: glass manufacturer Grigol Kobakhidze (George Cobi), founder of the Cobi Glass Products Company and owner of 2 large factories in Attleboro, Massachusetts and Pawtucket, Rhode Island; gold manufacturer Dimitri Metreveli (Mike Mito), founder of the settlement Metreveli in Canada, owner of the mines Mito's Anomalies in Alaska and the diamond processing plant in Toronto; Giorgi Matchabelli, founder of the company Prince Matchabelli; Avtandil Merabishvili, manufacturer of the saltpeter and copper in Chile, founder of the restaurant chain and resort along the Atlantic shore; Vasil Dumbadze - financier of the Morgan Bank, representative of the Georgian government in exile in the US, founder of 2 organizations: the American Society for the Caucasus and the Committee for the Defence of Rights of Georgia; Aleksi Mdivani, financier of the Paris branch of the National City Bank of New York, Secretary of the Government Delegation of Georgia and the Office for Refugees in Paris.

ია იამვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

სწავლებისა და კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში

ბოლო სუთი წლის განმავლობაში საქართველოში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმამ, საკმაოდ სერიოზული ცვლილებები შეიტანა უმაღლესი სკოლის სისტემაში. საერთაშორისო სასწავლო სტანდარტებთან გათანაბრების პროცესი აუცილებელი გახდა, რამაც ახალი სასწავლო კურსების შექმნა რეალობად აქცია. ბოლონიის პროცესში ჩართვა დასავლურ სტანდარტებზე გადასვლას გულისხმობს, რაც უცხოური გამოცდილების უშუალო გაზიარების გარეშე საკმაოდ რთულია.

დღეისათვის საქართველოში რამდენიმე საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაცია ახორციელებს უმაღლესი სკოლის პროფესორთა მიღებინებას ევროპისა თუ ამერიკის უნივერსიტეტებში, რითაც ფასდაუდებელ დასმარებას უწევს ქართველ სპეციალისტებს პირადად გაეცნონ იქ მიმდინარე სწავლების პროცესს. აღნიშნული პროგრამები ავრეთვე საუკეთესო საშუალებაა ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო სკოლების წარმოსაჩენად საერთაშორისო არენაზე, რომლის მიმართაც ინტერესი ძალიან დიდია.

2008 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების განათლების საერთაშორისო ცენტრისა და ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო" ერთობლივი პროგრამით საშუალება მომეცა კვლავ ეწვეოდი მონტანას უნივერსიტეტს და ერთგვარად გამეგრძელებინა ის პროგრამა, რომელიც პირველად დაიწყო 2003 წელს აღნიშნულ უნივერსიტეტსა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის.

ჩვენს უნივერსიტეტში, ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის შექმნასთან დაკავშირებით 2003-2005 წლების განმავლობაში მოხდა ქართველ ლექტორთა მიღებინება აშშ-ში. შესაბამისად, მონტანას უნივერსიტეტიდან ქუთაისის უნივერსიტეტმა მიიღო სპეციალისტები, რომლებმაც წაიკითხეს ლექციები ქართველი სტუდენტებისათვის. მონტანაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე ქუთაისის უნივერსიტეტის ლექტორთა მიერ შეიქმნა ახალი სასწავლო კურსები და პროგრამები, რომლებიც დღეს წარმატებით იკითხება ამერიკისმცოდნეობის სპეციალობებზე.

2008 წლის სამეცნიერო ვიზიტისას ჩემთვის ყველაზე საინტერესო იყო სწავლების იმ მეთოდების გაცნობა, რაც ახალი და საინტერესო იქნებოდა

როგორც ჩემთვის, ასევე ქართველი სტუდენტებისათვის.

„კულტურისა და მოსახლეობის“ კლასი ძირითადად ეფუძნებოდა *კონკრეტული სიტუაციების (case-study), დებატების, დისკუსიისა და ესსეს წერის მეთოდს*. აქ გარკვეული სპეციფიკა არსებობს: დებატებისა და დისკუსიის მეთოდი მხოლოდ მცირერიცხოვან ჯგუფებშია ეფექტური. სხვა შემთხვევაში ყველა სტუდენტის აქტიურობა შეუძლებელია. სულ არის შანსი რომ შედარებით პასიური სტუდენტები ყურადღების მიღმა დარჩნენ. გარდა ამისა, როდესაც ლექტორი აპირებს გამოიყენოს აღნიშნული მეთოდი, სადისკუსიო საკითხები წინასწარ უნდა იყოს გაცემული, რათა აუდიტორიამ შეძლოს დასაბუთებული არგუმენტების მოყვანა. ასეთი წინასწარი გათვლები ამცირებს ემოციური და სპონტანური პასუხების შანსს.

დებატებისა და დისკუსიის მეთოდი იმით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ დისკუსიის დროს, საკამათო საკითხი ისმება მთელს კლასში და მასზე საკუთარ აზრს გამოთქვამს ყველა მსურველი (3), რაც შესაძლებელია ლექციის დასრულებამდე ბოლო 15 წუთის განმავლობაშიც (Iashvili 2008). დისკუსიის დამთავრების შემდეგ სტუდენტმა უნდა ჩამოაყალიბოს დასკვნები, გამოეიდეს ჯგუფის წინაშე ან გადმოსცეს პრობლემის გადაჭრის მისეული გზა. დებატებში კი ორი დაპირისპირებული ჯგუფი მონაწილეობს, სადაც თითოეული მხარე წინასწარაა მომზადებული ერთი საკითხის ირგელივ საპირისპირო პოზიციით (4).

2008 წლის გაზაფხულის სემესტრი, ამერიკაში საკმაოდ დაძაბული წინასაარჩევნო კამპანიის ფონზე მიმდინარეობდა. ამდენად, დებატებისა და დისკუსიის მეთოდს ხშირად მიმართავდა პროფესორი „პოლიტიკური გეოგარფიის“ კურსში, როდესაც განისილავდა საკითხს აშშ-ს მომავალი პრეზიდენტის შესაძლო კანდიდატურის შესახებ. საკამათო მართლაც რომ საკმაოდ იყო – ამერიკას ხომ პირველად უნდა აერჩია ან ქალი ან აფროამერიკელი პრეზიდენტი. დისკუსიის დროს ერთმანეთს ენაცვლებოდა მსჯელობა ეთნიკური და გენდერული პრობლემების შესახებ, რაც მართლაც საინტერესო იყო.

კონკრეტული სიტუაციების ანუ *case-study* მეთოდი, პირველად გამოიყენეს ჰარვარდის უნივერსიტეტში 1924 წელს. დღესათვის კონკრეტული სიტუაციის გარჩევა და დებატები მსოფლიოს უნივერსიტეტების ბრაკალო ფაკულტეტის ერთ-ერთი უმთავრესი სასწავლო მეთოდია (შისაშვილი 2006: 477).

მიღებული გამოცდილებიდან მოვიყვან ერთ კონკრეტულ მაგალითს.

„კულტურისა და მოსახლეობის“ კლასში ერთ-ერთ ლექციაზე ლექტორმა განისილა ცნობილი დოკუმენტი ჩინეთში შკაცრი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებისა და შობადობის რეგულირების შესახებ (Chinese Gover-

nment White Paper on Family Planning). პროფესორმა ჯგუფს შესთავაზა მომდევნო ლექციისთვის მოემზადებინათ აღნიშნული საკითხი და გაყოფილიყვნენ დაპირისპირებულ მხარეებად – ერთნი ვინც მთავრობას ემხრობოდა, დაღებითად აფასებდა და იცავდა დოკუმენტს და მეორენი, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, რომლებიც გატარებულ პოლიტიკას აღამიანის უფლებათა უხეშ დარღვევად მიიჩნევდნენ.

მეთოდმა უაღრესად დიდი ეფექტი მოახდინა. გამოიკვეთა უამრავი მხარდასაჭერი და საწინააღმდეგო არგუმენტი. ვინც არ იცნობდა კონკრეტულ მოსაზრებას, სათანადო არგუმენტაციის შემდეგ, დაეთანხმნენ საწინააღმდეგო პოზიციას. სტუდენტები იყვნენ ძალიან აქტიურები; პროფესორი დროდადრო უთითებდა ბოლომდე მოესმინათ ოპონენტისათვის და პატივი ეცათ განსხვავებული აზრისათვის. ამ დროს ყალიბდება კამათის კულტურა (რომელიც ამერიკელებს ნაძლეილად არ აკლიათ) და ღია სფება ადამიანური ურთიერთობები.

აღნიშნული მეთოდი წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას საზოგადოებრივი გეოგრაფიის, მოსახლეობის გეოგრაფიის, მსოფლიო მეურნეობის გეოგარფიის და სხვა კლასებში. მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება – ერთენულ უმცირესობათა საკითხი, მოსახლეობის მიგრაცია, მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაცია და ა.შ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გარდა კონკრეტული დოკუმენტის გაცნობა კიდევ ერთ მნიშვნელოვან მომენტთანაა დაკავშირებული. მასზე აგებული სტუდენტის წერითი ნაშრომი (ესსე) უფრო ობიექტური და რეალურია.

ტესტირებისას პროფესორი მიმართავდა *ესსეს მეთოდს*. სტუდენტს პასუხი უნდა გაეცა კითხვებზე: ვინ, როდის და ვის მიერ დაიწერა დოკუმენტი? რის შესახებაა ის? რითია დოკუმენტი საინტერესო და მნიშვნელოვანი? როგორ უკავშირდება ეს დოკუმენტი ლექციაზე ასსნილ ზოგად მასალას?

ამ მეთოდის საბოლოო მიზანია სტუდენტმა დოკუმენტი გამოიყენოს ფაქტთან კავშირში, პერსონაჟი და ემოციები დაუკავშიროს ზოგად მოვლენას. შედეგად, ნაშრომში მაქსიმალურად ასახვს ისტორიულ, პოლიტიკურ თუ სოციალურ რეალობას, შესრულებულია მაღალ აკადემიურ დონეზე და საინტერესოდ იკითხება.

სწავლების ასეთი მეთოდები აქტიურად გამოიყენება, როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის კლასებში.

ესსეს მეთოდი სრულიად ახალია ქართველი სტუდენტებისათვის. ვცდილობთ მის დანერგვას ამერიკისმცოდნეობის სპეციალობის მაგისტრანტებთან (ამერიკიდან ჩამოტანილი და ჩვენი უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის

ცენტრში არსებული ლიტერატურა იძლევა ამის საშუალებას). აღნიშნული მეთოდით ვატარებთ შუალედურ და ფინალურ გამოცდას „ამერიკულ ოჯახთა პრობლემების“ კლასში.

გამოკვლევისა და პროექტირების მეთოდებზე აგებული იყო საზოგადოებრიული გეოგრაფიის კლასი.

პროექტების მეთოდი XX საუკუნის 20-იან წლებში აშშ-ში ჩაისახა. მას საფუძვლად უდევს იდეა სწავლების თავისუფალი და აქტიური მეთოდების შესახებ. დღესათვის ეს მეთოდი გადაიქცა აშშ-ს განათლების სისტემის ინტეგრირებულ შემადგენელ ნაწილად. პროექტების მეთოდი მოწოდებულია გააღვივოს სტუდენტთა ინტერესი აქტუალური პრობლემების მიმართ, დაასახოს გზები მათ გადასაჭრელად და კონკრეტული პროექტების მეშვეობით აჩვენოს მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების მიმართულებები. სხვა სიტყვებით, ეს არის გზა თეორიიდან პრაქტიკისაკენ, ანუ აკადემიური ცოდნის შეერთება პრაგმატულთან (შისაშვილი 2006: 477). პროექტი, ფაქტიურად დამოუკიდებელი კვლევაა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს საკითხი შეისწავლოს სიღრმისეულად და გაუბიაროს ის სხვებსაც. ეს მეთოდი აკითხარებს კვლევისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარს, იძლევა საშუალებას სტუდენტმა ერთმანეთის დაუკავშიროს რამდენიმე საკითხი სხვადასხვა სფეროდან და მისცეს საბოლოოდ საკვლევ თემას ერთიანი, კომპლექსური სახე (5). პროექტების მეთოდი ყოველთვის ორიენტირებულია სტუდენტის დამოუკიდებელ შემოქმედებით საქმიანობაზე, რაც ხორციელდება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, როგორც ინდივიდუალურად, ასევე გუნდურად. დასავლეთის უნივერსიტეტებში პროექტის მეთოდის წარმატებულ გამოყენებას უზრუნველყოფს შემდეგი მაჩვენებლები: თანამედროვე პროგრესული მეთოდიკის დანერგვისა და სტუდენტთა განვითარების მაღალი დონე, პედაგოგის მაღალი კვალიფიკაცია, უახლესი ტექნიკურ-საინფორმაციო სამუალებების არსებობა.

სტუდენტები უშუალოდ მონაწილეობენ რა კვლევით პროცესში, შეღებად მათ უვითარდებათ დამოუკიდებელი მეცნიერული აზროვნების სურვილი და უნარ-ჩვევები (შისაშვილი 2006: 477).

იდეალურად ითვლება ისეთი პროექტები, რომლებიც აგებულია ინტერდისციპლინარული (გეოგრაფია-ეკოსომიკა, გეოგრაფია-ტურიზმი, გეოგრაფია- პოლიტიკა, გეოგრაფია-დემოგრაფია, გეოგრაფია-ეკოლოგია, გეოგრაფია-ეთნოგარფია და ა.შ.) პარამეტრების ლოგიკური ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

პროექტირების მეთოდი ეფექტურად იქნა გამოყენებული „საზოგადოებრიეი გეოგრაფიის“ კლასში, გეოურბანისტიკისა და მოსახლეობის საყოველთაო აღწერის საკითხების შესწავლის დროს.

თაეღაპირველად ლექტორი სალექციო კურსში განისილავს ამერიკულ გეოურბანისტულ სკოლას და აცნობს სტუდენტებს ამერიკული ქალაქების მოდელებს (ე. ბერჯესის და რ. პარკის კონცენტრული წრეების, ჰ. ჰოიტის სექტორული და ჩ. პარისის მრავალბირთვული მოდელები). შემდეგ განისილავს საქალაქო უბნების შეფასების კრიტერიუმებს (უბნის გეოგრაფიული მღებარეობა, ინფრასტრუქტურა, ეიზუალური სახე და ა.შ.). შემდეგ საუბრობს, თუ როგორ პოულობს ასასვას ეს პარამეტრები სააღწერო მასალებში. ბოლოს აძლევს ჯგუფს 2000 წლის ამერიკული აღწერის ინტერნეტ მისამართს და დავალებას, შეისწაელონ საუნიეერსიტეტო ქალაქის ცალკეული სააღწერო სექტორები/ უბნები და შეადარონ ისინი მთელი ქალაქის ან რომელიმე სხვა უბნის პარამეტრებს. პარამეტრები სტუდენტებს შეუძლიათ შეარჩიონ სურეილის მისედვით, მაგ.: თეთრკანიანი მოსახლეობის შემოსაელები უბანში ქალაქის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, ან უბნის ეთნიკური, ასაკობრიეი, გენდერული სტრუქტურა; საცხოვრებლის დიზაინი და ხასიათი და ა.შ. სააღწერო მასალების მისედვით შესაძლებელია ნებისმიერი უბნის ეიზუალური სურათის შექმნა.

სტუდენტებმა თავი მოუყარეს და დაამუშავეს დიდძალი სტატისტიკური, კარტოგრაფიული, საველე-ეთნოგრ მასალა; დაადგინეს მოელენის მიზებები და გააკეთეს სათანადო დასკვნები. ანგარიში წარმოდგენილ იქსა წერილობით, პროექტის სახით.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში პროექტირების მეთოდთან ერთად გამოყენებული იყო კიდევ ორი ძალიან მნიშვნელოვანი, *კომპიუტერული-სტატისტიკური* და *საველე კელევის მეთოდი*, რომელთა თავმოყრა და ორგანიზება პროექტის სახით, საბოლოოდ *ანალიზური მეთოდის* გამოყენებით მოხდა.

დღეისათეის იმდენად დიდია ინფორმაციის მოპოვების საშუალება, პროექტი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ თეორიული, საარქიეო და ინტერნეტ-მასალების გამოყენებითაც, თუმცა პროექტი კარგადაა გააზრებული და შემოქმედებითადაა დაწერილი ავტორის მიერ. გამოკელევის, პროექტირებისა და ხშირად კონკრეტული სიტუაციების მეთოდი მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და მათი გაერთიანებული ფორმები ფართოდ გამოიყენება.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ დასავლეთის უნიეერსიტეტებისაგან განსხვავებით, ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ნაკლები ყურადღება ექცევა ზოგადად წერითი კულტურის განეითარებას. ორიგინალური ნაშრომების, პროექტების, ესეების შესრულების სტრატეგია, ტექნიკა, როგორც ჩამოყალიბებული სასწავლო კურსი, იშეიათად ისწავლება. ესეს წერის ტექნიკა "Research Design"-ის ფარგლებში ექცევა, რომელსაც პირობითად „კელევის დიზაინი", „კელევის ფორმატი" უწოდეს

(ბახტაძე 2005: 471). იგი დიდი ხანია იკითხება აშშ-ში და ევროპის უნივერსიტეტებში და მიზნად ისახავს შექმნას საფუძვლები მაღალი ხარისხის სამეცნიერო კვლევებისათვის; გააცნოს მსმენელებს კვლევათა განსხვავებული ტიპები, სტილი, მეთოდები, შესრულების ტექნიკა, აგრეთვე შესასრულებელი სამეცნიერო საშრომის დაგეგმვის სტრატეგია. იგი აგრეთვე კვლევის ლოგიკაცაა, რომელიც დაკავშირებს შეკრებილ მონაცემებს და დასმულ ამოცანას საბოლოო დასკვნასთან (ბახტაძე 2005: 471).

ნამდვილად არ არის იოლი ქართველ სტუდენტებამდე ამდენი სიახლის ერთად მიტანა. სასწავლო კურსში „ამერიკულ ოჯახთა პრობლემები" თავს იყრის ისტორიული, გეოგრაფიული, დემოგრაფიული, ეთნოგრაფიული, პოლიტიკური მასალა, რაც ართულებს შესწავლის პროცესს. იმისთვის, რომ ჩვენმა სტუდენტებმა სასურველ დონეს მიღწიონ, პირველ რიგში აუცილებელია თავად ლექტორები ფლობდნენ სათანადო სტანდარტებს. სწორედ ამაში გვეხმარება გაცვლითი პროგრამები, ესაა მთავარი მიზანი.

ქართული უმაღლესი სკოლის რეფორმირების პროცესი რთული და სანგრძლივია, მაგრამ მიმაჩნია, რომ მომაელისთვის – აუცილებელი. საქართველოში მიღებული განათლება აღექვატური და გასაგები უნდა იყოს საერთაშორისო საუნივერსიტეტო სივრცეში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, საქართველოს მოქალაქეს (ან თუნდაც უცხოელ სტუდენტს), რომელიც უმაღლეს განათლებას ჩვენი ქვეყნის სასწავლებლებში მიიღებს, არ უნდა გაუჭირდეს მსოფლიოს ნებისმიერ უნივერსიტეტში საკუთარი თავისა და მიღებული ცოდნის წარმოჩენა, სწავლის გაგრძელება. ანუ უნდა იყოს ცნობადი და არ გამოიყურებოდეს, როგორც გამონაკლისი. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იყოს ყველას მსგავსი, რაც ფაქტიურად შეუძლებელია. დარწმუნებითაა და საკუთარი გამოცდილებით შემიძლია განვაცხადო, რომ ქართული სამეცნიერო სკოლა ისეთივე ორიგინალური, საინტერესო და პატივსაცემია (რასაც გამოხატავენ კიდეც დასავლეთში), როგორც სხვა ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული სამეცნიერო სკოლები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბახტაძე ი. „კვლევის დიზაინი". ახალი სასწავლო კურსი მაგისტრანტებისა და ასპირანტებისათვის ამერიკის შესწავლის საკითხები, ტ. III, თბ., 2005 გვ. 471.
2. შისაშვილი გ., შისაშვილი მ., მენეჯმენტის სწავლების მეთოდიკა აშშ-ს უნივერსიტეტებში. ამერიკის შესწავლის საკითხები, ტ. IV, თბ., 2006.
3. http://www1.umn.edu/humanrts/edumat/hreduseries/hrhandbook/methods/6.htm
4. http://www1.umn.edu/humanrts/edumat/hreduseries/hrhandbook/methods/

5.htm
5. http://www1.umn.edu/humanrts/edumat/hreduseries/hrhandbook/methods/22.htm
6. Iashvili I., (2008) Advanced Teaching Methods in Social Sciences. Presentation for Annual Spring Conference by OSI. Kansas University. Lawrence, KA, (USA).

IA IASHVILI
Akaki Tsereteli State University, Assoc. Prof.

SUMMARY

ADVANCED RESEARCH METHODS IN SOCIAL SCIENCES

The article discusses an advanced research/teaching methods in Social Sciences. The author shares with her personal experience of using case study, field trip, projection, discussion and debate methods. Some of the methods are acquired by the author during her stay at The University of Montana as a Faculty Development Program fellow by Open Society Institute.

ნანული კაკაშრიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

თომას მანი ფრანკლინ რუზველტის შესახებ

„დოქტორი ფაუსტუსის“ შექმნის ისტორიაში“ თ. მანი აღნიშნავს, რომ იგი იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ თუნდაც იმით, რომ ცოცხალი იყო: „გამარჯვება ჩვენი პირადი გამარჯვებაც იყო. ამისათვის მადლობა რუზველტს ეკუთვნის“-ო.

ფრანკლინ რუზველტის სახე გამოკვეთილად ჩნდება თ. მანის ნაწარმოებში „დოქტორ ფაუსტუსის“ შექმნის ისტორია. ერთი რომანის რომანი“ და 1945 წელს რუზველტის შესახებ დაწერილ სიტყვაში, რომელიც შემდგომ სტატიის სახით დაიბეჭდა. აშკარაა, ერთის მხრივ, თ. მანის პოზიტიური და სუბიექტური დამოკიდებულება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი და, ამაღლროულად, მისი, როგორც სახელმწიფო მოღვაწის, ობიექტური შეფასება. სტრიქონებს შორის იოლად იკითხება, რომ 1938 წლიდან ამერიკაში ემიგრაციის სულიერი სიმძიმე მას რუზველტისა და მისი მთავრობის წარმომადგენელთა დამოკიდებულებამ შეუმსუბუქა.

თ. მანი გამუდმებით ტრიალებდა თ. რუზველტის რეჟიმის იმ ოფიციალური პირების წრეში, რომლებიც მას ახლობელ ადამიანებად მიაჩნდა. ესენი იყვნენ: ვიცე-პრეზიდენტი ჰენრი უოლესი, იუსტიციის მინისტრი ფრენსის ბიდლი, სახელმწიფო ბიბლიოთეკის დირექტორი არჩიბალდ მაკ-ლიში და ბევრი სხვა.

II მსოფლიო ომის პერიპეტიების ანალიზისას თ. მანთან მუდამ ჩნდება რუზველტის ფიგურა: მწერალი ხაზს უსვამს აშშ პრეზიდენტის უარყოფით დამოკიდებულებას ვიშის (საფრანგეთი) რეჟიმისადმი, ასევე პრეზიდენტის მოთხოვნას, გაეთავისუფლებინათ ჩრდილოეთ აფრიკაში დატყვევებული ანტიფაშისტები და ებრაელები, იგი პოზიტიურად აფასებს რუზველტის განცხადებას კონგრესში ევროპაში მოკავშირეთა შეჭრის შესახებ, უწოდებს მის სიტყვას „ძლიერსა და დამარწმუნებელს“.

თ. მანი განსაკუთრებით გამოჰყოფს 1944 წლის 23 ივნისს, როლესაც მან და მისმა მეუღლემ ამერიკის მოქალაქეობა (citizens) მიიღეს და სიამოვნებით მიუთითებს, რომ ეს მოხდა „ჯერ კიდევ რუზველტის დროს, მის ამერიკაში“.

თ. მანი თავს ვალდებულად თვლიდა მხარი დაეჭირა რუზველტისათვის პრეზიდენტად მეოთხედ ასარჩევად (fourth term), დაეცვა იგი რესპუბლიკელების თავდასხმებისაგან და ძალზედ გაუხარდა, როცა დემოკრატიული

პარტიის აღგილობრივმა ორგანიზაციამ მიიწვია „ამ გასაოცარი აღამიანის“ პატივსაცემად გამართულ მიტინგზე.

მწერალი ახასიათებს ამერიკაში საარჩევნო კამპანიის ჩატარების სტილს, საღაც ერთმანეთის ენაცვლება სიტყვები, პოლიტიკური მოწოდებები და „money-raising“, ატრაქციონები ვარიეტეს სტილში, რომელთაც არაფითარი კავშირი არ ჰქონდათ საარჩევნო კამპანიასთან, მაგრამ თავისებურად ხელს უწყობდნენ მას. თ. მანმა აქ სიტყვა წარმოთქვა, სოლო არჩევნების დღეს, 1944 წლის 7 ნოემბერს, ავადმყოფი წამოდგა საწოლიდან სმის მისაცემად.

რუზველტის მეოთხედ არჩევის შემდეგ II მსოფლიო ომის პერიპეტიებთან დაკავშირებით აშშ პრეზიდენტის შესახებ თ. მანი აღნიშნავს: „რაც შეეხება იმ სახელმწიფო მოღვაწეს, რომელიც მეოთხედ მეთაურობს თეთრ სახლს, არისტოკრატსა და ხალხის მეგობარს, მასების გამოცდილ ხელმძღვანელს, ადამიანს, რომელსაც შეუძლია დაუპირისპირდეს ევროპელ დიქტატორებს, როგორც მათი ანტაგონისტი, კეთილი საქმეების დიდ პოლიტიკოსს, რომლის თვალში იაპონიასთან პოპულარული ომი იყო მხოლოდ ფაშიზმის განადგურების საშუალება, იმ ფაშიზმისა, რომელიც 1938 წელს „მიუნხენმა“ გადაარჩინა, – ეს ადამიანი განწირული იყო სიკვდილისათვის“. („Der Staatsmann aber, zum vierten Male Herr des Hauses, der aristokratische Volksfreund, ebenbürtig den europäischen Diktatoren als gewiegter Massenlenker, ihr geborener Gegenspieler, der große Politiker des Guten, für den der populäre Krieg gegen Japan ein Mittel gewesen war, den 1938 „München“ geretteten Fascismus zu schlagen, – dieser Mann war vom Tode gezeichnet“) (Mann 1984: 74).

თ. მანი აღწერს 1945 წლის 12 აპრილს, რუზველტის გარდაცვალების დღეს. მისი სიტყვებით, ეს იყო დაბნეულობის ისეთი შეგრძნება, რომ თითქოს ყველაფერი ირგვლივ გაირინდა. მწერალმა უარი განაცხადა რადიოში იმპროვიზირებულ გამოსვლაზე, შეადგინა ტელეგრამის ტექსტი ელეონორა რუზველტის სახელზე, მეუღლესთან ერთად არ შორდებოდა რადიომიმღებს და ისინი მღელვარებით ისმენდნენ თანაგრძნობის გამომხატველ განცხადებებსა და სამგლოვიარო ცნობებს მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან. მთელი მსოფლიო იყო შეძრული ამ საბედისწერო დანაკარგით. ყველაზეთეს მნიშვნელოვანი იყო ელეონორა რუზველტის სიტყვები: „მე უფრო მეტად ვწუხვარ ჩვენს ხალხსა და კაცობრიობაზე, ვიდრე თავად ჩვენზე“. („...Roosevelt war tot. Wir standen verstört, in dem Gefühl, daß rings um uns her eine Welt den Atem anhielt...Man mochte in den nächsten Tagen nichts anderes hören und lesen, als über ihn, die Einzelheiten seines Sterbens, die Bestattungsfeierlichkeiten in Hyde Park. Die Erschütterung, das Bewußtsein schicksalvollen Verlustes war erdumspannend. Wir alle hatten die Worte der verehrungswürdigen Eleonor Roosevelt im Ohr: Ich bin trauriger für unser Volk und für die Menschheit

als für uns selbst") (Mann 1984: 78-79).

თ. მანი ამასთანავე თავისი მახვილი გონებით ხედავს, რომ ქვეყნის შიგნით მწუხარების გამოსახულებას შეერწყა კმაყოფილების გრძნობაც, რაც, მისი აზრით, ოფიციალურ სამგლოვიარო დეკლარაციებშიც კი გამოსჭვიოდა. ეს იყო, ამოსუნთქვა შემსუბუქებისა, რომელიც ყოველთვის ისმის ღიდი ადამიანის გარდაცვალების შემდეგ, იმ ადამიანისა, რომელმაც თავისი ერი ბევრად აამაღლა მის ყოფილ დონესთან შედარებით, რაც ამავე ერისათვის დამამძიმებელ გარემოებად იქცა. ასეთი ამოსუნთქვა შემსუბუქებისა ნათლად ისმოდა ამ გლოვის ღღეებში. („Und doch war gewiß, daß sich im Lande so manches Genugtuungs-und Erleichterungsgefühl in die Trauer mischte, sich kaum hinter Ihren offiziellen Kundgebungen verbarg. Das Uff!, das nie zu überhören ist beim Tode eines Großen, der seine Nation über Ihr Alltagsniveau hinausgehoben, was für eine Nation ziemlich anstrengend ist.es war auch jetzt nur zu wohl zu unterscheiden") (Mann 1984: 79).

იყო დაბეჯითებითი დარწმუნებები, რომ ყველაფერი ძველებურად დარჩებოდა. მართალა, სან-ფრანცისკოში მოკავშირეთა კონფერენციის საგარების დრო, რომელშიც რუზველტს მონაწილეობა უნდა მიეღო, იყიდე დარჩა. რუზველტის მემკვიდრემ ისაუბრა თავის ერთგულებაზე მყარი მშვიდობის კურსისადმი. ასევე არ იყო მოსალოდნელი ცვლილებები საომარი მოქმედებების სფეროში. თ. მანი ეარაუდობდა, რომ ცვლილებები შეესებოდა ამერიკული ცხოვრების სამოქალაქო სფეროს. მწერლის აზრით, მთავრლებოდა მთელი ეპოქა და ის ამერიკა, სადაც იგი მეუღლესთან ერთად ჩამოვიდა, უკვე აღარ იარსებებდა. („Eine Epoche endet. Es wird das Amerika nicht sein,in das wir kamen") (Mann 1984: 70).

თ. მანი მონაწილეობს სამგლოვიარო მიტინგში სასტა-მონიკას მუნიციპალურ საბჭოში, სადაც შეკრებას უძღვებოდნენ სასულიერო პირები – ეპისკოპოსი და რაბინი. თ. მანის გამოსამშვიდობებელი სიტყვის გერმანული და ინგლისური ტექსტი სასწრაფოდ გადაიცა ტელეგრაფით. იგი გამოქვეყნდა „ფრი უორლდ"ში და „აუფბაუ"-ში. დაიბეჭდა ასევე ესპანურად. ეს ტექსტი საფუძვლად დაედო თ. მანის ერთ-ერთ რადიოგადაცემას გერმანიისათვის, რომლის პრესა ცდილობდა ლაფში ამოესვარა ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ მებრძოლი პრეზიდენტი.

თ. მანი მიიჩნევს, რომ რუზველტის გარდაცვალების შემდგომ ამერიკის გაელესიანი წრეები ცდილობდნენ დაენგრიათ რუზველტის მიერ დაწყებული სამშვიდობო საქმე. 1946 წლიდან დაწყებული ანტიამერიკული საქმიანობის საგამოძიებო კომიტეტის საქმიანობა უკვე თრგუნავს და აღაშფოთებს თ. მანს. ეს ყველაფერი, ერთად აღებული, განაპირობებს იმას, რომ 1947 წლის 11 მაისს თ. მანი თავისი მეუღლით ერთ მოემგზავრება ევროპაში ჯემით

„დედოფალი ელისაბედი“.

თ. მანის ნაწარმოებია 1955 წლის ბერლინის „Aufbau-Verlag“-ის გამოცემაში დაიბეჭდა მწერლის მიერ წარმოთქმული სიტყვა ფრანკლინ რუზველტზე („Franklin Roosevelt“).

თ. მანი ამ სიტყვაში ფრანკლინ რუზველტს ადარებს ძველ რომაელებს და აღნიშნავს, რომ მას კეისრის მომხიბლელობა პქონდა. იგი – არისტოკრატი, მაგრამ სალხის მეგობარი იყო, მისთვის მნიშვნელოვანი იყო დასავლური სულიერი ფასეულობანი, რელიგიური და სოციალური პუმანიზმი: „...wie Cäsar den römischen Gedanken zu der dem Christentum als Weltreligion vorarbeitenden Konzeption eines universellen Reichsbürgertums erweiterte, so sah Roosevelt die abendländische Kulturidee aufgehen in einer Weltzivilisation mit der Atmosphäre des religiösen und sozialen Humanismus, dem sein Herz gehörte“ (Mann 1955: 837).

თ. მანი მიუსადაგებს გოეთეს სიტყვებს რუზველტის სატურას, რადგან, მისი აზრით, პრეზიდენტი იყო „რწმენის ადამიანი“, ასეთი ადამიანი კი, გოეთეს აზრით: „sich stets erhöhter, bald kühn hervordrängt, bald geduldig schmiegt, damit das Gute wirke, wachse, fromme...“ თ. მანი აღნიშნაელა, რომ სწორედ ასეთად მიიჩნევდა იგი რუზველტს: „...ასეთად ვიცნობდი, აღფრთოვანებული ვიყავი, მიყვარდა და ვამაყობდი, რომ მისი ეგიდით civis romanus გავხდი“. („So sehe ich ihn, so kannte, bewunderte, liebte ihn, und war stolz, unter seiner Ägide ein civis romanus zu werden“) (Mann 1955: 837).

თ. მანი თავისი ემიგრაციის მძიმე წლებიდან იგონებს მრავალ დამთრგუნველ ვითარებას და აღნიშნავს, რომ პირველი და ერთადერთი ადამიანი, ვინც პოლიტიკური დევნილების მდგომარეობის სირთულე და გასაჭირი კარგად გაიგო, იყო ფრანკლინ რუზველტი: „და ეს იყო მსოფლიოს უძლიერესი პიროვნება“ („Und dieser Eine war zufällig der mächtigste Mann der Erde“) (Mann 1955: 839).

თ. მანის აზრით, რუზველტი იყო პოლიტიკისათვის დაბადებული ადამიანი, რომელიც არაჩვეულებრივად ფლობდა „შესაძლებლის ხელოვნებას“. ამით იგი სელოვანს ჰგავდა. მწერალი ჰიტლერის პიროვნების ფონზე წარმოაჩენს რუზველტს, მიიჩნევს მას ფაშისტი დიქტატორის ანტაგონისტად, იმ უაზრო და ბრმა ბოროტების მოწინააღმდეგედ, რომელმაც მოიცვა გერმანია და რითაც იგი საშიში გახდა მსოფლიოსათვის. ის, რომ დემოკრატიამ შეძლო წინა პლანზე წამოეწია მოქმედების ადამიანი, ამაღროულად ძლიერი, ჯიუტი, ეშმაკი, მომხიბელელი, სიკეთის დიდი პოლიტიკოსი – ეს იყო, თ. მანის აზრით, ამ დემოკრატიის ხსნა, ადამიანისა და მისი თავისუფლების ხსნა. („Ich habe in Franklin Roosevelt immer den geborenen und bewußten Gegenspieler des abgründig bösen, aber wohl eben damit auch abgründig dummen und weltblinden Diabolismus gesehen, dem das arme De-

utschland verfallen und durch den es der Welt so gefährlich geworden war. Daß die Demokratie sich fähig erwies, auch den Mann und Täter hervorzubringen, den Starken, Zähen und Schlauen, den Menschenbehandler, den großen Politiker des Guten, das war ihre Rettung, die Rettung des Menschen und seiner Freiheit") (Mann 1955: 839).

თ. მანი ხაზგასმით გამოჰყოფს რუზველტის სულიერ სიძლიერეს: მას არ შეეძლო სიარული, მაგრამ დადიოდა, არ შეეძლო დგომა, მაგრამ იდგა – ეს იყო იმ ოთხი საარჩევნო კამპანიის დროს, როდესაც მისი მიზანი იყო ბოლომდე მიეყვანა თავისი დაწყებული საქმე. რუზველტის სიკვდილში თ. მანი ხედავს „მგზიურის", „უპირატესის" და „მელანქოლიურის" ერთობლიობას, მიაჩნია, რომ პრეზიდენტმა განელო „გმირული ცხოვრება", მთელი თავისი ძალა და გონება შესწირა თავისი ხალხის ძლიერების განმტკიცებას. მწერალს თავი ბედნიერად მიაჩნია, რომ რუზველტის თანამედროვე იყო და მისი ეპოქის „დიდ ადამიანს" ახლოს იცნობდა. („Uns, die wir seine Zeitgenossen waren, hat das Glück zwiefach wohlgewollt...Und wir können sterben in dem Bewußtsein, einen großen Mann gesehen zu haben") (Mann 1955: 840).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Mann Th., Die Entstehung des Doktor Faustus. Roman eines Romans. Frankfurt a. M. 1984.
2. Mann Th., Franklin Roosevelt. In: Th. Mann, Gesammelte Werke. Aufbau-Verlag Berlin 1955. Bd. 12.

NANULI KAKAURIDZE
Akaki Tsereteli State University, Professor

SUMMARY

TH. MANN ON FRANKLIN ROOSEVELT

The present essay is concerned with Th. Mann's view of Franklin Roosevelt as a person and a statesman as embodied in two works by Th. Mann: "Genesis of 'Doctor Faustus'. A Story of a Novel" and "Franklin Roosevelt". Both works reflect Th. Mann's personal positive attitude to Franklin Roosevelt as a person and unbiased, objective estimation of the president of the United States as a statesman. Th. Mann argues that Franklin Roosevelt was a born politician, having a good command of 'the art of possibilities'. He was a man of action, strong, obstinate, and cunning, with a personal charm, outstanding politician who contributed to defeating the Nazi, the fact which for Thomas Mann equals to the salvation of democracy and freedom.

NINO KALATOZI
Missouri-Columbia University, USA, Ph.D. Candidate

COLLECTIVE BARGAINING IN U.S. HIGHER EDUCATION

The rise of collective bargaining in American universities has become one of the most debatable and far-reaching issues in higher education today. Critics of unionization often argue about the impact of collective bargaining on research productivity, departmental autonomy, university governance, and generally on higher education. They are concerned that collective bargaining may cause the demise of faculty councils, senates, committees, and other collegial mechanisms within higher learning institutions (Ponak, Thompson & Zerbe 1992). Unionization is typically viewed as confrontational and bureaucratic. For many, the phrase "collective bargaining" brings to mind visions of labor strikes, lawyers, and contracts. Thus, one wonders how unionization became such a dominant force in higher education and how it has impacted the functions of academe. The following paper presents a historical overview of collective bargaining in U.S. higher education.

History of Unionization

The history of unionization in higher education is important in understanding the current status of collective bargaining in higher education. It is clear from the literature that as higher education changed during the 20th century, the perceptions among faculty and faculty associations regarding unionization changed as well.

The adoption of collective bargaining in American colleges and universities dates back to the 1960s and 1970s. The unionization movement emerged in response to a "slowing of salary increases, attacks on tenure, attempts to increase teaching loads, to limit outside income from professional activity, to reduce the availability of sabbatical leaves... and to reduce faculty control of the work environment" (Garbarino 1973, as cited in Ginsburg & Wion 1998: 191). According to Julius and Gumport "collective bargaining in higher education developed in a context of tremendous expansion in graduate education and research activity and was spurred by federal and state labor legislation that encouraged collective bargaining among state employees, including faculty" (Julius and Gumport 2002: 190).

The 1960s saw great changes in higher education, especially in the public sector. The land grant colleges founded in the late 1800s were expanding into large universities to accommodate the increase in the number of college students. The number of community colleges was also increasing. With the increase in community colleges the number of faculty employed by the public sector increased dra-

matically. The rise in community colleges caused a rise in unions on those campuses so much that collective bargaining in higher education by that time was considered primarily a community college phenomenon (Palmer 1999).

The first faculty to unionize in the public sector was in 1967 at the United States Merchant Marine Academy. However, the trend was for two-year community colleges to unionize. By 1984 community colleges dominated the number of unionized faculties. At that time unions represented 160,000 professors at 547 institutions of higher education with twenty-five percent of two-year community colleges being unionized as compared to only twelve percent of four-year colleges (Palmer 1999).

Unlike the public sector, the ability of faculty to unionize in private institutions was limited by the Yeshiva Decision of the United States Supreme Court in 1980. This decision was rooted in the Wagner Act which forbids the inclusion of supervisors in a union and partially defines a supervisor as an "individual who may hire, promote, reward or recommend such an action" (Palmer 1999: 4). In the Yeshiva Decision the United States Supreme Court ruled that the faculty at Yeshiva University could not be unionized because their roles and activities were defined as managerial. This was the first time that the United States Supreme Court applied the principles of collective bargaining to a private institution (Palmer 1999). It should be noted that the Yeshiva Decision excludes public sector institutions from its jurisdiction and collective bargaining in public institutions is regulated by state law and exempt from the National Labor Relations Board (NRLB) rulings.

Two critical concepts on the topic of unionization are the notions of professionalism and bureaucracy. Using Max Weber's analysis of bureaucracies as a conceptual framework, Philo Hutcheson (2000) contends that as higher education evolved in the United States, it adopted a more bureaucratic structure that embraced efficiency and productivity. This resulted in more centralized administrative control in which faculty time and activities were more closely supervised. "The characteristics of professionalization, especially autonomy, expertise, and the lack of specified work rules, are in obvious contrast to bureaucratization" (Hutcheson 2000: 6). It was clear that these issues were the driving force behind the establishment of the American Association of University Professors (AAUP) in 1914. During their first annual meeting in 1915, the charter members established a committee that "addressed issues of academic freedom and tenure and investigated all alleged violations of academic freedom and tenure" (Hutcheson 2000: 7). The latter responsibility of the committee is important to note. By investigating alleged violations, the AAUP exerted external influence on the internal affairs of institutions. Thus, it was in a manner of speaking, acting in some regards as a union. However, until World War II, "the predominant organizational objective of the

AAUP was the reform of practices and procedures of academic freedom and tenure" (Hutcheson 2000: 13) and the organization did not consider itself a union. In fact, in its February 1938 bulletin, an article was written by a former general secretary that explicitly stated that the organization was not a "Professors' Union" (Hutcheson 2000: 14).

However, the AAUP was not the only association organizing faculty. The American Federation of Teachers (AFT) successfully organized its first local at Howard University in 1918. The organization's four major principles were the "promotion of higher salaries and benefits as measures of professionalism, action toward securing a greater voice for faculty, a stand for academic freedom, and an emphasis on the professor as an employee" (Hutcheson 2000: 15). Later the National Education Association (NEA) would also begin organizing faculty. Participation in these organizations helped their individual members individually bargain and may have encouraged administrators to participate in shared governance. These three organizations (AAUP, AFT, and NEA) that would later have a great impact on formal collective bargaining were the three major groups that represented unionized faculties in the 1960s and 1970s.

Hutcheson asserts that there were three major causes of formal faculty unionization. First, and perhaps most importantly, was government action. Unlike informal collective bargaining, formal collective bargaining "derives its authority from state or federal authorization" (Hutcheson 2000: 66). Beginning in the 1960's with President Kennedy's Executive Order 10988, state and local actions "required public employers to recognize the legal right of a group of public employees to organize and represent all such employees in contract negotiations in exclusive representation" (Hutcheson 2000: 67). Second, the rapid growth of higher education after World War II led to further growth of bureaucracy, to further marginalization of faculty governance, and widened the division between faculty and administration. Third, collective bargaining in education was becoming a prominent mission of NEA and AFT through their efforts in organizing elementary and secondary educators. It was only a matter of time before collective bargaining spread to higher education. Hutcheson (2000) also noted that during the 1960's, there was a substantial increase in male teachers and members in the NEA and they were more willing to take aggressive actions such as a strike in order to win concessions.

These changes brought widespread unionization in the latter half of the 20th century. By the mid 1980's, 830 of the 3284 institutions of higher education had collective bargaining agreements with faculty and nearly 27 percent of all faculty in the United States were unionized (Olivas 1999). By the 1990's, "38 percent of all full-time faculty in public higher educational institutions were covered by collecti-

ve bargaining agreements" (Ehrenberg, Klaff, Kerzsbom & Nagowski, 2004: 211), while only about 6 percent in private universities were covered by collective bargaining agreements. Collective bargaining coverage for faculty also varied across different institutional types. About 40 percent of full-time two-year-college faculty was covered by collective bargaining agreements, while less than 3 percent of faculty at Liberal Arts institutions were similarly covered. The proportions of full-time faculty members covered at Research, Doctorate, and Comprehensive institutions were over 20 percent at that time (Ehrenberg et al. 2004).

Conclusion

As we can see, historically, the development of thirty years of collective bargaining in U.S. higher education has been in the public sector, especially at community colleges. The four-year colleges and universities also experienced growth of unions during this period. The growth of unions in the private sector was stopped by the Yeshiva Decision.

We need to realize that the trend of unionization will continue at current levels or maybe even escalate in the future. Recognizing that the trend of unionization in higher education will not end, our primary concern should be to find ways to help all the constituents in higher education actualize their personal and professional needs, and to create a work climate that is beneficial to them as well as to the institution. As the expansion of unions continues, it is important to provide some guidelines that will address the future of unionization.

Researchers need to better understand the intricacies of unionization and to refocus their efforts on issues that affect academe. More attention is needed in understanding the impact of collective bargaining on governance, tenure, workload, and job security. These are the issues that will be tremendously important for higher education in the future. Clearly, distance education, academic capitalism, and the privatization of student services are major forces that will reshape the landscape of higher education. As of yet, the relationship between these forces and collective bargaining have yet to be explored. In short, there is still much work to be done in understanding the dynamics of unionization in higher education

REFERENCES:

1. Ehrenberg, R., Klaff, D., Kezsbom, A., & Nagowski, M. (2004). Collective bargaining in American higher education. In Ehrenberg, R. (Ed.), *Governing academia* (pp. 209-232). Ithaca: Cornell University Press.
2. Ginsburg, M. B., & Wion, P. K. (Summer, 1998). Organizing university faculty for collective action in the U.S.: Corporatization, a divided professoriate, and the

possibility of community. *Contemporary Education, 69*(4), 191-195.
3. Hutcheson, P. (2000). *A professional professoriate.* Nashville: Vanderbilt University Press.
4. Julius, D.J., & Gumport, P.J. (2002). Graduate student unionization: Catalysts and consequences. *The Review of Higher Education, 26*(2), 187-216.
5. Olivas, M. (1999). The legal environment: The implementation of legal change on campus. In Altbach, P., Berdahl, R., & Gumport, P. (Eds). *American higher education in the twenty first century: Social, political, and economic challenges* (pp. 216-240). Baltimore: Johns Hopkins.
6. Palmer, S. (1999). A brief history of collective bargaining in Higher Education. *ASHE-ERIC Digest.*
7. Ponak, A., Thompson, M., & Zerbe, W. (1992). Collective bargaining goals of university faculty. *The Research in Higher Education, 33*(4), 415-431.

ნინო კალატოზი
აშშ, მისურის უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

კოლექტიური გარიგებები აშშ უმაღლესი განათლების სისტემაში

კოლექტიური გარიგებების შემოღება ამერიკულ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში 1970-იანი წლებით თარიღდება. პირველი აკადემიური პერსონალი, რომელიც 1967 წელს გაწევრიანდა საჯარო სექტორში, აშშ სავაჭრო-სამღვდო აკადემიას ეკუთვნოდა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გამოიკვეთა ორწლიან საჯარო კოლეჯებში. 1984 წლისათვის საზოგადოებრივ კოლეჯებს რაოდენობრივი თვალსაზრისით წამყვანი ადგილი ეჭირა „იუნიონიზირებულ" – „პროფკავშირებში გაწევრიანებულ" – დაწესებულებებს შორის. ამ დროისათვის ამგვარ კავშირებში შედიოდა 547 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 160,000 პროფესორი. პროფკავშირებში გაწევრიანებული იყო ორწლიანი საზოგადოებრივი კოლეჯების 25%, ოთხწლიანი კოლეჯებიდან კი – მხოლოდ 1%.

საჯარო სექტორისაგან განსხვავებით, კერძო სასწავლებლების აკადემიური პერსონალის უფლება გაწევრიანებულიყვნენ და მონაწილეობა მიეღოთ კოლექტიურ გარიგებებში შეზღუდული იყო შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს 1980 წლის „იეშივას გადაწყვეტილებით". ეს გადაწყვეტილება სათავეს იღებს „ვაგნერის აქტიდან", რომელიც კრძალავს კავშირში ხელმძღვანელების ჩართვას და ნაწილობრივ განსაზღვრავს მის,

როგორც პიროვნების როლს, რომელსაც შეუძლია დაიქირაოს, დააწინაუროს, დააჯილდოეოს ანდა რეკომენდაცია გაუწიოს ამგვარ ქმედებას.

1960-70-იან წლებში პროფკავშირებში გაწევრიანებულ ფაკულტეტებს წარმოადგენდა სამი ორგანიზაცია: ამერიკის უნივერსიტეტების პროფესორთა ასოციაცია (AAUP), ამერიკის მასწავლებელთა ფედერაცია (AFT), ეროვნული განათლების ასოციაცია (NEA). 1980-იანი წლების მიწურულს 3284 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან 830 პქონდა დადებული კოლექტიური გარიგება აკადემიურ პერსონალთან, ხოლო ამშ აკადემიური პერსონალის თითქმის 27% გაწევრიანებული იყო პროფკავშირებში. 1990-იანი წლებისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სრულშტატიანი აკადემიური პერსონალის 38% იყო ჩართული კოლექტიურ გარიგებებში, ხოლო კერძო უნივერსიტეტებში – მხოლოდ 6%. კოლექტიური გარიგებების მასშტაბები ასევე განსხვავდებოდა დაწესებულების ტიპის მიხედვით. ამ გარიგებებში ჩართული იყო ორწლიანი კოლეჯების სრულშტატიანი აკადემიური პერსონალის 40%, მაშინ როცა მასში მონაწილეობდა ზოგადსაგანმანათლებლო კოლეჯების აკადემიური პერსონალის მხოლოდ 3%. კვლევით და სადოქტორო ინსტიტუტებში გარიგებებში ჩართული იყო სრულშტატიანი აკადემიური პერსონალის 20%.

ვასილ კაჭარავა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტი

განათლებისა და მეცნიერების საკითხები დუაიტ ეიზენჰაუერის ადმინისტრაციაში

ამერიკის პრეზიდენტები, ტრადიციულად, დიდ ყურადღებას უთმობენ მეცნიერებისა და განათლების საკითხებს. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, ბილ კლინტონი ან ჯორჯ ბუში უფროსი ცდილობდნენ, რომ ისტორიაში სწორედ განათლების საკითხებისადმი ერთგულ პრეზიდენტებად მოაზრებულიყვნენ.

ამჯერად 1950-იანი წლების შესახებ ვისაუბრებთ, მით უმეტეს, რომ მეტად საინტერესო პირველწყარო გაგვაჩნია პრეზიდენტების პარი ტრუმენისა და დუაიტ ეიზენჰაუერის ოფიციალური დოკუმენტების სახით. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ცივი ომის პერიოდში განათლებისა და მეცნიერების აქტუალობა კიდევ უფრო გაზარდა თავდაცვისა და უსაფრთხოების ინტერესებმა. ატომური იარაღის ეპოქაში სამეცნიერო ტექნოლოგიებს სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ამ პერიოდის ამერიკის განათლების სისტემის გააქტიურებაში დიდი როლი ითამაშა ჯერ კიდევ ფრანკლინ რუზველტის მიერ 1944 წელს მიღებულმა „სამხედრო მოსამსახურეთა მოწყობის კანონმა“ ანუ, როგორც მას უწოდებდნენ „ჯი აი-ების უფლებათა ბილმა“, რომელიც მრავალი სახის დახმარებასა და პრივილეგიას ითვალისწინებდა ომიდან დაბრუნებული ვეტერანებისთვის. სხვასთან ერთად, ფედერალურმა მთავრობამ 15 მილიონ ვეტერანს აუნაზღაურა სწავლის სარჯები, რაც ფედერალურ ბიუჯეტს დაახლოებით 14,5 მილიარდი დოლარი დაუჯდა. ბევრი ჩაირიცხა ტექნიკურ და პროფტექნიკურ სასწავლებლებში – 2 მილიონი კი, უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში. ეს უფასოდ მიღებული განათლება მათ ძალზე გამოადგათ კარგი პროფესიის მიღებაში და შესაბამისად, მომავალი ცხოვრების უზრუნველყოფაში. შედეგად, ამერიკამ მიიღო კარგად მომზადებული და განათლებული დიდი რაოდენობის მუშახელი. ბუნებრივია, რომ ამ კანონის მეშვეობით თავად უნივერსიტეტებმაც მიიღეს სერიოზული დახმარება და სახელმწიფო დოტაციები, რამაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მათი სამეცნიერო პოტენციალი.

რუზველტის გარდაცვალების შემდეგაც პრეზიდენტი პარი ტრუმენი დიდ

ყურადღებას უთმობდა განათლების საკითხებს. მეორე ეადით არჩევისას, 1948 წელს, საცალური უბრუნველყოფის გაუარესებასა და იაფი სახლთმშენებლობის ბრძანთან ერთად, მის ძირითად პრიორიტეტად განათლების სისტემისადმი ფედერალური დახმარების გაზრდა იქცა. მით უმეტეს, რომ ამერიკის განათლების სისტემაში მრავალმა ხარვეზმა იჩინა თავი. მაგალითად, ომის დროს, ჯარში გაწვევისას, გამოიკვეთა რეკრუტთა შორის წერა-კითხვის საკმაოდ დაბალი ღონე. ამ მხრივ ძალზე დიდი იყო განსხვავება მდიდარი და ღარიბი შტატების წარმომადგენელთა შორის. ომის დროს მრავალმა მასწავლებელმა სხვა, უფრო კარგად ანაზღაურებადი სამსახური აირჩია, რამაც უარყოფითად იმოქმედა სკოლებში სწავლების ხარისხზე. დიდი დეპრესიისა და ომის დროს სკოლების მშენებლობაც ვერ პასუხობდა არსებულ მოთხოვნებს. თავად ტრუმენი აღნიშნავდა, რომ ძილიონობით მოსწავლე განათლებას გადავსებულ და მოძველებულ შენობებში იღებდა.[1]

ტრუმენის მცდელობა რიგი საკანონმდებლო ინიციატივების მეშვეობით სკოლებისადმი 300 მილიონიანი გრანტის მინიჭების შესახებ სხვადასხვა მიზეზით დაიბლოკა. ზოგიერთი მოწინააღმდეგე ამბობდა, რომ, თუ დახმარება ყველას, მათ შორის, კერძო და კათოლიკურ სკოლებსაც მიეცემოდა, ეს დაარღვევდა კონსტიტუციას, რომლის მისედვითაც ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან. მაშინ დემოკრატმა გრეპემ ბარღვნის შეიტანა კანონპროექტი, რომ 300 მილიონიანი დახმარება მხოლოდ სახელმწიფო სკოლებს გადასცემოდა. ამ პროექტს კი დისკრიმინაციული უწოდეს, ვინაიდან დახმარებას კათოლიკური სკოლები ვერ მიიღებდნენ და, საბოლოოდ, ეს კანონპროექტიც ჩაკვდა კონგრესში.

მიუხედავად ამისა, ტრუმენი აქტურად მონაწილეობდა განათლებისა და მეცნიერებისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში. მაგალითად, 1952 წლის 29 თებერვალს იგი სამეცნიერო ტალანტების III ყოველწლიურ კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალზე გამოვიდა. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა განათლებისა და მეცნიერების როლი ამერიკის წინსვლაში და იმასაც გაუსვა ხაზი, რომ მომავალში ქვეყანას კიდევ უფრო მეტი მეცნიერი დასჭირდებოდა.[2]

1952 წლის 21 მაისს ტრუმენმა ამერიკის წლის საუკეთესო მასწავლებელი სანტა ბარბარას „იმედის სკოლის“ პირველი კლასის დამრიგებელი მისის ჯერალდინ ჯონსი დაჯილდოვა და აღნიშნა, რომ დედის შემდეგ ბავშვზე ყველაზე დიდ გავლენას მასწავლებელი ახდენდა.[3] შეიძლება ამ გამოსვლებში ტრუმენს არაფერი ახალი და განსაკუთრებული არ უთქვამს, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ უზარმაზარი ქვეყნის პრეზიდენტი უდიდესი გულისხმიერებით ეპყრობოდა განათლების მუშაკებს, საუბრობდა განათლების მნიშვნელობაზე და შესაბამისად საზოგადოების ყურადღებასაც ამახვილებდა

ქვეყნისათვის ესოდენ მნიშვნელოვან საკითხზე.

მაგრამ ამჯერად ძირითად ყურადღებას ეიზენჰაუერის ადმინისტარციაზე შევაჩერებთ, რომელიც კიდევ უფრო აქტიურად ჩაება ამ საქმიანობაში. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ 1948 წლის ივნისიდან 1950 წლის ოქტომბრამდე ეიზენჰაუერი კოლუმბიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი იყო და, შესაბამისად, უკეთ გაერკვა მეცნიერებისა და განათლების პრობლემებში. თუმცა უდიდესი სარდლის ურთიერთობა უნივერსიტეტის განებივრებულ პროფესურასთან არც თუ უღრუბლო აღმოჩნდა და კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესურა დიდად არ იყო აღტაცებული, რომ მათ სახელოვან უნივერსიტეტს ვესტ პოინტის კურსდამთავრებული ხელმძღვანელობდა. ეიზენჰაუერმა მრავალი სასარგებლო სტრუქტურული ცვლილება განახორციელა უნივერსიტეტში, უამრავი ბიზნესმენისა თუ ორგანიზაციისაგან დიდი თანხები მოიზიდა მისთვის, მოაწესრიგა უნივერსიტეტის საკმაოდ არეულ-დარეული ბიუჯეტი, ორი წლის შემდეგ მოსპო დეფიციტი და ბიუჯეტი ბიზნესის მართვის საფუძველზე განაკითარა. ერთი სიტყვით, ხასკოლე მმართველობის პერიოდში თავისი უზომო პოპულარობის და კავშირების მეშვეობით მან გაცილებით მეტი გააკეთა, ვიდრე უნივერსიტეტის მრავალმა სხვა პრეზიდენტმა ათწლეულის მანძილზე.[4] თუმცა ამპარტავან პროფესურაზე განაწყენებულმა იუმორით აღნიშნა, რომ ინტელექტუალი „ეს არის კაცი, რომელიც იმაზე მეტ სიტყვას იყენებს, ვიდრე საჭიროა, რათა თქვას იმაზე მეტი, რაც იცის“.[5] უკვე ამერიკის პრეზიდენტის რანგში მან მრავალი ღონისძიება გაატარა მეცნიერების განვითარებისთვის და ყოველნაირად იცავდა მისთვის განსაზღვრულ სარჯებს. მაგალითად, როდესაც ჯანდაცვის, შრომის და განათლების მინისტრმა ქალბატონმა პობიმ ბიუჯეტში გარკვეული ეკონომიის გაკეთება შესთავაზა განათლებაზე სახელმწიფო სარჯების შემცირების სარჯზე, იგი აღშფოთდა და უპასუხა, რომ „ყოველი ლიბერალი, ჩემი ჩათვლით, წინააღმდეგი იქნება... განათლება ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის საზოგადოებაში“ (გავიხსენოთ, რომ ეიზენჰაუერი საკუთარ თავზე ამბობდა, რომ იგი ლიბერალია ადამიანურ და კონსერვატორი – ეკონომიკურ საკითხებში) და განათლების პროგრამებს სასიცოცხლო მნიშვნელობის პროგრამები უწოდა.[6]

უდიდესი პატივისცემით მიმართა პრეზიდენტმა 1953 წლის 8 ოქტომბერს ამერიკის განათლების საბჭოს კონვენტის წევრებს და ყურადღება გაამახვილა მეცნიერთა როლზე ერების დაახლოების საქმეში. „ამ ასპექტში არ არის საკმარისი სხვა ერების მარტო გეოგრაფიის, ისტორიის თუ ტრადიციების ცოდნა. უნდა შევეცადოთ, რაც შეიძლება ღრმად გავუგოთ სხვა ერებს, მათ სულისკვეთებას“. გაიხსენა, რომ აფრიკის ერთ-ერთ მიყრუებულ კუთხეში ახალი, თანამედროვე სტანდარტებზე აგებული, მაგ-

რამ სრულიად მიტოვებული სოფელი ნახა. სოფელში ყველა სახლში გაბ-დინარე წყალი გაუყვანიათ, მაგრამ ქალები გასარების მაგივრად აღშფო-თებულან, ეისაიდან ამან მოუსპო მათ ურთიერთობის საშუალება სოფლის წყაროსთან. „მაშინ მიესყდი, რომ სხვების არ შესძოღა, ღამნაშაეც ეთქვი, რომ ეცდილობდი მათთვის ჩემი საკუთარი სურვილები ჩამეხერგა. ჩვენ ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია იარაღის და სხვა გზით, მაგრამ რეა-ლურ პროგრესს ყერასოლეს მიეაღწევთ, სანამ ყველა ქვეყნის განათლების მესვეურნი, აღმშრლელების სხვადასხვა ჯგუფები და ინსტიტუტები არ დაი-ნახავენ ამ პრობლემას და არ შეეცდებიან მის გაღაწყვეტას. მიმაჩნია, რომ სტუდენტებისა და პროფესორთა გაცვლითი პროგრამები უდიდეს როლს თამაშობს ამ საქმეში".[7]

1956 წლის 12 იანვარს პრეზიდენტმა კონგრესს განათლების საკითხებზე სპეციალური მიმართვა გაუგზავნა. აღნიშნა არსებული პროგრესი და ის ფაქტი, რომ განათლებას მანამდე არასოდეს ჰქონია ასეთი დიდი მხარდა-ჭერა ყველა დონეზე. მაგრამ ისიც დაამატა, რომ ყოველივე ეს არ იყო საკმარისი ამერიკის გაზრდილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ისიც დასძინა, რომ 2 წლის წინ კონგრესმა მხარი დაუჭირა მის ინიციატივას განათლების პრობლემებზე ყურადღების გამახვილების შესახებ. 1955 წელს, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ამ საკითხებს 4 ათასამდე კონფერენცია მიეძ-ღვნა. იმავე წლის ნოემბერში, განათლების საკითხებისადმი მიძღვნილი, ისტორიაში პირველი კონფერენცია მოეწყო თეთრ სახლში. მართალია, განათლება შტატის და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციაა, მაგ-რამ ამბობდა იგი, მაგრამ, როდესაც ისინი ვერ აუდიან გოგიერთ პრობლემას ამ სფეროში, არაფერი დაშავდება, რომ მათ ფედერალური ხელისუფლება დაეხმაროს. „მაგალითად, დღეს ეს საკლასო ოთახების უკ-მარისობაა და ჩვენ ვაკეთებთ ამას". პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამ მიზ-ნით შტატებს გამოეყო ფედერალური გრანტი 5 წლის ვადით 1,250 მილი-არდი დოლარის მოცულობით. ანუ წელიწადში 250 მილიონი. გარდა ამი-სა, 750 მილიონი, რათა ფედერალურ მთავრობას შეეხყიდა აღგილობრივი სკოლების მშენებელი კომპანიების აქციები, თუ ეს აქციები ვერ საღებოდა კერძო ბიზნესში. ასევე, თაყად შტატებსა და აღგილობრივ ხელისუფლებას მოუწოდებდა გაეაქტიურებინათ თავიანთი საქმიანობა სკოლების მშე-ნებლობაში. „უნდა ვაღიაროთ, რომ სისუსტე განათლების სფეროში ეს ერის, როგორც ასეთის, სისუსტის მაჩვენებელია".[8]

ეიზენჰაუერი საზს უსვამდა იმას, თუ რა დიდ ყურადღებას მოითხოვდა უმაღლესი და სხვა, სკოლისგარეშე განათლება. აღნიშნავდა სპეციალის-ტების საკლებობას მედიცინაში, პედაგოგიკაში, მომსელებში, მეცნიერებაში და საინჟინრო დარგში. ვითარების გამოსასწორებლად იგი აპირებდა გა-

მორჩილ პროფესიონალთა ჯგუფის შექმნას, რომელიც შეიმუშავებდა გეგმას უმაღლესი განათლების სისტემის გაუმჯობესებისთვის.[9]

მეცნიერების განვითარებას პრეზიდენტი პირდაპირ უკავშირებდა ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებს. 1956 წლის 3 აპრილს მეცნიერთა და ინჟინერთა განვითარების ეროვნული კომიტეტის შექმნის გამოცხადებისას პირდაპირ აღნიშნა, რომ „ ...ამერიკის ტექნოლოგიურ უპირატესობას სერიოზულ საფრთხეს უქმნიან ისინი, ვინც მეცნიერებას აგრესიისა და დაპყრობისთვის იყენებს".[10]

1956 წლის 19 ივნისს მან ხელი მოაწერა ბიბლიოთეკების მომსახურების კანონს, რომლის დანიშნულებაც იყო შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლების სტიმულირება აგრარულ რეგიონებში საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესებისთვის. მან იმედი გამოთქვა, რომ ეს პროგრამა მნიშვნელოვნად გაამდიდრებდა მილიონობით ამერიკელის ცხოვრებას.[11]

1956 წლის პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიაშიც მეცნიერება და განათლება პრიორიტეტული საკითხი იყო. 1957 წლის 28 იანვარს პრეზიდენტმა სპეციალური მიმართვა გაუგზავნა კონგრესს, რომელშიც განსილული იყო ფედერალური დახმარება განათლების სისტემისადმი. იმ წლის მიმართვაში, ისევე როგორც წინა მიმართვებში, ხაზს უსვამდა განათლების უდიდეს მნიშვნელობას ამერიკისათვის და აღნიშნავდა განათლების საკითხში მილწეულ წარმატებებს, მათ შორის, მრავალი ახალი სკოლის მშენებლობაში. კვლავ ხაზს უსვამდა, რომ განათლება ძირითადად შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლების პრეროგატივა იყო, თუმცა ყველაფერს ისინიც ვერ შესწვდებოდნენ და საჭირო იყო ფედერალური დახმარებაც. მაგრამ ფედერალური მთავრობის როლი ძირითადად მხარდაჭერით უნდა შემოიფარგლოს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს კონტროლი განათლების სისტემაზეო. აღინიშნა სკოლის მოწაფეთა რაოდენობის დიდი ზრდა და უახლოეს პერსპექტივაში კოლეჯების სტუდენტთა რაოდენობის გაორმაგების და გასამმაგების პერსპექტივებიც კი.

იმის გამო, რომ წინა წელს მისი მოთხოვნები არ დააკმაყოფილეს, კონგრესს კვლავ ოთხწლიანი ფედერალური დახმარების გეგმას სთავაზობდა. სკოლების მშენებლობისთვის ყოველწლიურად 325 მილიონს, ჯამში კი 1,3 მილიარდს. აგრეთვე კვლავ 750 მილიონის გამოყოფას ადგილობრივი სკოლების მშენებლობისთვის საჭირო სესხების შესყიდვისათვის ფედერალური მთავრობის მიერ. ამ მიმართვის საბოლოო არსი ის იყო, რომ ფედერალური დახმარება უნდა გამოყენებულიყო შტატების და ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის ეფექტურობის ზრდის და არავითარ შემთხვევაში მათ საქმოიანობაში ჩარევისთვის.[12]

ამერიკაში მოკური ეფექტი გამოიწვია და სერიოზული საფრთხე შეუქ-

მსა ქვეყნის უსაფრთხოებას 1957 წლის 4 ოქტომბერს საბჭოთა სელოვნური თანამგზავრის, ე.წ. „სპუტნიკის“ გასელამ დელამიწის ორბიტაზე. „სპუტნიკის“ სამეცნიერო ექსპერიმენტმა დაადასტურა, რომ მისი შეშვებით საბჭოთა რაკეტის, მათ შორის წყალბადის იარაღით აღჭურვილის, გამეება ასანეტის ყოველ წერტილში შეიძლებოდა. ამერიკის ბუნებრივმა სტრატეგიულმა მღუდებმა წყნარი და ატლანტის ოკეანეების სახით, დაკარგეს თავიანთი თავდაცვითი ფუნქცია.

მანამდე ამერიკელები დარწმუნებული იყვნენ არა მარტო თავიანთ უსაფრთხოებაში, არამედ სამეცნიერო ლიდერობაშიც, როგორც ქვეყანა, რომელსაც მსოფლიოში საუკეთესო უნივერსიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები გააჩნდა. ამ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში, გარდა ამერიკელებისა, საუკეთესო ყოფილი ნაცისტი და აღმოსავლეთ ევროპიდან გამოქცეული მეცნიერები მუშაობდნენ. ამიტომაც ამერიკელებს იმისიც სჯეროდათ, რომ მათი სარაკეტო პროგრამა წინ უსწრებდა ჩამორჩენილ რუსეთს.[13]

მაგრამ ამ დროისთვის უკვე დასერეტილი ლაერენტი ბერიას სადაზვერვო სამსახურმა და საბჭოთა მეცნიერებმა იმედები გაუცრუეს მათ. უფრო მეტიც, საბჭოთა მეცნიერებისა და მრეწველობის ამ წარმატებამ ცარკვეული ეჭვები გააჩინა ამერიკული სისტემის უპირატესობასთან დაკავშირებითაც. ორ სისტემას შორის გაჩაღებულ შეჯიბრში ამკარად გამოიკვეთა ამერიკის სუსტი მხარეც და ეს რეალური ფაქტით დადასტურდა. ბოყიერთმა ამ მოვლენას „ტექნოლოგიური პერლ ჰარბორი“ უწოდა.

მრავალმა ამერიკელმა დაიწყო ამერიკული განათლების სისტემის კრიტიკა – საბჭოეთი უკვეთეს კადრებს მრდისო, რომლებიც ტექნიკური განათლებით მეტად მიესადაგებიან კოსმოსურ ერასო. ბუნებრივია, ეიზენჰაუერის ოპონენტებმა მაშინვე შეუტიეს მას, რომ მან ვერ უბრუნველყო ქვეყნის უსაფრთხოება იმის გამო, რომ არ გაზარდა თავდაცვის ბიუჯეტი.[14]

1957 წლის 13 ნოემბერს ტელეგამოსვლაში უსაფრთხოების შესახებ ეიზენჰაუერმა რუსების უპირატესობას მეცნიერების რაოდენობითა და სარისხით, საგანგაშო და ამერიკისთვის ყველაზე კრიტიკული პრობლემა უწოდა. ჩვენ ათასობით მეტი მეცნიერი გვჭირდება, ვიდრე ახლა ვყავართ. ყველა სკოლას მოუწოდებდა გაეზარდა აქტიურობა. ეროვნული განათლების ერთიანერეული უნდა ერთწლიურად ვაქციოთო და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საბჭოთა მოსწავლეები ხუთი წელი ფიზიკას, 4 წელი ქიმიას, 1 წელი ასტრონიმიას, 5 წელი ბიოლოგიას, 10 წელი მათემატიკას, ტრიგონომეტრიის ჩათვლით, და 5 წელი უცხო ენას სწავლობენ.[15]

1958 წლის 9 იანვარს ყოველწლიურ მიმართვაში კონგრესისადმი უსაფრთხოებისა და მშვიდობის დაცვისთვის გასატარებელ ღონისძიებებზე

საუბრისას პრეზიდენტმა საზი გაუსვა განათლებისა და მეცნიერების მნიშვნელობას ამ ასპექტში. ამ მიზნით იგი მომავალი ოთხი წლის მანძილზე 1 მილიარდი დოლარის გამოყოფას მოითხოვდა, რათა, ერთი მხრივ, სტუდენტთა სწავლების ხარისხი გაუმჯობესებულიყო ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების მიზნით და, მეორე მხრივ, ეროვნული სამეცნიერო ფონდის საქმიანობა გაზრდილიყო შესაბამისი სამეცნიერო კვლევების გაუმჯობესებისთვის.[16]

ამ ყოველწლიურ მიმართვას 1958 წლის 27 იანვარს მოჰყვა პრეზიდენტის სპეციალური მიმართვა კონგრესისადმი, რომელიც უშუალოდ მხოლოდ განათლებისა და მეცნიერების საკითხებს დაეთმო. ითვალისწინებდა რა ეროვნული სამეცნიერო ფონდის რეკომენდაციებს, პრეზიდენტი გამოვიდა შემდეგი ინიციატივებით:

1. მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებელთა მომზადების დონის ამაღლება, მათი გადამზადება;

2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სასწავლო კურსების გაუმჯობესება;

3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ჩართული სტუდენტებისადმი ხელშეწყობა, რათა მათ სწორედ ეს კარიერა აერჩიათ;

4. კურსდამთავრებულთა სწავლების გაგრძელების ხელშეწყობა, მათთვის სტიპენდიების გამოყოფა;

5. სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების სტიმულირება, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.

ჯანდაცვის, განათლებისა და კეთილდღეობის სამინისტროს უნდა გაეტარებინა შემდეგი მუშაობა:

1. ხელი უნდა შეეწყოთ ნიჭიერი მოწაფეებისთვის გაეგრძელებინათ სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში, რათა არ დაეკარგათ ნიჭიერი ხალხი. ამისთვის ტესტების პროგრამები უნდა დაესვეწათ. გარკვეული გრანტები უნდა გამოყოფილიყო, რათა შტატებს გაეუმჯობესებინათ მუშაობა ამ მიმართულებით. უნდა გამოყოფილიყო აგრეთვე გრანტები კოლეჯებისა და უნივერსიტეტებისთვის, რათა მათ გაეუმჯობესებინათ პოტენციურ სტუდენტებთან საკონსულტაციო მუშაობა. იგეგმებოდა წელიწადში დაახლოებით 10 ათასი გრანტის გამოყოფა იმ ნიჭიერი სტუდენტებისთვის ვისაც კოლეჯში სწავლის ფულის გადახდა არ შეეძლო. შესაბამისად 4 წელიწადში უნდა გაცემულიყო 40 ათასი ფედერალური გრანტი;

2. მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების გაუმჯობესება სკოლებში. ფედერალური გრანტები უნდა გადაცემოდა შტატებს, რათა მათ მეტი და უკეთესი მასწავლებლები დაექირაებინათ ამ სფეროში, შეეძინათ ახალი ლაბორატორული მოწყობილობა, გაეზარდათ ხელფასები კვალიფიცირებული მასწავლებლებისთვის;

3. წარმატებულ კურსდამთავრებულთა სტიმულირება სპეციალიური ფელოუშიფების – სტიპენდიების მეშვეობით, რათა მათ სკოლებში დაწყოთ მუშაობა;

4. უცხო ენების სწავლების გაუმჯობესება უნივერსიტეტებში, ტრეინინგების ჩატარება ამ მიმართულებით;

5. განათლების ოფისის გაძლიერება.

იქვე საგანგასმული იყო, რომ ფედერალური მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ ჩაერეოდა საუნივერსიტეტო პროგრამებისა თუ კურიკულუმების შექმნის საქმეში და ამ მხრივ ყოველგვარი კონტროლი გამოირიცხებოდა.[17] მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამ მიმართების საფუძველზე იქნა 1958 წელს მიღებული „ეროვნული თავდაცვის განათლების კანონი" (National Defense Education Act) . ამ კანონის მიხედვით, მეცნიერებასა და განათლებაზე 887 მილიონი დოლარი გამოიყო.[18] კანონი ითვალისწინებდა დახმარებას ამერიკის განათლების ყველა სფეროსადმი, ყველა დონეზე, იქნებოდა ეს კერძო თუ სახელწიფო. ეს განსაკუთრებით ეხებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, მათემატიკისა და უცხო ენების სწავლებას. თუმცა არც სხვა დარგები უნდა გამორჩენოდათ. დახმარება უნდა გაწრდილიყო ბიბლიოთეკებისა და განათლების სფეროში მომუშავე მედიისათვის. ამ კანონის მიხედვით, უმაღლეს სასწავლებლებს გამოეყოფოდათ თანხები, რათა სტუდენტთათვის დაბალპროცენტიანი სესხები გაეცათ განათლების მისაღებად. ამავე დროს, გამოიყოფოდა თანხები ჩვეულებრივი სკოლების დასახმარებლადაც. და რასაკვირველია, ეს კანონი კრძალავდა ყოველგვარ ფედერალურ კონტროლს სასაწელებლების კურიკულუმების შედგენაში, მათ მისაგანაწესში და პერსონალის შერჩევაში. ზოგი მკვლევარი იმასაც ალნიშნავდა, რომ სწორედ საბჭოთა კავშირის მიშმა აიძულა ამერიკა წასულიყო განათლების სისტემის დაფინანსებაზე.[19] ეიზენჰაუერის ბიოგრაფი სტივენ ამბროუზიც აღნიშნავდა, რომ მინაგანად ეიზენჰაუერი წინააღმდეგი იყო პირდაპირი ფედერალური დახმარებისა და ეს იძულებითი ნაბიჯი იყო, ამავე დროს, ამბროუზის აზრით, არცთუ საკმარისი და ეიზენჰაუერს უკეთ შეეძლო გამოეყენებინა პოსტსპუტნიკური ისტერია ამერიკული განათლების სისტემის გაუმჯობესებისათვის. ამბროუზის აზრით, ეს განსაკუთრებით უცხო ენის სწავალას ეხებოდა. იაპონიასა და გერმანიაში ინტენსიურად სწავლობდნენ ინგლისურს და ამ ქვეყნებმა, ისევე როგორც რუსეთმა, გამოასწორეს კურიკულიმები არა მარტო მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, არამედ ჰუმანიტარულ დარგებშიც, მაშინ როდესაც ამერიკის განათლების სისტემის რეფორმა საკმაოდ ბუნდოვნი პერსპექტივებით წარიმართა.[20]

რასაკვირველია, როგორც იტყვიან, ყოველთვის და ყველაფრის უკეთ

გაკეთება შეიძლებოდა, მაგრამ ამბროუზის შეფასება მეტისმეტად პირქუშად გვეჩვენება. მით უმეტეს, რომ ამერიკელებმა მართლაც მიაღწიეს მნიშვნელოვან შედეგებს მეცნიერების განვითარებაში. და თუმცა ამერიკელთა კოსმოსური რაკეტის პირველი წარმატებული გაფრენა 1958 წლის 31 დეკემბერს უშუალოდ ამ კანონის შედეგი ვერ იქნებოდა, პროგრესი მომავალში სულ უფრო იკვეთებოდა.

მაგრამ 1959 წელს ყურნალ „ლაიფისადმი" მიცემულ ინტერვიუში ეიზენჰაუერი აუცილებლად მაინც აღნიშნავდა, რომ „აღმზრდელები, მშობლები და მოსწავლეები მუდამ შეშფოთებულები უნდა იყვნენ ჩვენს განათლების სისტემაში არსებული სარეგებით".[21] მით უმეტეს, რომ 1950-იანი წლების დასასრულისათვის ამერიკაში 25 წელს მიღწეული ახალგაზრდების 8,4 პროცენტი ფუნქციურად წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ანუ წერა-კითხვა მხოლოდ მეხუთე კლასის დონეზე შეეძლო.[22]

1959 წელს განათლების სისტემის ეფექტურობის ღონისძიებებზე საუბრისას პრეზიდენტმა განაცხადა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოებაში მასწავლებელთა სტატუსის ამაღლებას. ამ მხრივ უპირველესი მოთხოვნაა მათი ხელფასების ზრდა, მაგრამ, ამავე დროს, აღიარებული უნდა იყოს მასწავლებელთა უდიდესი მნიშვნელობა საზოგადოებისათვის — „გვეღრში უნდა დავუდგეთ, გავამხნევოთ, გავუგოთ და დავეფასოთ მასწავლებლები, რაც მასწავლებლის პროფესიას მიმზიდველს გახდის გამორჩეული ადამიანებისათვის".[23]

1961 წლის 6 იანვარს, ანუ მისი მმართველობის ბოლო დღეებში, ეროვნული სამეცნიერო ფონდის National Scientific Foundation ხელმძღვანელისადმი გაგზავნილ წერილში ეიზენჰაუერი კმაყოფილებით აღნიშნავდა ფონდის საქმიანობას და მოხარული იყო, რომ მისი მთავრობასთან თანამშრომლობა ნაყოფიერად მიმდინარეობდა — „აღსანიშნავია ამ ფონდის სამსახური ქვეყნის აუცილებელი საჭიროებებისადმი და მისასალმებელია, რომ 1952 წელთან შედარებით, როცა ფონდის სამეცნიერო სქმიანობაზე 4, 7 მლნ. დაიხარჯა, 1960 წელს უკვე 154,7 მილიონი ისარჯება. შესაბამისად, ფონდის გრანტები 1,8 მილიონიდან 57,2 მილიონამდე გაიზარდა".[24]

საბოლოოდ, ეიზენჰაუერის ადმინისტრაციის საქმიანობას განათლებისა და მეცნიერების სფეროში, ალბათ, უფრო წარმატებული უნდა ვუწოდოთ, ვიდრე წარუმატებელი. მით უმეტეს, რომ, მიუხედავად ეიზენჰაუერის კონსერვატიზმისა, რომლის მისედვითაც განათლება ეს შტატების საქმე იყო, მას მაინც მოუწია სერიოზული ფედერალური ხარჯების გაწევა. რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ გამოჩენილი პიროვნების პრაგმატულობასა და საღ გონებაზე.

ამავე დროს, აღნიშნული გამოცდილება გასათვალისწინებელია ჩვენი

ქვეყნისთვისაც, რომელსაც, როგორც მცირე სახელმწიფოს, კიდევ უფრო ესაჭიროება განათლების მაღალი დონე. კერძოდ კი, საუბარია უმაღლესი სელისუფლის დამოკიდებულებაზე განათლებისა და მეცნიერებისადმი, სელისუფლების მუდმივი დაუკმაყოფილებლობა არსებული ვითარებით და უკეთესის ძიება. განათლებისა და მეცნიერების მაღალ დონეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის უსაფრთხოებისა და ეკონომიკური განვითარებისთვის, მორალური კლიმატის გაჯანსაღებისთვის. გამართული განათლებისა და მეცნიერების სისტემა ცივილიზებული ქვეყნის არსებობის აუცილებელი წინაპირობაა და არა ვისმეს, მაგალითად, პროფესორ-მასწავლებელთა კაპრიზი. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ჩვენ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. აღნიშნულ ათწლეულში განათლების საკითხები მჭიდროდ დაუკავშირდა რასობრივ პრობლემას და უდიდესი გაელენა მოახდინა მასზე, მაგრამ ეს ცალკე და უდიდესი თემაა, რომელიც ნამდვილად ვერ ჩაეტეოდა ამ სტატიის ფორმატში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Robert J. Donovan, *Tumultuous Years, the Presidency of Harry S. Truman, 1949-1953*, W.W. Norton & Company, N.Y., London, 1982, p. 124.
2. Public Papers of the Presidents of the United States. Harry S. Truman, 1952-53, US Government Printing Office, Washington, 1966, p. 177.
3. Ibid, p. 354.
4. Stephen E. Ambrose, *Eizenhower, vol. I, Soldier, General of the Army, President – Elect 1890-1952*, A Touchstone Book, Published by Simon and Shuster, Inc., N.Y., 1983, pp. 484-485.
5. Eric F. Goldman, *The Crucial Decade – And After, America, 1945-1960*, Vintage Books A. Division of Random House, N.Y., p. 291.
6. Stephen E. Ambrose, *Eisenhower, vol. II, The President*, A Touchstone Book, Published by Simon and Shuster, Inc., N.Y., 1984, p. 115.
7. Public Papers of the Presidents of the United States. Dwight D. Eisenhower, 1953, Containing the Public Messages, Speeches, and Statements of the President., US Government Printing Office, 1960, pp. 642-643.
8. Public Papers of the Presidents of the United States. Dwight D. Eisenhower, 1956, Containing the Public Messages, Speeches, and Statements of the President, US Government Printing Office, 1958, p. 68.
9. Ibid, pp. 70-71.
10. Ibid, p. 365.
11. Ibid, p. 577.
12. Public Papers of the Presidents of the United States. Dwight D. Eisenhower,

1957, Containing the Public Messages, Speeches, and Statements of the President, US Government Printing Office, 1958, pp. 80-95.
13.Charles A. Wills, *Decades of American History, America in the 1950-s*, A Stonesong Press Book, 2006., p. 80.
14.Warren I. Cohen, *The Cambridge History of American Foreign Relations, Volume IV. America in the Age of Soviet Power 1945-1991*, Cambridge University Press, N.Y., 1993, p. 92.
15.Public Papers of the Presidents of the United States. Dwight D. Eisenhower, 1957, Containing the Public Messages, Speeches, and Statements of the President, US Government Printing Office, 1958, pp. 814-815.
16.http://www.teachingamericanhistory.org/library/index.asp?document=1372
17.Public Papers of the Presidents of the United States. Dwight D. Eisenhower, 1958, Containing the Public Messages, Speeches, and Statements of the President, US Government Printing Office, 1959, pp. 127-132.
18.Bailey, T. A., Kennedy D. M., *The American Pageant, A History of the Republic*, D. C. Heath and Company , Lexington, Massachusetts, Toronto, 1991, p. 908.
19.Charles Murray, *Losing Ground, American Social Policy 1950-1980*, Basic Books A Division of Harper Collins Publishers, 1980, p. 109.
20.Stephen E. Ambrose, *Eisenhower, vol. II, The President*, A Touchstone Book, Published by Simon and Shuster, Inc., N.Y., 1984, pp. 459-460.
21.John Patrick Diggins, *The Proud Decades. America in War and Peace 1941-1960*, W. W. Norton & Company. N.Y., London 1989, p. 203.
22.Ibidem.
23.Public Papers of the Presidents of the United States. Dwight D. Eisenhower, 1959, Containing the Public Messages, Speeches, and Statements of the President, US Government Printing Office, 1960, p. 420.
24.Public Papers of the Presidents of the United States. Dwight D. Eisenhower, 1960-61, Containing the Public Messages, Speeches, and Statements of the President, US Government Printing Office, 1961, p. 895.

VASIL KACHARAVA
Tbilisi Ivane Javakhishvili State University, Assoc. Prof.
Georgian Association for American Studies, President

SUMMARY

SCIENCE AND EDUCATION ISSUES IN POLICY OF D. EISENHOWER ADMINISTRATION

The article refers to the President D. Eisenhower's political views on education and science during the 1950s. According to the official documents of the President and other sources it appears that President D. Eisenhower paid a big attention to the development of education and science. During the Presidential Elections of 1952 and 1956 the science and education was one of the priorities of the campaign. During the Cold War the defense and security interests caused the growth of the importance of education and science. In the epoch of nuclear weapons scientific technologies had a vital significance.

On October 4, 1957 America had a shock when the Soviet satellite "sputnik" was led to the orbit and accordingly seriously endangered the US security. Many Americans started to criticize American education system very acutely. In response by the Presidents initiative the "National Defense Education Act" was adopted in 1958 according to which the 887 million dollars were discharged for science and education. The act considered assistance to every area of American education and science.

Finally, the work of Eisenhower's administration in this field can be assessed positively. In spite of Eisenhower's conservative views according to which the education issues belonged to the competence of states governments, he still had to spend billions of dollars from federal treasury that once again indicated to his personal pragmatism and common sense.

Perhaps the above stated experience should be taken into the consideration by our country too. For it's surviving, as a small state Georgia needs high level education even more. More concretely, the dependence of the sovereign ruler on the education and science, the constant dissatisfaction with the existed situation and the quest for better. Unfortunately, with this direction we have a lot to do to go through.

ემზარ კასიძე
შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ამერიკა-რუსეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში: ისტორიული პარალელები და პერსპექტივები

წინამდებარე სტატიისთვის რეზიუმეს წერა 2008 წ აგვისტომდე დავიწყეთ და ის პროგნოზები, რომელიც რეგიონში რუსულ-ამერიკული დაპირისპირების სასიათის შესახებ გამოვთქვით, სამწუხაროდ, ახლა. დაახლოებით იგივეს ვამტკიცებდით ჩვენს მიერ აღრე გამოცემულ პუბლიკაციებშიც (Кахидзе 2007: 2008). უფრო მეტიც, ერთი შესელვით, რუსულმა აგრესიულმა საგარეო პოლიტიკამ გაცილებით ფართოდ გაშალა ფრთები და ღასავლურ სამყაროს ლამის ახალი „ცივი" ომით დაემუქრა, თუმცა, ღარწმუნებული ვარ, ბევრი ღღესაც დავთანხმება ჩემს მიერ შემოთხსენებული რეზიუმეს ერთ ციტატას: „ამერიკისა და რუსეთის დაპირისპირებას ჩვენს რეგიონში ორი ასიმეტრიული ძალის დაპირისპირების ფორმა აქვს. რუსეთი, რომელიც ვეღარ უმკლავდება ამერიკას გლობალური მასშტაბით, ერთგვარ „კომპენსაციას" ე.წ. ახლო საზღვარგარეთში ეძებს, რაც მეტ-ნაკლები წარმატებით გამოსდის".

ამ სიტუაციას ძალზედ წააგავს იმაზე კავკასიაში ას.წ. პირველ საუკუნეებში რომისა და პართიის დაპირისპირება. ეს უკანასკნელი გრძნობდა რა მოწინააღმდეგის აღმატებულ შესაძლებლობებს, ცდილობდა ახლომღებარე რეგიონებში, მაგალითად არმენიაში მაინც გაეწია კონკურენცია. ის სელიდან სელში გადადიოდა და ამ პროცესში იბერიაც იყო ჩართული (ის. ქართული დიპლომატია 1995: 146-166; 1996: 25-49; 1998: 68-75).

რომისთვის, რომელიც მკვეთრად გამოყოფდა საკუთარ თავს ე.წ. ბარბაროსული სამყაროსაგან,[1] არამეული და ირანული ეთნოსებით დასახლებულ რეგიონებში, სადაც ანტიკური საქალაქო ცსოვრებისადმი ანტაგონისტური განწყობილება, სუსტად განვითარებული მონათმფლობელობა და ძველი აღმოსაველეთიდან მემკვიდრეობით მიღებული პრიმიტიული სასოფლო-სამეურნეო ურთიერთობები პრევალირებდა, ძალზედ ძნელი, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო მტკიცედ ფეხის მოკიდება. ამიტომ, აგვუსტუსის მმართველობის სანიდან ამ ორი სასელმწიფოს დაპირისპირება სომსეთზე

[1] ეს არამარტო პოლიტიკურ, სოციალურ თუ რელიგიურ-კულტურულ ღონისძიებებში, არამედ ეიშულურადაც კარგად ჩანდა. მხედველობაში გვაქვს ლიმესების ქსელი, რომელიც ჩრდილოეთის თუ სხვა კრიშისულ საზღვრებთან იყო აღმართული. სამწუხაროდ, სიტუაცია თეისობრივად ღღესაც არ შეცვლილა. მართალია, დასაველეთთან ფიზიკურად გამყოფი ზოლი ასე თვალში საცემი არაა, მაგრამ არის ეირტუალური კედელი (თუნდაც ეიზების სახით), რომელიც გაუცხოების აშკარა ინდიკატორია.

ზეგაელენის მოპოვებაში გამოისახებოდა. ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყნის ერთ-ერთი დამპყრობლის სრული კონტროლის ქვეშ მოქცევა მეორის საცილოცხლო ინტერესებს ემუქრებოდა (Кудрявцев 1948: 55; Luttwak 1999: 9). მართლაც, დიდი არმენიიდან რომაული გარნიზონების გამოსვლის შემდეგ გარღაუვალი გახდა აღმოსავლეთის საზღვრის მიღმა პერიმეტრზე მნიშვნელოვანი ძალების კონცენტრირება. განსაკუთრებით ინტენსიურად ეს პროცესი 74-76 წწ. მიმდინარეობდა. ადრიანეს სანიღარს (117-138 წწ.) კი იმპერია ტოტალურ თავდაცვაზე გადავიდა (Keppie 1973: 862-864; Johnson 1997: 9).

რომაელთა მარცხი არამარტო სამხედრო-პოლიტიკური შეცდომებისა თუ წარუმატებლობების შედეგი იყო, მას გაცილებით ღრმა მიზეზებიც ქონდა. საკითხს ისტორიულ-ფილოსოფიურ ჭრილში თუ შევხედავთ, დავინახავთ რომ ნებისმიერი იმპერია თავისიექ გაუმაძღრობის მსხვერპლია: შეუძლებელია ესა თუ ის ორგანიზმი უსასრულოდ იბრძებოდეს. აღრე თუ გვიან მას შეჩერება მოუწევს. რომისთვის ამგვარ ბღუღელ აღმოსავლეთი მოგვეელისა. რეგიონის რომაული პროვინციებიც კი მსოლოდ გეოგრაფიული მდებარეობითა და ბერძნული ენის ბატონობით კი არ განსხვავდებოდნენ ცენტრისგან, არამედ მათ ისტორიულად ნაშოყალიბებული საკუთარი ეკონომიკური თავისებურებები, მნიშვნელოვანი სოციალური მდგრადობა და კულტურული თავისთავადობა ახასიათებდათ. იმ დროს, როდესაც დასავლური პროვინციები მთლიანად იყვნენ რომანიზირებული, აღმოსავლეთში არათუ რომანიზაციამ მიაღწია თავისსახით წარმატებებს, არამედ არც ელინიზაციას მოუცია ღრმად ფართო ძასები. აქაურმა ხალხებმა ელინისტური და რომაული ბატონობის საუკუნოვანი ბატონობის განმავლობაში შეინარჩუნეს ძველაღმოსავლური წარსულიდან გაღმოყოლილი რიგი სოციალური დადგენილებანი და კულტურის ელემენტები (Ранович 1949: 3, 36, 158, 208; Akurgal 1985: 32-33; Devijver 1986: 198, 201; Hopwood 1986: 344). მაგალითად, ტიგრან დიდის შემდგომი არმენია, რომელიც საკუთარ ბუნებრივ საზღვრებში მოაქციეს, მოწყდა ელინისტურ სამყაროს და თანდათანობით პართიას, შემდგომ კი ირანს დაუკავშირდა. საერთო ჯამში, სომხური და სხვა ამიერკავკასიური საზოგადოებების მთავარი მახასიათებლები იყო მჭიდრო კავშირი წინა აზიასთან, თემური ორგანიზაციის წამყვანი როლი, ანტიკური კულტურის შედარებული გავლენა და ფართო მასებში თვითმყოფადობის საფუძვლების, ტრადიციათა სიმყარე (Болтунова 1968: 277-280).[2]

[2] არაბებშიც ძველი საგანთა ორგანიზაციები ინარჩუნებდა ხასიათის ძირითად ნიშნებს. აქ ინსტიტუტი ყოველთანიშნული ძალა ნაკლებად იგრძნობოდა. ეთნიკურ ნაცნობ ნაირება სასულიერო სტრუქტურაში ნაკლებმნიშვნელოვანი იყო (Ранович 1949: 110) იგივე თქმის ბრიტანეთის კელტების სამართალ-ტრადიციაზე (კორნუოლი) მიმართებაშიც, რომელმაც გეოგრაფიული დაშორებულობის წყალობით და ისის გამო, რამ რომაელებს ძალზე ცუდი ალგილები არ ანატერესებდათ, შეინარჩუნა თავისთავადობა (Можчан 1997: 84-89).

მართალია, განსხვაებულია გეოგრაფიულ რაკურსი, მაგრამ ამ სიტუაციას ძალზედ გაეს თანამედროვეობა. ანტიკურ ეპოქასთან შედარებით დასაელური ფასეულობების უფრო ღრმად შემოჭრის მიუხედავად, ქართული საზოგადოებრიობა თავისი კულტურული თუ პოლიტიკური მახასიათებლებით გაცილებით ახლოს დგას ე.წ. პოსტ-საბჭოთა სივრცესთან, ვიდრე დასაელეთთან. ალბათ, ამ შეუსაბამობის „გადაფარვის“ მცდელობით აისსნება ჩვენი ელიტის აშშ მკვეთრად საზგასმული სამხედრო-სტრატეგიული თანამშრომლობა და შესაბამისად მისი მოწინააღმდეგის მიმართ კონფრონტაციული პოლიტიკა. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ ისევე როგორც ძველ პერიოდში, ქართული ელიტა უფრო მეტად ორიენტირებულია არა კონკრეტულ ფასეულობებზე, არამედ პირადი ძალაუფლების შენარჩუნების მანიით არის შეპყრობილი. თანამედროვე საქართველოს „სასელმწიფო მამები“ ქმნიან, ან უფრო ზუსტად ცდილობენ შექმნან მათ მიერვე „გაღმერთებული“ დასაელური სისტემის ფასადი და არა რეალური დემოკრატია. ამგვარი რამ ამა თუ იმ ციველიზაციის განაპირა რეგიონებისთვის დამახასიათებელი სენია, თუმცა ის ფაქტი, რომ ჩვენმა სელისუფლებამ სუთი წლის განმაელობაში მოახერხა „დაებრმაებინა“ დასაელეთის „პროგრესული საზოგადოებრიობა“ მიუთითებს დემოკრატიული სისტემის არასრულყოფილებაზე, რაც აშშ პერმანენტულად შეინიშნება, თუნდაც გავიხსენოთ კუბისა და ირანის მაგალითები, რომლებიც, როგორც მოგეხსენებათ, საკმაოდ საეალალოდ დასრულდა.

თუკი დაეუბრუნდებით რომისა და პართიის დაპირისპირების თემას, გაგეახსენდება – ყველაფერი იმით დამთაერდა, რომ ელინისტური სასელმწიფოებრიობის გარკეული მემკვიდრე და დასაელეთისადმი შედარებით ნაკლები ანტაგონიზმით განწყობილი პართია რეგიონის უფრო ორგანულმა ძალამ, სპარსეთმა ჩაანაცვლა (Неронова 1989: 295-296), რამაც ძირფესვიანად შეცვალა იმდროინდელი გეოსტრატეგიული ეითარება. თუ გავითვალისწინებთ ამერიკის პრობლემებს ერაყში და საერთოდ ახლო აღმოსაელეთში, ამგვარი სიტუაციის განმეორება სულაც არაა გამოსარიცხი, რაც ჩვენს ქვეყანას გაცილებით უფრო სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენებს. რუსული იმპერიალიზმის გაძლიერების პარალერულად ჩვენ ძალზედ გვაფიქრებს ისლამური ტერორისტული ქსელის მიზანდასახულობა, მისი მეთოდური და სისტემური ხასიათის ქმედებები, რაც ამ ფენომენს სერიოზულ ისტორიულ მუსტს სძენს და გარკეულწილად ბოლშეეიკური მოძრაობის მიერ განელილ გზას გვახსენებს. არსებობს კიდეე უფრო ლატენტური საფრთხე, რომელიც „ტერორიზმთან გმირულად მებრძოლი დასაელელი ქორების“ ანტიდემოკრატიული ვნებებისგან მომდინარეობს და მან, შესაძლოა, აგეისტოს მოელენებშიც გარკეული როლი ითამაშა. გა-

მოსარიცხი არაა, რომ აშშ საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებისთვის განწირული კონსერვატორული ურთა, II სექტემბრის შემდეგ აყორებული „უსაფრთხოების ვაკანსიის“ ანალოგიით, საგარეო ფაქტორის გამოყენებას ცდილობდა.

ბუნებრივია, აგვისტოს კატასტროფაში ლომის წილი, მაინც, ჩვენ ხელისუფლებას მიუძღვის, რომელიც ბედმეტად დამოკიდებულია უცხოეთზე და, ძირითადად, შოუებზე ორიენტირებული საგარეო თუ შიდაპოლიტიკური სვლების არაეფექტურობის გამო მზად არ აღმოჩნდა სერიოზული გამოწვევისთვის, რომელიც, შესაძლოა, მართლაც გარდაუვალი იყო, ეისაიდან იმპერიული ნოსტალგიის სენით შეპყრობილი რუსეთი ადრე თუ გვიან აუცილებლად აუსირდებოდა მეზობლებს და, რა გასაკვირია, რომ პირველ რიგში ეს ყველაზე ხმაურიანი და აბეზარი „ოჯახი“ იქნებოდა. ალბათ დაკვირდებოდით, რომ აშშ უძლეველობაში დარწმუნებული ხელისუფლების თითქმის ყველა წარმომადგენელი, პრეზიდენტის ჩათვლით, საუბრობს რუსული აგრესიის მოულოდნელ მასშტაბებზე, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მათ არაკომპეტენტურობას. საესებით ეთანხმებით ს. ცისკაძის აზას წინათ გამოთქმულ ერთ მოსაზრებას: „ჩვენი საზოგადოება, ხელისუფლებით დაწყებული და ინტელექტუალურ-პოლიტოლოგიური წრეებით დამთავრებული, ერთ მარტივ ჭეშმარიტებაში ვერ გარკვეულა. დღევანდელი ნატო სამოცი და სამოცდაათიანი წლების ნატო ჰგავსიათ. იგი აღარ არის ისეთი დამცავი ქოლგის ფუნქციების მატარებელი, როგორც ციო ომის წლებში იყო“ (იხ. კვირის პალიტრა 2008: № 48, 3).

სამწუხაროდ, ამ „გაურკვეველობის“ მიზეზი მხოლოდ ხელისუფლება ან მოცემულ მომენტში დაშვებული პოლიტიკური შეცდომები არაა, მას გაცილებით ღრმა ფესვები გააჩნია. „ავადმყოფობას“, რომელიც ჩვენ შეგვეყარა საკმაოდ გრძელი ისტორია აქვს და ის ჩვენი საზოგადოების საუკუნოვან პრობლემებს: ინფანტელიზმს, უინიციატივობასა და სხვის მოიმედობას ააშკარავებს.[3] მერამდენეჯერ უნდა დავრწმუნდეთ იმაში, რომ საერთაშორისო საჭადრაკო დაფის ძლიერ ფიგურებს შორის ბალანსირების პოლიტიკა, ადრე თუ გვიან ერთი-ერთი მათგანის გამოთიშვით დასრულდება, რაც გამარჯვებული მხარის პეტემონურ მისწრაფებებს კიდევ უფრო გააღრმავებს. ციცილიზირებული სამყაროს აპოლოგეტებს მინდა შევახსენო ღემოკრატიული ათენის მაგალითი, რომლის დიდმპყრობლური ამბიციები ნათლად გამოჩნდა ე.წ. დელოსის საბღვაო კავშირში შემავალი პარტნიორების მიმართ. როგორც მოგახსენებათ, ერაყის ომის დროს მოკავში-

[3] დ. ბრაუნდი ძალზედ მოსწრებულად აღნიშნავს: „საქართველოს ძველი ისტორია, ხშირ შემთხვევაში, უცხოური გაელენის ქვეშ ყოფნა, მიდა განკერძოებულობა და სხვადასხვა პოლუსებს შორის მოძრაობაა“ (Braund 1994: 6).

რეების არც ამშ ექცეოდა განსაკუთრებული გულისხმიერებით, რაც, როგორც დრომ დაგვანახა, დიდი შეცდომა იყო.

აღრე თუ გვიან უნდა გავარკვიოთ ჩვენი პოლიტიკური „ახლობლებლობის" მოჯადოებული წრე, ვერწმუნოთ საკუთარი თავი, „დაეუბრუნდეთ" რეგიონს, მეზობლებს, რომლებიც ჩვენთვის უფრო ახლო და მნიშვნელოვანია მარტო იმიტომ, რომ საუკუნეების განმავლობაში ერთად თანაცხოვრობთ და აქედან გამომდინარე მეტნაკლებად საერთო მენტალიტეტი გვაქვს. გლობალიზაციის პირობებში პრიორიტეტი უნდა იყოს რეგიონალური ინტეგრაცია, საკუთარი და არა სხვების ინტერესების დაახლოება. თანამედროვე მსოფლიოსთვის ეს უნივერსალურ მოღვაწედ მენტალობა. ბუნებრივია, რომ ინტეგრაციის პირველ ეტაპზე ერთმანეთის უკავშირდებიან გეოგრაფიულად და შესაბამისად კულტურულ-ისტორიულად ახლო მდგომი სახელმწიფოები და მხოლოდ ამის შემდეგ ფიქრობენ უფრო დიდ სივრცეებზე. ლოგიკა გვკარნახობს, რომ ერს, რომელიც ვერ „ეწყობა" მეზობელს, მით უმეტეს გაუჭირდება მსოფლიო მასშტაბებით რეალური ინტეგრაცია. ისტორიული გამოცდილება, კავკასიელთა მულტიკულტურული მიღრეკილებები დღის წესრიგში სვამს ორიენტირების შეცვლის ან კიდევ უფრო უკეთესი, ახლის შექმნის შესაძლებლობებს.

ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს დასავლეთისათვის ურთიერთობას, ამ უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტორს, რაღაცნაირად ვაკნინებთ. პირიქით, დასავლეთთან აღრეული კონტაქტების მიმოხილვისას ყოველთვის ვუსვამდით, რომ თუნდაც ფორმალურად რომის იმპერიის გაქრობის ქვეშ ქრისტიანობის გავრცელებას (იხ. მამულაძე, ხალვაში, კახიძე 2001: 176; კახიძე 2002: 117; Kakhidze 2004: 51). ალბათ დამეთანხმებით, რომ დრომ ეს უდიდესი კულტურული მოვლენა პოლიტიკური შემაღგენლობაც შეუცვალა, ეგულისხმობთ დემოკრატიას, რომელიც უდავოდ დასავლური ცივილიზაციის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია.

დემოკრატიის დამყარება შეუძლებელია სხვისი მოიმედეობით, საკუთარი თავის რწმენის გარეშე. რაც, სხვათა შორის, ძალზედ დასავლურია, ისევე როგორც თვითიდენტიფიკაციის კულტის სწრაფვა. ჩვენ გვაქვს უამრავი მაგალითი, როცა გაცილებით უფრო რთული ვითარებიდანაც გამოვსულვართ. თუნდაც, დავით აღმაშენებლის ეპოქა გავიხსენოთ, როცა სელჯუკებისგან იავარქმნილი საქართველო რეგიონალურ გეოპოლიტიკურ ცენტრად იქცა, ოღონდ, მაშინ მისი მშენებლობისათვის ჩვენთვის მოწინავე, მსოფლიოდ ახლო ბიზანტიური გამოცდილება იქნა გამოყენებული, ახლა სხვა დრო და ორიენტირებით დემოკრატია ჩვენთვის ყველაზე სასარგებლო გამოცდილება, დღესდღეობით ერთადერთი ხსნა, სახელმწიფოს ფიზიკური გადარჩენის შანსია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კახიძე ე., სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი გვიანანტიკურ და ადრებიზანტიურ ხანაში (ანტიკურ სამყაროსთან ურთიერთობების შედეგები). საისტორიო მაცნე, XI, 2002, ბათუმი, გვ. 106-117.
2. კვირის პალიტრა, №49, 2008, „საქართველო თავისი სიამაყე პაერში მოსსნა".
3. მამულაძე შ., სალეაში მ., კახიძე ე. რომაელები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. კულტურის ისტორიის საკითხები, 10, თბ., 2001, გვ. 163-177.
4. ქართული დიპლომატია, წელიწდეული, თბ., 2, 1995; 3, 1996, 5, 1998.
5. Болтунова А.И., Процесс исторического развития стран Закавказья в античную эпоху. Studien zur Gesihchte und Philosophie des Altertums, Budapest, 1968, ss. 270-280.
6. Кахидзе Э., Перспективы Кавказа в условиях глобализации исходя из исторического опыта. Материалы международного конгресса: «Кавказ и Центральная Азия в процессе глобализации», кн. 3, Баку, 2007, с. 1289-1293.
7. Кахидзе Э., Некоторые соображения об исторической перспективе Южного Кавказа. Актуальная политика, № 3 (8). Ереван, 2008, с. 13-17.
8. Кудрявцев О.В., Римская политика в Армении и Парфии во второй половине правления Нерона. ВДИ, 4, 1948.
9. Моммзен Т., История Рима. Том IV, «Феникс-Зевс», Ростов-на-Дону/М., 1997.
10. Неронова В. Д., Поздняя Римская империя (III-V вв.). История древнего мира. Упадок древних обществ, под. ред. И.М. Дьяконова, В.Д. Нероновой. И.С. Свенцицкой, «Главная редакция Восточной литературы», М., 1989.
11. Ранович А. Б., Восточные провинции Римской империи в I-III вв. «Издательство АН СССР», М./Л., 1949.
12. Akurgal E., The Ancient Civilizations and Ruins of Turkey. Turk Tarih Kurumu Basimevi, Istanbul, 1985.
13. Braund D., Georgia in Antiquity. Clarendon Press, Oxford, 1994.
14. Devijver H., Equestrian Officers from the East. The Defense of the Roman and Byzantine East, eds. P. Freeman and D. Kennedy, Proceedings of a Colloquium Held at the University of Sheffield in April 1986, BAR Int. Ser., 1986, 297 (I), pp. 109-225.
15. Hopwood K., Towers, Territory and Terror: How the East was Held. The Defense of the Roman and Byzantine East, eds. P. Freeman and D. Kennedy, Proceedings of a Colloquium Held at the University of Sheffield in April 1986, BAR Int. Ser., 1986, 297 (I), pp. 343-356.

16.Johnson S., Hadrian's Wall. Batsford/English Heritage, London, 1997.
17.Kakhidze, E. The Christianization of Georgia. Abstracts of the reports of the conference: The Black Sea Region: Past, Present and Future, 2004, Istanbul, pp. 50-51.
18.Keppie L., The Legionary Garrison of Judea under Hadrian. Latomus, 32, 1973, pp. 859-864.
19.Luttwak E., The Grand Strategy of the Roman Empire from the First Century A.D. to the Third. Weidenfeld & Nicolson, London, 1999.

EMZAR KAKHIDZE
Shota Rustaveli State University Assoc. Prof.

SUMMARY

THE STRUGGLE BETWEEN USA AND RUSSIA FOR SOUTHERN CAUCASUS: HISTORICAL PARALLELS AND PERSPECTIVES

The policy of USA in our region very much reminds Roman, focused on strategic presence at region. Russia in this context "approaches" with Parthia which proceeding from the limited resources tried will face able Empire not directly, in so-called buffer zones. The bright example of such strategic rivalry was Armenia. Romans who also could not throw sufficient military-economic resources in South Caucasus, tried to divide influence spheres in region, creating bases for assumed «a resolute throw» on East direction. But this moment has not come, on the contrary in region there was more organic force, Persia which, not looking at time failures, could is taken the initiative and has passed in serious counterattack.

გიორგი კვიტაშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი კვლევითი
ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

აშშ-ს „კეთილი მეზობლის“ პოლიტიკა XX საუკუნის 30-იან წლებში

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა XX საუკუნის 30-იან წლებში, ერთი მხრივ, 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის, – მეორე მხრივ, ახალი მსოფლიო ომის საფრთხის ზრდის ფონზე ხორციელდებოდა. თუ ეკონომიკური კრიზისი შეერთებულ შტატებს იზოლაციონალიზმისაკენ უბიძგებდა, მსოფლიო ომის საფრთხე კი პირიქით – საერთაშორისო თანამშრომლობასა და საყოველთაო მშვიდობის მხარდაჭერას მოითხოვდა. ფ. რუზველტის ადმინისტრაციამ მემკვიდრეობით მიიღო საგარეო პოლიტიკა თავისი ტრადიციული ძირითადი მიმართულებებითა და შესაბამისი დოქტრინებით: მონრო – ლათინური ამერიკისათვის, „ღია კარები“ – აზიისათვის და იზოლაციონალიზმი – ევროპასიას მიმართებაში. თუ ხელისუფლებაში ახალი ადმინისტრაციის მოსვლამ ევროპასთან ან აზიის ქვეყნებთან დამოკიდებულებაში თითქმის არაფერი შეცვალა, რუზველტმა ყველას თვალსათლივ დაასახა „კეთილი მეზობლის“ პოლიტიკის პრაქტიკული მხარე, რომელიც დასავლეთ ნახევარსფეროში ექსპანსიას შეერთებული შტატების მხრიდან შედარებით მოქნილი მეთოდების გამოყენებით ითვალისწინებდა. ამგვარმა მიდგომამ, შეიძლება ითქვას უფრო „ცივილიზებულად“ შეცვალა მანამდე არსებული „გრძელი კეტის“ პოლიტიკა. ფ. რუზველტის „ახალი“ დიპლომატია იმ ძირითად პრინციპებზე უნდა აგებულიყო, რომელიც ლათინური ამერიკის ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო ხელშეკრულებების დადებას, ერთა თანასწორობის აღიარებასა და ტექსიკური დახმარების გაწევას გულისხმობდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ყოველივე ეს არ ნიშნავდა ამერიკული კაპიტალის ბატონობის დასასრულს ამ რეგიონში. პირიქით, კარიბისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებთან მიმართებაში „კეთილი მეზობლის“ პოლიტიკის გატარება ამერიკული კაპიტალდაბანდებისათვის რაც შეიძლება საუკეთესო პირობების შექმნას ითვალისწინებდა[1]. ერთ-ერთი მთავარი მიზანი ამგვარი პოლიტიკის გატარებისა ის იყო, რომ ლათინური ამერიკის არეალში ისეთი ქვეყნების გაელენა შეესუსტებულიყო, როგორიც გერმანია, იტალია და იაპონსია იყო. ამ ქვეყნებიდან მომდინარე საფრთხე

კი იძულებულს ხდიდა შეერთებულ შტატებს უფრო მყიდრო ურთიერთობა დაემყარებინა თავის სამხრეთელ მეზობლებთან.

მალე ამ მიმართულებით ვაშინგტონის მხრიდან პირველი ნაბიჯები გადაიდგა. 1933 წლის 7 აგვისტოს აშშ-სა და პაიტის შორის დაიდო შეთანხმება, რომელიც 1934 წლის ოქტომბერში ამ ქვეყნიდან 19 წლიანი ოკუპაციის შემდეგ ამერიკის შეიარაღებული ძალების გაყვანას ითვალისწინებდა. ამერიკული დიპლომატიის ტრანსფორმაცია VII პანამერიკულმა კონფერენციამაც დაადასტურა. 1933 წლის დეკემბერში ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში გამართულ კონფერენციაზე ნათლად გამოჩნდა თეთრი სახლის პოლიტიკის ცვლილება ლათინური ამერიკის ქვეყნებთან მიმართებაში*. მონტევიდეოში მიღებულ დეკლარაციას, რომლის თანასმად არცერთ ქვეყანას არ ჰქონდა მეორე ქვეყნის საშინაო ან საგარეო საქმეებში ჩარევის უფლება, აშშ-ს დელეგაციამ მხარი დაუჭირა. მოგვიანებით კონგრესმა აღნიშნული დეკლარაციის რატიფიცირება მასში შესწორების შეტანით მოახდინა, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინებით ინტერვენციის უფლებას უტოვებდა[2]. თუმცა მიუხედავად ამისა, ცხადი იყო, რომ ვაშინგტონმა თავის სამხრეთელ მეზობლებთან ურთიერთობის ახალი ტაქტიკა აირჩია, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა კუბასთან მიმართებაში. კარიბის ზღვის ამ ქვეყანაში 1933 წელს რევოლუციურმა მოძრაობამ პიკს მიაღწია, რასაც 12 აგვისტოს დიქტატორ ხ. მაჩადოს ქვეყნიდან გაქცევა მოჰყვა. 5 სექტემბერს კუბაში ჩამოყალიბდა გრაუ სან მარტინის მთავრობა. აშშ-ს ელჩმა პავანაში ს. უოლესმა ახალი მთავრობა მყისვე ულტრარადიკალურად მონათლა. ამასთანავე მან ვაშინგტონს მოუწოდა კუბაში შეიარაღებული ინტერვენცია განეხორციელებინა. ფ. რუზველტმა უოლესის რჩევა არ გაიზიარა. თუმცა შეერთებულმა შტატებმა თავი შეიკავა მარტინის მთავრობის ცნობისაგან. მალე თეთრმა სახლმა არჩევანი რ. ბატისტაზე შეაჩერა. ყოველივე ამან კი ხელი შეუწყო გრაუ სან მარტინის კუბის ხელისუფლებიდან ჩამოშორებას[3]. ამის შემდეგ კი რუზველტმა დაუყოვნებლივ ცნო ახალი მთავრობა. 1934 წლის 29 მაისს აშშ-მ ხელი მოაწერა კუბასთან შეთანხმებას. ახალი შეთანხმებით გაუქმებულ იქნა ამერიკა-კუბის 1903 წლის ხელშეკრულება, რომელიც შეერთებულ შტატებს კუბის წინააღმდეგ შეიარაღებული ინტერვენციის უფლებას აძლევდა[4]**. 1936 წელს ანალოგიური ხასიათის შეთანხმება აშშ-მ პანამასთანაც გააფორმა. ნაწილობრივ გადაისედა 1903 წლის კაბალური ხელშეკრულება. თუმცა პანამის

*კონფერენციაზე აშშ-ს დელეგაციას სახელმწიფო მდივანი კ. ჰალი ხელმძღვანელობდა.

**აღსანიშნავია, რომ ახალი შეთანხმებით გუანტანამოს სამხედრო ბაზა კვლავაც აშშ-ს მფლობელობაში რჩებოდა.

არსის შორა უწინდებურად ამერიკის იურისდიქციის ქვეშ დარჩა.

დიდი მნიშვნელობა პქონდა „კეთილი მეზობლის" პოლიტიკის განმტკიცებისათვის აშშ-ს პრეზიდენტის ინიციატივით არგენტინაში მშვიდობის შენარჩუნებისათვის მოწვეულ საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც 1936 წლის 1-23 დეკემბერს ბუენოს-აირესში მიმდინარეობდა. კონფერენციაზე მთავარი ყურადღება ამერიკის ქვეყნებს შორის კეთილი მეზობლობის გამყარებასა და ევროპაში ომის კერის წარმოქმნის შემთხვევაში საერთო პოლიტიკის გასატარებლად საჭირო მექანიზმების შემუშავებას დაეთმო. აღსანიშნავია, რომ ფ. რუზველტი პირადად მონაწილეობდა კონფერენციის მუშაობაში, რაც შეერთებული შტატების პრეზიდენტისათვის მართლაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო. კონფერენციამ მიიღო ჩაურეველობის ოქმი, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა და გააძყარა 1933 წელს მიღებული დეკლარაცია* . კონფერენციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება კონვენციის იმ ნაწილის მსარდაჭერა იყო, რომელიც აცხადებდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის რესპუბლიკების მშვიდობას კონტინენტის გარედან ომის საფრთხე დაემუქრებოდა, ამერიკის კონტინენტზე მშვიდობის უზრუნველსაყოფად კონვენციაზე ხელისმომწერ ქვეყნებს შორის გატარებული იქნებოდა კონსულტაციები ვადებისა და თანამშრომლობის ფორმების განსაზღვრისათვის[5].

„კეთილი მეზობლის" პოლიტიკის სერიოზულ გამოცდად იქცა 1938 წელს მექსიკის მთავრობის მიერ ავარარული რეურორმის გატარებისათვის მიწის დიდი ფართობების ექსპროპრიაცია, რომლებიც აშშ-ს მოქალაქეებს ეკუთვნოდათ. ამასთან ერთად მექსიკამ სავთობის მრეწველობის ნაციონალიზაცია მოახდინა. აშშ-ს მთავრობამ ამის გამო დიპლომატიურ ზეწოლას მიმართა, რათა აეძულებინა მექსიკის მთავრობა მისთვის კომპენსაცია გადაეხადა. შეერთებულმა შტატებმა მექსიკიდან აღგილობრივი ეერცხლის შეძენაც კი შეწყვიტა, რამაც მისი ფასის არნახული დაცემა გამოიწვია. თუმცა ასეთი ზომების მიღების მიუხედავად ეაშინგტონმა თავი შეიკავა მექსიკის მიმართ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებისაგან. თავის მხრივ მექსიკამ აშშ-ს სანავთობე კომპანიებს მნიშვნელოვანი თანხა გადაუხადა.

აშშ-ს მხრიდან ამყვარი პოლიტიკის გატარების მართებულობა 1938 წლის დეკემბერში ლიმაში (პერუ) გამართულმა VIII პანამერიკულმა კონფერენციამაც დაადასტურა, სადაც მიღებულ იქნა ე.წ. ამერიკული სოლიდარობის

---

* დეკლარაციაში, რომელიც მოგვიანებით აშშ-ს სენატმა დაამტკიცა დაგმობილი იყო ნებისმიერი პირდაპირი ან ირიბი ფორმით განხორციელებული ინტერვენცია, იმის მიუხედავად თუ რა შეხედულება ედო მას საფუძვლად. იხ. S.F. Bemis, The Latin American Policy of the United States: An Historical Interpretation. N.Y., 1967, p. 288-289.

დეკლარაცია. ლიმის დეკლარაციის თანახმად, ამერიკის სახელმწიფოთა მთავრობები ღიად აცხადებდნენ კონტინენტურ სოლიდარობას, მშაობას გამოთქვამდნენ თავი დაეცვათ გარეშე ძალის ჩარევისაგან და პირობას დებდნენ ამ მიზნის განსახორციელებლად ეროვნული ძალისხმევის კოორდინირება მოესდინათ.

მიუხედავად იმისა, რომ „კეთილი მეზობლის" პოლიტიკა აშშ-ს მხოლოდ მეთოდებისა და არა ძირითადი პრინციპების შეცვლას ემყარებოდა, ფ. რუზველტის ადმინისტრაციის მხრიდან აღნიშნული პოლიტიკის გატარებამ, ხელი შეუწყო ლათინური ამერიკის ქვეყნების პოლიტიკური ეექტორის ვაშინგტონისაკენ გადასრის ტენდენციას. ყოველივე ეს კი კარგ წინაპირობას ქმნიდა, დასაელეთ ნახევარსფეროში აშშ-ს მეთაურობით პოლიტიკური ბლოკის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც მიმართული იქნებოდა ამ რეგიონში ფაშისტურ-მილიტარისტულ სახელმწიფოთა ექსპანსიის წინააღმდეგ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Robinson E., The Roosevelt Leadership 1933-1945, N.Y., 1955, p.133.
2. Яковлев Н.Н., Новейшая История США, М., 1961, стр. 229.
3. Smith R., What Happened in Cuba? N.Y., 1963, p.202.
4. Яковлев Н.Н., Франклин Рузвельт – Человек и политик, М., 1965, стр. 230.
5. Bemis S. F., The Latin American Policy of the United States: An Historical Interpretation, N.Y., 1967, p. 288-289.

GEORGE KVITASHVILI
Akaki Tsereteli State University Research Center
For International Relations, Senior Researcher

SUMMARY

THE U.S. "GOOD NEIGHBOUR" POLICY DURING THE 30-IES OF THE XX CENTURY

The United States foreign policy was being realized on the background of world economic crisis during the years of 1929-1933 on the one hand, and rising danger of new world war on the other hand during the 30-ies of the XX-century. If economic crisis pushed the United States to isolationism, the danger of world war, on the contrary, demanded international cooperation and supporting universal peace.

When passing "Good Neighbor" policy, F. Roosevelt's administration aimed at diminishing the influence in Latin American area of such countries as Germany,

Italy or Japan. The jeopardy coming from these countries made the United States have close relationships with its southern neighbors. The above mentioned policy deviated the political vector of Latin American countries towards Washington, that made a good basis for forming a political block in the Western hemisphere under the guidance of the US, that world be directed against the expansion of fascist-militarist countries in this region.

ნესტან კუტივაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

„ოდისევსის დაბრუნება“ - ნოდარ დუმბაძის ამერიკული დღიურები

ნოდარ დუმბაძის პუბლიცისტიკა ისეთია მრავალი პლანის შემცველი, თუმცა ერთდროულად სევდიანიც, ლაღიც და იუმორით აღსავსეც, როგორც მისი მსატვრული პროზა. ქართველ მწერალთა შესახებ თუ სხვა თემებზე შექმნილი მოკლე ესეები ხშირად შეიცავს ისეთ დეტალებს, რომლებიც უფრო მსატვრული პროზისთვისაა დამახასიათებელი, ვიდრე პუბლიცისტიკისათვის. ნოდარ დუმბაძე საბჭოთა საქართველოში ცხოვრობდა. იყო მწერალთა კავშირის მდივანიც და თავმჯდომარეც. მისი პუბლიკაციები, გამოსვლის ტექსტები ხშირად შეიცავს კონიუნქტურულ ეპიზოდებს, მაგრამ არასდროს კარგავს გულწრფელობას და ყოველთვის უმთავრესს ეყრდნობა – პუმანიზმს. დღეს ეს მემკვიდრეობა არანაკლებ საინტერესოა, ვიდრე მისი მსატვრული ნაწარმოებები, რომლებიც ყოველთვის იძლევა განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. მისი წერილები იმიტომაც ინარჩუნებენ ღირებულებას, რომ პრობლემათა წარმოსახვა არ ხდება იდეოლოგიურ ჩარჩოში, თუმცა მას მკითხველი მაინც გრძნობს და ეს თანხვედრა კარგად წარმოაჩენს ტოტალიტარულ ეპოქაში მოღვაწე მწერალს, რომელიც ერთდროულად ატარებს თავისი დროის დაღსაც და ამავე დროს ასერხებს მისგან გათავისუფლებასაც. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა მწერლის პუბლიცისტიკაში ერთ-ერთი გამორჩეული „ოდისევსის დაბრუნება“, რომელიც აღწერს პროზაიკოსის ამერიკაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს.

1977-1978 წლებში ამერიკელ და საბჭოთა მწერლებს შორის გაიმართა დიალოგი თემაზე: „თანამედროვე რომანი და მწერლის როლი დღევანდელ სამყაროში“. 1977 წელს ამერიკელ ავტორებს მასპინძლობდნენ საბჭოთა კავშირში, სოლო 1978 წელს აშშ-ში საპასუხო ვიზიტით გაემართა საბჭოთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც იმყოფებოდა ნოდარ დუმბაძე (დელეგაციაში ასევე შედიოდნენ ცნობილი მწერლები: გრიგორი ბაკლანოვი, იასენ ბასურსკი, ვალენტინ კატაევი, სერგეი ბალიკინი, იზაბელა გორინა...). ამ დიალოგში მოსაწვილეობდნენ ისეთი გამოჩენილი ამერიკელი მწერლები, როგორებიც არიან: ჯონ აპდაიკი, კურტ ვონეგუტი, არტურ მილერი, ედუარდ ოლბი და სხვ.

ქართველმა პროზაიკოსმა ეს შეხვედრა ამგვარად დაახასიათა: „ჩვენი დიალოგი სამ დღეს გრძელდებოდა და საოცრად პგავდა პოკერის თამაშს. გარეგნულად ყველანი განსაცვიფრებლად თავაზიანები, ბრდღვინვარენი და ღიმილიანი ვიყავით. მინაგანად კი თითოეული ჩვენთაგანი ასაფეთქებლად გახაზირებულ ლაღუმს პგავდა, მაგრამ ჩვენი ფრიად გამოცდილი თავმჯდომარეების წყალობით აფეთქება არ მომხდარა...“ (1,4).

დღეს „ოდისევსის დაბრუნება“ იმითაც არის საინტერესო, რომ მასში არამხოლოდ ერთი გამოჩენილი ქართველი მწერლის დამოკიდებულება და შთაბეჭდილებებია გადმოცემული სუპერსახელმწიფოს შესახებ (უთუოდ ასეც არის), არამედ მეორე, ასევე, დიდი სახელმწიფოს – საბჭოთა კავშირის, ფსიქოლოგიური პორტრეტის აღსადგენადაც საყურადღებო პასაჟებს იპოვის მკითხველი ამ ძალზე საინტერესო დღიურებში.

როგორც აღვნიშნეთ, დიალოგი ეხებოდა რომანის პრობლემებსა და მწერლის ფუნქციას. დუმბაძემ არ გაიზიარა რომანის, როგორც ლიტერატურული ჟანრის, გაქრობასთან დაკავშირებული მოსაზრება და ამის საპირისპირო მაგალითად მოიყვანა „შუშანიკის წამების“ – პირველი ქართული რომანის – 1500 წლის ისტორია. ასევე, იგი არ დაეთანხმა მწერლის ფუნქციის დაკარგვას თანამედროვე სამყაროში, რის უარყოფადაც თავად ეს დიალოგი ჩათვალა.

საყურადღებოა ნოდარ დუმბაძის მიერ ამ შეხვედრის დროს გამოთქმული ერთი მოსაზრება. „პირადად ჩემზე ამერიკულმა ლიტერატურამ დიდი ზეგავლენა იქონია, – ამბობს მწერალი, – მე, გარდა ჩემი ეროვნული ლიტერატურისა, აღვიზარდე: ბიჩერ სტოუს, მარკ ტვენის, ფოლკნერის, უიტმენის, ო ჰენრის, ჰემინგუეის, კოლდუელის, სტეინბეკის, საროიანისა და სხვათა წიგნებზე... ის, რაც მე მომწონს ამერიკულ ლიტერატურაში, ჩემად და მშობლიურად მიმაჩნია, ხოლო რაც არ მომწონს, იმას ვერავითარი მრგვალი მაგიდა და დიალოგი ვერ მიმაღებინებს...“ (1,7).

ვფიქრობ, ეს სიტყვები რამდენიმე მომენტის გამო არის საინტერესო. კონიუნქტურასა და რეალობას შორის გადებულ ბეწვის ხიდზე არაერთხელ გაუვლია მწერალს. ასევეა ამჯერადაც. იგი აღნიშნავს, რომ ამერიკას, უპირველეს ყოვლისა, ამერიკელ მწერალთა ნაწარმოებებიდან იცნობს და ჩამოთვლის თავის საყვარელ ამერიკელ ავტორებს, ამასთან ღიად აცხადებს, რომ ყველაფერი არ არის განუსჯელად მისაღები, რაც სავსებით ბუნებრივია. ჩემი აზრით, სწორედ ამგვარი ხედვაა დღეს უფრო მნიშვნელოვანი ამ ტიპის დღიურებში, რადგან ასეთი ჩანაწერები კარგად აჩვენებს იდეოლოგიური დაპირისპირების პირობებში ჩვენი მწერლები როგორ ახერხებდნენ, ყოფილიყვნენ განსხვავებული კულტურის პოპულარიზატორები.

ნ. დუმბაძე აღნიშნავს, რომ საერთოდ გამოუცდელი კაცისათვის ამერი-

კაში პიროვნულ თავისუფლებაზე ლაპარაკი ძალიან ძნელია. იგი თქვის, რომ დელეგაციის მაშინდელმა წევრებმაც ვერ მოახერხეს ცხადად დაენახათ, რაში მდგომარეობდა ამერიკაში სიტყვის თავისუფლება, მაგრამ დღიურებში მოყვანილი კონკრეტული შემთხვევები ნამდვილად გვიჩვენებს სხვაობას ამერიკულ და საბჭოთა მენტალიტეტს შორის. ამის დასაღასტურებლად თუნდაც ის ფაქტი გამოდგება, რომ, როგორც ნ. დუმბაძე იგონებს, ამერიკელი მწერლები საკუთარი ლიტერატურის ნაკლზე მკაცრად და მოურიდებლად ლაპარაკობდნენ, თუმცა იმავეს არ ამბობს საბჭოთა დელეგაციის წევრთა შესახებ.

ქართველი პროზაიკოსისათვის ამერიკელთა შინაგანი თავისუფლების მაჩვენებელია ისიც, როგორ მიიღო დარბაზმა ცნობილი რუსი მწერლის ვალენტინ კატაევის გამოსვლა. „კატაევის შემდეგ ბევრი ამერიკელი მწერალი გამოვიდა და ბევრიც არ დაეთანხმა მას, ამიტომ მათი ოვაცია, რომელიც წუთის წინ გაუმართეს, ჩემთვის ცოტათი გაუგებარი შეიქნა, მაგრამ ბოლოს მივხვდი: ამერიკელები ტაშს უკრავენ არა მხოლოდ იმას, რასაც ეთანხმებიან, არამედ პატივს სცემენ ადამიანის დამოუკიდებელ, ორიგინალურ აზრს და გულწრფელობას“, – წერს იგი (1,6).

„ოღისეესის დაბრუნება“ კარგად აჩვენებს, რომ განსხვავებული მენტალიტეტის გამო ზოგჯერ ერთი და იგივე მოვლენა აბსოლუტურად სხვადასხვა სინრტყვშია აღქმული. ამის საუკეთესო მაგალითი კარტერის დედასთან დაკავშირებული ისტორიაა (ამერიკელებმა პრეზიდენტს უყლება არ მისცეს დედასთან ერთად ეცხოვრა თეთრ სახლში, რადგან ამას კანონი კრძალავდა). ამერიკელებისათვის თუ ეს ფაქტი ამერიკული დემოკრატიის დამადასტურებელი საამაყო ნიმუშია, ქართველმა მწერალმა „დემოკრატიზმის ამ სამაგალითო აქტში ფაშიზმის ელემენტი“ უფრო მეტად დაინახა. თავისთავად ამ შემთხვევაში მთავარი კანონის უზენაესობაა და ფაშიზმისაგან ნამდვილად ძალიან შორსაა, მაგრამ ობლობაში გაზრდილ ნ. დუმბაძეს რომ იგი არაადამიანურად ეჩვენა, ეს აშკარაა.

კონფერენცია სამი დღის განმავლობაში გაგრძელდა. „შეიქმნა კომიტეტი, რომელსაც დაევალა, შეესწავლა გზები ორმხრივი მთარგმნელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად და შემდგომი კონფერენციის დღის წესრიგი შეემუშავებინა“ (1,8).

კონფერენციის დასრულების შემდეგ მწერალმა იმოგზაურა ამერიკის რამდენიმე ქალაქში. დღიურებში საინტერესო, მრავალფეროვანი, კეთილი და სტუმართმოყვარე ამერიკა ისახება. ქვეყანა, რომელიც ეითარდება, მდიდრდება, რასაც მისი თითოეული მოქალაქე გრძნობს. ამერიკას, პრობლემებიც აქვს და ადამიანური ზადიც ისევეა ფესვგადგმული, როგორც სხვა ნებისმიერ ქვეყანაში, ოღონდ ისინი ამას საგულდაგულოდ არ ჩქმალავენ.

ბუნებრიეია, მწერლმა თავის ღიღურებში ყურაღღება გააძახვილა ნიუ-იორკში, ახალ ორლეანში, კალიფორნიაში, სანტ-ლუისსა და სან-ფრანცისკოში მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე, ღიღი აღგილი უქირაეს ნიუ-იორკსა და მის სპირალურ მუზეუმს, თეატრ სახლს, ცენტრალურ პარკს, საღაც ყოველწამიერი მოსახლეღნელი საფრთხის გამო სეირნობა აუკრძალეს ამერიკელმა პოლიციელებმა. „ბროღვეი ღირს იმ აღტაცებად, გაოცებად და ლანძღვად, – წერდა ნ. ღუმბაძე, – რაც მის გარშემო მოგვისმენია. აქ იყრის თავს ყველაფერი უმაღლესი რანგისა – სელოენებიღან დაწყებული პროსტიტუციით დამთავრებული (1,10). ბროღვეის ბობოქარ ცხოვრებასთან ერთად მას არც ამერიკელთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა დარჩენია შეუმჩნეველი.

მწერალმა ამერიკულ ღიღურებში ბროღვეისთან ერთად ახალი ორლეანის დაუვიწყარი სურათიც დახატა. „ახალი ორლეანი, მისისიპი, მარკ ტვენი, ტომ სოიერი და ჰეკლბერი ფინი მთელი მსოფლიოს ბავშვებმა იციან, ეისაც კი ბავშვობა პქონია", – წერს ქართველი პროზაიკოსი, რომელიც ამ სახეერად ეეროპულ, სახეერად ამერიკულ და ცოტა აღმოსავლურ სულით გაჟღენთილ ქალაქს (როგორც თავად ამბობს) ცხელ ქვაშაბე წამოწოლილ გაშიშველებულ მშვთუნახავს ადარებს. „ევროპულია იგი ალბათ თავისი ძველი არქიტექტურითა და პარაღულობით, ამერიკული – თავისი თანამეღროვე არქიტექტურით, ტექსიკით, სისაღავით, სექსით, ბლიუზით, არეული სისხლითა და რიტმით, სოლო აღმოსავლური – ქუჩებში გამოფენილი ბაზრებით, თევალმარგალიტითა და სმაურით" (1,12). საერთოღ, ახალი ორლეანის აღსაწერად მწერალმა ბოკაჩოს ნიჭიერება და სითამამე მიიჩნია საჭიროღ.

პროზაიკოსმა გამორჩეული ემოციურობით მაინც სან-ფრანცისკო აღწერა. მწერალი აქ ჯანსაკუთრებით ტრამვაისა და თევზის ბაზარს მოუხიბლავს. როგორც თავად აღნიშნავს, ევგზოტიკისა და სიძველეების მოყვარულმა სან-ფრანცისკოელებმა ქალაქის სელისუფალთ ძალით დაატოვებინეს, რომ მათ ტრამვაის გაუქმება გადაწყვიტეს. სწორედ ტრამვაითა და სმაურიანი ქუჩებით მან თბილისი გაახსენა მწერალს, რომელმაც იმასაც გაუსვა საზი, რომ მსგავს გარემოში ერთგვარად მეღაენდება აღამიანური თვისებები – ნაკლიც და კარგიც.

„ოდისევსის დაბრუნების" ერთ-ერთი საუკეთესო ეპიზოდი ჩრდილოეთ კალიფორნიაში ჯეკ ლონდონის სახლ-მუზეუმთან დაკავშირებული მოგონებაა. ეს, ერთი შესედვით, მიტოვებული სახლ-მუზეუმი ვალაკტიონის უკვეღავ სტრიქონებს აგონებს ნ. ღუმბაძეს და სეედა იპყრობს დროის სრბოლისა თუ სიღატაკეში გაზრდილი და შემდეგ მსოფლიო სახელის მქონე უმღიდრესი აღამიანის ბედზე ფიქრისას. „ჯეკ ლონდონის ბიოგრაფიიდან მასსოვს:

ყველაზე გემრიელი პური მაწანწალობის დროს, ღატაკების ოჯახში, მიჭამიაო. სიძღიდრემ შეაწუხა იგი, უზომოდ შეაწუხა და ახლა განისვენებს ულრან ტყეში მარტოდმარტო ყველაზე ღატაკი და ყველაზე მდიდარი. ამერიკელები ლოცულობენ მის საფლავზე", – წერს „მარადისობის კანონის" ავტორი (1, 18). ასევე, მწერალი ყურადღებას ამახვილებს განვი მწერლის ალექს პეილის „ფესვების" პოპულარობაზე და იმ საყოველთაო მიბრუნებაზე თავისი ძირებისაკენ, ამ წიგნმა რომ გამოიწვია. იგი ამერიკის ეროვნულ ბირთვს დაშლის პროცესში მყოფ ატომად მიიჩნევს, თუმცა არც იმას გამორიცხავს, რომ ეს შეიძლება რომანტიკის მოყვარული ამერიკელების დროებითი გატაცება იყოს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მწერალი თავად მიანიშნებს ამერიკული განათლების სისიტემის იმ ასპექტზე, რომელიც თითოეულ ამერიკელს შესაძლებლობას აძლევს იცოდეს თავისი წინაპრების ისტორიაც და იყოს სამდვილი ამერიკელი, ამერიკას კი ერთიან ორგანიზმად აქცევს. მწერალი საგანგებოდ იხსენებს ვაშინგტონისა და სანტ-ლუისის უნივერსიტეტის სტუდენტებთან შესვედრას. დაუფარავად აღიარებს, რომ, მართალია, ამერიკელი სტუდენტები ზოგადი განათლებით არ გამოირჩევიან, მაგრამ ისინი „ბრწყინვალედ ფლობენ იმ სპეციალობას, რომელსაც ეუფლებიან".

ნოდარ დუმბაძემ წარმოაჩინა ამერიკული აღზრდის სისტემის ყველა დადებითი მხარე და, რაც ყველაზე მთავარია, ის ძირითადი, რომელიც სხვადასხვა ეროვნების უამრავ ადამიანს ერთი უზარმაზარი ქვეყნის პატრიოტად აქცევს: „ძალიან მაღალ დონეზეა ბაყშეთა სახელმწიფო პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდა. სახელმწიფო პატრიოტიზმს იმიტომ ვამბობ, რომ ეროვნული პატრიოტიზმი ამერიკის შეერთებულ შტატებში ვერ წარმომიდგენია. აქ უამრავი ხალხი შეეხვედებათ სხვა ეროვნებისა, რომელთაც თავი ამერიკელად მიაჩნიათ და, ამაეე დროს, თავიანთი ეროვნებით ამაყობენ", – წერს პროზაიკოსი (1,43).

ვფიქრობ, ნ. დუმბაძემ მართებულად დაინახა და დაახასიათა ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი საყრდენი, ის საფუძველი, რომელიც დღესაც ნებისმიერ მრავალეროვან სახელმწიფოს იმის ნიმუშად გამოადგება, როგორ შეიძლება ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების თანხვედრა რომელიმეს შეუზღუდავად.

„მარადისობის კანონის" ავტორმა ამერიკის შეერთებულ შტატებში სწორედ მაშინ იმოგზაურა, როდესაც სამყარო ორპოლუსიანი იყო და მის ერთ პოლუსად აშშ, სოლო მეორედ სსრკ ითვლებოდა. ამ დღიურებში ეს დაპირისპირება აშკარად იგრძნობა ზოგიერთი მოვლენის შეფასებისას თუ შეხვედრის გახსენებისას, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მწერალი მაინც მოხერხებულად არიდებს თავს საბჭოთა კავშირში ქართველთა ბედნიერი

ცხოვრების ქებას. კითხვას, როგორ ექცევიან აქ ქართველებს, მწერალი ამგვარ პასუხს სცემს: როგორც ქართველებს, რაც ზემოთქმულის დასაბუთებლად კარგი მაგალითია.

ეს ღიმურები გულწრფელი ისმენებაა. გულწრფელობა, საერთოდ, ნოდარ დუმბაძისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული თვისებაა. მან შექმნა ამერიკის მისეული პორტრეტი. დახატა მძლავრი სახელმწიფო, რომელშიც ცხოვრება ბობოქრობს, ტექნიკა ვითარდება და მარადიული ფასეულობებიც თავის ადგილზეა. ამ ურთიერთობების აღწერისას მხოლოდ ცალკეულ ეპიზოდებში ისმება, რომ მაშინ ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთთან დაპირისპირებული იყო.

მოთხრობაში ფსიქოლოგიური დამაჯერებლობითაა ნაჩვენები ის მძაფრი შინაგანი ჭიდილი, რომელიც ტეტლოუს ცნობიერებაში მიმდინარეობს მოყვასისადმი ღვთაებრივი სიყვარულისა და თანადგომის გრძნობის შედეგად გაჩენილ პიროვნულ მოვალეობასა და ამ მოვალეობის რეალურად აღსრულების ფაქტობრივ შეუძლებლობას შორის. იმის თვითკრიტიკულმა გაცნობიერებამ, გასაჭირში მყოფი მოძმისადმი ბოლომდე რომ ვერ გამოიჩინა საჭირო თანადგომა და ტკივილის გულისხმიერება, ტეტლოუ სინანულში ჩააგდო და საკუთარი თავისთვის ასეთი უკომპრომისო განაჩენი გამოატანინა: „იმ კაცმა ფესი შემოდგა ჩემს ცხოვრებაში რაღაც განგების ძალით. იმიხი სვე-ბედი რამდენსამე დღეს ჩემს ხელთ იყო. მე შემეძლო მექმნა, რომ ამ ქვეყანაზედ იმასაც ადგილი რამ სჭეროდა. თუ ამას ვერ ვიქმოდი, სუსტს

ხელს შემწეობისას მაინც მივაწვდიდი ყოველ იმის სამაგიეროდ, რაც საწყალს დაეკარგა. და აი, მას შეძლეგ, როცა ცოგად უცხოელ წამოვაყენე, როცა ნახეკრამდე დაეიხსენ, ხელიდამ გავეშვი და დავკარგე".

სინდისის ქენჯნით დათრგუნულმა და მწუხებულმა ტეტლოუმ დაშეებული შეცდომის გამოსწორება ცადა და გულმოდგინედ დაუწყო ძებნა მათხოეარს, მაგრამ მის კეალს ამჯერად უკვე ეერსად მიაგნო.

ასეთია უმიაერესი შტრიხები უცნობი ამერიკელი მწერლის მოთხრობისა. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ამ ნაწარმოების თარგმნით ი. ჭაეჭავაძე შეეცადა ქართველი მკითხველის გულში კიდევ უფრო მეტად გაეღვივებინა გასაჭირში მყოფი მოყვასისადმი თანაგრძნობისა და სიყვარულის ღვთაებრიეი გრძნობა.

სსენებული ნაწარმოები საინტერესო იმ თვალსაზრისითაცაა, რომ იგი ამერიკული ცხოერების წესზეც გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას. მიუხედაეად იმისა, რომ მოთხრობის მთაეარი პერსონაჟი სასელმწიფოსა და საზოგადოების მიერ მის მიმართ გამოჩენილი გულგრილი და უპატიეცემულო დამოკიდებულების მსხვერპლი ხდება, ნაწარმოებიდან ისიც კარგად ჩანს, ამერიკელები მსგაეს მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისადმი გარკვეულ მზრუნველობას რომ იჩენდნენ. სწორედ ამ მზრუნველობის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ ნიუ-იორკში იმხანადაც კი საკმაოდ ბევრი სათნოების სახლი არსებობდა, სადაც ცხოერებით შეჭირვებულ ადამიანებს უანგარო დახმარებას უწეედნენ.

მართალია, ასეთ სახლებში ყველა მათხოერისა და უთეისტომოს მიღება, მათი სიმრავლის გამო, ეერ ხერხდებოდა, მაგრამ საზოგადოებაცა და სახელმწიფოც ამგვარ ქველმოქმედებას რეალურად რომ ეწეოდა, ამ გარემოებას ნაწარმოებში არაერთგზის ესმება საზი. თუმცა, ტეტლოუს აქტიური მცდელობის მიუხედაეად, მოთხრობის მთაეარი პერსონაჟისათეის სათნოების ყველა სახლის კარი საგულდაგულოდ ჩარაზული აღმოჩნდა.

„უბინაო კაცი ნიუიორკში" ფაქტობრიეად ქართულად თარგმნილი ერთერთი პირეელი ნაწარმოებია, რომლითაც ილიამ ქართველ მკითხველს შესაძლებლობა მისცა, ამერიკელი მწერლის შემოქმედებასა და ამერიკული ცხოერების წესს რეალურად რომ გაცნობოდა შშობლიურ ენაზე.

* * *

განსხეაევებით საქართველოს მეზობელი ქეეყნებისა და ეეროპის სახელმწიფოებისაგან, რომელთა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გაანალიზებას ილია ჭაეჭავაძემ არაერთი მეტად საინტერესო წერილი მიუძღენა, ამერიკაში არსებული მდგომარეობის შეფასება მის პუბლიცისტიკაში ფაქტობრიეად მხოლოდ რამდენიმე პატარა პუბლიკაცი-

ით შემოიფარგლა.

აღნიშნული მოვლენის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად, ჩემის აზრით, ის ფაქტი იქცა, რომ ილიას დროინდელი ამერიკის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრიული ინტერესების სფეროში რუსეთის იმპერია და მის შემადგენლობაში შემავალი საქართველო იმსახად საკლებად შედიოდა. ი. ჭავჭავაძის შემოქმედებითი დაინტერესების საგნად კი უპირველეს ყოვლისა იმ ქვეყნების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების განსჯა-გაანალიზება იყო ქცეული, რომელთა სახელმწიფოებრივ პოლიტიკას არსებითად შეეძლო განესაზღვრა ჩვენი ქვეყნის განვითარების პროცესი.

იმ რამდენიმე წერილის დაწერაც, რომელთა მეშვეობითაც მწერალი ამერიკული ყოფისათვის ნიშანდობლივად დამახასიათებელ ამა თუ იმ მხარეს მიაპყრობს მკითხველის ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა სწორედ ბეჭით საწყასმული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებითაა განპირობებული. ჩვენი ქვეყნის სამომავლო ბედთა აქტიურად მაძიებელი ილია ცდილობს ამ ბედთა ძიების პროცესი გარკვეულწილად ამერიკულ გამოცდილებასაც დაუკავშიროს და იქაური მართვა-გამგებლობის პოზიტიური მხარეების პრაგმატული მოსაზრებით გაუწიოს პროპაგანდა.

მაგალითად, „ცხოვრებასა და კანონში", თვითმმართველობის დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე მსჯელობის დროს, ი. ჭავჭავაძეს ამერიკა ისეთი ქვეყნის სიმუშად მოიხსენია, „საცა განუსაზღვრელი თანასწორობა სახელმწიფოს ქვაკუთხედადაა მიღებული" (ჭავჭავაძე 1997: 366). მწერლის აზრით, სწორედ „განუსაზღვრელი თანასწორობის" არსებობის ასეთ პირობებში, „საცა მთავრობას სელთ უპყრია მარტო მთელის სახელმწიფოის საჭიროების საქმენი და ყოველივე სხვა კი საზოგადოებას გაუსაკუთრებია", მიაღწია ამერიკამ უდიდეს სოციალურ და ეკონომიკურ წარმატებებს.

ამერიკისა და ევროპის მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოცდილების ამგვარი მოშველიებით ი. ჭავჭავაძე ცდილობს არა მარტო თავისი დროის საზოგადოება დაარწმუნოს ქვეყნის მარცხა-განმგებლობის სხვებული მოღვაწეების საკეთეში, არამედ იმპერიის უმაღლესი ხელისუფლებაც.

ამერიკისადმი ი. ჭავჭავაძის გამოკვეთილად პოზიტიურ დამოკიდებულებას არსებითად განსაზღვრავდა ის ფაქტი, რომ ეს ქვეყანა ეკონომიკური მიღწევებით ერთ-ერთ ყველაზე მეტად დაწინაურებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა მსოფლიოში. ილია ცდილობს ყოველივე ამის თაობაზე არა მარტო ზოგადად მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია მკითხველს, არამედ თავისი ქვეყნის მესვეურებს ამერიკისა და ევროპის განვითარებული სახელმწიფოების ეკონომიკური პრინციპების ჩვენში რეალურად გადმოტანა-დამკვიდრებისკენაც მოუწოდებს.

მაგალითად, განსხვავებით ბელგიის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, სადაც სოფლის მეურნეობაში წარმატების მიღწევის უმთავრეს საფუძველად მხოლოდ მოსაალიანობის გაზრდაზე ზრუნავა კი არ იყო ქცეული, არამედ ამ მოსავლის მიღებისთვის საჭირო ხარჯების რაც შეიძლება მეტად შემცირებაზეც, საქართველოში სულ სხვა ვითარებასთან გვქონდა საქმე. კერძოდ, „ცენაში პირველის გზით ჯერ არავინ დაიარებოდა, მხოლოდ მეორე გზაზედ კი გოგიერთი მემამულე დადგა ამ მოკლე ხანში, და მესამე გზისა კი ჯერ სრულებით ეიწრო ბილიკიც არ იყო გაკაფებული“ (ჭავჭავაძე 1997: 562).

სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ დამოწმებული მოსაზრების გამოთქმიდან ერთ საუკუნეზე მეტი გავიდა, ტექნოლოგიური პროცესების ამერიკული მოდელი სასურველი ფორმით ცენაში კვლავაც არაა რეალურად დამკვიდრებული.

როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძის ცხოვრების უმთავრესი მიზანი ეროვნული პრობლემის მოგვარება იყო. ამ მიზნის მისაღწევად იგი გულდასმით სწავლობდა და აანალიზებდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით არსებულ ვითარებას როგორც რუსეთის იმპერიაში, რომლის შემადგენლობაში იმხანად საქართველოც შედიოდა, ისე მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაშიც. ილია აღშფოთებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ ბრავალეროვან სახელმწიფოთა მესვეურების მიერ გატარებული მმართველობითი პოლიტიკის შეღებად მცირერიცხოვან ერთა ინტერესები და უფლებები ხშირად იბღალებოდა.

რუსეთის იმპერიაში, კონკრეტულად კი საქართველოში, ზემოთქმული თვალსაზრისით არსებულმა ძნელმა ვითარებამ ი. ჭავჭავაძისათვის განსაკუთრებით აქტუალური გახადა პრობლემა სახელმწიფოებრივი მართვა-გამგებლობის ისეთი მოდელის მოძებნისა, რომელიც რეალურ შესაძლებლობას შექმნიდა იმისას, რომ „სხვადასხვა გვარტომობის ერი“ ისე მოთავსებულიყო ერთსა და იმავე სახელმწიფოში, არც გვარტომობას ენებოდა რამე და არც სახელმწიფოს ერთიანობას (ჭავჭავაძე. 2005: 370).

პრობლემის რეალური გადაწყვეტის ამგვარი გზის სასწრაფოდ მოძებნას ილია იმიტომაც თელიდა აუცილებლად, რომ იმდროინდელი „კაცობრიობა თითქმის დარწმუნებული იყო, რომ თუ ერთი გვარტომობის ერმა მეორე არა პყლაპა, ერთობა, ერთიანობა სახელმწიფოსი შეუძლებელი იყო“ (ჭავჭავაძე 2005: 370).

ი. ჭავჭავაძის აზრით, ეს შეხედულება პრინციპულად მცდარი რომ იყო, ამას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და შვეიცარიაში ზემოთქმული თვალსაზრისით არსებული მდგომარეობაც თვალნათლივ ადასტურებდა. კერძოდ, ამ სახელმწიფოებში „სხვადასხვა გვარტომის ერსი ისე საძართლია-

ნად და მშვიდობიანად იყვნენ ერთმანეთში მოთავსებულნი, რომ ერთობა სახელმწიფოსი არამცთუ პკარგაელა რასმე, არამედ მტკიცედ და ფესვმაგრად იდგა".

აღნიშნული საკითხით ი. ჭავჭავაძის ასეთი დაინტერესება და სახელმწიფოებრივი მართვა-გამგებლობის ამერიკული და შეღებარიული მოღვაწეების აწყვარი იდეალიზება პირველ ყოვლისა იმ რთული და დისკრიმინაციული ეროვნული ვითარებით იყო განპირობებული, რომელიც რუსეთის იმპერიაში არსებობდა იმხანად.

ი. ჭავჭავაძეს ამეიტისაკენ მოსახლეობის მასობრივი ლტოლვის ის ტენდენციაც არ დარჩენია შეუმჩნეველი, რამაც ევროპის ბევრ ქვეყანაში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით ფართო მასშტაბები შეიძინა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი მწერლის დროინდელ საქართველოს თითქმის არ შეხებია, ილია ამ მოვლენას მაინც არ გოვებს უყურადღებოდ და ირლანდიელ ემიგრანტთა მაგალითის მოშველიებით მკითხველს გარკვეულ წარმოდგენას უქმნის იმ დიდ ეკონომიკურ წარმატებებზე, რასაც ამერიკაში დამკვიდრებული ემიგრანტები აღწევდნენ.

ილიას ინფორმაციით, მარტო 1841-1861 წლებში ირლანდიიდან ამერიკაში სამუდმოვრებლად 2376157 კაცი გადავიდა, რის შედეგადაც XIX საუკუნის 80-იან წლებში (საანალიზო წერილი 1886 წელსაა დაწერილი) ამერიკაში მცხოვრებ ირლანდიელთა რაოდენობა თავად ირლანდიის მოსახლეობასაც კი აჭარბებდა. ი. ჭავჭავაძის განმარტებით, ემიგრანტთა ამგვარი მიმდინარეთ იმხანად თითოს ამერიკაც ძალზე იყო დაინტერესებული, რადგანაც ამით ამ ქვეყანაში მრავალად არსებულ „ბუარებელ ბატკნებ მისწერებს პატრონი და მკვთებელი გამოუჩნდებოდა" (ჭავჭავაძე 2005: 514).

ამერიკით ი. ჭავჭავაძის დაინტერესების განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმთავრესი გარემოება ამ ქვეყნის უღიდესი ეკონომიკური განვითარება იყო. ილია არა მხოლოდ უბრალო ინფორმაციას აწვდიდა ქართველ მკითხველს ამერიკელთა ეკონომიკის მაღალგანვითარებულობის განმაპირობებელ ფაქტორებზე, არამედ ამ ფაქტორების ჩვენში დამკვიდრების გზებსაც ეძებდა რეალურად და აქტუალურად. ამ თვალსაზრისით მწერლის ე. წ. ამერიკული ციკლის წერილებს უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდათ იმჟამინდელი ეკონომიკის განვითარებლად და ქვეყნის მართვა-განმგებლობის თანამედროვე ფორმათა დასამკვიდრებლად.

ზემოთქმულის დასტურად აქ რამდენიმე სტრიქონი მინდა ვთქვა 1886 წლებში გამოქვეყნებული წერილების სერიაზე – „ამერიკელთა ცხოვრება საქმე ჩვენში". საგაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო ეს პუბლიკაცია მნიშვნელოვანი იმითაცაა, რომ იგი მკითხველს ხორბლის წარმოებასა და რეალიზაციაში ამერიკელთა მიერ მოპოვებულ

ულღეს წარმატებებზეც უქმნის სათელ წარმოდგენას.

აღნიშნულ წერილში მოწოდებული ინფორმაციის მნიშვნელობას კიდევ უფრო გრძელს ის ფაქტი, რომ იძლეოდნელ ქართველ სამოგალოებას ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ამერიკასა და ამერიკელებზე. კონკრეტული ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე ი. ჭავჭავაძე დამაჯერებლად ნათელყოფს როგორც ამერიკული ხორბლის მწარმოებელთა პრიველეგირებულ საგაყრო ძღვომარეობას, ისე ამ პრიველეგირებულობის რეალურად განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორსაც.

სხენებული პუბლიკაცია, ისევე როგორც ი. ჭავჭავაძის მთელი პუბლიცისტური მემკვიდრეობა, ნათლად წარმოაჩენს იმ ღრმა და მაღალპროფესიულ განსწავლულობას, რომელიც თემატურად მეტად მრავალფეროვანი და სშირად ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ამ პუბლიკაციების ავტორს ჰქონდა მეცნიერების სხვადასხვა სფეროში.

ჩვენს ქვეყანაში (საერთოდ, მთელი რუსეთის იმპერიულ იმპერიაში) არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ ვითარებას ამერიკის შესახებში დარგებში არსებულ მდგომარეობასთან მიმართებით ი. ჭავჭავაძე არა მარტო ჩვენი ეკონომიკის ნაკლოვან მხარეთა წარმოსაჩენად აანალიზებდა, არამედ ამ ნაკლოვანებათა დასაძლევ და გამოსასწორებელ გზათა ძიებასაც ამერიკული რეალობის გათვალისწინებით.

მაგალითად, იგი გთქვამდა, შემოთავაზებით საუბრობს იმაზე, რომ ევროპის ბაზარზე ამერიკელს შემოტანილი პური, მიუხედავად მის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ულღესი ხიძვლეებისა, გაცილებით უფრო იაფი და მისი მწარმოებლებისათვის მეტი მოგების მომტანი იყო. ციდრე ისეთი მახლობელი და მაღალპროფიული მიწების მქონე ქვეყნისა, როგორიც რუსეთია. ეს ამბავი ილიას პირველ ყოველის იმთავითვე აუხსნებლა გახდა კურიოზით, რომ ევროპის ბაზარზე პურის ექსპორტი იმხანად საქართველოდანაც (კერძოდ, კახეთიდანაც და ქართლიდანაც) ხდებოდა.

ილია ძალზე წუხდა იმის გამო, რომ შემოთქმულ გარემოებათა გამოსობით, ტერიტორიული სიახლოვის მიუხედავად, „ჩვენებური პური ამერიკის პურს ცილობას ვერ უწევდა“ (ჭავჭავაძე 2005: 207). მწერლის აზრით, პირველ ყოველის სწორედ ამით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ ევროპაში ამერიკული პურის იმპორტი ყოველწლიურად იზრდებოდა, რის შედეგადაც „ამერიკა მაგრად იკიდებდა ფეხს საქვეყნო ბაზარში“.

ი. ჭავჭავაძე ცდილობს მკითხველს სათანადო განმარტება მისთან დაკავშირებითაც მიაწოდოს, რით იყო ამერიკის ამგვარი წარმატება განპირობებული. ამერიკული მიწათმოქმედების წარმატებულობის განმსაზღვრელ უმთავრეს ფაქტორად ილია სამიწათმოქმედო მანქანების „საკვირველ განვითარებას“ მიიჩნევდა. მისი აზრით, ამერიკელი მეწარმეები პირველ ყოველისა

სწორედ ამ გზით ასერხებდნენ სორბლის მოსაყვანად აუცილებლად საჭირო ხარჯების მეტისმეტად შემცირებას.

როგორც ი. ჭავჭავაძის ხსენებული პუბლიკაციიდანაც თვალნათლივ ჩანს (წერილი 1887 წელსაა დაწერილი), ამერიკული სამეწარმეო ტექნიკა იმსანაღაც კი იმდენად მაღალგანვითარებული ყოფილა, რომ „თითქმის არ იყო იმისთანა სამუშაო მიწისა, რომ მაშინით არა კეთდებოდეს“ (ჭავჭავაძე, 2005: 216). გარდა ტექნიკური მაღალალჭურვილობისა, მოსაელიანობის გაბრღის უმთავრეს ფაქტორად ილია იმასაც მიიჩნევს, რომ ამერიკელები, ჩვენგან განსხვავებით, საქმეს ცოდნით ეკიდებოდნენ და „ყოველს სასხარს და ღონეს მეცნიერებისას ხმარობდნენ შემოსაელის განდიდების და გაძლიერებისთვის. რა თქმა უნდა, ეს ყოველი იმდენად გააიაფებს პურსა, რომ ჩვენ ამაში ცილობის გაწევა არ შეგვიძლიან. თუნდ ესეც არ იყოს, მარტო ის გარემოება, რომ ყოველი კუნჭული ამერიკისა რკინის გზით არის შეერთებული ნაესადგურებთან და რკინის გზებით პურის გადატანა დაუყოვნებელია, სწრაფია და იაფი. – მარტო ეს გარემოება საკმოა დააფოლოს ჩვენი პური საქვეყნო ბაზარში და იქიდამ როგორც მეტიჩარა გამოდევნოს. ამასთან ისიც დაუმატეთ, რომ ამერიკის მიწათმოქმედს დაუჯერებლად იაფი კრედიტი აქვს სასელმწიფოსაგან“ (ჭავჭავაძე 2005: 216).

დამოწმებულ ფრაგმენტში, ეფიქრობ, ამომწურაად და სიღრმისეულად არის ასხნილ-წარმოჩენილი ამერიკული ეკონომიკის წარმატების განმაპირობებელ გარემოებათა უმთავრესი არსი.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ი. ჭავჭავაძე ამერიკის მაღალგანვითარებულობის განმსაზღვრელ ერთ არსებით მხარესაც მიაპყრობს მკითხველის ყურადღებას – აღებ-მიცემობაში, საზოგადოდ, ყოველგვარ ვაჭრულ ურთიერთობაში არსებულ სამუსიანობასა და პატიოსნებას, რაც, ილიას აზრით, ამერიკაში „დიდს საქოსლად მიაჩნიათ“. განსხვავებით ჩვენებური ვაჭრისაგან, რომელიც „ისე თითქმის არ გაპყიდის, რომ მუშტარი არ მოატყუოს და ამით ესტიბარი არ გაიფუჭოს სამერმისოდ“, ამერიკელი ვაჭარი ცოტა სარგებელს სჯერდება და პარტნიორს არასოდეს მოატყუებს. ამიტომაცაა, რომ ამერიკელ ვაჭრებს ისეთი დიდი ნდობაც კი აქვთ მოპოვებული „ევროპიის ვაჭრებთან, რომ უნასაყადაც, მარტო ერთის დეპეშით, მილიონების პურსა პყიდის და პყიდულობს და დარწმუნებულია, რომ არც ერთსა და არც მეორეში არც თითონ მოტყუედება და არც სხვას მოატყუებს“ (ჭავჭავაძე 2005: 216).

ეფიქრობ, მკითხველი დამეთანხმება იმაში, რომ დამოწმებულ ფრაგმენტში გამოთქმული თვალსაზრისი არა მარტო ილიას დროისდელი ვითარების შესაფასებლადაა მეტად მნიშვნელოვანი, არამედ დღესაც აქტუალუ-

რია და უსათუოდ გასათვალისწინებელი.

როგორც ი. ჭავჭავაძის ეკონომიკური ციკლის წერილებიდან ცხადად ჩანს, XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან მოყოლებული, ამერიკა იძლევად მაღალგანვითარებულ ქვეყანას წარმოადგენდა, რომ ომ-მშვიდობისა და მიწათმოქმედების ბეჭერ დარგში მსოფლიოში ლამის ერთადერთ მონოპოლისტადაც კი იყო ქცეული. ერთ-ერთი ამგვარი სფერო ბამბის წარმოებაც ყოფილა. ილიას ინფორმაციით, იმდროინდელი ამერიკის შეერთებული შტატები ბამბის ყველაზე დიდ „ბოღაწს წარმოადგენდა“ (ჭავჭავაძე 2006: 20).

მსოფლიოს ბევრი ქვეყნის (მათ შორის რუსეთისაც) ომ-მშვიდობა ამერიკულ ბამბაზე იმდენადაც კი ყოფილა დამოკიდებული, რომ ამერიკის ჩრდილოეთ და სამხრეთ შტატებს შორის სამოქალაქო ომის მიმდინარეობის პერიოდში (1861-1865 წწ.), როცა „იქიდამ ბამბის მიღება შეწყდა, ევროპის ბაზარში თითქმის სხვებაც კი გაწყდა ბამბისა. მაშინ იყო ის სახელოვანი გაჭირვება, რომელსაც „ბამბის კრიზისს“ ეძახიან და რომელმაც აუარებელი ქონება მეფაბრიკეებისა და მექარხნეებისა შთანთქა და თვითონს ფაბრიკები და ქარხნები ინგლისსა და რუსეთში პირქვე დაემხო“ (ჭავჭავაძე 2006: 21). ილიას ინფორმაციით, მარტო რუსეთში 1860 წელს მოქმედი 659 საფეიქრო ფაბრიკიდან 1863 წელს 388-და დარჩა, დანარჩენი კი დაიხურა.

ამერიკული ეკონომიკის პრიორიტეტულ როლზე საუბრის დროს ი. ჭავჭავაძე ნავთობის მოპოვების, გადამუშავებისა და რეალიზაციის საქმეში ამ ქვეყნის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მონაწილეობაზეც არაერთგზის ამახვილებს ყურადღებას. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო წერილია „ნავთის საქმე კავკასიაში“ (1887 წ.), რომელშიც ერთმანეთთან შეპირისპირებული ფორმითაა წარმოჩენილი და შეფასებული ნავთობის მოპოვებისა და რეალიზაციის სფეროში კავკასიასა და ამერიკაში არსებული მდგომარეობა.

მრავლად მოშველიებული კონკრეტული მონაცემების საფუძველზე ი. ჭავჭავაძე დამაჯერებლად წარმოაჩენს იმ უმთავრეს ფაქტორებს, რითაც ამერიკული ნავთის წარმოება, მიუხედავად იმისა, რომ იქ ნავთობის მოპოვება მეტად ძნელი საქმე იყო, გაცილებით დიდ მოგებას იძლეოდა. ილია გასაოცარს უწოდებს იმ ფაქტს, რომ ბაქოსა და კავკასიის სხვა რეგიონებში, სადაც ნავთობი უშრომლად და თავისით ამოდიოდა მიწიდან, მშა პროდუქციის მიღება და შემდგომში მისი ტრანსპორტირება იძლევად ძვირი ჯდებოდა, რომ ევროპის ბაზარზე „ბუნებისაგან სელმიუწყდომელი“ ამერიკისაგან გაცილებით მეტი ნავთობპროდუქტები შემოდიოდა სარეალიზაციოდ, ვიდრე ბაქოდან. უფრო მეტიც, აღვილობრივი ნავთობმრეწველობა ამერიკულ პროდუქციას თვით რუსეთშიც კი ვერ უწევდა სათანადო კონკურენციას და იქაური მოსახლეობა ამერიკადან მოტანილს უფრო

ყიდულობდა, ვიდრე ბაქოდან მიწოდებულს (ჭაჭავაძე, 2006: 49). ამერიკული წარმატების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორებად ილია ამჯერადაც „საგესტიკო ცოდნის“ გამორჩეულად მაღალ დონესა და წარმოების მაღალტექნოლოგიურობას მიიჩნევს.

როგორც დამოწმებული მაგალითებითაც ამქარად ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატები ი. ჭაჭავაძისათვის იდეალურად მოწყობილ ისეთ ქვეყანას წარმოადგენდა, რომლისგანაც დანარჩენ სახელმწიფოებს ბევრი რამ უნდა ესწავლათ. ილიას ამგვარ აღფრთოვანებას არა მარტო ამერიკული ეკონომიკის მაღალგანვითარებულობა იწვევდა, არამედ სახელმწიფოებრივი მართვა-გამგებლობის იქაური ფორმებიცა და პრინციპებიც. მაგალითად, 1888 წელს დაწერილ პუბლიცისტურ წერილში – „ღვიძია საქმე“ მწერალი საგანგებოდ აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ამერიკამ ყველა ქვეყანას ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისითაც ბევრად გაუსწრო წინ.

ილიას ეს წერილი იმ დროს დაიწერა, როცა ევროპის თითქ ყველაზე მეტად განვითარებულ ქვეყნებშიც კი, ამერიკისაგან განსხვავებით, ქალი მამაკაცებთან შეღარებით, ბევრად უფლებებშებღუდულ და დისკრიმინირებულ მდგომარეობაში მყოფ პიროვნებას წარმოადგენდა. მსგავსი სასიათის პუბლიკაციებით ილია ცდილობდა, არა მარტო უბრალოდ მიეწოდებინა მკითხველისათვის სათანადო ინფორმაცია, არამედ ხელისუფლებას ჩვენთანაც მიენიჭებინა ქალებისთვის ანალოგიური მოქალაქეობრივი უფლებები.

ამერიკული სინამდვილე ი. ჭაჭავაძეს ხშირად ევროპულ რეალობასთან შეპირისპირებული ფორმითაც აქვს სოლმე დახასიათებული, რითაც კიდევ უფრო მეტი შთამბეჭდაობით ცდილობს იმ უპირატესობათა წარმოჩენას, რაც ამ ქვეყნის ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი სიძლიერის საფუძვლად იყო დამკვიდრებული. მაგალითად, ილიას მტკიცებით, „სიმდიდრე და კეთილდღეობა ამერიკის შეერთებული შტატებისა იმდენად სჯობნიდა ევროპისას, რომ ვაჭრობასა და მრეწველობაში შტატები ყოველისფრით წარმატებულნი იყვნენ ევროპაზე და თანდათან იმორჩილებდნენ ევროპას. თუ საქმე აგრერიგად წაეიღაო, – წერს იქვე პუბლიცისტი, – იმედია, რომ შტატები ეკონომიურად სულ ერთიანად დაიმორჩილებენ ევროპას, რომელიც აუცილებლად გაკოტრდება. მაშინ როდესაც შტატები თანდათანობით ისდიან ვალებს, ევროპის სახელმწიფონი კი თანდათან ვალებში სცვივიან“ (ჭაჭავაძე 2006: 56).

მიუხედავად იმისა, რომ დამოწმებულ ფრაგმენტში ევროპასთან დაკავშირებით გამოთქმული ილიასეული პროგნოზი არ გამართლდა და ევროპის ქვეყნების განვითარება სულ სხვა გზით წარიმართა, მოელენათა შემ-

ღვთმმა განვითარებამ დაუჭვებლად დააღსტურა იმ დამოკიდებულების სისწორე, რასაც ი. ჭაჭავაძე ისწრდა საერთოდ ამერიკისადმი.

ამერიკას სახელმწიფოებრივი მართვა-გამგებლობის იდეალიზებულ მაგალითად ილია იმიტომაც თვლიდა, რომ იგი ერთა და სახელმწიფოთა თანასწორობისა და ნამდვილი ძმობა-მეგობრობის ჭეშმარიტ დამცველად მიაჩნდა. მაგალითად, ერთ-ერთ პუბლიკაციაში („ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი". 1889 წ.) მწერალი მკითხველს უდიდესი კმაყოფილებით აუწყებდა იმ ფაქტს, რომ ქალაქ ნიუ-იორკში დასიშნულ კონგრესის სხდომაზე ამერიკელები აპირებდნენ საგანგებოდ ემსჯელათ იმასთან დაკავშირებით, „თუ რა პირობითა და რა საშუალებით უნდა შეერთებულიყვნენ ამერიკის სახელმწიფონი ისე, რომ არც ერთი სახელმწიფო ამერიკისა არ დაჩაგრულიყო... კონგრესზე ისიც უნდა გაღაწყვეტილიყო, რომ სახელმწიფოებს ყოველიეე შეოთი, უსიამოვნება და ანგარიში მორიგეობითა და მშვიდობიანად გაეკეთებინათ" (ჭაჭავაძე 2006: 56).

ეფიქრობ, მკითხველი ადვილად მისვლება იმას, რომ ერთა და სახელმწიფოთა ამერიკული თანასწორუფლებიანობის ამგვარი განღიღებით ილია იმ დისკრიმინაციულ ეროვნულ ვითარებასაც უპირისპირდება შისაგანად, რაც იმჟამინდელი რუსეთის იმპერიაში არსებობდა.

ამერიკასთან დაკავშირებით ი. ჭაჭავაძე აღფრთოვანებანარევ გაოცებას იმის გამოც გამოთქვამს, რომ, განსხვავებით სხვა (მათ შორის ევროპის მაღალგანვითარებული) ქვეყნებისაგან, რომლებიც ძლიერ და შემძლე სახელმწიფოებად ითვლებოდნენ, ამერიკას იმღენად ღიდი შემოსავალიც კი პქონდა, რომ არ იცოდა, „რა ეყო ფულისათვის, რომელიც საჭინაში იყო მოგროვილი" (ჭაჭავაძე 2006: 629). ი. ჭაჭავაძის მტკიცებით, ამერიკა მსოფლიოში ფაქტობრივად ერთადერთ ქვეყანას წარმოადგენდა, რომელსაც ვალი არ პქონდა და რომლის შემოსავალი გასავალს აღემატებოდა.

ასე რომ, თუ მსოფლიოს ბევრი სახელმწიფოსთვის უმთავრეს პრობლემას იმის გარკვევა წარმოადგენდა, საკმარისი ფინანსების არარსებობის გამო თავიანთ ეკონომიკურ პრობლემებს როგორ გამკლავებოდნენ, ამერიკელები, ილიას ინფორმაციით, იმაზე იმტვრეოდნენ თავს, საჭინაში მილიონობით დაგროვილი გაუთვალისწინებელი მოგებისათვის რა ეყოთ და რაში გამოეყენებინათ.

როგორც გემოთ განსილული მასალებიდანაც თვალსათლივ ჩანს, ამერიკა, თავისი პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემის სრულყოფილებითა და უმაღლეს დონეზე განვითარებული ეკონომიკით, ი. ჭაჭავაძეს იმ სახელმწიფოდ მიაჩნდა, რომელიც მსოფლიოს ბევრი ქვეყნისათვის, მათ შორის, რასაკვირველია, რუსეთის იმპერიისთვისაც და მის შემადგენლობაში შემავალი საქართველოსთვისაც, სახელმწიფოებრივი განვითარების მისაბაძ მოდელად უნდა ქცეულიყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. ჭაჭავაძე, თხზ. სრული კრებული ოც ტომად, ტ. III, 1986 წ.
2. ი. ჭაჭავაძე, თხზ. სრული კრებული ოც ტომად, ტ. VI, 1997 წ.
3. ი. ჭაჭავაძე, თხზ. სრული კრებული ოც ტომად, ტ. VII, 2005 წ.
4. ი. ჭაჭავაძე, თხზ. ოც ტომად, ტ. IX, 2006 წ.
5. ი. ჭაჭავაძე, თხზ. სრ. კრებ. ათ ტომად, ტ. IX, 1957 წ.
6. ნ. ჩიტაური, ილია ჭაჭავაძის ორი პროზაული თარგმანი, „ცისკარი", 1985 წ. №6.
7. ჟურნ. «Отечественные записки», 1877 წ. № 12.

AVTANDIL NIKOLEISHVILI
Akaki Tsereteli State University, Professor

ILIA CHAVCHAVADZE AND AMERICA

Ilia Chavchavadze (1837-1907) died without having written any original work of art on American motives. Moreover, regardless the fact that he has translated quite a lot of English literary creations none of them belongs to American writers. In this respect, the only exception is a story of an unknown author 'A Homeless Man in New York' translated from Russian.

'A Homeless Man in New York' might have become a subject of Ilia Chavcavadze's interests since American author's social and ethical-civil viewpoint and Ilia's world outlook apparently had something in common.

In contrast to political and social-economic problems of neighboring countries of Georgia as well as European states that were analyzed in many interesting letters of Ilia Chavchavadze the evaluation of existing situation in America is actually restricted to only a few small publications in his publicism.

The main conditioning factor of the abovementioned occurrence is the fact that in the sphere of America's state interests of writer's days Russian Empire and Georgia as its constituent were scarcely included.

As it can be clearly observed from Ilia Chavchavadze's letters of American cycle the author considers America to be a model of state development for many world states including Russian Empire and its constituent country – Georgia in terms of advanced political-governmental system and highly developed economy.

ოთარ ნიკოლეიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი

ქართულ-ოსური კონფლიქტი გაგეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ შეფასებით (ომის პერიოდში გამოქვეყნებული სტატიების მიხედვით)

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დამოუკიდებლობის მღურბლთან მდგარი ჩვენი ქვეყნის წინაშე მრავალმა პრობლემამ იჩინა თავი. მათგან განსაკუთრებული სიმწვავით პირველ ყოვლისა ტერიტორიული მთლიანობის შესარჩუნების პრობლემა გამოირჩეოდა. ამ პრობლემის წინა პლანზე წამოწევით რუსეთი აქტიურად შეეცადა წინ აღუდგომოდა საბჭოთა იმპერიის დაშლის პროცესსა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. ამ მიზნით იგი ყველანაირად უწყობდა ხელს ეთნოკონფლიქტების გაღვივებას. კერძოდ, ჩვენს ქვეყანაში ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურების აღქმატურად რუსეთმა მიზანმიმართულად ააფეთქა აფხაზეთსა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“ მის მიერვე ადრე ჩაღებული დაყოვნებული მოქმედების ნაღმები, რასაც შედეგად ჯერ სამოქალაქო ომი, ცოტა მოგვიანებით კი საქართველოს აშ.ძირძველ ისტორიულ რეგიონებზე ქართველთა იურისდიქციის დროებითი დაკარგვა მოჰყვა.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ ომის პერიოდში გამოქვეყნებული მასალების გაანალიზების საფუძველზე საშრომში არგუმენტირებულადაა ნაჩვენები ის დამოკიდებულება, რომელსაც ქართულ-ოსურ კონფლიქტთან დაკავშირებით იჩენდნენ იმხანად ამერიკელი ჟურნალისტები და პოლიტოლოგები. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ განსხვავებით აფხაზეთის პრობლემის მათეული შეფასებისაგან, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ საკითხის კომენტირებისას ისინი ცალსახად შეცდომებს უშვებდნენ როგორც ისტორიულ მოვლენათა, ისე იმხანად არსებული ვითარების გაანალიზების დროს. ამ თვალსაზრისით განსაკურებით მაინც 90-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნებული წერილები ხასიათდებიან.

აღნიშნული გარემოება, ჩემი აზრით, იმით იყო განპირობებული, რომ განსხვავებით აფხაზეთის პრობლემაზე დაწერილი სტატიებისგან, რომელთა უდიდესი ნაწილი ავტორებს უშუალოდ კონფლიქტის ზონაში ყათ მიერ მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით ჰქონდათ დაწერილი, ამ წერილების უმეტესობა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მოსკოვის ბიუროდან მიღებულ

ინფორმაციებს ემყარებოდა. ეს გარემოება კი მნიშვნელოვანწილად უშლიდა ხელს სტატიათა ავტორებს, ობიექტურად შეეფასებინათ რეგიონში არსებული კონფლიქტური ვითარება.

მიუხედავად იმისა, რომ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებულ მასალებში ქართულ-ოსურ კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხები მიუკერძოებელი ობიექტურობით არაა გაანალიზებული, მათი უყურადღებოდ დატოვება გამართლებულად მაინც არ მიმაჩნია, რადგან აღნიშნულ წერილებში დაშვებული შეცდომების იგნორირება და მათთვის პასუხის გაუცემლობა ნეგატიურ როლს შეასრულებს საქართველოსთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების საქმეში.

პირველი სტატია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „ნიუ-იორკ ტაიმსში“ 1990 წლის 12 დეკემბერსაა გამოქვეყნებული, საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ გაუქმების მეორე დღეს. კერძოდ, მასში ნათქვამია: „საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკამ გააუქმა ჯიუტი ეთნიკური უმცირესობის ავტონომია, რათა თავიდან აიცილოს მყარად ფესვგადგმული კონფლიქტების გასახლება.

აღგილობრივი ჟურნალისტების განცხადებით, საციოსალისტებით დომინირებულ საქართველოს პარლამენტში დაასრულეს 70 წლიანი კომუნისტური მმართველობა და ასევე სხვა მისცეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონის გაუქმებას. ამიერიდან ოსური უმცირესობა მართული იქნება უშუალოდ საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან, განაცხადეს მათ.

სამხრეთ ოსეთი, 1922 წელს კრემლის მიერ მისი შექმნიდან დღემდე, წარმოადგენდა მრავალი ეთნიკური დაპირისპირების ასპარეზს“ („ნიუ-იორკ ტაიმსი“, 12 დეკემბერი, 1990).

მომდევნო ნომერში გამოქვეყნებულ წერილში კი საუბარია იმ ფაქტალურ შეცდომებზე, რომელიც მყისიერად მოჰყვა ავტონომიის გაუქმების შემოთ აღნიშნულ გადაწყვეტილებას: „საქართველოს უზენაესმა საბჭომ, გააუქმა რა 68 წლიანი ავტონომია სამხრეთ ოსეთში, დაავალა რეგიონალურ სამსედრო ხელმძღვანელობას დააწესოს კონტროლი პრესასა და რეგიონში ყველა შემსველელ-გამომსველელზე და აკრძალოს მანიფესტაციები და სხვა სახის სახალხო დემონსტრაციები...

მსგავს აკრძალვებს სამხრეთ ოსეთში ოთხშაბათ საღამოს მოჰყვა სამი ფატალური გასროლა... ინტერფაქსის ცნობით, უცნობმა შეიარაღებულმა მამაკაცმა, რომელიც მანქანას მართავდა ცხინვალში ლენინის ქუჩაზე, გახსნა ცეცხლი, რის შედეგადაც დაიღუპა პოლიციის ოფიცერი, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირადი დაცვის წევრი და ერთიც სამოქალაქო პირი. ორი სხვა აღამიანი კი დაიჭრა“ („ნიუ-იორკ ტაიმსი“, 13 დეკემბერი, 1990).

ასეთი ლოკალური შეიარაღებული ინციდენტებით დაიწყო კონფლიქტი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, რომელიც მოგვიანებით ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებში გაღაიზარდა, რასაც შეღეგად, კრემლის უშუალო ძალისხმევით, ჩვენი ქვეყნის ამ ისტორიულ რეგიონზე დროებით საქართველოს იურისდიქციის დაკარგვა მოჰყვა. თუმცა, ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ კონფლიქტის დაწყების ერთადერთ საბაბად ჩვენი ქვეყნის იმჟამინდელი ხელისუფლების მიერ პოლიტიკურად გაუთვლელი იმ გადაწყვეტილების მიღებაც იქცა, რომელიც აღნიშნული რეგიონისთვის ავტონომიურობის სტატუსის ჩამორთმევას ითვალისწინებდა.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ აღნიშნული პრობლემის განმაპირობებელ ძირითად მიზეზად სწორედ ეს ფაქტია დასახელებული, თუმცა აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ განსხვავებით აფხაზეთის შესახებ დაწერილი სტატიებისაგან, ძალიანობაში „სამხრეთ ოსეთის“ საკითხზე დაწერილ პუბლიკაციათა უმრავლესობა არ შეიძლება შეფასდეს ობიექტურად და რეალური ვითარების ღრმა განსწავლულობით შესწავლის შედეგად. სათქვამის დასტურად დავასახელებ რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს.

შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების, მისი უშუალო მიმდინარეობისა თუ დამარალებულთა მდგომარეობის აღწერის დროს ძირითად მსხვერპლად, ანუ ჩაგრულ მხარედ, მიუსედავად ამ მხარისაღმი კრემლის აშკარა მხარდაჭერისა, მხოლოდ რეგიონში მცხოვრები ოსი მოსახლეობაა მიჩნეული, იქაურ ქართველებზე კი, რომლებიც აშკარა ღევნა-შევიწროებას განიცდიდნენ როგორც ოსი სეპარატისტების, ისე რუსეთის რეგულარული არმიის ჯარისკაცების მხრიდან, არაფერია ნათქვამი. უფრო მეტიც, ზოგიერთ სტატიაში საქართველოს იმჟამინდელი, კანონიერად არჩეული ხელისუფლება ყოფილი სამხრეთ ოსეთის იმდროინდელ რეაქციონერ ლიდერებთანაც კია გაიგივებული.

მაგალითად, 1991 წლის 10 თებერვლის „ნიუ-იორკ ტაიმსში“ ნათქვამია: „ლტოლვილები და დაჭრილი ბავშვები უფრო იოლი სანახაობია, ვიდრე სიმართლე ამ მთიან რეგიონში, სადაც ახლახანს წარმოიქმნა კონფლიქტი კრემლსა და თავდაჯერებულ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის... თორმეტი ოსი და ქართული მილიციის ოთხი თანამშრომელი დაიღუპა გამართულ ბრძოლებში. მილიცია არის საქართველოს ლიდერის – ზვიად გამსახურდიას კონტროლქვეშ. იგი არ გახლავთ კომუნისტი, არამედ სეპარატისტული მრგვალი მაგიდის ხელმძღვანელია, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება წინა წლის ოქტომბერში გამართულ მრავალპარტიულ საპარლამენტო არჩევნებში და მოვიდა უმრავლესობით...

ოსები, რომლებიც მთის მოსახლეები არიან და ქართველები, რომელ-

ნიც უმეტეად ბარში სახლობენ, საუკუნეების განმავლობაში ებრძოდნენ ერთმანეთს. უახლესი კონფლიქტი კი მას შემდეგ წარმოიქმნა, რაც ბაგრატი გამსახურდიას საპარლამენტო ბლოკი იქნა არჩეული მოსკოვისაგან სრული დამოუკიდებლობის მიღწევის პლატფორმით...

ამ კონფლიქტის შედეგად კი ცხინვალის 65 ათასი მცხოვრებიდან 15 ათასი ლტოლვილად იქცა. ქართველები წავიდნენ თავიანთ დედაქალაქ თბილისში, ოსები კი ცდილობენ გადავიდნენ ჩრდილოეთ ოსეთში, რეგიონში, რომელიც რუსეთის ნაწილი უფროა, ვიდრე საქართველოსი" („ნიუ-იორკ ტაიმსი", 10 თებერვალი, 1991).

როგორც ზემოთ ციტირებული ფრაგმენტიდანაც ნათლად ჩანს, მასში ბევრგანაა დაშვებული როგორც ისტორიული, ისე იმხანად არსებულ ვითარებასთან მიმართებით დაშვებული უზუსტობები. კერძოდ, ამის ერთერთი ნათელი მაგალითია ჩრდილოეთ ოსეთის შესახებ ჟურნალისტის მიერ გამოთქმული მოსაზრება.

ასევე პრინციპულად მცდარია და სრულიად უსაფუძვლო საქართველოს მოხსენიება „სეპარატისტულ რესპუბლიკად" (სწორედ ამ სტატუსითაა ნახსენები ჩვენი ქვეყანა 1991 წლის 25 მარტის „ნიუ-იორკ ტაიმსში") და მისი გაიგივება დე ფაქტო რეჟიმთან. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მსგავსი სახის შეცდომები შემდეგდროინდელ სტატიებშიც არაერთგზის დაფიქსირებულა. მაგალითად, „ნიუ-იორკ ტაიმსის" 7 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში, სადაც საუბარია „შეიარაღებული ოსების მცირე რაზმსა და 1500 კაციან ქართულ მილიციას შორის დაპირისპირებაზე", ასეთი კომენტარია გაკეთებული: „საქართველოს ნაციონალისტი ლიდერები, რომელთაც ფიცი დადეს, რომ მიიყვანდნენ რესპუბლიკას დამოუკიდებლობამდე, რეპრესიებს უწყობენ ქვეყნის ეთნიკურ უმცირესობებს".

„ნიუ-იორკ ტაიმსის" ჟურნალისტი ფრანსის კლაინსი (Francis X. Clines) კი, რომელსაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე სტატია აქვს გამოქვეყნებული, იმდენად შორსაც მიდის, რომ ცდილობს „დეტალურად აღწეროს" ქართველების მიერ ოსების მიმართ გამოჩენილი „სისასტიკე". იმ დევნა-შევიწროებაზე კი, რომელსაც ეთნიკური ქართველები განიცდიდნენ როგორც ოსი სეპარატისტების, ისე რუსი ოკუპანტების მხრიდან, არაფერს ამბობს.

ასე თანდათანობით, არა მხოლოდ ხაშხელრო თვალსაზრისით, არამედ პრესის საშუალებითაც ჩამოყალიბდა ორ ეთნოსში ქართველისაგან მტრის ხატი, რის შედეგებსაც დღესაც იმკის ჩვენი ქვეყანა.

მსგავსი პათოსითაა დაწერილი „ნიუ-იორკ ტაიმსის" კიდევ ერთი სტატია, რომლის ავტორია ჟურნალისტი ჯეიმს ბრუკი (James Brooke). ავტორი მოელენათია არასწორი ანალიზითა და მცდარი ისტორიული არგუ-

მენტებით ცდილობს ოსი ხალხი ქართველებისაგან დაჩაგრულად წარმოაჩინოს.

საქართველოს დამოუკიდებლობისაღმი გაზეთის დამოკიდებულების მაგალითად მოვიყვან ციტატას ჟურნალისტ სერე შმემანის სტატიიდან, რომელშიც საუბარია პირველ ქართულ საპრეზიდენტო არჩევნებზე და რომლის სათაურიც ასეთია: „სეპარატისტი იმარჯვებს საბჭოთა საქართველოს არჩევნებში“. მასში ნათქვამია: „ღღეს გამოცხადებული შედეგების მიხედვით, კვირას გამართულ რესპუბლიკის პირველ საპრეზიდენტო არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა საქართველოს ნაციონალისტმა ლიდერმა...

საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, ზეიად გამსახურდიამ, რომელიც გასღდათ ყოფილი პოლიტპატიმარი და ასევე პროსეპარატისტულად განწყობილი პარლამენტის პრეზიდენტი, მიიღო ამომრჩეველთა 87 პროცენტი. მისმა უახლოესმა მეტოქემ, ვალერიან ადეაძემ მხოლოდ 6 პროცენტი, დანარჩენმა კანდიდატებმა კი 2 პროცენტზე ნაკლები“.

ჟურნალისტის აზრით, არჩევნების ამგვარი შედეგი იმითაც იყო განპირობებული, რომ „საარჩევნო კამპანიის დროს ბატონი გამსახურდია განუწყვეტლივ ადანაშაულებდა თავის ოპონენტებს მოსკოვისა და კგბ-ს აგენტობაში. სოლო, როდესაც ბატონმა ადეაძემ მის პირად მცველად ოთხი რუსი პიროვნება დაიქირავა, ქართული უმეშროების ძალებმა ისინი დააპატიმრეს“ („ნიუ-იორკ ტაიმსი“, 28 მაისი, 1991).

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ მოყვანილ ფრაგმენტში ჩვენ სიმართლის გარკვეულ ელემენტებსაც ვხედებით, ეუიქრობ, სტატიის აეტორის დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისაღმი და მისი მხრიდან საქართველოს კელავ საბჭოთა რესპუბლიკად, სოლო მისი დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტის სეპარატისტად მოხსენიება კატეგორიულად მიუღებელი და დასაგმობია.

მოელესათა შეფასების მსრივ სიტუაცია ოღნავ უკეთესობისაკენ საქართველოში ედუარდ შევარდნაძის ჩამოსელის შემდეგ იცელება, რაც იმაში გამოისახა, რომ გაზეთში აღარც საქართველოს მოიხსენიებენ საბჭოთა და სეპარატისტულ რესპუბლიკად და არც ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ სელისუფალთ სეპარატისტთა ლიდერებად. თუმცა, ჩემი აზრით, ეს არა მარტო პიროვნული ფაქტორით იყო განპირობებული, არამედ იმითაც, რომ იმსანად უკვე საბჭოთა იმპერიის დაშლა ოფიციალურად იყო გაფორმებული (იგი ფორმალურად 1991 წლის 25 დეკემბერს გამოცხადდა) და შესაბამისად, ძველი მოკავშირე რესპუბლიკების კელავ საბჭოთა სტატუსით მოხსენიება აზრს კარგავდა.

რაც შეეხება უშუალოდ კონფლიქტის მიმართ გაზეთის დამოკიდებულე-

ბას, ამ მხრივ აქ ბევრი არაფერი შეცვლილა. მართალია, იმგვარ სტატიათა რიცხვი შემცირდა, სადაც ქართველები ამკარა აგრესორებად იყვნენ გამოყვანილნი, მაგრამ კვლავ თითქმის არაფერია ნათქვამი იმ უარყოფით როლზე, რომელიც რუსეთმა შეასრულა კონფლიქტის გაღვივებისა თუ უშუალოდ საომარი მოქმედებების მიმდინარეობის საქმეში.

ამგვარად, განსხვავებით „ნიუ-იორკ ტაიმსში“ აფხაზეთის პრობლემაზე გამოქვეყნებული სტატიებისაგან, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ შესახებ დაწერილ პუბლიკაციათა უმრავლესობა არ შეიძლება მიეკუთვნოთ ჩვენ მხარდამჭერად, თუმცა მათი გაანალიზება მაინც აუცილებელია საკითხის არსში ძირეულად გასარკვევად.

OTAR NIKOLEISHVILI
Akaki Tsereteli State University, Assist. Prof.

SUMMARY

GEORGIAN-OSSETIAN CONFLICT ACCORDING TO THE ARTICLES PUBLISHED IN NEW YORK TIMES

At the end of the XX century Georgia, which was standing on the edge of independence was face to the great problems. The most important and vital problem among others was to secure the territorial integrity and unity of the country. By the way Russia stood up against collapse of Soviet Union and also was hindering process of regaining independence of Georgia. To achieve this goal Russia supporting the ethnic conflicts. Russia intentionally escalated situation in Abkhazia and so called South Ossetia, conflicts, which were created by Russian, long before and were bombs of slow action on the Georgian territory. Consequences of these conflicts were civil war in Georgia and expel of ethnic Georgians from these ancient and native Georgian territories.

According to publications published by the New York Times during the war we can clearly see approaches of American journalists and political scientists towards Georgian-Ossetian conflict, difference in estimating conflict in Abkhazia. Evaluating Georgian-Ossetian conflict, they made much more mistakes as in old historic realities, also in analyzing present situation.

Above mentioned circumstances were caused because the informational source was Moscow burro of New York Times.

რუსუდან ნიშნიანიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობი თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ქართველი მწერლის ამერიკული ბესტსელერი

საქართველოში ასეთი ფაქტი გახდა ცნობილი: 40-იანი წლების ამერიკაში ბესტსელერად ქცეული წიგნის „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ავტორი ქართველი ემიგრანტი ჯორჯ (გიორგი) პაპაშვილი გახლდათ. მოგეხსენებით, უფრო მეტად, 1951 წელს რეჟისორმა ჯორჯ სიტონმა პოლიტიკაში ამ წიგნის მიხედვით ფილმი გადაიღო.

რომანი „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ (“Anything Can Happen”) საქართველოში 1966 წელს გამოიცა. თუმცა, ოდნავ განსხვავებული ტიტულატურებით: „ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს“. ავტორები: გიორგი და პელენ პაპაშვილები; ინგლისურიდან თარგმნა ანდუყაფარ ჭეიშვილმა.

სათაურიდან დავიწყოთ: „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“. საღ?! ეს მოგაღი დამოკიდებულებაა – დაშვება არაერთი ეარაუღის შესაძლებლობას იძლევა: შეიძლება საქართველოში, კობიანთკარში დაბადებული კაცი უცხოეთში აღმოჩნდეს და არცთუ ურიგოდ ააწყოს მომავალი. თარგმანში სივრცე დაკონკრეტებულია ერთ ქვეყნამდე. უნდა ითქვას, რომ არსი მაინცადამაინც არ იცვლება, მოქმედება ამერიკაში ხდება. რომანი 20 თავისაგან შედგება. ეს წიგნი უჩვეულო კონტაქტის საშუალებაა ერთი მხრივ – საკუთარ თავთან და მეორე – გარე სამყაროსთან. მთავარი პერსონაჟი თავად ჰყვება საკუთარ თავგადასავალს, ჰყვება საინტერესოდ და ერთგვარი იუმორითაც. მას არ სჭირდება მტრის საგის გამოგონება. ადამიანებსაც და გარემოსაც იმგვარად აღწერს, როგორადაც სედავს.

რომანში (ისევე, როგორც ამ ქვეყანაში) მნიშვნელოვანია დრო. პირველივე მინიშნება დასაწყისშივეა ჩადებული:

„დილის 5 საათზე გემის მანქანები გაჩერდა. 37 დღის შემდეგ გემზე პირველად დაისადგურა სიჩუმემ.

ჩვენ ამერიკაში ვიყავით“ (პაპაშვილები 1966: 5).

ნაწარმოებში თენდება. ახალი დღე იწყება. ახალი დღე ახალ ქვეყანაში, ანუ ახალი ცხოვრება – გიორგისთვის ყველაფერი თავიდან იწყება!

მეორე ნიშანი – ფული.

ფრაზა: „უფულოდ ვინ შეგიშვებს ამერიკაში?“ ირონიულად კი ჟღერს, მაგრამ სახალისო ამბავს გვიამბობს. მთხრობელ-დამკვირვებელი არ ტო-

ებს არცერთ ღეტალს, რათა ამბავი საინტერესო და დამაჯერებელი გახადოს. სუბიექტურია გარემო, სუბიექტურია მისი აღქმაც. ამერიკულ, უბრალო ზოლიანი ნაჭრისაგან შეკერილ „სინკალა“ ქუდში მშვენიერ კრაქელის ბოსხის გაცელის. ქუდში, რომელიც გამომგზავრების წინ შეიძინა. ერთ ღილარსაც „იშოვის“ და ფაქტი – ამერიკაში ჩამოსელის დღესვე ფულს „გააკეთებს“.

შესამე – სასელმწიფოს მრუნეა მოქალაქეებზე (პასუხისმგებლობა).

საშვიანი მგზავრები კუნძულიდან ნაპირზე უპრობლემოდ რომ მოსვლერილიყვნენ, ამაზე მიაერობა მრუნაედა: „ნაპირზე კი: ქუჩები, სახლი, სმაური. სახეები და კვლაე სახეები. ქოთქოთი, ჯიჯღინი, ყვირილი, მაგრამ ყველაზე მეტი – ფუსფუსი და მოძრაობა: წინ და უკან, უკან და წინ, თვალები ამიჭრელდა“ (პაპაშვილები 1966: 9). ესეც მეოთხე ნიშანი – ამერიკული ცხოერების ტემპი.

სამუშაო აღგილის შოენა ბევრ რამეს ნიშნავს. ეს არაერთი ფაქტორის გარანტი სღება: მშვიდი ცხოერების, გადასახადების დროულად გადასღის, სსვა საბრუნავის გაჩენის... მით უფრო, უცხო ქვეყანაში იგი რთული გადასაჭრელია და აქაც უამრავი ფაქტორია: ენის ცოდნა, უცხო ადამიანებთან კომუნიკაციის უნარი, ქვეყნის სამოქალაქო უფლება-მოვალეობებში გარკვეეა. აეტორის ნიჭიერება და რომანის პოპულარობის საიდუმლო სწორედ ის მგონია, რომ მიგნებულია ზუსტი მსატერული პრინციპი: არა ბანალური წინააღმდეგობებითა და აქედან გამომდინარე, ტკივილებით, ცრემლებით, სენტიმენტალური ფათერაკებით საესე ამბები, არამედ თბილი იუმორი, რეალური თაეგადასავალი და „ჩამოსული“ კაცის თვალით დანახული სივრცე.

უცნობ ადამიანს დახმარებას შესთავაზებს, აეტომანქანას შეუკეთებს და როცა „ერცლად“ საუბრის გაგრძელებას ვეღარ მოასერხებს, ლექსიკონი გაახსენდება. ერთი ფრაგმენტი: კაცმა საჭირო სიტყვას მიაგნო და: „მუშაობ?“ – მკითხა და ინგლისურ სიტყვაზე მიმითითა. მის გასწვრივ დაწერილ რუსულ სიტყვას დავხედე და თავი გავაქნიე. „ბინა?“ – მაჩვენა მან მეორე სიტყვა. კვლავ უარით ვუპასუხე.

გამოვართვი ლექსიკონი, „ტემი“ და „ღღეს“ მოვძებნე და ვაჩვენე.

„წამოდი“, – მაჩვენა ლექსიკონში“ (პაპაშვილები 1966: 14).

სამსახური მოძებნილია – აეტომობილებს შეაკეთებს. გზად არაერთი მილი გაიარეს, მასპინძლის სახლსაც მიაღწიეს. იმისი ცოლი ავასშმებს (კარგად დანაყრდება) და ოთახსაც მიუჩენს. ძილის წინ გაჩენილი ფიქრი: „აი, მთელი ღღეა ეცხოერობ ამერიკაში და სწორედ ისე ყოფილა, როგორც ამბობდნენ, – ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც ყველაფერი, მართლაც, ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ (პაპაშვილები 1966: 15). ერთი ღღის შთაბეჭდი-

ლებას ვერც მომლოცველი წლები გაანელებს. რომანის პირველ თავს: „პირველი ღღე“ ეს წინადადება დაასრულებს: „უკვე ოცი წელია ვცხოვრობ ამერიკაში და აქაურობაზე ღღემდე ამ ამბისა ვარ“ (პაპაშვილები 1966: 15).

ეს სრულიადაც არ გულისხმობს იმას, რომ აქ ყველაფერი იღბალურადაა. მხატვრულ ლიტერატურას აქვს უღიღესი უნარი, დაგვანახოს ქვეყანა. ყოველ სახელმწიფოს აქვს თავისი დამახასიათებელი ნიშნები, რაც მას ყველა დანარჩენისგან გამოარჩევს. არჩევანი – ეს მხარეა მნიშვნელოვანი. ამ ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი. ქვეყნისათვის, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. გიორგისათვის ეს თვალშისაცემია. ერთი მაგალითი: გაუკბრობაში გაესვენა და პოლიცია საქმეს სასამართლოს გადასცემს. ალეკო კაგი ფიქსერი ურჩევს, თავი დამნაშავედ ცნოს, ჯარიმა 2 ღოლარი გადაიხადოს და „საქმე მორჩება“. ამასთან პპირდება, რომ „ძველ ჩემ საცნობობას დაეხმარებ საქმის მოსაგვარებლად“ (პაპაშვილები 1966: 22). „იმას ვერ დაეიბრალებ, რაც არ ჩამიდენია.“ – ურჩევია გმირის პასუხი; თუმცა წინასწარ იცის, რომ პოლიციასთან დავა სასუმარო საქმე არაა. ფსიქოლოგიურად ზუსტადაა გათვლილი ინდივიდუალური სასიათი და საქციელის ხარისხიც. ფიქსერისაგან წამოსულები მისტერ კოენისაკენ გაემართნენ. 47 წელია ამ ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქეა და ამიტომაც ურჩევს: თქვას სიმართლე! „არა ვარ დამნაშავე, თქვენთ ღირსებაე“, – მიმართა ასე და მერე შენი ამბაები მოუყვეი“. ის კატეგორიულად არ ამტკიცებს, რომ ყველაფერი კარგად იქნება, „საამურ ქვეყანაში“ ცხოვრობს და უსამართლობა გამორიცხულია. აქ ილუზიური წარმოსახვებით არ იტყუებენ თავს. კოენიც მსჯელობს: იქნებ მოსამართლემ ყურადღებით მოისმინოს მომხდარის შესახებ და გაუგოს კიღეც. იმის ალბათობასაც უშვებს, რომ მოსამართლე შესაძლოა, უსეირო გამოღგეს, ან უბრალოდ, ღაღლილი იყოს, ანდა უცხოელებს არ თანაუგრძნობდეს და... მართალია, ასეთები იშვიათია, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ისევ ჯარიმის გადახდა სჯობს. ამის გამო კონკრეტული ყოფითი ცხოვრებისეული წინააღმდეგობა არ უნდა განაზოგადოს და ქვეყანა (ამერიკა) არ შეიძულოს. ერთ დაეალებასაც აძლევს: განაჩენის გამოცხადების შემდეგ „მაშინვე მოდი და შემატყობინე“. გაოცებული უცხოელის შეკითხვაზე: „ეს რაღა საჭიროა?!“ პასუხობს: „შავ კენჭს ჩაეუყღებ მომავალ არჩევნებზე. თუ წესიერად არ მოიქცევა, მეტს აღარ აეირჩევი“ (პაპაშვილები 1966: 23-24) როგორ ფიქრობთ, როგორ წაიკითხავდა ამას საბჭოთა მკითხველი?

სასამართლოში საქმე ამგვარად წარიმართა: ყველა დანარჩენმა თავი დამნაშავედ სცნო და საჯარიმო ფული გამოაგზავნა. მოსამართლის კითხვაზე, თავადაც რატომ არ მოიქცა მსგავსად, გიორგიმ განმარტა, რომ არ იყო დამნაშავე. ორმაგი ტყუილი იქნებოდა, თუკი ჩაუღენელ დანაშაულს

აღიარებდა (არ იქნებოდა დამნაშავე და ტყუილად დაიბრალებდა) და ჯარიმას გაღაბისდიდა. მოსამართლე მისი წარსული ცხოვრებით დაინტერესდა და შეკითხვებიც დასვა. აქ მხოლოდ სასამართლო პროცესის ბუნებრიობის დემონსტრირება არაა, არამედ მწერლის მსატვრული ხერხი: გმირიც გაგვაცნის, გარემოც და ქვეყანაც. ის რეალობა დაუსაბუთოს მკითხველს, რომელშიც ალი თავადაც ცხოვრობს. ამ კონკრეტულ ამბავს კი ამგვარი ფინალით დაასრულებს: მოსამართლე ირწმუნებს სათქვამს, „და მისი უმწიკვლოება. დიდი ამერიკელი მოსამართლე, ჩემსკენ გაღმოიხარა და, იცით, რა მითხრა, მე უბირს, უნდოს, ექსი თვის ჩამოსულ გამოუცდელ უცხოელს? ახალგაზრდაც, მე მსურს ხელი ჩამოგართვაო, და მარილაც, ჩამოძართვა. მიელი ღარბაში ჯეიკერებდა" (პაპაშვილები 1966: 26). მათ არა მხოლოდ ღარბაში უსმენს და უყურებს, არამედ უჩვეულო რაოდენობის განსხვავებული მკითხველიც.

ძალიან საინტერესო ქცევაცია „მიწის ძახილი". ქართველმა მკითხველმა ამ სათაურით, უფრო სწორად, დაახლოებით ამ სათაურით ამაკე თემაზე დაწერილი მოთხრობა იცის, მისეულ ჯაფახიშვილის „მიწის ყიელი". საქართველო, თბილისი, კობიანთკარი, კახეთი, ხევსურეთი, გულაური... ისე ბუნებრივად ასხვენებს, რომ არ რჩება უსერხულობის განცდა. იცის თუ არა ამერიკელმა მკითხველმა, რომელ გეოგრაფიულ სივრცეზე ესაუბრებიან?! ისხენებს ღიმილით, ისხენებს ღირსების სრული შეგრძნებით, ისხენებს ჩვეულებრივადაც, მაგრამ თითქმის არასოდეს ტკივილით. არადა, ემიგრანტი მწერლისთვის ეს სრულიად საცნობი ლიტერატურული მეთოდი იქნებოდა. ვასხენე სიტყვა „თითქმის". ერთადერთხელ, და ძალიან ზუსტ კონტექსტში ჩააყენებს მწერალი თავის გმირს, როცა ყველასთვის საყვარელი და ახლობელი „ძია ვანო" მოკვდება. „ვიღაცის ცივი ხელი გულის ფიცარზე მიკაკუნებდა, როცა საფლავიდან ამოყრილ მიწას თვალს მოვაცილებდი და ჭეშობლებს გადავხედავდი, მათ სახეზედაც ჩემ საკუთარ შიშსა ვხედავდი. თითქოს სარკეში ვიხედებოდი. ილიკო, არსენა, კოსტა – ყველანი, მუქით რომ მიწას აყრიდნენ კუბოს, ფიქრობდნენ, ნეტა ვინ იქნება შემდეგიო? იქნებ მე უნდა მოვკვდე ძია ვანოს შემდეგ, სამშობლოს მოშორებული. დავიმარხები უცხო მიწაში და ჩემი საფლავის ქვის წარწერასაც ვერავინ წაიკითხავს!" (პაპაშვილები 1966: 190-191).

სიკვდილი – სამშობლოში.

სიკვდილი – უცხოეთში.

თითქოს არაფრით გამორჩეული. თითქოს. ერთი შესედვით და ისიც ზერელე. არადა, რაოდენი განსხვავების მაგარებელი. გარდუვალი სევდრი. არა მხოლოდ გარდაცვალება, არამედ უცხო მიწაც. შეიძლებოდა თუ არა ამასთან შეჩვევა? მოვა დრო, როცა აღარ ვიქნები – თავზარდამცემი არა

მხოლოდ ეს ფიქრი, არამეც ისიც – არ ეიქნები ჩემიანებთან. ეს კიდევ უფრო აძლიერებდა მარგოობის „სიშორის“ დამთრგუნველ განცდას. სასაფლაოს წარწერებს არცთუ იშვიათად სრულიად უცნობი ადამიანებიც კითხულობენ. ხან ასაკს გაიკვირვებენ, ხანაც სიკვდილის ფაქტს გაითვითებენ და დასარწმუნებლად სურათსაც კარგად დააკვირდებიან. ჯიორგი პირველად დაფიქრდება, რომ უცხოეთი – უცხო მიწაა და მის საფლავს ქართული წარწერა უნდა ჰქონდეს; არადა, ვისაა აქ ქართულად წამკითხველი? ის დაკარგულია ახლობლებისათვის არა მხოლოდ ახლა, როგორც იგვიანებს, ცხრა მთას იქით, არამედ სამუდამოდ სიკვდილის შემდეგ გაქრება... (გასაუბრება ყველას სჭირდება: ცოცხალსაც და გარდაცვლილსაც).

ქვეთავში ესაუბრობდი: „მიწის ძახილი“. ავტორი ნაცნობი სიტუაციის დახატვას შეეცდება. სამი წელია გასული, რაც გმირმა სამშობლო დატოვა. ერთადერთი, რაც ჯერ კიდევ მშვიდად აკავშირებს მასთან, ეს ენაა. მშობლიურ ენაზე დაწერილ პარაკებელს ეძებს. დაეძებს ყველგან, არაერთხელ გაუცრუვდება მოლოდინი. უკვე იშვიათია თანამემამულეს ვერ ნახავს, ამ ენის მცოდნე მაინც იპოვოს. ამ მიზნით ამაყი ქალაქის უნივერსიტეტშიაც მიდის. პროფესორებმა სირიულიც იციან, რუსულიც, ბერძნულიც, სპარსული, სომხური და თათრულიც კი. თვითონაც დაინტერესებიან ამ იშვიათ ენაზე მოლაპარაკე კაცით, რომლის ენა „არ ენათესავება ენათა არც ერთ ჯგუფს!“ (პაპაშვილები 1966: 43).

ენა არ უნდა დაავიწყდეს; არადა, ყერაის ელაპარაკება. გამოსაყვალს იპოვის; მართალია, უცებ ვერა, მაგრამ მაინც იპოვის. გულის გადასაყოლებლად ღიღინს დაიწყებს. როგორც კრიალოსანს, ისე შარცელავს დღეებს, სიმღერებსაც... ქუჩაში, სამუშაოზე თუ დუქანში ერთსა და იმავე მელოდიას მღერის: „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო...“ ვფიქრობ, ეს სიმღერა საგანგებოდაა მოხმობილი. სიმბოლურად სიმები ერთად უნდა აყერდეს. სწორედ ამ სიტყვებს ღიღინებდა სამრეცხაოში პერანგის გამოსატანად შესული, დახლში მდგომი გაოცებული ქალი რომ შეამჩნია. ქალმა მამამისის მიერ ამ ათი წლის წინ „სან ტელეგრაფში“ გაგზავნილი განცხადება გაიხსენა, რომელშიც ის თავისი ენის მცოდნეს ეძებდა, ჯილდოც დაეწესებინა – 1000 ღოლარი. დასაჯილდოვებელი არავინ აღმოჩნდა. ქალის მამა იმ დროს შემოვიდა, როცა ჯიორგი „წყალს ნაფოტი ჩამოპქონდაო...“ მღეროდა. ამ სიმღერას მოხუცმაც აყოლა სმა. ფესვებძლიერი, მაგარი ხიდან ნაფოტებად დაფანტული ქართველები აქ გადაესვივნენ ერთმანეთს („სიმები“). მშობლიური მიწის ძახილმა ააგორა ორივე. ბათუმიდან პიტსბურგში მოხვედრილ ძია მონგოს სამშობლოში საცხოვრებლად დაბრუნება არ უცდია, თუმცა-და იქაური ყველაფერი ენატრებოდა. ამ დღის შემდეგ ისინი ყოველ საღამოს სედებოდნენ ერთმანეთს,

პეტებოღნენ ანეგღოტებს, იხალისებღნენ ცხოვრებას, რიგ-რიგობით იხსენებღნენ ადგილებს „ვეფხისტყაოსნიდან“, გულს იჯერებღნენ ქართულ ენაზე საუბრით და სუფრის სიბღისთაც. სუფრაზე, რომელზეც გეთისსილი, მარილიანი ყველი, კიტრები და ღვინის დოქი დეკს. ძია მოსტოს „30 წელი არ გაეგოსა ჩვენი ენა, მაგრამ ჩვენებური ღვინის დაყენება არ დაეივიწყებოღა“ (პაპაშვილები 1966: 46).

აეტორი რომანში იმგვარად გაშლის მოქმეღებას, რომ აქ განსაკუთრებული (ეროვნული) ფუნქცია თუ უპირატესობა არავის აქვს. თითოეული მათგანი ატარებს თავის ღირსებასაც და ნაკლსაც.

ღა ბოლოს, რომანის ფინალი.

გიორგის ოჯახში სუფრაა გაშლილი. მოტივაცია – ბანკში ბოლო შესატანი გაღაიხაღა ღა „ერთი საგლეჯი ამერიკული მიწის მფლობელი გაეხღი“ (პაპაშვილები 1966: 192). აქ ძალიან სწორაღაა გათვალისწინებული (გათვლილი) მსატვრული ღა აბრობრივი დასასრულის სიმუსტე. დაუშვებელია ყალბი ფრაზა ან საქციელი. დაცულია მოქმეღების სინქრონულობა: ახალმოსახლეობა, გაშლილი სუფრა, უახლოესი შეგობრები, მეორე ღღეს აღდგომის ღღესასწაული (არა-ჩვეულებრივი, რწმენისმიერი გასახლების, აღდგომის ღღე) ღა ღსინი. ამ კონტექსტში სრულიად ბუნებრივი ღა ფსიქოლოგიურაღაც გამართლებული ერთი აუცილებელი ღეტალი – საღღეგრძელო!

„ ...ამ პატარა ჭიქით სამშობლოს გაუმარჯოს. ჩვენ ვკისარია, რომ სუფრასთან ამღენ ამერიკელს ვხეღავთ. განსაკუთრებით იმიტომ, რომ წინათ მათ პატივი გვცეს – თავიანთ ფართო სუფრასთან მიგვიწვიეს ღა გულუხვაღ გაგვემასპინძლღნენ. ჩვენ ვცღილობღით, კარგი სტუმრები ვყოფილიყავით ღა იმეღი მაქვს, ვიყავით კიღეც. ეს ერთი სამშობლოა. მათ გარღა მრავალი სხვაღასხვა ეროვნების აღამიანი შეეიკრიბეთ აქ – ქართველები, რუსები, ბერძნები, ლატვიელები, ესტონელები, ირლანღიელები – სამღვილი ერთია ლიგაა. მე ესეამ ყველას სამშობლოს საღღეგრძელოს ღა როცა ესეღავ, თუ როგორ მშვიღობიანაღ ვსხეღვართ ერთმანეთის გვერღით, მწამს, რომ მთელი მსოფლიო მოგებაძავს. ბოლოს ღა ბოლოს, ეს სომ ბეღნიერი ცხოვრების ერთაღერთი გზაა. მაშ ასე – სამშობლოს გაუმარჯოს!“

ერთი შესეღვით, დასამატებელი აღარაფერია, მაგრამ აეტორი მთავარი გმირის სიტყვებით დაასრულებს რომანს, ბოლოს მაინც მას ააწვევინებს ჭიქას ღა ასეთი ფორმით ათქმევინებს დასკვნას:

„ – სიამოვნებით ვსვამ... სამშობლოს გაუმარჯოს, სამშობლოს, რომლის იატაკი ღეღამიწაა, ჭერი კი ზეცა“ (პაპაშვილები 1966: 197).

ერთი საკითხი, რომელსაც ამჯერაღ მხოლოღ ღაესვამ, განსხილვას კი სხვა ღროისთვის გაღავეღებ. როცა საუბარია ევროპულ ემიგრაციაზე, იქ

გაცილებით რთულადაა საქმე ავტორის შესახებ ინფორმაციის მოძიების ან ტექსტების გაცნობის თვალსაზრისით. ამერიკული ემიგრაციის პირობებში ეს თემები სხვა რანგში განიხილება: ტექსტები ითარგმნება, გამოიცემა კრებულებად, წიგნებად... როგორც ვთქვი, ეს უკვე სხვა დროს.

ფაქტია, ამერიკელმა მკითხველმა საზოგადოებამ გიორგი და ელენე პაპაშვილების წიგნი ბესტსელერად აღიარა და არაერთი ძალიან საყურადღებო რეცენზია დაიწერა. სელენის განსხვავებული სიბლი იმავდროულად, გამორიცხავდა კულტურის ეგზოტიზაციას. სწორედაც პირიქით. არაერთ ესაზე თარგმნილი წიგნი განსხვავებული ლიტერატურული გემოვნების მკითხველს ერთსაირად წააკითხავდა თავს. თავისთავად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ფაქტი მასშტაბური სელენის და გარკვეულ კონტექსტში გააზრების შესაძლებლობას იტოვებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიორგი და ელენე პაპაშვილები. „ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს", გამომც. „ლიტერატურა და ხელოვნება" თბ. 1966.

RUSUDAN NISHNIANIDZE
Tbilisi Ivane Javakhishvili State University, Assoc. Prof.

SUMMARY

THE AMERICAN BESTSELLER OF THE GEORGIAN WRIETER

The author of the American bestseller "Anything Can Happen" is the Georgian emigrant George (Giorgi) Papashvili, in 1951 the American director George Siton made a film based on this book.

The novel was published in Georgia in 1960 with a slightly different title "The Country, Where Anything Can Happen". It was translated from English by Andukapar Cheishvili. The space is defined to one country in the translation. The assumption gives the possibility of several suppositions: a man, born in Kobiantkari, Georgia, might found himself in a foreign country and make his future good. The action happens in America. The novel contains 20 chapters. The book is an unusual way of contact on the one hand with your own self and on the other with the outside world. The main character tells his own adventure in an interest way and with a sense of humor. He do not need to invent an antagonist, he composes as he sees. The chapters were often written with such mood as "Calling of the Earth" (here's the parallel with Mikheil Javakhishvili's "Calling of the Earth"). A great many significant reviews were published about the book in the American literary criticism. The important literary fact keeps the possibility of large-scale view and comprehension of the certain context.

ნატალია ორლოვსკაია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ამერიკელი ჟურნალისტი კახეთის შესახებ

ამერიკელი ჟურნალისტი, ალბერტ რის უილიამსი (1883-1962) 1917 წლის ზაფხულში ჩამოვიდა რუსეთში. იგი ჯონ რიდივით 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის თვითმხილველი და მოსაწილეა. ამ ვიზიტის გადასახელიდან დაწერილ წიგნს "Through the Russian Revolution" ასე იწყებს: "On a white night of early June 1917, I first entered Petrograd, the city that lies almost within the Arctic Circle. Though it was midnight, the wide squares and prospects it bathed in the soft spectral light of this northern night were all alluring"(Williams 1926: 3).

უილიამსი რუსეთში ამის შემდეგ რამოდენიმეჯერ ჩამოვიდა. მეორედ მოგზაურობისას სანყრძლივად დარჩა. 1922-1927 წლებში საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა და მოისახულა როგორც ჩრდილოეთი, ასევე სამხრეთ რეგიონები. ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებების გათვალისწინებით გამოაქვეყნა წიგნი "The Russian Land" (1928), რომელიც ცალკეული ნარკვევებისაგან შედგება. ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოქვეყნების შემდეგ ეს ნაშრომი დაიბეჭდა ინგლისში, შემდეგ კი ფრანგულ ენაზე საფრანგეთში.

ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა ამ წიგნის ის ნარკვევები, რომელშიც ავტორი ესება საქართველოს, კერძოდ კი კახეთს. უნდა აღინიშნოს, რომ უცხოელი მოგზაურები, რომლებიც ადრე შავი ზღვით ან კიდევ აზერბაიჯანიდან შემოდიოდნენ საქართველოში, არც თუ ხშირად აღწერდნენ კახეთს, მათ უმეტესწილად აინტერესებდათ საქართველოს დედაქალაქი. XIX საუკუნიდან განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ხდება სამხედრო გზა, რომლის შესახებაც ბევრი მოგზაური აღფრთოვანებით წერს თავის ნაშრომებში.

სხვებისაგან განსხვავებით უილიამსი თავის ნარკვევში მხოლოდ კახეთის შესახებ გადმოსცემს შთაბეჭდილებებს. ნაშრომის დასაწყისში ავტორი აღნიშნავს, რომ მისი მოგზაურობა დაიწყო თბილისიდან, თუმცა საქართველოს დედაქალაქზე წიგნში არაფერი აქვს ნათქვამი. უილიამსის ინტერესების ცენტრში არის მხოლოდ კახეთი – მხარე განუყრელად დაკავშირებული მეღვინეობასთან და განთქმული თავისი ღვინოებით. აი, რას წერს ამის შესახებ თავად ავტორი: "Wine runs in the Georgian's veins. Ever-

ywhere one sees fruits of the vine and the vine itself. Even over the facades of churches it climbs chiseled in stone" (Williams 1928: 60).

უილიამსი ნარკვევში "The Valley of Wine" დიდი ინტერესით აღწერს ღვინის დამზადების მეთოდებს, განსაკუთრებით გაოცებას ვერ ფარავს ტიკებზე, რომლებშიც კასელები ღვინოს ასხამენ და ისასაქენ. თუმცა აეტორის ინტერესების სფერო არ შემოიფარგლება მხოლოდ მეღვინეობითა და მასთან დაკავშირებული საკითხებით. მას განსაკუთრებით აინტერესებს თანამედროვე ცხოვრება სოფლად, რომელიც ასე ძირფესვიანად შეიცვალა საბჭოთა საქართველოში 20-იან წლებში.

ალბერტ რის უილიამსი განათლებული პიროვნება გახლდათ. ის სასულიერო პირი იყო. მას ასალგაზრდობიდანვე აინტერესებდა საზოგადოების სოციალური პრობლემები, ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესების საკითხები და ამ კუთხით ბევრს იკვლევდა. პირველი მსოფლიო ომის დროს ევროპაში ცხოვრობდა, მოღვაწეობდა, როგორც სამხედრო კორესპონდენტი. უილიამსი თავის წერილებში ომის საწინააღმდეგო მოსაზრებებზე, ომის სასასტიკესა და მის საშინელ შედეგებზე წერს. ის რუსეთში მომხდარ რევოლუციაში ეძებს დადებით მხარეებს, ცდილობს დაინახოს სასიკეთო ძვრები ადამიანთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად. მას განსაკუთრებით სოფლად მიმდინარე პროცესები აინტერესებს. როგორც მკვლევარი ი. კირეევა აღნიშნავს უილიამსის წიგნში აღწერილი ნარკვევები გაერთიანებულია ერთი ძირითადი თემით – რევოლუციური ცვლილებები სოფლის ცხოვრებაში (Киреева 1973: 58).

უილიამსი, რომელმაც იმოგზაურა საბჭოთა რუსეთის ჩრდილოეთ რაიონებიდან სამხრეთ რეგიონებამდე, ძირითადად შეისწავლიდა სოფლად მიმდინარე პროცესებს, არსებულ პრობლემებს, სიახლეებს. ალბათ ამით უნდა ავხსნათ მისი გამორჩეული ინტერესი არა ჩვენი ქვეყნისა და მისი არქიტექტურული ძეგლებისადმი, არამედ როგორც ეს საქართველოსადმი მიძღვნილ ნარკვევშია გადმოცემული, ერთ-ერთი რაიონის – კახეთის მასამართით, რომელიც ოდითგანვე სოფლის მეურნეობით, განსაკუთრებით კი მეღვინეობითაა ცნობილი.

უილიამსი დიდი ინტერესით ეცნობა რაიონის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. ესწრება ახალ შექმნილ კოოპერატივის კრებებს, ხვდება ყოფილ მემამულეს, თავად ჭავჭავაძეს, რევოლუციის შედეგად გიტულები, მიწები და ქონება რომ დაკარგა, უბრალო მშრომელ გლეხებს, ყოფილ მსახურებს, ღატაკებს, ახალგაზრდებს: "ex-Prince Chavchavadze, his ex-lackey and the one-time village beggar" (Williams 1928: 63).

უილიამსი წიგნში წერს სოფლის ახალგაზრდობაზე, დადებითად აფასებს მათ ენთუზიაზმს ახალი ცხოვრების ასაშენებლად, მისწრაფებას ცოდ-

ნის შესაძენად, ძველი დრომოჭმული ტრადიციების დასაგმობად. ავტორი ერთ თავში გადმოსცემს რომ სოფლის ახალგაზრდები ზედმეტი ღვინის სმის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და ერთ-ერთ პლაკატზე ასეთი წარწერაც კი ჰქონდათ გაკეთებული: „გამოდით დუქნიდან, წამოდით სკოლაში“. ამ საკითხში უილიამსი მხარს უჭერს ახალგაზრდებს, მათ ახალ მისწრაფებებს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ კასეთის სტუმარი თავად ღვინის მიმართ არის მტრულად განწყობილი. პირიქით, ის აღფრთოვანებულია კახური ღვინით და მას ჯადოსნურ სასმელს უწოდებს.

უილიამსი საინტერესოდ აღწერს წინანდალში კოოპერატივის წვერების მიერ გამართულ ერთ-ერთ წვეულებას, სადაც თავადაც ყოფილა მიპატიჟებული. ავტორი აღფრთოვანებულია ნადიმით, რომელიც ღია ცის ქვეშ, მშვენიერ მწვანე ველზე გამართულა.

უილიამსის კასეთში სტუმრობა დაემთხვა იმ პერიოდს, როცა აშშ-ში მოქმედებდა მშრალი კანონი. ეფიქრობ, ამ გადასახედიდან მისი თავისუფლად მონაწილება ყველა იმ პროცესში, რაც მეღვინეობას, კერძოდ, ღვინის როგორც დამზადებას, ასევე მის დაჭაშნიკებას უკავშირდება, ალბათ სასიამოვნო ემოციებს გამოიწვევდა. ბუნებრივია ჟურნალისტის დაინტერესება იმ ადამიანების ცხოვრებით, რომლებიც აწარმოებდნენ შესანიშნავ ღვინოს, იცოდნენ მისი ფასი, ჰქონდათ სუფრის ტრადიციული წესები, სხვადასხვა სახის სასმისები, ყანწები, სმის რიტუალი, ლამაზი სადღეგრძელოები, აფასებდნენ თამადას. ავტორი ასევე სპეციალურად წერს ქართულ პურზე – “Choorek”: “It was indeed most admirable bread. It served us not only as food but as a plate and napkin” (Williams 1928: 68).

უილიამსი არ ივიწყებს კახელ მზარეულებს, აქებს მათ ოსტატობას. სიამოვნებით იხსენებს ბატკნის ხორციდან დამზადებულ კერძებს. განსაკუთრებით მოსწონებია როგორც შემწვარი ბატკნის ხორცი, ასევე ჩიხირთმა, რომელსაც უცნაური მცენარით (იგულისხმება ქინძი) შეზავებულ სუფს უწოდებს: “lamb was served up in various guises. First it came as soup seasoned with a strange herb…Each form seemed more delicious than the other. I extolled the Georgian cooks for their skill in bringing out the essential flavours of the lamb” (Williams 1928: 68).

უილიამსი აღფრთოვანებულია კახეთის ბუნებით, ალაზნის ველის განუმეორებელი სილამაზით, შორს ჰორიზონტზე ცად აზიდული მთებითა და თოვლიანი მწვერვალებით. ასევე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია სტუმარზე ქართულ სალხურ ცეკვებსა და სიმღერებს. ავტორი ეთანხმება ოლივერ უორდროპს, რომლის აზრითაც საქართველო ულამაზესი ქვეყანაა მათ შორის, რაც კი უნახავს. როგორც ცნობილია უორდროპი ერთ–ერთი პირველი ინგლისელი იყო, ვინც ქართული კულტურის შესწავლა დაიწყო.

საქართველოში თავისი მოგზაურობა უორდროპმა აღწერა წიგნში: The Kingdom of Georgia, რომელიც 1888 წელს დაიბეჭდა ლონდონში.

როგორც ირკვევა უილიამსი საქართველოს შესახებ გარდა უორდროპისა, სხვა ავტორების ნაშრომებითაც სარგებლობდა, ეცნობოდა მისთვის ხელმისაწვდომ ცნობარებს, ენციკლოპედიებს. მაგალითად, ინგლისური ენციკლოპედიის „ბრიტანიკა“ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის გამოცემაში საკმაოდ ვრცელი მასალაა საქართველოს შესახებ მოთავსებული. (The Encyclopedia Britannica, IX edition, vol. X. Edinburgh, 1879). თავად უილიამსი პირდაპირ მიუთითებს, რომ წაკითხული აქვს მასალები საქართველოს ისტორიის შესახებ, იცის თუ რამდენი შემოსევა, ომი, ბრძოლები აქვს გადატანილი ამ პატარა ქვეყანას და ქართველ ხალხს. "every pass and hill and highroad has for centuries been soaked in blood. Twenty times big armies have penetrated into this Valley of Wine, burning and plundering, robbing it of everything but its beauty. This warring past is reflected in the crumbling ruins of forts that crown the heights" (Williams 1928: 61).

უილიამსი საინტერესო დაკვირვებებს აკეთებს და აღნიშნავს, რომ ქვეყნის მღელვარე წარსული, სამშობლოს დაცვისათვის მუდმივი მზადყოფნა გარკვეულწილად თავს იჩენს ქართველების ჩაცმულობაშიც: "It shows itself in the dress of the peasants – across the breast runs a row of cartridge – pockets and from the belt hangs a silver kinjhal, or poniard". ქართული მისალმებაც – გამარჯობა, გაგიმარჯოს ბრძოლებით მდიდარ წარსულთანაა დაკავშირებული, რომელსაც ავტორი შემდეგნაირად თარგმნის: "Be victorious", "And may the victory be yours". (Williams 1928: 62).

ბუნებრიეია, ხანმოკლე მოგზაურობის პერიოდში უილიამსი ვერ შესძლებდა კახეთის სრულყოფილად გაცნობას, მოსახლეობის ცხოვრების ყველა სფეროს შესწავლას. თუმცა მან თავის ნარკვევებში საინტერესოდ გადმოსცა მხარის თავისებურებები, მოიკვლია ძველი ტრადიციები, გაეცნო ხალხის თანამედროვე ცხოვრებას, რიტუალებს, ადათ-წესებს.

უილიამსი ნაშრომში საინტერესოდ და ცოცხლად გადმოსცემს კახეთში თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, დიდი სიმპათიითა და სითბოთი აღწერს მზით განათებულ მხარეს, თავად კახელებს, რომლებმაც ჩვეული სტუმართმოყვარეობით მიიღეს, უმასპინძლეს და მოხიბლეს ამერიკელი ჟურნალისტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Williams, Albert Rhys. Through the Russian Revolution. 1926.
2. Williams, Albert Rhys. The Valley The Russian Land, New York, 1928.
3. Киреева, И. В. Альберт Рис Вильямс. Горький, 1973.

NATALIA ORLOVSKAYA
Tbilisi Ivane Javakhishvili State University, Professor

SUMMARY

AN AMERICAN JOURNALIST ABOUT KAKHETI

Albert Rhys Williams was in Petrograd in the autumn of 1917 and afterwards several times visited the Soviet Union. His book "The Russian Land" (1928) consists of essays describing his travels from the north to the south of the country he was interested in the life of the villages. That is why in the chapter concerning Georgia ("The Valley of Wine") he describes his impressions of Kakheti. He shows the changes that happened in the villages after the Revolution; but at the same time he writes about the historical past and the ancient traditions of the people.

ვახტანგ რჩეულიშვილი
პოლიტოლოგი, თბილისი

2008 წ. რუსულ-ქართული ომი რუსეთისა და აშშ-ს ცივილიზაციური დაპირისპირების შუქზე

ახლახან გარდაცვლილი დიდი ამერიკელი პოლიტოლოგის სემიუელ ჰანთინგთონის (Samuel Huntington) პოპულარულმა თეორიამ ცივილიზაციათა შეჯახების შესახებ (1) კაცობრიობის ისტორიასა და მსოფლიო პოლიტიკაში ცივილიზაციათა განსაკუთრებული როლი საყოველთაოდ აღიარებული გახადა. ღღეს ცივილიზაციური მიღგომა პოლიტიკური ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია. დასავლეთისა და ისლამური სამყაროს, ლათინური ამერიკისა და აშშ-ს, აშშ-სა და რუსეთის, ინღოეთისა და ჩინეთის დაპირისპირებება ხშირად განიხილება სწორედ ცივილიზაციათა შეჯახების კონტექსტში. ცხადია, ამ კუთხით იკვლევენ საქართველოს აღგილსაც თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში (2), მაგრამ ასეთი კვლევები უფრო შეეხება საქართველოს მოღერნიზაციისა და ევსტერნიზაციის პერსპექტივებს, ვიდრე იმ წინააღღეგობათა შესწავლას, რაც საქართველოს დასავლურ არჩევანს მოაქვს სამხედრო-პოლიტიკურ ასპექტში.

თუმცა რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების პაექრობა პოსტსაბჭოთა სივრცეზე, მათ შორის საქართველოზე გაელენისათვის, მკვლევართა ყურაღღების ცენტრშია, მაგრამ ამ დაპირისპირების ცივილიზაციური ანალიზი ნაკლებად ტარდება. ჩემი აზრით, ასეთი ანალიზისა და, კერძოდ, ჰანთინგთონის თეორიის პრაქტიკაში გამოყენება საერთოდ გართულებულია იმის გამო, რომ ლოკალურ ცივილიზაციათა განმარტება საკმაოდ ზოგადია, მათი წარმოქმნისა და ურთიერთობების მექანიზმები კი ბოლომდე არ არის დამუშავებული. მკვლევარები ვერ თანმხდებიან თავად ცივილიზაციათა რიცხვზეც. ისტორიის არსებობის მანძილზე ქ. ქიგლი (C.Quigli) მიუთითებს 16 ძირითად და 8 არაძირითად ცივილიზაციას, თოინბი (A.Toynbee) – 23-ს, შპენგლერი (Spengler) – 8-ს, ბროდელი (F.Braudel) – 9-ს, მელქო (M.Melko) – 12-ს, საიდანაც 7 ძველია (შუამდინარული, ეგვიპტური, კრეტის, კლასიკური, ბიზანტიური, ცენტრალურამერიკული და ანდების), ხოლო 5 არსებული (ჩინური, იაპონური, ინდოისტური, ისლამური, დასავლური). სემიუელ ჰანთინგთონი ამას 3 არსებულ ცივილიზაციასაც უმატებს: სლავურ მართლმადიდებლურს, ლათინო-ამერიკულს და აფრიკულს (3). ჰანთინგთონის უდავო დამსახურებაა, რომ მან რეალური პო-

ლიტიკის განზომილება შესძინა ცივილიზაციურ თეორიას და ცივილიზაციათა დაპირისპირების გარდაუვალობა წარმოაჩინა. თორემ ცივილიზაციური ანალიზის ერთ-ერთი ფუძემდებელი არნოლდ თოინბი მიიჩნევდა, რომ საბოლოოდ მსოფლიო აუცილებლად უნდა გაერთიანდეს ერთი ცივილიზაციისა და ერთი რელიგიის ქვეშ, რაც აშკარა უტოპიაა (4.) მეტიც, ეს იგივეა, რომ დემოკრატიული ქვეყნის შიგნით ყველა პოლიტიკური პარტიის გაერთიანება მოვითხოვოთ. ანუ, მკვლევარებს მხედველობიდან რჩებათ, რომ კაცობრიობის ცივილიზაციებად დაყოფა ისეთივე ბუნებრივი პროცესია, როგორც შიდა პოლიტიკური სპექტრისა – პარტიებად. ჰანთინგთონი რეალურად ხედავს თოინბის ერთცივილიზაციური მიდგომის უტოპიურობას, ხსნის ცივილიზაციათა დაპირისპირებას როგორც გარდაუვალ პოლიტიკურ ფენომენს, სამართლიანად მიიჩნევს, რომ ცივილიზაციები თანაცხოვრებას უნდა შეეგუონ, მაგრამ, ჩემი აზრით, არც მას აქვს ბოლომდე ახსნილი ცივილიზაციათა დაპირისპირების მექანიზმი და ამ პროცესის ისტორიული დანიშნულება. კერძოდ, ცივილიზიალოგიაში ნაკლებადაა შესწავლილი კაცობრიობის ბუნებრივი განვითარების კანონზომიერებები და კონკურენციის გადამწყვეტი როლი არა მარტო ეკონომიკის, არამედ ზოგადად კაცობრიობის ისტორიაში. ცივილიზაციათა მრავალფეროვნება და, შესაბამისად, მათ შორის განსხვავება ეს არა კაცობრიობის განვითარების ხელისშემშლელი, არამედ პირიქით, მისი განვითარების განმპირობებელი და აუცილებელი ფაქტორია. ამავე დროს თოინბის ერთცივილიზაციური მიდგომის უტოპიურობა ვერ დაჩრდილავს ამ დიდი მეცნიერისა და მკვლევარის ნაშრომების ეპოქალურ მნიშვნელობას: სწორედ მან შემოიღო მრავალციველიზაციური მიდგომა ცივილიზაციოლოგიაში, აღნიშნა რელიგიის განსაკუთრებული როლი ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში და ცივლიზაციის განვითარების აუცილებელ ფაქტორად წარმოაჩინა ისტორიული გამოწვევა. სულ ერთია, რა ხასიათისაა ეს გამოწვევა: ბუნებრივი კატასტროფა თუ ინტერვენცია – მასზე ადეკვატური პასუხის გაცემის შემთხვევაში ცივილიზაცია გადარჩება და განვითარდება. გამოწვევებისა და პრობლემების გარეშე არსებობა კი დამღუპველია ცივილიზაციისათვის (5). ეს თეზა სავსებით სამართლიანია არა მარტო ცივილიზაციების, არამედ სახელმწიფოებისათვისაც, ანუ ჩვენ შემთხვევაში, საქართველოსათვის. სწორედ ისტორიულ გამოწვევებზე ძირითადად სწორი პასუხების გაცემამ მოიყვანა ის დღემდე: ათასობით წარსულში არსებული სახელმწიფოდან დღეს გაეროს წევრი, ანუ სუვერენული ქვეყანა მსოლოდ ორასამდეა, რაც ამ სახელმწიფოების თვითმყოფადობასა და თვითსაკმარობაზე მეტყველებს. მე-15 საუკუნის ბოლოსათვის ევროპაში არსებული 500 სახელმწიფოდან მეოცე საუკუნის ბოლოს დარჩა მხოლოდ 28 გამსხვილებული სასელმწიფო (6),

რაც როგორც არსებობისათვის ბრძოლაში სახელმწიფოთა გამსხვილების ტენდენციაზე, ასევე მათ შორის არსებულ ბუნებრივი გადარჩევის საკმაოდ მკაცრ მექანიზმზე მიგვითითებს.

რაც შეეხება საქართველოს ან ნებისმიერი სხვა ქვეყნის ცივილიზაციურ მიკუთვნებას, ჰანთინგთონის აზრით, ეს თავად ერმა უნდა გადაწყვიტოს, ვინაიდან თავად ხალხი განსაზღვრავს, რომელ ცივილიზაციას ეკუთვნის. უნდა ითქვას, რომ ასეთი მიდგომა საესებით შეესაბამება მრავალპოლუსიანი სამყაროს კონცეფციას და გულისხმობს ერთპოლუსიანობაზე ამერიკული მონოპოლიის თეორიულ უარყოფას. მეტიც, დასაელური ცივილიზაციის მიერ შექმნილი დემოკრატიული სასელმწიფოს მოდელი ამ თვალთახედვით არა ერთადერთი, არამედ მხოლოდ განვითარების ერთ-ერთი ალტერნატიული მოდელია, რაც საკმაოდ ასუსტებს დემოკრატიის იძულებითი გავრცელების ამერიკულ კონცეფციას. კერძოდ, ჰანთინგთონის მიდგომა ეწინააღმდეგება ფუკიამას და სხვა ცნობილი პოლიტოლოგების იდეას დასავლური დემოკრატიის წარმოჩენისა კაცობრიობის განვითარების უკანასკნელ და უმაღლეს საფეხურად (7). ეტყობა ამიტომაც არ წყალობდა ჰანათიგნთონს ბზიგნევ ბზეჟინსკი. თუკი ერები თვითონ განსაზღვრავენ, რომელ ცივილიზაციას ეკუთვნიან, ცხადია, რომ ყველა მათგანი როდი აირჩევს დასავლურს. მითუმეტეს, რომ არსებობენ გახლეჩილი ერები, რომელთა ნაწილები სხვადასხვა ცივილიზაციას მიაკუთვნებენ თავს. ჰანთინგთონის აზრით, რუსეთიც ასეთივე გახლეჩილი ერია და გარდამტეხი საბი ჩრდილო კავკასიაზე და ვოლგისპირეთზე გადის, ანუ ქრისტიანული და მუსლიმური ცივილიზაციების გამყოფ ხაზზე. ჰანთინგთონის აზრით, ისეთი ქვეყნები, რომელთა ტერიტორიაზე ცივილიზაციათაშორისი გამყოფი ხაზები გადის, განწირულია დამლისათვის (8). ასეთ პირობებში მხოლოდ სიძულვილით თავაბნეული ხელისუფლება დაუწყებდა ომს ქრისტიანულ საქართველოს, მაგრამ ვინაიდან საქართველომ დასაელური კურსი აირჩია, ის რუსეთის უსასტიკესი მტერი გახდა, ვინაიდან მოსკოვის რუსეთი ქრისტიანულ დასაელეთს არა მარტო ისლამურ ცივილიზაციას, არამედ კერპთაყვანისმცემელ მონღოლებსაც კი ამჯობინებდა.

ერთი სიტყვით, კავკასიის ქვეყნების, მათ შორის რუსეთის და საქართველოს მომავალი ურთიერთობების საპროგნოზოდ ნამდვილად გამოგვადგება ცივილიზაციური ანალიზის მეთოდებიც. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამწუხაროდ ეს კრიტერიუმები არასკმარისადაა დამუშავებული. ჩემი აზრით, ცივილიზაციალოგიაში ნაკლებადაა შესწავლილი ადამიანური რესურსის, ადამიანური კაპიტალის რაოდენობრივი მახასიათებლების მნიშვნელობა. განსხვავებით ხარისხობრივი მაჩვენებლებისა, რომელსაც დიდ ყურადღებას უთმობდა თოინბიც და ლევ გუმილევიც (9). ბოლომდე გაურ-

კვეველია ციეილიზაციის სტრუქტურირებისა და ლეგალური ფორმალიზების სახეები და ზოგიერთი სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა მსჯელობაში მიღება აუცილებელია ციეილიზაციის თეიდმყოფადობისა და თეითსაკმარისობის კრიტერიუმების შესამუშაებლად. სწორედ ამის გამო თაეად თანამედროვე ციეილიზაციების რაოდენობაც კი არაკორექტულად არის დადგენილი. მაგალითად ბევრი მკვლევარი დამოუკიდებელ ლოკალურ ციეილიზაციებად მიიჩნევს რუსეთის (მართლმადიდებლურ) და იაპონიის ციეილიზაციებს, მაშინ როდესაც ამ კულტურებს თაეისი უნიკალურობისა და სიმდიდრის მიუსედაეად, აღარ გააჩნიათ დამოუკიდებელი ციეილიზაციების შექმნისათეის აუცილებელი ადამიანური რესურსი. ერთი შეხედეით ეს მხოლოდ თეორიული საკითხია, მაგრამ თუ გაეითეალისწინებთ, რომ თანამედროვე რუსეთის პოლიტიკური ამბიციები ემყარება სწორედ მის პრეტენზიებს იყოს დამოუკიდებელი ევრაზიული ციეილიზაცია, სოლო მეორე მსოფლიო ომის დროისდელი იაპონური მილიტარიზმის ფესვები სწორედ ამ კულტურის უნიკალურობაში და რეგიონული ზესახელმწიფოს შექმნის იდეაში უნდა ვეძებოთ, ცხადი გასდება, რომ ამგვარი დაუსაბუთებელი ამბიციები რუსეთის კონკრეტული აგრესიული პოლიტიკის გამო დიდი უბედურების მომტანია როგორც მისი მეზობლებისათეის, ასევე თაეად რუსეთისათეისაც. ამიტომ ჩვენი ნაშრომის მიზანია განეიხილოთ კაეკასიაში და კერძოდ საქართველოში რუსულ-ამერიკული ციეილიზაციური დაპირისპირების სამხედრო-პოლიტიკური ასპექტები, მათ შორის 2008 წლის რუსულ-ქართული ომი და ამ კუთხით – კოსფლიქტის მოგვარების პერსპექტიეები.

თაეად ტერმინი ციეილიზაცია ამ კონტექსტში განსაკუთრებულ განმარტებებს მოითხოეს. ზოგადად, ციეილიზაცია, ეს ბარბაროსობის შემდგომი საზოგადოებრიეი განეითარების სტადიაა. ამიტომ ციეილიზაცია მსოლობით რიცხეში ნიშნაეს პროგრესულ, განათლებულ, სამართლიან საზოგადოებას.

ანუ ციეილიზაცია სტადიური გაგებით (ველურობა, ბარბაროსობა და უმაღლესი სტადია – თაეად ციეილიზაცია, რომელიც ხასიათდება სახელმწიფო ინსტიტუტების განეითარებით) მატერიალური და სულიერი ფასეულობების გარკეეული ერთობაა, რომელიც გამოხატაეს არსებული საზოგადოებისა და ადამიანის ისტორიული განეითარების გარკეეულ დონეს. ჩეენ შემთხეეეაში გეაინტერესებს ციეილიზაციის ის ლოკალური განმარტება, რომელიც გამოიყენება მრავლობით რიცხეში და კაცობრიობის ეთნიკურ და კულტურულ მრავალფეროვნებას ასახავს. ანუ ესაა როგორც ისტორიული, ასევე თანამედროვე უდიდესი ეროვნული და ზეეროვნული ერთობები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვაედებიან ერთმანეთისაგან პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური, კულტურული, ფასეულებრიეი მახასი-

ათებლებით (10). ჩვენ თვითსაკმარ და თვიდმყოფად ცივილიზაციას განვიმარტავდით როგორც მრავალეთნიკურ და მრავალსასელმწიფოებრივ უდიდეს ერთობას (განსაკუთრებულ შემთხვევაში ის შეიძლება ჩამოყალიბდეს ერთ ერად და ერთ სასელმწიფოდ, როგორც აშშ, საითკენაც ისწრაფოლა საბჭოთა კავშირი და ისწრაფვის ღღესაც ჩინეთი), რომელსაც თავის მიაკუთვნებს კაცობრიობის მნიშვნელოვანი ნაწილი და რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საერთაშორისო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას, აქვს საზოგაოების სამართლიანი მოწყობისა და უფასეულობების განსხვავებული სისტემა, რომელსაც ის სთავაზობს მსოფლიოს როგორც კაცობრიობის განვითარების ალტერნატიულს (ან მისი საკუთარი აზრით უალტერნატივოს). თითოეული ასეთი ცივილიზაცია კაცობრიობის განსაკუთრებული პროექტია, რომელიც მოიცავს ადამიანის არსებობის ყველა ძირითად სფეროს, თვითსაკმარი და თვიდმყოფადია, გარკვეულ პირობებში შეუძლია იქცეს კაცობრიობის განვითარების ძირითად პროექტად, როგორიც დღეს დასავლეთის ცივილიზაცია არის და როგორიც იყო სოციალისტური ბანაკი. როგორც წესი, ცივილიზაციის სტრუქტურიზება ხდება კონკრეტული რელიგიის ან პოლიტიკური იდეოლოგიის მეშვეობით, ხოლო მისი იურიდიული ფორმალიზება – რომელიმე ზესახელმწიფოს ან იმპერიისა, ან სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების სახით. თავად ჰანთინგთონის განმარტებით „ცივილიზაცია ეს უფართოესი კულტურული ერთობაა, ...ის წარმოადგენს ადამიანთა ყველაზე ფართო კულტურულ დაჯგუფებას და მათი კულტურული თვითიდენტიფიკაციის ყველაზე ფართო წრეს – იმის გამოკლებით, რაც საერთოდ ანსხვავებს ადამიანს სხვა ცოცხალი არსებებისაგან". ცივილიზაციას განსაზღვრავენ ისეთი საერთო ობიექტური ელემენტები როგორიცაა ენა, ისტორია, რელიგია, ტრადიციები, ინსტიტუტები და ადამიანთა სუბიექტური თვითიდენტიფიკაცია... ცივილიზაცია – ეს ყველაზე დიდი „ჩვენ" არის, სადაც ადამიანი კულტურასთან მიმართებაში თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში და ამავდროულად ის არის, რაც გვანცალკევებს ყველა „მათ"-გან, ვინც ამის მიღმაა (11).

ვინაიდან, როგორც წესი, ცივილიზაციები ფორმალიზებული არიან იმპერიებისა (ზესახელმწიფოების) ან სახელმწიფოთაშორისი გაერთიანებების სახით, და საერთოდ, განმარტებიდან გამომდინარე, ცივილიზაციები ხასიათდებიან სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებით, ცივილიზაციების ურთიერთქმედებას მნიშვნელოვანწილად ამ ცივილიზაციების ცენტრულ სახელმწიფოთა ურთიერთობები და შესაბამისად მათი სახელმწიფო ინტერესები განსაზღვრავენ. ქართველები აღღანეთში ომობდნენ ჯერ ირანის, შემდეგ რუსეთისა და შემდეგ ამერიკული (საერთაშორისო ძალების) ჯარების შე-

მადგუნლობაში იმისდა მიხედვით, რომელ იმპერიაში შეიძოღნეს და რომელ ცივილიზაციას მიაკუთვნებდნენ თავს. როგორც ვხედავთ, იდეოლოგიურ ბრძოლებიან შეღარებით სახელმწიფოთაშორისი კონკურენტული ბრძოლა არსებობისა და თვითგადარჩენისათვის ძირძველი ისტორიული კანონზომიერებებით ეითარდება. ისტორიას ისევ დიდი იმპერიები და ცივილიზაციები და არა პატარა სახელმწიფოები აკეთებენ.

ფაშისტური და საბჭოთა ტოტალიტარული იმპერიების დაშლის მიუხედავად საერთაშორისო პოლიტიკა დიდად არ შეცვლილა, რაც ალასკურებს სახელმწიფო ინტერესების პრიორიტეტს იდეოლოგიურ მოსაზრებებთან შეღარებით. საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ბანაკი თითქმის ოცი წელია აღარ არსებობს, მაგრამ ღაპირისპირება რუსეთსა და აშშ-ს შორის დღესაც „ცივ ომს“ მოგვაგონებს. მეორეს მხრივ, დემოკრატიული გერმანია დღესაც ისეთივე წარმატებით თანამშრომლობს პუტინის ავტორიტარულ რუსეთთან (კერძოდ, სსვა სახელმწიფოების ბედის განსაბღერისას თავად ამ სახელმწიფოთა ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ), როგორც ამას ფაშისტური გერმანია და საბჭოთა კავშირი აკეთებდნენ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე. საფრანგეთიც ისევე ღამთმობია პუტინის რეჟიმისადმი, როგორც დელაღიეს პრემიერ-მინისტრობისას ჰიტლერის რეჟიმისადმი. მოლოტოვ-რიბენტროპის აქტი, ჰიტლერისათვის ჩესეთის ღათმობა თავისი შედეგებით ძალიან წააგავს რუსეთის მოთხოვნით საქართველოსა და უკრაინისათვის ნატოში გაწევრიანების გაურკვეველი დროით გაღავაღებას. მეორე მსოფლიო ომის წინ ამას მოპყვა გათავისუფლებული ჰიტლერის მიერ ჩესეთის ოკუპაცია, 2008 წლის აგვისტოში კი პუტინის მიერ საქართველოს ოკუპაცია. როგორც ჩანს, სახელმწიფო იდეოლოგიას მიანც მეორაღი მნიშვნელობა აქვს ქვეყნების საკუთარი ეროვნული ინტერესებთან შეღარებით და მეორე მსოფლიო ომის რეალური მიზეზები არა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, სოლო დიდი „ცივი ომისა“ – კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში უნდა ვეძებოთ, არამედ დიდი იმპერიებისა და ცივილიზაციების ამბიციებში. არც აშშ-სა და რუსეთის ღაპირისპირებაა მხოლოდ დემოკრატიისა და ავტორიტარიზმის ანტაგონიზმის შედეგი (მითუმეტეს, რომ ეს ანტაგონიზმი არც ისეთი ძლიერია და ეს ორი წყობა, უფრო სწორად ქვეყნები, სადაც ისინი გაბატონებულია, ხშირად მშვენიერად თანამშრომლობენ ერთმანეთთან).

ამიტომ დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობის ანალიზისას ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ცივილიზაციური ანალიზი და შესაბამისად კარგად გავაანალიზოთ ძველი კონფლიქტები რუსეთსა და დასავლეთს შორის. ბევრი იშდროინდელი რეცეპტი დღესაც შეიძლება წარმატებული აღმოჩნდეს. რაც უნდა იძახონ აშშ-მ და რუსეთმა „ცივი ომი“ აღარ გვაქვსო, მათი

ინტერესების დაპირისპირების ზონაში, მათ შორის საქართველოშიც ეს „ცივი ომი“ არასოდეს შეწყვეტილა და „ცხელ ომშიც“ კი გადაიზარდა, სოლო სამყარო აქ ისევ ორპოლუსიანი დარჩა: რუსულ-ამერიკული.

ოფიციალურად დიდი „ცივი ომი“ დაიწყო 1947წ. ამერიკულ ქალაქ ფულტონში ინგლისის ყოფილი პრემიერის უინსტონ ჩერჩილის გამოსვლით, მაგრამ პრაქტიკულად მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ის არც ერთი დღით არ შეწყვეტილა. მიზეზი საკმაოდ მარტივია: ამერიკელების მიერ ბირთვული იარაღის შექმნის მიუხედავად სტალინმა შეძლო მძლავრი სოციალისტური ბანაკის შექმნა, პრაქტიკულად კი ჩინეთიდან გარმანიამდე გადაჭიმული რუსეთის იმპერიის აღორძინება მანამდე არნახულ მასშტაბში, რომელსაც ისტორიულად მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელის, ჩინგიზ ყაენის, ნაპოლეონის იმპერიები თუ შეედრებოდა. ცხადია, ბრიტანეთის იმპერია (სისამღვილეში უკვე დასაღეთის სამყარო აშშ-ს ლიდერობით) ამას ვერ შეეგუებოდა. ამიტომაც იყო დასახული „ცივი ომის“ სტრატეგიულ ამოცანად საბჭოთა კაბშირის, ანუ რუსეთის იმპერიის (საბჭოთა კავშირს ყველა პირდაპირ რუსეთს ეძახდა) ექსპანსიის, ანუ შემდგომი გაფართოების შეჩერება.

1947 წ. ჟურნალ „ფორინ აფეარს“-ში გამოქვეყნდა ცნობილი ამერიკელი დიპლომატის, საბჭოთა კავშირში ყოფილ. ელჩის ჯორჯ კენანის პროგრამული სტატია, სადაც ავტორი საბჭოთა კავშირს აშშ-ს მოწინააღმდეგედ და არა პარტნიორად სახავდა და მოითხოვდა მასთან დამოკიდებულების გადასინჯვას. „სსრკ-სთან მიმართებაში აშშ-ს ნებისმიერი პოლიტიკის მთავარ ელმენტად უნდა იყოს სანგრძლივი, დინჯი, მაგრამ მყარი და ფხიზელი შეკავება რუსეთის ექსპანსიონისტური ტენდენციებისა“ – წერდა კენანი. აშშ-ს ბირთვული მონოპოლიიის პირობებში „შეკავების კონცეფცია“ და მისი მოქმედების მექანიზმები პოლიტიკურად გამოიხატა 1947წ. გამოქვეყნებული „ტრუმენის დოქტრინით“, ეკონომიკურად – იმავე წელს შემუშავებული „მარშალის გეგმით“, ხოლო სამხედრო თვალსაზრისით – 1949 წელს ნატოს ბლოკების შექმნით (12).

საბჭოთა კავშირის მიერ ბირთვული იარაღის გამოცდის და მსოფლიო სოციალისტური სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ ცხადი გახდა „შეკავების“ კონცეფციის წარუმატებლობა და შემუშავდა ახალი, “განთავისუფლების” კონცეფცია, რომელიც გულისხმობდა კომუნისტური რეჟიმების მიერ დამონებული ხალხების განთავისუფლებას. ახალი კონცეფცია თავისი საარჩევნო კამპანიის დროს გააკრიტიკა აშშ-ს მომავალმა პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა. თავისი ინაგურაციის შემდეგ ახალმა პრეზიდენტმა 1953 წლის 20 თებერვალს კონგრესს გაუგზავნა წერილი „ჩაგრულ ხალხებთან სოლიდარობის შესახებ“, რომელსაც კონგრესმა იმავე წლის 26 თებერვალს ოფი-

ციალური რეზოლუციის იურიდიული ძალა შესძინა. „დამონებული ქვეყნების მშვიდობიანი განთავისუფლება იყო, არის და იქნება აშშ-ს ერთ-ერთი ძირითადი მიზანი მანამადე, სანამ ამას არ მიეაღწევთ“ – განაცხადა პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა 1955 წ. თავის საშობაო მიმართვაში. საინტერესოა, რომ თითქმის ყველა ქვეყნის ახალი პრეზიდენტი, (ალბათ მსოლოდ პუტინისა და მედვედევის გამოკლებით), აშშ იქნება ეს თუ საქართველო, არ წყალობს თავისი წინამორბედების კონცეფციებს: როგორც ეიზენჰაუერმა გამოაცხადა ტრუმენის „შეკავების“ პოლიტიკის კრახი, ასევე კენედიმ თავის მხრივ ეიზენჰაუერის „განთავისუფლების“ კონცეფციის შედეგებიც მარცხად შეაფასა. თუმცა ყველა ამ პოლიტიკურმა კონცეფციამ საბოლოოდ თავისი როლი შეასრულა სოციალიზმის სისტემის დანგრევაში. ისევე, როგორც საქართველოს ყველა პრეზიდენტს აქვს გარკვეული წვლილი შეტანილი საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევაში.

„განთავისუფლების“ კონცეფციის განსორციელებას თითქმის 40 წელი დასჭირდა. პრაქტიკულად, ეს მსოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად გახდა შესაძლებელი, თუმცა მანამდეც, ნაბიჯ-ნაბიჯ სოციალისტური სისტემა უკვე იშლებოდა: ჩინეთი და იუგოსლავია დაუპირისპირდნენ საბჭოთა კავშირს, გორბაჩოვის პერიოდში სოციალისტური სისტემა მთლიანად დაიშალა, ელცინის დროს კი დასავლეთ ევროპის ქვეყნები სატოში გაწევრიანდნენ. სოციალისტური და კომუნისტური იდეოლოგიები უძლურნი აღმოჩნდნენ სალხების ცივილიზაციური არჩევანის წინაშე. აღმოჩნდა, რომ სოციალისტური ჩინეთი ისეთივე გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგე და კონკურენტია სოციალისტური რუსეთისა, როგორც რეფორმისტული ჩინეთი და ფსევდოდემოკრატიული რუსეთის. ანუ რუსეთის იმპერიისა და ჩინეთის იმპერიის ერთ ცივილიზაციაში, თუნდაც სოციალისტურში გაერთიანება შესაძლებელი იყო მსოლოდ ერთის მიერ მეორეს ჩაყლაპვით, ვინაიდან ორივე მათგანს ცივილიზაციაშემქმნელი ამბიციები აქვთ და ერთ ცივილიზაციაში ვერ გაერთიანდებოდნენ.

„განთავისუფლების“ დოქტრინის მომხრეები გამოდიოდნენ იქიდან, რომ „კომუნიზმი უნდა უკუაგდოთ 1939 წლის საზღვრების მიღმა“, რომ დამონებული ხალხები უნდა გაენთავისუფლებინათ „სამხედრო, ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ, დიპლომატიურ და სხვა მნიშვნელოვან სფეროებში ყველა დასაშვები მეთოდების გამოყენებით“. ჯოზეფ კენანის თქმით საბჭოთა წყობის დასამხობად აუცილებელი სტიმულები უნდა გამოდიოდეს თავად ამერიკელებისაგან და არა საბჭოთა სისტემის შიგნიდან.

სამწუხაროდ არც „განთავისუფლების“ კონცეფცია აღმოჩნდა სასწაულის მომხდენი და ამერიკული მსარდაჭერით შეგულიანებული რევოლუციონერები აღმოსაელეთ ევროპაში საბჭოთა ჯარების პირისპირ არმოჩ-

ნდნენ: აშშ-მ მათ რეალური სამხედრო დახმარება ვერ აღმოუჩინა. მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა აღმოსავლეთ ევროპის რეალური განთავისუფლება. მანამდე კი კენედიმ ეიზენჰაუერის „განთავისუფლების დოქტრინა“ შეცვალა საბჭოთა კავშირთან რადიოეთერში გაჩაღებული საინფორმაციო ომით, რასაც „ინფორმაციის თავისუფალი ნაკადი“-ს დოქტრინა ქადაგებდა. საბოლოო ჯამში „ცივი ომი“ საბჭოთა კავშირის დაშლით დასრულდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დასრულდა დაპირისპირება რუსეთსა და დასავლეთს შორის. „ცივი ომის“ ანალიზი იმიტომ გვჭირდება, რომ ის დღესაც გრძელდება და სწრაფ გამარჯვებებს არც დღეს უნდა ველოდოთ. არც დასავლეთის აქტიურ სამხედრო ჩარევას უნდა მოველოდეთ საქართველოს დასაცავად. რაც იმას სულაც არ ნიშნავს, რომ დასავლეთმა „დაგვთმო“. ის უბრალოდ თავის ჩვეულ სტილში მოქმედებს: საბოლოო გამარჯვებაში დარწმუნებული, თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად აგრძელებს თავის პოლიტიკას რუსეთთან მიმართებაში. ამის დასტურია თუნდაც აშშ-ს ახალი ვიცე-პრეზიდენტის ჯო ბაიდენის გამოსვლა მიუნხენში ჩატარებულ უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, სადაც მან ახლადარჩეული პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკური პრინციპები გააჟღერა, მათ შორის რუსეთთან და საქართველოსთან მიმართებაში. აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ აშშ არ შეურიგდება საქართველოს სუვერენიტეტის შელახვას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების გზით და რაც მთავარია, რუსეთის გავლენის სფეროს დამკვიდრებას მისი საზღვრების გასწვრივ. პრაქტიკულად ეს შეიძლება აღვიქვათ როგორც „განთავისუფლების“ დოქტრინის ერთგვარი გაგრძელება, ამჯერად რუსეთისა და არა საბჭოთა კავშირისაგან. ცხადია, საქართველოს მხრიდან ამას არ უნდა მოჰყვეს გადაჭარბებული მოლოდინები, როგორც ეს უკვე თავის დროზე დაემართათ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს. გავიხსენოთ, რომ ათწლეულები დასჭირდა რუსეთს, რომ საქართველო ირანის გავლენის სფეროდან დაეხსნა და მიეერთებინა. 1783 წ. გიორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის შემდეგ 12 წელიწადში აღა-მაჰმად ხანმა თბილისი ააოხრა, ხოლო საქართველოზე თავდასხმის საბაბით რუსეთმა ომი სპარსეთს უკვე მეცხრამეტე საუკუნეში გამოუცხადა. იმპერიის შემადგენლობიდან გამოსვლის სურვილისათვის და ახალი ცივილიზაციური არჩევანის გაკეთებისათვის რუსეთმა ისევე დაგვსაჯა ცხინვალსა და აფხაზეთში, როგორც ირანმა-თბილისში. მხოლოდ სხვა დიდი იმპერიის დახმარებით შეიძლება პატარა სახელმწიფომ თავი დაიძერინოს რომელიმე იმპერიისაგან და დღესაც აშშ-ს გარეშე ჩვენ სამუდამოდ რუსეთის გავლენის ქვეშ დავრჩებოდით. ამიტომაცაა ფუჭი დროის ხარჯვა საქართველოს ნეიტრალიტეტზე საუბარი: ეს შესაძლებელი იქნება

მსოლოდ აშშ-სა და რუსეთის შეთანხმების შეღწევად და არა საქართველოს ნება-სურვილით. ილიას სიტყვები „ჩვენი თაყი ჩვენვე გვეყუღნოღესო“ არ ნიშნავს, რომ ცივილიზაციური არჩევანის მიღმა უნდა დაერჩეთ და ერების რომელიმე დიდ ოჯახს, ანუ ცივილიზაციას არ შეუერთიღეთ.

დასასრულს, ცივილიზაციური არჩევანის გაკეთებისას უნდა გაეითვალისწინოთ ცივილიზაციის თვითმყოფადობისა და თვითსაკმარობისათვის ადამიანური რესურსის, ადამიანური კაპიტალის მნიშვნელობა. არც ერთი მსოფლიო იმპერია და შესაბამისი დამოუკიდებელი ცივილიზაცია არ შექმნილა უზარმაზარი ტერიტორიებისა და ადამიანური რესურსის გაერთიანების გარეშე. ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის რომი და ჩინეთი, იმ დროის ყველაზე დიდი იმპერიები, თითოეული აერთიანებდა მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით მესამედს. ბიზანტიის იმპერია – 15%, ბრიტანეთის იმპერია – 25%, მეფის რუსეთი – 10%-მდე. თანამედროვე ცივილიზაციებიდან დასავლური აერთიანებს დაახლოებით 900 მილიონ ადამიანს, ანუ მსიფლიო მოსახლეობის 14%, ისლოეთი – 1.1 მლრდ. – 17%, ჩინეთი 1.3 მლრდ. – 19%. მუსლიმების რაოდენობა დაახლოებით ამდენიეა, 1.3 მლრდ. მაგრამ ისინი არ არიან გაერთიანებული ერთ იმპერიაში ან სახელმწიოთაშორის სტრუქტურაში, ანუ ცივილიზაცია ფორმალიზებული არ არის. ერთი სიტყვით, თვიდმყოფადი და თვითსაკმარისი ცივილიზაციისა და შესაბამისი სახელმწიფო ან სახელმწიფოთაშორისი სტრუქტურის შექმნას მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 10% ესაჭიროება. ცხადია, ეს ციფრი დაახლოებითია, მაგრამ ტენდენციას სწორად ასახავს. ამიტომაც რუსეთის ან იაპონიის ამბიციები დამოუკიდებელ ცივილიზაციაზე დაუსაბუთებელია, ვინაიდან დღეისათვის თითოეული მათგანი მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 2% შეადგენს (141 მლნ. რუსეთის, ხოლო 125 მლნ. იაპონიის მოსახლეობა). აქედან გამომდინარე თავად რუსეთს გადაწყვეტი აქვს რომელ მსოფლიო ცივილიზაციას შეუერთდეს – დასავლურს თუ ჩინურს, ან დარჩეს მიუმსრობელ რეგიონალურ ზესახელმწიფოდ და ასეთ პირობებში მასზე ცივილიზაციური ორიენტაციის აღება არ მიმაჩნია სწორად. მითუმეტეს, რომ სხვა მართლმადიდებლურმა ქვეყნებმა: საბერძნეთმა, რუმინეთმა, ბულგარეთმა, უკრაინამ, ფინეთმა და ა.შ. უკვე გააკეთეს თავისი არჩევანი დასავლეთის სასარგებლოდ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სემიუელ ჰანთინგთონის თეორია ჯერ 1993 წ. გამოქვეყნდა ჟურნალ „ფორინ აფერზში“ ორი სტატიის სახით: a. Huntington, S. The Clash of Civilizations? Foreign Affairs 72 (Summer 1993), 22-48.; b. Huntington, S. If not Civilizations, What? Paradigms of the Post-Cold War World. Foreign Affairs 72

(November/December 1993), 41-45.; ხოლო 1996 წ. – წიგნად: "The Clash of civilization and Remakaing of World Order". N.Y. 1996.

2. გვანცა აბდალაძე „სემიოულ ჰანთინგტონის თეორია თანამედროვე გეოპოლიტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ადგილის განსაზღვრისათვის" ქართული დიპლომატიის წელიწდეული N:8, გვ. 266-273, რთან მეგრელიძის რედაქციით, თბილისი 2001.
3. იქვე, გვ. 268.
4. Культурология, 3.1.2. Цивилизациология А. Тойнби http://matsysdvgu.narod.ru/mod3.html
5. A.Toynbee. Civilization on Trial. N.Y. Oxsford University of press. 1948. p 34.
6. Tilly 1990, pp. 42-43), *Tilly, Charles. 1990. Coercion, Capital, and European States. Oxford: Blackwell.* Цитируется по статье *Ричард Нахман.* Неверное представление о государстве, или как элиты присваивают доходы и почему происходят фискальные кризисы? http://journal.prognosis.ru/a/2004/09/10/21.html
7. Fukuyama, F. The End of History? *The National Interest* 16 (Summer 1989). 3-13.
8. Культурология, 3.1.3. С.Хантингтон: «Столкновение цивилизаций» http://matsysdvgu.narod.ru/mod3.html
9. Гумилев Л.Н. Этногенез и биосфера Земли. - Л.: *Гидрометеоиздат*, 1990. - 528с.
10. Электронная энциклопедия Vikipedia. Ст.Цивилизация.
11. Михаил Сухарев. ДВИЖЕНИЕ ЦИВИЛИЗАЦИЙ: РОССИЯ И ЗАПАД http://worldcrisis.ru/crisis/89356)
12. Янош Берец. Крах операции «Фокус». Контрреволюция пером и оружием. Май 1986г. Будапешт http://historybook.ru/1_book431_page1.html; глава ДОКТРИНЫ «СДЕРЖИВАНИЯ» И «ОСВОБОЖДЕНИЯ», ФОРМЫ И МЕТОДЫ «ХОЛОДНОЙ ВОЙНЫ» 1947-1954 гг. http://historybook.ru/1_book431_page2.html
13. The American vice president starts to outline Barack Obama's new foreign policy in Munich By Ernst Hebeker Biden: "A New Era of Cooperation" http://www.securityconference.de/konferenzen/2009/biden.php?sprache=en&
14. მონაცემები ქვეყნებსა და მოსახლეობაზე მოყვანილია ელექტრონული ენციკლოპედია Wikipedia -დან, მაგალითად სტატია «Российская империя», ასევე ცხრილებიდან List of countries by population თითოეული ქვეყნისათვის კონკრეტული წყაროს მითითებით.

VAKHTANG RCHEULISHVILI
Political Scientist, Tbilisi

SUMMARY

ON THE ISSUE OF GEORGIAN-RUSSIAN WAR OF 2008 IN THE LIGHT OF THE CIVILIZATION STRUGGLE BETWEEN RUSSIA AND USA

Theory of the Samuel Hantington about clash of civilization gives us possibility to analyse Georgian-Russian and Russian-American relations in light of civilizational conflict between Russia and USA. In the opinion of author, famous Georgian political exspert, the criteria of self sufficiency of the civilization is not yet enough designed. So, some of the scientist considers Russia as independent civilization, but some of them refer it to undercivilizations. It is not only theoretical question, since Russia aspires to the role of the integrational civilization and tries unites her neighbours with power, against their will. This is persisting reason of Russia-Georgian war of 2008.

In the opinion of author for creating of the independent civilization it's necessary an enormous human resource, aproximately 10% of the world population. Only at least 500 and more million people is enough and necessary to form an independent, nation gathering civilization. Out of separate countries only China and India possess such assets. Naturally these figures are approximate; they change together with the increase of the number of population of the planet, but percentagewise they sufficiently accurately reflect history of civilizations. In Roman Empire and in China at the beginning of modern era there lived 50 mil people that made about 25-30% of the planet's population. During its flourish Bisantium unified 34 mil people, about 15.5% of the population of the planet. On the eve of the WWI England had colonies of 33, 5 mil sq. km and the population of 393, 5 mil. Or about 25% of the population of the world. Russian Empire about the same time counted 181, 5 mil people on the territory of 22 mil.sq.km, thus united more than 11% of the population of the planet. Modern self sustainable world civilizations unite 14% (Western civilization), 17% (India), and 20% (China) of the population of the planet. The Moslem make more than 1,2 billion, about 20% of the world's population, but they are not structurised, except for the League of Arabic States, uniting only one part of Moslem States. Total population of Latin America exceeds 500mil people, that is about 8% of the population of the planet but final formation of common Latin American civilization is not complete yet. Population of Russia is 141 mil people or only 2.2% of the total population of the world and according to the prognoses by 2050 its share in the world will decrease to 1.3%. Even by the most optimistic prognoses population of Russia by this time will decrease to 160 mil people. With these human assets it is not possible to crate a self sustainable, national gathering civilization.

This is an additional argument for the sake of western orientation of Georgia.

თემურ ტუნაძე
ძმები ნობელების სახელობის ბათუმის
ტექნოლოგიური მუზეუმის ღირექტორი
ეკატერინე მჭავანაძე
შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნიერსიტეტის მასწავლებელი

ნავთობის ბაზარზე ამერიკულ-ევრაზიული კონკურენციის ისტორიიდან

ნავთობი ჯერ კიდევ უძველესი ცივილიზაციებისათვის იყო ცნობილი, ბაბილონელები მას იყენებდნენ, როგორც ცეცხლის მიღების საშუალებას, ბიზანტიელები - როგორც ბერძნულ ცეცხლს, ხოლო ინდიელებისათვის იგი ტატუირების საშუალება იყო საომარი მსვლელობის დროს. XVIII საუკუნეში ფრანგებმა გამოიყენეს ნავთობი, როგორც საპოხი საშუალება, ხოლო XIX საუკუნის შუა ხანებში ბუქარესტის ქუჩები განათებული იყო ნაფთის ლამპებით. მიუხედავად აღნიშნულისა, იმ დროისათვის არავის შეეძლო მისი მოპოვება დიდი რაოდენობით. კომერციული ნავთობი პრობლემად რჩებოდა 1859 წლამდე, როცა თითქმის ერთდროულად აშშ, კანადასა და გერმანიაში ნავთობის მისაღებად დაიწყეს მიწის „ბურღვა" ტრადიციული წესით ისე, როგორც ჭას თხრიდნენ წყლის მისაღებად.

ნავთობის ბუმი, რასაც ადგილი ჰქონდა პენსილვანიაში, XIX საუკუნის 60-იან წლებში, თავისი მასშტაბით შეიძლება შევადაროთ კალიფორნიის ოქროს ბუმს ან თანამედროვე ინტერნეტ-ტექნოლოგიების მბარე როლსა და გაელენებს ჩვენს ცხოვრებაში. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ამერიკული მრეწველობის მრდის სწრაფი ტემპები ძლიერი ხელშემწყობი ფაქტორი იყო ნავთობმრეწველობის განვითარებისათვის. მაგალითად, თუ 1859 წლისათვის პენსილვანიაში მოპოვებული იყო 2 ათასი, ხოლო 1860 წელს 500 ათასი ბარელი ნავთობი, 1861 წელს ეს რიცხვი 2113,6 ათასამდე გაიზარდა (Гефер 1907: 280). XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან პენსილვანიის ნავთის ექსპორტი ერთდროულად ხორციელდებოდა არა მხოლოდ საკუთრივ ამერიკის, არამედ ევროპის მიმართულებითაც. 1865 წლისათვის ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია ამერიკული ნავთის მსხვილი შემსყიდველები იყვნენ (Тьюгендхэт 1978: 45-46) შესაბამისად იზრდებოდა ნავთობთან დაკავშირებული კონკურენცია. ამერიკული ნავთი რუსეთში 1861 წლიდან ჩნდება, მაგრამ მისი მასიური ექსპორტი 1863 წლიდან დაიწყო, როცა ამერიკელმა ლასლო შანდორმა მიიღო სანკტ-პეტერბურგის ქუჩების განა-

თების უფლება. 1864 წელს რუსეთში შეიგანეს 347 ათასი, 1870 წელს - 2023, ხოლო 1875 წელს - 3 მლნ. 820 ათასი ფალონი ნავთი (Гулишамбаров 1894: 42). აღნიშნულის ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობა იყით რუსეთის ეკონომიკური განვითარების ძალზე დაბალი ტემპები იყო.

1870 წლის 10 იანვარს ჯონ როკფელერმა ოთხ თანაკომპანიონთან ერთად დააარსა Standard Oil Company of Ohio, საწყისი კაპიტალით ერთი მლნ. დოლარი (Соломатин 2003: 164). კომპანიის ამბიცია იმთავითვე ითვალისწინებდა მონოპოლიას ამერიკულ ნავთობზე და მართლაც, XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს იგი უკვე ამერიკული ნავთობგადამუშავების 90% აკონტროლებდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ეს კომპანია არ ფლობდა ნავთობმოპოვებელ სექტორს, ანუ ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული ნავთობწარმოების სრული, ვერტიკალურად ინტეგრირებული სტრუქტურა (Василенко 2006: 16-17).

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ბაქოში იწყება ნავთობმრეწველთა გაერთიანება და მსხვილი კომპანიების ჩამოყალიბება, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ვერტიკალურად ინტეგრირებული სისტემის ჩამოყალიბებას ნავთობის მრეწველობაში. მათი ქრონოლოგიური თანმიმდევრობა შეძლება: 1. 1873 წელს ვასილი კოკორევმა და პეტრე გუბონინმა ჩამოაყალიბეს სააქციო კომპანია „ბაქოს მესანთობეთა საზოგადოება“, ხოლო 1874 წლის 18 იანვარს იმპერატორმა ალექსანდრე II დაამტკიცა აღნიშნული საზოგადოება - 7500 ათასი მანეთის საწესდებო კაპიტალით (Матвейчук 2006: 30-31); 2. 1879 წლის 18 მაისს იმპერატორმა დაამტკიცა ძმები ნობელების ნავთობმრეწველთა ამხანაგობა, რომლის ძირითადი კაპიტალი შეადგენდა 3 მლნ. მანეთს; 3. 1883 წლის 1 ივლისს დამტკიცდა „ბათუმის ნავთობსამრეწველო და სავაჭრო საზოგადოების“ წესდება. მისი საკონტროლო პაკეტი 1886 წელს ვაღავიდა ბარონი როტშილდის ხელში და ჩამოყალიბდა, როგორც „კასპია-მაიზღვისპირეთის ნავთობსამრეწველო და სავაჭრო საზოგადოება“; 4. 1884 წლის 28 სექტემბერს დაარსდა რუსული მინერალური ზეთებისა და სხვა ქიმიური პროდუქტების საწარმოო კომპანია «С. М. Шибаев и К.»; 5. 1886 წლის 8 (20) სექტემბერს დაარსდა ნავთობსაწარმოო და სავაჭრო საზოგადოება «Каспийское товарищество», რომლის ძირითადი კაპიტალი შეადგენდა 2,5 მლნ მანეთს. სულ 1889 წლისათვის აფშერონის ნახევარკუნძულზე ნავთობმრეწველის სარისხში რეგისტრირებული იყო 28 ფირმა და 41 ინდივიდუალური მეწარმე. მათ შორის, ზემოთ ჩამოთვლილი ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიები ბაქოს ნავთობის 42,2% აწარმოებდნენ (Матвейчук 2006: 35).

ევროპაში რუსული ნავთი პირველად ჩნდება 1882 წელს. ამ პროცესთან დაკავშირებით საინტერესოა 1883 წლის აპრილში ძმები ნობელების ამხანა-

ობის ანგარიში აქციონერთა საერთო შეკრებაზე, სადაც საგანგებოდ აღნიშნულა, რომ კომპანია ფლობს მნიშვნელოვან უპირატესობას ბაქოს ნავთობზე ამერიკელების წინაშე და, რომ რუსულ ნავთს აქვს ფართო არეალი... კომპანიის ამოცანას წარმოადგენდა გაეძევებინა ამერიკული ნავთი რუსული ბაზრიდან, სოლო შემდგომ დაეწყო რუსული ნავთის გატანა საზღვარგარეთ... ამერიკული ნავთი უკვე არ მონაწილეობს რუსულ ბაზრებზე, სოლო გასულ წელს კომპანიამ დაიწყო ბაქოს ნავთის შეტანა აესტრიასა და გერმანიაში (Василенко 2006: 17). 1881-1885 წლებისათვის რუსეთის წილი საერთაშორისო წარმოებაში 3,4% შეადგენდა, თანდათანობით იზრდებოდა ევროპის ბაზრის ათვისების ტემპები, რასაც, ბუნებრივია, ხელს უწყობდა დემოგრაფიული და ზოგადად, ეკონომიკური განვითარებით ნაკარნახევი მოთხოვნები ახალ ენერგეტიკულ რესურსზე. 1886 წლის 31 ოქტომბერს ბაქოს ნავთობმომპოვებლები მიმართავდნენ კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელს ა. მ. დონდორუკ-კორსაკოვს, რომ ბაქოს ნავთობის წარმოებამ მიაღწია განვითარების იმგვარ ტემპებს, როცა მას თავისუფლად შეუძლია მოამარაგოს განათებისა და საპოხი საშუალებებით, არა მარტო მთელი რუსეთი, არამედ ევროპის ღიდი ნაწილი, მათ შიერ მოთხოვნილი რაოდენობით. XIX საუკუნის 90-იანი წლებისათვის ევროპის ბაზარზე რუსული ნავთის წილმა 43,9% შეადგინა (Василенко 2006: 18). აშშ-ერონიდან ე.წ. „რუსული ნავთის" საზღვარგარეთ ექსპორტის ძირითადი დასაყრდენი ბათუმი იყო. 1900-1902 წლებში ბათუმის პორტის ექსპორტში ნავთობს 88% ეკავა, რომლის უღიდესი ნაწილი საზღვარგარეთზე მოდიოდა (გოგოლიშვილი 2006: 4-5; ოთარაშვილი 2003: 129).

პენსილვანიისა და ბაქოს ნავთობის კონკურენციის ფართო არენას, ევროპის მიმართულების გარდა, წარმოადგენდა შორეული აღმოსავლეთი, სადაც მნიშვნელოვანი უპირატესობით სარგებლობდა Standard Oil Company. აღნიშნულ რეგიონში 1887 წლის მონაცემებით ამერიკული ნავთი 9,5-ჯერ აჭარბებდა რუსულისას, თუმცა ამ მიმართულებით XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან უფრო აქტიურია რუსული ნავთის ექსპორტი. 1886-1892 წლების მანძილზე ბაქოს ნავთობკომპანიებმა შეძლეს მნიშვნელოვანი კონკურენცია გაეწიათ კომპანია Standard Oil-ისათვის და ამერიკული და რუსული ნავთის თანაფარდობა შორეული აღმოსავლეთის ბაზარზე 12,5 %-მდე შეემცირებინათ (Василенко 2006: 19).

რუსული ნავთობკომპანიების აღნიშნული აქტიურობა განსაკუთრებით ევროპისა და შორეული აღმოსავლეთის მიმართულებით, გარკვეულწილად სტიმულის მიმცემი იყო ჯონ როკფელერისათვის, რათა მას ახალი სტრატეგიული გზები გამოენახა ნავთობის მსოფლიო ბაზარზე უპირატესობის შენარჩუნებისათვის. აღნიშნულის დამადასტურებელია Standard Oil-

ის შეილობილი კომპანიების დაარსება.

1888 წლის 24 აპრილს ლონდონში დაარსდა Anglo-American Oil Company, რომლის საწესდებო კაპიტალი 500 ათას ფუნტ სტერლინგს შეადგენდა (Монополистический 1961: 680). ამერიკული ნავთობის ეაჭრობის საქმე გერმანიაში ჩაიბარა კომპანიამ Deutsch-Amerikanische Petroleum Gesellschaft. იგი 1890 წლის 22 თებერვალს ჩამოყალიბდა, საწყისი კაპიტალით 9 მლნ. მარკა, სადაც 40% ჯონ როკფელერსა და მის კომპანიონებს ეკუთვნოდათ. ანალოგიური მიზნით ჰოლანდიაში, ბელგიასა და ლუქსემბურგში 1891 წლის 10 მარტს დაარსდა საზოგადოება American Petroleum Company (APC), სადაც აქციების 51% პროამერიკელ მეწარმეებს ეკუთვნოდათ. იტალიასა და შვეიცარიაში ნავთის რეალიზაციის ასღენდა Societa Italo-Americana pel Petrolio, რომელიც 1891 წლის 16 მაისს ჩამოყალიბდა ვენეციაში, საწყისი კაპიტალით 2,5 მლნ. მარკა. აქაც აქციების 60% Standard Oil Company-ს ეკუთვნოდა. აღნიშნული სტრატეგიული გადაწყვეტილების საშუალებით, კერძოდ, შეილობილ კომპანიებზე დაყრდნობით, მიუხედავად რუსული ნავთის კონკურენციისა და საკუთრივ ამერიკაში ანტიმონოპოლიური განწყობისა, ჯონ როკფელერი, კლავე ინარჩუნებდა უპირატესობას ნავთობის მსოფლიო, განსაკუთრებით ევროპულ ბაზარზე. მაგალითად, 1893 წლის მონაცემებით დიდ ბრიტანეთში ამერიკული ნავთის წილი ჯამარდა 1,6-ჯერ, მაშინ როცა ბაქოს ნავთის შეტანა შემცირდა 5,6-ჯერ (Васпленко 2006: 20). ამიტომაც იყო, რომ XIX საუკუნის ბოლოს რუსული ნავთის ექსპორტის ექტორი აღმოსავლეთისაკენ გადაისარა. თუ 1893 წელს ბათუმიდან ევროპაში გაიტანეს 22 მლნ. ფუთი ნავთი, აღმოსავლეთის მიმართულებით ეს ციფრი 28 მლნ-ს შეადგენდა. 1904 წლისათვის რუსული ნავთის ექსპორტის სტრუქტურა შემდეგნაირი იყო - ევროპის ბაზარზე გაიტანეს 51,97 მლნ. ხოლო აღმოსავლეთის მიმართულებით - 60,39 მლნ. ფუთი ნავთი.

1904 წლის დასაწყისში ჯონ როკფელერის კომპანიამ სერიოზული დარტყმა მიაყენა რუსული ნავთობის ექსპორტს ევროპის ბაზარზე. აღნიშნულის შესახებ გაზეთი «Нефтяное дело» იტყობინებოდა, რომ ჩამოსასხმელი ერთი გალონი ნავთის საცალო ფასი ინგლისის მთავარ პორტებში 1904 წლის მარტში 5 $^{3}/_{4}$ პენსიდან 2 $^{1}/_{2}$ პენსამდე დაეცა, ე. ი. შემცირდა 43 კაპიკით ფუთზე. იმავდროულად რუსული ნავთის ფასი მერყეობდა საშუალოდ 29,3 კაპიკით ფუთზე, შესაბამისად ბათუმში იგი იქნებოდა 50,3 კაპიკი ფუთზე, რამდენადაც ბაქოსა და ბათუმს შორის ნავთობის ტრანსპორტირების ხარჯები შეიცავდა 21 კაპიკს (სარკინიგზო ფრახტი - 19 კაპიკი, საპორტო მწადება - 1 კაპიკი, გადმოქაჩვა და შესახვა ბათუმში, გადინება და პროცენტები ფრახტზე - 1 კაპიკი). ამ ციფრთა შედარება ნათელს ხდის

რუსული ნავთობის არაკონკურენტუნარიანობას ამერიკულთან მიმართებაში (Нефтяное дело № 8, 1906: 417). იმავე გაზეთის საშუალებით ცხადი ხდება, რომ ჯ. როკფელერს მონოპოლისტური მდგომარეობა საშუალებას აძლევდა კონკურენციაში გამოეყენებინა ნავთობზე ფასების თამაში (დაწვა), მაგალითად, გაზეთ «Нефтяное дело»-ს მონაცემებით 1904 წლის აგვისტოში ერთი გალონი საექსპორტო ნავთის ფასი ნიუ-იორკში 4,8 ცენტს შეადგენდა, მაშინ როცა ნედლი ნავთი 5 ცენტი ღირდა, ანუ დამუშავებულ პროდუქტზე 0,20 ცენტით ძვირი (Нефтяное дело № 5-6, 1906: 253). მიუხედავად აღნიშნულისა, 1904 წლისათვის რუსეთიდან საექსპორტოდ გაიგზავნა 112,36 მლნ. ფუთი ნავთი, რაც ნავთობის მსოფლიო ექსპორტის 30,7%-ს შეადგენდა, თუმცა იმავდროულად აშშ-ს წილი 55%, ჰოლანდიისა - 8,4%, რუმინეთისა - 2,7%, გალიციისა - 2,3% იყო (Гольшевский 1924: 11). მსოფლიო ბაზარზე რუსული ნავთის საექსპორტო მომარაგების სტრუქტურა 1904 წელს ასეთი იყო: ევროპაში 51,97 მლნ. ფუთი, აღმოსავლეთის ბაზრებზე - 60,39 მლნ. ფუთი, ჩინეთში 7 მლნ. ფუთი (Першке 1913: 120).

1905 წლის ტრაგიკულმა მოვლენებმა აფეთქების ნავთობსაბადოებზე გაანადგურა მოქმედი ჭაბურღილების ნახევარი. შედეგად რუსეთმა დაკარგა ევროპისა და აღმოსავლეთის ბაზრები და რუსული ნავთობის ექსპორტი რამდენიმე ათწლეულით შეფერხდა. მომდევნო წლებში რუსულმა ნავთობმრეწველობამ ვერ დაძლია 1905 წლით გამოწვეული შეფერხებები. თუ 1898-1901 წლებში რუსეთის ნავთობმოპოვება აღემატებოდა ამერიკულისას, 1910 წელს ის შეადგენდა მხოლოდ 29,6%. უფრო ცუდად იყო ექსპორტის მდგომარეობა. 1908 წლისათვის იგი მხოლოდ 18,6% შეადგენდა.

მუშათა გაფიცვებმა და რევოლუციურმა გამოსვლებმა, ასევე პირველმა მსოფლიო ომმა მნიშვნელოვნად შეაფერხა ნავთობის მრეწველობის განვითარება რუსეთში, თუმცა, მიუხედავად ამგვარი სიტუაციისა დასავლეთის ისტერესი კასპიის რეგიონში არ შენელებულა. რუსული ნავთობმრეწველობის შესუსტების პარალელურად Standard Oil-ი კვლავ დაეუფლა ნავთობის ევროპულ და აღმოსავლურ ბაზრებს, მათ შორის გაიხსნა ჩინეთის უზარმაზარი ბაზარიც. დიდმა ბრიტანეთმა, სადაც წინასწარ გაერთიანდნენ კომპანიები – Shell Transport and Trading Company და Roial/Dutch, კვლავ მიიღო ნავთობპროდუქტების გასაღების გარანტირებული სექტორი აღმოსავლეთში, მაგრამ რაც მთავარია, იმავდროულად მან მიიღო რუსეთის დასუსტებულ ნავთობმრეწველობაში ბრიტანეთის კაპიტალის მასირებული ექსპანსიის ყველა შესაძლებლობა.

1917 წლის ნოემბერში მარშალმა უოსმა მიმართა ღონდონსა და ვაშინგტონს მემორანდუმით – „რუსეთის მიმართ მისაღები ზომების შესახებ". მისი აზრით, კასპიის რეგიონი უნდა დაქვემდებარებოდა ბრიტანულ-ამე-

რიკულ კონტროლს, ბრიტანული ვაელენის დომინანტით. იმავე წლის დეკემბერში ბრიტანეთმა და საფრანგეთმა სელი მოაწერეს „კონვენციის პირობებს“, რომლის მიხედვით კასპიის ტერიტორია დაიყო ზეგაელენის სფეროებად ანტანტის სახელმწიფოებს შორის. ბრიტანულმა კომპანიებმა 1918 წელს შეიმუშავეს კასპიის ნავთობსადენების განვითარების 15-წლიანი გეგმა. თავის მხრივ ამერიკამაც გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო ამ დაყოფაში.

1919-1920 წლებში ბრიტანეთმა საქართველოში, შავი ზღვის პორტებზე – ბათუმსა და ფოთში კონტროლი განახორციელა. ეს იყო აღჭილები, საიდანაც აზერბაიჯანის ნავთობის ტრანსპორტირება უნდა მომხდარიყო. ბრიტანეთის პოლიტიკური დოკუმენტების მიხედვით მათი მიზანი იყო კასპიის ზღვის გადაყვანა ბრიტანეთის იმპერიის მფლობელობაში და მდინარე ვოლგაზე ნავიგაციის გაკონტროლება. უფრო ადრე – 1918 წლის სექტემბერში თურქებმა დაიკვეს ბაქო, მაგრამ შემდგომ, ნოემბერში ბრიტანელებმა გააძევეს თურქები ბაქოდან და შეეცადნენ დამოუკიდებელი აზერბაიჯანის აღდგენას.

1919 წელს სტანდარტ ოილმა გააფორმა ხელშეკრულება აზერბაიჯანთან, სადაც იგი მილიონის მესამედს ისდიდა ჭაბუღილისათვის. ნობელებმა სცადეს თავიანთი წილი მიეყიდათ ინგლისურ-პრუსიული ნავთობკომპანიისათვის, მაგრამ საბოლოოდ 1920 წლის 12 აპრილის შეთანხმებით Standard Oil-ის შეთავაზება მიიღეს. საერთოდ აღსანიშნავია, რომ პირველი მსოფლიო ომის მოახლოებასთან ერთად ბაათუმში ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული საწარმოები ან იხურება ან ახალი მფლობელების ხელში გადადის, მაგრამ რეგიონში არსებული არასტაბილური პოლიტიკური ვითარების გამო ამ დროიდან ბაქოს ნავთობის მონაწილეობა საერთაშორისო ბაზარზე უმნიშვნელო ხდება (სიორიძე 1995: 78-83).

ამდენად, ნავთობი წარმოადგენდა პირველ ენერგეტიკულ რესურსს, რომელმაც სათავე დაუდო ახალ გეოპოლიტიკურ ორიენტირებს და ენერგიის მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობებში უმაღლეს ნიშნულამდე აიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ წარმოადგენს ნავთობმომპოვებელ ქვეყანას, ნავთობის მსოფლიო ბაზარზე გავლენის სფეროებისათვის მიმდინარე წინააღმდეგობები მაინც რჩება საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ერთ-ერთ საინტერესო პრობლემურ საკითხად, მით უფრო დიაქრონულ ჭრილში, ქვეყნის გეოპოლიტიკური ინტერესებისა და, ასევე, მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ობიექტური ანალიზის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სიორიძე მ., ბათუმის როლი ნავთობის მსოფლიო ბაზრისათვის ბრძოლაში (1883-1918). ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, I, ბათუმი, 1995.
2. გოგოლაშვილი ო., ბათუმის ოლქის ეკონომიკური განვითარება XX ს-ის I ათწლეულში, ბათუმი, 2006.
3. თთარაშვილი ალ., ბაქოს ნავთობი და საქართველოს საგრანიტო ქაქრობა XIX საუკუნის II ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში. კლიო, N 18, თბ., 2003.
4. Василенко А. Б. Геополитические аспекты нефтяной политики США и российской империи во второй половине XIX века. – Материалы научно-исторической конференции «Роль частного предпринимательства в развитии нефтяной промышленности России во второй половине XIX века». М., 2006.
5. Гулишамбаров С. И. Нефтяная промышленность Соединенных Штатов Северной Америки в связи с общим промышленным развитием страны. СПб., 1894 (сравните: Василенко. 2006).
6. Годзишевский Э. А. Русская нефть на мировом рынке. М., 1924.
7. Гефер Г. Нефть и ее произведение, СПб., 1907 (сравните: Василенко, 2006).
8. Матвейчук А.А. Особенности становления нефтяного предпринимательства в 60-80 годах XIX века в России. – Материалы научно-исторической конференции «Роль частного предпринимательства в развитии нефтяной промышленности России во второй половине XIX века». М., 2006.
9. Монополистический капитал в нефтяной промышленности России. 1883-1914. Документы и материалы. М.-Л., 1961.
10. Соломатин А. Ю. Роль нефтяной промышленности США в экономике страны во второй половине XIX – начале XX веков. – Предвестие эры нефти, М., 2003.
11. Тыогендхэт К., Гамильтон А. Нефть, Самый большой бизнес, М., 1978.
12. Нефтяное дело, №8, 1906 (сравните Василенко, 2006).
13. Нефтяное дело, № 5-6 1906:253 (сравните Василенко, 2006).
14. Зубок Л. И. Очерки истории США (1877-1818), М., 1956.
15. Першке С. Л. Русская нефтяная промышленность ее развитие и современное положение в статистических данных, Тифлис, 1913.

TEMUR TUNADZE
The Nobel Brothers Batumi Technological Museum, Director
EKATERINE MZHAVANADZE
Shota Rustaveli State University, Teacher

SUMMARY

FROM THE HISTORY OF AMERICAN-EURASIAN OIL MARKET COMPETITION

Before World War I Eurasian oil market was basically controlled by the Rothschilds and the Nobel Brothers oil companies. Because of the political instability and revolutionary wave the Rothschilds had left the Russian market and sold the "BNITO" by 1911. After the February Revolution the Bolshevik government nationalized the Russian Oil. After escaping from Russia the Nobel Brothers began preparation for changing their business strategy towards Russia.

At that period history repeated and renewed. At the end of the 19th century Russian oil seriously resisted the dominance of American oil magnate John D. Rockefeller over the world oil market. In early 20th century the repetition of history was reflected when John D. Rockefeller's "Standard Oil Company" on behalf of its heir company "Jersey" began the negotiation with the Nobel Brothers. The negotiations were tense and intense since the American part was purchasing the property from the Nobels which actually did not belong to them. The bargain was considered to be risky for John D. Rockefeller as in April 1920 the Bolsheviks nationalized Baku oil-fields. Although the political situation in Russia was tense "Jersey" and the Nobels continued negotiation. In July 1920 "Standard Oil Company" with the help of company "Jersey" obtained the right to possess half of the Nobels' property. The risk which John D. Rockefeller exposed to himself was really magnificent and amazing.

ვასილ ფერაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე ამერიკული სკოლა

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლაში ამერიკული სკოლის წარმომადგენლების წილი დიდია. სწორედ მათ შემოიტანეს და დაამკვიდრეს საერთაშორისო ურთიერთობებში ბევრი საბაზისო თეორია თუ დებულება, რომელზედაც იგება ამერიკული და საერთოდ დასავლური დიპლომატია. ისინი ახლებურად ხედავენ და აანალიზებენ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალურ პრობლემებსა თუ მოვლენებს.

საერთაშორისო-პოლიტიკურ მეცნიერებაში დღეს არსებული მრავალფეროვანი თეორიებია თუ შესედულება სამ ძირითად პარადიგმაზე: რეალიზმზე (კლასიკური რეალიზმი და ნეორეალიზმი), ლიბერალიზმზე (ტრადიციული იდეალიზმი და ნეოლიბერალიზმი) და მარქსიზმზე (ნეომარქსისტული) იგება. ბუნებრივია, ამ პარადიგმებით საერთაშორისო ურთიერთობების ბუნება და სახიათი არ იწურება. XX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან საერთაშორისო ურთიერთობებში ინტენსიურად ვითარდება შემდეგი მიმართულებები: ტრანსნაციონალიზმი და ინსტიტუციონალიზმი, კონსტრუქტივიზმი და პოსტმოდერნიზმი, სულ უფრო მეტ დამოუკიდებელ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია და საერთაშორისო ურთიერთობების სოციოლოგია. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში საბაზისოდ გემოთჩამოთვლილი სამი პარადიგმა რჩება.

პოლიტიკური რეალიზმს წარმოადგენენ: ჰ. მორგენთაუ, რ. ნიბური, ფ. შუმინი, ჯ. კენანი, ჯ. შვარცენბერგერი, კ. ტომპსონი, ჰ. კისინჯერი, ე. ქარი, ა. უოლფერსი და სხვ. მოკლე ფორმულირებით რეალიზმი ორ ძირითად თეზისს ემყარება. პირველი – მსოფლიოში ცენტრალური ხელისუფლების არ არსებობა – სახელმწიფოს ფუნქციონირების ძირითადი ფაქტორია, რომელიც მას პირველ რიგში, საკუთარი უშიშროების შენარჩუნებას და ეროვნული ინტერესების სრულად დაცვას აიძულებს. მეორე – სხვადასხვა სახელმწიფოების თანამშრომლობა – ეროვნული ინტერესების თანხვედრის შედეგია, ურთიერთდაპირისპირება – ამ ინტერესებს შორის სხვაობისა. სახელმწიფოების საგარეო სტრატეგია უნდა ემყარებოდეს პობსისეულ სამ მო-

ტიეს: სახელმწიფოს უშიშროების დაცვა; მოსახლეობის გაულენიანი ფენებისათვის ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება; მსოფლიო საქმეებში სახელმწიფოს ავტორიტეტის ამაღლება. რეალიზმის აღიარებული ლიდერია ჰ. მორგენტაუ, რომელმაც 1948 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „პოლიტიკური ურთიერთობები ერებს შორის. ბრძოლა ხელისუფლებისათვის და მშვიდობისათვის". მასში პოლიტიკური რეალიზმის 6 პრინციპია განხილული. მორგენტაუ რეალიზმის ძირითად კატეგორიად ძალაუფლების ტერმინში გამოსახულ ინტერესის მცნებას მიიჩნევს. ის უბრუნველყოფს კავშირს გონებას, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკის გაგებას ცდილობს და შემეცნებას დაქვემდებარებულ ფაქტებს შორის. სწორედ ისინი განსაზღვრავენ პოლიტიკის სფეროს სპეციფიკურობას და სხვა სფეროებისაგან (ეთიკა, ესთეტიკა, რელიგია) ავტონომიურობას. პოლიტიკური რეალიზმი არა მარტო თეორიულ ასპექტს, არამედ ნორმატულ ელემენტსაც შეიცავს. პოლიტიკური რეალიზმი შემთხვევითობასა და ირაციონალიზმს უშვებს, თუმცა ძირითად აქცენტს რაციონალიზმზე აკეთებს. ის საგარეო პოლიტიკაში კარგია, რადგან ამცირებს რისკს და მაქსიმალურად ზრდის შედეგს. მორგენტაუ სახელმწიფოს სწორი საგარეო პოლიტიკის ძირითად კრიტერიუმად საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვას თვლიდა. მისი შეხედულებით, სუვერენული სახელმწიფო და მისი ინტერესი ისტორიული პროცესის შედეგია, სოლო მათი გაქრობის შემთხვევაში ინტერესიც აზრს კარგავს. თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს თანამედროვე მსოფლიოს ტრანსფორმაციის საკითხი წარმოადგენს. რეალისტების აზრით, ტრანსფორმაცია შესაძლებელია პოლიტიკაზე გავლენის მქონე ძალების დახელოვნებული მანიპულაციებით [1, 4-16].

რეალიზმის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორია – ეროვნული ინტერესია. რომლის თანახმად, ეროვნული ინტერესების ერთობლიობა, ობიექტურ სახაიათს ატარებს. ის აისსნება ისეთი ობიექტური ფაქტორებით, როგორიცაა ტრადიცია, ადამიანური ბუნების უცვლელობა, გეოგრაფიული პირობები და სხვ. რეალისტებისათვის – საერთაშორისო (რეგიონული) ძალთა ბალანსი – მშვიდობის შენარჩუნების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა. რეალისტების აზრით, ის ეროვნული ინტერესების დაცვისა და სახელმწიფოებს შორის საგარეო პოლიტიკის მორალურ პრინციპებზე აღმოცენებული ურთიერთპატივისცემის თითქმის უალტერნატივო გარანტიაა. რეალისტები მიუთითებენ, რომ სახელმწიფო საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით, არ უნდა მოერიდოს ურთიერთდათმობების (კომპრომისი) სარჯზე მიღწეული შეთანხმებების დადებას და თუ ეს აუცილებელია. მოთოკოს კიდეც ძალაუფლების სურვილი (მსოფლიო პოლიტიკაში დომინირება). კომპრომისს

მხოლოდ სასიცოცხლოდ აუცილებელი ინტერესები არ ექვემდებარებიან. სახელმწიფოები საერთაშორისო ურთიერთობებში დიპლომატიას იყენებენ. ამასთან, სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მიზნები ეროვნული ინტერესების ჭრილში ყალიბდებიან და შესაბამისი რესურსებით მყარდებიან.

პოლიტიკური რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ მთავარ დებულებად მის ანარქიულ ბუნებას თელის. საერთაშორისო არენაზე ყველა სახელმწიფო, „ეროვნული ინტერესის" კატეგორიით ხელმძღვანელობს. საერთაშორისო ურთიერთობები არ ემორჩილება უმაღლეს ხელისუფლებას, უფლებრივ და მორალურ ნორმებს, ანუ იმ პრინციპებს, რომლებიც ომებს და კონფლიქტებს თავიდან იცილებს. ანარქიულ გარემოში ერთი სახელმწიფოს ინტერესი გარდაუვლად უპირისპირდება მეორეს ინტერესებს. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური რეალიზმის თეორია საერთაშორისო პროცესებში ძირითად ყურადღებას სახელმწიფოების შორის კონფლიქტებს და მის უკიდურეს ფორმას – ომს უთმობს. ამერიკელი მკვლევარი უოლფერსი წერს: „საერთაშორისო თანამშრომლობაში პირველსარისხოვნად, სახელმწიფოებს შორის თავდაცვის მიზნით დაღებული სამხედრო და სამხედრო-პოლიტიკური კავშირები და ალიანსები რჩებიან" [2, 73]. პოლიტიკური რეალისტები სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას ერთმანეთს არ უკავშირებენ, ხოლო სახელმწიფოებს იმ ურთიერთშემცველ მექანიკურ სხეულებად განიხილავენ, რომლებიც საგარეო პროცესებზე იდენტურ რეაქციას ამჟღავნებენ. მათ განასხვავებს მხოლოდ ის, რომ ერთი სახელმწიფო უფრო ძლიერია, სოლო მეორე – სუსტი. უოლფერსი მსოფლიო არენაზე სახელმწიფოების ურთიერთობებს ბილიარდის მაგიდაზე ბურთების დაჯახებას ადარებდა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკურ პარადიგმებში აღმოცენდა ახალი თეორიები, რომლებიც უფრო შეესაბამებოდა მსოფლიოში მომხდარი გლობალური ცვლილებების სასიათს. ეს მომენტი თვალშისაცემი XX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან და განსაკუთრებით „ცივი ომის" დამთავრების შემდეგ გახდა თვალშისაცემი. XX საუკუნის 70-იანი წლებიდან პოლიტიკური რეალიზმი თანდათან ადგილს ნეორეალიზმს, ანუ სტრუქტურულ რეალიზმს უთმობს. მისი წარმომადგენლები არიან ქ. უოლცი, რ. გილპინი, ს. მ. უოლტი, ბ. ბუზანი, ქ. ლეინი და სხვ. ნეორეალიზმში პოლიტიკური რეალიზმის ძირითადი პოსტულატის „ძლიერებაში გამოსახული ინტერესის" მოდიფიკაცია ხდება. იცავს რა ძალის პრიორიტეტულობის იდეას, ნეორეალიზმს ის ბოლომდე სამხედრო კომპონენტამდე არ დაყავს და მასში ადგილს ეკონომიკურ, ინფორმაციულ-კომინიკაციურ, მეცნიერულ, ფინანსურ და საწარმოო ელემენტებს უძებნის. ნეორეალისტები, პოლიტიკური რეალიზმის ცენ-

ტრალურ დებულებას, საერთაშორისო ურთიერთობების ანარქიული ბუნების შესახებ, ძალაში ტოვებენ. ამერიკელი მკვლევარის უოლცის აზრით, საერთაშორისო ურთიერთობების ანარქიულობა, უმაღლესი ძალაუფლების არარსებობას უკავშირდება. საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე, ძირითადი ფაქტორების ურთიერთქმედების ეფექტური რეგულირებისა და მსოფლიოსთვის დამანგრეველი ომებისა და კონფლიქტების თავიდან აცილების სამართლებრივ და მორალურ ნორმებს, თუკიდეს დროიდან არსებითი ცვლილებები არ განუცდია. ამიტომ „ჩვენ აღნიშნული სფეროს რეფორმირებაზე და ისეთი საერთაშორისო წესრიგის დამყარებაზე, რომლის მთავარი მუხლებია სამართლებრივი ნორმები და უშიშროება, უარი უნდა განვაცხადოთ. არავინ, საკუთრივ სახელმწიფოს გარდა, არ არის დაინტერესებული მის უსაფრთხოებაში, რომლის გაძლიერება, და, მაშასადამე სასელმწიფოს ძალის გაძლიერება სხვა სახელმწიფოებზე გაბატონების მოხდენა, ეროვნული ინტერესის ძირითად ელემენტად რჩება“.

1959 წელს გამოცემულ წიგნში – „ადამიანი, სახელმწიფო და ომი“, რომელიც 1954 წელს დაცულ სადოქტორო დისერტაციას ეფუძნება, უოლცი ასკვნის, რომ ომის მიზეზები სამ „სახემდე“ დაიყვანება. პირველი, ომების ძირითად მიზეზებს ადამიანის ბუნებაში და მოქცევაში ეძებს. ომები იწყება ეგოიზმის, აგრესიული იმპულსების არასწორად წარმართვისა და სისუსტის შედეგად. დანარჩენი მიზეზები ამ ფაქტორების ჭრილში აღიქმება. მეორე სახე ომების წყაროს სახელმწიფოების შინაგანი ბუნებით სხვნის: ამ შეხედულებით, იმპერიალისტური ომები კაპიტალისტური საზოგადოების, ეკონომიკური კანონების პირმშოა, და, პირიქით, ომების არ არსებობა კი – დემოკრატიზმისა. უოლცის მტკიცებით ფსიქოლოგიურ მონაცემებზე სოციალური ფორმების ასხსნა შეცდომაა, რადგან ჯგუფური მოვლენები არ დადის ინდივიდუალური მოქცევის თავისებურებებამდე. სწორედ ამიტომ უნდა ვიკვლიოთ არა ადამიანის ბუნება, არამედ სოციალური ფაქტორები. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, შემოვიფარგლოთ მხოლოდ მმართველობის ფორმებზე, პოლიტიკურ რეჟიმებზე და ა.შ. საუბრით [3, 238-239]. სახელმწიფოების სტარეტეგიული ურთიერთდამოკიდებულების სიტუაციაში, მათი პოლიტიკა, არა მხოლოდ საშინაო მიზეზებით, არამედ სხვა ქვეყნების საქციელითა და პოლიტიკით აიხსნება. ამიტომ, ასეთი საქციელის გასაგებად და წინასწარ განსაჭვრეტად, აუცილებელია სასელმწიფოთაშორისო სისტემების თავისებურებების, მათი სტრუქტურების სპეციფიკის ცოდნა. ამ შემთხვევაში ჩვენ ვერ გავალთ მესამე სახის გარეშე, რომელიც ომებისა და კონფლიქტების მიზეზებს მთლიანობაში იკვლევს. სწორედ სტრუქტურა განაპირობებს საერთაშორისო პოლიტიკის მოვლენებს, იგი ხელს უწყობს ერთის და აფერხებს მეორეს. სასელმწიფოს პოზიცია მის

ძლიერებაზეა დამოკიდებული. ძალა პოლიტიკაში იგივეა, რაც ეკონომიკაში – ფული.

უოლცის წიგნი „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“ (1979წ.), ნეორეალიზმის მანიფესტად იქცა. უოლცი საერთაშორისო ურთიერთობებს ბაზარს ადარებდა, სადაც სახელმწიფოები ფირმების მსგავსად, თავისი ინტერესების დაცვას, ზოგიერთ ქვეყანასთან კონკურენციის გაწევით, ზოგიერთთან კი თანამშრომლობით ცდილობენ. ნეორეალიზმში ძირითადი აქცენტი კონფლიქტებზე და დაპირისპირებაზე კეთდება. უოლცი წერს: „სახელმწიფოები ერთმანეთთან თანამშრომლობის პირობებში, რაღაც საერთო მოგების მიღებასთან ერთად, მისი სამართლიანად გაყოფის საკითხს სვამენ. ამასთან იძულებულები ხდებიან გაღაწყვიტონ იმის პრობლემა, თუ ამ მოგებიდან ვის შესხვება უფრო დიდი წილი“. უოლცის სამეცნიერო ინტერესების სფერო საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას და მეთოდოლოგიას მოიცავს და მათ დამოუკიდებელ მეცნიერულ დისციპლინებად განისილავს. ის საერთაშორისო ურთიერთობებს დედუქციური მეთოდით (რეალური პოლიტიკის ინფორმაციად მიღება, რომლითაც სხვადასხვა სარისხის მოსალოდნელობის აპრიორულობა მოწმდება) შეისწავლის. უოლცის ვარაუდით, ერების თამაშში გადამწყვეტია არა ცალკეული აქტორების ძალა, არამედ გლობალური სისტემები. ეს მოსაზრება მნიშვნელოვანია მეთოდოლოგიური თვალსაზრისით: საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ფუნქციონალური აქტორების დონის მუდმივი ცვალებადობის გამო, ცალკეული აქტორებით და სხვადასხვა ჯგუფებს შორის დამოკიდებულებით არ აიხსნება. აქედან გამომდინარე, უოლცი საერთაშორისო ურთიერთობების წინა თეორიებს, მათ შორის კლასიკურ რეალიზმს რედუქციონისტურს (რთულიდან ადვილამდე დაყვანა) უწოდებს. ისინი საერთაშორისო ერთეულებსა და მათი ურთიერთობების ცალკეულ კონკრეტულ პრობლემებს იკვლევენ, მაგრამ საერთო თეორიას ვერ აყალიბებენ. ამრიგად, უოლცი საერთაშორისო ურთიერთობების გლობალური სისტემის მომხრეა: „რადგან აქტორებისა და მათი მოქმედებების საკარაუდო ვარიანტების სიუხვე, შედეგებზე ადექვატურად არ აისახება. ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, ერების თამაშში სისტემური ფაქტორების შემოყვანას“ [4, 93]

„ცივი ომის“ დამთავრებამ პოლიტიკური რეალიზმის პოზიციები მნიშვნელოვნად შეასუსტა. ბიპოლარულ ურთიერთდაპირისპირებაში რამდენადმე დაეფუძნებული ლიბერალურ-იდეალისტური პარადიგმა კვლავ ყურადღების ქვეშ მოექცა. მკვლევართა უმეტესობა თანხმდება, რომ ბიპოლარული სისტემის გამოცდილების კრიტიკული შესწავლით, მსოფლიო საზოგადოებამ საერთაშორისო ურთიერთობების უფრო რაციონალური მოდელი უნდა აირჩიოს, სადაც უპირატესობით სუბიექტებს შორის ურთიერ-

თობების კონსტრუქციული და ნაკლებ ძალადობრიეი ფორმები ისარგებლებენ. XX საუკუნის 70-80-იანი წლებში პოლიტიკურ იდეალიზმში აღმოცენდა ნეოლიბერალიზმი, ანუ ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი (სტრუქტურული ლიბერალიზმი), რომელიც მსოფლიოს პოლიტიკური პროცესების ახალ რეალიებს იკვლევს. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო პოლიტიკური სისტემის ლიბერალური სკოლა უმთავრესად აშშ-ს პრეზიდენტს ვ. ვილსონს (1913-1921 წ.წ.) უკავშირდება. ის საგარეო პოლიტიკაში ღია დიპლომატიის, დემოკრატიულობისა და მორალურობის დამკვიდრებას ესწრაფოდა. საერთაშორისო ურთიერთობებში ამ გაგებას იდეალიზმი ეწოდა. ვილსონის „14 პუნქტი" – საგარეო პოლიტიკაში გამოყენებული იდეალიზმის ბრწყინვალე მაგალითია. მშვიდობიანი მოწესრიგების ეს პროგრამა (კონგრესს 1918 წლის იანვარში წარუდგინა) საერთოდემოკრატიულ სასიათს ატარებდა, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებში უფრო დემოკრატიულ სისტემას ნერგავდა: ფარული დიპლომატიაზე უარის თქმა; სამშვიდობო მოლაპარაკებებისა და შესაბამისი ხელშეკრულებების ღია ეითარებაში წარმართვა და გაფორმება; საზღვაო მიმოსვლისა და ვაჭრობის თავისუფლება; ყველა ეკონომიკური ბარიერის გაუქმება; კოლონიების მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, კოლონიური დაეების მოგვარება; ზოგი ევროპული ერისათვის თვითგამორკვევის უფლება; საომარი კონფერენციაზე ომში გამარჯვებული და დამარცხებული სახელმწიფოების მიმართ სამართლიანი და თანასწორი დამოკიდებულება; ერთა ლიგის საშუალებით მშვიდობის უზრუნველყოფა და ა.შ.

ნეოლიბერალიზმში, სახელმწიფოებს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად (მსოფლიო პოლიტიკის აქტორები), მაგრამ არა ერთადერთად მონაწილედ აღიარებს – განსაკუთრებით საზგასმულია, რომ მათ გვერდით მოქმედებს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები (ადამიანის უფლებების დამცველი, ეკოლოგიური, ფემინისტური, საქველმოქმედო და ა.შ.). ნეოლიბერალების მოდელში, სახელმწიფო მოკლეეადიანი მოგების მაქსიმიზაციით არ უნდა ინტერესდებოდეს და უფრო დიდ სარგებელს ურთიერთმომგებიანი და გრძელეადიანი თანამშრომლობა მოუტანს. ნეოლიბერალიზმში, რეალიზმისაგან განსხვაეებით ძალის ფაქტორის პრიორიტეტულობა შედარებით ნიველირებულია: სხვა სახელმწიფოებზე შეიარაღებული აგრესია, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით, ძვირი სიამოენება ხდება. ზეგაელენის უფრო ეფექტური საშუალებაა – ეკონომიკური და სამართლებრიეი ბერკეტები.

ნეოლიბერალებს სწამთ, რომ მსოფლიო არენაზე სახელმწიფოებს შორის ომების დამთავრებაზე, მშვიდობის დამყარებაზე და ეკონომიკურ აყვაეებაზე, ორიენტირებული ურთიერთობები აუცილებლად უნდა დარეგუ-

ლირდეს. ამაში თავისი წელილი, უპირველეს ყოვლისა, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს და საერთაშორისო რეჟიმებს შეაქვთ. ამ უკანასკნელი თეორიის წარმომადგენლებია: ამერიკელი მკვლევარები რ. ქეოპეინი, ჯ. რაგი, ო. იანგი და ს. კრასნერი, რომელიც რეჟიმს შემდეგნაირად განმარტავს: „საერთაშორისო ურთიერთობათა რომელიმე ერთ სფეროში განცხადებული ან ნაგულისხმევი პრინციპები, ნორმები, წესები და გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურები, რომელშიც მონაწილეთა სურვილები და მოლოდინები ერთმანეთს ემთხვევა“ [5, 183]. რეჟიმი ხანგრძლივ თანამშრომლობაზეა აგებული და მან სახელმწიფოების შორის თანამშრომლობა უნდა გააღვივოს. რეჟიმს ძირითადად პრინციპები და ნორმები ასახიათებს და სწორედ ისინი განაპირობებენ რეჟიმში ქცევის წესებს და გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურებს. ნეოლიბერალების აზრით, ანარქიულობა მთელი რიგი იმ ინსტიტუტების კომპლექსური დასმარებით გადაილახება, რომლებიც სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებს მართავენ და გადაწყვეტილებებს იღებენ. ჯ. მირშაიმერმა საერთაშორისო ინსტიტუტებს უწოდა: „სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობისა და კოსკურენციის განსორციელების განმსაზღვრელი საშუალებების წესების კრებული“. ინსტიტუტები სახელმწიფოთაშორისი კონსენსუსის არსებობას ასახავენ და მისი შენარჩუნებისთვის ურთიერთკომპრომისისა და კონსულტაციების ფორმებს იყენებენ, რაც სახელმწიფოებს შორის არსებულ უთანაბრობას რამდენადმე არბილებს. ინსტიტუციონალიზმის წარმომადგენლები რ. ქეოპეინი, ჯ. რაგი და სხვ. ინსტიტუტებს განისილავენ, როგორც პოლიტიკური აქტორების საქმიანობის შედეგს და მათი პოლიტიკის კორექტირების ინსტრუმენტს. ინსტიტუციონალური თეორია საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ორ ურთიერთდამოკიდებულ მიდგომას გვთავაზობს. პირველი, ყურადღებას ამა თუ იმ ინსტიტუტის აღმოცენების მიზეზებს უთმობს. მეორე – ამ ინსტიტუტების პოლიტიკურ აქტორებზე გავლენას. აჩვენებს და მის ფორმებსა და მიზეზებს შეისწავლის. ის ინსტიტუტების ძირითად ინსტიტუციონალურ ფუნქციებს – სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას და საერთაშორისო პრობლემების მოგვარებას იკვლევს. კეოპეინი ინსტიტუტების ფარგლებში ფორმალურ ორგანიზაციებს, რეჟიმებს და არაფორმალურ ორგანიზაციებს მოიაზრებს. ისინი წარმოადგენენ ურთიერთდამოკიდებული და მყარი წესების ერთობლიობას, რომლებიც აქტორების როლს განსაზღვრავენ და ასდენენ მათი საქმიანობისა და მოლოდინების სტრუქტურიზაციას.

ნეოლიბერალიზმში სწრაფადვე აღმოცენდა სხვადასხვა მიმართულებები. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან: კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების, ანუ ტრანსნაციონალური (რ. ქეოპეინი, ჯ. ნაი), დემოკრატიული მსოფლი-

ოს (მ. დოილი, ბ. რასეტი), საერთაშორისო რეჟიმების (ს. კრასნერი, რ. ქეოპეინი, ჯ. რაჟი) თეორიები. მათ შორის მნიშვნელოვანია ტრანსნაციონალური თეორია. მისი მოღელი წარმოდგენილია რ. ქეოპეინისა და ჯ. ნაის ავტორობით 1989 წელს გამოცემულ წიგნში: „ძალაუფლება და ურთიერთდამოკიდებულება“. ტრანსნაციონალური თეორიის თანასმად, მსოფლიო პოლიტიკა ეს არის დაქსელილი და მრავალგანზომილებიანი კონტაქტების სამყარო, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს საერთაშორისო ურთიერთქმედების მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან მონაწილეებს – ტრანსეროვნულ კორპორაციებსა და საზოგადოებრივ მოძრაობებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, ფინანსურ ჯგუფებს და სხვა კერძო აქტორებს. ისინი სახელმწიფოებს საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრებიდან და პერიფერიებიდან აძევებენ და მათ მსოფლიო არენაზე ახალი წესებით მიმდინარე თამაშის რიგით წევრებად აქცევენ. ქეოპეინი და ნაი მიუთითებენ: „სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკაზე, ტრანსნაციონალური ურთიერთქმედებისა და ტრანსნაციონალური ორგანიზაციების, გაელენის სუთი ძირითადი ვარიანტი გამოიყოფა. ოთხი მათგანი ტრანსნაციონალური ორგანიზაციების ჩარევის გარეშე. ტრანსნაციონალურ ურთიერთქმედებას წარმოადგენს; გაელენის მესუთე ვარიანტი შესაძლებელია იმ დროს, თუ ტრანსნაციონალური ორგანიზაციები ფუნქციონირებენ, როგორც ავტონომიური ან კვაზიავტონომიური აქტორები. ეს ვარიანტები მდგომარეობს შემდეგში: 1) ურთიერთობების ცვლილება; 2) საერთაშორისო პლურალიზმი; 3) სახელმწიფოებს შორის დამოკიდებულების და ურთიერთდამოკიდებულების მეშვეობით, შეკავების მექანიზმის განვითარება; 4) ერთი სახელმწიფოს მთავრობის შესაძლებლობა გაელენა მოახდინოს სხვა სახელმწიფოების მთავრობებზე; 5) საკუთარი საგარეო პოლიტიკის მქონე ავტონომიური აქტორების ჩამოყალიბება, რომლებიც სხვა სახელმწიფოების პოლიტიკას დაუპირისპირდებიან ან შელახავენ“ [6, 245-246].

ტრანსნაციონალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში, გლობალიზაციისა და სტრუქტურული ცვლილებების მიუხედავად, მთავარ აქტორად სახელმწიფოს ტოვებს. ისინი ქეოპეინისა და ნაის აზრით, პერსპექტივაშიც მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ: „ურთიერთდამოკიდებულება მსოფლიო და სახელმწიფოთა პოლიტიკაზე გაელენას ახდენს, მაგრამ სამთავრობო პოლიტიკაც ურთიერთდამოკიდებულების მოდელზე ანალოგიურად ზემოქმედებს... სახელმწიფოები იყენენ და რჩებიან მსოფლიო პოლიტიკის ძირითად აქტორებად. ისინი მონოპოლიურ ორგანიზაციულ ძალას წარმოადგენენ, რომლის პოტენცია და რესურსები უმთავრესია გარიგებების დადებაში. ამგვარად, სახელმწიფოს იგნორირება უაზრობაა“. მიუხედავად ამისა, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია, საერთაშო-

რისო ურთიერთობებში სახელმწიფოებს ერთაღერთ და გამორჩეულ სუბიექტად არ აღიარებს და მიუთითებს სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებზე, დაინტერესებულ ჯგუფებზე, ბიუროკრატიაზე, გაელენიან ინდივიდებზე, ეკონომიკურ და ფინანსურ ძალებზე, რომლებიც სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში, აშკარად თუ კულუარულად ერევიან.

ტრანსნაციონალიზმის ერთ-ერთი დებულებაა – საერთაშორისო პლურალიზმი. რ. ქეოპეინი და ჯ. ნაი წერდნენ: „ჩვენ საერთაშორისო პლურალიზმის ქვეშ, ტრანსნაციონალურ სტრუქტურებში იმ ეროვნული ჯგუფების ინტერესების ურთიერთქმედებას ვგულისხმობთ, რომლებშიც ტრანსნაციონალური ორგანიზაციები საკუთარი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით ხშირად მონაწილეობენ". ტრანსნაციონალური ორგანიზაციები ქვეყნის მასშტაბით იზიდავენ ახალ ძალებს, რაც ფაქტობრივად ხელს უწყობს საშინაო პოლიტიკის ინტერნაციონალიზაციას. კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის პრიმატს მნიშვნელობას უკარგავს და წინა პლანზე – ეკონომიკას, კეთილდღეობას, ეკოლოგიურ პრობლემებს და ა.შ. წევს: „სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესების მსოლოდ სამხედრო ინტერესებამდე დაყვანა დღეისათვის უაზრობად იქცა, რადგან ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები ხშირად სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია" [6, 260]. ამრიგად, საერთაშორისო ურთიერთობებში ურთიერთდამოკიდებულების, ანუ ტრანსნაციონალიზმის თეორია, სახელმწიფოებს მსოფლიო არენაზე „მოდის კანონმდებლის" ფუნქციას უსუსტებს; ძალისა და ძალთა ბალანსის მნიშვნელობას ამცირებს; „სუპერენიტეტის გარეთ" მყოფი აქტორების რიცხვსა და მრავალფეროვნებას და, მაშასადამე, „მონაწილეობის პარადოქსს" ზრდის. ამრიგად საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლაში ამერიკული სკოლის წარმომადგენლების როლი და გაელენა განუზომლად დიდია. მათ ჩამოაყალიბეს საკუთარი ხედვა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა ფუნდამენტურ საკითხებზე და მათ რჩევებს და მოსაზრებებს აქტიურად იყენებს თავის საქმიანობაში ამერიკული დიპლომატია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Morgenthau H. J. Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace. New-York, 1948.
2. Wolfers A. Discord and Collaboration: Essays on International Politics. Baltimore, 1988.
3. Walts K. N. Man, the State and War. New-York, 1959.

4. Walts K. N. Theory of International Politics. New-York. 1979.
5. რონდელი ა., საერთაშორისო ურთიერთობები, თბ. 2006.
6. Keohane R. O., Nyae J. S. Pwer and Interdependence, Glenview, 1989.

VASIL PERADZE
Akaki Tsereteli State University, Assoc. Prof.

SUMMARY

CONTEMPORARY AMERICAN SCHOOL OF INTERNATIONAL RELATIONS

The representatives of American school have contributed much to the study of contemporary international relations. They introduced and incorporated in scholarly circulation many fundamental theories and conceptions on which American and generally, Western diplomacy is based. They have provided innovative perception and analysis of the actual problems and events related to the contemporary international relations. A rich variety of theories and opinions in contemporary science of international politics are based on three major paradigms: realism (classical realism and neo-realism), liberalism (traditional idealism and neo-liberalism) and Marxism (neo-Marxism). However, these paradigms cannot fully cover the nature and the essence of international relations. Since 1960s and 1970s the following trends have been evolving: transnationalism and institutionalism, constructivism and postmodernism. International political economy and sociology of international relations are getting more and more independent. Contemporary American school of international relations is one of the internationally recognized schools in the world.

GEORGE GAVTADZE
Akaki Tsereteli State University, Professor
Tbilisi State University of Economical Relations, Professor

MODERN WAYS OF DEVELOPING OF ECONOMICAL EDUCATION AND PROFESSIONAL IMPROVEMENT OF SOCIETY IN IMERETI REGION, CONSIDERING OF US EXPERIENCE

We live in the World of rapid technological development and continuous changes. The globalization of economy enforces people to be trained and re-trained to participate successfully in the dramatically changing conditions of life due to indicated facts.

The governments of the countries in transition, like Georgia, have responded to those changes by planning their human resource development in the two directions: Training of young people; Re-training and upgrading the knowledge and skills of adults.

Nowadays the local government of Imereti Region mightn't be compelled to control and manage directly the whole local educational system, especially the high education and professional training. We're sure, that the educational institutions must be able to take in hand the initiative of carrying out this function of State. It's necessary, because they are closer to the demands of the regional economy and the society (in case of education and training), than the central government. But the governance of the region can play an important role in creating of general studding orients according of its problems and priorities.

Thus, including the educational and training systems themselves, accessibility of universities, teachers/lectures training, curriculum development, staff development, strategic thinking are some of the basic ones to be planned in order of relevant, effective and practice oriented training programs that can equip young people and adults with adequate knowledge, skills and attitude.

But improper planning and management of university can be one of the reasons for wastage of money and human resources, that affects badly the regional economy as every teaching and training processes need a big material and human resources. Therefore, in this project work I focused on decision searching for the existing high unemployment rate of graduates, dealing with the core problems and indicated helpful approaches I got from different studies (see the bibliography), Internet and from different professional and training courses at the universities of USA and Europe.

One of the ways of professional perfecting of students and creating "on stu-

dent and market oriented" teaching and learning process in Imereti Region is the creation of the different types of study at the institutes of high education and professional schools too, like: Continuing courses; Distance learning courses; E-learning courses. In all developed countries academies and scientific societies offer scientific and specialized further education (often in co-operation with the relevant occupational and professional associations).

In the future the educational institutions of Imereti Region should offer more specialties and courses, according to the demands of the region, employers and society. Using the different types of study, mentioned above, they can create new courses with the other universities of the country and outside.

One of the ways of developing staff and creating "student and market oriented" teaching and learning process in KSU is the creation of the different types of study, like: Continuing courses; Distance learning courses; E-learning courses.

Continuing courses (life long learning)

In all developed countries academies and scientific societies offer scientific and specialized further education (often in co-operation with the relevant occupational and professional associations).

It's true, that the universities in our region are overcrowded with first-time students and has often been unable to fulfill its legal further training obligations. But they can organize weekend schools or summer schools or etc., to create these courses. If in Germany the institutes of higher education account about 8% of continuing education participants (BSW, 6-th vol., p. 237), for universities and technical and vocational education and training institutions this point may be higher, because there are only very few similar courses in other Universities of Georgia.

Distance learning and E-learning

Distance and E-learning courses are also beneficial for KSU. But talking about them may become the only fair tale, without renewing and improving the P.C. laboratories, any other equipment and different resources.

Today around the globe, there are places where students and their teachers are using networking technologies to find what few learners are capable of imagining. They are exploring new frontiers of knowledge and challenging traditional natures of school. This is process; they are sowing the seeds for global learning in university.

It is generally believed that teachers in Georgia are doing a poor (few salary) job of teaching the youth of today. We feel that the use of technology will allow the lecturers to do a better job in today's challenging environment, by motivating students in new ways, allowing students different learning styles, and by putting

special needs students more level with their peers. The use of the World Wide Web excites and motivates students.

The new generation of students has grown up in a world of computers. So, we need to encourage students to become familiar with the different tools and resources that would enable them to compete in the 21-th century. The students of the future need to know how to use the internet in an efficient manner as a communication, research and business medium. That's why, we as a teachers, need to restructure our philosophy of teaching.


The internet has the ability to erase all geographical, languages and time barriers so that students can continue their learning long after leaving institutions. We do believe that the motivation generated by the use of the internet resources will appeal to students of all ages and abilities; therefore, motivating them to get involved and increase the time and quality they need to study. The internet has the potential to drastically change the way students learn. They can take control of their own learning. Of course, participants must pay for these courses, which will enrich income of universities.

There is the scheme of links between the general study and different courses:

Probable names for courses:

Continuing study courses:

Business training for scientists; laboratory internship for economists; financing of export; export providing and communication skills; new products producing; electronic business (internet); business strategic planning;



Distance learning and E-learning:

(http://kicbi.karelia.ru/kicbi/index.html, 10.10.2002)

Teacher of economics; office management (bank, industry, ...); marketing of small and medium businesses; management of small and medium businesses; accounting and taxing of small and medium businesses; regional economy; analyses of financial activities; analyses of industrial activities; development of small and medium businesses; the small innovational business; research before investing; international

economical activities of small and medium companies;

In the end of this publication I'd like to unify the steps for developing of the curriculums in educational institutions and exactly for the new special courses. I think that the curriculum development process must be oriented on some main goals:

1. The new courses (using the different types of study) have to become an integral part of national education system;

2. There must be a flexible access to the courses of the different types of study throughout life without age limits;

3. to guarantee a successful career for young people;

4. to guarantee a skilled workforce for the economy;

5. qualification decreases the risk of unemployment;

6. learning in a practical working environment promotes the personal development;

7. skills for further education;

8. preparing for life-long learning;

These goals may be reached by making the following steps:

➢ To orient the curriculum:

- on state, regional and local demands by organizing new specialties and special courses;

➢ To analyze:

- The environment: Social; Economical; Political;

- The regional economy: Most developed fields; Current demands; Future demands;

- The labor market: To analyze the structure of labor force; To research the fields of unemployment and employability;

- to take an interview from the students and graduates: What they like most of all in the studying process; What they don't like in the studying process; What is prevent them to find job;

➢ To research the influence of globalization on the labor force mobility and get new information about communication technologies, their impact on educational process;

➢ To deepen the links between companies, employers;

➢ To join students in grant programs;

➢ Encourage interdisciplinary specialties;

The curriculum development program must be oriented on the one important task - the graduates should be able not only to find their jobs, but also to be

employed by themselves. They must have possibilities to set up own business and to train young people.

Education and training provision must be designed to enable learners to acquire, enhance and update their ability to meet the demands of specific occupation and work roles.

REFERENCES:

1. Avril A.V., Middleton J., Ziderman A., The world bank's policy paper on vocational and technical education and training in: Prospect vol. 2, 2/1992.
2. Gavtadze G., The establishment of special offices at KSU according to the needs end demands of Imereti Region, Georgia (with the focus of faculty of Economics), within the program "Management of technical and vocational education and training (TVET) institutions, In Went, Manheim, November 2002.
3. Curriculum Revision as a Research activity, 20/9/2002, "Paper presented at the National Association for research in science Teaching Annual Meeting". New Orleans, LA, April, 2000.
4. Harney K., Heikkenen A., Rahn S., Schemmann M., Lifelong Learning: One Focus, Different Systems, 2002.
5. Pedroni G.E., The importance of the World Wide Web in Education. Southern Illinois University at Edwardsville, August, 1996.
6. Project works in the field of organization of vocational training and curriculum development. TK 622-231-93, DSE/ZGB Mannheim, Germany.
7. Shaker Y.O., Strategy for developing Training of Trainers (TOT) Program. DSE/ZGB Mannheim, Germany.
8. The Changing Role of Government and Other Stakeholders in Vocational Education and Training. Training Policies and Systems Branch Employment and Training Department International Labor Office (ILO), Geneva, Switzerland.
9. Wallenborn M., Wieckenberg U., Opportunities, Risks and Perspectives of Learning with New Media in the Information Age. ZGB, Industrial Occupations Promotion Centre, Mannheim, 2000.
10. Woyessa G.W., Improving the Training Quality as a Solution for Unemployment Problems of TVET Schools' and SDC's Graduates in ONRS, Individual Study, Mannheim, Germany, 2000.
11. http://www.geocities.com/Athens/5461/paper_1.2.html 06.10.02, Examples of Educational Uses of the WWW
12. http://www.ilo.org

13. http://www.unesco.org
14. http://www.isi.fhg.de/ir
15. http://www.fz-juelich.de/ptj
16. http://www.unevoc.de/congress/themes-e.html
17. http://www.ded.state.mo.us.html

გიორგი ღავთაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

რეზიუმე

საზოგადოების ეკონომიკური განათლებისა და პროფესიული განვითარების თანამედროვე გზები იმერეთის რეგიონში (აშშ გამოცდილების გათვალისწინებით)

ჩვენ ვცხოვრობთ სწრაფი ტექნოლოგიური განვითარებისა და მუდმივი ცვლილებების ეპოქაში. ეკონომიკის გლობალიზაცია აიძულებს ადამიანებს გაანცდეთ პროფესია და ცალკეულ გამოცდებით პქონდეთ ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაცია, რათა შეძლონ წარმატებით აუწყონ ფესი ცხოვრების ცვალებად პირობებს.

ამიტომ, თვით საგანმანათლებლო და საწერთნელი სისტემის ზოგადად და თითოეული უნივერსიტეტის ხელმისაწვდომობა, მასწავლებლების/ლექტორების კვალიფიკაცია, სასწავლო გეგმების განვითარება, კაღრების განვითარება და სტრატეგიული ამოცანება, წარმოადგენენ იმ მნიშვნელოვან საკითხებს რომლებიც წინასწარ უნდა იქნან დაგეგმილი რელევანტური, ეფექტური და პრაქტიკულ შეღეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და საწერთნელი პროგრამების შესამუშავებლად. ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, უზრუნველყოფენ მსურველების აღჭურვას აღეკვატური ცოდნით, უნარ-ჩვევებითა და დამოკიდებულებით.

მომავალში, იმერეთის მსარის უმაღლესმა სასწავლებლებმა საზოგადოებას უნდა შესთავაზონ რეგიონის, დამქირაეებლების და ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სპეციალობები და სასწავლო გეგმები. სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის გამართვის ერთ-ერთ გზად გვესახება სწავლების სხვადასხვა ფორმების ორგანიზება და განვითარება, როგორებიცაა: უწყვეტი განათლება, დისტანციური სწავლება და ინტერნეტით სწავლება.

პაატა ჩხეიძე
პროფესორი, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“

ოპოზიცია, დემოკრატია და თავისუფლება

გასული საუკუნის მიწურულს წერილი გამოვაქვეყნე გაზეთ „ახალ საქართველოში“, სადაც მკითხველს ვაფრთხილებდი, რევანშის აჩრდილი დაძრწის საქართველოში-მეთქი. პრეზიდენტის ხელისუფლება მისუსტებული და ავტორიტეტდაკარგული იყო, მეღროვეები რევანშისათვის ემზადებოდნენ, მასები ბელადს ეძებდნენ და ბელადიც (ანუ ბელადები) ემზადებოდა.

ორი წელიც არ გასულა იმ წერილის შემდეგ და რევანში შედგა, პრეზიდენტის სიძულვილითა და შურისძიების წყურვილით ანთებულ მასებზე (დემოსი) დაყრდნობით, მოხდა „ვარდების რევოლუცია“, „ხავერდოვანი რევოლუცია“ თუ სასახლის გადატრიალება, რაც ვნებაეთ ის უწოდეთ; და, თუ რევოლუცია იყო, უფრო იმიტომ, რომ აგრესიული განწყობილება დაისერგა რევოლუციური ქინით, გაბოროტებითა და დაუნდობლობით, თორემ, სხვა მხრივ, ბევრი არაფერი შეცვლილა: უმაღლესი და საშუალო დონის, ხელისუფლების ერთი ნაწილი აღგილზე დარჩა, ოღონდ გაყარიასად გამოიმარჯვა; არ შეცვლილა ადმინისტრაციულ-მმართველობითი სისტემა და საშინაო პოლიტიკა, მხოლოდ შეკეთდა, სასლების ფასადების მსგავსად; შეიცვალა ფისკალური პოლიტიკა; მსიშვნელოვანად შემცირდა წერილმანი მექრთამეობა; გაძლიერდა სახელისუფლებო ვერტიკალი; რადიკალური და ცალმხრივი გახდა დაბალანსება საგარეო პოლიტიკაში. ამაღე დროს, ჰა და ჰა, თავისუფლების სუნნაგრძნობ ქართველებს ტყავისქურთუკიანი ჩეკისტივით წამოადგა თავს ფსევდოამერიკულ საზოსში გამოწყობილი ტერორი: ერთ დილით გაღვიძებულებმა აღმოვაჩინეთ, რომ ხელისუფლებას გროშის ფასად უღირდა **ადამიანის სიცოცხლე, ადამიანის ღირსება და კერძო საკუთრება;** და ამას ის უბედურებაც დაემატა, რომ კანონმა განიცადა დეევალვაცია და ისედაც იაფი, სულ გაუფასურდა.

კანონის არადჩაგდება საბჭოური სენი და გადმონაშთია; იმდროინდელი, როცა თეალის ასახვეევად შეთითხნილი „კონსტიტუცია“ გვერდზე იყო მიგდებული და იმპერია პარტიული ბოსების დირექტივებით იმართებოდა. ყოფილმა საბჭოთა ბოსმა ეს გამოცდილება პოსტსაბჭოურ საქართველოში გადმოიტანა და თავის მოწაფეებსაც დაასწავლა. მისი ყველაზე ნიჭიერი მოწაფე ცინიკურად იტყოდა ხოლმე, თუ კანონი ხელს გვიშლის შეცვალოთო.

რევოლუციური განწყობილება ბუნებრივად წარმოშობს ტირანიასა და

დიქტატურას. დიქტატურა, თავის მხრივ, ყველა ხერხითა და საშუალებით ცდილობს ძალაუფლების შენარჩუნებას. ჩვენი სელისუფლების უმთავრესი მიზანიც ძალაუფლების შენარჩუნებაა. ცხადია, რომ რევოლუციური განწყობილებით გატარებულმა რადიკალურმა რეფორმებმა მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია და ნელ-ნელა ისეც წამოიმართა რევანშის აჩრდილი.

სელისუფლების პირველ პირებს უნდა ესმოდეთ, რომ ამგვარ ვითარებაში დამარცხება უთუოდ გამოიწვევს მათი საქმიანობის გამოძიებას და, უკეთეს შემთხვევაში, სასამართლო პროცესს; ამიტომ არ შეიძლება დამარცხება და, ამიტომაც, ყველა ხერხსა და საშუალებას გამოიყენებენ გამარჯვებისა და მიზნის მისაღწევად. მაკიაველის ეს ფორმულა მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, როცა ერის გათავისუფლებასა და გამთლიანებას ისახავ მიზნად და სწორედ ამ მიზანს დაისახავს სელისუფლება ძალაუფლების შესანარჩუნებლად. მათი მოქმედება გვაფიქრებინებს, რომ ისინი აუცილებლად იბრძოლებენ ანუ იომებენ მიზნის მისაღწევად, ოღონდ ეს იქნება არა თავგანწირვა მამულისათვის, არამედ ავანტიურა ძალაუფლებისათვის; ეს იქნება რევოლუციის მონაპოვრის გავრცელების მცდელობა, რადგან ასეთია რევოლუციის „კანონი"; ამ „კანონს" მისდევდნენ იაკობინელები და ბოლშევიკები; ამ „კანონს" გაჰყვა წინა პრეზიდენტი და ახლა ამათი ჯერია.

რევოლუციური სელისუფლების ბუნებისათვის დამახასიათებელია მოსახლეობის შეზღუდვისა და საფრთხის დიადი მიზნებით გამართლება. დღეისათვის ეს გლობალური პოლიტიკის მთავარი იარაღია და თვით კლასიკური კონსტიტუციონალიზმის ქვეყნებიც კი ასე იქცევიან; მაგრამ მათ ჯერ კიდევ შემორჩათ ე.წ. „შეკავებისა და ბალანსის" ანუ, ჩვენებურად, კონტროლის მექანიზმები. ეს მექანიზმებია: პოლიტიკური უმცირესობის ხელშეუვალი უფლებები, დამოუკიდებელი სასამართლო, დამოუკიდებელი ადგილობრივი სელისუფლება და სხვა და სხვა. და მიუხედავად იმისა, რომ მრავალმხრივ არიან დაბორკილნი, ტირანიისაკენ მიდრეკილი ხელისუფალნი ათასგვარ ხრიკს იგონებენ, ათას ხერხს ხმარობენ ცენტრალური სელისუფლების ძალაუფლების გასაძლიერებლად. კარგად ჩაეისედოთ დასავლურ პოლიტიკასა და გლობალისტურ ტენდენციებში და დავრწმუნდებით. გავიაზროთ რას ნიშნავს „ძალაუფლება ძალაუფლების უკან (კლაეს რინი) და ჩავწვდებით.

ჩვენში, „შეკავების" ანუ „დაოკების" პოლიტიკური მექანიზმები არ არსებობს. ამის მაგალითი ჩვენი მრავალჯერ გაბასებული კონსტიტუციაა. ჯერ დაწერილი და პარლამენტში სამი ზოსმენით მიღებული კონსტიტუცია რა ბედენაა და მერე იმდენჯერ ნაგვემი და გადაკეთებული, როგორიც

ჩვენია. დღეს ამბობენ, სრულიად ახალი კონსტიტუცია გვჭირდებაო. ეგებ ასეცაა, მაგრამ რაზე უნდა დაეყრდნოს ჩვენი კონსტიტუცია, ევრო-ამერიკულ თარგებზე თუ ქართულ სამართლებრივ ტრადიციაზე, საუკუნეების მიღმა რომ იღებს სათავეს? ადამიანის აბსტრაქტულ უფლებებზე თუ კონკრეტულ პრეცედენტებზე? კონსტიტუცია ეროვნული იდეაა, ერის სახეა (კოლორიჯი), ნამდვილი სახე და არა საბღვარგარეთ შეძენილი ნიღაბი.

სწორედ იმიტომ, რომ დაოკების მექანიზმი არ გააჩნია დღევანდელ ქართულ კანონმდებლობას, არც ღვთისა თუ ეკლესიის შიში აკავებს ხელისუფლებას და არც არავითარი ჩარჩო, მღუდე თუ ზღვარი, ყველაზე აბუჩად დაგდებულად კანონი რჩება. კანონი გამუდმებით ირღვევა ან იცვლება, მომავალი კეთილდღეობის სახელით. ხანდახან მგონია, რომ ჩვენმა სახელისუფლებო იდეოლოგებმა, პოლიტიკის ისტორიისა ფილოსოფიის სწავლის ნაცვლად, change-management-ის ბიზნესკურსები გაიარეს დასავლეთში და ამ მეთოდოლოგიის ქართული პოლიტიკისათვის მორგებას ცდილობენ. ან ამერიკული ინოვაციები რად გვინდა, განა მომავალი კეთილდღეობის სახელით უკანონობის, ჩაგვრისა და ტერორის გამართლება დიდხანს წესად არ გვქონდა დასახული?!

Fiat iustitia perael mum dus! კანონის დარღვევა, ანუ არ აღსრულება ყველაზე დიდი უბედურებაა ურწმუნოების შემდეგ. ყოველი პრობლემა, ყოველი განსაცდელი, ჩვენშიც და სხვაგანაც, ულმერთობისა და უკანონობის შედეგია.

გავიხსენოთ როგორ განვითარდა მოვლენები XXI საუკუნის საქართველოში: არსებული ხელისუფლება სრულიად უუნარო გახდა და წინასწარ დანებდა ოპოზიციას. მიუხედავად ამისა, 2003 წლის არჩევნებში, პრეზიდენტმა, ჩვეულებისამებრ თუ წინასწარგანზრახვით, მაინც დაარღვია კანონი და გააყალბა არჩევნები. ოპოზიციამ მოიმარჯვა რუსოს რევოლუციური იდეა, უმრაელესობის სებისა, დაარღვია კანონი, შეიჭრა პარლამენტში და „განდევნა“ პრეზიდენტი, მოახდინა ე.წ. რევოლუცია და ამძლავრა ტერორი. მანამდე ხომ თვითონ, ანუ აწ უკვე გადაყენებულმა პრეზიდენტმაც იგივე მოიმოქმედა, გასული საუკუნის 91-92 წლებში; ნუ დამიწყებთ მტკიცებას, ის სისხლიანი იყო და ეს „ხაერდოვანიო“, რევოლუცია რევოლუციაა, ტერორი – ტერორი. გავიდა ოთხი წელი, „ვარდების რევოლუციიდან“, და მომძლავრდნენ რევანშისტული ძალები; რევოლუციით იმედგაცრუებული ანუ რევოლუციაში ხელმოცარული პოლიტიკოსები ჩაიყენეს სათავეში, ორიოდე ანტირევოლუციონერიც შეიერთეს და ახალი რევოლუციისა თუ გადატრიალებისათვის დაიწყეს „მოძრაობა“. ამ „მოძრაობას“ საფუძვლად და წამქეზებლად ხელისუფლების მიერ კანონის დარღვევისა და მოქალაქეთა ჩაგვრა-შეურაცხყოფების ფაქტები უდევს; პოლიტიკური თე-

ორიის მისედვით (თუნდაც ლოკი ავიღოთ), მათ აქვთ უფლება აჯანყდნენ და დაამსონ ხელისუფლება; ამისათვის ისინი იყენებენ ხალხის ანუ მოსახლეობის უმრავლესობის, ანუ მასების „ნებას“ (რუსო). ასე დაამხეს წინა ხელისუფლება. ასე უნდათ დაამსონ არსებული ხელისუფლება. სხვათა შორის, „ვარდების“ რევოლუციის მეიმის წუთებშივე გაჩნდა ეს აზრი, თუ არ გაამართლებენ ამათაც დავამსობთო; აი, ასე გვინდა ავაშენოთ სახელმწიფო!

ამ ადამიანებს ჩვენში „ოპოზიციას“ უწოდებენ. და, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ვერაფერი ბედნაა, ეს ჩვენი ოპოზიცია, ქვეყნის ერთადერთ იმედად რჩება. რადგან რევოლუცია, ყველგან და ყოველთვის, ბუნებრივად გადადის ტირანიაში და რადგან ჩვენში არ არსებობს ამ პროცესის შემაკავებელი მექანიზმები, ოპოზიციის ანაბარაღა ვარსებობთ. ეს ჩვენზე უკეთ დასავლეთმა იცის და ამიტომ იღწვიან ოპოზიციის „ფორმირებისათვის“. ოპოზიციამ უნდა შეაკავოს რევოლუციური ხელისუფლება, რათა ერთ დილით უკვე დასრულებული დიქტატურის ბრჭყალებში არ გაეიღვიძოთ. გამოდის რომ უკანონობის პირობებში მყოფნი კვლავ უკანონობის მოიმედენი ვართ.

ოპოზიცია რაიმესადმი წინააღმდეგობას, დაპირისპირებულობას გულისხმობს. ზოგადი სახელია და კონკრეტული გამოვლინებანი აქვს. ქართულ პოლიტიკურ დროსა და სივრცეში, 1990 წლიდან მოყოლებული, რეალურად ორი პოლიტიკური ძალა არსებობს: ხელისუფლება და ოპოზიცია, პოლიტიკური პარტიები მხოლოდ უსახური ფონია ამ ჭიდილში. დღემდე არც ერთს არ გააჩნია მყარი იდეოლოგიური, სოციალური და პოლიტიკური საყრდენი. მერყეობენ და სან ერთ მიმართულებას ირჩევენ და ხან მეორეს. ორივეს თვითმიზანი ძალაუფლებაა. ერთს სურს შეინარჩუნოს ძალუფლება, მეორეს კი – მოიპოვოს. არც ერთს არ გააჩნია ჩამოყალიბებული პოლიტიკური ფილოსოფია და არც ერთი არ არის გულწრფელი, პოლიტიკური შესედულებების წარმოჩენისას. ზოგი ნეობოლშევიკია და დემოკრატობას იბრალებს; ზოგი ხან მწვანეა, სან სოციალისტი და ხანაც მემარჯვენე-ცენტრისტი; ზოგი გლობალისტი გახლავთ და ამას არც მალავს, მაგრამ პოსტსბჭოური სთეთისტები ანუ ნეობოლშევიკები რომ არიან, არ ამხელენ და ლიბერალ-დემოკრატობას, ან, სულაც, ლიბერტარიანობას იბრალებენ. აი, სწორედ ასეთი პოლიტპარტიული გრიფონია ჩვენი, დღევანდელი ხელისუფლებისა და ოპოზიციის პოლიტიკური ფილოსოფია.

ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთ მიღწევად კორუფციასთან ბრძოლა ითვლება და უკვე აღვნიშნე, რომ წვრილმანი მექრთამეობა რადიკალურად შემცირდა; მაგრამ კორუფცია არ არის მხოლოდ ქრთამის აღება. კორუფ-

ცია ისიცაა, რომ მოსამართლენი იძულებულნი არიან პროკურატურას დაემორჩილონ; კორუფციაა კერძო საკუთრების უბოდიშო და უსამართლო ხელყოფა; კორუფციაა კერძო საუბრების მოსმენა, ტელეფონით იქნება თუ სხვა; კორუფციაა „დიდი ძმა გიყურებს“ პოლიტიკა, ანუ ის რითაც კორუფციას ებრძვიან და სახელმწიფო უსაფრთხოებას იცავენ. კორუფციის სათავე და წყარო რადიკალურად ცენტრალიზებული, სეკულარული ხელისუფლებაა. კორუფცია ცენტრალურ სახელმწიფო ორგანიზმშია ჩაბუდებული და, რაც არ უნდა პატიოსანი ადამიანები იყვნენ ხელისუფლებაში, ეს ვერა თავს მაინც ირჩენს. სასეიროდ, გაბეთ „24 საათში“ გამოქვეყნებული ტენდერები გამოდგება. ეს ისეთი სერია, რომ ასტროლოგების პროგნოზებზე უკეთ შეგაქცევინებს თავს და საქმეში ჩაუხედავი მკითხველიც კი ხვდება, რომ გარიგება შემდგარია და ტენდერს „კანონის დასაცავად“ და თვალის ასახვევად აცხადებენ.

ვფიქრობ, უკვე შეიძლება ხმამაღლა განვაცხადო ის, რისთვისაც ყველა-სათვის ნაცნობი ფაქტები დაგასვავე – ეს ყოველივე, *ძვირფასო მეგობრებო, დემოკრატიის შედეგია!* და სანამ გიყს მიწოდებთ და ქვებს მესერით, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, *ჩვენი პრობლემების უმრავლესობა, გლობალისტი ახალიაკობინელების მიერ, აღთქმული ქვეყნის მისაღწევად დასახულ, საყოველთაო, უნივერსალურ, მსოფლიო დემოკრატიზმის გზაზე უკრიტიკოდ და მოუსინჯავად დაღგომის შედეგია.*

დემოკრატიზმი ახალი, სეკულარული რელიგია გახდა და a priori პოზიტიურ მოვლენადაა მიჩნეული. აბა ვინ გაბედავს და იტყვის, თუნდაც გულში ფიქრობდეს, რომ დემოკრატია უარყოფითი მოვლენაა! ასე იყო სულ რაღაც ოციოდე წლის წინ; თითქმის ყველამ იცოდა, მაგრამ თქმას მხოლოდ ერთეულები ბედავდნენ, კომუნიზმი ბოროტებაა. ამის თქმა მაშინ ღალატი და მავნებლობა იყო, დღეს დემოკრატიის დაგმობა „პოლიტკორექტულობის“ დარღვევაა, რამაც ეგებ ციმბირში არ გაგაგზავნოს, მაგრამ გაგრიყავს და ცხოვრების სახსარს მოგისპობს.

განა ვინმეს შეუძლია თქვას, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები და მონაწილენი იმისათვის იბრძოდნენ, რომ დემოკრატისტული კერპის სამსხვერპლო აეგოთ? – არა, ისინი იბრძოდნენ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, დემოკრატია კი თავისუფლება არ არის!

და ოპოზიციის მიერ ხელისუფლებისათვის ნიშნისმოგებით დასმულ რიტორიკულ შეკითხვას, – ეს არის დემოკრატია?! ან კიდევ მკვახე და ისტერიულ შეძახილს, – ეს არ არის დემოკრატია! ხელისუფლებამ ჯიქურ უნდა უპასუხოს, – დიახ, ეს არის დემოკრატია! და ხელისუფლება მართალი

იქნება. დემოკრატია გინდოდათ? – ინებეთ!

დემოკრატიზმი შელამაზებული ანუ მოჩვენებითი ფასადია და მის საყოველთაოდ პოზიტიურად მიჩნეული ნიღბის ქვეშ იაკობინიზმის, მარქსიზმისა და ფაშიზმის მემკვიდრე, მსოფლიო მბრძანებლობის მოსურნე, დაუნდობელი ურჩხული იმალება.

ინდივიდის თავისუფლება კერძო საკუთრებაზეა დაფუძნებული და რელიგიურ, ადათებრიესა და ტრადიციულ ჩარჩოში არსებობს. სამოქალაქო თავისუფლება შუა საუკუნეებში, ფეოდალურ საზოგადოებაში გაჩნდა და განვითარდა, არა დემოკრატიისა თუ თანასწორობის შემწეობით, არამედ პრივილეგიების საშუალებით. პირველი სასამართლოები, პარლამენტები და დარბაზები არისტოკრატებმა დააფუძნეს და გააძლიერეს. თანამედროვე დემოკრატიამ ფეოდალიზმისაგან ისწავლა ის, რომ ინდივიდუალური თავისუფლება წმინდაა და, იმის ნაცვლად რომ მოურთსილებოდა, გაამასობრივა და გადააგვარა. დემოკრატიამ თავისუფლება ინდივიდუალური პრივილეგიიდან საყოველთაო უფლებად გადააქცია, ამით რაოდენობრივად გაზარდა, მაგრამ სარისხობრივად დააკნინა. თავისუფალი ინდივიდი ინარჩუნებს და აძლიერებს თავისუფალ ინსტიტუტებს, უზრუნველყოფს კონსტიტუციის დაცვას და სახელმწიფოს ეეოლუციურ განვითარებას. დემოსი და ბრბო ასდენს რევოლუციას, ირჩევს ტირანსა და დიქტატორს, ვინც კონსტიტუციას ძალაუფლების შესანარჩუნებელ იარაღად მიიჩნევს და არსებულ ხელისუფლებას ერსა და სახელმწიფოზე მაღლა აყენებს; იგი რევოლუციის „კანონით“ გადაიქცევა „იმპერიალისტურ“ პიროვნებად (ირვინგ ბებიტი), დაუპირისპირდება ტრადიციულ პიროვნებას და ცდილობს მთელი მოსახლეობა ახალ „იმპერიალისტურ“ მორალს დაუქვემდებაროს, დაახლოებით ისეთად აქციოს, როგორიც საბჭოთა ადამიანი იყო. იმპერიალისტური პიროვნება და მის გარშემო შეკრებილი ჯგუფი დარწმუნებულია, რომ მოვლენილია ქვეყნისა და მსოფლიოს მხსნელად და მხოლოდ ის არის გამართლებული, რასაც თვითონ აკეთებს. იგი იდეალისტს უწოდებს თავის თავსა და მომხრეებს, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ მხოლოდ ფულსა და ძალუფლებას ესწრაფვის.

დემოკრატია იოლად შეიძლება გადაიქცეს ჩაგერის იარაღად, როცა უმრავლესობა არაფრად აგდებს უმცირესობის აზრს. ეს ხდება ყოველთვის, როცა ძალაუფლების მპყრობელი საარჩევნო ყუთს ისე იყენებს, როგორც იარაღს, მოწინააღმდეგეთა დასათრგუნად. ამგვარმა დემოკრატიამ მრავალი უბედურება მოუტანა მსოფლიოს და საქართველოს, ამ სენისაგან დასაცავად, იმუნიტეტი არ გააჩნია. დღეს ყველანი ეხედავთ თუ როგორ ზეიმობს აზრი, რომ უმრავლესობა მხოლოდ იმიტომ არის მართალი, რომ უმრავლესობაა. საარჩევნო ყუთთან მოპოვებული წარმატება ამარ-

თლებს ყოველგვარ უსამართლო ქმედებას, მხოლოდ იმიტომ, რომ გამარჯვებულ უმრავლესობას სურს ასე. სიმართლე კი ისაა, რომ არაეთიკურია გამოიყენო ადმინისტრაციული ძალა უპირატესობის მისაღწევად და უმრავლესობის ხმების უკან მიმალულმა, კულუარებში, საკუთარი საქციელი იმით გაამართლო, რომ დიადი მიზნები გაქვს დასახული და შენს მეტი ამ მიზნებს ვერავინ განახორციელებს. მანამდე სანამ პოლიტიკური მანქანა უმრავლესობის ანუ მასების ნებას უმცირესობის დასაჩაგრად იყენებს, უკეთესი აწმყოს იმედი არ უნდა გექონდეს. დემოკრატიის მარქანა ჩვენში იმისათვის კი არ მუშაობს, რომ ძალაუფება ერთი მხრიდან მეორისაკენ მშვიდობიანად გადაანაცვლოს და თავისუფლება შეინარჩუნოს; პირიქით, დემოკრატია კლასთა ბრძოლად გადაიქცა, როცა პარტიის დამარცხება არჩევნებში საფრთხეს უქმნის პარტიის წევრთა საკუთრებასა და თავისუფლებას. დემოკრატიის ამ გზით განვითარება – და ეს მისი ბუნებრივი გზაა – თუ რაიმეთი არ შეიზღუდა, ქაოსისაკენ მიგვიძღვის და მომაელის იმედს გვიკარგავს.

რადიკალური მემარცხენეობა ანუ მარქსიზმი და კომუნიზმი იმიტომ არ ჩანს საქართველოში, რომ ისინი თავის მიზანს სხვა სახელს ამოფარებულები აღწევენ. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ღღეანღელი ეითარება ხომ მათთვის სანუკვარი რეჟოლუციის შედეგია.

* * *

ამას წინათ სიღნაღში გასღდით და აღფრთოვანებული დაერჩი გალამაზებული ქალაქის ხილვით. ელოცავდი დამკვეთსაც და ამშენებელსაც. ვიკითხე, მყარად და საფუძვლიანად თუა შეკეთებული მეთქი და დამამშვიდეს, ყველაფერი კარგად იქნებაო. ერთ ადგილობრივ ჩინოვნიკს ვესაუბრე. ადგილობრივი არჩევნები ჩატარებულია და სიღნაღში ახალი დემოკრატია ბეობს. მაგრამ თავისუფლება იქ არც კი გაიჭაჭანებს. იქაური მოქალაქეები ჩივიან სასლები და ნაკვეთები ჩამოგვართვესო. სიღნაღი ოღესღაც თავისუფალი ქალაქი იყო, დღეს ცენტრალიზებული სელისუფლების მარწუხებშია მოქცეული და რაიონი მძლავრობს მასზე. გალამაზებაზე უფრო მეტად სიღნაღს სტატუსი სჭირდება, ქალაქის სტატუსი, მყარი და შეურყეველი, ისეთი, საუკუნეებს რომ გაუძლებს, თავისი მაცხოვრებლების უფლებებს დაიცავს და დემოკრატისტული უმრავლესობის ხუშტურები ვერ დააქცევს.

* * *

ხომ მართალია, რომ უცხოელ სტუმრებს სიმღერებით, ცეკვითა და კერძებით ვაწონებთ თავს (ქართული სამეცნიერო სკოლების მიღწევებს ჩვენც ნაკლებად ვიცნობთ და მათაც ნაკლებად აინტერესებთ) და უცხოელებიც

ხედავენ თუ რა მრავალფეროვანია ქართული კულტურის ეს ნაწილი. და მთელი ქართული კულტურის გამოსარჩევი ნიშანიც ხომ მრავალფეროვნებაა! ქართველები მუდამ აფასებდნენ და უფრთხილდებოდნენ განსხვავებულობასა და მრავალფეროვნებას, ეს გახლდათ ჩვენი თავისუფლების სახე. საქართველოს მხარეები, ქალაქები, ადგილობრივი თემები, გარკვეული ზომით, მუდამ თვითონ ირჩევდნენ ბილიკს სასურველი ცხოვრებისაკენ, ამას გვეუბნება საქართველოს ისტორია და, სხვა რამდენიმე ასპექტთან ერთად, სწორედ ამან განსაზღვრა ჩვენი კულტურა. რადიკალურად ცენტრალიზებული სელისუფლება ერთ სადინარში მოაქცევს მრავალფეროვან ნაკადულებს და შებღუდავს თავისუფლებას. საქართველოს ერთიანობა მხოლოდ მრავალფეროვნების გზით მიიღწევა, მხოლოდ ასე შეღებით საერთო ნიადაგზე. რადიკალურად ცენტრალიზებული სელისუფლება სახელმწიფო აპარატის უკიდურეს გაძლიერებას იწვევს, რაც თვით სახელმწიფოს, როგორც ინსტიტუტის დაშლას მოასწავებს; სწორედ ამიტომაა მოგონილი სელისუფლების დეცენტრალიზაცია, როგორც ერთგვარი განმტკიცებული სახიფათოდ მოგროვებული ძალაუფლებისა.

ნუთუ ასეთი დიდი ბოროტებაა დემოკრატია? დაისმის კითხვა და პასუხიც დიდი სანია არსებობს, – არა დემოკრატია არ არის აბსოლუტური ბოროტება, ის მხოლოდ სხვაზე უარესი მმართველობის ფორმაა (პლატონი, არისტოტელე) და ჩვენში ყველაზე მახინჯი ფორმით გამოვლინდა. თუ დემოკრატიაში ხალხის ტრადიციულ სიბრძნეს ვიგულისხმებთ, დემოკრატია საჭირო და აუცილებელი იქნება, მაგრამ თუ უმრავლესობის ანუ ბრბოს ნებას გავაფეტიშებთ, დემოკრატია ძირს გამოუთხრის ქართველ ერს. დემოკრატია უნდა ამოიზარდოს ტრადიციული მმართველობის ფორმებიდან და არა აბსტრაქტულ Human Right-ებზე დაწებებული NGO-ებიდან. თუ განვასხვავებთ ორი სახის დემოკრატიას, **პირდაპირსა და არაპირდაპირს, მაშინ უნდა განვმარტოთ, რომ პირდაპირი დემოკრატია არსებობს სახალხო რეფერენდუმების, პლებისციტების, პეტიციების, უმრავლესობის დესპოტიზმის, ბრბოს მძლავრობის სახით. არაპირდაპირი დემოკრატიის** დროს კი ქვეყანა იმართება ტრადიციული, ურყევი კანონებით, კონსტიტუციით. ხალხი მმართველობაში წარმომადგენელთა მეშვეობით მონაწილეობს.

ამერიკელმა დამფუძნებელმა მამებმა იცოდნენ, რომ მთავრობები ფესხაცმელიევით არის და უკეთესია ის, რომელიც უკეთ ერგება იმ ფეხს, რომელმაც უნდა ატაროს. (ორესტეს ბრაუნსონი)

კონსტიტუციონალიზმი გახლავთ მმართველობის ის ფორმა, რომლითაც ჩვენში არსებული პლებისციტური დემოკრატია უნდა შევცვალოთ. მაგრამ კონსტიტუცია არ უნდა დაწერონ რაციონალისტური პრო-

ექტების წერაში გაწაფულმა გრანტიჭამიებმა. კოსტიტუცია, ისე როგორც ინგლისსა და ამერიკაში მოხდა, უნდა დაეფუძნოს ეროვნულ, ადათებრივ უფლებებსა და ადგილობრივ კოდს. სწორედ ამის გაგონება არ სურთ ჩვენს პოლიტიკურ ძალებს, პოზიცია იქნება თუ ოპოზიცია, იმიტომ რომ ძნელია! დასაფუძნებლადაც ძნელია და მერე ძალაუფლების მოპოვებაც გაძნელდება. არც დემოკრატიზმის მქადაგებელი უცხოელი დამრიგებელნი მოგვიწონებენ ტრადიციებსა და ადათებში ჩაღრმავებას და იქიდან ამოზრდილ კონსტიტუციას, იმიტომ, რომ დემოკრატიზმის სადღაც შემუშავებულ, მზა ტრაფარეტს არ მოერგება და გლობალისტურ ტენდენციებში არ ჩაჯდება. საგულისხმოა, რომ მათ ტრაფარეტში არ ჯდება შვეიცარია, დანია, ნორვეგია, ირლანდია... მათ ტრადიციული ადგილობრივი კოდი და ადათები ურჩევნიათ, მაგრამ მსოფლიო დემოკრატიზმის მქადაგებლები მისდგომიან და დაჟინებით უმტკიცებენ, დაგვიჯერეთ, შემოგვიერთდით, ჩვენი წესებით ითამაშეთო. არ უნდა დაუჯერონ და, ეფიქრობ, არც დაუჯერებენ, მაგრამ მათი განდგომა, უნივერსალურ-გლობალისტური პოლიტიკური პროცესიდან, ამისდს ვერ ცელის, ამისდა მაშინ შეიცვლება, როცა ინგლისისა და ამერიკის, გერმანიისა და ესპანეთის... კონსტიტუციები ამოიღებენ სმას და, ვგონებ, შორს აღარ არის ის დღე.

ჩვენ რაღა ვქნათ? – ჩვენ არ უნდა დავემსგავსოთ იმ ახალ.ქართველს, ფული რომ უშოვნია და მოდის გულისათვის ეკლესიაში შესული, მოძღვარს კურთხევას სთხოვს, შესაწირავს დაგოვებს, გამოვა და კარშიეე იეიწყებს მოძღვარის დარიგებას. მიუხედევად ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის გაძლიერებისა ჩვენი მოქალაქეების – თქვენ წარმოიდგინეთ ზოგიერთი სასულიერო პირისაც კი – სოციალური და პოლიტიკური მენტალიტეტი მაინც სეკულარულია; სოლო სულიერებისაგან დაცლილი სოციალ-პოლიტიკური ცხოვრება კანონმორჩილებისა და სიმშვიდისაკენ კი არ მიგვიძღვის, არამედ მეოცე საუკუნის ტოტალიტარული რეჟიმისაკენ. (ერიკ ვოეგლინი)

დღევანდელი რადიკალურად სეკულარული პოლიტიკა მიზნად ისახავს ისიც გააქროს, რაც შემოგვრჩენია ტრადიციული საზოგადოებიდან და აადგოს ადამიანთა ურთიერთობის უნივერსალური ფერმა, დაფუძნებული სურვილების თანასწორი დაკმაყოფილების რაციონალურ სისტემაზე. რელიგია უნდა გამოიდევნოს საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, ეთნიკური და სქესობრივი განსხვავებანი გაქრეს და მსოფლიო წესრიგი დაეფუძნოს მსოფლიო ბაზარსა და ტრანსნაციონალურ ბიუროკრატიას, საერთაშორისო ეკონომიკური განვითარებასა და კოლექტიური უსაფრთხოებას. თანამედროვე ლიბერლური დემოკრატია ამგვარ წესრიგს ქადაგებს.

სულ ახლახან იყო გზა რომ დაუსახა ქართველ ხალხსა და პოლიტიკო-

სებს საქართველოს სულიერმა მწყემსმა. ყველა დაეთანხმა; მაგრამ ხელისუფლებამ თსუთმეტი წლით გადადო საპარლამენტო მმართველობისა და კონსტიტუციური მონარქიის შემოღება, ოპოზიციამ კი უცებ აიტაცა, როგორც ხელისუფლებისათვის მიუღებელი წინადადება და მალევე მიივიწყა. ამათ, ორიენს, პატრიარქი პოლიტიკური პროგნოზისტი პგონიათ და, მაინცა და მაინც, არ სჯერათ მისი, თუმცა, მისი ძალისა და გავლენის მცოდნენი, შიშით უყურებენ და გადაბირებაზე უარს არ იტყოდნენ. ორიენს თავისი „დასავლეთელი" გურუებისა უფრო სჯერათ და ორიენს, ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც დემოკრატიზმის ბომონზე სურს ტარიგის შეწირვა. ორიენ სომ დემოკრატობას იბრალებს და ამით ამაყობს. ხელისუფლება დემოკრატიის შუქურა ვარო იძახის და ოპოზიცია კი სწორედ დემოკრატიას უწუნებს და მის დამცველად თვითონ მოაქვს თავი. გზაც ერთი აქვთ, ორიენ ინტეგრაციონისტია და ორიენ ნატოსა და ევროკავშირისაკენ ისწრაფვის. ამრიგად, მათ შორის არსობრივი განსხვავება არ არის და, რაც მთავარია, ორიენ ერთ გზაზე დგას: დღეს სწორედ დემოკრატიის გამარჯვების შეღეგებია ჩვენს წინაშე და ოპოზიცია რომ ბრბოს გაუძღეება და გაიმარჯვებს, მაშინაც დემოკრატიის მონაპოვრით „დავეკბებით".

ნამდვილი ოპოზიცია უნდა იყოს რეაქციული ყოველივე რევოლუციურის, ლიბერალურისა და დემოკრატიულის მიმართ, უნდა იყოს ტრადიციონალისტი, ნაციონალისტი, ანტისეკულარისტი და ანტიპედონისტი. ნამდვილი ოპოზიცია უნდა დაუპირისპირდეს პოლიტიკურ სისტემას, რომელიც სოციალურ წესრიგს ადამიანურ სურვილებს უქვემდებარებს; უნდა დაუპირისპირდეს ადამიანების მიერ ზნეობის საკუთარი მიზნებისათვის გამოყენებას.

ღმერთსა ვთხოვ, რომ საქართველოს აწმყო დამოკიდებული იყოს არა უცხოელ ან მათ ღამოწაფებულ ქართველ „ექსპერტთა" მიერ თავს მოსვეულ რაციონალურსა და პრაგმატულ პროექტებზე, არა ბრბოს ნებაზე, არამედ ქართველი ერის თავისუფალ, ტრადიციულ არჩევანზე და ჩემს ოპუსს, თქვენის ნებართვით, სადღეგრძელოსავით დავასრულებ:

დადგება დღე და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ბიბლიური წინასწარმეტყველივით, გამოარჩევს და დალოცავს საქართველოს მეფეს. ქართველმა ერმა კი უნდა იშრომოს და იღვაწოს იმისათვის, რომ ის დღე მალე დადგეს.

P.S.

ეს ოპუსი დიდი ხნის დასრულებული მქონდა, როცა აგვისტოს მოვლენები მოხდა. საქართველოს კიდევ ერთხელ დაესხა თავს რუსეთი, დაა-

მარცხა, აიკლო და ტერიტორიები წაართვა, ამჯერად უკვე ღიად და დეკლარირებულად. არც ნიშნის მოგება შეიძლია და არც დაკვეღრება; თუმცა მერჩიენა, რაკი ომში ჩავებით გვებრძოლა კიდეც, თუნდაც უფრო ძვირად დაგვჯდომოდა. მთელი იმ ხნის განმავლობაში, დეენილებისადმი შესაძლო დახმარების გარდა, კომპიუტერთან ვიჯექი, ვკითხულობდი და წერილებს ვაგზავნიდი. წერილებს ვუგზავნიდი არა იმათ, ვინც მხარს გვიჭერენ, არამედ იმათ, ვინც ამერიკის და ინგლისის ხელისუფლებას, ნატოსა და ევროკავშირის მაღალჩინოსნებს უკიჟინებდნენ, ყველაფერი, რაც კავკასიაში მოსდა, თქვენი პოლიტიკის ბრალია და სულაც არ გვინდა საქართველოს გულისათვის კიდევ ერთ ომში ჩაეერთოთ, ამჯერად რუსეთთან და სისხლი ვღვაროთო; და უარესიც, პირველად ხომ საქართველო დაესხა თავს სამხრეთ ოსეთს და დაპყრობა დაუპირაო. მერწმუნეთ, ასეთები ცოტა არ არიან. ჩემი წერილების არსი კი, მოკლედ, ასეთი იყო: ძვირფასო ბატონებო და ქალბატონებო, თქვენი ნებაა, აკრიტიკეთ და ლანძღეთ თქვენივე, ამერიკისა და ინგლისის ხელისუფლება, თუ გნებავთ, საქართველოს ხელისუფლებაც და არც ჩვენ დავაკლებთ ხელს, მაგრამ ქართველ ერს ნუ გაწირავთ და თუ არ გამოგვესარჩლებით, ნურც გაგვამტყუნებთ, რუსების მიერ ჩვენზე შეთითხნილ ტყუილებს ნუ დაიჯერებთ და ნებითა თუ უნებლიედ, ერთი სუპერსახელმწიფოს გაკიცხვისას, მეორის იმპერიულ ბრახვებს ნუ გაამართლებთ; სამხრეთ ოსეთი როგორც ისტორიული და გეოგრაფიული ერთეული არ ასებობს და, როგორც ბოლშევიკების მიერ შექმნილი, ლეგიტიმაციას მოკლებულია-მეთქი.

ამაზე მიპასუხეს, კი ბატონო დაგიჯერებთ, მაგრამ თუკი ასეა, თქვენმა მთავრობამ რატომ შექმნა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია და ლეგიტიმაცია რატომ მიანიჭა ამ ტერმინსა და მხარესო?!

ჩემს ადრესატთაგან ერთ-ერთი, ამერიკის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი, რეა წლის წინ, ბუშის კონკურენტი რესპუბლიკურ პარტიაში, კონგრესმენი, ჟურნალ „ამერიკელი კონსერვატორის“ დამფუძნებელი და რედაქტორი, პატრიკ ჯ. ბუკენანი გახლდათ. მასაც შევეკამათე, თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ბევრ რამეში ვეთანხმები, რასაც იგი წერილში, „განა დასაელური ფარისეველობა გასაოცარი არ არის?“ წერს: „ათიოდე წლის წინ ვაფრთხილებდით [აშშ-ს], რომ უგუნურება იქნებოდა რუსეთის სიერცეში შეჭრა და ჯიქურ თვალებში ჩახედვა და, აი, დემოკრატიული იმპერიალიზმის წიწილებმა გამოჩეკა დაიწყეს, თბილისში“.

PAATA CHKHEIDZE
Professor, Journal "Chveni Mtserloba"

SUMMARY

OPPOSITION, DEMOCRACY AND... FREEDOM

The author of the article makes an attempt to analyze the current political process in Georgia and show the significant features of the process.

He considers that promoting Democracy in Post Soviet countries and particularly in Georgia, without rethinking the history and political tradition of the country will not bring positive results.

He argues that not abstract Civil Liberties but the particular Responsibility to the Fathterland should be raised in Georgia.

როსტომ ჩხეიძე
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტის პროფესორი, ჟურნალის
„ჩვენი მწერლობა“ მთავარი რედაქტორი

ჯონ სტაინბეკის საიდუმლო

– ნეტა ვინ გამომიგზავნა, ნეტა რატომ გამომიგზავნა?!

კოლაუ ნადირაძის ეს გაოგნებული ფრაზა რეფრენიცით გასდევდა ჩემს ერთ აღრეულ ესეის და დამაგეირგვინებელ აკორდადაც ყველაზე უკეთესი ის გამომდგარიყო.

უილიამ ბატლერ იეიტსის დიდგანიანი პოეტური კრებული ჩამოსულიდა უცხოეთიდან, სადაც არც ნათესაები, არც ნაცნობი არაეინ ეგულებოდა, არც არაეითარი წარწერა ახლდა წიგნს, გამომგზავნის ვინაობის აღმნიშვნელი. მის სახელზე გამოეგზავნათ – ესაა და ეს... და საიდუმლო სამსახურს მანამდე გულდაგულ ეჩხრიკა წიგნი, ვიღრე ადრესატს გადასცემდა, ვაითუ სადმე რაიმე მინიშნებაა, პოლიტიკური ქვეტექსტი იმალება და არ გამოეპარჩესო.

ეერაფერი აღმოეჩინათ.

ანკი რას ნახავდნენ – ისეთი გულუბრყვილო არ უნდა ყოფილიყო გამომგზავნი, პეონებოდა, საიდუმლო სამსახურის მოდარაჯე თვალს გამოვაპარებ ფარულ ტექსტსო... მაგრამ კოლაუ ნადირაძესაც რომ ეერაფერი გაეგო?.. ის კი არა, ინგლისური ენა სრულიად არ იცოდა და არც იეიტსის სახელი სმენოდა ოდესმე.

მაშ რატომ გამოედო თაეი იმ უცნობს?

ასეა თუ ისე, დიდებული ირლანდიელი პოეტის საუკეთესო ლირიკულ ქმნილებათა კრებულს შემოეღწია ქართულ სიერცეში და აღრე თუ გეიან ვინმეს გამოადგებოდა.

მაგრამ... ამის გულისათვის მოენდომებინათ წიგნის გამოგზავნა, ოღესმე ინგლისური პოეზიის ქართეელი მოყვარული ნასიამოვნები დარჩება ამ ლექსების გადაკითხეითო?

ეითომ ასე გზაენიდნენ იეიტსისა თუ სხვა პოეტთა კრებულებს ყველა ქვეყანაში?

აბა, საქართველო რატომ ამოემიზნათ?

ან კოლაუ ნადირაძისათვის საიდან მიეგნოთ?

ერთი პიროვნების საქციელს არა პგავდა. აშკარად გუნდი იგულისხმობოდა გამოგზავნის მიღმა, რამხელა გუნდი, ძნელია ეს ამოეცნო,

მაგრამ უთუოდ ადამიანთა კრებული და არცთუ მცირერიცხოვანი.

კოლაუ ნადირაძის პიროვნული ხასიათი და ბიოგრაფია წინასწარვე და გულდასმით გამოერკვიათ, სახელგატეხილი კაცი რომ არა ყოფილა და ხელისუფლების მონა-მორჩილი, ესეც უსათუოდ შეეტყოთ და მისი შეუბღალავი სახელის იმედით შეეხმიანებოდნენ ასე უცნაურად.

რა ჩაეფიქრებინათ ან რას ანიშნებდნენ?

მარტო მას არა, ცხადია – ამ უცნაურ შემთხვევას კოლაუ ნადირაძე აუცილებლად მოსდებდა ლიტერატურულ წრეებს და მათგან რაღაც გამოძახილს ელოდნენ. ამკარად და სასწრაფოდ არა, მაგრამ გარკვეული განწყობილება კი უნდა შექმნილიყო. ყველას თუ ვერა, ცალკეულ პიროვნებებს უნდა ამოეცნოთ გზავნილის შინაარსი, კრებულში ასე საგულდაგულოდ შეფუთული, და ამ ამოცნობას გარკვეული იმედი ჩაესახა მათთვის.

შესაფერისი განწყობილებაც და მისი გავრცელებაც ამას უნდა მოჰყოლოდა.

ნეტა ვის გამოეგზავნა?.. ნეტა რატომ გამოეგზავნა?..

არაფერი ყოფილა დაფარული, რომელიც არ გაცხადებულიყო.

და ეს გაცხადება უეცრად წამოატივტივებდა ჯონ სტაინბეკის სახელსა და საქართველოში მეორე მოგზაურობის მიზანს – საკმაოდ გამოკვეთილსა და ღრმააზროვანს, მსოფლიო პოლიტიკის ნაწილს და არა გაცელითი პროგრამის, რომლის სახელწოდებასაც უნდა შეენიღბა ამერიკის პრეზიდენტის ჯონ კენედის პირადი დავალება, დიპლომატებს რომ ვერ მიანდობდა და აღმსრულებლად მწერალი ერჩიენა, თანაც რა რანგის მწერალი – რაც მიუწედომელი დარჩებოდათ დიპლომატებსა თუ სხვა პოლიტიკოსებს, ჯონ სტაინბეკისათვის შედარებით უფრო ადვილი მოსახელთებელი უნდა ყოფილიყო.

ასეა თუ ისე, ცდად ღირდა.

და ოლიკო ქღენტი 1963 წლის ამ მგზავრობის მიზანს ალღოთი რომ მიაკვლევდა: აქ იმჟამად იგულისხმებოდა ამერიკელთა რაღაც ინტერესი და სტაინბეკს აშკარად რაღაც მისია დაკისრებოდაო, – ვახტანგ ამაღლებული ქართულ და ამერიკულ მემუარულ-დოკუმენტურ ცნობებზე დაყრდნობით გაშლიდა და სარწმუნოს გახდიდა ამ მიხედრას – ეარაუდს დამაჯერებელ ვერსიად გადააქცევდა და ამ მოგზაურობას შეარქმევდა სტაინბეკის საგანგებო მისიას საქართველოში.

თეალსაჩინოებისათვის უორენ ფრენჩის სიტყვებსაც დაიმოწმებდა:

– სტაინბეკის მეგობრობა აღლეი სტივენსონთან, ჯონ კენედისა და განსაკუთრებით ლინდონ ჯონსონთან საყოველთაოდ ცნობილი ხდება. ამ დროისათვის იგი მართლაც ჩართული გახლდათ ეროვნულ პოლიტიკაში, თანაც, როგორც ჩანს, თვითონ არ გაეცნობიერებინა ბოლომდე, რომ უკვე

აღარ გახლდათ რეგიონული დონისა და ამ არენაზე მსოფლიო კლასის მოთამაშე სღებოდა.

არა, გაცნობიერებული როგორ არა პქონია და თანაც სრულყოფილად – მაშინ ხომ ასეთი რწმენითა და სიმტკიცით ვერ ახსენებდა მგლების გალიაში ჩამწყვდევასა და მსოფლიოში ყველა კარის გარღუვალ გახსნას. და ვერც თავის მისიას დაინახავდა ამ საკაცობრიო მოვლენის აღსრულებაში.

ახლა თვითონვე უწოდებს მისიას.

და კიდევ:

ლოცვისმაგვარ სურვილს.

თურმე რაოდენ ძვირფასი, ღრმად ინტიმური გამხდარა ეს განცდა მისთვის.

ვახტანგ ჭელიძეს თავისი მემუარული ნარკვევი ასე რომ დაესათაურებინა: „ამერიკა განსაცდელში არ მიგატოვებთ", სწორედ სტაინბეკს დასესხებოდა, მის თავდაჯერებულ მტკიცებას პირადი საუბრისას:

– ახლა სხვა დროა, სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ, ღიღი სახელმწიფოები მფარველობას გაუწევენ მცირერიცხოვან ერებს... ამერიკა განსაცდელში არ მიგატოვებთ... ამის იმედი უნდა გქონდეთ...

და იქვე სიამაყით ახსენებდა ჯონ კენედის, რაც გამჭვირვალედ გულისხმობდა, ეს მისგანი უშუალოდ მას რომ გაეგიარებინა მწერლისათვის. ერთად შეთანხმებულიყვნენ.

კოლაუ საღირაძესაც რომ მოსწერდა ბარათს, ვითომდა მხოლოდ მაღლიერებისას, ოღონდ იმ აღვილად გასასხსენელ ქარაგმიანს – მგლებიო და გალიის გახსნაო – ამ წერილის არსებობა, მისი აღმოჩენა განა იეიტსის კრებულის გამოგზავნის საიდუმლოებას არ გვიაშკარავებს?

კრებული გამოგზავნილია სტაინბეკის სტუმრობამდე.

წინასწარვე მზადდება ის განწყობილება, რაც მწერლის ჩამოსვლამ კიდევ უფრო უნდა გააღვივოს და განამტკიცოს.

გზავნილის მინიშნებას მეტი ძალა და მხურვალება შესძინოს.

რატომ მაინცდამაინც იეიტსი – ირლანდიელი პოეტი და ეროვნული მოღვაწე – და არა რომელიმე ამერიკელი ან ინგლისელი შემოქმედი, მასზე არანაკლები?

სწორედ მისი ირლანდიელობა და ეროვნული მოღვაწეობაა ის გამჭვირვალე ქარაგმა, რაც გულისხმობს ეროვნული მოძრაობის გაღვივებას საქართველოში მწერალთა თაოსნობით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის შენიღბვას ლიტერატურული მოღვაწეობითა თუ თეატრის ეროვნული სულისკვეთების გამძაფრებით – ირლანდიური აღორძინების ეპოქა რა გზასაც დადგომოდა იეიტსის მეთაურობით.

თუ ასეთი რამ არ არსებობდა საქართველოში, დაე ახლა მაინც მოეკიდა ფესვი მათ გულში ამ სწრაფვას, და თუკი ისედაც წრიალებდა იატაკქვეშ, უფრო მომძლავრებულიყო საერთაშორისო თანადგომის იმედით.

ვიღრე სტაინბეკი სამშობლოს დაუბრუნდებოდა, პრეზიდენტ კენედის მკვლელი მოულებდა ბოლოს... მაგრამ უცნელელი დარჩებოდა ამერიკის სასელმწიფო პოლიტიკა თუნდ საქართველოს მიმართ და მწერალი ახალ პრეზიდენტს, ლინდონ ჯონსონს, რომ წარუდგებოდა, ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებებს მას გაღასცემდა და გამოქვეყნებაზე არც იფიქრებდა, განსხვაებით პირველი სტუმრობისაგან – 1947 წელს – როდესაც მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე შეიქმნებოდა მსატვრულ-დოკუმენტური ოსზუღება „რუსული დღიური“.

სტაინბეკის საგანგებო მისიის ირგელივ მსჯელობა თავისთავად მოისმობდა ელენ სტაინბეკისა, მწერლის მეუღლის, და რობერტ უოლსტენის ცნობას: პირობა პქონდა დადებული, რკინის ფარდის მიღმა მოგზაურობის შესახებ სამშობლოში დაბრუნებამდე ოფიციალურად არაფერი გამოექვეყნებინაო.

აგერ, შემდგომაც შეუკავებიათ თავი.

ეს ყოველივე კიდევ ერთხელ ათვალსაჩინოებს პოლიტიკური დავალების გასაიდუმლოების აუცილებლობას.

დავალება დავალებად, მაგრამ პირველი მოგზაურობის დროსაც საქართველო გამორჩეულად ჩარჩენოდა ხსოვნაში და აქაურობის მონახულების ქრონიკასაც აღადგენდა „რუსულ დღიურში“ – მნიშვნელოვან ადგილს დაუთმობდა და იმდენ საგულისხმო ცნობას გააბნევდა თხრობაში, ისეთ მახვილგონიერულ დაკვირვებებს შემოგვთავაზებდა, მათი შესწავლა-გააზრება ძალიან წაგვადგება ჩვენი იმჟამინდელი საზოგადოებრივ-კულტურული სინამდვილის სრულყოფილი წარმოსახვის მცდელობისას.

ამ მოგზაურობას „ნიუ-იორკ პერალდ ტრიბუნის“ რედაქციის დავალება დაერქმეოდა და ჯონ სტაინბეკთან ერთად რობერტ კაპასაც მოაელენდნენ – სახელოვან ფოტოხელოვანს, ეის მიერ შედგენილი ფოტოქრონიკაც შეავსებდა სტაინბეკის თხრობასაც და თავისთავად ისტორიულსა და ესთეტიკურ ღირებულებასაც შეიძენდა.

თამაზ ნატროშვილი კარგა ხნის წინათ გამოარჩევდა „რუსული დღიურის“ ამ მონაკვეთს, საქართველოში მოგზაურობის ქრონიკას, მშვენიერი სიზმრის თავისებურ ანარეკლს, და ფრაგმენტ-ფრაგმენტ გადმოიღებდა ქართულად, რობერტ კაპას ფოტოებითაც დაინტერესდებოდა და მისი თაოსნობით გახდებოდა შესაძლებელი ამ ნამუშევრების მოძიება და ფოტოალბომის გამოცემა ჩვენს ქვეყანაში.

თუმც, ცხადია, სამოგზაურო ჟანრის ეს ჩინებული ნიმუში სრულიადაც

უნდა გამოცემულიყო ჩვენში – ქართული თემა ერთიან ფონზე გამოკვეთილიყო, და ამ განზრახვასაც მოებმოდა თავი დაეით გეგეჭკორის მეოხებით, ვინც წიგნს მწერლის ბიოგრაფიულ პროსპექტსაც დაურთავდა და ქართული პრესის გამოხმაურებებსაც 1963 წლის სტუმრობის ირგელივ – საბჭოურ ყაიდას მისადაგებულს.

რასაკვირველია, იმ მასალებში გაკვრითაც არ უნდა გაელვებულიყო სტაინბეკის სამდვილი გულისტკივილი, უპირველესად კი ეს:

– უცნაურია, – ჯონ სტაინბეკი საქართველოს მწერალთა სასახლის დარბაზშიც მიუყვანია მოგზაურობას, ტრიბუნასთან წარმდგარა და საჯარო დიალოგი გაუმართავს მწერლებთან. ჩარჩოში მომწყვდეული, შებოჭილი, ოთხივ კუთხით ავად მოდარაჯე მშერის შუაგულში, მაგრამ დიალოგის ანარეკლად მაინც ითქმის, და სახელოვანი ამერიკელი, მადლიერებას რომ გამოხატავს იმ ქვეყნის მიმართ, რომელსაც ოცი წლის შემდგომ კიდევ ერთხელ სტუმრებია, თავს მაინც ვერ შეიკავებს, რადგანაც ყველაფერი რომ ახსნას, ეს უცნაურობა ვერაფრისდიდებით ვერ აუხსნია:

– მწერლის მოვალეობა ხალხის თანადგომა და სელისუფლებასთან დაპირისპირებაა, ასეა ყველა დროში და ყველა ქვეყანაში, ჩვენც, ამერიკელ მწერლებსაც იმით მოგვწონს თავი, რამდენჯერ გადაედგომიჟართ სელისუფლებას და სან მკვეთრად შეჯახებიჟართ კიდეც. აქ კი, ფქვენთან, მწერლები იმით ამაყობენ, სელისუფლებასთან ერთად ვიღეწითო.

დუმილი ჩამოწვებოდა დარბაზში.

უცნაურიაო, – ეახტანგ ჭელიძესთანაც გაიმეორებდა, როდესაც შეიტყობდა, მის რომანს რომ თარგმნიდა – „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“, და გასარებულს განსაკუთრებული სითბო ჩაეღვრებოდა გულში. ავტოგრაფსაც წაუწერდა ქართულ ხელნაწერზე, ზოგიერთ რაიმეს გამოიკითხავდა და... ისევე იმ თავსატეხს მიადგებოდა: ხელისუფლების თანადგომა მწერლურ მოვალეობად რატომ გესახებოდათ ამ ქვეყანაში.

ბარემ არც ესახებოდათ, მაგრამ... რკინის ხუნდებს თავისი კანონები მოეტანა, ანტიჰუმანურობით დაღდასმული და, სახელმწიფო პოლიტიკასთან შეწინააღმდეგება თავგანწირულ მწერლებს იოლად რომ არ ჩაუვლიდათ, სხვანი გაფრთხილდებოდნენ და ვინ გულწრფელად და ვინ სიმწრით აღიარებდა პარტიულ-სახელმწიფოებრივ მოწოდებას, მწერლის დანიშნულებას რომ უარყოფდა და პროპაგანდისტის ფუნქციას ანიჭებდა, თანაც... სიყალბის პროპაგანდისტის.

ამ საბურველის მიღმა მაინც გაისმოდა პროტესტის სიტყვა, უფერულ, მდორე ნაკადს მაინც შეერეოდა ჭეშმარიტი სულიერი ფასეულობანი, მაგრამ ლოზუნგი საზარლად ხმიანობდა და დამცირების, შეურაცხყოფის გან-

ცდა უჩნდებოდა ჯონ სტაინბეკს, ცხადში ვიმყოფები თუ რომელიმე სატირიკოსის სამყაროში ამომიყვია თავი პერსონაჟად, თუნდაც ჯონათან სვიფტის ან ჯორჯ ორუელისო.

რომანის თარგმნა როდისთვის მოთავდებაო? – ამასაც იკითხავდა და: მალეო, – ეახტანგ ჭელიძე რომ დააიმედებდა, ნიკო ყიასაშვილი დაუდასტურებდა: თუ რაიმეს ჩაუჯდა, ერთბაშადაც მოათავებს, გაჭიანურება არა სჩვევია, თანაც მისი მთარგმნელობითი ხელოვნება აღიარებულიაო.

იმთავითვე ერცელი სარბიელისათვის შემოეხვია ხელი და უმძიმესი ტვირთის აზიდვა ეცადა. ერეკლე ტატიშვილი სწორედ ამას შთააგონებდა, საამისოდ ამზადებდა და მის რჩევას აპყოლოდა – ნაპრალებიც თანდათან ამოევსო ქართულ კულტურულ სივრცეში და ინგლის-ამერიკულ თანადროულ ლიტერატურულ პროცესსაც კვალდაკვალ მიჰყოლოდა. რკინის ფარდაში ნაჩვრეტი გაჩნდებოდა თუ არა, მაშინვე მარჯვედ ესარგებლა, თორემ ხვალ, ვინ იცის, რეალობა როგორ შემოტრიალებულიყო.

მთაწმინდელთა მთარგმნელობითი ტრადიცია აღედგინა ძველ ნაპრალთა ამოვსებითა და თანადროულ თვალსაჩინო მხატვრულ ქმნილებათა ამეტყველებით ქართულ ენაზე, და ამიტომაც მოთავსდებოდნენ გვერდიგვერდ მის ვეებერთელა ნაღვაწში დანიელ დეფო და ერნესტ ჰემინგუეი, ჯონ მილტონი და ჯერომ სელინჯერი, ჩარლზ დიკენსი და ჯონ სტაინბეკი... პიესები კიდევ პიესებად – იქით უილიამ შექსპირი, აქეთ ჯონ ფრისტლის, არტურ მილერისა თუ ტენესი უილიამსის დრამატურგიული ქმნილებანი, და ჩვენი სამწერლო პროცესის დიდ განახლებას ამ მხრივაც განუზომელ ღვაწლს დასდებდა.

ერთბაშადაც მოათავებსო...

დაყოვნება, სვენებ-სვენება ამხელა შენობას ვერ ააგებინებდა, სადღაც ქვემოთ შეუწყდებოდა გაბედული ჩანაფიქრი და მთაწმინდელთა მიღწევის განმეორება მარტოდენ ბაჩანა ბრეგვაძეს დააწვებოდა მხრებზე. ახლა კი ამას გაეკაფა გზასავალი უფართოესი თვალსაწიერით.

ბედისწერას ასე განეჩინა, უკან გადაესროლა ქვეყანა პოლიტიკურადაც და კულტურითაც, და მის მკაცრ გადაწყვეტილებას თავგამეტებული გარჯა თუ შეეწინააღმდეგებოდა კულტურის წყვეტილობათა ამოვსებად.

სტაინბეკის ამ ერთ რომანს არც იკმარებდა და „ტორტილა ფლეტსაც“ მოადევნებდა მწერლის სტილური მრავალფეროვნების წარმოსაჩენად, „მრისხანების მტევნების“ მწვაევე სულისკვეთებასა და „ზამთარი ჩვენი მღელვარებისას“ იქნებ არანაკლებ მძაფრ დრამატიზმს დიდი იუმორი რომ ამოსდგომოდა გვერდით „ტორტილა ფლეტის“ სასით, დიკენსსა და მარკ ტვენს გაჯიბრებოდა თითქოს სტაინბეკი და ვახტანგ ჭელიძე ამ მხრივაც დაინტერესდებოდა, ნეტა მისი იუმორი როგორღა გადმოეცა ქართულად, ბოლოს-

დაბოლოს, მე თვითონ როგორ მოვახერხებ ამ სამი განსხვავებული იუმორის ნიუანსობრივ თავისებურებათა შენარჩუნებას ჩვენს ენობრივ სამოსელშიო.

ამერიკული კრიტიკა ცოტა სხვაგვარად განსჯიდა – მარკ ტვენს სტაინბეკის უშუალო წინამორბედად შერაცხავდა და იმის თქმასაც არ მოერიდებოდა: სტაინბეკის იუმორი მარკ ტვენისა და მეზერის იუმორის ნაზავიაო. ვითომდა – ნახევარი ერთი, ნახევარი მეორე. „ტორტილა ფლეტის“ შემოქმედს რაღა რჩებოდა?.. მაგრამ ეს მაინც გაღაჭარბება უნდა იყოს, სტაინბეკი უფრო დრამატულ მწერლად ესახებათ და მის იუმორს ამიტომაც არ დაგიდევენ მაინცდამაინც, თორემ – მეზერი იქით იყოს – „პელკბერი ფინის თავგადასაველის“ შემოქმედის ბეგაელესა სტაინბეკზე უფრო მეტი სულაც არ არის, ეიდრე ერნესტ ჰემინგუეის აღიარება: ჩვენ ყველა მარკ ტვენიდან მოვდივართო.

დრამატულ მწერლადო და: „მრისხანების მტევნები“ გაიყივებია უპირველესად სტაინბეკის სახელს, იმას გადაუფარაეს სხვა ყველაფერი და, ის კი არა, მასთან შედარებით „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“ ჟურნალისტურ რანგის თხზულებადაც კი წარმოუდგენიათ.

თავის დროზე ამ უპირველესი ქმნილების ფინალიც საღაჟო გამსღარიყო: ისე უეცრად მოკვეცა თხრობა, მიფუჩეჩებას დაემგვანა და უგზოუკვლოდ მიაგოვა საკუთარი პერსონაჟებიო. დაე ამერიკულ მწერლობას თვითონ ეცა თავში და ერკვია, მართლა კიღევ ერთი განსაკუთრებული რომანი შექმნილიყო თუ მწერალს ხელიდან გაეშვა ჩინებული შესაძლებლობა და სუსტი ფინალით ჩაეფლავებინა დიდებული განზრახვა... მაგრამ ასე არ განსჯიდა ოთარ ჩხეიძე და სტაინბეკის უსამართლო გაკილვას პირად დამცირებად მიიღებდა, რაკიღა დიდებული რომანის ამაღლებული და განზოგადებული ფინალი შესაფერისი ანალიზის გარეშე მიფუჩეჩებად ცხადდებოდა. ძალიან დაენანებოდა ზერელე შეფასებისათვის და საგანგებოდ გამოეხმაურებოდა რომანის ფინალს, რომელშიც ზუსტად ამოიცნობდა „მრისხანების მტევნების“ მსატვრულ ტენდენციას.

ნუღა გამორჩებოდა მკითხველს, თუ როგორ იზრდებოდა ფინალში რობას სახე, ვისი მსატვრული დანაშნულებაც თითქოს ის გახლდათ, რომ ტკივრთად ქცეულიყო თავისი უგზოობის გზაზე დამდგარი და გაწამებული ოჯახისათვის. სტაინბეკს ქალი ჩაეჭირა ერთდროულად დეღობისა და ენების ყოფაში, და ამ რთულ ფსიქიკურ მდგომარეობას რაღაც დიდი სათელის ანარეკლად გადაუელიდა რობას იდუმალი ნეტარების ღიმილი, და თხრობის ამ გამოკვეთილი, სრულყოფილი დაგვირგვინების შემდეგ მკითხველს თავი აღარ უნდა ემტერია ჩვეულებრივი შეკითხვების: ნეტა რა დაემართათ დანარჩენ პერსონაჟებს, ამას, ამას ან თუნდაც ამასო.

ეს კრიტიკულ-ესთეტიკური ეტიუდი გამოქვეყნდებოდა სტაინბეკისათვის ნობელის პრემიის მინიჭებამდე – ანუ 1962 წლამდე – სამი წლით ადრე... თუმც თბილისში ჩამოსული ამერიკელი მწერლისათვის საიდუმლოდ დარჩებოდა ამ სტატიის არსებობა.

მაშინდელი დრო როგორც მოითხოვდა.

ამ ლიტერატურული ნარკვევის გამოქვეყნებისას სტაინბეკის არამცთუ ეს რომანი, მისი არცერთი თხზულება არ თარგმნილიყო, ერთი ნოველაც კი, თუმც არაპირდაპირ უკვე მოხვედრილიყო მისი მოთხრობაც და სახელიც ქართულ სამწერლო სივრცეში – დემნა შენგელაიას „განძი" იგულისხმება, სტაინბეკის „მარგალიტის" წარუმატებელი განმეორება, თუმც გარეგნული წარმატების იერიც რომ დარჩენოდა, ბედმეტადაა დაეალებული ამერიკელი მწერლის შედევრისაგან. ისე ეს გარემოება მაშინვე არ დარჩენილა შეუმჩნეველი და რევაზ ჯაფარიძე ადვილად დაამტკიცებდა პირველწყაროს არსებობასაც და მისი ხელოვნების მიუწვდომლობასაც „განძთან" შედარებით.

დგებოდა ამ მწერლის ქმნილებათათვის კარის გახსნის ჟამი და „ქრიზანთემების" ვახტანგ ჭელიძისეული თარგმანის გამოქვეყნება უშუალოდ დაემთხვეოდა სტაინბეკის სტუმრობას.

ეს ნოველა უკვე ანთოლოგიებშიც მოხვედრილიყო და მისი გადმოღება ამიტომაც შეუქმნიდა მკითხველს მართებულ წარმოდგენას მწერლის მსატვრულ ოსტატობაზე, ხოლო „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა" დიდ წარმატებად რომ არ ჩამოერთმია ამერიკულ კრიტიკას მისთვის, ვახტანგ ჭელიძე არ დაგიდევდა ამ ზედაპირულ შეფასებას, რადგანაც თვითონ ძალიან მოეწონებოდა და ვერ აეხსნა, თუ რატომ სწამებდნენ ამ რომანს ჟურნალიზმის მოძალებას.

არა, გარეგნულად, სტილური სიმსუბუქითა და ყოფითობის რეალისტურ-ნატურალისტური წარმოსასვით იქნებ მართლაც დაგრჩეს ეს შთაბეჭდილება, მაგრამ ის უღრმესი ტკივილი, რითაც განმსჭვალულია რომანი და ტრაგიზმის სულისკვეთებამდეც მაღლდება, განა ასე იოლად მისაყურისძირებელია? '

ტრადიციის, გვარიშვილობის, კეთილშობილების თანდათანობით გაქრობის ხილვას გულისგულამდე რომ შეუძრავს ითენ ჰოული და სულიერი სიმარტივით ჯვარზე გაკრული მაცხოვრის ტრაგიკული განცდის ანარეკლად წარმოსდგება, განა შეიძლება ეს გამოგრჩეს და თხრობის განვებისმა სიიოლემ და ყოფითობის დეტალიზებამ გადაფაროს ყველაფერი?..

მეტი სინათლისათვის თვითონ ჰოულის ცნობიერებაში მოტივტივებს ჯვარზე გაკრული მაცხოვრის ხატება და მისი გაუსაძლისი სიმარტოვე, თუმც მოქმედების გათამაშების დროდ წითელი პარასკევისა და აღდგო-

მის შერჩევაც გამჭვირვალე მინიშნება გახლდათ იმ ქვეტექსტებისა და რომანის მხატვრული მრწამსის ამოსაკითხად, წუთისოფლისა და მარადისობის ზღვარზე რომ ილანდება და კაცობრიობის სიცოცხლეს დრამატიზმით ბურავს.

ახალი ჟამის სიმბოლიკაში ეს განცდა, ეს ჭიდილი ამაღლებულისაკენ სწრაფვასა და მის ტრაგიკულ გამიწიერება-დაკნინებას შორის ამ თვალთახედვით გამოიხატებოდა: ალბათ, ასეთივე გრძნობა პქონდა კეთილ აინშტაინს, როცა მისი ნალოლიავები აზრი მატერიის არსის შესახებ ცეცხლის ალად მოედო ჰიროსიმასო.

სხვაგვარად ამ განცდასა თუ გულის ჭიდილს საყოველთაო შიშის ტრაგედიაც ერქვა, ყოველ შემთხვევაში, უილიამ ფოლკნერი ამ ლიტერატურულ ფორმულაში მოაქცევდა და სტაინბეკიც მოხიბლულიყო ამ ლაკონური და ზუსტი განსაზღვრებით, თანაც ნობელის სამაღლობელ სიტყვაში ფოლკნერის ამ განმარტებას საბაბადაც გამოიყენებდა, რათა თაყვისი დიდი წინამორბედი განსაკუთრებული პატივისცემით მოეხსენიებინა — მასავით ვცდილობ შევეშველო თავგზააბნეულ კაცობრიობას ამ პირქუში და უკაცრიელი დროის გამოელაშიო. თორემ ეს ტრაგედია იმდენი ხანია გრძელდებოდა, ლამის უკვე სულიერებასაც გავიწყებდა.

— ფოლკნერმა ყველაზე მეტად უწყოდა როგორც ადამიანის ძლიერების, ისე მისი სისუსტის შესახებ. მან იცოდა, რომ შიშის შეცნობა და დაძლევა მწერლის არსებობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

ღვთიური ძალა ეტვირთა სტაინბეკსაც, ადამიანი იკვეთებოდა უღიდეს საშიშროებად ღვთისმოკლებულ სამყაროში და ამ ტრაგიზმის შემხედვარეს უნებური სურვილი გიჩნდებოდა, იოანე მოციქულის იმ უიდუმალესი ფრაზის ახლებურად გააზრებაზეც გეფიქრა: ბოლო არის სიტყვა და სიტყვა არის ადამიანი, და სიტყვა ადამიანთანაა.

„ნიუ-იორკ ტაიმსს“ მაინც რამ დააწერინა 1968 წლის 20 დეკემბრის ნომერში, მწერლის გარდაცვალების ღღეს: სტაინბეკს ნობელის პრემია არ სჭირდებოდა, ეს ნობელის პრემიის კომიტეტს სჭირდებოდა სტაინბეკით.

ამ სიტყვებით კი გამოეთხოვებოდნენ და... გადაინაცვლებდა ეს ფრაზა სტატიიდან სტატიაში, წიგნიდან წიგნში, ენციკლოპედიიდან ენციკლოპედიაში... „რუსული ღვინის“ ქართული გამოცემის გარეკანზეც მოხვდებოდა.

სხვა არცერთი ნობელიანტი არ შეუფასებიათ ასე — არც ამერიკასა და არც სხვა ქვეყანაში, არავისთვის გაუმეტებიათ ამხელა ქება.

ჯონ სტაინბეკის მიმართ კი გაემეტათ.

1964 წლის 9 მაისს კი ბარათს რომ გამოუგზავნიდა კოლაუ ნადირაძეს, თან ნობელის პრემიის მიღებისას წარმოთქმულ ამ სიტყვასაც აახლებდა, როგორც საკუთარი რწმენის ყველაზე ხელშესახებ გამოხატულებას, და

მწერლის მოვალეობას კი ამასაც დასძენდა, რაც 1962 წლის 10 დეკემბრის საზეიმო ცერემონიისას რატომღაც გამოეტოვებინა: სამყაროს ოდნავ მეტი მხიარულება, ოდნავ მეტი სილაღე შესძინოს და ოდნავ მეტი სიცილითაც აავსოსო.

კაცები მაინც როდის ხდებოდნენ ერთმანეთის უახლოესნი? სტაინბეკს ამაზე თავისი შესედულება პქონდა: როდესაც ერთად იცინიანო. ამ დაკვირვებას ქართველ პოეტსაც უზიარებდა და მოაგონებდა, თბილისში ერთად რამდენს ვიცინოდით, კიდეც ვცეკვავდით და კიდეც ვმღეროდითო.

სიცილსა და მხიარულებას ამოფარებოდა დიდი პოლიტიკური განზრახვანი და ვნებები, უშუალოდ გადაჯაჭვული საპყრობილის კარის გაღებასა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენასთან.

თვითონაც არ გაეცნობიერებინა ბოლომდე, ამ არენაზე მსოფლიო კლასის მოთამაშე რომ ხდებოდაო...

ამ სტრიქონების წაკითხვას რომ მოსწრებოდა, ისე გულიანად იცინებდა, საკუთარ თავსაც წააჭარბებდა. თუმც მალევე მოსსპდა სიცილს, რადგანაც... განზრახვა ჯერაც აღუსრულებელი რჩებოდა.

მცირერიხცოვან ერებს დიდი სახელმწიფოები მფარველობას გაუწევენ და ამერიკა არც თქვენ მიგატოვებთ განსაცდელშიო, – ამ იმედოვნების გაბნევას ქართულ საზოგადოებაში ხელშესახები გამოძახილი ჯერჯერობით არ მოჰყოლოდა და ჯონ სტაინბეკი, ვინ იცის, უილიამ ბატლერ იეიტსის აჩრდილსაც შესთხოვდა: ისევ შენ თუ შეახსენებ, რა დარდი გხრაედა, რას ესწრაფოდი და რას ეწირებოდი, რა ევალება და მოეთხოვება მწერალს სახელმწიფოებრიობადაკარგულ მიწა-წყალზეო.

ROSTOM CHKHEIDZE
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Professor
Editor-in-chief, Literary Journal "Chveni Mtserloba",

SUMMARY

THE MYSTERY OF JOHN STEINBECK

The article basing upon the documentary witnesses and significant details tells about the extraordinary mission of John Steinbeck in Georgia. During his second visit in Georgia the American Nobel Prize winner writer had the assignment directly from the President of the United States, John Kennedy, to show Georgians, America would countenance them in the National independence movement against Russian Imperialism.

One of the obvious hints from the side of Steinbeck turned out to be the issue

of collected poetry of the leader of Irish Renaissance – William Butler Yeats, which should have helped Georgians to comprehend that a writer would better lead the struggle against Russian imperialism; and resistance should have been hidden behind educational and cultural activities.

The mission of John Steinbeck stayed unknown for a long time, until particular information was obtained by Georgian researchers (Oliko Jgenti and Vakhtang Amaglobely) which made it possible to reveal the mystery of this secret mission; the issue adds an all-important, new page to American-Georgian relationship and shows the personality of John Steinbeck from absolutely new angle.

გამომცემლობის დირექტორი: შალვა კირთაძე
ტექნიკური რედაქტორი: მალვინა დავითულიანი
კორექტორი: ნათია ოდილავაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ნასარიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა, 2008

ნაბეჭდი ფორმა 25
ქაღალდის ზომა 60X84. 1/16

გადაეცა წარმოებას 01.09.2009 წ.